(22)9
ს-262

დევან სანიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუჭა-მუჭად გაფანილი საქართველო

ფოტო ალბომი

ლევან სანიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუჭა-მუჭად გატანილი საქართველო

,,სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით მირსა“...

შოთა რუსთაველი

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

წიგნი პირველი

9(47.922)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძღვნება ადრე წასული მშვენიერი ყმაწვილის,

ბ ო ბ ი ტ ა ბ ა ხ ო ტ ი ძ ი ს

ნათელ ხსოვნას

© ლევან სანიკიძე

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინაბჯე

„სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“ — რუსთაველის ეს უკვდავი ლოგოსი იმთავითვე მიანიშნებს წამკითხველს: ამ წიგნის გმირები სწორედ ისინი უნდა იყვნენ, ვისაც კი, სხვადასხვა მიზეზით, თავისი საწუთისოფლო ცხოვრება სამშობლო ქვეყნის გარეთ, უცხო მიწაზე დაუსრულებია და იქვე დაკრძალული, უცხო მიწადვე დამიწებულა.

ასეთი „გაუცხოებული“, თუ უცხოდ „აღფხვრილ-დამიწებული“ შვილი ბევრი ჰყოლია საქართველოს. ვინ რა მიზეზით წაუყვანიათ, თვითონ წასულა თუ გადახვეწილა სამშობლოდან უცხო მხარეში, ვინ რას იქმოდა საპირადო თუ საქვეყნო საქმედ, ვის რა ღვაწლი და სახელ-დიდება უმრავლებია მისგან დატოვებული სალოცავი სამშობლოსათვის, თუ იმავ უცხო ქვეყნის („დედინაცვალი“) და „უცხო თესლისთვის“, — ვის კიდევ, ნებით თუ უნებლიეთ, რა ვნება და აუგი „უწარმოებია“ მისი „უმადური საქართველოსთვის“...

და, კვლავაც, ყოველივე უნდა დაიწეროს მხოლოდ სინამდვილის, მხოლოდ სიმართლის აღდგინებით; მაშასადამე, კვლავაც მხოლოდ ჭეშმარიტი ისტორიის მორალური პოსტულატით — Sine ira et studio — „გაანჩხლებისა და მიკერძების გარეშე“.

ასე „გაუცხოებულ ქართველთა“ სიმრავლემ წიგნთა სერია მოითხოვა. წინამდებარე პირველმა წიგნმა მე-4—17 საუკუნეები მოიცვა; მომდევნო საუკუნეებს კიდევ ორი ტომი მიეძღვნება...

. . . . . .

სამშობლო ქვეყნიდან ძალით მოკვეთილ, თუ თვითმოკვეთილ ქართველს ერთი მუჭა მშობლიური მიწა მიჰქონდა, ყელზე შესკვნილი. და ამ „ტრილოგიის“ მთავარი, ლაიტმოტივური სიმბოლიკაც ეს უნდა იყოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იწონიდა ასე მუჭა-მუჭად საქართველო-
დან გატანილი საქართველო, განკვეთილ-გაცალკევებული
ქართველისთვის პიროვნულად, თუ თვითონ საქართველოსთვის საერ-
თოდ?!

რას იწონიდა, რას-მეთქი (და არა — რამდენს)?!

და ამის განსჯა და „აწონვა“ იმის კვალობაზე, თუ როგორ მკერდზე ეკიდა, როგორ გულთან ერთად თრთოდა და, ბოლოს იმ მკერდთან და გულთან ერთად მიწდებოდა ის განკვეთილი მუჭა-საქართველო...

თბილისი,

1994 წლის 27 სექტემბერი.

ბაკურ იბერიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა...

რომელ წელს?

არავინ იცის: ისტორიამ არ შემოგვინახა.

მხოლოდ საუკუნე დარჩა ცნობილი მისი დაბადებისა — ქრისტეს შობითგან IV საუკუნე.

უფრო „დაზუსტებით“ და „ჩაციებით“: შესაძლოა, დაბადებულიყო ნინო განმანათლებლის მობრძანებიდან და ქართლის მოქცევიდან 20 ან 30 წლის შემდგომ.

მცხეთის ტახტზეც ბაქარი უნდა მჯდარიყო, მეორე ქრისტიანი მეფე (IV საუკუნის შუა წლები), შემდგომად მამამისის მირიანისა.

ხოლო ყრმობა მისი, იქნებ, მესამე ქრისტიანი ქართველი გვირგვინოსნის ზეობას (IV საუკუნის 60-იანი წლები) დამთხვეოდა, ჭაბუკობა კი — მომდევნო ხელმწიფის, საურმაგ მეორის მეფობას (IV საუკუნის 70-იანი წლები).

ყოველივე აწ თქმული მხოლოდ უწყაროო ვარაუდია, რაკიღა ამ ქართველი კაცის ვინაობასა და ცხოვრებაზე ქართულ საისტორიო წყაროებში კრინტიც არსად არაა დაძრული.

რაც თქმულა, მხოლოდ რომაულ-ბიზანტიური წყაროებით და ცნობებით თქმულა.

მერე, თქმულა მრავალმნიშვნელოვნად, მრავლისმეტყველად.

თქმულა, რაკიღა ამ ქართველ კაცს სწორედ იქ, საქართველოს გარეთ, უცხო, რომაულ-ბიზანტიურ ნიადაგზე უთქვამს და უმოღვაწნია თავისი დიდი სიტყვით და ღვაწლით.

და, უწოდებდნენ მას რომაელ-ბერძენ-ბიზანტიელნი:

სახელად (nomen) — ბ ა კ უ რ (იქნებ, ქართულად — ბაქარ?!),

ზედსახელად (cognomen) — ი ბ ე რ ი ე ლ ი.

წარმომავლობით, თითქოს, მეფური გვარეულობიდან უნდა ყოფილიყო; არა და — მაღალი ქართულ-იბერიული არისტოკრატიის, „საზეპურო ერისაგანი“ მაინც.

არც ის ჩანს, როდის, რისთვის და რაის მიზეზით წავიდა (თუ გადაიხვეწა) იგი რომაული იმპერიის წიაღში.

თუმცა რომაული იმპერია მაშინ საქართველოსაც თავის საქვეშევრდომო სამყაროდ მიიჩნევდა. უკვე ოთხასი წელიწადი გასულიყო მცხეთაში

რომაელთა (გნეუს პომპეუსი) „მოსვლიდან“ და მას შემდეგ ერქვა იბერია—ქართლს „socius et amicus populi Romani“ („მოკავშირე და მეგობარი რომაელი ხალხისა“) — და მას შემდეგ ამ „მოკავშირე-მეგობრული“ ულლის სიმძიმეც და სიმსუბუქეც ისე იცვლებოდა, როგორც ყეობდა, როგორც წყლის ავარდნ-დავარდნა მტკვრის კალაპოტში.

რომი მსოფლიოზე ბატონობას არ იშლიდა, აგერ ექვსასი წელიწადი კიდევაც ბატონობდა, მაგრამ ახლა, მე-4 საუკუნეში უკვე დიდი კრიზისი დასდგომოდა მარსის ნაშიერ-ნაგრამთა და მგლის ნაძუძურთა მსოფლიო მეუფებას.

ატლანტიიდან მესოპოტამიამდე გადაჭიმულ ამ უზარმაზარ კოსმოპოლისს ჯერ ისევ „რომის იმპერია“ ერქვა, მაგრამ თვითონ ამ მსოფლიოს მპყრობელ ქალაქს, „მარადიულ რომს“ (Roma aeterna) უკვე საბედისწეროდ კრიჭაში ჩასდგომოდა ახლადშობილი მეორე საიმპერიო სატახტო, „მეორე რომი“, სახელად — „კონსტანტინეპოლის“, სწორედ დიდი კონსტანტინესგან აშენებულ-დაარსებული, ათასწლოვანი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის საძირკვლებზე, ევროპა-აზიის გზაკვეთილზე, გინა— „ოქროს ხიდზე“, გინა — „ოქროს ჭიპზე“.

კონსტანტინოპოლი — ქრისტიანულად ნაკურთხი პირველი სატახტო მსოფლიოში.

მის წინარე ნიშანსვეტად — თვითონ კონსტანტინესგან სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება, ანუ სრულიად იმპერიის ქრისტიანად „მოქცევა“.

(და, იმ ჟამსვე — „მოქცევაი ქართლისაი“)...

მალე მოხდება იმპერიის ორად გაყოფაც — დასავლეთ და აღმოსავლეთ, რომისა და კონსტანტინოპოლის, — ანუ „ბიზანტიის“ — იმპერიებად.

მაგრამ მანამდე, ჯერ კიდევ ერთიანი იმპერიის ტახტზე ზის იმპერატორი კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს ი, ძე და მემკვიდრე კონსტანტინე დიდისა.

. . . . . .

361 წლის აღრიან გაზაფხულზე რომის იმპერატორი კონსტანციუსი სპარსეთის დასალაშქრავად ემზადებოდა.

წინასწრობილად იმპერატორმა ქართლის მეფეს, მირდატ მეხუთეს დიდი ძღვენი გამოუგზავნა კონსტანტინოპოლიდან. ამით მას სურდა, „შმაგად მეომარ“ ქართველთაგან ან დახმარება ეშოვნა, ან საშიშროება მაინც არ შექმნოდა სპარსეთს მოლაშქრე მის ლეგიონებს.

მაგრამ კონსტანციუსს აღმოსავლური ლაშქრობა იმპერიის შიგნით ატესილმა ბრძოლებმა ჩაუშალა. მას დიდი ბრძოლა ელოდა საიმპერატორო ტახტის ახალ მაძიებელთან — ი უ ლ ი ა ნ ე ს თ ა ნ. გადამწყვეტ

შეტაკებამდე კონსტანციუსს სიკვდილმა უსწრო და იულიანეც სისხლდა-ულვრელად ავიდა ტახტზე.

იულიანე იყო დიდად ნიჭიერი და განათლებული ხელმწიფე-იმპერა-ტორი, თუმცა ქრისტიანობის დიდი მოძულე და მისი მეცნიერული გახმ-ქიქებელი. ამისთვის ქრისტიანებმა იულიანეს უწოდეს „განდგომილი" („აპოსტატეს").

იულიანე „განდგომილსაც" დიდი მეგობრობა და „სიყვარული" ჰქონია ქართველებთან.

ისედაც, მაშინ ბევრი ქართველთაგანი ცხოვრობდა კონსტანტინოპოლ-ში. ისინი აქ სწავლობდნენ, თვითონაც ასწავლიდნენ, მეცნიერებაში მეც-ნიერობდნენ, პოლიტიკაში პოლიტიკოსობდნენ.

ერთი სიტყვით — „ბიზანტიელი ქართველები" თავგამოდებით სჭედ-დნენ ბიზანტიის ისტორიას.

ამ დროს რომ-ბიზანტიის იმპერიაში ძალზე გავრცელებული და გახმაურებული იყო ფილოსოფია ახალპლატონეთისა („ნეოპლატონიზმი"), რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა და ებრძოდა ქრისტიანიზმს. თვითონ იმპერატორი იულიანე, რომელიც ქრისტიანობას „მკვდრებისა და კუბოების რელიგიას" უწოდებდა, გამოჩენილი ახალპლატონელი გახლ-დათ.

მაგრამ იულიანეს ხანაში ყველაზე დიდი ფილოსოფოს-ახალპლატო-ნელი, რიტორი და მასწავლებელი იყო ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი.

ლიბანიოსს მრავალი მიმდევარი, მოსწავლე (მათ შორის თვითონ კეისარ-იმპერატორი იულიანე) და მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მათგან ყველაზე ახლობელი, საყვარელი და სათაყვანო ყოფილა ბ ა კ ურ ი ბ ე-რ ი ე ლ ი — თვითონ გამოჩენილი ფილოსოფოსი, დიდად დახვეწილი რი-ტორი და, მასთან, უმამაცესი და უნიჭიერესი სტრატეგოსი.

ლიბანიოსის მრავალ თხზულებათაგან ბევრი სწორედ ბაკურ იბე-რიელის ნიჭს, ზნეობას, სიმშვენიერესა და სიქველეს ეძღვნება.

მაშ, ყური მიაპყარ, კეთილო მკითხველო, ლიბანიოს ბერძენს, რას მოგვითხრობს იგი ბაკურ ქართველის სადიდებლად:

— უამრავი მეხოტბე ჰყავს ბაკურს: ზოგი მის სამართლიანობას („დიკაიოსიუნე") აქებს, ზოგი ზომიერებასა („სოფროსიუნე") და თავ-დაჭერილობას („ეპითვიმიონ არხეინ მალლონ"), სხვები მისი სიბრძნით („სოფია") აღტაცებულან, სხვებიც კიდევ საომარ ველზე შემმართებლო-ბით და საზრიანობით. მაგრამ მე თვითონ, ლიბანიოსს, ბაკურ იბე-რიელის უამრავ ღირსებათაგან ის მომწონს, რომ იგი გასაოცარი სწო-რუპოვრობით ფლობს ლოგოსებს (მაშასადამე, რიტორიკულ ხელოვნე-ბას). სწორედ ამისთვის ერთადერთ ბაკურ ქართველს აქვს უფლება, რა დროსაც სურს შემოვიდეს ჩემთან, ლიბანიოსთან, მომეხვიოს, ლოყები

დამიკოცნოს, მთელი ღამეები ჩემს გვერდით გაატაროს და საყვარელ ლოგოსებზე მესაუბროს.

— შენ, ბაკურ იბერიელო, ხარ სიბრძნის მდელო („სოფიას ლეიმონ"), ხოლო ჩვენ იმ მდელოზე აღმოცენებულ სიბრძნის ყვავილებს ვკრეფდით ყოველთვის.

— გაოცებული ვართ შენის ნიჭით!

— უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს ქებანი შენი საოცარი ნიჭისადმი!

— შენ, საოცარო ქართველო, არანაკლები ვაჟკაცობით მბრძანებლობ საკუთარ ვნებებზე, ვიდრე მბრძანებლობ შენს მეომრებზე!

— საოცარია შენი სიბრძნე არა მარტო აქ — რიტორიკისა და ფილოსოფიის ასპარეზზე, არამედ იქ — საომარ თალპიონზე!

— არასოდეს შენს გმირულ სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში უსაშინელესი საფრთხის წინაშეც!

— კაცთაგან ვერავინ შეედრება სწორუპოვარი ბაკურ იბერიელის სულისა და სხეულის ბრწყინვალებას!

. . . . . .

კიდევ უფრო გაფართოებულა და განმტკიცებულა საუკუნეთა წინათ გაჩაღებული კულტურული ურთიერთობანი ბერძენთა და ქართველთა შორის. გამოჩენილ ბერძენ-ბიზანტიელ მოაზროვნეებს საქართველო ისეთივე მაღალი განსწავლულობის სამშობლოდ მიაჩნდათ, როგორც რომი და ბიზანტია. აბა, ახლა ყური მივაპყროთ ამნაირ ამბავს:

ლიბანიოს ბერძნისა და ბაკურ ქართველის ურთიერთობათა ჟამს იმპერიაში ცხოვრობდა, აგრეთვე, დიდად სახელგანსმენილი ფილოსოფოსი, რიტორი და პოლიტიკოსი — თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი. იგი იყო შვილი ასევე განთქმული ფილოსოფოსის — ე ვ ვ ე ნ ი ო ს ი ს ა. თემისტიოსი მუდამ დიდის პატივისცემით იყო გარემოსილი კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე. გახლდათ სენატორი, პროკონსული, დიპლომატიურ უწყებათა მეთაური და, ბოლოს, თვით კონსტანტინოპოლის პრეფექტი (გინა—ქალაქის თავი). მაგრამ უწინარესად ყოვლისა მას იცნობდნენ ვითარცა დიდ ფილოსოფოსს, არისტოტელესა და პლატონის მიმდევარს (მათ ფილოსოფიათა შერიგებას ცდილობდა), ბრწყინვალე რიტორსა და გრამატიკოსს, მაღალგემოვნებიან ესთეტსა და მაღალსულიერ მორალისტს. ბევრი მოწაფე აღეზარდა თემისტიოსს; ბევრი მის წაქეზებით, შუამდგომლობითა და მფარველობით დაუფლებია მეცნიერება-ხელოვნების ნათელ მწვერვალებს. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველასთვის, ვისაც „მუზათა ტაძარში" შესვლა და განათვლა მოსწყურებოდა.

და აი, ერთი ყმაწვილი კაცი წერილს სწერს თემისტიოსს: შენი დიდი სიკეთისა და მფარველობის წყალობით ბევრი ზიარებულა ფილოსოფიურ მეცნიერებასა და რიტორიკულ ხელოვნებას; ამიტომ, ვფიქრობ, და გთხოვ, მიშუამდგომლო და სასწავლებლად მომაწყო კონსტანტინოპოლის უმაღლეს ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაშიო.

ხოლო, თემისტიოსი ასე პასუხობს უმაღლესი განათლების მაძიებელ ყმაწვილს:

— მეცნიერებისა და ხელოვნების დასაუფლებლად აუცილებელი არ გახლავთ მაინცა და მაინც სატახტო ქალაქში ყოფნა და სწავლა; სხვაგანაც არის „მუზათა ტაძრები". თვითონ მე, ჩემო კარგო, ახალგაზრდავ, კონსტანტინოპოლში როდი მისწავლია. მე მეცნიერება-ხელოვნების ნაყოფნი მოვსწყვიტე ევქსინის პონტის დასალიერს, კოლხეთში, ქალაქ ფასისში, მდინარე ფასისის პირას, სადაც ოდესღაც შეცურდა და დაივანა სომალდმა „არგომ", საბერძნეთიდან კოლხეთს მიმავალი გმირებით დატვირთულმა. სწორედ იქ გახლავთ დიდი, ბრწყინვალე „მუზათა ტაძარი", იქ სწავლობდა ჯერ მამაჩემი ევგენიოსი, გამოჩენილი მეცნიერი და ფილოსოფოსი, მერე მეც იქვე გამგზავნა სასწავლებლად სულკურთხეულმა მამაჩემმა. ალბათ, მიხვდები, რას ნიშნავს რჩევა ერთდროულად მამისა და ფილოსოფოსისა (ამ შემთხვევაში ხომ ერთმანეთს ერწყმის უმაღლესი კეთილმოსურნეობა და უმართებულესი საზრიანობა). იქნება შენ. ან ვინმემ, დაჰგმოს მამაჩემი იმისათვის, რომ მან თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა — კოლხეთის მუზათა ტაძარში, უფრო მეტად დამგმოთ მე, რომელიც მეცნიერება-ხელოვნებათა საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული, და ზიარებული არა კონსტანტინოპოლში, არამედ იქვე, ისევ და ისევ ფასისის მუზათა ტაძარში!..

ეს კი აღარ ვიცით, როგორ შეისმინა იმ ყმაწვილმა კაცმა დიდი მოაზროვნის ეს შესანიშნავი შეგონებანი.

. . . . . .

იმპერატორი იულიანე დიდ ფასს სდებდა ქართველებთან კულტურულ ურთიერთობასაც და პოლიტიკურ კავშირ-მეგობრობასაც.

იგი სპარსეთის წინააღმდეგ დიდ ლაშქრობას ამზადებდა.

ქართულ ჯარს მონაწილეობა უნდა მიეღო სპარსეთის დალაშქვრაში.

ლაზეთიდან ერთი ლეგიონი გაეშურა, ვ ე ტ რ ა ნ ი ო ნ ი ს სარდლობით.

ლაშქრობა დაიწყო 363 წელს.

დასაწყისი წარიმართა დიდი წარმატებებით: იულიანემ გადალახა ევფრატი და დაიპყრო მთელი ჩრდილოეთი მესოპოტამია.

სპარსეთის სატახტო ქტესიფონი შიშმა მოიცვა.

სპარსთა ხელმწიფემ, შაბურ მეორემ კეისრის კარავში ელჩი აფრინა და ზავი ითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულიანემ, — ვითარცა ერთ დროს ალექსანდრე მაკედონელმა — ზავზე უარი შეუთვალა მოპირდაპირეს. მას სურდა სპარსელთა მხედრობას გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვედროდა გავგამელას ველზე, სადაც დიდმა მაკედონელმა 694 წლის წინათ (ბვ. წ. 331) გაანადგურა დარიოს III კოდომანის ჯარები.

მაგრამ რომაული ლეგიონების გაწრთვნილობა, ქართველთა თავზეხელაღებული შემმართებლობა და თვითონ იმპერატორის პირადი სიმამაცე საკმარისი არ აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ბადალი ხმალთაკვეთების გასამართავად. შაბურმა დიდძალ მხედრობას მოუყარა თავი ტიგროსის პირას. გამორჩევით საშიში გახდა სპარსულ ცხენოსნობასთან ჭიდილი. რომაელებმა ზურგი აქციეს ბრძოლის ველს. ასირიული მზის მცხუნვარება, საჭმელ-სასმელის უკმარისობა და სპარსელ ცხენოსანთა განუწყვეტელი თავდასხმები აჩანაგებდა რომაულ კოჰორტებს.

ბოლოს, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ივნისის ერთ პაპანაქება დღეს, იულიანეს დაოსებულმა ლეგიონებმა მიაღწიეს ტყით დაფარულ რომელიღაც მაღლობს.

მუსლი ჩაიკრიფეს.

და უეცრად გარს შემოერტყნენ ჩასაფრებული სპარსელები.

იულიანემ არც ამ უმძიმეს ჟამს ულალატა ჩვეულ მეომრულ სივაჟკაცეს და სიკვდილს გულგრილად შეება. იგი დაუცხრომლად ურბენდა თანამებრძოლთა რიგებს, ამხნევებდა სულიერად დაცემულთ, აქებდა სულით გაუტეხელთ. ის ყველგან იყო, სადაც კი მისიანებს მისჭირდებოდათ.

გასაოცარი თავზეხელაღებულობით იბრძოდნენ ლაზები.

შორიდან მძლავრად ნატყორცნმა ისარმა ძირს დასცა ლაზთა მამაცი სარდალი ვეტრანიონი.

სიცხით გათანგულ იმპერატორს აბჯარი გაეძრო და ისე შიშვლად, მახვილითა და დროშით ხელში, ამხედრებული ეტევებოდა მტერს...

უცებ მას გვერდში მოხვდა მტრისგან ძალუმად ნატყორცნი სათხედი. კეისარი ცხენიდან გადმოეშვა.

მისმა დაცემამ აღანთო რომაელთა საომარი გზნება.

სასიკვდილოდ დაჭრილი იმპერატორი კვლავ ამხნევებდა თავისიანებს.

სპარსელები უკუიქცნენ.

იულიანე კი სავსებით მშვიდად შეხვდა სიკვდილს.

იგი სიკვდილ-სიცოცხლის განსაზღვრელზეც „არ იშლიდა“ ფილოსო-

ფოსობას: მე ჩემს სიცოცხლეს ვუბრუნებ შემოქმედს, ვითარცა ხესსა, რომელსაც კეთილსინდისიერად ვხარჯავდიო.

ქრისტიანები კი გაიძახდნენ, რომ „განდგომილმა ანტიქრისტემ ესა აღსასრულისასა ეს წამოიძახა:

„შენ დამამარცხე, გალილეველო!“

. . . . . .

სპარსეთის მეფე შაბურ მეორე ჩრდილოეთისკენ შემობრუნდა.

სომხეთი მას დამორჩილებული და დამონებული ჰყავდა. ახლა ქართლის დასაპყრობად შესდგომოდა სამზადისს.

იდგა 368 წელი.

ქართლის ტახტზე იჯდა მეფე საურმაგ მეორე.

ხოლო კონსტანტინოპოლის ტახტზე — საურმაგის „მოკავშირე და მეგობარი“ იმპერატორი ვალენტი.

მეფე შაბურ მეორე უზარმაზარი მხედრობით შემოესია ქართლს.

ქართველებმა ბრძოლა წააგეს.

რომაელებს „მოკავშირეთათვის“ მოკავშირეობის გაწევა არც გახსენებიათ.

საურმაგმა ტახტი დათმო.

შაბურმა ქართლის ტახტზე დასვა საურმაგის ნათესავი ვარაზ-ბაკური და, ერთგულების საგულვებლად, მისი შვილი მძევლად წაიყვანა ქტესიფონს.

საურმაგს ბრძოლაზე ხელი არ აუღია. იგი რომის კეისართან, ვალენტისთან ჩავიდა და თორმეტი ლეგიონი გამოართვა.

საურმაგი მცხეთას მოადგა რომაული ჯარებით.

ვარაზ-ბაკური პირადად გაეგება მეტოქეს, ნათესავური სიახლოვე მოაგონა და იბერიის სამეფოს შუაზე გაყოფა შესთავაზა.

საურმაგიც დათანხმდა.

ქართლი, ქართველთა ურთიერთ შეჭლეტის გარეშე ორად გაიყო. საზღვრად მტკვარი გამოცხადდა. მდინარის მარჯვენა მხარე საურმაგს ერგო, მარცხენა — ვარაზ-ბაკურს.

ქართლის ამნაირი „სტატუსი“ კონსტანტინოპოლმა მოიწონა, ხოლო ქტესიფონმა დაიწუნა.

შაბური ვალენტის უთვლიდა: იბერიაში ორმეფობა უნდა გაუქმდეს და ერთიანი ტახტი ისევ ვარაზ-ბაკურს უნდა დაუბრუნდესო, მაგრამ რომ-კონსტანტინოპოლის იმპერატორი ცივ უარზე იდგა.

ამასობაში ჩრდილოეთიდან გერმანელ ტომთა იერიშები გამძლავრდა რომის იმპერიის სამანებზე.

. . . . . .

377 წელს გერმანელებმა დუნაი გადალახეს და თრაკიაში შეიჭრნენ.

იმპერატორმა ვალენტიმ სახელდახელო ჯარი აფრინა მრავალრიცხოვანი სარდლის, გვარდიის უფროსის, ბ უ ზ მ ი რ ი ბ ე რ ი ე ლ ი ს მეთაურობით.

ქართველი სტრატეგოსი ქალაქ ტიბალტუმთან შეება ბარბაროსთა უზარმაზარ მხედრობას.

ბუზმირ იბერიელის საარაკო სიმამაცემ გააოცა მტერიც და მოყვარეც. მისი ჯარი გერმანელთა ურდომ ალყაში მოაქცია. დიდხანს იბრძოდა ბუზმირი. ბევრი გერმანელი დააწვინა და დაამიწა მისმა მახვილმა.

თვითონ კი იდგა და იბრძოდა მტრის იარაღისგან შეუღწეველი.

გერმანელები შორიდან უშენდნენ ისრისა და ხელშუბის მერეხს.

ბოლოს, სისხლდაცლილი და ჯანგავარდნილი დაეცა ქართველი სარდალი.

ამის შემდგომ გერმანელები უფრო შემტევად მოითხოვდნენ კეისარ ვალენტისგან იმპერიის საზღვრებში დასახლებას და სამაგიეროდ სამხედრო სამსახურისა და ქვეშევრდომობის პირობას სდებდნენ.

ვალენტი გაბრიყვდა და ნახევარი მილიონი გერმანელი დუნაის სამხრეთით გადაატარა.

საბედისწერო შეტაკება გარდუვალი შეიქნა.

ბრძოლა მოხდა ქალაქ ადრიანოპოლთან, 378 წლის 9 აგვისტოს.

გერმანელთა ლაშქარს სარდლობდა მამაცი და ნიჭიერი ფრიდიგერნი.

რომაულ-ბიზანტიურ არმიებს სათავეში ჩასდგომოდა თვითონ იმპერატორი ვალენტი.

სათადარიგო ჯარებს სარდლობდა ბაკურ იბერიელი.

ომის ღმერთი რომაელებს შემოსწყრომოდა: გერმანელთა და სარმატთა მრავალრიცხოვანმა კავალერიამ ბრძოლის დასაწყისშივე გაანადგურა ვალენტის ცხენოსნები. ფლანგებიდან გაშიშვლებული ლეგიონები ყოველის მხრით ისრების, შუბებისა და სათხედების სეტყვაში მოექცნენ.

ბაკურ იბერიელმაც მარცხენა ფრთიდან ამაოდ დასძრა მარქაფი ჯარი.

რომაული ჯარები სრულიად ამოწყდნენ.

ბრძოლაში დაიღუპა ორმოცამდე სარდალი.

მოკლულთა შორის იყო თვითონ იმპერატორი ვალენტი.

მცირერიცხოვან გადარჩენილთა რაზმები სრული ამოწყვეტისგან ძლივს დაიხსნა ბაკურ იბერიელმა.

გერმანელთა მხედრობა კონსტანტინოპოლს მიაყენა ფრიდიგერნმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურ იბერიელი სახელდახელოდ შეყრილი ახალი ლაშქრით დაუხვდა ქალაქის მთავარ კარიბჭესთან.

კარგა ხანს უცქირა გერმანელმა ქართველს შორიდან.

ბოლოს ცხენი შეაბრუნა და ბოღმიანად ჩაილაპარაკა:

„მე შიშველ კედლებს არ ვებრძვი!“

(მთავარი მაინც ის იყო, რომ იმ „შიშველ კედელთა“ წინ „შეუღწეველ კედლად“ ქართველი სარდლის მკერდი მოჩანდა).

გერმანელები კონსტანტინოპოლს გაშორდნენ.

ადრიანოპოლთან დატრიალებული ტრაგედია ლიბანიოსის სამგლოვიარო სიტყვით დასრულდა.

ლიბანიოსი ისევ დიდი სიყვარულით და თაყვანისცემით იხსენიებდა ბაკურ იბერიელს, ლოგოსის დიდოსტატსა და საომარ ველთა უპირველეს გმირს.

მაგრამ კონსტანტინოპოლის სასახლის კარი გერმანელებთან ომის წაგებას ბაკურ იბერიელს აბრალებდა. ქართველმა სარდალმა უდროო დროს შეუტია და საქმეც ამან გააფუჭაო.

რა გაეწყობოდა! უცხოობაში მყოფ ქართველებს იღბლად მოსდგამდათ: თუ გაიმარჯვებდნენ, მადლობის მთქმელი არავინ იყო, ხოლო თუ მარცხი იქნებოდა, მაშინვე მარცხიან ხელს ქართველებს შეახოცდნენ...

ვალენტის დაღუპვით სპარსეთის მეფემ ვერ ისარგებლა და საქართველოს საქმეებში ვერ ჩაერია, რადგან, ჯერ ერთი — კონსტანტინოპოლის ტახტზე ძლიერი ხელმწიფე დაჯდა, მეორეც — თვითონ შაბურ მეორე სულ მალე მოკვდა.

კონსტანტინოპოლის ახალი კეისარი იყო თეოდოსი პირველი, წარმომავლობით ესპანელი, ნიჭიერი, მამაცი და ძლიერი ნების გვირგვინოსანი. ეს იყო რომის უკანასკნელი დიდი იმპერატორი.

ხოლო სპარსეთში სუსტი მეფენი მიჰყვნენ ზედიზედ — არდაშირ მეორე და შაბურ მესამე. ორივე შეთქმულებმა მოკლეს.

ქართველებსა და კონსტანტინოპოლს შორის უფრო განმტკიცდა მეგობრობა და სიახლოვე.

ამ მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია არც იმას, რომ სწორედ თეოდოსის გამეფების ჟამს ჭანების ქართულმა ტომმა მორიგი მაოხარი ლაშქრობა მოაწყო კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში.

თეოდოსის დროს კვლავაც უფრორე აბრწყინდა ვარსკვლავი ბაკურ იბერიელისა.

392 წელს დასავლეთ რომის იმპერია ხელთ იგდო ევგენიოსმა — რიტორმა და კვესტორმა, დიდად ნიჭიერმა და განსწავლულმა კაცმა. ევგენიოსმა თეოდოსის საჩუქრები გამოუგზავნა და დასავლეთის იმპერატორობაზე დასტური სთხოვა. თეოდოსიმ არაფერი არ უპასუხა. ეს უკვე ომის ნიშანი იყო და დაიწყო კიდეც.

ბრძოლა გაიმართა 394 წელს, ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ალეი-ლეასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა.

თეოდოსის სარდალთაგან საკვირველი თავზეხელაღებულობით იბრძოდა ბაკურ იბერიელი.

ღამემ გაჰყარა მოპირდაპირენი. მეორე დღეს ისევ ეკვეთნენ ერთიმეორეს. მძლავრი ქარბორბალაც ამოვარდა. დიდის მხნეობით იბრძოდნენ თეოდოსის მეომრები.

მაგრამ მაინც გამორჩეული იყო ბაკურ იბერიელი — „კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულერი და ხორციელი სიმშვენიერით; ვინც კი მის ახლო მოხვდებოდა, ზოგს შუბის ძგერებით დაანარცხებდა, ზოგს ისრით განგმირავდა, ზოგსაც მახვილით გააპობდა. მან გაარღვია მის წინ მჭიდროდ შეკრულ-შეერთებული მტრის წყებანი, მისგანვე შემდრკალ და უკუქცეულ მოპირდაპირის შუაგულში შეიჭრა, დახერგილ გვამებს ზედ გადაევლო და თვითონ უზურპატორს გულდაგულ მიეჭრა“.

მახვილი მოიქნია ევგენიოსმა.

მახვილითვე ჩაუჭრა ბაკურ იბერიელმა. ხელდახელ ეძგერა და ცხენიდან დაითრია.

მისი მეომრებიც წამოეშველნენ, ევგენიოსს ხელები შეუკრეს და წინ გაიგდეს.

დამარცხებულებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და ფრანკი ბელადის, არბოგასტის მეთაურობით, მახლობელ მთებს შეეხიზნენ. მალე არბოგასტმა მახვილი დაიკრა გულში.

შებოჭილი ევგენიოსი ბაკურ იბერიელმა თეოდოსის წარუდგინა.

ევგენიოსი იმპერატორის წინ მუხლებზე დაეცა.

მაშინვე კარისკაცებმა მახვილები გაიძრეს და დაჩოქილი კაცი აჰკუწეს.

ბაკური შეაბრწუნა და აღაშფოთა მონური სულის მქონე ადამიანთა ასეთმა მხეცობამ.

ამის შემდგომ ბაკურ იბერიელი კეისარმა თეოდოსიმ პალესტინაში მდგარი ლეგიონების მთავარსარდლად განაწესა.

შესაძლოა, აქ — პალესტინაში აღესრულა სიცოცხლე ბაკურ იბერიელისა, მაშინდელ მსოფლიოში სახელგანსმენილი რიტორი-ფილოსოფოსისა, უბრძენესი პოლიტიკოსისა, უმამაცესი ჯარისკაცისა და მხედართმთავრისა.

შესაძლოა, სწორედ ამ ბაკურის სახელი იხსენიებოდეს და იგულისხმებოდეს მეხუთე საუკუნის იმ ქართულ წარწერაში რომ აღმოჩნდა იერუსალიმის ახლოს, პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მიერ აშენებულ მონასტერში...

კვლავ ვიმეორებთ: არავინ იცის მისი ყრმობისა და ჭაბუკობისა, საიდან იყო — იბერია-ქართლის რომელ კუთხიდან, ან რომელ ოჯახიდან.

არც ის ვიცით, რა სურვილებით თუ იძულებით დაეტოვებინა შენელი ბელი მხარე, საქართველო — შუბლი დედამიწისა, სანაცვლოდ „ღრუბლიწის ჭიპისა“.

ვიცით მხოლოდ, რომ იყო ქართველი,
იყო „სიბრძნის მდელო“,
იყო „უცხო თესლთა“ ისტორიის მჭედელი,
და — უცხო მიწაში დამიწებული.

პეტრე იბერიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხონებული პეტრეს სამშობლო იყო სახელოვანი ქვეყანა იბერიელებისა, რომლებიც მზის აღმოსავალთან ცხოვრობენ.

იოანე რუფუსი.

უფალმა მას უწოდა პეტრე, ესე იგი კლდე; ამიტომ უთხრა მან: და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაისანი, და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰხსნას ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.

იოანე რუფუსთან:

მათე, 16, 18—19.

იგი დაიბადა... ქრისტეს შობითგან V საუკუნის დამდეგს.
დაიბადა უფლისწულად — ძე ქართლის მეფე ბუზმარისა.
სახელი ახლადშობილისა — ჯერჯერობით (!) მ ურ ვ ა ნ ო ს.

. . . . . .

მაშ, მცხეთის ტახტზე იჯდა ბუზმარი.
კონსტანტინოპოლის ტახტზე — თეოდოსი მეორე.
ქტესიფონის ტახტზე — იეზდიგერდ პირველი.
იმპერატორი თეოდოსი მეორე ოცი წლისა შექმნილიყო. დამ — პულხერიამ, იგი დააქორწინა ათენელი ფილოსოფოსის, ლეონტის ასულზე, ლამაზ ათენაიდაზე, რომელმაც ნათლობის შემდგომ მიიღო სახელი ევდოკია.

სხეულებრივი სიმშვენიერის გარდა, ევდოკია იყო დიდად განათლებული, ნიჭიერი, და პოეტურ „ცდუნებას“ აყოლილი ქალი.

იმპერატორი კი მხოლოდ ლოცვაში, კალიგრაფიასა და ნადირობაში „იჩენდა ნიჭიერებას“.

ამიტომ, რაკი გონებამცირე იმპერატორს მეტი საშველი არ ჰქონდა — „აბეზარი“ საქვეყნო-სახელმწიფო საქმენი ისევ ჭკვიანი ქალებისთვის უნდა მიენდო.

ევდოკია და პულხერია ადგენდნენ სახელმწიფო საბუთებს, ხოლო თეოდოსი წაუკითხავად ურთავდა მათ თავის სანაქებო „ლამაზ ხელწერას“.

ამ ორი გონიერი ქალის მეოხებით მოხერხდა სწორედ მაშინ ძველი, მეგობრული ურთიერთობის განახლება საქართველოსთან.

მაგრამ არ ისვენებდა სპარსეთი. მეფე იეზდიგერდ პირველი შეშფოთებული იყო ქართველთა და რომაელ-ბიზანტიელთა კავშირ-მეგობრობით. იგი მცხეთაში ელჩობას ელჩობაზე აგზავნიდა და დაჟინებით მოითხოვდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გაწყვეტასა და სპარსეთთან მეგობრობის გაბმას. არა და, სპარსეთის ხელმწიფე დიდი ომით იმუქრებოდა.

ბუზმარი ორ ცეცხლშუა იწვოდა. არც ბიზანტიასთან ურთიერთობის დათმობა შეეძლო, არც სპარსეთთან სახიფათო ომის გაჩაღება სურდა. ორივე მხარეს ერთგულებას ჰპირდებოდა, მაგრამ რაკი რომსა და სპარსეთს შორის ომი მძვინვარებდა, ორივე მხარისადმი ერთგულების აღთქმა ორივე მხარისათვის საეჭვო და არასანდო ჩანდა.

განსაკუთრებით მძლავრობდა იეზდიგერდი. ერთ დღეს მან ბუზმარს გადაჭრით შემოუთვალა: თუ მართლა სპარსეთის მეგობრობა გსურს, მძევლად შენი შვილი გამომიგზავნეო.

მაშ, მძევლად ითხოვდნენ მურვანოსს, ქართველ უფლისწულს, რომელსაც უკვე, ყრმობითვე, ყურადღება მიეპყრო ნიჭით, ცოდნისა და სწავლულობის დიდი სიყვარულით. სწორედ ყრმობაშივე — „ვითარ მიეცა სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი, და გულისსმის-ყოფით აღმოიკითხავნ და იწურთონ დღე და ღამე: რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა, და მადლი ღვთისა იყო მას ზედა“.

ბუზმარ მეფე სპარსეთთან შერიგებას არ აპირებდა და შვილი მთებში გახიზნა და გადამალა.

თავის მხრივ, კონსტანტინოპოლის სასახლის კარიც ძალიან შეუშფოთებია ქართლისადმი სპარსთა მიმძლავრებას: ვაი თუ ბუზმარ მეფე ბოლოს და ბოლოს გატყდეს და ბრწყინვალე მეომრული ძალა, ქართველთა ჯარი სპარსთა ბანაკში აღმოჩნდესო. ამიტომ იმპერატორმა თეოდოსიმაც აფრინა ეჯიბნი მცხეთაში და ბუზმარს შეუთვალა, შენი შვილი მე გამომიგზავნე კონსტანტინოპოლშიო.

ამის შემდგომ მცხეთაში ელჩობა ელჩობას მოსდევდა — თუ ქტესიფონიდან, თუ კონსტანტინოპოლიდან.

ბოლოს, რაკი საშველი აღარ იყო, ქართულმა სამეფო კარმა გადაწყვიტა მურვანოსი ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიის კარზე გაეგზავნა.

თორმეტი წლის მურვანოსი კონსტანტინოპოლის სასახლეში მიიყვანეს. იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია დიდი პატივით შეხვდნენ ქართველ უფლისწულს, მკერდში ჩაიკრეს, ამბორჰყვეს და [illegible] მურვანოს შეეძლო თავი ეგრძნო, ვითარცა კონსტანტინოპოლის [illegible] გვინოსანთა შვილსა და ტახტის მემკვიდრეს.

საქრისტიანოს შუაგულში ცხოვრებამ უფრორე აღამაღლა მურვანოსის სულიერი „მოღვაწეობა: მარხვა ფრიადი, მღვიძარება უზომო, ლოცვა დაუცხრომელი, გლახაკთ-მოწყალება, სიმშვიდე, სიყვარული, სახიერება, მოთმინება და ყოველნივე ნაყოფნი სულისანი". სასახლის კარზე ყველას უკვირდა მისი საოცარი ნიჭიერება. ძალიან სწრაფად, სრულყოფილად დაეუფლა ბერძნულსა და ასირიულ ენებს. ბადალი არ მოეპოვებოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის განსწავლულობასა და განსჯაში, არცა სააქიმო-სამედიცინო ცოდნასა და ოსტატობაში.

მხოლოდ ერთ რამეში გამოიჩინა ღიდი „სისუსტე" ქართველმა უფლისწულმა: არ იქნა და არ შეიგუა კონსტანტინოპოლის „მოდური" ფრივოლური ცხოვრება, უხამსი ეროტიკა, ვულგარული ბოჰემა, თავაწყვეტილი ბაკქანალია, მასთან — მზაკვრობა, მლიქვნელობა, კბილ-მაამებლობა, გულბოროტობა, სიყალბე და ქვეგამხედვარობა. ვერ შერიგებოდა, რომ ქრისტიანული სამყაროს შუაგულში სულ სხვაღასხვა და ერთიმეორის გამომრიცხველნი იყვნენ „ლოგოს" (სიტყვა") და „ერგოს" (საქმე).

დაღიოდა კონსტანტინოპოლის სრა-სასახლეებში, ტაძრებსა და ქუჩა-ბანდებში ქართველი უფლისწული, რომელსაც საუფლისწულო ტანსაცმლის შიგნით თხის ბალნიანი ტყავი ემოსა.

ტანი მალე აიყარა, ტანად სოსანი გახდა, მაგრამ ფრიად გამხდარი და ფერგაცრცვნილი დარჩა. მიწის ფერი ედო და ზეცის სინატიფე. სხეულით მიწაზე დააბიჯებდა და სულით ზეცის მიღმა ილტვოდა.

ერთხელ, მისთვის ჩვეული ღამისთევის ჟამს, როცა კანდელში ზეთი დაიშრიტა, მსახური იხმო და ზეთის მოღება უბრძანა. მსახურმაც განაძლიერა კანდელი. მერე კი, როცა მურვანოსის საწყალობელ ფლასურ სამოსელსა და ნამარხულევ სახეს შეხედა, ნაღვლიანი გესლით ეს უთხრა:

„მეფის ძე ხარ და არა გსურის სამეფოთათვის, და ვითარცა მონაზონი იყოფები მშიერი კვირიაკით კვირიაკემდე".

ამ სიტყვებთან ერთად ერთი მსგეფსი გაატარა მურვანოსმა თავის სენაკში. შვიდი დღე-ღამე იდგა დაყუდებულ ლოცვად და მარხვად. შვიდი დღე-ღამე ხედავდა და ესაუბრებოდა ქრისტეს ზმანებას.

ჩვენ არ ვიცით, რა სიყვარულით უყვარდა პირმშვენიერ დედოფალს ქართველი ხელმწიფისშვილი, მაგრამ კონსტანტინოპოლში ყველამ იცოდა, რომ ევდოკიას ქვეყნად არვინ ჰყვარებია ისე ძლიერად, როგორც უყვარდა მურვანოსი, ძე ბუზმარ ქართველთა მეფისა.

შეიძლება, თვითონ კეისარ თეოდოსი მეორეს მხოლოდ საქართველოს ტახტის საალერსოდ სჭირდებოდა სიყვარული ქართველი უფლისწულისა, მაგრამ ქვეყანამ ისიც იცოდა, რომ კეისარ-იმპერატორი ერთ ახლობელს არ ეპყრობოდა ისე ალერსით, როგორც მურვანოსს, ძესა ბუზმარ ქართველთა მეფისასა.

კონსტანტინოპოლის ტახტზე მეოცნებე უამრავ „მემკვიდრეთაგან" ტახტთან ყველაზე ახლოს იდგა ის, ვინც სწორედ ტახტზე არ ოცნებობდა, და ესეც იყო ქართველი უფლისწული, ძე ბუზმარ ქართველთა მეფისა.

კეისრის უახლოეს და უერთგულეს კარისკაცთა შორის კიდევ იყო ერთი ქართველი კაცი — მ ი რ დ ა ტ ლ ა ზ ი, „შემკული ღვთისმოშიშობით და მორჩილობით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით".

მირდატ ლაზი მურვანოსის ნათლია იყო.

ორი ქართველი — ლაზი და იბერიელი — ყველაზე ახლოს იდგნენ კეისრის ტახტთან, მაგრამ არცერთ მათგანს, გასაოცრად იმა ქვეყნისა, არ სურდა არც ტახტ-გვირგვინი, არც სხვა რაიმე ამაოებით აღსავსე სიამენი მიწიერ-ამქვეყნიურნი.

ერთ დღეს მირდატი და მურვანოსი შეითქვნენ და კონსტანტინოპოლიდან — ამ „გაროსკიპებული ბაბილონიდან" — გაქცევა და იერუსალიმად წასვლა გადაწყვიტეს. კეისარმა თეოდოსიმ ეს შეიტყო, მურვანოსი დაიბარა და დიდხანს უჩიჩინა, როგორმე კონსტანტინოპოლიდან წასვლაზე ხელი აეღო. მას ეშინოდა, ვაითუ უფლისწულს რამე დაუშავდეს და ქართველთა სამეფო სასახლე მეგობრობის ნაცვლად მტრად გადაიკიდოო. მერე მცველნი დაუდგინა ორივეს, ლაზსაც და იბერიელსაც.

მაგრამ მაინც გაიპარნენ. ღამით, იდუმალ, ოქროს რქისა და ბოსფორის შესაყარში ნავი მოიხელთეს, ჩასხდნენ და თავი მისცეს ზღვასა და წყვდიადს. პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვა) გავიდნენ. რამდენიმე დღე-ღამე ებრძოდნენ ზღვას. გააღწიეს. აზიის მიწაზე შეღგეს ფეხი. რომელიღაც მცირე ქალაქად მივიდნენ. იქ უცხოურობით ეჭვი აღუძრეს ადგილობრივ ფილისტერებს. ამათაც ლტოლვილნი შეიპყრეს და დილეგში ჩაჰყარეს. „სუეტი ნათლისა მაინც წინაუძღოდათ მათ". იმ ღამით „იქმნა ძვრა და მეხის ტეხა, და ელვა ფრიადი". პანიკით მოცულ ქალაქს ტყვეებისათვის აღარ ცხელოდა და ამათაც თავს უშველეს.

ბოლოს, როგორც იქნა, კვლავ მრავალი ჭირთა ძლევის შემდეგ, ჩაალწიეს „წმიდა ქალაქად" — იერუსალიმში.

მათი პირველი მასპინძელი შეიქნა ვიღაც ბერი, სახელად პინინოს, რომელიც სამეფო გვარეულობისა ყოფილა, მერე ტახტსა და გვირგვინზე ზრუნვა მიუტოვებია, მეუღლესთან ერთად იერუსალიმს ჩამოსულა, თვი-

თონ ბერად აღკვეცილა, ცოლი მონაზვნად, და ორივეს ცალ-ცალკე ტაძრებიც აუშენებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღე პინინოსის სავანეში დაჰყვეს ქართველებმა. ბერე წავიდნენ, ეწვივნენ და თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავს. აქედან ზეთისხილის (ელეონის) მთის მონასტერში მივიდნენ და წარუდგნენ წინამძღვარ გერონტიოსს, რომელიც ცნობილი გამხდარიყო ქრისტესათვის ცრემლთა ღვრის განსაკუთრებული სიუხვით. და ამა ცრემლის მათხევარი გერონტიოსის ხელდასხმით აღიკვეცნენ ბერად ქართველნი.

აღიკვეცნენ და ახალი სახელებით მოინათლნენ:

მირდატს დაერქვა ი ო ა ნ ე.

მურვანოსს — პ ე ტ რ ე.

სამარაღეამო ისტორიაშიც დაივანეს ამ სახელებით: პეტრე იბერიელი ანუ პეტრე ქართველი და იოანე ლაზი ანუ იოანე ქართველი.

და იწყება პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მრავალმხრივი და დაუცხრომელი მოღვაწეობა. მათი „ღუაწლი და შრომანი გამოუთქმელ არიან“.

ჯერ, აღაშენეს მონასტერი თვით იერუსალიმში, სიონის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს, დავითის კოშკთან. მშენებლობის დროს ვიღაც ადგილობრივმა სამღვდელომ, რომელსაც იმავე ადგილზე რაღაც შენობის აშენება სდომებია, ჩხუბი აუტეხა ქართველებს. პეტრეს ხმა არ ამოუღია, ისე შევიდა სენაკში. ხოლო, იოანე, რომელიც „თავმდაბლობაში მოსეს ჰგავდა“, მოჩხუბარს მშვიდად არწმუნებდა მის უსამართლო ყიამყრალობაში. ის კაცი მაინც არ დადგა და იოანეს მთელის ძალით გაარტყა ყბაში. იოანემ ტკივილი შეჯამა, მუშები მიატოვა და პეტრეს განარტყამი ყბა აჩვენა. ორივემ ქრისტესმიერი შეგონება (თუ ერთ ლოყაში გაგარტყამენ, მეორეც უნდა მიუშვირო) გაიხსენა და ლოცვად დაიჩოქა.

მეორე დილით, ის ჩხუბის ამტეხი კაცი იმ ადგილზე, სადაც მან იოანეს სილა გაარტყა, მკვდარი იპოვნეს.

პეტრემ და იოანემ, როგორც კი იერუსალიმის ქართული მონასტერი დაასრულეს, მაშინვე იქვე ქსენონიც (სასტუმრო) ააშენეს თანამემამულე თუ უცხოელ მორწმუნეთათვის.

ამის შემდგომ კი გრძელდება პეტრე ქართველის გრანდიოზული საქმიანობა მშენებლობანი მთელს პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში.

პეტრე ქართველის ღვაწლმა, სიწმინდემ, სიბრძნემ, სიწრფოებამ და სიქველემ დაიპყრო იმდროინდელი მსოფლიო. ყველას, საქრისტიანოს და საწარმართოს, მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო, თვითონ პეტრე ცდილობდა მხოლოდ ჩრდილში მდგარიყო და სააშკარაო-სათაყვანო სარბიელზე სულაც არ გამოჩენილიყო. აშენებდა და თავის სახელს არ არქმევდა, კურნავდა და მხოლოდ იესო მაცხოვარს მიაწერდა, ჭირნახული

მოჰყავდა და თავისად არც იმას თვლიდა, წიგნებს წერდა და თავის ვინაობას არც წერილობითი ხელრთვით ამხელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთგან აღიბეჭდა მისი სახელი, მისგანვე აგებულ ქართულ ტაძარში, იერუსალიმის მახლობლად, და სახელი ესე არის მისი ყმაწვილ-ბიჭობისა — „მურვანოს“. დაწერილია მისი ხელმწიფე-მშობლის, „ბუზმარის“ გვერდით, უშინაგანეს სულიერ განცდათა აღბეჭდილობა გამოსჩანს ამ წარწერებიდან: მარადიული, ტკბილ-მწარე ხსოვნა და სიყვარული სამშობლოისა, იქ გატარებული ყრმობისა და ყმაწვილობისა.

ბერობაზე მაღლა არავითარი თანამდებობა არ სურვებია პეტრეს. მაგრამ იერუსალიმის პატრიარქმა ანასტასიმ ძალით, ხელფეხშებოჭილი, აკურთხა მღვღლად.

იმ ხანად კონსტანტინოპოლიდან უსიამო ამბავი ეწვია პეტრეს: იმპერატორი თეოდოსი და დედოფალი ევდოკია გაჰყროდნენ ერთმანეთს. თურმე თეოდოსის ცოლისთვის ვაშლი გაუგზავნია; მერე ის ვაშლი კეისრის უახლოესი კაცის, პაულინის ხელში აღმოჩენილა და ეს სავსებით საკმარისი გამხდარა ეთქვათ: ევდოკია პაულინის საყვარელიაო. ევდოკია იძულებული გამხდარა სასახლე დაეტოვებინა და მონაზვნად აღკვეცილიყო.

ევდოკია იერუსალიმს მივიდა და პეტრეს ნახვა მოისურვა. პეტრე განერიდა თავის „მოსიყვარულე დედასთან“ შეხვედრას. ევდოკიამ კი არ დაიშალა. თუ მას ჩემთან მოსვლა არ სურს, მაშინ მე თვითონ მივალ მასთან და სიონის ეკლესიასა და ქართველთა მონასტერს შორის გასასვლელსაც გავაკეთებო, — გამოაცხადა ქალმა.

ეს კი მეტისმეტი იყო; პეტრე მითქმა-მოთქმას შეუშინდა და ევდოკიასთან შესახვედრად გაეშურა.

დიდხანს ისაუბრეს მარტოდმარტო.

ბოლოს ევდოკიამ უთხრა, ოხვრითა და ცრემლთა თხევით:

„მომიგონებდე... მომიგონებდე მე შენს წმიდა ლოცვებში!“

„რა სიწრფელე შეიძლება ლოცვის დროს ჰქონდეს ცოდვილს?“ — წყნარად ჰკითხა პეტრემ.

დედოფალყოფილი მძიმედ ჩაფიქრდა და მძიმედვე თქვა:

„ჩემს კისერზედ იყოს შენი ცოდვები!“

მაშინ კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ევდოკია არ ისვენებდა: კვლავ დაჟინებით, ხვეწნა-მუდარით ითხოვდა ასალ შეხვედრას „სულიერ ძმასთან“.

პეტრე იბრძოდა — „სისხლსა და ხორცს ებრძოდა“; სატანა სარგებლობდა და შიშველი ქალის მოჩვენებებს ლაშქრად ასხამდა თავს.

„უფალო იესო, მომაშორე თვალებიდან ეს საძულველი და უწმინდური სახება. ეს საზარელი-მოჩვენება, მომაშორე და მიხსენ, მომაშორე და მიხსენ!“

ბორგავდა, ოხრავდა, სხეულს იგლეჯდა და იგვემდა.

ბოლოს, გადაწყვიტა იერუსალიმი სულ მიეტოვებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადასახლდა იგი მაიუმ-ღაზასთან დაარსებულ ქრისტიანულ ანალ-შენში.

მალე მაიუმის ეპისკოპოსიც მოკვდა და ხალხმა, მორწმუნეებმა მის ადგილზე მოითხოვეს პეტრე ქართველი. ამან ქვა ააგდო და თავი შეუშ-ვირა. სენაკის კარი ურდულით ჩაკეტა და გარეთ გამოსვლაზე უარი გა-ნაცხადა. კარები შეუნგრიეს, ხელში აიტაცეს და ისე წაიყვანეს. ღამით, გზაზე, ერთ სოფელში დაბანაკებისას, პეტრე მაღლობზე აღმართული სახლიდან იდუმალ გამოვიდა და კლდეზე გადავარდნა დააპირა, მაგრამ დროზე შეუტყვეს და არ დაანებეს.

როცა იერუსალიმში მიიყვანეს და პატრიარქს დასამტკიცებლად წა-რუდგინეს, პეტრე არ იშლიდა, თავის თავს ცოდვილად და უღირსად თვლიდა, — ერეტიკოსი ვარო, იძახდა და სხვა მისთანანი. მაგრამ არ მოუსმინეს და ეპისკოპოსად აკურთხეს.

მაშ, დაჯდა პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად. ახალი მოძღვრის ბრძნულ-მა მეოხებამ ააყვავა და აამაღლა ქალაქი. საზღვარი არ ჰქონდა პეტრე იბერიელის „სასწაულქმედობას“: „უწვიმრობასა წვიმიან ჰყოფდა, უშვი-ლოთა შვილიერ, სნეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფ-და, მეთევზურთა განუმარჯვებდა. ხოლო მისცა ღმერთმან მადლი წინას-წარმეტყველებისა და სულისა წმიდისა ხილვისა“.

პეტრე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს მსოფლიოში ძალზე ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჯერ, მაშინდელ მსოფლიოს ოთხი დიდი სატახტოდან ოცდაათი გვირგვინოსნის გამოცვ-ლას მოესწრო პეტრე. ამათგან:

რომიდან — 15.

ქტესიფონიდან — 7.

მცხეთიდან — 3.

აქედან კარგად ჩანს, სად, რომელ სატახტოში უფრო მყარი ან არა-მდგრადი იყო უზენაესი პოლიტიკური მდგომარეობა.

ყველაზე უფრო უჭირდა რომს. იგი ჩავარდნილიყო აგონიაში. პეტრე მის დამხობასაც მოესწრო. თავისი გაიტანეს ბარბაროსმა გერმანელებმა, ჯერ, 410 წელს, გულფიცხელი ალარიხის მეთაურობით აიღეს იმპერიის ცენტრი. მერე, 455 წელს კოჭლმა მიზანთროპმა ჰენზერიხმა აიღო და გაძარცვა იგი. მესამედ, 476 წელს, გაუთლელმა ოდოაკრმა საბოლოოდ დაამხო და იავარჰყო „მარადიულ ქალაქად“ წოდებული რომი. ამიე-რიდან დასავლეთ რომის იმპერია სამუდამოდ წაიშალა მსოფლიოს რუ-კიდან.

ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერია, ცენტრით კონსტანტინოპოლში, კვლავ განაგრძობდა არსებობას. ამიერიდან აღმოსავლეთ იმპერიის

მცხოვრებნი თავის თავს კვლავ „რომაელებს“ უწოდებენ, მსოფლიო მას ეძახდა „ბიზანტიის იმპერიას“, ხოლო ქართველნი მუდამ „საბერძნეთად“ იხსენიებდნენ.

412 წელს ქტესიფონში მოკვდა იეზდიგერდ I. სიკვდილის წინ ორივე შვილი, ხოსრო და ბაჰრამ-გური იხმო და უთხრა: თქვენგან მეფობას ის მიიღებს, რომელიც გვირგვინს ორ მშიერ ლომს შორის აიღებსო. ხოსრომ ამნაირ „თამაშზე“ საერთოდ უარი თქვა. ბაჰრამმა კი სახიფათო დავალება აღასრულა და ტახტზეც დაბრძანდა. ამ ბაჰრამ V გურის დროს, 422 წელს, ომი ატყდა კონსტანტინოპოლის იმპერიასა და სპარსეთს შორის. იგი დამთავრდა სომხეთის შუაზე გაყოფით.

საქართველო ამ ომში ჩათრევისაგან გადარჩა.

430 წლის მახლობლად გარდაიცვალა პეტრეს მამა, ქართველთა ხელმწიფე ბუზმარი.

პეტრეს დედამ, ქვრივმა ბაკურდუხტმა მთელი თავისი სადედოფლო ავლადიდება საქველმოქმედო საქმეებს — სნეულთა, დავრდომილთა და საპყართა საცხოვრებლებისა და საავადმყოფოების აშენებას შეალია.

გამეფდა არჩილი, რომელიც ბიძად ეკუთვნოდა პეტრეს.

არჩილისაგან მან ასეთი წერილი მიიღო:

„ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში — როგორ ჩვენ გ ვ ყ ა ვ ხ ა რ. ამიტომ გთხოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების მეოხებით ვპოვო მოწყალეობა“.

უაღრესად ღვთისმოსაობდა ახალი მეფე ქართლისა. სასახლე მგალობელ-მომღერლებით გაავსო. პურს ისე არ სჭამდა, თუ ქრისტეს სადიდებელ გალობას არ მოისმენდა. სასახლე ეკლესიას დაემსგავსა სავსებით.

არჩილი ღრმად მოხუცებული იყო და გამეფებიდან დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქართლის ტახტი დაიჭირა მისმა ძემ, მირდატ მეექვსემ.

მირდატმა ცოლად შეირთო რანის ერისთავის ასული, „ქმნულკეთილი, შუენიერი“, სახელად საგდუხტ.

ამ ქორწინებისაგან დაიბადა ვახტანგ...

ისევ პეტრე ქართველის ჟამს ქრისტიანობაში ახალი მწვალებლობა გაჩნდა. კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტმა ევტიხიმ გამოაცხადა, რომ იესო ქრისტე ორბუნებოვანი (ღმერთიც და კაციც) კი არა, ერთბუნებოვანი (მხოლოდ ღმერთი) იყოო. ამასაც საქვეყნო აურზაური მოჰყვა. მთელი საქრისტიანო გაიყო ორ ბანაკად: „მონოფიზიტებად“ (ერთბუნებოვანნი) და „დიოფიზიტებად“ (ორბუნებოვანნი). 449 წელს ეფესოში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე მონოფიზიტებმა გაიმარჯვეს. 450 წელს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი II. ტახტზე

ასულმა ახალმა იმპერატორმა, მარკიანემ, 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა „ავაზაკთა შეკრებად" გამოაცხადეს და დიოფიზიტობა მტკიცედ დაადგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე იბერიელი მონოფიზიტი იყო. მაგრამ მისი სიდიდის ხელყოფა არც არავის გაუბედნია, არც არავის მოსურვებია.

ქართველები ქალკედონიტებად — დიოფიზიტებად დარჩნენ.

(ხოლო სომხებმა ასი წლის შემდგომ, 554 წელს, დვინის საეკლესიო კრებაზე, მონოფიზიტობა მიიღეს და სომხური ეკლესიის ავტოკეფალიაც გამოაცხადეს).

იმ ხანებში სპარსეთის ტახტზე იჯდა იეზდიგერდ II (439—457), რომელმაც ძალზე აგრესული კურსი აიღო ამიერკავკასიისაკენ. მას სურდა აქაურ ხალხებში — რომელთაც თავისი სარწმუნოებით კურსი ბიზანტიისაკენ აეღოთ — ქრისტიანობა მოესპო და მაზდეიანური ცეცხლთაყვანისმცემლობა გაევრცელებინა.

იეზდიგერდმა სომხეთიდან, საქართველოდან და ალბანეთიდან წარჩინებულ გვართა წარმომადგენლები გაიწვია ქტესიფონს.

ცოტა ადრე სპარსელებმა მოახერხეს ტფილისში თავისი „ერისთავი"-„პიტიახში" ჩაესახლებინათ. ახლა აქ პიტიახშად იყო არშუშა. სწორედ ეს არშუშა აღმოჩნდა ქტესიფონში გაწვეულ ქართველ დიდებულთა შორის.

იეზდიგერდმა მიწვეულებს გამოუცხადა: ან ქრისტიანობა უარყავით და მაზდეიანობა აღიარეთ, ანდა დედაბუდიანად ამოწყვეტას შეეგებეთო.

მეტი გზა აღარ იყო. მოწამის სიკვდილი არავის აურჩევია. მიწვეულებმა იეზდიგერდის ბრძანება აღასრულეს და უკან დაბრუნდნენ.

ყველაზე ნაკლებად ქართველ პიტიახშს ენდობოდა თურმე იეზდიგერდი. მან იცოდა, რომ არშუშა ერისთავი ქვემო ქართლში დიდ საქრისტიანო და საქართველო მოღვაწეობას ეწეოდა, ტაძრებს აშენებდა, მარტვილ წმინდანთა ნეშტებს უვლიდა, საეკლესიო მოღვაწეებს მფარველობდა, აქეზებდა და ახალისებდა.

ამიტომ არშუშა პიტიახში იეზდიგერდმა საქართველოში აღარ გამოუშვა.

. . . . . .

პეტრე იბერიელისათვის ყმაწვილობაში მიტოვებული სამშობლოს საკეთილდღეოდ და საიმედოდ ვახტანგ გორგასალის დიდ-ხელმწიფობა უნდა ყოფილიყო.

იდგა 491 წელი.

პეტრე იბერიელი იყო 82 წლისა, და მასთან მივიდა სიკვდილი, „რა-მეთუ ფრიად ტანჯნა ხორცნი თვისნი“. თვითონვე გამოუცხადა თავის სამწყსოს „განსვლა თვისი ხორცთაგან მისთა“. მერე შევიდა სენაკად.

ათი დღე იყო დაყუდებული ლოცვად და ლიტანიად.

მაგრამ მხოლოდ-ღა ლოცვად?

სიკვდილ-სიცოცხლის განსაღრეკელზე, გონების სამზირზე იელვებდნენ მისი ცხოვრების ნათელიერი ნიშანსვეტნი მშობლიურნი, უსაყვარლესნი:

ქართლი — სამშობლო მისი,

მცხეთა — სატახტო მისი,

ბაკურდუხტ — დედოფალი და დედა-მშობელი მისი,

ბუზმარ — ხელმწიფე და მამა-შემოქმედი მისი,

ბომიროსპარია — დაი მისი (ბუზმარის იდუმალი ტრფიალების ნაყოფი),

ძუძო—გამზრდელი მისი (მხოლოდ ამ ქალს ანდო ბუზმარმა ყრმა მურვანოს, როცა იგი მთებში გახიზნა სპარსელთაგან გადასარჩენად),

ოტა — დედამძუძე მისი (ძუძოს დაი),

ქურენი — მამამძუძე მისი (ოტას მეუღლე),

ბარდალი — ძმა მამამძუძესი,

კატა და მურვაკეს — ძიძიშვილნი მისი (ოტასა და ქურენის ვაჟები).

(ყველა ამათი სახელების მოსახსენიებლად პეტრეს საგანგებოდ დაწესებული ჰქონდა წელიწადში ერთი დღე — დიდმარხვის ოთხშაბათი).

მეათე დღეს, 2 დეკემბერს, „მიწვა და დაიძინა ძილი თვისი“.

მიიცვალა გვემული სხეული პეტრე ქართველისა, ხოლო სული ამაღლებული დარჩა უკვდავად, განფენილი მრავალ ტაძრებად, სავანეებად, საქველმოქმედო სადგომებად, საღვთისმეტყველო და საფილოსოფიო ტრაქტატებად.

სწორედ მისი მწერლურ-მეცნიერული მემკვიდრეობა შეიქნა იდეური საფუძველი შემდგომში მსოფლიო კულტურული აღზევებისა — ევროპული (გინა აზიური) რენესანსისა და ჰუმანიზმისა.

აი, ისინი, შემადგენელნი პეტრე იბერიელის მეცნიერული კორპუსისა:

„სალმრთოთა სახელთათვის“,

„ზეციური იერარქია“,

„საეკლესიო იერარქია“,

„მისტიკური თეოლოგია“,

„ეპისტოლენი“ (ათი წერილი).

არც ერთ მათგანს მიწიერი დავიწყების ჩანთქმის მოსურნე ავტორმა საავტორო ხელწერა არ დაურთო.

და, „წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო“, — ამბობდნენ ძველი რომაელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი ბედი დაჰყვა გენიალური ქართველი მოაზროვნის წიგნებს. იგი, ეს უბედობა, თვითონ ავტორმა „დაუბედა“ თავის ...

თხუთმეტი საუკუნე არავინ იცოდა ნამდვილი ავტორ...

ერთ ხანს დიონისე არეოპაგელს მიაწერდნენ, I საუკუნის ფილოსოფოსს.

მერე მიხვდნენ, რომ წიგნები V საუკუნეში ყოფილა დაწერილი და შეცდომა იმით „გაასწორეს“, რომ დიონისეს წინ „ფსევდო“ დაურთეს და ამგვარად, პირობითი ავტორობით, „ფსევდოდიონისე არეოპაგელის“ სახელდებით, კიდევ ასეული წლები ატარეს ნამდვილი ავტორის მიუგნებლად და მოუხსენიებლად.

ბოლოს, როგორც იქნა, ფსევდოარეოპაგიტულ თხზულებათა ავტორობის საიდუმლო სავსებით გაიხსნა და განათლდა.

და, მსოფლიოს წინაშე წარსდგა ჭეშმარიტი ავტორი:

პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი.

მისმა გასაოცარმა ღვაწლმოსილებამ კიდევ მეტად აღამაღლა მის თანამემამულეთა გავლენიანობა ახლო აღმოსავლეთსა და მის ქრისტიანულ ცენტრში — იერუსალიმში. პეტრეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ბერძენმა საეკლესიო მესვეურებმა, იმდროინდელი ქრისტიანობის „მონოპოლისტებმა“, ქართველების მიმართ მანამდე გაუგონარი დათმობა გამოიჩინეს: ამიერიდან ქართველებს ნება ეძლეოდათ პალესტინის მთავარ ტაძარ-პასტოფორიონში „წარსთქვან ჟამნი და სამხრისაი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

ასეთი იყო ბედი დიდი ქართველი მოაზროვნისა, რომლის შესამკობად ნაირ-ნაირი ეპითეტებით ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა დროის მწერალნი და მეისტორიენი:

პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი —

„გაუტეხელი წვალებასა და გაჭირვებაში, შევიწროებასა და დევნულობაში, დავიდარაბაში, მარხულობასა და ღამისთევაში, ბრძოლასა და გვემაში“.

„შეურიგებელი მებრძოლი ცოდვათა წინააღმდეგ, ძალმომრეობათა და მტარვალობათა წინააღმდეგ, ამა ბნელეთის თვითმპყრობელთა წინააღმდეგ, ბოროტ სულთა წინააღმდეგ“.

„სწორუპოვარი სასწაულთა, საკვირველებათა და განკურნებათა ძალაში, წმინდა სულის ძალოვნებაში, სამართლიანობის უძლეველობაში“.

„მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული ადამიანი“.

„უცნობი თვის ნებით, ნაცნობი ღვთის ნებით, ცნობილი ღმერთისთვის, ცნობილი ქვეყნისთვის“.

„თვითონ ღარიბი, სხვათა უაღრეს მამდიდრებელი“.

„ყველაფრის უქონელი და ყველაფრის მქონებელი“.

„მფლობელი ზეციურ განძთა“.

„გული, აზრი და ქცევა მისი — უცილობელი ყველა დროისთვის“.
„მართალი რწმენის შუქურა-სვეტი“.
„მშვენება და დიდება საქართველოსი“.
„მრავლისმრავალჯერ მოწამე“.
„მოსიყვარულე მამა“.
„ყველასათვის ძვირფასი“.
„მეოხე მთელი ქვეყნისა“.
„კედელი მთელი დედამიწისა“.
„ნიმუში ყოველი სიკეთილისა და ვაჟკაცური ცხოვრებისა“.
„სამკაული და სიქადული ქართველთა“.

. . . . . .

და დამიწდა უცხო მიწაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარსმან კოლხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა ქრისტეს შემდგომი V საუკუნის დალმართზე, 70-ან თუ 80-ან წელთა საკრებულოში.

ფარსმან კოლხი — ეს ბოლო, ზედწოდებითი სახელი (cognomen) გვიმტკიცებს, რომ დაბადებულა კოლხად, კოლხეთში.

ხოლო, როდის წავიდა კოლხეთიდან ბიზანტიაში, ან რაის მიზნით, რაის მიზეზით „გაუცხოვდა" — ამის შესახებ ისტორიას არ დარჩენია არავითარი არცა ცნობა, არცა რაიმე მინიშნება.

ახალი, VI საუკუნის დამდეგს კი, კონსტანტინოპოლს („დედამიწის ჭიპზე"!), სრულიად ბიზანტიის იმპერიაში უკვე დიდად გაეთქვა სახელი:

„ფარსმანი, წარმოშობით კოლხი, გამორჩევით სახელგანთქმული საომარ საქმეთა შინა" („ფარესმანეს კოლხოს მენ გენოს, დიაფერონტოს დე აგათოს ტა პოლემია").

სტრატეგოსიც ფრიად წარჩინებული ყოფილა, პოლიტიკოსიც, დიპლომატიც.

იყო მაშინ დროკამი დიდი ომებისა, — ომები საქართველოს კარიბჭეებთან, ომები სპარსეთსა და ბიზანტიას შორის.

სპარსეთში მაშინ ხელმწიფობდა კავადი.

ბიზანტიაში — კეისარი ანასტასი.

საქართველოში — ვახტანგ გორგასალი.

და შემოუთვალა კავადმა ვახტანგს: საბერძნეთს (ბიზანტიას) მივალ სალაშქროდ და წინ შენ უნდა გამიძღვე შენის ქართველებითო.

ვახტანგმაც ფიცხლავ შეუბრუნა სპარსეთის მეფეს ეს პასუხი: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა და ეგრე შევედ საბერძნეთად".

მაშ, ვახტანგი ერთმორწმუნე ქრისტიანულ ბიზანტიასთან კავშირმეგობრობას არ ელეოდა და სპარსეთთან ამდენი ხნის საომარ ჭიდილსაც კვლავაც არ ერიდებოდა.

და, კავად შაჰმაც ბიზანტიის სალაშქრო გზაზე შეყენებული ჯარები უმალვე საქართველოსკენ შემოაბრუნა.

ბიზანტიის კეისარმა კი, ვითომ არც რა გაეგოს, ხელიც არ გაანძრია მისი მოკავშირისა და „ერთმორწმუნე ძმის" მოსაშველებლად, და ვახტანგ გორგასალიც მარტოდმარტო დაუხვდა სამხრეთიდან მოვარდნილი მტრის ურიცხვ მხედრობას.

ივრის ხეობაში გამართული სამდღიანი ბრძოლა გოლიათი ქართველი ხელმწიფის ამაო გმირობით და შინაგამცემლის ნახელავი სიკვდილით გათავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად მეფე საქართველოდან გავიდა, გზად ახალი ჯარები შეიერთა და ახლა ბიზანტიელებთან საომარ შეხვედრად წარემართა.

დიდი ბრძოლები გაიმართა ჯერ კარნუ-ქალაქთან, მერე ქალაქ ამიდასთან (ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, მდინარე ტიგროსთან). აქ სამი წელიწადი (502—505) გაგრძელდა სისხლიანი ჭიდილი სპარსთა და ბიზანტიელთა ჯარებს შორის. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს მაინც კავადმა დაიმკვიდრა ამიდა, დაიმკვიდრა და შიგ ძლიერი ციხიონიც ჩააყენა თავისი სარდლის — გლონის მეთაურობით. ქალაქ გარეთაც შაჰმა ჯარები განალაგა ორი მარზპანის წინამძღოლობით, ხოლო თვითონ სატახტო ქტესიფონს გაეშურა.

ზედიზედ მარცხდებოდნენ ბიზანტიელთა ჯარები, რომელთაც ცალკეულად სარდლობდნენ: კელეროსი, პატრიკიოსი, იუსტინიანე, არეობინდე, პატრიკიოლე, ვიტალიანე, გოდიდისკლე და ბესსა.

ისინი ხან ამიდაზე მიიტანდნენ იერიშებს უსაზმნოდ, ხან მეზობელ ციხესიმაგრეებს გაესეოდნენ ხოლმე ასევე უშედეგოდ და უკანვე ბრუნდებოდნენ შერცხვენილნი და დამარცხებულნი.

ერთი შეტევა დიდ ციხე-ქალაქ ნიზიბისსაც შეუბედეს ბიზანტიელებმა, მაგრამ თვითონ კავადმა მოუსწრო ლაშქრით, ბიზანტიელები შაჰთან შებრძოლებას შეუშინდნენ და უთავბოლოდ დაშლილ-დაფანტულნი გამოიქცნენ. ბევრი მათგანი დაიჭრა, ბევრიც კლდეებსა და ვიწროებში ცხენ-კაციანად ჩაიჩეხა და ჩაიმსხვრა. მათი კარვები და ნაძარცვი განძეულობანი სპარსელებმა დაინადავლეს.

ბოლოს, ჭაპანწყვეტით ნაომარი სამი წლის შემდეგ, კეისარმა ანასტასიმ მოიერიშე ჯარს უსარდლა ფარსმან კოლხი, რომლის ჯარისკაცურ სიმამაცეს და სარდლურ ნიჭიერებას კარგად სცნობიან ბიზანტიელებიც და სპარსელებიც.

და ეგზომ სახელმოხვეჭილმა კოლხიდელმა აქაც განაცვიფრა მტერიც და მოყვარეც: მან „რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, კვლავ გაითქვა სახელი და შიშის ზარი დასცა სპარსელებს; მისი სახელის ხსენებაც კი აშინებდა მათ (სპარსელებს), მისი საქმენი ანადგურებდა მათ (სპარსელებს) და აჩანაგებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი (სპარსელები) ლაჩრებად გამოსჩანდნენ და მარცხს მარცხზე განიცდიდნენ“.

ხუთასი რჩეული მეომრისგან მფრინავი რაზმი შექმნა ფარსმანმა. ამ რაზმით დასდევდა იგი დაბა-სოფელთა საძარცვავად და საწიოკებლად გასეულ სპარსელებს. სპობდა მათ, ნაძარცვსაც ართმევდა და პატრონთ უკანვე უბრუნებდა. არც თავის ჯარისკაცებს აძლევდა მოსახლეობის აკლებისა და აწიოკების უფლებას.

და ხალხმაც შეიყვარა ეს, იმ დროისთვის უცნაური, ეგზომ კეთილ-შობილებით შემკობილი სარდალი.

ბოლოს, ფარსმანმა ამიდას გარეთ დაბანაკებულ მარზპანი ... გაანადგურა და თვითონ ქალაქის კედლებზეც მიიტანა იერიში.

იერიშს ალყა მოაყოლა და ქალაქშიც საშინელმა შიმშილმა დაისადგურა.

სპარსელთა ციხიონის უფროსმა გლონმა შიმშილით დაღუპვას სარისკო ბრძოლა არჩია და ჯარები საომრად გამოიყვანა.

ბრძოლაც მოხდა და ივი ისევ ქართველი სარდლის გამარჯვებით გათავდა. სპარსელთა უმრავლესობა, სარდალ გლონთან ერთად, საომარ ველზე დაეცა.

ფარსმან კოლხი ამიდაში შევიდა.

შიმშილისგან და შიშისგან ძალადაწრეტილი ხალხი აწ ჩვეულებრივ ელეტასა და ძარცვა-რბევას ელოდა.

მაგრამ ფარსმანმა ხალხი დაამშვიდა, — რომ ქალაქში არავის თავიდან ბალანიც არ ჩამოუვარდებოდა, არავის არარა წაერთმეოდა.

დაამშვიდა და კიდევაც დააპურა დამშეული ქალაქი.

ბოლოს, კეისარიც დაითანხმა და ნივთიერად და სულიერად განადგურებული ქალაქის მოსახლეობა შვიდი წლის ვადით ყოველგვარი გადასახადისგან გაათავისუფლა.

სპარსეთ-ბიზანტიის ომი ამ ეტაპზე შეწყდა.

კავად შაჰი და ანასტასი კეისარი დაზავდნენ (506 წ.).

ამიდა, ფარსმან კოლხის წყალობით, ბიზანტიელებს დარჩათ.

. . . . . .

განელო თოთხმეტმა წელიწადმა.

სპარსეთის ტახტზე ზის ისევ კავად შაჰი.

ხოლო, კონსტანტინოპოლის ტახტზე ახალი კეისარი ასულა, სახელად იუსტინე, ყოფილი პროვინციელი მწყემსი-მეღორე, წერა-კითხვის უცოდინარი (კალამს ხის ფირფიტაზე საგანგებოდ ამოჭრილ ასოებს აყოლებდა და ხელს ისე აწერინებდნენ), ოთხმოც წელს მიტანებული ბებერი.

520 წლის მახლობლად, კავად შაჰმა იუსტინე კეისრის გაბრიყვება სცადა, მან კონსტანტინოპოლში ელჩობა გაგზავნა და იუსტინეს შეუთვალა: მე ვიეიწყებ რომაელთაგან (ბიზანტიელთაგან) მოყენებულ ყოველგვარ წყენას და წინადადებას ვაყენებ შევრიგდეთ, დავმეგობრდეთ და დავნათესავდეთ კიდეც; ნიშნად ასეთი სიახლოვისა, გთხოვ იშვილო ჩემი ძე ხოსრო, სპარსეთის მომავალი ხელმწიფეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულუბრყვილო გლესი-იმპერატორი კავადის შემოთავაზებაზე თანხმობას აპირებდა, მაგრამ კვესტორმა პროკლემ იგი დაარწმუნა, რომ ასეთ რამეზე დათანხმება ნიშნავს ჩვენი ხელითვე გადავცეთ მტერს ჩვენი ციხე-ყანაო: თუ სპარსეთის უფლისწული კეისრის შვილად გამოცხადდება, აკი იმ წუთიდანვე იგი ბიზანტიის საიმპერიო ტახტ-გვირგვინის მემკვიდრედაც გადაიქცევაო.

მაშინ იუსტინემ კავადს შეუთვალა, შენს შემოთავაზებაზე ახლა გადაჭრით პასუხის მოცემა არ შემიძლია და სულ მალე დაზავება-დანათესავების საკითხებზე მოსალაპარაკებლად საგანგებო ელჩობას გაახლებო.

მართლაც, ახალი შეხვედრა შედგა ბიზანტიისა და სპარსეთის საზღვარზე, მდინარე ტიგროსის ზემო წელზე.

ბიზანტიელთა ელჩობაში შედიოდნენ ჰიპატოსი და ფარსმან კოლხი, სპარსელთა ელჩობაში კი — სეოსი და მეროდი.

ტიგროსს ხომალდით მოსდგომოდა თვითონ უფლისწული ხოსრო, მზადმყოფი კონსტანტინოპოლს გასამგზავრებლად, როგორც კი ელჩები მოლაპარაკებას დაასრულებდნენ.

მოლაპარაკებას დასაწყისში თითქოს კარგი პირი უჩანდა. თითქოს ორივე მხრიდან ამ უთავეამო უთანხმოებებს ნელ-ნელა სწონიდნენ და ვითომ დავიწყების გოდორში ჰყრიდნენ.

მაგრამ უცებ, ვითომ სხვათაშორის, ფარსმანმა ახსენა თავისი სამშობლო კოლხეთი, და ეს საკმარისი გახდა, რომ სპარსელ ელჩს, სეოსს მსჯელობის მთავარ საკითხად სწორედ კოლხეთის ანუ ლაზეთის საქმე წარმოეჩინა. იგი გაცხარებით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ კოლხეთი, რომელსაც ახლა ლაზიკას უწოდებენ, ძველთაგანვე სპარსელების საკუთრება იყო და ახლა ბიზანტიელები ფლობენ მას სავსებით უკანონოდო.

და ასე, კოლხეთ-ლაზეთის საქმემ მოლაპარაკება ერთბაშად ჩაშალა. ხოსრო დაბოღმილი და ბიზანტიელებზე შურისგებით აღვსილი დაბრუნდა მამასთან. მოლაპარაკების ჩაშლა ლაზეთის საკითხის წამოჭრითა და გართულებით, მეროდმა ხელმწიფის წინაშე სეოსს დააბრალა. კავადმაც მაშინვე სეოსი სიკვდილით დასაჯა.

მალე ორივე ტახტზე ახალი ხელმწიფეები ავლენ: სპარსეთის ტახტზე ხოსრო, ბიზანტიის ტახტზე იუსტინიანე.

დიდ ომებსაც აიტეხავენ ერთმანეთში, ხოლო „მთავარი „პრიზი" ამ ომებისა იქნება სწორედ კოლხეთი.

იმ ჟამსვე უნდა დასრულებულიყო წუთისოფელი ფარსმან კოლხისა. დასრულებულიყო და იქვე, უცხო მიწაში დამიწებულიყო.

გურგენ მეფე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა ქრისტესშობითგან V საუკუნის მიწურულს;
სახელად — გურგენ.
მეფე ქართლისა, ანუ — როგორც ბერძნები უწოდებდნენ — იბერიისა.
იყო ძე მეფე ბაკურ II-ისა.
შვილიშვილი — მეფე დაჩისა.
შვილიშვილისშვილი — ღიდხელმწიფე ვახტანგ გორგასალისა.
წლები გურგენის მეფობისა — ქრისტესშობითგან 515—523.
იმავდროს სპარსეთში ხელმწიფობდა კავად შაჰი.
ბიზანტიაში — იუსტინე კეისარი.
პირველი აშკარა მტერი იყო საქართველოსი.
მეორე კი — ვითომ (!) მოკავშირე და მეგობარი.
გარედან ასე იყო — აქტიური მტერი და პასიური მოკეთე, ხოლო შიგნით საკუთარი თანამემამულე დიდაზნაურები იბრძოდნენ მეფის უზენაესობის დავიწროება-დამცირებისათვის.
და მეფობდა გურგენ მეფე მეფობითა უფერულითა.

. . . . . .

გურგენ მეფემ სპარსეთის ფიცხელი ბრძანება მიიღო, — ბრძანება კავად შაჰისა: ქართლის მოსახლეობას ქრისტიანობა უნდა უარეყო, ცეცხლთაყვანისმცემლობა, ანუ მაზდეიანობა მიეღო და ყოველგვარი საყოფაცხოვრებო ადათიც ამიერიდან სპარსული წეს-ჩვეულებით აღესრულებინა. ქართული წესით მიცვალებულთა დაკრძალვაც კი ეკრძალებოდათ ქართველებს. მიწაში დამარხვის ნაცვლად, დაკრძალვაც სპარსულად უნდა ჩაეტარებინათ. სპარსულად კი — მომაკვდავთან მიიყვანდნენ ძაღლს და პირისპირ დაუყენებდნენ. ძაღლთან ცქერაში მიცვალებულის სულიც სწორედ ძაღლში უნდა გადასახლებულიყო. მერე მიცვალებულს ნეზალარები (მესაფლავეები) განბანდნენ, ძველმან ტანსაცმელს ჩააცმევდნენ და სახეზე წვირიან ფლასს დააფარებდნენ. თვითონვე ჩაასვენებდნენ ჯენეზში (რკინის ვიწრო ყუთში), თვითონვე ოთხად გატეხდნენ „მიცვალებულის პურს“, თვითონვე მიაშტერდებოდნენ ძაღლს და ბოლოს ცხედარს წაასვენებდნენ დახმეზე (სასაფლაოზე). დახმე იმყოფებოდა დასახლებიდან

შორს მაღლობ უწყლო ადგილზე. იგი შემოღობილია 36 დიდი და 206 მცირე სარით გამაგრებული ღობით და დაყოფილია 365 ნაწილად ამდენივე მიცვალებულისთვის. მესაფლავეები მიცვალებულს კუბოდან ამოიღებენ და დაასვენებენ მისთვის განკუთვნილ მიწაზე, ღია ცის ქვეშ, თავით ღობისაკენ, ფეხებით ცენტრისაკენ; ქალები — თავით მამაკაცის ფეხებთან, ბავშვები — ქალთა ფეხებთან. მიცვალებულის დასვენების შემდგომ მესაფლავეები საგანგებოდ წამოღებულ თოკებს და ტომრებს ღაგლეჯენ, მობედი (ქურუმი) ლოცვას აღავლენს, ჭირისუფლები საჩვენებელი თითით მიწას ეხებიან და უკან ბრუნდებიან. დახმეარის შემაზრზენი სანახაობა: გახრწნილ ადამიანთა გვამებიდან ავარდნილი სიმყრალით იტენება ჰაერი, აუარებელი მემძორია მხეცი და ფრინველი ესევა ცის ქვეშ დაყრილ-დარეცილ მიცვალებულებს. დგას ამაზრზენი გნიასი, ჩხავილი, ღმუილი, კბილთა ღრჭენა და ძვალთა ჩხარაჩხური.

და კვლავ შაჰს გადაუწყვეტია მყრალ, შემზარავ დახმეულ გადაექცია საქართველო.

დღეს თუ ხვალ უეჭველად სხვა რამესაც მოითხოვს სპარსეთის ხელმწიფე ქართველებისგან — წესი სპარსული „საუკეთესო შეუღლებისა“: და-ძმანი, ბიძა-ძმისწულნი, მამიდა-ძმისწულნი, მამინაცვალ-გერები, დედინაცვალ-გერები და ა. შ. (თვითონ კავად მეფეს ღვიძლი დაი ჰყავდა ცოლად).

. დღეს თუ ხვალ ბრძანებს სპარსეთის მეფე, ერთნაირად ეცით თაყვანიო თოთხმეტნაირ სითხეს: ცის ცვარს, მთის წყალს, წვიმის წყალს, წყაროს წყალს, ჭის წყალს, ხის წვენს, რძეს, ცხიმს, ნაღველს, თესლს, სახის ოფლს, ტანის ოფლს, ცინგლსა და შარდს.

იქნებ ისიც ბრძანოს სპარსეთის მეფემ, სპარსეთის მსგავსად საქართველოშიც 14 წლის ბიჭს ცოლი შერთონ, 11 წლის გოგო გაათხოვონ, მშობიარე ქალი რკინის შიშველ ფიცარნაგზე დააგდონ, ძეობის შემდგომ სამი დღე-ღამე ფერფლ-შეზავებული ხარის შარდი ასვან და კიდევ მომდევნო ერთი კვირა ხარის შარდშივე აბანავონ.

კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ ურჯულო რაიმეს მოიგონებს ქართველთა მოსისხარი სამხრეთელი ხელმწიფე საქართველოში ქართულობის აღმოსაფხვრელად.

საომრად აიშალა და აზვავდა ქართველობა.

გურგენ მეფემ იცოდა, საკუთარი მცირე ძალით ირანულ ურდოებს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ბიზანტიის კეისარს, იუსტინეს დახმარება სთხოვა. სამუდამოდ, უცვლელად თქვენს მხარეს დავრჩები, ოღონდ კი სპარსელების ხელში ნუ ჩაგვაგდებო, ატყობინებდა იგი კონსტანტინოპოლის საიმპერიო კარს.

იუსტინე კეისარმა ქართველი მეფის შემონათვალზე თავიდან დიდი

ყურადღება გამოიჩინა. მაშინვე მან უახლოესი კარისკაცი-პატრიციოსი (წინა იმპერატორის, ანასტასის ძმისწული), სახელად პრობოსი, ბოსფორში (ყირიმში) აფრინა ფულით, რათა ჰუნები მოესყიდათ ... ეთიდან სამხრეთისკენ, საქართველოს მისაშველებლად ... მათი ლაშქარი.

ჩვენ არავის დავაჩაგვრინებთ იბერიელებს, რომლებიც „ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველაზე უკეთ იცავენო", — გაიძახოდა იუსტინე კეისარი.

მაგრამ ბიზანტიური მოკავშირეობა და მეგობრობა ამჯერადაც ფიქტიური გამოდგა. პრობოსი ჰუნებისგან ხელცარიელი დაბრუნდა. კეისარმა გურგენს მხოლოდ რამდენიმე მეომრისაგან შემდგარი რაზმი გამოუგზავნა პეტრე სტრატეგოსის სარდლობით. ეს იყო და ეს.

ქართველები ისევ მარტოდმარტო აღმოჩნდნენ სპარსეთის — ამ „მსოფლიო ვეშაპის" წინაშე.

უზარმაზარი არმიები შემოუსია კავად შაჰმა ქართლის მიწა-წყალს, უახლოესი სარდლისა და პოლიტიკოსის, ბოეს მეთაურობით.

ისევ გაიმართა სისხლისღვრა — ქართველთათვის ერთდროულად უსაზმნოც და თავგანწირულიც.

გურგენ მეფე უკან იხევდა და ბრძოლით მიეშურებოდა დასავლეთით, ეგრისისაკენ. ოჯახიც თან მიჰყავდა — ცოლი, შვილები (ამათ შორის უფროსი უფლისწული ფირანი), ძმები. სპარსელებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ.

მეფემ ოჯახით და სეფეწულთა ამალით, სკანდისა და შორაპნის ციხეებს მიაღწია, და აქ კარვა ხანს იგერიებდა სპარსელთა იერიშებს.

იბერიელ ლტოლვილებს ადგილობრივი ლაზებიც შეუერთდნენ და ერთად შეაკავეს მტრის შემოტევა.

გურგენ მეფე მივიდა ციხე-გოჯს, ეგრისის სატახტოში.

შემოეგება ეგრისის მეფე — წათე პირველი.

და ორივენი ერთად გაეშურნენ კონსტანტინოპოლს.

ეს ამბები მოხდა 523 წელს.

ქართლს სპარსელები დაეპატრონენ. ქართლის ყველა ციხე-ქალაქში სპარსული ციხიონები ჩადგნენ.

ქართლში ქართული მეფობა გაუქმდა და მის ნაცვლად ქვეყნის მმართველად სპარსელი მარზპანი (მთავარი, ოლქის მმართველი) გამოცხადდა.

. . . . . .

ბიზანტიის სატახტო დიდის ამბით შეხვდა ქართველ მეფეებს.

კეისარმა იუსტინემ ძვირფას სტუმრებს („ლტოლვილები" არ წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვცდეს!) დიდი ნადიმი გაუმართა საქვეყნოდ განთქმულ ცხრამეტ-სარეცლიან სანადიმო ტრიკლინიუმში.

უბრწყინვალეს რვაწახნაგოვან სასტუმროში დააბინავა კეისარმა ... თველები.

მეორე დღეს პიპოდრომზე იახლა და კათიზმაში (კეისრის ლოჟა) დაისვა ორივენი აქეთ-იქეთ.

ცნობისმოყვარე და ჭორიკანა კონსტანტინოპოლელმა („დედამიწის ჭიპელმა") სალხმა პრასინებისა („მწვანეები") და ვენეტების („ლურჯები") ჯამბაზურ შეჯიბრს თავი მიანება და მთელი სანახაობის მანძილზე კათიზმაში მსხდარ ქართველ მეფეებს შესციცინებდა.

სანახაობის შემდგომ იმპერატორის გვარდიამაც ველარ შესძლო ხალხის შეკავება. აღარც იმპერატორს დაერიდნენ, კვალდაკვალ მისდევდნენ, წინ უსწრებდნენ და უტეხი მზერით სახეში შესციცინებდნენ „ზღაპრულ კოლხსა და იბერიელს".

გურგენი უფრო დინჯი და სიმძიმილით დატვირთული ჩანდა; წათე უფრო მკვირცხლი, მოძრავი და ხალისიანი.

განსაკუთრებით მოსწონდათ ლაზათიანი და ჯავარსრული ჩაცმულობა კოლხთა მეფისა. თვით კეისარი იუსტინეც კი თვალს ველარ სხლეტდა წათეს აშვეტილ ფეხებზე შემოსხეპილ წითელ წაღებს, მარგალიტებით მოსირმულსა და წვივებისა და ქუსლების გასწვრივ ქრისოლითური არწივებით დამშვენებულს. ასევე ბიზანტიელთა „სულისა და გულის წამღები" იყო წათეს ვიწრო წელზე შემოსალტული, მარგალიტებით გაწყობილი ზოსტერი (ქამარი).

ყველამ იცოდა, რომ გურგენ იბერიელი იყო დიდმორწმუნე ქრისტიანი და ქრისტიანობის ყველაზე დიდი ქომაგი აღმოსავლეთში. ხოლო, წათე ეგრისელი ახლა აპირებდა ქრისტიანობის მიღებას კონსტანპინოპოლში.

იუსტინე კეისარი დიდი სიხარულით შეხვდა კოლხი ხელმწიფის სურვილს: კავშირი, მეგობრობა, მოყვრობა, სჯულიერი ერთმორწმუნეობა.

კოლხთა მეფის ნათლიღებამ, თვითონ კეისრის განუყრელი თანდასწრებით, დიდის ზარზეიმით ჩაიარა.

მერე იუსტინემ წმიდა მოციქულთა ტაძარში წათე კოლხეთის სამეფო ინსიგნიებით მორთო და თავის შვილადაც გამოაცხადა.

მალე დამოყვრებაც შედგა: ქვრივმა ლაზმა ხელმწიფემ ცოლად შეირთო დიდად წარჩინებული სენატორის, ნომოსის ასული, სახელად ვალერიანე.

და დაბრუნდა კოლხეთში მეფე წათე პირველი, ახლად შეძენილ დედოფალთან ერთად.

ხოლო გურგენ მეფე აღარ დაბრუნებულა თავის ქართლში.

ველარ დაბრუნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუდამოდ უცხოეთს დარჩა, სრულად, ოჯახით.

მის შვილთაგან ერთი — უფლისწული ფირანი იტყვის ...
მომავლო ისტორიისთვის.

თვითონ კი, „გაუცხოებულს“, უცხოეთისთვის „საუცხოო“ და სახსოვარი არც სიტყვით და არც საქმით არაფერი დაუტოვებია.

მხოლოდ ასე აღესრულა — უცხოეთში გადახვეწილი, უცხო გარემოში აღსრულებული, უცხო მიწაში დამიწებული.

ფირან იბერიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა ქრისტეს შემდგომი VI საუკუნის, ალბათ, დამდეგს.

დაიბადა, ალბათ, ტფილისში. ქართლის მაშინდელ სატახტოში.

დაიბადა უფლისწულად და ტახტის მემკვიდრედ — ფირან უფლისწული, უფროსი ძე გურგენ ქართლის მეფისა.

მისი ყრმობისას, 523 წელს, იბერია-ქართლს აკი სპარსელები შემოესივნენ.

გურგენ მეფემაც აკი ბრძოლა წააგო და ცოლშვილიანად კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა.

და გადახვეწილ ქართველ სამეფო სახლეულთაგან ისტორიამ თავის გმირად ლტოლვილი ქართველი მეფის სწორედ უფროსი ძე და ტახტის მემკვიდრე ამოირჩია.

და ამიერიდან ისტორიითვე ამ სახელით მოინათლება:

ფ ი რ ა ნ ი ბ ე რ ი ე ლ ი.

იგი იმპერიაში ჭაბუკობითვე დაწინაურდა, ვითარცა უმამაცესი მხედარი და უნიჭიერესი მხედართუფროსი.

გამორჩევით შეჰყვარებოდა ფირან იბერიელი იმპერიის მთავარსარსარდალს, სახელოვან ველიზარს. ერთად იბრძოდნენ ბერძენი და ქართველი სტრატეგოსები დასავლეთში და აღმოსავლეთში — გერმანელებთან და სპარსელებთან.

ლაჩრებით, მოღალატეებით, გაიძვერებითა და მლიქვნელებით გარშემორტყმული ველიზარი დიდად აფასებდა ქართველი ვაჟკაცის ჭეშმარიტ ვაჟკაცობას, სიქველეს, ერთგულებას, გონგამჭრიახობას და თავდადებას. ამიტომ ხშირად იგი ყველაზე სამძიმო და საპასუხისმგებლო ბრძოლის მეთაურად აგზავნიდა ქართველ სარდალს.

535 წელს გუთ-გერმანელებთან ბრძოლებში, სიცილიასა და იტალიაში, ბიზანტიელთა პირველ გმირად სწორედ ფირან იბერიელი აღიარეს.

537 წელს რომის კარიბჭეებთან, ველიზარის მოსვლამდე, ქართველი სარდალი მცირერიცხოვანი რაზმით წარმატებით იგერიებდა გუთების მრავალრიცხოვანი მხედრობის გახელებულ შეტევებს.

გერმანელთა მამაცი მეფე და ბელადი — ვიტიგისი, განცვიფრებული იყო ფირან იბერიელის ძალგულოვნებით და შემმართებლობით.

იმავე წელს ფირანმა რომის მეორე კარიბჭიდან — სალარიიდან, სულ რამდენიმე მეომრის თანხლებით, აოტნა გერმანელები.

539 წელს ველიზარს იტალიაში ორი დიდი ციხე-ქალაქი ... ლები — ურბიბენტუსი და ურბინუსი. პირველის წინააღმდეგ ... რიელი გაგზავნა, მეორეს კი თვითონ შეუტია.

ბიზანტიელმა ალყითა და შიმშილით დაიპყრო ქალაქი, ქართველმა — ხმლითა და იერიშით.

იმავე წელს აფრიკაში, ვანდალებთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი კეისრისგან წარგზავნილ სარდლებს — რ უ ფ ი ნ ე ს და ლ ე ო ნ ტ ი ს.

და ფირან იბერიელმა შეიტყო, რომ რუფინე და ლეონტი წარმოშობით კოლხები ყოფილან, სახელოვანი ფ ა რ ს მ ა ნ კ ო ლ ხ ი ს შვილიშვილები, ზ ა ვ ნ ა ფარსმანის ძის შვილები...

543 წლიდან ფირან იბერიელი იბრძვის აღმოსავლეთში. ამ წელს, მესოპოტამიაში, ტრავნონთან გამართულ ბრძოლაში ფირანმა სასტიკად დაამარცხა სპარსელთა ჯარი.

მომდევნო წელს ქალაქ ედესასთან ისევ გაანადგურა ქართველმა სტრატეგოსმა სპარსელები.

(ალბათ, რა გახელებით ერკინებოდა ეგი მტრებს, რომელთაც მას მისი კუთვნილი და საოცნებო ქართული ტახტი დააკარგვინეს...).

... მაგრამ ამავე 544 წელს მოულოდნელმა სიკვდილმა უყელა ფირან იბერიელს.

სანადიროდ ყოფილიყო გასული ნადირობის მოტრფიალე ვაჟკაცი.

(ნადირობის ჟამს კი იოლად მიიღწევა სიკვდილი).

და მკვდარი იპოვნეს, სადღაც ჟალტამში დაგდებული.

თავზე ცხენი ადგა.

ალბათ, ცხენიდან გადმოვარდაო.

და დაივიწყეს...

(ამნაირია ბედი სამშობლოდაკარგული და „გაუცხოებული" ადამიანისა: ღვიძლი დედა ვ ე ღ ა რ იხსენებს, დედინაცვალი კი ა ღ ა რ ახსენებს).

ერთადერთი ძე დარჩენია უცხო მიწაში დამიწებულს, სახელად ბაკურ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი უნდა დაბადებულიყო, სადღაც, 525 წლის მახლობლად.

უნდა დაბადებულიყო კონსტანტინოპოლს, სადაც აგერ ოცი წელიწადი გადმოხვეწილ-გადმოსახლებულიყო მათი ოჯახი — ოჯახი გურგენ ქართველთა მეფისა.

ახალშობილი, სახელად ბ ა კ ურ ი, იყო სწორედ შვილიშვილი გურგენ მეფისა, ძე სახელოვანი ბიზანტიელი (!) სტრატეგოსის ფირან იბერიელისა.

თვითონაც მეომრად და სარდლად აღზრდილიყო ბაკურ ფირანის ძე.

სახელიც დიდად გაეთქვა სიმამაცით და სიქველით, ნიჭით და საზრიანობით.

ბიზანტიის მთავარსარდლობაც ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო ბრძოლებში აგზავნიდა „ბიზანტიელად" შობილ და გაზრდილ ქართველს.

მაშინ იტალიაში შემოჭრილ გერმანელებთან ჰქონდათ დიდი ბრძოლები ბიზანტიელებს. გერმანელებს ტოტილა მოუძღოდათ, მათი მამაცი მეფე და ბელადი. განსაკუთრებით 552—553 წლებში მისჭირდათ ბიზანტიელებს. ტოტილამ ალყა შემოარტყა სამხრეთ იტალიაში ქალაქ კროტონს, რომელშიც ბიზანტიელთა ციხიონი იდგა. ქალაქ ტარენტუმიდან კი გერმანელებმა ბიზანტიელები გამოდევნეს და სამხრეთ იტალიის ეს დიდი ქალაქი და სტრატეგიული პუნქტი თვითონ დაიჭირეს.

და მაშინდელმა კეისარ-იმპერატორმა იუსტინიანემ ფლოტით და ჯარით სამხრეთ იტალიისკენ აფრინა ბაკურ იბერიელი.

ბაკურმა იონიის ზღვა სწრაფად გადალახა და ფლოტი სწრაფადვე შეიყვანა კროტონის უბეში. იერიშიც მაშინვე ბრძანა სარდალმა. გერმანელებმა ასე მოულოდნელ და ფიცხელ შეტევას ველარ გაუძლეს და კროტონს ალყა მოხსნეს; გერმანელთაგან ვინ ზღვაზე გაასწრო და ვინ ხმელზე.

ახლა ტარენტუმისკენ დაიძრა ბაკურ ფირანის ძე.

ბრძოლის დაწყებამდე, ტარენტუმში და აქერონტში მდგარი გერმანელების ბელადებმა — რაგნარისმა და მორასმა, ქართველ სარდალს სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვეს და ქალაქის ჩაბარება აღუთქვეს. რაგნარისმა თან მძევლებად ექვსი მეომარი გამოუგზავნა ბაკურს.

ქართველმაც სიტყვა მისცა მოპირდაპირეს. მერე ქალაქების ჩასაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლად და ბიზანტიურ ქვეშევრდომობაში გერმანელ სარდალთა ბისაღებად მოემზადა.

მაგრამ უცებ მდგომარეობა შეიცვალა. ტოტილას მეტოქე ამოიჭრა და — ვიღაც ტეია, რომელმაც გერმანიის „ჭეშმარიტ მეფედ" გამოაცხადა თავი. რაგნარისს ტეიასთან შერიგება ჭკუაში დაუჯდა და ბაკურ იბერიელთან პირის შლა და სიტყვის გატეხვა გადაწყვიტა. უპირველესად, მან ის იფიქრა, რანაირად დაებრუნებინა ის მეომრები, რომლებიც მანამდე მძევლებად გამოუგზავნა ბაკურს. ამ მიზნით მან ასეთ ხერხს მიმართა: ბაკურს შემოუთვალა, მცირეოდენი რაზმი გამომიგზავნე, რათა ქალაქიდან უშიშრად გამოვიდე და კონსტანტინოპოლშიც მშვიდობით ჩავაღწიოო..

ქართველ სარდალს თურმე მთელს არმიაში იცნობდნენ როგორც გასაოცრად მიმნდობი გულის ადამიანს. და ახლაც იგი ამნაირი უყოყმანო ნდობით მოპყრობია ვერაგი ბარბაროსის შემონათვალს. აიღო და რაგნარისს მართლაც გაუგზავნა თავისი ორმოცდაათი მეომარი. რაგნარისმაც ეს ორმოცდაათი ბიზანტიელი საპყრობილეში ჩაყარა და ბაკურს შემოუთვალა: თუ ახლავე ის ჩემი ექვსი მეომარი უკანვე არ გამოგიგზავნია, ყველა შენს მეომარს ყელებს დავჭრიო.

ასეთი ვერაგობით ცეცხლმოდებულმა ბაკურმა მაშინვე საომრად დასძრა თავისი მხედრობა.

რაგნარისმაც არც აცივა, არც აცხელა, იმ ბიზანტიელ მეომრებს მართლაც ყელები დასჭრა და თავისი ჯარებიც საომრად გამოიყვანა.

ქართველმა სარდალმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებულს ვერც ამან გაუქარვა ბოლმა და ჯავრი: რაგნარისმა, რომელმაც ბრძოლაში თავისი გერმანული ლაშქრის უმეტესი ნაწილი დაჰკარგა, თვითონ მაინც ცოცხლად მოახერხა საბედისწერო ბრძოლის ველიდან თავის გაღწევა.

ბაკურმა ტარენტუმიც აიღო, აქერონტიც და ორივეში ბიზანტიური ციხიონები შეაყენა.

ამით თავდება ყოველი ცნობა ბაკურ ფირანის ძის ცხოვრებისა.

დარჩა მხოლოდ განსვენება უცხო მიწაში.

ფაზა იბერიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე VI საუკუნის 40—50-ან წლებში იყო კიდევ ბიზანტიაში ფრიად სახელმოხვეჭილი ქართველი მხედარი და მხედართუფროსი ფ ა ზ ა ი ბ ე რ ი ე ლ ი, ისიც გურგენ მეფის შვილიშვილი, ფირანის ძმისწული, ბაკურის ბიძაშვილი (მამის სახელი არ შემოგვინახა ისტორიამ).

542 წელს კეისარმა იუსტინიანემ იტალიის პრეფექტად გაგზავნა მაქსიმინე, რომელსაც თან გააყოლა ფლოტი თრაკიული და სომხური ჯარებით.

თრაკიელებს სარდლობდა ჰეროდიანე, ხოლო სომხებს ფაზა იბერიელი.

იმავე წელს ტოტილამ, გერმანული მხედრობით, ნეაპოლის მხრიდან შემოუტია იტალიას.

მაქსიმინემ ჰეროდიანე და ფაზა იბერიელი გაგზავნა სამხედრო ხომალდებით.

გავიდნენ თუ არა, საშინელი ქარტეხილი ამოვარდა ზღვაზე.

ხომალდები დაეფანტათ დრუნგარებს (ადმირალებს).

უკუიქცნენ ხელცარიელნი.

რამდენიმე დღეში ქარტეხილი ჩავარდა და ბიზანტიელმა სარდლებმაც მოახერხეს უკუექციათ გერმანელები ნეაპოლიდან.

547 წელს თვითონ მთავარსარდალი ველიზარი გაემართა ფლოტით და ლაშქრით ტარენტუმისკენ.

ზღვიდან თვითონ მიადგა ქალაქს ველიზარი, ხოლო ხმელეთიდან — ფაზა იბერიელი და მისი მხედრობა.

ორმხრივი მძლავრი იერიშის ქვეშ გერმანელები იძლივნენ და ქალაქიც ბიზანტიელებს შეატოვეს ხელთ.

გამარჯვება ბიზანტიელთა სიხარბემ და სიმდაბლემ შერყვნა. ისინი საძარცვავად და სარბევად მოედვნენ ახლომახლო სოფლებს.

ფაზა იბერიელი აღშფოთებული ჩაკეტილიყო ჯარავში.

უცებ გერმანელთა მგრგვინავი საომარი ყიჟინა გაისმა.

ტოტილას დამხმარე ძალები გამოეგზავნა თავისიანთა მისაშველებლად.

დაქსაქსული და დაბნეული ბიზანტიელები უეჭველი განადგურებისთვის განწირულიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ელვასავით გამოიჭრა კარვიდან ფაზა იბერიელი.

ცხენს მოახტა და სამწყობროდ თავისთან მოუწოდა ჯარს.

გამხნევდნენ ბიზანტიელნი. გულმაგრად მიაშურეს სარდალს.

ვინც კი მოასწრო, სახელდახელო რაზმეულებად შემოიყარა იბერიელმა. და კონტრშეტევით შეუტია გერმანელებს.

ორივე მხარე გააოცა ფაზა ქართველის მეომრულმა სიქველემ და სიკისკასემ.

უკუიქცნენ გერმანელები.

დაედევნა ფაზა იბერიელი.

ერთ ვიწრო ხეობაში ჩაინთქნენ დევნილებიც და მდევრებიც.

ხაფანგში აღმოჩდნენ მდევრები.

ახლა მხოლოდ ლამაზი სიკვდილისათვის იბრძოდა ფაზა იბერიელი.

შორიდან ნაძგერალი ისრებითა და პილუმებით დაცხრილული გადმოეშვა ცხენიდან.

ბიზანტიელები, განსაკუთრებით ველიზარი, დიდი სიმძიმილით შეხვდნენ უმამაცესი სარდლისა და მეომრის სიკვდილს.

და, კვლავ, უცხოთათვის აღსრულებულის სხეულიც უცხო მიწაში დამიწდა.

კონსტანტინე კახი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 768 წელს, კახეთში.

სახელად — კონსტანტი, ანუ კონსტანტინე; წარმომავლობით „საზეპურო ერისაგანი", ერისთავი წარჩინებული.

იდგა დროჟამი არაბთა (სარკინოზთა, აგარიანთა) ბატონობისა ამიერკავკასიაში.

საქართველო იყო დაშლილ-დანაწილებული: ქართლი — ცალკე, კახეთი — ცალკე, დასავლეთ-საქართველო („აფხაზეთი") — ცალკე, სამხრეთ-საქართველო, ანუ ტაო-კლარჯეთის სამეფო — ცალკე.

თვითონ ტფილისი, უკვე მეორე საუკუნე მიდიოდა, რაც საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. საქართველოს „ყოფილ" სატახტოში არაბ ამირას ედგა ტახტი.

ტფილისის არაბი ამირა დრო და დრო თავის უფალს და მბრძანებელს, არაბეთის სალიფასაც განუდგებოდა და თავს დამოუკიდებელ ხელისუფლად აცხადებდა.

იმჟამადაც, 852 წელს, ტფილისის ამირამ, საჰაკ იბნ ისმაელმა ამიერკავკასიაში დაწყებული აჯანყებით ისარგებლა და ხალიფას ხარკის გადახდა შეუწყვიტა.

მაშინვე ხალიფა მუთავაქილმა ამიერკავკასიაში აჯანყების ჩასაქრობად და ტფილისის ამირას დასასჯელად 30 000-ანი არმია გამოგზავნა. სარკინოზთა მხედრობას ამჯერად სათავეში ედგა ბუღა, „თურქი მონა", უკიდურესად სასტიკი და კაცთმოძულე მხედართმთავარი.

ბუღა თურქი ჯერ სომხეთში შემოიჭრა, აჯანყებულნი გაანადგურა, მათი ბელადები შეიპყრო და ბორკილდასხმულნი, არაბეთის სატახტო ბაღდადს გაგზავნა.

სომეხთაგან „ზღვის ვეშაპად" მონათლულმა ბუღამ 853 წელს თავისი უზარმაზარი მხედრობა საქართველოს შემოუსია.

წინასწარ ბაღდადელმა სარდალმა ტფილისელი ამირას წინააღმდეგ დახმარება ტაო-კლარჯეთის მეფეს, ბაგრატ პირველ კურაპალატს თხოვა.

საპასუხოდ საჰაკ იბნ ისმაელმა დასავლეთ საქართველოს მეფე თეოდოსი მეორესთან გააბა კავშირი.

არაბები ტფილისს მოადგნენ მტკვრის მარცხენა მხრიდან.

ბულამ ჯარები აარჩია, თავის ერთ სარდალს, ზირაქს ჩააბარა და ქალაქზე საიერიშოდ გაგზავნა.

არაბებმა მტკვარი გადალახეს და ანთებული კუპრის ნოხებით შეუტიეს ტფილისის კედლებს. ქალაქში შეიჭრნენ. ბულაც შეჰყვა დანარჩენი ჯარებით.

ამირა საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრეს და ბულას ბრძანებით თავი გააგდებინეს.

ტფილისი სრულიად გადასწვეს სარკინოზებმა.

50 000 ტფილისელი გაწყდა მაშინ.

ეს უმძიმესი ტრაგედია საქართველოს სატახტო ქალაქს თავს დაატყდა 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს.

დასავლეთ საქართველოს მეფე თეოდოსის დააგვიანდა ტფილისზე მიშველება. ისევ ზირაქი გაგზავნა ბულა თურქმა თეოდოსის შესახვედრად. ბაგრატ კურაპალატიც დამხმარე ძალად გაჰყვა ზირაქს.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა ლიახვის პირას. თეოდოსი დამარცხდა და უკუიქცა.

ტფილისისკენ შემობრუნებულ ზირაქის ჯარებს წინ გარდაბნელ კახთა ლაშქარი გადაუდგა და სასტიკად დაამარცხა.

გამძვინვარებული ბულა თურქი კახეთს შეესია, გაძარცვა და გააპარტახა სოფლები, გამოირეკა ტყვეები.

ტყვეთა შორის იყო ერისთავი კონსტანტი კახი, დიდად სახელგანთქმული მამულიშვილი, უკვე 85 წლის მოხუცი. კონსტანტისთან ერთად შეპყრობილ იყო მისი ძე თარხუჯ.

ორივენი, ტყვე მამა-შვილი, ხალიფას გაუგზავნა ბულა თურქმა, ბაღდადს.

ხალიფა მუთავაქილმა ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადის სჯულის აღიარება უბრძანა კონსტანტის.

მოხუცმა ქართველმა ცივი უარი სთქვა.

ხალიფა დაემუქრა:

„უკეთუ არ ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისათა, და ხორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ხელთაგან ჩემთა!“

შენს ხელთ მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული — უპასუხა ურყევი ხმით ქართველმა — ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილისა და, როგორც გენებოს ისე მომექეცეო.

განრისხებულმა მუთავაქილმა კონსტანტი კახი საპყრობილეში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი მიუჩინა: იქნებ თქვენ შეასმინოთ და დაიყოლიოთ მაჰმადიანობაზე ეგ მოხუცი ქართველი. მაგრამ ვერც ეს ქრისტიანი რენეგატები გახდნენ ვერაფერს. ვერც სასტიკმა ცემამ და წა-

მებამ გაჭრა. კონსტანტი ერისთავი ქრისტიანობას და ქართველობას არ ღალატობდა.

853 წლის 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს, ხალიფას ბრძანებით, კონსტანტი ქართველს, მის ძესთან ერთად, თავი გააგდებინეს.

იმდროინდელმა ქართველმა და სომეხმა ქრისტიანებმა კონსტანტი კახი წმიდა მოწამეთა სიაში ჩარიცხეს.

სული ამაღლდა, ხოლო სხეული მისი დარჩა უცხო მიწაში დამიწებული.

იოანე — ზოსიმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა X საუკუნის, ალბათ, 10—20-ან წლებში.

უცნობი არის თვით დაბადების ადგილიც კი. იქნებ, საქართველოშიც არ შობილა, არამედ მისგან უფრო შორს — პალესტინაში, საიდანაც თავს იჩენს დასაწყისი მისი ღვაწლისა.

იოანე-ზოსიმე, ანუ როგორც თვითონ იტყოდა თავის თავზე — „იოანე ფრიად ცოდვილი ზოსიმე" — ასე ორი სახელით გამოაღწია ამ უცნაურმა ერთპიროვანმა ისტორიის ტყე-მაღნარებში და დღემდე მაინც ვერ გარკვეულა, რომელი იყო ყრმობის სახელი — იოანე თუ ზოსიმე? ანუ რომელი ერქვა ერობისას და რომელი დაერქვა ბერობისას?

გარეგნულად კი, სხეულებრივად, ყოფილა მეტად ავადმყოფური, ტანგანრღვეული, ხაშმიან-ციებიანი, მხედველობითაც ფრიად ნაკლულოვანი.

— მე, „დიად ხაშმმან და ბრმამან და დიად უღონომან", — თვითონვე ჩაურთავდა ხოლმე წერის ჟამს თავისვე ხელით.

ხოლო, ამ ლამის მიმქრალ სხეულში სწორედ რომ უწმიდესი, უმტკიცესი და უმძლავრესი სული სდგომოდა იოანე-ზოსიმეს.

ასე რომ — რომაელთა ცნობილ ნათქვამს — „mens sana in corpore sano" („ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში"), იოანე-ზოსიმეში, ანუ ამ „დიად უღონოში", ასეთი გარდასახვა უნდა მიეღო: mens sana in corpore invalido" („ჯანსაღი სული სუსტ სხეულში").

და მიუხედავად ამისა, დიღხანსაც იცოცხლა, დიდად ნაყოფიერადაც ღვაწა.

იყო ბერი და რიგით ბერ-მონაზვნობაზე მაღლა საეკლესიო იერარქიის კიბეზე არცერთი საფეხურით არავითარი ხარისხი და თანამდებობა ფიქრადაც არ უფიქრია, საქმითაც არ გაუკარებია.

მხოლოდ მწერლობისთვის მიეძღვნა სრულიად ღვთითბოძებული სული იოანე-ზოსიმეს.

ჯერ იგი პალესტინაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საბა განწმედილის მონასტერში. შემდეგ კი, სხვა ქართველ საეკლესიო თანამოღვაწეებთან ერთად, გადავიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა სინას მთაზე.

და ორივე ქართულ სავანეთა შინა დაუწერია იოანე-ზოსიმეს:

„საგალობელნი იადგარნი..."

„კანონი",

„კრებაი თთუეთაი წელიწდისათაი“,
„ცნობისათვის და უწყებისა ჭეშმარიტად...“
ლექსი აკროსტიქი („გეორგი“) — „ანდერძი იადგარისაი“.
ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უმთავრესი და მარად უკვდავებამდე ამაღლებული არის იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ესაა უსაზღვრო გზნება პატრიოტიზმისა, გაცხადებული მშობლიური ქართული ენის აპოთეოზში.

აქ ქართული ენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერჯერობით „დამარხულ“, ანუ „დღესამომდე მძინარე არს“, იგი აღსდგება, ვითარცა ლაზარე და ქრისტე მეორედ მობრძანებისას სწორედ ქართულ ენაზე ამხელს და განიკითხავს ქვეყნიერებას. ქართული ენა თანაბარია ეგზომ განვრცობილი ბერძნულისა, ვითარცა ნინო (ქართულად მომნათვლელი) და ჰელენე (ბერძნულად მომნათვლელი); ეს ორი ენა დები არიან, ვითარცა მარიამ და მართა...

დამარხულ არს ენაი ქართული
დღედმდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი
მძინარე არს დღესამომდე
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაი.

და მეგობრობაი
ამისთვის თქვა,
რამეთუ ყოველი საიდუმლოი
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან,
რამეთუ „ათასი წელი —
ვითარცა ერთი დღეი“.

და სახარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავსა მათეისსა,
წილი ზის, რომელ ასოი არს.
და იტყვის ყოვლად
ოთხ ათასსა მარავსა, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ესე არს ოთხი დღეი,
და ოთხისა დღისა მკვდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაითა.

და ესე ენაი,
შემკული და კუთხეული სახელითა უფლისაითა,
მდაბალი და დაწუნებული —
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა,

და სასწაულად ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტეის სხვათა ენათა
ქრისტეის მოსლეითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისაი.

აი იგი, უბადლო საგალობელი ქართული ენისა!

და, მისი ავტორი, თვითონვე „შემკული და კუთხეული სახელითა უფლისაითა“.

და, ქართული ენის ეს უპირველესი მგალობელი ქართული მიწის გარეთ აღესრულა.

და უცხო მიწაში დამიწდა.

ძმანი
ჩორდვანელ — მთაწმინდელნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი, ორნი ძმანი, დაიბადნენ X საუკუნის, სადღაც 30—40-ან წლებში, სამხრეთ საქართველოში, ტაოში.

უფროსი — თ ო რ ნ ი კ ე.

უმცროსი — ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე.

გვარი, ფრიად წარჩინებული — ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ი.

ორივენი აღზრდილიყვნენ, ვითარცა სპასპეტნი კამორჩეულნი, საომარ ველზე მხნენი და ახოვანნი, გონებით ბრძენნი და სულით ღვთისნიერნი.

უახლოესნი კარისკაცნი და თანამებრძოლნი დიდებული მეფის, დავით მესამე კურაპალატისა.

ერთ დღეს, ძმათაგან უმცროსმა, ვარაზვაჩე ჩორდვანელმა ხელი აიღო საერისკაცო ცხოვრებაზე, რადგან ჰქონებოდა „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისაი გულსა მისსა მძაფრად აღტყინებული“.

სასულიერო სახელად დაირქვა ი ო ა ნ ე.

ყოველივე ქონება, რაიც გააჩნდა, ღარიბებს და უპოვართ დაურიგა.

ცოლ-შვილი მიატოვა.

ბერის სქემით შეიმოსა და სადღაც გადაიკარგა.

ნაცნობებთან და ახლობლებთან შეხვედრებს გაურბოდა და ეკლესიიდან ეკლესიაში ადგილს ინაცვლებდა.

ყველაზე დიდხანს „ლავრასა დიდებულსა ოთხსა ეკლესიათასა“ მოათია. იქ მხოლოდ წმიდა მამათა, მოსეს და გელასის გაუმხილა თავისი ვინაობა და მათგანვე მიიღო კურთხევა ბერობისა.

ბოლოს ადგა და სულ წავიდა საქართველოდან.

მივიდა მცირე აზიის დასავლეთ კიდურს, ბითვინიას, ულუმბოს მთაზე აღმართულ დიდ მონასტერში. და დადგა აქ ჯორთა და კარაულთა მომვლელ მწყემსად და მეჯინიბედ.

და აქვე გაეცნო და დაუახლოვდა ა თ ა ნ ა ს ე ბ ე რ ს — მამით ბერძენს, დედით ქართველს (ლაზს)...

... სწორედ იმჟამად ბიზანტიის კეისარმა რომანოს მეორემ ქართველთა მეფე დავით კურაპალატს მოსცა „ზემონი ქუეყანანი“ (არზრუმისა და ბასიანის მხარენი) და სამაგიეროდ კონსტანტინოპოლს მძევლებად წაიყვანა წარჩინებულ ქართულ ოჯახთა ძენი.

და მძევალთა შორის აღმოჩნდა ძე იოანესი ეფთვიმე, ყრმაი ხუთისა წლისა.

იოანეს სიმამრს, აბუჰარბის, და ცოლისძმებს, თავისი შვილები ესენი ქართველოში დაეტოვებინათ, ხოლო უდედმამოდ დაგდებული ეფთვიმე უცხო მძევლობისა და ტყვეობისთვის გაემეტებინათ.

იოანემ ორი წლის შემდგომ სცნო თავისი შვილის ამბავი და მაშინვე ულუმბოდან კონსტანტინოპოლს გაეშურა. ჩასვლისთანავე სიმამრი და ცოლისძმები იხმო და მწარე საყვედური აღუვლინათ: რაი არს ესე, განა შვილები თქვენი არა გყავთ? გარნა, ცხადია, საკუთარი არ გაიმეტეთ და მძევლად ჩემი ობოლი გასწირეთო; რა გაეწყობა, — უფალმან შეგინდოთო შეცოდებანი თქვენნი. უთხრა და ისე, რომ დატუქსულთა პასუხისთვისაც არ დაუცდია, კეისრის სასახლეს მიაშურა. მისი სახელი უკვე სცნობოდათ სასახლის კარზე. ამიტომ კეთილად მიიღეს, თხოვნა მოუსმინეს და შვილიც დაუბრუნეს.

მამამ შვილი ულუმბოს ლავრაში მიიყვანა.

ეფთვიმეს კი იმ ორწლიანი მძევლობის განმავლობაში ქართული ენა სულ დავიწყნოდა და მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა.

უსაზღვროდ შეძრული და შეწუხებული იოანე დღე და ღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ისევ ამოედგმევინებია შვილისთვის ენა ქართული.

იოანესთან დამეგობრებული ათანასე ბერი კი ათონის მთაზე წასასვლელად აემზადა და იოანესაც ეზრახა, შენც შენის ძით ჩემთან წამოდიო.

სანამ შვილს ქართულს არ დავუბრუნებ, ცოცხალის თავით აქიდან გამსვლელიც არა ვარო, — თქვა და გაათავა იოანემ.

ათანასე ათონს წავიდა, მაინც იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნებოდა და ქართველი მამა-შვილი მის გზას გაჰყვებოდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ყრმა ეფთვიმე მოულოდნელად რაღაც „მძაფრითა სენითა“ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. დღე და ღამე ოფლში ცურავდა, სიცხისგან იწვოდა, უსაშველო ალმურისგან სუნთქვა უწყდებოდა. რა ბალახები არ უხარშეს, რა საფენები არ აფინეს, რა სალოცავნი არ ულოცეს აქიმობაში გაწაფულმა ულუმბოელმა ბერ-მონაზნებმა, მაგრამ არაფერმაც არ გაჭრა.

და, როცა შვილი „სიკვდილსა მიეახლა“, სასოწარკვეთილი მამა ერთხელ კიდევ და უკანასკნელად წავიდა ტაძრად, ერთხელ კიდევ დაემხო ღვთისმშობლის ხატის წინაშე და შეჰღაღადა ცრემლითა უმწარესითა:

„ღვთისმშობელო ქალწულო, კუთხეულო, სძალო უსძლოო, ნეოხ ეყავ შვილსა ჩემსა; ნუ ინებენ მომიკვდეს იგი ეგზომ ენადავიწყებული; ნუ ჩაუქრობ კიდევ ერთ სანთელს შენს წილხვდომილ საქართველოს, დედაო სახიერო, დედაო ღვთისაო, სძალო უსძლოო!..“

ტაძრიდან გამოვიდა მაინც უსახსრო სულით და მღვდელს შეუთვალა,

მოდი და სიკვდილის პირს მიმთხვეული შვილი მიზიარეო. შეუთვალა და აღარ დაუცადა, ისე გაიქცა მომაკვდავი შვილისაკენ.

კარი შეაღო და გაქვავდა კაცი.

ეფთვიმე ლოგინზე იჯდა, მშვიდი, მწყაზარი, თითქოს ღრმა ძილისაგან ახლად გაყრილი და გამორჩეული.

„შვილო“!

„რა იყო, მამა?“ — ეს ქართულად თქვა ყმაწვილმა.

„მითხარი, შვილო!“ — ლამის შეიშალა იოანე.

„რა გითხრა, მამა?“ — გაკვირვებით იკითხა ყრმამ, ისევ სრული ქართულით.

„შვილო, არაფერი არ გტკივა, არაფერი არ გელმის, შვილო?“

„არა, არაფერიც არ მელმის“.

„ხოლო, ეს ქართული?“

„იცი, მამა, — რაღაც არაამქვეყნიური ღიმილით დაიწყო ყრმამ — ის იყო, სადღაც ტკბილ ბურანში ვიძირებოდი, ვიღაცამ ხელი მომკიდა, გამომაბრუნა და გამომაღვიძა. და მე ვიხილე დედოფალი, ცისკროვან სახით, რომელმან მითხრა ქართულითა ენითა: რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? — არ ვიცი რაი მელმის, ოღონდ მე ვკვდები, დედოფალო, ვუთხარი მე. — ნუ გეშინინ, რამეთუ ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი; ხოლო ამიერიდან არარაი არს ვნებაი შენთანა და აღდეგ, ვითარცა ქართველი ქართულითა ენითაი! — მითხრა და გაუჩინარდა დედოფალი იგი“, — დაასრულა ეფთვიმემ და წამოდგა ფეხზე.

დაეცა და მუხლებზე მოეხვია მამა შვილს. დიდხანს სიზმარში ეგონა თავი. ისევ შვილმა წამოაყენა ფეხზე. ერთად შევიდნენ ტაძარში და ერთად დადგნენ ლოცვად ღვთისმშობლისა მიმართ...

ამიერიდან ორივე ენაში დაუცხრომლად სწაფავდა მამა შვილს.

და, „აღმოუდიოდა პირთაგან ვითარცა წყაროი“ ეფთვიმეს ყმაწვილობითვე ქართული „უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“, და ეგრევეთ — ენა ბერძნული.

და ეუბნებოდა მამა შვილს:

„შვილო ჩემო, ქართველთა ქვეყანა ფრიად ნაკლულოვან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რა ნიჭიც მოუმადლებია შენთვის ღმერთსა მაღალსა. და აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან და შეუვსო დანაკლისი იგი ერსა შენსა მშობელსა“.

ამასობაში დიდად განითქვა სახელი თვითონ იოანესი, რომელსაც, ვითარცა ღვთივშემოსილ ბრძენსა და წმიდანს დიდ პატივს მიუგებდნენ ბერძნებიც, ქართველებიც და სხვანი ყოველნი.

მაგრამ სწორედ სახელოვნებასა და პატივისგებას გაურბოდა იოანე, და რაკი სწორედ ეგზომი ყურადღებისაგან ულუმბოში უკვე ადარ და-ედგომებოდა, ერთ დღეს მან დაავლო ხელი თავის ძეს, კიდევ რამდენიმე მოწაფეც გაიყოლია და მათთან ერთად ულუმბოდან გაუჩინარდა...

... და, მივიდნენ ათონს, მთასა წმიდასა.

. . . . . .

ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ მხარეს არის ნახევარკუნძული, სახელად ქალკიდიკა, სამთითად შეჭრილი წყლის სამყაროში; ხოლო ამა სამთავან, აღმოსავლეთ შვერილს ძველთაძველი სახელით ეწოდება აკტე.

ხოლო, აკტეს უკიდურესი სამხრეთი გამონაშვერი არის მთა ა თ ო ნ ი.

აქაური მიწა, ზღვა, ცა და ჰაერსაბრუნავი — მშვენიერი, მაამებელი და მარგებელი ყოველი სულდგმულის სულისა და სხეულისა.

აკტე და ათონი ჰელინთა უძველეს მითოსურ სამყაროშია თავდაპირველად გააზრებული. თითქოს ამ ადგილზე ეხეთქებოდნენ ერთმანეთს საომრად აღძრული გიგანტები და ღმერთები. თითქოს აქ შეებნენ ერთმანეთს გიგანტი ათოს და ღმერთი პოსეიდონი, და აახეთქა დედამიწას ათოსმა უზარმაზარი კლდე, ესროლა ზღვაში ამომართულ პოსეიდონს და ჩადგა ზღვაში ხმელეთი, ვითარცა საზღვარი გიგანტთა და ღმერთთა საბრძანებელთა. და იმ გიგანტის სახელი შერჩა მისგან ნატყორცნ მთას — ა თ ო ს; და აქედანვე — ა თ ო ნ ი.

უფრო გვიან, ქრისტიანულ ხანაში, დაიბადა ეს თქმულებაც: მარიამ ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი ხომალდით კვიპროსისკენ მიემართებოდნენ. უცებ ზღვა აიშალა, აზვავდა, ხომალდი გაიტაცა და მანამ ატარა, სანამ ათონის კლდოვან ნაპირზე არ გარიყა. დაისვენა ღვთისმშობელმა, იქაურობა მოიხილა, ბუნების სიმშვენიერით მოიხიბლა და შესთხოვა თავის ღვთაება ძეს, იესოს, ებოძებინა მისთვის ათონის მთა.

დედის თხოვნა და — უმალვე ჩამოეშვა ცაზედეთიდან ხმა იესოსი:

„ამინ, ადგილი ესე საცხოვრისი შენი, წალკოტი შენი, სამოთხე და სალხინებელი!“

და ამიერიდან ეწოდა ათონის მთას — „აგიოს ოროს“, „წმიდა მთა“.

და დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე. პირველი მონასტრის დამაარსებელი — კეისარი კონსტანტინე დიდი. და ამ ტაძარმა ოცდაათი წელიწადი რომ მოათია, მოვიდა ანტიქრისტე კეისარი იულიანე განდგომილი და ძირიანად მოთხარა იგი. მერე, იულიანეს გადავლენიდან ოთხმოცი წლის შემდეგ, ღრმად მორწმუნე ქრისტიანმა იმპერატორმა თეოდოსი მეორემ ააშენა ახალი ლავრა. სწრაფად იზრდებოდა სამონასტრო და საასკეტო ცხოვრება ათონის მთაზე. შემდგომ — აზიაში არაბთა გამძლავრებამ და იქაურ ქრისტიანთა სამოღვაწეო-საცხოვრისზე მათმა მიმძ-

ლავრებამ უფრო აღამაღლა ათონის სახელი, ვითარცა ურწმუნოთაგან დევნილი ქრისტიანების მსხნელისა, შემფარველისა და გადამრჩენელისა.

გამორჩეული ცხოველმყოფელობით ათონის სამონასტროცხოვრებ-აღზევებას იწყებს მაინც მას შემდგომ, რაც აქ სამოღვაწეოდ მოვიდა ათონასე დიდი, როგორც ითქვა — მამით ბერძენი, დედით ლაზი-ქართველი.

და ათანასემ წმიდა მთაზე დააარსა დიდი ლავრა, რომელსაც საისტორიოდ შერჩა მისივე დამაარსებლის სახელი — ათანასე დიდის ლავრა.

ესეც უკვე ითქვა, რომ ათანასე მანამდე, ათონის მთაზე მის მოსვლამდე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზიური ოლიმპის, ანუ ულუმბოს მთაზე, იქაც მისგანვე აშენებულ მონასტერში, სადაც იგი პირველად შეხვდა აქ გამოცხადებულ ვარაზვაჩეყოფილ იოანე ჩორდვანელს.

და, ახლა ათონის მთაზე მივიდა იოანე თავისი ძით და მოწაფეებით.

. . . . . .

და შეხვდა სიხარულით ათანასე დიდი „ქართველთა საყუარელთა". შეხვდა, შეიწყნარა და დაამკვიდრა ისინი დიდ ლავრაში, რომელიც მას ახლახან დაესრულებინა მისივე მეგობრის, კეისარ ნიკიფორე ფოკას ცხოველი დახმარებით.

და იყვნენ მთაწმიდაზე ქართველი მთაწმიდელნი.

ვიდოდა ჟამი.

და ჟამს ემალვოდა იოანე მთაწმიდელი.

ხოლო, ამავე დროჟამის გმირი საქართველოში იყო უფროსი ძმა იოანესი თორნიკე ჩორდვანელი ერისთავი, სახელოვანი მხედარი და მხედართუფროსი.

და თორნიკე ერისთავიც შესდგომია უმცროსი ძმის გზას; საერო სამოსელი გაუხდია და სამონაზვნო სქემით შემოსილა. შემოსილა და წამოსულა იოანესთან შესახვედრად და მასთან დასამკვიდრებლად ულუმბოს მთაზე. მაგრამ რაკიღა ვისაც ეძებდა, იქ აღარ დახვდა, გამოიკითხა და შეიტყო სადაც წასულიყვნენ ძმაც და ძმისწულიც.

და ერთ დღეს თორნიკე ერისთავიც მივიდა ათონს.

მივიდა და, „ვინათგან დაფარვაი არღარა ეგებოდა", ძმები „ურთიერთას გამოეცხადნეს და სიყვარულითა სულიერითა შეიტკბნეს".

მთელი ტაძარი სიხარულმა მოიცვა. ძალიან გაიხარა ათანასემაც, რომელსაც ადრევე სცნობოდა თორნიკე ერისთავის „საქმენი, წარჩინებულობა და ახოვნება".

და მონაზონება ძმისა აკურთხა ძმამ.

და ახალ სახელად იმასაც დაერქვა ი ო ა ნ ე.

კიდევ „სვინგელოზი" უწოდა იოანემ უფროს ძმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიერიდან იყვნენ მთაწმიდაზე ძმანი მთაწმიდელნი, ორი იოანე — იოანე-ვარაზვაჩე და იოანე-თორნიკე.

და ორივენი გაურბოდნენ სახელს და პატივს, მაგრამ ვერ-ერა-ვერ-ერა დიდის პატივით ეგებოდნენ ძმათა წმიდანთა ყოველნი, ბერძენნი თუ ქართველნი. რა გაეწყობოდა — აკი „ღირსთა თვისთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს“.

და დაიწყო დენა ქართველ საეკლესიო-სასულიერო ნაკადისა ათონიკენ.

და გამრავლდნენ ქართველი „მთაწმიდელნი“ მთასა წმიდასა.

გამრავლდნენ და ზრახვა ჰყვეს ორივე იოანეთა: უკვე არა ჯერ არს ყოფნა ჩვენი ისევ ათანასე დიდის ტაძარში, აღარც მასპინძელს ეკადრება ჩვენგან შეწუხება, აღარც ჩვენ გვეკადრება სხვის ხიზნად ყოფნა; ამიტომ დრო დადგა თვითონ ავაშენოთ ქართველებმა ჩვენი ეკლესია სადგომი, და სალოცავიო.

და აღაშენეს ქართველებმა მთასა წმიდასა, ათანასეს ლავრისგან დაშორებით, „უდაბნოსა შუენიერსა“ ეკლესია წმიდა იოანე მახარებლის სახელობისა. ეკლესიასთან სხვა სალოცავნი, სენაკნი და სადგომნი გამართეს და დაბინავდნენ იქ ქართველნი და მათი მოძღვარნი — ითარცა „ანგელოზნი ღმრთისანი“.

დრო კი ვიდოდა — უსვენებლად და ულმობელად.

დრომ ინება და ბიზანტიის იმპერიის ბედიღბალი ხელთ ჩაუვარდა ქალს, სახელად თეოფანოს, რომელმაც იმპერიის ტახტზე დასვა ორი შვილი პირველი ქმრისგან, რომანოს მეორისგან — ბასილი და კონსტანტინე. მაგრამ რაკი ორივე ძმა მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მმართველობა მაინც თეოფანოს ეპყრა ხელთ.

და სწორედ მაშინ აზიურ პროვინციათა მმართველმა და მთავარსარდალმა ბარდა სკლიაროსმა აჯანყება დაიწყო მცირეწლოვან იმპერატორთა დასამხობად. აზიური მიწები სრულიად მოწყდა კონსტანტინოპოლის მორჩილებისგან და დღე-დღეზე სატახტოზე თავდასხმასაც ელოდა შიშით და ზარით ატანილი საიმპერატორო სასახლის კარი.

და ითქვა მაშინ „მსოფლიოს ჯიპსა ზედა“, ითქვა ხმამაღლა და გადაწყვეტილად, ვითარმედ:

„ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა არავინაა ქვეყანაზე!“

„სწორედ, ოდენ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა და გადარჩენა!“

და დაისაჯიროვეს კაცი, საქართველოში დავით კურაპალატთან გასაგზავნად, — ისეთი კაცი, აჯანყებული სკლიაროსისგან შეკრულ გზებზე რომ გააღწევდა.

და შეიტყვეს, ასეთი კაცი არის ათონზე — იოანე თორნიკ-ყოფილი.

და გაგზავნეს სასწრაფოდ სევასტოფორი ათონის მთაზე. შევიდა იგი და სამივეს — ათანასეს, იოანე-ვარაზვაჩეს და იოანე-თორნიკეს გადასცა მან მეფეთა წერილები, ასევე სამივეს სახელზე დაწერილნი. და სამივეში ეწერა, ვითარმედ: „ულმერთო სკლიაროსი გაგვიდგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რათა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა, იოანე-თორნიკე მოვიდეს წინაშე მეფობისა ჩვენისა“.

სამივე მამა ჩავარდა საგონებელს. აკი აღთქმა ჰქონდათ დადებული, არა სახის საერო საქმეს აღარ მიქცეოდნენ სიკვდილის კარამდე. მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ ათანასე და იოანე და დაუწყეს ვედრება თორნიკეს, უნდა წახვიდე შენ მეფეთა წინაშე კონსტანტინოპოლსო.

შეწუხდა და შეიჭირვა თორნიკე.

„წმიდანო მამანო — მიმართა მან ათანასეს და იოანეს — მე ჩემი ცოდვების გამო მოვსულვარ ამ წმიდა ადგილას და მეფეთა წინაშე წასვლა ხომ ისევ ცოდვათა გზაზე მიქცევა იქნება ჩემი, რამეთუ ხომ იცით, რაისთვის მიხმობენ მეფენი. მე, რაკიღა ღმერთმა ღირსმყო და მონაზვნის სახედ შემმოსა, ამიერითგან აღარც შეხვედრის ნება აღარა მაქვს აღარც მეფეებთან და აღარც სხვა ვინმე ამქვეყნიურ ადამიანთან. ამიტომ ვევედრები სიწმიდესა თქვენსა, ღმრთის სიყვარულისათვის შემინდეთ და ნუ მაიძულებთ სასახლეს წასვლად, რამეთუ უკეთუ წავიდე, ვიცი ისინი ამა ქვეყნის შფოთში ჩამაგდებენ“.

მაგრამ არ ეშვებოდნენ ათანასე და იოანე: უკეთუ ვეურჩეთ და არ წახველ მეფეებთან, უეჭველად დიდ რისხვას მოვაწევთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ტაძრებსაცო. შენ ოღონდ წადი და მაგის ცოდვა იქნება თუ ბრალი, ყველაფერი ჩვენს კისრად აგვიღიაო.

შვიდი დღე ეხვეწნენ, ემუდარნენ ასე და ბოლოს დაიყოლიეს.

და მივიდა იოანე-თორნიკე კონსტანტინოპოლს. მისვლისთანავე საღვთო კონსისტორიონს შეიყვანა იგი პარაკიმენონმა.

შემოეგებნენ დედოფალი თეოფანო და ძენი მისნი, ყრმანი მეფენი — ბასილი და კონსტანტინე. ორივე შვილი დააჩოქა თორნიკეს წინაშე თეოფანომ და შეჰღაღადა:

„წმიდაო მამაო, რაიცა ამ ობოლთა მიმართ წყალობა ჰქმნა, სამაგიერო ღმერთმა მოაგოს სულსა შენსა!“

ისევ სცადა წინააღმდეგობის გაწევა თორნიკემ, მაგრამ სული აღარ მოათქმევინა დედოფალმა:

„წმიდაო მამაო, რაიცა მიბრძანოს მეფობამან თქვენმა, თქვენსა ბრძანებასა როგორღა გარდავხდები. ოღონდ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავსა იდევ და, რა გზითაც გნებავს, წადი კურაპალატთან, წარუდექ და აუწყე ჭირი ჩვენი ყოველივე. და ევედრები ღმერთს, შენ და შენ-

მა მეფემ ის უღმერთო სკლიაროსი დაამარცხოთ და ჩვენ მაგ ჭირისაგან გადაგვარჩინოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ იუარა თორნიკემ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გატყდა დედოფალს: მე ჩემი ცოდვებისთვის შევიმოსე სახე ესე და ამიტომ სიკვდილზეც უმძიმესია კვლავ საერო საქმისადმი ჩემი მიქცევა, მაგრამ რაი ვყო არ ვიცი. ალბათ, თქვენს წმიდა მეფობას უარს ველარ შევბედავ.

გაიხარეს დედოფალმა და პარაკიმენონმა და ერთხმად შესძახეს: ოღონდ შენ ამ ობლებს უშველე და, რაიცა ცოდვა და ბრალი იყოს, ღმერთმა ჩვენს კისერზე იძიოსო.

და წავიდა თორნიკე საქართველოში, მისცა დავით კურაპალატმა თორმეტი ათასი ქართველი მეომარი, სარდლად უჩინა თვითონვე, და გაანადგურეს ქართველებმა სკლიაროსი მდინარე ჰალისის პირას, და იხსნეს უეჭველი დაღუპვისაგან ბიზანტიის ყრმა კეისარნი.

ხოლო თორნიკემ ჰალისის ველზე აღებული ალაფი და იავარი ნაწილი თავის მეომრებს დაურიგა, ნაწილიც ათონის მთაზე მიიტანა.

დიდის სიხარულითა და ამბორსყოფით შეეგებნენ ძლევამოსილად დაბრუნებულ ძმას იოანე, ათანასე და ყოველი ძმანი მთაწმიდელნი.

კვლავ უფრო იმით გაიხარეს, რომ თორნიკეს ათონზე თან ჩამოჰყვა „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“.

და, რაკი ახლა ჰქონდათ სახსარი ახალი ტაძრის მშენებლობისა, ერთხელ კიდევ იზრახეს და გადაწყვიტეს:

„ვინათგან ვართ ქართველნი, კაცნი სახელოვანნი, და კვლავ გვერთვიან ქართველნი და იზრდება სიმრავლე ჩვენი, უკვე აღაც იოანე მახარებლის ეკლესიაა საკმარისი და უნდა ავაშენოთ ახალი ლავრა ქართული“.

და აღაშენეს ქართველმა ათონელებმა დიდი ქართული ლავრა ღვთისმშობლის სახელობისა, მთაწმიდის უმშვენიერეს ადგილზე, თვალისა და სულის ამაყვავებელ გარემოში.

აშენდა და ისტორიაში სამუდამოდ დაიკანა მისმა სახელმა — „ი ვ ე რ ი“, „ი ვ ე რ ო ნ“, „ი ვ ი რ ო ნ“, ანუ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა“.

და აღმართეს ივერონის კარიბჭის თავზე სასწაულებრივი ხატი ღვთისმშობელი მარიამისა, საკვირველი ხელოვნებით მოოჭვილი და ცხოველმოსილი. და ხატსა ამასა უკვე გამოევლო თავისი ჭირთა-გარდასახდელი: ხატთა ჯალათის, თეოფილე კეისრის ჟამს ეს ხატი ნიკეაში ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში ესვენა თურმე. ერთხელ მეფის შიკრიკი მისულა ღამის გასათევად და ის ხატი რომ დაუნახავს, ხატმებრძოლი მეფის კაცს მაშინვე უძგერებია მახვილი. ხატიდან სისხლმა იფეთქა და მის დამჭრელს შეექცა. თავზარდაცემული შიკრიკი გადაიხვეწა, ხოლო დაჭრილი ხატი იმ დედაკაცმა ზღვაში ჩაასვენა. და ასორმოცდაათი წელიწადი ატარა ზღვამ ხატი იგი. ატარა და ბოლოს, ათონზე რომ ივერონი აშენდა, ათო-

ნის მთასთან მოცურდა იგი, და ხედავდნენ ათონელები, ღლისით როგორ ბრწყინავდა და ღამით როგორ ანათებდა ზღვაზე მოვარვარე ხატი. რამდენჯერ სცადეს მიახლოება და ამოსვენება, მაგრამ არავინაც ვერ მიახლოვა და არავის არ დანებდა იგი. მერე გაბრიელ ხუცესს შეეჭედრნენ, შენებრ წმიდანი ცხოვრებით ათონზე არავინ ცხოვრობს და იქნებ შენ სცადო ბედიო. გაბრიელ ხუცესი კლდის ნაპრალში იყო დაყუდებული, მხოლოდ წყალს თუ დალევდა და ბალახს მოსპოვდა, სხვა რამ საზრდელს პირს არ დააკარებდა. კიდევ — მისი პირიდან ერთი საერო სიტყვაც არ დაიძვროდა, არამედ ყოველივე მხოლოდ საღმრთოი და სასულიერო ითქმოდა მისგან. და ჩაუშვეს ზღვაში გაბრიელი, მიეახლა ხატს და ხატიც მოეახლა მას. და ამობრძანდა ხატი იგი ზღვიდან ხმელეთზე. ამობრძანდა მთაწმიდელ ქართველთა სამფარველოდ, მისი წილხვდომილი საქართველოს ქრისტიან შვილთა სამფარველოდ და საოხად. და აღმართეს იგი და დააბრძანეს ქართველმა მამებმა ახალი ლავრის შესავლის თავზე და ეწოდა ამიერიდან: კ ა რ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ობ ე ლ ი...

ივერონის ახლოს აშენდა კიდევ სხვა ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. და ამათ გარდა, ქართველებმა შეიძინეს „ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადასაყუდებულონი გარემოს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერ ზღვამდე, რომელნი — იგი მშვენიერ არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.

ათანასე დიდი ისევ დიდი სიყვარულით სწყალობდა ქართველებს. იოანე რომ ახალი ტაძრის მწყემსმთავარი გახდა, მაინც არ მოიშორა იგი ათანასემ. მოიშორა კი არა, ივერონი რომ დამთავრდა, მისი წინამძღვარი ათანასემ საქვეყნოდ და საჯაროდ თავისი ლავრის „სულიერ ეპიტროპად“ გამოაცხადა!

ხოლო, ოდეს აღარც მე და აღარც იოანე ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით, ორივე ლავრის — ქართულისაც და ბერძნულისაც — სულიერი ეპიტროპი ეფთვიმე უნდა იქნესო! — ანდერძით აცხადებდა ათანასე.

ივერონის დასრულებიდან და კურთხევიდან ორი წლის თავზე ათანასე გარდაიცვალა.

ხოლო, ყოველი სიმდიდრე, რაიც თორნიკე ერისთავს მთაწმიდაზე ჩამოეტანა, ყოველივე საამშენებლო და სახარჯოდ საარსებო, მთლიანად გადაეცა იოანესთვის. თვითონაც, „ეგევითარმან განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაი თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“. არაფრის უფლებას აღარ აძლევდა თავს იოანეს დაუკითხავად. უმისოდ ლამის წყალსაც გემოს არ გაუსინჯავდა, მის უნებართვოდ ერთ ფოლსაც თითს არ დააკარებდა.

და ეუბნებოდა იოანე-თორნიკე იოანე-ვარაზვაჩეს, ვითარმედ:

„მამაო, თვით იცი, დიდად ცოდვილ ვარ და სიკვდილი ჩემი მოახლო-

ებულ არს და შენს უნებური არარაი მსურს, არამედ ნებაი ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ტვირთად აწვა იოანეს უფროსი ძმის ეგზომი ქვედავრდომილობა და მარად იმას მიესწრაფოდა, არაფერი დაჰკლებოდა, მარად მყუდროებასა, პატივსა და კრძალულებაში ჰყოლოდა.

მაინც ვერ იქნა და ვერ ჩაიკლა მეომრული სული დიდმა მხედართმთავარმა წმიდა ბერობით დაშრეტილ სხეულში. ვერა და ვერ მოიშალა თხრობა გარდასული ბრძოლებისა. შემოეხვეოდნენ სმენად ქცეულნი მოწესენი და ისიც, ქარიშხლით შტოებდალეწილი მუხასავით შუაჩამდგარი, ჰყვებოდა თავდავიწყებით, ლეწავდა სიტყვას თვითტკბობით და სხვათა დატკბობით. და ერთხელ თავს წამოადგა იოანე ძმას და უთხრა წყნარად, კრძალვით და თითქოს წყრომითაც:

„საყვარელო ძმაო, ვხედავ, ღვთის მადლით, კეთილად წარემართები ყოველთა ცნებათა ღმერთისათა და არც მინდა წყენა რაიმე მივაყენო შენს წმიდა სულსა, მაგრამ განა შენსავ სულს არ აენებს იგი, რასაც ახლა და ამდენ ხანს მოუთხრობ ამ ხალხს? გთხოვ და გემუდარები, საყვარელო ძმაო, ეგ საერო ნათხრობნი საეროა და სოფლიოთა დააცადე, ხოლო შენ, უკეთუ ვერ დაიშლი, მაშინ უამბე მხოლოდ ერთს — გაბრიელ ხუცესს“.

ეს რომ ისმინა, მაშინვე დაემხო თორნიკე იოანეს ფეხებთან, დაემხო და შეჰლაღადა ცრემლთა თხევით:

„რად სდუმდი აქომამდე და არ მამხილე, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო?“

მაშინვე წამოაყენა იგი ფეხზე იოანემ, მოეხვია და უთხრა კეთილად:

„რაც იყო, ღმერთმა გაპატიოს, ხოლო ამიერიდან ეკრძალე!“

და ეკრძალა ისიც — სამუდამოდ ეკრძალა თორნიკე ერისთავი თორნიკობას.

იგი მიიცვალა და „ღმრთისა მივიდა“.

„ღმერთმან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნესა ცხოვრებასა ლირს ყო“, — თქვა იოანემ.

დაკრძალეს იქვე, ივერონს, (გარნა მაინც უცხო მიწასა შინა)...

იდგა ქრისტესშობითგან 985 წელი.

... როცა თორნიკეს დასაფლავებასა და მისი „სულის შეძინების“ საქმეებს მორჩა, იოანემ მოულოდნელად გაამჟღავნა განზრახვა, რომელიც ადრიდანვე ჰქონია გულს დაკრძალული და ამდენხანს თურმე თორნიკეს გამო არ გაუმხელია. ხოლო განზრახვა ესე ყოფილა: მისი ძის ეფთვიმესა და კიდევ რამდენიმე მოწაფის თანხლებით, წასვლა „ს პ ა ნ ი ა დ“!

სპანიად მრავლად ყოფილანო ნათესავნი ქართველნი, დიდი ხნის მკვიდრნი და შვილნი იქაური მიწა-წყლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გულს ამოეჭრა იოანე ათონელს წასვლა სპანიად, იქაურ ქართველებთან, რადგან თურმე თავიდანვე უფრთხოდა იგი აქაურ ქართველობაში შულლსა და შფოთს.

და „ივლტოდის სპანიად" იოანე მთაწმიდელი ძითა მისითა ეფთვიმეთი და კიდევ „რავდენიმე მოწაფითა".

ჯერ აბიდოსს მივიდნენ, რათა იქ ესპანეთისკენ მიმავალი ხომალდი დაეგულებინათ და კიდეც გაჰყოლოდნენ მას. სწორედ ამის შესატყობად მივიდა იოანე აბიდოსის მმართველთან, ძველ ნაცნობთან და მეგობართან. ძალიან გაიხარა აბიდოსელმა სახელოვანი ქართველის ეგზომ მოულოდნელი წვევით, მაგრამ იქვე უაღრესად გაუკვირდა და განაწყენდა, როცა მან სტუმრის განზრახვა შეიტყო.

არასგზით მე შენი გაშვება არ შემიძლიაო, მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა ბერძენმა ქართველს. — შენ, წმიდაო მამაო, ძალიან კარგად იცი, როგორი პატივისცემა და სიყვარული აქვთ ჩვენს კეისრებს შენი მაღალი ღირსებისა და ღვაწლმოსილებისაო. ამიტომ, თვითონ განსაჯე, რა სასჯელს დამატეხენ თავს ისინი, უკეთუ მათ დაუკითხავად გაგიშვებ შენ ჩვენი ქვეყნიდან იმ ქვეყნის დასალიერ სპანიაშიო. მე მხოლოდ ის შემიძლია, მეფეებს მივწერო შენი განზრახვა და, რასაც მიბრძანებენ, მეც იმას ავასრულებო.

სთქვა და ქმნა აბიდოსელმა. სასწრაფოდ წერილი აფრინა კონსტანტინოპოლს. პასუხიც სწრაფადვე მობრუნდა. ახლავე ჩვენთან წარმოგზავნე იოანე და მისი მხლებლებიო, — ბრძანებდნენ ძმანი კეისარნი.

და მიიყვანეს საღვთო კონსისტორიონს (იმპერატორის სასახლე) იოანე და იოანესნი.

პატივით შეხვდნენ კეისარნი, მოიკითხეს, მოუალერსეს და მერე, კრძალულად, საყვედურიც აკადრეს. წმიდანო მამანო, ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს თქვენი სიწმიდისა და სისპეტაკისა, მაგრამ ეს რატომ ხდება, რომ ჩვენგან გარბიხართ და უცხო ქვეყანაში წასვლა და ცხოვრება აგირჩევიათ?

მაშინ წამოდგა და თქვა იოანემ, ვითარმედ:

„ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! მე ადრე ერთი გლახაკი, ცოდვებით დატვირთული კაცი ვიყავი და გადავწყვიტე უცხოობაში ვადავხვეწილიყავი, ნაცნობს არსად გადავყროდი და სამუდამოდ ყველასთვის ხორცით დაკარგულს, სული ჩემი მეცხონებინა. მაგრამ ეს ვერ შევძელ იმის გამო, რომ, მოულოდნელად მოვიდა ჩემთან ჩემი ძმა თორნიკე, ველარ მივატოვე იგი და ჩავვარდი მისი გულისთვის ისევ შფოთითა და შულლით აღსავსე ერისკრებაში. ხოლო ახლა მაინც, როცა თორნიკე ამა ქვეყნიდან განსრულ არს, მინდა ვიყო ყოვლისგან თავისუფალი, წავიდე შორს და ვიზრუნო ოდენ სულისათვის".

კეისრებმა სიტყვა ესე მოისმინეს, მაგრამ არ შეისმინეს. ჯერ კარგა ხანს თვითონ კონსტანტინოპოლს დაიტოვეს და არ გამოუშვეს, ვითარცა „კეთილი სტუმარნი“. მერე, ბევრი არწმუნეს და ბოლოს დაარწმუნეს, უკანვე, ათონზე დაბრუნებულიყვნენ და სპანიაში წასვლაზე ფიქრი საფიქრალიდან სამუდამოდ ამოეკვეთათ.

და დაბრუნდნენ ისევ მთაწმიდას მთაწმიდელნი, ხელმწიფეთაგან ნაალერსევნი და ნასაჩუქრალნი.

და დაკნინდა, და დაჭლექდა ფიქრი ერთმანეთისთვის დაკარგული „ორი საქართველოს“ კვლავ — ხილვისა და კვლავ-შეხვედრისა...

ვიდოდა ჟამი.

წავიდა თორნიკე.

მიდიოდა იოანე.

მოდიოდა ეფთვიმე.

ნიკრისის სენმა შეიპყრო და შეხუთა იოანე და სამუდამოდ დასცა სარეცელზე. საშინელი ტკივილი უჭამდა სახსრებს. მაინც იყო სულით მხიარული და მადლობდა უფალს, ეგზომ უსაშველო ტკივილები რომ არგუნა ხორცსა მისსა. არ არსებობს ჩემთვის უფრო ძვირფასი საფასე, ვიდრე ეს ხორციელი ტკივილებიო, ამბობდა იგი; გულწრფელად ამბობდა, სულის ზეიმით და მხიარულებით.

მაგრამ სასტიკი სენით სხეულგანკაფულს და მარად დარეცილს აღარ შეეძლო სატაძრო სამწყსოსა და სათვისტომოს მწყემსმთავრობა. და ეევედრებოდა ეფთვიმეს, თავის ძეს, დრო დადგა და მიითვალე ივერონის მეთაურობა და მზრუნველობაო. ერთხანს უარობდა ეფთვიმე, უარისთვის შენდობას ითხოვდა და „ამქვეყნიურ შფოთთაგან“ განრინებას იმიზეზებდა. მაგრამ ბოლოს, მიხრწნილი და სხეულდაშრეტილი მამის ვედრება მაინც უნდა შეეწყნარებინა და შეიწყნარა კიდეც. მან იკისრა ივერონის მზრუნველობა, ეკონომოსობა, მაგრამ მამის დაუკითხავად მაინც არაფერს წყვეტდა, არცა დიდსა და არცა მცირე გადასაწყვეტს.

იმავ ჟამს ათონელებმა შეიტყვეს, რომ „ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა“ დაყუდებულა ორი სახელგანთქმული საეკლესიო მამა — იოანე გრძელიძე და არსენი ნინოწმიდელი. და მისწერეს წერილები მათ იოანე და ეფთვიმე ათონელებმა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გვეუწყა თქვენი სიწმიდე და მანდ-ყოფნა თქვენი. ვართ გულკლებული, რომ არ ინებეთ მოსლვა და თქვენი წმიდა ლოცვის მოღება ჩვენს წმიდა და სახელოვან მთაზე, ათონზე. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რაითა მოხვიდეთ და ვიყოთ ერთად, ვინაითგან უწყით, ჩვენც თქვენებრ უცხოებასა ვართ“.

და მოვიდნენ ათონის მთაზე იოანე გრძელიძე და არსენი ნინოწმიდელი. და იყო სიხარული დიდი მომსვლელთა და დამხვედრთა შორის.

ეფთვიმემ ცალკე სენაკნი აუშენა მოსულ მამებს მათდა სადგომად და საცხოვრისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ამის შემდეგ იოანემ სიკვდილის მომთხოვევა იგრძნო, მალე წინ დაიყენა ათონის სავანეთა წინამძღვრობა გადაულოცა. იყავ მამა და მამასახლისი და როცა გადადგე, მამასახლისობა გიორგის გადაეცით (ეს გიორგიც ყოფილა „თვისივე მათი, კაცი სახელოვანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა“). მერე გიორგიმაც თავისი წინამძღვრობა იმას გადასცეს, ვინც ძმათა შორის სიტყვით და საქმით სხვათა უმჯობესი იპოვნოსო. და ასე მარადჟამს: ყოველმა წამავალმა მამასახლისმა ახალი ღირსეული ღატოვოს თავის ადგილსაო. ახლა კი ეფთვიმე იქნება თქვენი წინამძღვარი, ხოლო უკეთუ თქვენს შორის გამოჩნდება მშლელი ვინმე მამა ეფთვიმეს განგებულებისა და მაშფოთებელი საძმოთა თქვენთა, იყოს კრული, შეჩვენებული, განკანონებული და გაძევებული დაუყოვნებლივ, რათა იმ ერთი ვინმეს გამრყვნელი და მაკვდინებელი სენი არ გადაედოს სრულიად გვამსა საკრებულოსასა.

და უთხრა უკანასკნელი სიტყვა იოანე ვარაზვაჩე-ყოფილმა ქართველთა სამწყსოს:

„სასურველნო და საყვარელნო შვილნო ჩემნო, უკეთუ ღვთის მცნებებით იღვაწებთ, საღმრთო წესითა და სჯულით იცხოვრებთ, წინამძღვართა თქვენთა უზაკველად დაემორჩილებით და ერთმანეთშიც მშვიდობით და ერთობით იქნებით, ღრმად მწამს ღმერთისა, არარაი სიკეთე არ მოგაკლდებათ. მაშ იყოს თქვენს შორის სიყვარული ღმრთისა, მორჩილება მამასახლისისა, სიყვარული ერთმანეთისა, განუკვეთელი ერთიანობა სათვისტომოისა თქვენისა“.

თქვა და ერთხელ კიდევ დალოცა ყველა, დალოცა ძე თვისი ეფთვიმე და მიესვენა მის მკლავებს. მიესვენა და დაიძინა ძილითა მარადიულითა.

და დაკრძალა ეფთვიმემ მამა ხორციელი და მამა სულიერი ლუსკუმასა, რომელშიც ესვენა უფროსი ძმა აღსრულებულისა, იოანე-თორნიკე სვინგელოზი.

და ათონის სათვისტომოთა და სავანეთა დამაარსებელი ძმების სამარტვილეზე ეფთვიმემ აღაშენა ეკლესია წმიდა მთავარანგელოზთა სახელობისა.

ქრისტეშობითგან ახალი ასწლეული შემოსულიყო — XI საუკუნე.

ეფთვიმე მთაწმიდელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა, დაახლოებით, 955 წელს, სამხრეთ საქართველოში, ტაოში.

სახელი — ეფთვიმე.

ძე — ვარაზვაჩე ჩორდვანელისა, ანუ იოანე მთაწმიდელ-ათონელისა.

ძმისწული — თორნიკე ერისთავისა.

ზემოთ, მამამისის იოანე მთაწმიდელის ცხოვრების აღწერიდან უკვე შევიტყვეთ, როგორი იყო ყრმობა ეფთვიმესი — ორწლიანი მძევლობა კონსტანტინოპოლის კარზე... მამა-შვილი ულუმბოში... ქართული ენის დავიწყება და მას უკან სასწაულებრივი აღდგინება მშობლიური მეტყველებისა... შემდეგ, მისვლა ათონისა მთასა ზედა...

. . . . . .

იმ დღიდან, რა დღიდანაც მამამ უთხრა შვილს: ქართველთა ქვეყანა წიგნათაგან ნაკლულია და ეს სინაკლულე შენ უნდა შეუვსოო — მას შემდეგ გასულიყო ოცდახუთი წელიწადი, და ეს მეოთხედი საუკუნე, ჯერ კიდევ იოანეს სიცოცხლეშივე, უკვე გამხდარიყო „საუკუნედ ეფთვიმე ათონელისა", რადგან აქამდე ქართველთა შორის არავინ გამოჩენილა ეგზომ მძლავრი მეუფე ქართული სიტყვისა და აზრისა. თარგმნიდა და წერდა დაუცხრომლად. თარგმნიდა უმეტესწილ ბერძნულიდან ქართულად, უფრო იშვიათად — ქართულიდან ბერძნულად. უკვე ეთარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალაჰვარი" და „აბუკურა". მაგრამ მთავარი მაინც სწორედ ეს იყო: როგორმე, რაც შეიძლება მალე შევსებულიყო აქამდე ნაკლული და ღარიბი ქართული საწიგნობელი. წერდა. თარგმნიდა და პირველი უთმინარი წამკითხველი და მკაცრი განმსჯელი იყო მამამისი იოანე. მას უკან გადამწერლები გადაწერდნენ და გზავნიდნენ ქართულ მონასტრებსა და სავანეებში.

რაღა თქმა უნდა, ყოველი წიგნის პირველ ნუსხებს ეფთვიმე გზავნიდა საქართველოში, მეფე დავით კურაპალატის მისართმევად და მისი შეხედულებისამებრ დასაბინავებლად.

„მადლი ღმერთსა, რომელმაც ჟამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა!" — აღტაცებით იძახდა დავით მეფეთამეფე.

ეფთვიმეს თარგმანება არ იყო ოდენ ბერძნულიდან ქართულად გადმოღება თხზულებისა. არამედ ივი იყო დამოუკიდებელი ქართული გააზრება ქართველისთვის უცხო ტექსტისა, გააზრება უმაღლესი ინტელექტუალური ხელოვნებით, თავისუფალი მიმოქცევით, როცა თარგმნილი ენა და გააზრება უფრო შთამბეჭდავი და შთამაგონებელია, ვიდრე ენა თვით სათარგმნელისა.

წესი მისმიერი თარგმანისა იყო წესი „შემატებისა და დაკლებისა" (ვითარცა იტყვის შემდგომში დიდი ეფრემ მცირე), ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელი აზრისა.

და ასე — ამძლავრებდა თარგმნილს სათარგმნზე ეფთვიმე ათონელი.

და ეს ყოველივე მიღწეული იყო ჯერ მამამისის, დიდი იოანეს სიცოცხლეში. ახლა კი, იოანეს შემდგომ (1005 წლიდან), იდგა ათონის მთაზე წმიდა ჟამი ეფთვიმე ათონელისა — განათლებული, დაწმენდილი, დამწვისებული და დაჯიშებული ქართული სული.

დღე და ღამე განიადაგებით, ენთო, იწვოდა, ანათებდა და იხარჯებოდა ღმრთისაგან „რწმუნებული ივი ტალანტი".

იოანეს აღსრულებიდან თოთხმეტი წელიწადი (1005—1019) წინამძღვრობდა ეფთვიმე ათონის ქართველთა სათვისტომოს, სამას სულ ქართველს.

ამას გარდა, ათანასე დიდის ანდერძით ხომ (როგორც ზემოთ აღინიშნა) ეფთვიმე იმავე დროს იყო „სულიერი ეპიტროპი" ბერძენთა სავანისა.

და ყოველივე საურავნი, ქართველთა თუ ბერძენთა, მის მიერ იურვებოდის.

და ყოველივე ამასთან, მთავარი, რაისთვისაც მოწოდებული იყო ტალანტი მისი, ღვთისგან რწმუნებული — თარგმნა, წერა, განუწყვეტლივ და განუცადებლად, ღამისთევით, „რამეთუ უფროსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან".

უმაღლეს გოდოლზე იყო სამყოფელი მისი და მთელი ღამენი სანთელი კრთოდა იმა გოდოლიდან.

ღამენათევზეც დილით ადგომას ვერავინ დაასწრებდა. ვერც ცისკრის ლოცვაზე მიასწრებდა ვინმე. პირველი შევიდოდა და პირველი დადგებოდა, ხელში უკვერთხოდ და კედელზე ხელმიუბჯენლად. და ვერც ვერავინ იკადრებდა კედელზე მიყუდებას ეკლესიაში წირვა-ლოცვისას, დაჩურჩულებასაც ვერავინ გაბედავდა. თუ რაიმე სათქმელი იყო, თვითონ გაიწვევდა უხმოდ, ოდენ ხელის შეხებით, და განცალკევებით ეტყოდა სათქმელს, სხვისგან იდუმალ.

მოხუცებაში დაღრმავებულსაც არ უკადრებია სალოცავში არგანით შესვლა. ვერც ვერავინ შევიდოდა. ოღონდ დაუძლურებულ ძმათათვის დაეწესებინა ეკლესიის ერთ შტოზე კვერთხებით დგომა, ხოლო სრუ-

ლიად უძლურთათვის ცალკე სკამებზე ჯდომის უფლებაც დაერთო მოხუ-
ვარს.

ცისკარზე დაგვიანებულს, ან სულაც თავარიდებულს, [illegible]
დატოვებდა. მათვან, ახალგაზრდებს საკურთხევლის წინ [illegible]
მოაყრევინებდა, უფრო ხანდაზმულთ ულვინობას და უსაჭმელობას განუ-
წესებდა.

უაღრესად ყოვლისა ძმათა შორის შფოთსა და მტრობას ებრძოდა
თავგამოდებით ეფთვიმე. უკეთუ ქართველები ერთმანეთს მიეტეეებოდნენ
წვერთა გლეჯით, ხმლის შემოკვრით, ან ფეხის მიწიხლვით — მწარე იყო
კიცხევა მისი, მწარეზე მწარე.

— რას სჩადიხართ, ქართველნო, რად უჭამთ ერთმანეთს გულსა და
სულსა? შეხედეთ ბერძენთ, როგორ უდგანან მხარში ერთმანეთს; შეხე-
დეთ ლათინთა, როგორ უალერსებენ სულსა ერთმანეთისასა (ეს ლათინ-
ნი რომიდან მოსულნი, იოანეს შემოესახლებინა ათონზე თავის სიცოცხ-
ლეშივე — ჩვენცა უცხონი ვართ, თქვენცა უცხონი, მოდით დასახლდი-
თო — მისძალებია უცხოს ქართველი, და დაუსახლებია და დაუსაძოვრე-
ბია კიდეც. მას მერე იყვნენ ლათინნი მთაწმიდაზე, იყვნენ და მრავლობ-
დნენ...); ასე რად გემართებათ, ქართველნო, ყოველივე უცხო რომ მო-
ბაძვად აგიჩემებიათ, ხოლო საკუთარი სისხლისა და ნათესავის სიყვა-
რული მათგანვე რად აღარ მოგიბაძავთ?

ჩვევად ჰქონდა: შვიდეულის სამ დღეს — ორშაბათს, ოთხშაბათს და
პარასკევს — თავის სენაკსა იჯდა წერად და ლოცვად, სრულად მარხუ-
ლი და მზის ჩასვლისას მიიღებდა ოდენ პურს და წყალს. დანარჩენ დღე-
ებს კი საძმო ტრაპეზზე მიდიოდა. თვინიერ ჟამის წირვის, ანუ რომე-
ლიმე დიდი დღესასწაულისას, ღვინოს არ დალევდა. ოღონდ ძმათათვის
ტრაპეზზე ჩამოდგმულ თასთაგან ღვინოს პირის შეხებით გასინჯავდა და
უკეთუ ღვინისა და წყლის ნაზავი მოეწონებოდა, არაფერს იტყოდა და
თასსაც უსიტყვოდ დადგამდა. მაგრამ თუ წყალი მეტი მოეჩვენებოდა, ან
ძმრის გემო მოერთვებოდა, ტრაპეზის შემდგომ მევაჟინეს გაინაპირებდა
და ჩუმად ეტყოდა:

„ძმაო, ამათ ძმათა საგემოვნოდ ტრაპეზის გარდა რა დარჩენიათ და
შენ კიდევ ღვინოს რაღად გაურყვნი? უკეთუ ღვინო მსუბუქია, წყალს
რაღად ურევ, ან ძმარს რად ჰკადრებ ძმათა შენთა?“

ან კიდევ, თვითონ თავისას მანამ პირს არ დააკარებდა, სანამ საძმო
კერძს არ გაუსინჯავდა გემოს. გაუსინჯავდა და უკეთუ ზეთი აკლდა,
კელარს დაუძახებდა და დაამატებინებდა ზეთს, ან თუ კერძი უმგბარი
იყო, ან უმარილო და უწამაკო, ან ზედმეტად მარილიანი და მლაშე, ტრა-
პეზის ბოლოს მზარეულს დაიუბნებდა და ეტყოდა:

„სამსახურს შენსას ღვთის შიშით უნდა იქმოდე, ძმაო, და ნუ იტყვი,

რომ ოდენ კაცთა ემსახურები, არამედ ისე მიიჩნიე, ვითარცა ღვთის ანგელოზებს ემსახურებოდე!“

და ისხდნენ ტრაპეზსა ზედა „ღვთის ანგელოზნი“, ჭამდნენ და სვამ-დნენ უხმოდ, უბრად, რადგან ესეც წესად ჰქონია მოძღვარს — მათ შორის რომ ქრისტესავით ჩამჯდარიყო; იშვიათად ვინმე თუ სიტყვას ჩურ-ჩულით წაიცთუნებდა, წყალს ან ევლოგიას როცა გადააწოდებდნენ ერ-თურთს. თუ რამ საჭირო გახდებოდა, თვითონ მოიხმობდა თვალის მი-ნიშნებით მოძღვარი მოწაფეს, სათქმელს ჩუმად ეტყოდა და გაუშვებდა ეგრევე უხმოდ აღსასრულებლად.

მეტრაპეზესთვის საგანგებოდ დაეწესებინა წმიდა მამას: „უკეთუ ვინმე იხილო ლაპარაკად, სიცილად, გინა ლაღობად ტრაპეზსა ზედა, უთ-ხარი ჩუმად: მაგას ნულარ იქმ, თუ არა, მამას გაუწესებია რომ გარეთ გაგიყვანონ!“

თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ საქმით დაუცხრომელი — „ყოველ საქ-მესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამაი ეფთვიმე“. იყო მშენებლებ-თან, გალატოზებთან და თვითონაც აშენებდა და გალატოზობდა: იყო მიწის მხვნელ-მთესველებთან და თვითონაც ხნავდა და თესავდა; იყო მევენახეებთან და თვითონაც მეზვრეობდა; იყო მჭედლებთან და თვი-თონაც სჭედდა და ჰკვერავდა. ყოველი დიდი და მცირე მოსაქმეობის მცოდნე, მოსაქმე და უტყუარი განმსჯელი იყო.

სიცრუის, დაბეზღების, ნატყუარი და ნაცილი აბბის დაუცხრომელი მტერი იყო. მოხსენებად არავინ მკადროს, უკეთუ მოსახსენებელი ზედ-მიწევნითი სინამდვილით არა იცოდნენო. მძიმე განკანონებას და საძმო-დან გაძევებას ვერ გადურჩებოდა სიცრუისად ენის მრხეველი, ვერცა მაბეზღარი, ვერცა ცილის მაწამებელი.

ყოველ ძმაზე ყოველივეს თვითონ ზრუნავდა და იურვებდა ნემსიდან ძაფამდე. არც-რა ყიდვა-გაყიდვა, არც-რა რეწვა-მორეწვა, არც-რა მო-გებ-წაგება მოძღვრის უნებურად და დაუკითხავად არ დაიშვებოდა. ხო-ლო, უკეთუ ამ მცნებას ვინმე გადაუხვევდა — ვინმე მისგან ნამალევად რაიმეს მოისაკუთრებდა, ან რაიმე საფასეს, ან რაიმე სამოსელს იყიდდა — ამნაირ სულმოკლეს ფიცხლავ ამხელდა, განაკანონებდა, ხოლო მის მონაგებს საგანგებოდ დანთებულ კოცონზე დასწვავდა.

იყო ერთი მთავარდიაკონი, კაცი ღირსეული, წარჩინებული გვარი-საგანი, რომელსაც მრავალი საფასე შეეწირა მონასტრისათვის, მაგრამ ერთი კვართიც თავის შესამოსლად დაედო ეკლესიას და მკაცრად აეკრ-ძალა კიდევ ვისმეს ეხმარა კვართი იგი წირვა-ლოცვისას.

შეიტყო ეს მამა ეფთვიმემ; გაიხმო ცალკე მთავარდიაკონი იგი და ჰკითხა:

„მითხარ ჭეშმარიტი, რაი დაგიტეეებიეს სოფელსა შინა?“

„წმიდაო მამაო, კარგად მოეხსენება შენსა ღირსებასა, რამეთუ ძმობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არამცირედი დამიტევებიან. და ამას გარდა, რაც კი შენს წმიდათა ხელთა მომიცია, თვალნ�ყი", — მიუგო მთავარდიაკონმა მშვიდად და დინჯად.

„მერე, შვილო ჩემო, ვნებავს რომ მაგოდენა მადლი და სასყიდელი ამ ერთი კვართისათვის წარიწყმიდო?" — ჰკითხა ეფთვიმემ და მიუთითა იმ კვართისაკენ.

ამის გაგონება და — „ნუ იყოფინ, მამაო!" — იბღავლა მთავარდიაკონმა, მაშინვე მორჩილს ცეცხლის მოღება უბრძანა, ის კვართი ცეცხლზე საკუთარი ხელითვე დააგდო, უმალვე ეფთვიმეს მუხლებში ჩაუვარდა და შენდობა სთხოვა.

და ასევე იწვოდა ყოველი შესამოსელი და სხვაი კერძო რამ სახმარი, რომელსაც პატრონი თავისი ქრისტესმიერი ძმისთვის ვერ გაიმეტებდა.

„აკი ბრძანებულ არს სულთა ჩუენთა დადება ძმათა ჩვენთათვის, ხოლო შენ შენს ძმას განხრწნად რაიმე საქონელს არჩევ და ღვთის გმობისა არ გეშინია?" — ეტყოდა შენდობის წინ ცოდვილს რისხვეული სიწყნარით წმიდა მოძღვარი.

თვეში ორჯერ ან სამჯერ, კვირაობით, სულის მარგებელ სწავლად შემოიყრიდა სრულიად სამწყსოს მწყემსი კეთილი. და სიტყვა მისი, და თხრობა მისი — იყო, ვითარცა სიტყვანი და სწავლანი ქრისტესი მთასა თაბორისასა, ანდა მთასა ელეონისასა.

და ასწავლიდა მწყემსი იგი სამწყსოსა თვისას — სიყვარულისთვის და სიმდაბლისა, მორჩილებისთვის და კრძალულებისა, სიმშვიდისთვის და უშფოთველობისა, მოთმინებისთვის და მსახურებისა და მოსწრაფედ მოსვლისათვის ეკლესიად, და სხვა ყოველთა წესთა მხურვალედ აღსრულებისთვის. და იტყოდა ბოლოს, ვითარმედ:

„ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო ჩემნო, რათა შეკრება ჩვენი ამა წმიდასა ადგილსა არ იყოს ფუჭი, ამაო და არცა ამაოდ ყოფილიყოს განსვლა ჩვენი ამა სოფლიდან".

და ისევ მიმართავდა სულთა მკურნალი ხორცისაგან სულდაკნინებულთ, ვითარმედ:

„ჯერ იყო და, ტრაპეზის გარდა არარას ვეძიებდით, რადგან უწყით როგორი იწროობით განვლეს თავიანთი ცხოვრება ყოველთა წმიდა კაცთა, რომელთაც წყლით განძღომაც არ უკადრებიათ სულთა თვისთათვის. ხოლო ჩვენ, სავსენი ყოვლითა ცოდვითა, აღარც ტრაპეზს ვკმარისობთ, დღეში ორგზის, სავსეს ღვინით და საჭმლით. კმა არს ჭეშმარიტად, და ნამეტნავ!"

და აკრძალული იყო ტრაპეზის გარდა შეძენა ღვინისა, ან თევზისა, მით უფრო სხვა სახსნილო საჭმელისა. შემოტანა შეიძლებოდა ოდენ სასინათლე ზეთისა და ისიც მხოლოდ მწერალთათვის და მკითხველთათ-

ვის. სხვას კი არც კანდელის უფლება ჰქონდა, არც ხატთა და ჯვართა ცალკე საკუთრებად დასვენებისა. ხოლო, უკეთუ ვისმეს მოახელებდნენ ღვინისა და ზეთის მყიდველს, თვინიერ წმიდა მამის ნებართვისა, მაშინ ვე იმ ღვინოსაც და ზეთსაც წაართმევდნენ და ავლინში გადაუთხევდნენ.

თვინიერ უკიდურესი უძლურების მქონისა, ვერცა ვერავინ ზედმეტ საჭმელს მოიმზადებდა. შედიოდა სამზარეულოში წმიდა ეფთვიმე და უკეთუ ცეცხლის განაკიდეს მდგარ რაიმე კოჭობს იხილავდა, მზარეულს ჰკითხავდა, ვისი რა იხარჯებაო? უკეთუ უძლური ვისმესი აღმოჩნდებოდა, თავს დაანებებდა, ხოლო თუ ნატრაპეზევისა და ნაყროვანისა, უბრძანებდა და იმ „დამატებით შეჭამანდს“ ან გარეთ გადააქცევინებდა, ან საერთო მუშაკთა ქვაბში ჩაასხმევინებდა.

იჯდა — წერდა ეფთვიმე, ან ეკლესიათა ოხუთმეტ მამასახლისს ეთათბირებოდა, იდგა — უქმად დგომა წუთითაც არ წარმოედგინა. წერისაგან დროს დაიცემდა თუ არა, სამეურნეო საქმეებს გაუხდებოდა: „გინა თუ ნავის გამოზიდვას, გინა თუ ნავი მოვიდის ხვარბლითა, გინა თუ ვენახის ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთვლობასა. რამეთუ ახალნერგ იყვნეს წუთლა ვენახნი, ყოველთა სარითა განგებაი უნდა, და უფროისნი დღენი ვენახთა შრომასა შინა დაყვნიან. და ყოვლადვე მამაი ეფთვიმე მათთანვე იყვის, თვინიერ დიდისა მიზეზისა“.

სახით წყნარი და მყუდრო იყო მამა ეფთვიმე, გულით წრფელი, გონებით განათლებული, გვამით მძლავრი. ეკლესიასა დგომასა მხნე, რამეთუ (ვითარცა ითქვა) იდგა იგი ყოველთვის თვინიერ კვერთხისა, ვითარცა სვეტი შეურყეველი.

ოვალები ჰქონდა მუდამ მაღლივ მხედველი.

თვინიერ ღმერთისა, არავინ უწყის ყოველივე, რასაც იგი აღასრულებდა სენაკსა მდგომარე; არავინ უწყის, რამეთუ ყოველივეს იგი აღასრულებდა ფარულად და მხოლოდ საკუთარ სულთან განბჭობით.

სამოსელი მისი — ძაძაი შავი, ხოლო ძაძასა ზედა — ჯაჭვი მძიმე, სხვათათვის აღუზიდავი.

სიწმინდე მისი სხეულისა — უბიწოება ქალწულობისა, ვითარცა ცათა შინა ანგელოზისა.

მარად საშური მისი სულისა — თარგმანება „ტკბილისა მის თაფლისა — წიგნთა საღმრთოითა“, და მათი მეოხებით ცოდნათა და სათნოებათა დანერგვა ქართველთა შორის.

თოთხმეტი წელიწადი იწინამძღვრა მამა ეფთვიმემ ათონის წმიდა სავანეთა ზედა. მას უკან მიადგნენ წმიდა ბერნი — არსენ ნინოწმიდელი და იოანე გრძელიძე — და ურჩიეს გადამდგარიყო წინამძღვრობიდან. ურჩიეს, რადგან ხედავდნენ ისინიც და სხვანიც ყოველნი, უამრავი სამეურნეო საზრუნავი მას ძალიან უშლიდა ხელს სამწერლობო საქმიანობაში.

და გადაულოცა ეფთვიმემ წინამძღვრობა ათონის სავანეებისა გორგი ხუცესს — იმ გიორგის, რომლის აღზევებასაც იოანე თვითონ უბარებდა ანდერძად თავის ძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ კი ეფთვიმე დაჯდა ისევ თავის სენაკში და ეფეტესა ფანტხოველებით განაგრძო წერა და თარგმანება ყოველთა წიგნთა საღმრთოთა და საეროთა.

წინამძღვრობიდან ეფთვიმეს გადადგომა სასიკეთო აღმოჩნდა ქართული საწიგნობელის გაზრდისა და განვრცობისათვის, მაგრამ ფრიად საზიანო თვითონ სატაძრო და სათვისტომო ცხოვრებისათვის.

ერთბაშად მოიშალა წმინდა მთაზე იოანესა და ეფთვიმეს კეთილგანგებულება. ქართველებმაც და ბერძნებმაც, ეფთვიმეს მტკიცე ხელთაგან თავდასხნილებმა, ათონის მთაზე ისევე აიწყვიტეს, ვითარცა სინას მთასთან მოსესგან დროებით თვალმიფარებულმა ებრაელებმა.

და „იწყეს თავხედობად და ამბოხებად და წინამძღვართა ზედაისზედა ცვალებად. და უმეტეს და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხებაი მათი“.

ყოველივე აცნობეს მაშინდელ კეისარს, კონსტანტინე მერვეს.

კონსტანტინე კეისარს ქართველები მაინცა და მაინც გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ეფთვიმე ათონელისადმი კი „დიდი სარწმუნოებაი და სიყუარული“ ჰქონოდა. და მიიწვია კონსტანტინე კეისარმა კონსტანტინოპოლს ეფთვიმე ათონელი.

აემზადა წასასვლელად ეფთვიმე. „შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინი სცა და ტაბლაი კეთილი განუმზადა და ლოცვასა დაევედრა“. ტაბლას რომ მორჩა და მეტაბლენი გაისტუმრა, იგი წავიდა თეოფანე ხუცესთან.

ძალიან უყვარდა მას თეოფანე ხუცესი, რადგან თეოფანე „სიყრმითგან აქა აღზრდილი იყო და ყოვლითა სათნოებითა განშვენებული იყო. და იყო იგი მღვდელი სათნოი უფლისაი და სწავლული ფრიად ხელოვნებით მწერალი წიგნთა“. ამისთვის უყვარდა ეს სათნო ბერი ეფთვიმეს და, იოანე გრძელიძისა და არსენი ნინოწმიდელის აღსრულებათა შემდეგ, თეოფანეს ეთათბირებოდა ყოველ დიდ საქმეზე ეფთვიმე.

და ახლაც შეხედა, კონსტანტინოპოლს გამგზავრების წინ.

და იყვნენ ერთად, ჯერ სიტყვითა ოდენ შინაგანმდებარითა, უხმოითა, ანუ მდუმარე სულის მიმოქცევითა. ხოლო, დამშვიდობების დრო რომ დადგა, მოეხვია თეოფანე ეფთვიმეს, ცრემლი აღუტევა და უთხრა, ვითარმედ:

„ვაიმე უბადრუკსა, რამეთუ აღარასოდეს გიხილო შენ ხორციელად, ჰოი წმიდაო მამაო!“

„ჭეშმარიტ არს!“ — კვერი დაუკრა ეფთვიმემ და წამოვიდა.

ის კი არცერთს აღარ უთქვამს, უადრეს რომლის ხორციელი აღსასრული იგულისხმებოდა იმათ ნათქვამში...

და მივიდა ღმერთშემოსილი ეფთვიმე ქართველი კონსტანტინოპოლს. მაშინვე მიიწვია იგი კონსტანტინე კეისარმა და შეხვდა სატახტო კონსისტორიონს. შეხვდა და „დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და. გამოკითხა. საქმე ლავრისაი“. იმ დღეს ყოველივე „გამოკითხვით“ გათავდა. საქმის საბოლოოდ „დასაურვებლად“ კი დღეები დღეებს გადაება...

იოანე ღვთისმეტყველის დღესასწაული ჩამომდგარიყო. ეფთვიმემ ეს დღეც გარდაიხადა, მრავალი გლახაკი და უპოვარი განაძღო კონსტანტინოპოლს. თანამხლებ მონაზვნებს და მოწაფეებს ევლოგია ჩამოურიგა და ერთი მათგანი იოანე მახარებლის ხატის მოსაკითხად გაგზავნა. ეს ხატი კონსტანტინოპოლს ჩამოსვლისთანავე მიებარებინა მხატვრისათვის, ასაღორძინებლად და მოსაკაზმავად.

მოწაფე რომ წარგზავნა, მერე იფიქრა — მაინც ისა სჯობს ჩემის თვალით ვიხილო ჯვარიც და მხატვარიცო, და მორჩილს უბრძანა, ჯორი გამიმზადე, შვილო, სამგზავროდო.

ჯორი იგი ახალი ნასყიდი იყო და მისი ზნისა და უზნეობისა არავის რამე სცოდნოდა. როცა შეკაზმეს და წმინდა მამა ზედ შესვეს, მაშინვე გაფიცხდა და გაოჩნდა ჯორი. მაგრამ ეს არავინ ჩააგდო რამედ, რადგან მხედარმა მაშინ იოლად დაიურვა და დასძრა პირუტყვი. მოწაფეებიც გაჰყვნენ მოძღვარს.

ერთხანს მშვიდად ვიდოდნენ. წმიდა ეფთვიმე რაღაც მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო და მოშლილად იჯდა უნაგირზე. ხანდახან გზაზე, აქა-იქ ჩასაფრებულ მათხოვართა შეძახილი თუ გამოაფხიზლებდა — მოიღეთ მოწყალებაო — და ისიც წამიერად ფიქრთაგან გაყრილი წყალობას გასცემდა და ისევ ფიქრთა საუფლოში იძირებოდა.

გზამ მოუხვია. მოსახვევში შაოსანი მათხოვარი ჩამჯდარიყო. — ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალებაო! — იყვირა და წამოიწია მათხოვარმა. აიწყვიტა ჯორმა უეცრად მოვარდნილი შავი სხეულისგან დამფრთხალმა და გაგიჟებულმა. მხედარი მოწყდა და გადმოეშვა. მონაზონნი და მოწაფენი საშველად მოილტვოდნენ. ადამიანთა წრეში მოქცეულმა პირუტყვმა წრეშივე მიმოქცევით რამდენჯერმე დაწიხლა ძირს დაცემული ადამიანი.

და მომკვდარიყო ეფთვიმე ათონელი.

შობითგან 73 წლისა.

იდგა 1028 წელი...

უარებელი ხალხი მივიდა იოანე მახარებლის ეკლესიაში, სადაც ესვენა დიდებული მოხუცის ცხედარი. კეისარი კონსტანტინე მერვე ფრიად შეეწუხებინა წმინდა ეფთვიმეს დაღუპვას და, რადგან თვითონ ავადმყოფობით ლოგინად ჩავარდნილიყო, მოსამძიმრეთა გუნდი გამოეგზავნა უმაღლესი პრიმიკიოსის წინამძღოლობით. „და ეგრეთვე მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა პალატისათა დიდი სარწმუნოებაი და სიყვა-

რული აქვნდა. და ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლითა ილტოვბოდეს და ამბორს უყოფდეს და წარვიდოდეს“.

და წაასვენეს ათონის მთაზე წმიდანი იგი.

და დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა, წმიდისა ოანე ნათლისმცემლისასა“.

დაიტირეს და დაკრძალეს სხეული მისი.

ხოლო, სული მისი — „წარვიდა წინაშე ღმრთისა ნათელსა მას მიუჩრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა“.

გარნა — სხეული მისი მაინც მიწდებოდა უცხო მიწაში...

——— . . . . . ———

გიორგი მთაწმიდელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1009 წელს, თრიალეთს.

გ ი ო რ გ ი — ათონურ-ქართული სარწმუნოებრივ-ლიტერატურული სათვისტომოს კიდევ ერთი მნათობი.

მამა — ი ა კ ო ბ, წარმომავლობით სამცხელი, ჭაბუკობითვე მსახურობდა საქართველოს მაშინდელი მეფის, ბაგრატ მესამის კარზე. ერთ დღეს მეფეს იგი სპარსეთს წარეგზავნა, რაღაც საიდუმლო დანაბარებით. სამხრეთით მიმავალი იაკობი თრიალეთში, ერთ ოჯახში ჩამომხდარა ღამის სათევად. ოჯახი იგი აღმოჩნდა აღსავსე სათნოებითა და ღმრთის სიყვარულითა — ცოლ-ქმარი და მათი ერთადერთი ასული სახელად მ ა რ ი ა მ. „ხოლო, იაკობ, იხილა რაი შვენიერებაი მარიამისი, ნანარი იგი და დაწყნარებული ქცევაი მისი და განკრძალული სახე“ — სთხოვა დედას და მამას მარიამისას: შემინახეთ შვილი თქვენი კეთილად და, უკეთუ დავბრუნდე მე მშვიდობით, მწადია ვიქორწინო მასზე ქორწინებითა წმიდითა და დავემკვიდრო თქვენთანვე საცხოვრისადო. ქალის მშობლები დათანხმდნენ. იაკობმა გზა განაგრძო სპარსეთისაკენ, იქიდანაც მშვიდობით დაბრუნდა, მეფესაც ნაბრძანები აღუსრულა, მისგან ნამადლიერევი თრიალეთს ჩავიდა, მარიამზე ჯვარი დაიწერა და იქვე დარჩა მარად საცხოვრებლად.

სიყვარულ-ქორწინების წლისთავზე შეეძინათ ასული, რომელსაც უწოდეს თეკლა, სახელი ქალთაგან პირველმოწამისა. შვიდი წლის თეკლა სამცხეს წაიყვანეს, სადედო მონასტერში, და აღსაზრდელად მიაბარეს საბაიას, ტაძრისის დედათა მოძღვარს.

მეორე შვილი მარიამსა და იაკობს ეყოლათ ვაჟი, სახელად თევდორე.

მესამეზე ცოლ-ქმარმა აღთქმა დასდო: უკეთუ ისევ გვეყოლოს ძე, შევწიროთ იგი ღმერთს, „რამეთუ ვერძისაი ჯერ არს შეწირვად“.

და იმ ღამით ძილში უცხო ჭაბუკი გამოეცხადა მუცლადღებულ ქალს, ჭაბუკი სახეზე მზეგადაფენილი, და განუცხადა ზენაარი ხმით:

„აჰა, ესერა, ჰშობე ყრმაი წული, ვერძი რჩეული ღმრთისაი, შეწირე იგი მისსა, რომლისადა აღგითქვამს, და სახელი უწოდე გიორგი!“

გაიღვიძა ქალმა, შიშითა და სიხარულით გაოგნებულმა, აცნობა ქმარს უცნაური ძილისშორისი და ორივემ ერთად, ლოცვით, ვედრებით, ღაღადისით, ისევ მრავალგზის აღთქვეს აღთქმა იგი — შეწირვა ძისა ღმრთისა მიმართ.

და დაიბადა გიორგი, „ტარიგი ღმრთისაი“.

შვიდი წლისა რომ გახდა, ისიც ტაძრისის მონასტერს წაიყვანეს აღსაზრდელად, მის უფროს დასთან, თეკლასთან. აქ, სამი [illegible] ძილზე, „ვითარცა ახალნერგი შვენიერი, იზარდებოდა მონასტერსა შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“. ათი წლისა ტაძრისიდან წამოიყვანეს და მიიყვანეს ხახულს, სადაც მაშინ მოღვაწეობდა მისი ორი ბიძა, იაკობის უფროსი ძმანი — გიორგი და საბა (გიორგის „მწერალს“ ეძახდნენ, რადგან ადრე მწერალთ-განმგებლად მსახურობდა მეფე დავით კურაპალატის კარზე).

და შეხვდნენ ხახულის სავანეში ყრმა ძმისწულს გიორგი „მწერალი“ და საბა „წრფელი და უმანკო“. შეხვდნენ, ძმისგანვე ძმისწული სიყვარულით ჩაიბარეს და მეორე დღეს წარუდგინეს ხახულის მთავარი ლავრის წინამძღვარს, მაკარის.

განაცვიფრა ყრმა გიორგის ხილვამ წინამძღვარი, — ჯეშმარიტად უფლისგან ხელდადებული არისო და მაშინვე აკურთხა კურთხევითა წრფელითა, მაშინვე საეკლესიო ევლოგიის მონაწილედ ჰყო და თავის სულიერ შვილადაც გამოაცხადა.

ხახულის ლავრაში იმჟამად იღვწოდა დიდი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ მესამისა, ძმა მეფე გიორგი პირველისა, „ფილასოფიასა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი, და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ სიტყვათა ზედან დამთხზველი, მონოზონებათა სრული, და განმანათლებელი ეკლესიებთა, რომელსაც უწოდეს ეკლესიათა სამკაულად“.

და მიჰგვარეს ბასილი დიდს ახალი მოწაფე, და იმანაც განიხარა მისი ხილვით, სიხარულითა დიდითა. განიხარა და აკურთხა კურთხევითა წმიდითა.

მას უკან კიდევ ღმერთშემოსილმან ანტონი მნათემან აკურთხა გიორგი, ყოვლითა კურთხევითა, ხოლო ანტონი იყო „ღვთისმეტყველ-ფილასოფოსი და მთარგმნელი წერილთა, უბნობასა შინა მჭევრმეტქვი, და მშვენიერი მთხზველი, და მქადაგებელი, რომელიც იწოდებოდა დიდ მეცნიერად“.

ბოლოს, ერთად შეიყარა უხუცეს სამღვდელოთა საკრებულო და იწყეს ბჭობად, ვისთვის მიეცათ სამოწაფოდ მათი ახალი, შვილად აყვანილი ყმაწვილი. და გადაწყვიტეს: ყველაზე ღირსეული, ღმრთივსულიერი, მწყემსი კეთილი, რომელიც ახალ მოწაფეს „სწავლის სძესაც“ უხვად შეასმევდა და სათნოებითაც უაღრესად განასრულებდა — იქნებოდა ილარიონ თვალოელი (ილარიონი ადრე თვალის მონასტერში მოღვაწეობდა, ანტიოქიის ახლოს; მერე იქიდან წამოსულა „თვალოელის“ სახელით, და ხახულის სავანეში დავანებულა). და „მას ჟამსა, ვითარცა მთიები, ბრწყინავდა კრებულთა შორის მამათასა“ ილარიონ თვალოელი. იყო იგი

„სიბრძნის-მოყვარებასა შინა სრული, სათნოებისა სარკე და მშარხველთა კანონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ ილარიონ თვალოელს შეჰვედრეს სამოწაფედ სულიერი შვილი თვისი წმიდა მამებმა. და შეიწყნარა „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღვრებათა შინა განთქმულმა“ ილარიონმა თანამოღვაწე სამღვდელოთა თხოვნა და მიიღო გიორგი მოწაფედ და შვილად თვისად.

განვლო მცირე დრომ და ისევ იწყო ხმამ მიმორხევა: არც არავინ არს, არც ყოფილ არს და არც იქნებიეს ბაღალი გიორგისი, არცა ნიჭის სიმაღლით, არცა გულის სისრულით, არცა სულის სიმძლავრით და არცა ზნეკეთილობით.

საკვირველი სისწრაფით სწავლობდა და ითვისებდა ენებს — ბერძნულს, არაბულს, სომხურს. საოცარი ძალტევადობით ისრუტავდა მისი მძლავრი გონება ყოველივეს, დაწერილს თუ ზეპირად წარმოთქმულს. სასწაული იყო მისი ხსოვნითი სისრულე. უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველივეს საზეპიროდ ინთქავდა მისი გონება — საღვთისმეტყველო წერილნი ყოველნი, ძველი და ახალი აღთქმანი, კანონნი სჯულისანი, ქადაგებანი, საგალობელნი, საწელიწდონი, ძილისპირნი...

ამასობაში ისე მოხდა, რომ ყრმა გიორგის უფროსი ბიძა, გიორგი „მწერალი“, თავის სახლში მასწავლებლად და აღმზრდელად მიიწვიეს ფერის ჯოჯიკის ძემ და მისმა მეუღლემ. ფერისი იყო ძე იმ სახელოვანი ჯოჯიკისა, რომელიც თანასარდლად ახლდა თორნიკე ერისთავს ბარდა სკლიაროსთან ძლევამოსილი ბრძოლის დროს. ხოლო, თვითონ ფერისი, ექვსი ათასი რჩეული მხედრით, მხარში ედგა მთავარსარდალ გაბრიელ ოჩოპინტრეს ძეს, როცა (998 წ.) ქართველებმა სრულად გაანადგურეს ბამლან ამირა და მისი მრავალრიცხოვანი სარკინოზული მხედრობა. ფერისს ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ მესამის ასული, ანუ მეფე გიორგი პირველისა და დიდი ბასილი ხახულელის დაი, რომელზეც მაშინ ამბობდნენ: ეს დიდებული დედაკაცი ღმრთისმსახურებით მის ძმას, ბასილი ნეტარს არც კი ჩამოუვარდებაო.

და ცხოვრობდნენ მაშინ დაბა ტვარწატაფს, იმიერ ტაოში, ფერისი და მისი მეუღლე, რომელთაც — ვითარცა ითქვა — საღმრთო სწავლებათა და წმიდა ზნეობათა მასწავლებლად მიეწვიათ გიორგი „მწერალი“.

და წავიდა ტვარწატაფს გიორგი „მწერალი“ და თანაშემწედ თან წაიყვანა თავისი ძმისწული, ყრმა გიორგი.

და პირველ დღეებშივე შეიყვარეს ფერისის ოჯახმა და სრულმა სახლეულმა ეს საკვირველი ყმაწვილი. თვითონ ფერისის მეუღლემ — „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად აღიარა იგი“.

კვლავ განვლო ჟამმა და ფერისის ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. ბიზანტიის კეისარმა ბასილი მეორემ ფერისს მის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდო ბრალი, შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა, ხოლო მისი

სახლეული კონსტანტინოპოლს გადაასახლა. ტყვეთა შორის აღმოჩნდა ბიძა-ძმისწული — ორივე გიორგი.

და დარჩნენ კონსტანტინოპოლში თორმეტი წელიწადი.

ფერისის ქვრივმა და გიორგი „მწერალმა“ ყრმა გიორგი ბაბილონელად მისცეს „კაცთა ფილასოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხორებითა შემკობილთა“.

სწავლობდა გიორგი, სწავლობდა საკვირველი სისწრაფით და სისრულით, ყოველივეს, რაიც მაშინ ისწავლებოდა კონსტანტინოპოლს, „ჭიპსა ზედა დედამიწისასა“. სწავლობდა და მისი გონების სიმძლავრით გაკვირვებულნი იყვნენ თვითონ ბერძენნი — მასწავლებელნი და მოწაფენი, ხანდაზმულნი და თანატოლნი.

თორმეტი წლის თავზე კეისარმა ფერისის სახლეულს ნება დართო საქართველოში დაბრუნებისა. და დაბრუნდნენ. მათ შორის — ოცდახუთი წლის გიორგი.

და იგი მივიდა ისევ სახულს. მივიდა და ეთაყვანა მოძღვართა სანატრელთა და ბერთა ღმერთშემოსილთა ყოველთა.

მიეხვივნენ და მიესხეულნენ ყრმასა რჩეულსა და აღზრდილსა თვისსა წმიდა მამანი — ბიძა საბა, მაკარი განმანათლებელი და დიდი ილარიონ თვალოელი (ხოლო დიდი ბასილი ბაგრატ მეფის ძე და ღმერთშემოსილი ანტონი მნათე უკვე სულით განყრილნი იყვნენ სხეულთაგან და სხეულნი მათნი განწიაღებულ იყო სახულის წმიდა მოღვაწეთა სამარტვილეში).

და აკურთხა ილარიონ თვალოელმა ბერად გიორგი — საყვარელი მოწაფე თვისი.

მალე ამის შემდგომ გიორგი, „აღძვრითა ზეგარდმოითა“, შეიპყრო დაუოკებელმა სურვილმა „უცხოებისა და სიგლახაკისაი“, ანუ ყოველ ნაცნობთაგან და ახლობელთაგან „განშორებისაი“, ანუ მარტომყოფლობის, განრინების, ასკეტობის სურვილმა, რაიც უპირველეს ყოვლისა უნდა განსახებულიყო იერუსალიმს წასვლასა და იქაურ წმიდა ადგილთა მოხილვასა და მოლოცვაში. და ერთ ნისლიან ღამეს იდუმალ გავიდა გიორგი სახულის სავანიდან. დილით კი ყველამ შეიტყო მისი გადაკარგვა. შეშფოთებამ და შეჭირვებამ შეიპყრო სახულელთა სამწყსო. მაკარი წინამძღვარმა სასწრაფოდ ფეხზე დააყენა ყოველი მოწესე. მისი ბრძანებით გაუსიეს გზათა მცოდნენი და გზათამლეწველნი ყოველსა მხარეს, ყოველ შარასა თუ ბილიკზე, რათა მოეძიათ გიორგი და მოებრუნებინათ უკანვე.

მდევარი იგეშა გიორგიმ და, რაკიღა სხვა საშველი აღარ იყო, „საღმრთოი ღონე იხმარა“: გზაზე ერთი ვინმე მაწანწალა შეხვდა დაკონკილი და დაბებკილი სამოსლით, თავისი შესამოსელი გაუცვალა, მისი ძონძები გადაიცვა და გზა განაგრძო. ესეც საკმარისად არ მიიჩნია, ვიღაც ბრმა საპყარს გადაეყარა, ხელი ჩაავლო, წაუძღვა და წაიყვანა. ასე იარეს

შეუსვენებლივ ერთმანეთზე აბმულმა ბრმამ და „ბრმის ჭირისუფალმა“ იარეს სამი დღე-ღამე. მერე ერთ ტყეში შევიდნენ, უსიერსა და კაცის ფეხისგან უფეხურსა. დააღამდათ. ღამეს საშინელი წვიმა [illegible] ხილი მოჰყვა. მთელი ღამე იმეხებოდა დედამიწა. ეშმა განსხეულდა ხოლ ლიად პაერეთში. ეშმამ შვიდჯერ დაანარცხა მიწაზე გიორგის ბრმა თანამგზავრი. კბილები აღრჭენინა, აყმუვლა და აყეფა ნაცოფარი ძალ ლივით. არ მოშორდა გიორგი ძრწოლით გონშერყეულს. მოშლილ ყბებს უსწორებდა, პირიდან მოდენილ ლოშქრს უწმენდდა, ამოცვენილ თვა ლებს ბუდეებშივე უბრუნებდა, აძიგძიგებულ სხეულს უზელდა, სისხლს უთბობდა, გულს უსალბუნებდა, სულს უმშვიდებდა.

მხურვალე, დაუღლელი ხელებით, სათნოებით აღსავსე სიტყვით და ლოცვით სრულად განავლტო გიორგიმ ბოროტი ეშმა საწყალობელი უსინათლოს სულისა და სხეულისაგან.

მეორე დღეს, როცა ტაროსს საშველი დაადგა, ისევ ლოცვით და სიტყვით სრულად განკურნებული თანამგზავრი მისგანვე აჩემებულ ერთ მონასტერში მიიყვანა და იქ დატოვა გიორგიმ.

დატოვა, დალოცა, დაემშვიდობა და გზა განაგრძო.

მიდიოდა ძონძით მოსილი.

მიდიოდა ფეხშიშველა და თაველია — „უხამლოი და უქუდოი“.

მიდიოდა მარხული — „უღვინოი და უწველოი“.

მიდიოდა „გზასა იწროსა“, ერთგზისი იჯრით, „რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღოს პური და წყალი“.

და, „ესევითარითა შრომითა და მოღვაწებით შემკობილი მიიწია შავსა მთასა“.

შავი მთა, მთაი საკვირველი მარგალიტი სირიის უდაბნოური განდეგილობისა!

გიორგის მოსვლამდე შვიდასი წელიწადი გაევლო აქაურ განრინებას, უკიდურესად მკაცრსა და უზენაესად ღვთაებრივს.

აქ დაიწყო „მესვეტეობა“.

საფუძვლის ჩამგდები — სვიმეონ მესვეტე.

იგი ოცდაათი წელიწადი იჯდა ფეხმოუცვლელად სვეტზე — განმხოლოებული ცასა და მიწას შორის. და აკვირვებდა ქვეყნიერებას საკვირველთმოქმედი ესე. უთვალავი ადამიანი „მორბიოდეს“ მის სახილველად და სათაყვანოდ დედამიწის ყოველ კუთხიდან. მათ შორის — მრავლად „მორბიოდეს“ ქართველნი.

სვიმეონის გარდაცვალება — და ატყდა ომი მისი ცხედრისთვის. აქეთ — ბიზანტიელნი, იქით — ანტიოქელნი. იმარჯვეს ანტიოქელებმა და მათი ღვთაებრივი სისხლ-ხორცი დაკრძალეს მათსავე მიწაზე, ანტიოქიაში, ხოლო შავი მთა გახდა — „მთაი წმიდაი“, ანუ „მთაი საკვირველი“.

მესვეტეობა ასკეტიზმის (განდეგილობის) უმაღლესი გმირობის გა-

მოვლინებად იქცა. ბევრმა მოწესემ მიჰბაძა სვიმეონ მესვეტეს თავისი „ახალი მესვეტეობით". ზოგმა თითქოს გაუძლო, უმრავლესობამ ვერ გაუძლო და ნაადრევად მიითრია მიწამ ცაში აცმული სვეტის ფაქიზად.

ხოლო, მესვეტური გმირობით ყველას სძლია მეორე სვიმეონმა, უფროსისგან ასი წლის შემდგომ — სვიმეონ მესვეტე-უმცროსმა, სასწაულთმოქმედმა, რომელიც ორმოცდასამი წელიწადი „ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა". ეს იყო უწმიდესი და უსაკვირველესი გმირი მაშინდელი საქრისტიანო სამყაროისა.

უამრავი ქრისტიანი აწყდებოდა შავ მთას სვიმეონ მესვეტისა და დედამისის, წმიდა მართას სახილველად, სათაყვანოდ, მათ ტაძარში საღოცავად და სამოღვაწეოდ.

და მრავალთა შორის იყვნენ ქართველნი.

დედა რომ გარდაეცვალა, თურმე ამას ეევედრებოდა ქრისტეს სვიმეონ მესვეტე — შენი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი მისახსოვრეო.

და აი, ერთ დღეს სამი ბერი ეწვია სვიმეონ სასწაულთმოქმედს, სამივე ქართველი, იერუსალიმიდან ახლად ჩამოსულნი. და ერთმა მათგანმა, ა ნ ტ ო ნ ი მ, მოართვა სვიმეონს ჯვარი ოქროისა, რომელშიც ჩატანებული იყო ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა (იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში აათალა თურმე ანტონიმ ნამკესი ძელსა ცხოველსა, რომელზე გადანაჭრითაც შეკრულ იყო ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისა).

და ნამკესი იგი შეიქნა უზეშთაესი ევლოგია სვიმეონ სასწაულთმოქმედისა. ხოლო, ანტონ ქართველი სვიმეონმა აკურთხა სელევკიის ეპისკოპოსად.

და მიდიოდა სვიმეონ მესვეტე-სასწაულთმოქმედთან „ერი მრავალი ქართველთაი", რომელთაგან ბევრი რჩებოდა იქვე, მის სავანეთში სამოღვაწეოდ, მისი წილსვედრი წუთისოფლის აღსასრულამდე.

(და ყველა მათგანი, საფლავს ჩასული, კმარულობდა საქართველოდან წამოღებული ერთი მუჭა მიწის გულზე დაპნევას).

და სვიმეონ მესვეტემ დაიმოწაფა და გამოგზავნა საქართველოში სამოღვაწეოდ სახელოვანი გუნდი „ცამეტი მამისა".

...მერე, არაბობა და ისლამი დაეუფლა სირიას.

მერე, ისევ ბიზანტია და ქრისტიანობა გამძლავრდა ანტიოქიას.

და ისევ გამრავლდნენ ქართველები შავი მთის სავანეებში — სვიმეონ-წმიდას, რომან-წმიდას, პროკოპი-წმიდას, ბარლაამ-წმიდას, წყაროთა მონასტერს, ეზრას მონასტერს, ლერწმისხევს, კალიპსოს, კასტანას.

და იდგა შავი მთა, მთაი საკვირველი, დატვირთული ქართველ მოღვაწეთა ტაძრებით, სალოცავებით, სააზროვნო სავანეებით.

მთავარ ტაძარში იდგა ლარნაკი სვიმეონ სასწაულთმოქმედისა და დედამისი მართას ნაშთებით...

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აღვიდა მთასა საკვირველსა გიორგი.

და შევიდა მთავარ პასტოფორიონში, თაყვანი სცა და ეამბორა ეკონ-ნაკსა სასწაულთმოქმედისასა.

მოიარა და მოილოცა ყოველი მონასტერი, ყოველი დიდი და მცირე სალოცავ-სავედრებელი. მოიკითხა ყოველი წმიდა მამა და ყოვლისაგან მიიღო ლოცვა და კურთხევა, აღსავსე სიყვარულითა და სათნოებითა.

მაგრამ მთავარი მაინც სრულიად შავი მთის სამონასტრო ცხოვრების წინამძღვართან შეხვედრა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღება უნდა ყოფილიყო. თვითონვე უწყოდა გიორგიმ: „თვინიერ მოძღვრისა არა არს ცხოვრებაი სულისაი და წარმართებაი მონაზონებისაი“.

ხოლო სახელი წინამძღვრისა და მოძღვრისა იყო — გიორგი შ ე ყ ე ნ ე ბ უ ლ ი. ასე დარქმეოდა, რადგან მას მუდმივ საცხოვრისად და სულის სამოღვაწეოდ თავი თვისი თვითონვე შეეყენებინა შავი მთის კლდეს, ერთ ღრმასა და ბნელ ქარანძავ-გამოქვაბულში.

და იდგა კლდისა დანახეთქში გიორგი შეყენებული, „ვითარცა გვრიტი უბიწოი და ტრედი უმანკოი“.

„კაცი ზეცისაი და ანგელოზი ქუეყნისაი“.

„ყოვლითურთ უცხოი და განშორებული ხორცთაგან და ხორციელთა ზრუნვათა გონებითა ღმრთისა მიცვალებული“.

„დიდი მნათობი ნათესავთა ქართველთა“.

აგერ, მეთორმეტე წელიწადი მიდიოდა გიორგი შეყენებულის თვით-შეყენებიდან და თვითდაყუდებიდან. მეთორმეტე წელიწადი ქვეყნისაგან თვალით არა ეხილა რა, თვინიერ კლდისა, სანთლისა და საღვთისმეტყ-ველო საკითხავისა, და პირსა მისსა იმდენსავე ხანს არა ეგემნა რა, თვინიერ პურისა და წყლისა.

და შევიდა ჭაბუკი გიორგი გიორგი შეყენებულთან.

და მაშინვე, პირველი თვალის შევლებისთანავე, მოძღვარმა იგრძნო „სიკეთე სულისა“ ახალგაზრდა ბერისა „და განიცადა ტალანტი იგი მის შორის დაუნჯებული, განიხარა სიხარულითა დიდითა და სულითა გუ-ლისხმა ყო, რაი-იგი ყოფად იყო“.

და აკურთხა კურთხევითა უწმიდესითა გიორგი უხუცესმა გიორგი უმრწმესი. აკურთხა და დაიმოწაფა. დაიმოწაფა და დაამკვიდრა სავანესა რომანაწმიდას. და დაჰყო გიორგიმ რომანაწმიდას „სამი წელი დიდითა შრომითა და მოღვაწებითა, მარხვითა და მღვიძარებითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა“. ასეთი ღვაწლოვანი და კრძალული ცხოვრება კი — ყოველი სარწმუნოებრივი მოღვაწისთვის იყო „ფრთე აღსვლად ღმრთი-სათანა“.

უსაზღვრო სიხარულით აღვსებოდა გული გიორგი შეყენებულს,

ქართველთა შორის ამაღლებული სულის მოვლინებაზე მარად მორჩილ-
რულსა და მეოცნებეს.

„დიდი ეფთვიმეს შემდგომ, სწორედ ამ ჭაბუკმა უნდა [illegible]
ლულოვანება ენისა ჩვენისაი“ — ამბობდა ხოლმე იგი შავი მთის მამათა
და მოწესეთა შორის.

„და მადლობა ღმერთსა, რომელიც მისი დედის წილხვდომილ ქვეყანას დასალუპად არ იმეტებს და არ უგულებელჰყოფს სიგლახაკესა ჩვენსა“ — ამასაც იქვე დასძენდა გიორგი შეყენებული.

გავიდა სამი წელიწადი და მოძღვარმა თავისი მოწაფე — „სრულქმნილი ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა“ — აკურთხა სქემით და გაუშვა იერუსალიმში, წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცავად.

და მივიდა გიორგი იერუსალიმს, მსოფლიოს საქრისტიანო სამყაროს შუაგულს, მოიხილა და „მოილოცნა ყოველნივე წმიდანი და თაყვანის საცემელნი ადგილნი სულისა სურვილითა და გონებისა სიმურხვალითა“. დაჰყო იქ კიდევ „მცირედი ჟამი“ და წამოემართა უკანვე. და ისევ მოვიდა შავ მთას, ისევ გიორგი შეყენებულთან.

და აი, მოძღვარმა მოწაფეს ახლა გადაჭრით გამოუცხადა მისი სამომავლო-სამოღვაწეო ტვირთი: „თარგმანებაი წიგნთა საღმრთოთაი ბერძნულისაგან ქართულად“, ანუ მემკვიდრეობა და გაგრძელება დიდი ეფთვიმე მთაწმიდელის ღვაწლმოსილებისა.

მოწაფე ჯერ ფრიად შეაცბუნა მოძღვრის ნათქვამმა, მერე კი უპასუხა, მტკიცედ და წრფელი სიტყვით: დიდი ეფთვიმე, ვითარცა მნათობი, ნათლად და სიხარულად აღმოუბრწყინა ღმერთმა ქართველ ხალხსო; მან უმეცრების საბურველი მოსძარცვა ჩვენს გონებასო; მისი სივრცითა და სიმაღლით ღმრთივთარგმნილმა წიგნებმა განაგდო და განწმინდა ნაკლულევანებანი ენისა ჩვენისაო; ეფთვიმემდე ბერძენნი ბარბაროსებად გვიხმობდნენ ჩვენ, უმეცართა, ხოლო ეფთვიმეს ღვთაებრივმა მოვლინებამ იგივე ბერძენნი აიძულა ქართველი კაცი სიბრძნეთა თვისთა თანასწორად წარმოესახათო...

— ჰო და, ახლა შენ — უცებ შეაწყვეტინა მოძღვარმა — სწორედ შენ მოგავლინა საქართველოს მწყალობელმა ღმერთმა ჩვენი ერის განმანათლებლად ნაცვლად ეფთვიმესიო.

მაგრამ მოწაფე მაინც თავისას კერპობდა: შეუძლებელ არს ჩემგან ნაცვალყოფნა სამგზის სანატრელი ეფთვიმე მთაწმიდელისა, რომელმან განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი და რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთაო.

— შვილო ჩემო, — ისევ წაართვა სიტყვა მოძღვარმა მოწაფეს — ღმერთი იგი, რომელმან სანატრელსა ეფთვიმეს ქართული ენაი განუმარტა, ივივე შეგეწევა შენც, რადგან მას, უფალს და მაცხოვარს, დიდად

ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩვენი ქართველი. და ვეეედროთ თვითონ მამასა ეფთვიმეს, რათა შეგეწიოს და მისგან დაშთომილი საქმენი შენ სრულჰყო მადლითავე მისითა, ვითარცა პავლემ განაგრძო საქმენი ქრისტესი.

კიდევ დააპირა რალაცის თქმა გიორგი-მოწაფემ, მაგრამ ალარ დაანება გიორგი-მოძღვარმა: შენ, შვილო ჩემო, ისეთივე გაგრძელება სარ ეფთვიმესი, ვითარცა ისუ — მოსესი, ელეაზარ — აჰრონისი, ელისე — ელიასი, პავლე — ქრისტესი და ტიმოთე — პავლესი. და წარვედ ათონს, მთასა წმიდასა, სადაც წინამორბედი შენი ბრძმედსა გონებისასა ახურვებდა და აწრთობდა სიტყვათა ღვთაებრივთა!..

...და გადაწყდა: გიორგი გაეშურა შაეი მთიდან ათონის მთაზე.

. . . . . .

ეფთვიმეს ალრსულებიდან ათონზე გიორგის მისვლამდე ქართველთა სათვისტომოს უკვე სამი წინამძღვარი გამოეცვალა — გიორგი, გრიგოლი და არსენი.

გიორგის, „კაცსა სახელოვანსა და წარჩინებულსა“, მაინცა და მაინც ბევრი არაფერი გაუკეთებია ათონზე ქართველთა შემდგომი ამალლებისათვის: მის ღროს უფრო ბერძნები გამძლავრებულან და ქართველები დასუსტებულან ათონზე.

ხოლო, გრიგოლის საჭეთმპყრობელობის ღროს, ბერძნებმა აშკარა ბრძოლა აუტეხეს ქართველებს ათონის სავანეთა ხელში ჩასაგდებად და ყოველი დიდი და მცირე სალოცავებიდან ქართული ჯიშის ალმოსაფხვრელად.

და ველარ გაუძლეს ათჯერ უმეტეს ბერძენთა შემოტევას და დაჰკარგეს ქართველებმა სალოცავნი — ნათლისმცემლის, ლეონდარისა, მელინძისა, სტილახისა, დომროვიისა და ერისოსი.

სამჯერ ჩაიგდეს ხელში ქართველთა თავადი ლავრა ბერძნებმა და გაიტაცეს ყოველივე, „რაიცა ღრისტი ტურფაი იყო მამათ ჩვენთა მოგებული, ყოველი იავარქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში“.

ენა ვერ იტყოდა ყოველივეს, რასაც ბერძენნი იქმოდნენ ქართველთა მიმართ. იყო ცემა, გვემა, ქურდობა, წაგლეჯა, მოტაცება, მზაკვრობა, ცილდაწამება და გახელებით მიელტვოდნენ ბერძენნი, რათა ქართველ ალმშენებელთა სახელებიც წარეხოცათ მთაწმიდის ქართულ სავანეთაგან. ღამით, ქურდულად ფხეკდნენ ქართულ წარწერებს და ბერძნულად აწერდნენ, იპარავდნენ და ამსხვრევდნენ ქართულ წარწერიან ქვებს და მათ ადგილზე ბერძნულენოვანს ასადაგებდნენ.

და ყოველივე ამას ღლეს სჩადიოდნენ ისინი, გუშინ რომ თხოვნით, ვედრებით, ლამუნით მოხოხავდნენ, შევდრომებას და შემოხიზვნას იხ-

ვეწებოდნენ და ქართველებიც რომ გულქართლად ღებულობდნენ — მშიერს აპურებდნენ, მწყურვალს არწყულებდნენ, მცივანს ათბუნებდნენ და უბინაოს აბინავებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გულქართლობა ისევ (როგორც ძალიან ხშირად) [illegible] ქცეოდათ ქართველებს.

(ვერ იქნა და ვერ დაისწავლა ქართველმა ამოცნობა თეთრკბილიანი შემოხიზნულის შავი გულისა).

და იბრძოდნენ ქართველნი, მაინც მხნედ და თავგანწირვით, მაგრამ იყვნენ ნ ა გ ვ ი ა ნ ე ვ ნ ი და უფრო მცირენი, ვიდრე საერთოდ მარადიული სიმცირე ქართველებისა.

ღელამ-სწორებით იბრძოდა მამა გრიგოლი, იბრძოდა — თუ ლოცვით, თუ წყევლით, თუ ლოგოსით, თუ ბოლმით, თუ მკლავით.

იბრძოდა მისი თანაშემწე ნეტარი არსენი, რომელიც მრავალჯერ „იგვემაცა და მრავალი შრომაი დაითმინა და საპყრობილედ შეწყვდევაი და კიცხევაი და ბასრობაი“.

იბრძოდნენ სხვანი — მამანი, ძმანი, ყოველნი, დიდნი და მცირენი.

რამდენჯერ — ზღვითა თუ ხმელით, ზამთარს თუ ზაფხულს, ყინვას თუ სიცხეს, უსაგზლონი და უხამურნი — მიმოდიოდნენ საქართველოს და ბაზიანტიის მაერთებელ გზებზე, რათა აღეძრათ საქართველოს სამეფო კარი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო ტახტის წინაშე — ხელყოფისა და იავარქმნისგან დაცულიყო ათონის მთის ქართული სავანენი და სათვისტომონი.

ხოლო, ბიზანტიის კეისარ-იმპერატორებს უფრო ხშირად „არ სცალოდათ“ და „არ სცხელოდათ“ ქართველთა მონასტრებისათვის. ყურიც არ გაიბერტყა კეისარმა რომანოს მესამემ. მისმა მომდევნო მიქაელ მეოთხემ კი „გაიბერტყა ყური“ და მოუსმინა ათონის ქართველთა წარმომადგენლობას. მასთან, ქართველთა მეფის ბაგრატ მეოთხის წერილიც გულდასმით წაიკითხა. მამა გრიგოლის მოსახსენებელიც მოისმინა სრული ყურადღებით. და დასხდნენ ბჭობად ქართველნი და ბერძენნი — „პირველ ბჭობად“. და გამოსცა კეისარმა მიქაელ მეოთხემ ბრძანებულება, რათა ამიერიდან აღარ შეეწუხებინათ ქართული სავანეები ათონის წმიდა მთაზე და კვლავ აღდგენილიყო ადრინდელი ძმობა და სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის. ამავე ბრძანებულებით, ქართველებს ისევ დაუბრუნდათ ლეონდარი, ერისო, ნათლისმცემელი, დომვროვია, მელინა და სტილახი.

მამაი გრიგოლის აღრსულების შემდგომ, ათონის ქართველთა სავანის საჭეთმპყრობელობა ეტვირთა არსენის, რომელიც იყო „კაცი მარჯუე და სავსე გონიერებითა, რომელმან არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწრაფებაი აჩვენა დამტკიცებისა ჩვენისათვის“.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ არსენის წინამძღვრად კურთხევის ჟამს ათონის სავანეს მივიდა გიორგი.

მივიდა და უპირველესად თაყვანი სცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

მერე ეახლა წმიდა ეფთვიმეს სამარხს.

და ფერხთა კერძოით ეამბორა ლუსკუმას, რომელშიც განისვენებდა ნაშთი დიდი ქართველი განმანათლებლისა.

უცებისად გავარდა ხმა ათონის ქართულ სავანეში ახალი თვისტომის ჩამოსვლისა, და შეხვდნენ ბერძნებთან ნაომარი ქართველები უკვე სახელმოხვეჭილ თანამოძმეს და თანამორწმუნეს. შეხვდნენ, „სიხარულით შეიწყნარეს და განუსუენეს და დიდად პატივ უპყრეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელიც მიუძღვა მუნ“...

და დადგა გიორგი „მონასტერსა მას შინა მოღვაწებითა ბუნებათა უადრესითა, მარხვითა და ლოცვითა, სიმდაბლითა და სიმშვიდითა, მორჩილებითა და მოთმინებითა“...

ბერძნებმა კი თავისი არ დაიშალეს. კვლავ განაახლეს შემოტევა ქართველებზე. იქნებ მთავარი ლავრა მაინც წავართვათ ქართველებსო, — აეჩემებიათ.

და ისევ აღავლინეს საჩივარი ქართველებმა კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე. მაგრამ ახლა კეისარ მიქაელ მეოთხეს აღარ სცხელოდა ქართველებისთვის. კეისარს ავი ზნე მოერია, ბერად შედგა და ბერობაშივე ამოხდა სული. ტახტზე ავიდა მიქაელ მეხუთე. და ახლა ამას მიადგნენ ქართველები თხოვნით და საჩივრით. ამ ახალმა მიქაელმაც შეიწყნარა ქართველთა თხოვნა. და „მეორე ბჭობად“ დასხდნენ ქართველები და ბერძნები.

და იმ დღეს, „ბჭობაზე“, ყველა, ბერძენიც და ქართველიც — გააკვირვა სიტყვამ ღვთითშემოსილმა. ხოლო სიტყვა იგი საკვირველი წარმოეთქვა ახლად მოსულ ახალგაზრდა ბერს, სახელად გიორგის.

და კვლავ სცნეს ბერძნებმა სიმართლე ქართველებისა.

და ისევ დადგინდა ხელშეუხებლობა ათონის მთაზე ქართული სავანეებისა.

და ისევ გამოცხადდა ქრისტესმიერი ძმობა და სიყვარული ბერძენთა და ქართველთა შორის.

მაგრამ იყვნენ კი-ა სანდონი ბერძენნი, წინარედ ხშირად ფიცისა და სიტყვის გამტეხნი?

იმ წელს კი მამა არსენი მიიცვალა.

და წინამძღვრობა შესთხოვეს გიორგის.

ცივად იუარა გიორგიმ, — მე საწინამძღვროდ კი არა, საგლახაკო

ცხოვრებად მოვსულვარ ამ ქვეყნადო, — გამოაცხადა ისეთი სიმტკიცით, სიტყვის შებრუნება რომ ველარავინ შეუბედა.

და ათონის ქართველთა სამწყსოს მწყემსმთავარი შეიქნა სვიმეონი.

სწორედ სვიმეონის წინამძღვრობის ჟამს, გიორგი ეზრახა [illegible] წინამძღვარს და მის თანამოღვაწე მამებს: რაკი ბერძნებს ქართველებისადმი ათონის მთაზე ამდენი ბოროტება ჩაუდენიათ და ყოველი ჩვენი სიკეთე უმადურობით გადაუხდიათ, უნდა დაიწეროს ყოველივე და, ვითარცა მოსახსენებელი და სახსოვარი წერილი დარჩეს ჩვენი მომავალი თაობებისთვისო.

და მოწონება ამა აზრისა იყო ერთხმივი, და დაიწერა თვითონ გიორგის ხელით, დაიწერა ვითარმედ:

„ვინაითგან ღმერთის მადლითა და წყალობით, აღიძრნეს ჩვენი წმიდა მამანი — იოანე (ვარაზვაჩე), იოანე (თორნიკე) და ეფთვიმე, ამა წმიდასა მთასა მოვიდნენ სულთა ნავთსაყუდელად, თავი მოუყარეს და განამრავლეს ნათესავნი ჩვენნი, ქართველნი, დიდი ღვაწლით, შრომით და ფრიადითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაი ქართველთა სამკვიდრებლად, მერმე ღმრთის მსახურ ბერძენ მეფეთა მსახურებით და მომადლებით, — მას შემდგომ რაც მათდა შემწედ ქართველებმა გაანადგურეს განდგომილი სკლიაროსი — კიდევ უფრო განავრცეს და გაამდიდრეს ლავრაი ესე, შესძინეს დაბანი და მონასტერნი და ოქრობეჭედნი, და ყოველივე ამის შემდგომ წმიდა მამათა, იოანემ და თორნიკემ, კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარემართნენ საუკუნო ცხოვრებად.

„და მემკვიდრედ და გამგებლად დასტოვეს ნეტარი ეფთვიმე, რომელმან ყოვლითა წესითა კეთილთა განაშვენა წმიდაი ესე ადგილი და თარგმანებითა წმიდათა წერილთაითა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩვენი ქართული და ჟამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსო ესე მისდა რწმუნებული.

„და მცირე ჟამის შემდგომ განვიდა ეფთვიმე წინამძღვრობისაგან და თავის ადგილზე მამად დაადგინა გიორგი, ნათესავი თვისი. ხოლო თვითონ მყუდროებით ცხოვრობდა და სახელი მისი, სათნოება და ღირსებანი მთელ საქართველოს განეფინა, მაგრამ არა თუ მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად საბერძნეთსა და ბიზანტიას. და მისი სახელის მასმინარნი, მრავალი ღირსნი და წმინდანი კაცნი მოდიოდნენ მთაწმიდას, მოდიოდნენ ნეტარ ეფთვიმეს სახილველად, მისი ხილვით სულის გასანათლებლად. ასე მოვიდნენ მასთან: იოანე გრძელიძე, არსენი ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი, ოქროპირი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და მერე — ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმართმოყვარე, და ზაქარია მირდატის ძე, და არსენი, და სხვანი მობაძავნი მათნი. და ყველანი, ვითარცა სახიერმან მამამან, ისე შეიტკბო ეფთვიმემ, ყველას გა-

ნუსვენა ყოვლითა განსვენებითა. და ასე, საღვთო და სათნო ზოქალა-ქეობაში, უფლისა მიმართ მიიცვალა ეფთვიმე, ხოლო მიცვალების წინ ძმანი ქართველნი მამა გიორგის და მამა გრიგოლს შეავედრა ეფთვიმე ხეულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და არ გაუვლია ჟამსა მრავალსა, რომ გიორგი წინამძღვარმა ეფთვიმეს მცნებანი დაივიწყა და ქართველთა აღორძინების ზრუნვაზე ხელი აიღო და ქართველთა სანაცვლოდ ბერძნებს მიექცა და ქართულ სავანეებში ბერძენნი განამრავლა. მერე გიორგი ექსორიაში მიიცვალა, ხოლო ჩვენ ქართველნი მისგან დავრჩით ფრიად შემცირებულნი.

„და ჰპოვეს ჟამი ბერძენთა, ჩვენი სიმცირისა და მათი სიმრავლისა, და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნეს ჩვენზედ, რამეთუ ენებათ ჩვენი სრულად აღმოფხვრა და ჩვენთა სამკვიდრებელთა სრული დაპყრობა.

„და ამის მიზეზით დიდ ჭირში ჩავცვივდით, ბერძენთაგან საწუნელნი, საძულველნი და სამტერებელნი. შეუძლებელია ყოველივე ჩამოვთვალო სათითეულოდ: რამდენი გინებანი, რამდენი შეურაცხებანი და ყვედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩვენზედ, ყოველ დღე. თუ ცემით, თუ გვემით, თუ მწვალებლობის ცილდაწამებით შევიწროებულნი ვიყვენით დიდსა ურეასა შინა, და ესეც კი ენებათ და ცდილობდნენ თავგამოდებით — ჩვენი ტაძრების მაშენებელთა სახელიც წარეხოცათ სავსებით.

„ნეტარი მამაი გრიგოლ, ამას რომ ჰხედავდა, ელმოდა გული და იწვოდა ცოდვითა ჩვენითა. ევედრებოდა ღმერთსა, რათა უკეთესი დღე დაგვდგომოდეს. და მისცა ღმერთმა კაცი მარჯვეი და საესე გონიერებითა — ნეტარი არსენი, რომელმან არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ თავგამოდებით ისწრაფოდა ჩვენი განმტკიცებისათვის, სხვა რამდენიმე ქრისტესმოყვარე ძმათა გვერდით. საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!

„ვის შეუძლია მოთვალოს, რამდენი მოითმინეს: მიმოსლვაი ზღვითა და ხმელით საქართველოში, ბერძენთა მეფეთა წინაშე სავედრებელ წერილთა ჩამოსატანად. რამდენჯერ ჩამოვიტანეთ წერილნი თვითმპყრობელთა და ჩამოვედით, რამდენჯერ გინებით და შეურაცხებით გვდევნიან უსაგზლოთა და უხამურთა, უამსა ელვათა ტეხისა და ზამთრისასა, და ისევ სლვა თხოვნის კიბეზედ, მეფეთ წინაშე, ხან ღვთისმოყვარე კაცთა წყალობით, ხან ტირილით და ხვეწნა-მუდარით. ხან აქ და ხან იქ მოურნენი და მზრდელნი გვიჩინა — როგორც ჩორჩანელი და ფარსმანი — რომელთაც დიდად აღგვიპყრეს ხელი წყალობისაი. ათას წილად მიაგოს მათ უფალმან მწყალობელმან!

„და ამა ჭირთა შინა ვიყვენით ჟამსა არსენის წინამძღვრობისასა...

„და ჟამსა გრიგოლის წინამძღვრობისასა...

„და მოვაღწიეთ მეფეთა ორივე მიქაელისსა, ბჭობად პირველად კონსტანტინოპოლსა... და ბჭობად მეორედ თესალონიკესსა...

„და აჰა, ესერა, კვლავ ჩვენს ხელთაა მონასტერნი ჩვენნი, აღმატებულნი ჰაეროვნებითა და შვენიერებითა, რომელთა მსგავსნი არა ჰპოვებიან მონასტერნი არა მხოლოდ მთასა ათონისასა, არამედ არცა სხვათა ადგილთა მრავალთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და ვინაითგან ესე ყოველი და ამისა უმრავლესი მოიწია ჩვენზედა, და მრავალი ჩვენი ძმათაგანი გაიყიდა და ჩვენ მტერთა მიექცა, ყოველივე ამისგან შეგვეშინა და აღვწერეთ მოსახსენებელი ესე და დავდევით აქ, შემდგომად ჩვენსა მომავალთა ნათესავთათვის, რათა არ იქნას დავიწყებული ესევითარი მრავალფერი ღელვაი.

„და ერთითა ერთობითა ამას კი ვიტყვით, ვითარცა ერთის პირითა ყოველი ქართველისა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი — აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, შავ მთაზე თუ იერუსალიმში, ყველგან, ყველგან, სადაც არიან ძმანნი ჩვენნი:

„უკეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩვენისაგან კაცი — გინა მამასახლისი, გინა იკონომოსი, გინა სხვაი ვინმე — და თუ რაიმე ღონით ან მანქანებით, ან საფასის სიხარბით, ან ბერძენთა სიყვარულით, ან ვისმე კაცის ხათრით და მორიდებით, ან სხვა რაიმე ზაკვით ამ წმიდა ადგილს ეორგულოს და გასცეს მიწა ამა მთასა, ან მის გარეთ, ან ქართველთა შინაგამცემელ ექმნეს, ესე ადგილნი ქართველთა დაუკარგოს, ქართველი აღმოფხვრას, ქართველი გააქციოს, ქართველი ასწყვიდოს — ყოველთა წმიდათა ჯვარითა და მაღლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩვენებულ და განკვეთილ წესისაგან ქრისტიანეთაისა და მათ თანამცა შერაცხილ არს, რომელნი იგი შინაგამცემელ ექმნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, ა-მცა-ხოცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტიანეთისა!

„და აგრეთვე ჩვენთა ძმათაგანნი, ქართველნიცა მიემხრონ და შეეწამონ ესევითარს მტერსა მზაკვარსა, ივინიცა წყეულ არიან და შეჩვენებულ!

„და რომელთაც ქართველთა გამრავლება იღვაწონ და ესე წმიდაი ადგილი ნათესავსა ჩვენსა დაამტკიცონ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!

„და რომელიცა ძმანიც ამ დიდებული ლავრის სამართლობისა და ღამტკიცებას თანამოღვაწედ ექმნნეს, ანუ მოღვაწე ექმნენ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი წმიდათა მამათა ჩვენთა და მაშენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოხსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩვენა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს, გინა გამოჩდენ!

„მაღლითა და ლოცვითა გვაკურთხენ და აღგვაორძინენ უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვიხსენ და სასუფეველთა ცათასა მკვიდრ გვიჩინენ მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესითა და ყოველთა წმიდაითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს

ღმერთსა, რომლისაი არს დიდებაი, სიმტკიცეი და სუფევაი აწ და მარა-
დის და უკუნითა უკუნისამდე. ამინ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ეს „მოსახსენებელი“ გიორგი მთაწმიდელმა, შემდგომ მისგან დაწერილ „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას“ დაურთო)...

. . . . . .

მამა სვიმეონი თავისი წინამძღვრობის მეორე წელს მიიცვალა.

და ისევ შესთხოვეს საჭეთმპყობელობა სავანისა გიორგის.

ისევ სთქვა უარი, სიტყვითა შეუქცეველითა.

და მთაწმიდის ქართველთა საქრისტიანო და სათვისტომო საძმოს მწყემსმთავარი შეიქნა სტეფანე ხარტულარი.

ჩააცივდა სტეფანე გიორგის, მღვდლობა მაინც იტვირთეო, მაგრამ ისევ და ისევ მტკიცე უარი მიიღო და სხვა ვერაფერი.

ყოველივე ეს შეუტყვია გიორგი შეყენებულს შავსა მთაზედა, კლდისა დანახეთქსა ქარანძავსა, და ერთ დღეს მოუვიდა გიორგის მკაცრი სამდურავი მოძღვრისაგან — როგორ თუ ამდენ ხანს მღვდლობაზეც უარი გითქვამს და წიგნთა წერასა და თარგმანებასაც არ შესდგომიხარ და ჩემდამი მოცემული აღთქმა ესრეთ არ აღგისრულებიაო?!

და იყო ფრიად შეურვებული გიორგი.

არარაი ამაღლება არ მსურსო, რამეთუ თქმულ არს: „რომელმან აღამაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“, და კიდევ — ცუდი დიდება ღედაა ყოველი ვნებისაო. და გაურბოდა გიორგი ისეთად ყოფნას, გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) რომ იტყოდა: ბევრი ისეთია, სანამ თვითონ განიწმინდებოდეს, სხვის განწმენდას დაიჩემებენ და, ნიკაპზე ღინღლის ამოსვლისთანავე მღვდლობას და მხცოვანთა დამოძღვრას მოინდომებენო.

და მიელტვოდა გიორგი მსახურებასა უბრალოსა, მდაბალსა და შეურაცხებსა: ჯერ ეზოებს ჰგვიდა, მერე სვეტებსა და სვეტის თავებს წმენდდა, კიბეთა საფეხურებს ასუფთავებდა, შემდეგ პალოებს თუ სარებს თლიდა, არჭობდა და თოკებს გრეხდა და ჭიმავდა; კიდევ — სამღვდელოთა ჯამჭურჭელს რეცხავდა და ამშრალებდა, ბოლოს კიდობანთა მტვირთველი იქმნა.

მაგრამ ახლა, გიორგი შეყენებულის შემონათვალიც რომ ისმინა, ისევ მიეძალა და აღარ მოეშვა მამა სტეფანე გიორგის მღვდლად კურთხევას.

და „მაშინ მრავლითა ცრემლითა და სულთქმითა მოწიწებით და შიშით მიიღო პატივი მღვდელობისა“.

კიდევ გამოხდა მცირე ჟამი და გიორგის მიენდო მღვდელთა და მგალობელთა წინამძღოლობა, ანუ დეკანოზობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებას კი განუწყვეტლივ უფორიაქებდა გიორგი შეყენებულის რისხვეული შემონათვალი:

„ვინ მოგცა ნება ღვთისგან შენდამი რწმუნებული ტალანტის დამარ-ხვისა?!“

და დაჯდა გიორგი წერად.

ჯერ იქედანვე, როცა წმიდა მთას ფეხი შემოსდგა, წმიდა ეფთვიმესა და მამამისის წუთისოფელთა შესწავლა იწყო „ყოვლითა მოსწრაფებითა და წადიერებითა“. გამოწვლილვით ეკითხებოდა ყველას, დიდსა და მცირეს, ახლობელთა და შორიელთა, თვალით მხილველთა და ყურით მსმენელთა, როგორი იყო ცხოვრება იოანესი, თორნიკესი, ეფთვიმესი და ყოველთა ძმათა ათონელთა, როგორ იღვწოდნენ, როგორ აშენებდნენ, როგორ იბრძოდნენ, როგორი იყო მათი ბუნებაი ღვთაებრივი და ბუნე-ბაი კაცობრივი. ყოველ ცნობას სინჯავდა, ერთმანეთს უდარებდა და უჯერებდა, უეჭველს საეჭვოსგან ასუფთავებდა და აჭეშმარიტებდა.

და დაიწერა წიგნი გიორგი მთაწმიდელის კალმითა გრძნეულითა — „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყე-ბაი ღირსსა მის მოქალაქეობისა მათისაი“.

და უმთავრესი მიზანი ამა წიგნისა იყო, არა მხოლოდ არდავიწყება წინაპართა ღვაწლთა და საქმეთა, არამედ წრთვნა და აღზრდა მომავალი სათვისტომო თაობებისა.

და წიგნი ესე მოევლინა ქართველობას, ვითარცა „ხატი ცხოველი და ძეგლი პირმეტყველი“, მასწავლებელი, სულით და ხორცით განმა-ნათლებელი.

შემდგომად „იოვანეს-ეფთვიმეს ცხორების“ დაწერისა, გიორგიმ თარგმნა სვინაქსარი, „საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვინიერ შეუძ-ლებელ არს წარმართება ეკლესიისა, რამეთუ რომელ ეკლესიას სვინაქ-სარი არა აქვს, სხვა ყოველი წიგნიც რომ ჰქონდეს, იგი თაფლსა სჭამს და სასა მისი სიტკბოს ვერა გრძნობს“.

„სვინაქსარს“ კი მოჰყვა:

„სახარებაი გამოკრებული საწელიწდოი“,

„პავლე გამოკრებული საწელიწდოი“,

„დიდნი ჯურთხევანი“,

„დაბადება“,

„პავლე სრული“,

„კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი“.

და როცა გიორგის ხელით ეს ცხრა წიგნი დაიწერა და დაინუსხა, მას ჟამსა გარდაიცვალა მამა სტეფანე ხარტულარი.

და ისევ — ათონის მთის მთელმა სათვისტომომ, „ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა“, წინამძღვრობა შესთხოვეს გიორგის.

მაგრამ ისევ ცივ უარზე დადგა გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ მოეშვნენ.

მაშინ მხოლოდ წილის გდებას დავთანხმდებიო, სთქვა დარეშეულ ლად დაადგა ამ გადაწყვეტილებას.

და გამოარჩიეს კიდევ ორი საწინამძღვრო ძმა.

და სამგზის განიგდეს წილი სამთა.

და სამგზისვე წილი წინამძღვრობისა ერგო გიორგის.

მართლა ღვთის ნება ყოფილაო, — დარწმუნდა გიორგი და უკვე გულდამშვიდებით მიიღო კვერთხი ათონელ ქართველთა მწყემსმთავრობისა.

და მისცა თავი თვისი გიორგი წინამძღვარმა „ფიცხელსა მოღვაწებასა“, უფრო ფიცხელსა, ვიდრე „დაიტევს კაცობრივი ბუნებაი“.

არ იცოდა არცა დასვენება, არც დაღლა.

უკეთუ იჯდა — წერდა.

უკეთუ იდგა — ფიქრობდა.

უკეთუ იძვროდა — იქმოდა.

და არ იცოდა, რა იყო უქმობა დროისა.

უკეთუ არ წერდა — მიწას ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა, სხლავდა, აშენებდა, სჯედდა, საწისქვილე ქვას ჰკოდავდა.

და ასწავლიდა მოწაფეთა და ძმათა თვისთა, არა ოდენ სიტყვითა ოქრონექტარითა, არამედ საქმითა ნივთად განწიალებულითა.

და ამინ გეტყვით თქვენ: ვითარ გამოაჩინოს ხელოვანმან ბრწყინვალება მისი აზრისა, უკეთუ არ შექმნა ნივთი შემსგავსებული თვისისა სახელოვნებო ნააზრევისა?

ანუ — ვითარ საცნაურ იქმნას მენავეთმოძღვარი უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს?

ანუ — ვინ დაიჯეროს და ადიდოს შემმართებლობა მხედრისა, უკეთუ იგი საომარ ველზე მტერთა მრავალთა მრავალგზისად არა ეკვეთოს?

და იყო მუდამ ერთი და განუყოფელი სიტყვა მისი და საქმე მისი.

და იძვროდნენ სიტყვანი მისნი, ვითარცა ლამპარნი მგზენებარენი.

და იქმოდნენ საქმენი მისნი, ვითარცა ნაქმნარნი ხელითა ზენაარითა.

ვააზრებასა და ნააზრევის განსრულებაში მანათობელ ლამპრად ისევ წმიდა ეფთვიმე უძღოდა გიორგის. ეფთვიმეს „ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსულნი და წმიდათა მოციქულთა მიერ დამტკიცებულნი“.

მაგრამ ერთხელაც ისე მოხდა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელის წესსა თარგმანისასა გიორგიმ ეჭვის თვალით შეხედა.

ხოლო, წესი იგი, ვითარცა ზემორეთ (ეფთვიმეს ცხოვრების აღწერისას) ითქვა, იყო შემატებისა და დაკლებისა, ანუ ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ნაზიანზელ-ღვთისმეტყველს „ბასილი დიდის ცხოვრებაში“ სომეხთა შესახებ ასეთი რამ უთქვამს:

„არა მარტივ ნათესავ ვპოვებ სომეხთა, არამედ ფრიად დაფარულ რაიმე და ზღვისკლდე“.

ხოლო, ეფთვიმეს, მისი „შემატების წესით“ ასე ეთარგმნა:

„ვითარცა არს იგი ნათესავი სომეხთაი არა წრფელ, არამედ მზაკუარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღვასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყვიან იგინი და სხუაი უც გულსა მარადის და სარწმუნოებაი მათთანა არა არს, და რაი საკვირველ არს, უკეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაითგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ და ბოროტად აღმსაარებელ“.

და ამის შემდგომად გიორგი ერიდებოდა სათარგმნი ტექსტიდან ძირეულ გადახვევას, გაზვიადებას, ან გამარტივებას. იგი ცდილობდა, თარგმნის ჟამს არც ქართული ენა დამდაბლებულიყო და არც სათარგმნი თხზულების აზრი დაზიანებულიყო...

...როგორც კი წინამძღვრობის კვერთხი აიღო, მაშინვე ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში ბრწყინვალე სამარტვილე ლარნაკი აღაშენა გიორგიმ, აღაშენა წმიდა ეფთვიმეს სამარხად. და „დიდითა პატივითა, ფსალმუნითა და გალობითა, საკმეველთა სურნელებითა და კერეონთა ბრწყინვალებითა“ გადაასვენეს ქართველებმა ეფთვიმეს სხეულებრივი ნაშთები ნათლისმცემლის ეკლესიიდან ღვთისმშობლის მთავარ ლავრაში. კუბოს თვითონ შესდგომოდა მეწინავე მტვირთველად გიორგი. და თავისი ხელით ჩაასვენა თავისი წმიდა წინამორბედის კიდობანი მისგანვე აგებულ სამკვიდრებელში.

მერე ეფთვიმეს მამა და ათონის სავანის დამაარსებელი იოანე გადმოასვენა გიორგიმ მთავარანგელოზთა ეკლესიიდან და შვილს მარჯვენა გვერდით ჩაუსვენა.

ბოლოს არსენი ნინოწმიდელისა და იოანე გრძელიძის ნაშთებიც მოიძია, ცალკე გვადრუცში მოათავსა და ისინიც ეფთვიმეს ფერხთა კერძოით ჩაასვენა სამარტვილეში.

დიდის ზარზეიმით შეკრეს და აკურთხეს სამარტვილე იგი ქართველებმა, „შეამკეს ყოვლითა სამკაულითა, ხატითა და ჯვარითა, ქორაკანდლითა, სასანთლითა და ეზოითა და სხვითა ყოვლითა ბრწყინვალებითა, ვითარცა შვენოდა წმიდათა მათ“.

ამიერიდან სამი კანდელი ჩაუქრობლად უნდა ნთებოდა წმიდა ეფთვიმეს.

მერე ისევ მთავარ ლავრას მიუბრუნდა გიორგი. ტაძარს სახურავი დაზიანებოდა, თავსაბურველი ტყვია აღარ ჰქონდათ და შიგნით, კედლებზე და შინამოხატულობა-მორთულობაზე წყალი ექცეოდა ტაძარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ადგა და წავიდა მოძღვარი კონსტანტინოპოლს, მივიდა და ითხოვა იმპერატორთან შეხვედრა. კეისარ-იმპერატორი ბიზანტიისა იყო კონსტანტინე მონომახოსი.

და მიიღო კონსტანტინემ ქართველი მოძღვარი, მიიღო დიდის პატივით, „რამეთუ დიდი სარწმუნოებაი აქვნდა მის მიმართ“. და ჰკითხა, ვითარმედ:

„რაისთვის მოშვრა სიწმიდე შენი, კაცო ღმრთისაო, ჩვენისა მომართ ხელმწიფებისა?“

და უთხრა გიორგიმ, ვითარმედ:

„გიხაროდენ ქრისტეს მიერ, ჰოი ბრწყინვალეო თვითმპყრობელთ შორის! გიბრძანებს ჩემ მიერ გლახაკისა ყოვლად წმიდაი იგი სასოი და შესავედრებელი ღმრთისმსახურებისა შენისაი, წმიდაი ღმრთისმშობელი, რათა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყვნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უბურაობითა მონასტერსა ჩვენსა. აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვივი, რომლისა მიერ დაიბუროს წმიდაი ეკლესიაი, რათა მას შინა ელოცვებოდის წმიდასა მეფობასა შენსა“.

მაშინვე, „სიხარულით აღასრულა“ იმპერატორმა გიორგის სათხოვარი — საზღვაო უწყებას უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეცათ ტყვია ქართული ტაძრის დასაბურავად. და ასე — დაჰხურა ახალი სახურავი გიორგიმ ათონის მთავარ ლავრას, და ამას გარდა, „გარეგანი შტოი აღაშენა და ესრეთ ყოვლითურთ სრულყო წმიდაი ესე ეკლესიაი“...

. . . . . .

იმჟამად ქართველთა მეფე ბ ა გ რ ა ტ მ ე ო თ ხ ე ეწვია კონსტანტინოპოლს; მეფეს თან ახლდა დედა — დედოფალი მ ა რ ი ა მ ი, და ასული — მ ა რ თ ა. ლიდის პატივით შეხვდა კეისარი კონსტანტინე მონომახოსი ქართველ სტუმრებს.

გიორგიც მაშინვე გაეშურა კონსტანტინოპოლს, მეფესთან და მისიანებთან შესახვედრად.

გზად ლივზიდია უნდა გაევლო, სკლავების („ბორლალნი“) საცხოვრისი სოფელი. სმენოდა გიორგის: ლივზიდის მთაზე, ტყესა ულრან-მალნარსა, ერთი კერპი მდგარა, სალოცავი და საზორველი სკლავებისა. ყოველივე მისგან მოგვეცემისო — მზეცა და წვიმაც, სიხარულიც და წუხილიც, საზრდელიც და საბადებელიც, სიცოცხლეცა და სიკვდილიცო, — ამბობდნენ სკლავები. ამიტომ, უკეთუ გნებავს ყოველი შენი საქმენი კონსტანტინოპოლს მიმავალმა განმარჯვებულად წარმართო, ჩვენს ღმერთს ეევედრე, რათა შეგეწიოსო, ეჩიჩინებოდნენ სკლავები გიორგის.

— კეთილი, კეთილიო — უპასუხათ გიორგიმ — მადლიერი ვარ თქვენი ეგზომ ღვთაებრივი რჩევისთვისო. მაშინვე ურო აიღო და ისევ სკლავებს

მიუბრუნდა: აბა, წამიყვანეთ და მაჩვენეთ ეგ თქვენი ღმერთიო; და იმათაც აიყვანეს იმ მთაზე. და იხილა გიორგიმ კერპი იგი — „შავი, ლუნგილისა, შიშველი ქალის ქანდაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეზარა გიორგი მისმა ხილვამ, პირჯვარი ისახა და ურო მოიმარჯვა. „მოგკლავს!“ — ამის დაძახებაღა მოასწრეს სკლავებმა და გიორგიმაც მთელის ძალით სცა ურო კერპს, ერთიც მოუნაცვლა და კერპი იგი „წუთ იხილვებოდა და წუთ აღარ“.

ამის შემდეგ წავიდა იგი ისევ კონსტანტინოპოლს.

დიდის სიხარულითა და სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფე, მისი ამალა და ათონელი წმიდა მოძღვარი. ხელახლა, ერთად შეხვდნენ კეისარ კონსტანტინე მონომახოსს, რომელმაც ახალი წყალობა გაიღო ათონის ქართული სამწყსოსა და სათვისტომოსთვის — ბრძანება გამოსცა ათონის ქართული სავანეების პრასტინთა (ნავსადგურთა) გაზრდისა და მათზე დიმოსის (ხარკის) გაუქმებისა.

ბაგრატ მეფის დედა, მარიამ დედოფალი, გიორგის დაემოწაფა და მისგანვე იკურთხა და შეიმოსა სქემით. აქვე, ერთი ლიტრა ოქრო, რომელიც ქართველ დედოფალს პირადად კეისრისგან ძღვნად მიეღო, მარიამმა გიორგის გადასცა მთაწმიდის ლავრის შესაწირად.

მაინც და მაინც ბაგრატ მეფე მოიხიბლა გიორგი მთაწმიდელის ღმრთივკურთხეული სიბრძნით და სასწაულმოქმედი ქცევებით და ამბობდა ნატვრით გვირგვინოსანი: უკეთუ მეახლოს საქართველოში და იყოს ჩემთან, „არა მეშინის არცა გრძნებათაგან და არცა წამალთა სასიკვდინეთა“.

და ეხვეწებოდა ბაგრატ მეფე გიორგის: ინებე და წამობრძანდი საქართველოში; ჭყონდიდის ეპისკოპოსი აღესრულა და შენ იტვირთე ჭყონდიდლობაო; მრავალი წმიდა მარტვილი განისვენებს ჭყონდიდს, ჩემთვისაც იქ გამიმზადებია საფლავიო; წამოდი და დაემკვიდრე საქართველოშიო. მაგრამ გიორგიმ არ მიიღო მეფის თხოვნა — „ყოვლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა გაურბოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა“.

მას ჟამსვე კიდევ მოხდა ერთი, იმ დროისთვისაც და სამომავლოდაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი.

მესამე წელი მიდიოდა ბაგრატ მეფის სტუმრობისა ბიზანტიაში, და მიიცვალა კეისარი კონსტანტინე მონომახოსი. იმპერიის ტახტი დარჩა უკვე სამოცდაათი წლის ქვრივს, დედოფალ თეოდორას, რომელმაც შვილად აიყვანა ბაგრატ მეფის ასული, ღვთაებრივად ლამაზი მართა. მალე თეოდორაც გარდაიცვალა. სახელმწიფო გლოვის დღეებში ჭირისუფალთა შორის იყვნენ ქართველებიც. ის იყო, კუბო მიცვალებული დედოფლის ნეშთით ასწიეს და სასახლიდან გასატანად დასძრეს, რომ მეყსეულად დარბაზში შემოიყვანეს თეთრად მორთულ-მოკაზმული მართა ბა-

ტონიშვილი. და მეყვსეულადვე ყველას საგლოველი დაავიწყდა — ყველას მზერა ქართველ გოგონას შეეცვა და შეეყინა. ციმმოვლენილ ხელიწვდა დას ჰგავდა მართა ბატონიშვილი... და უცებ ციმმოვლენილ ... სივით გაისმა:

„შეხედეთ და უწყოდეთ ყველამ, ვითარმედ დღეს ამ სასახლიდან დედოფალი განვიდა, მაგრამ მასვე ჟამს დედოფალი შემოვიდა!“

და სიტყვა იგი იყო გიორგი ათონელისა.

და სიტყვა იგი აღმოჩნდება სწორედ წინასწარმეტყველური: გაივლის ცხრა წელიწადი და ქართველი მეფის ასულს, მართას, ახალი სახელით — მარიამს, თავზე დაადგამენ ბიზანტიის დედოფლის გვირგვინს (ამაზე ისევ ითქმის ქვემოთ).

კონსტანტინოპოლიდან ათონის მთაზე დაბრუნდა თუ არა, გიორგიმ შეჰყარა სამწყსო, ითხოვა შენდობა და გამოაცხადა გადადგომა წინამძღვრობიდან. იბღავლა სამწყსომ. შეუვარდნენ ფერხთა და მუხლთა მისთა, ევედრნენ, ემუდარნენ, რათა არა იჯმნას მამობისგან მათისა, მაგრამ არ შეისმინა და გავიდა სავანიდან. გავიდა ისე, ერთი ქრთილის ოდენაც არა გაუტანია რა. ყოველი წიგნიც, რაიც ეთარგმნა, დაეწერა და დაეკაზმა — გინა სვინაქსარი დიდი, გინა სახარებაი გამოკრებული, გინა პავლე გამოკრებული, გინა კურთხევანი, გინა სტუდიელი და სხვანი მრავალი — ყველანი ხელუხლებლად დაუტევა სავანეს.

წავიდა ისევ შავ მთას, და მივიდა ისევ გიორგი შეყენებულთან.

განკვირდა მოძღვარი მოწაფის უეცარი გამოცხადებით. უმალვე განცვიფრება გარისხებად ექცა — როგორ თუ სამწყსო აგრე გულარძნილად დააგდე და წამოხვედიო!

მძიმეა ჩემთვის მწყემსობა ცხვართა პირმეტყველთაო, აიჩემა ნამწყემსარმა, მაგრამ სიტყვა აღუკვეთა მოძღვარმა: მძიმეაო! მაშ, რაღაისთვის თქმულა — „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“?

ბოლოს მაინც მოულბა გული შეყენებულს. მივიდა, ხელი მხარზე უწვდინა და შეჰღაღადა:

— ვითარცა მაცხოვარი ჩვენი ეტყოდა მოციქულსა პეტრეს, ეგრევე გეტყოდე შენ: „უკეთუ გიყვარვარ მე, დამსწყესენ ცხოარნი ჩემნი!“

ამის თქმა და... წამოვიდა ისევ შავი მთიდან ათონის მთაზე გიორგი, კვლავ საათონელოდ, კვლავ საწინამძღვროდ.

და შეხვდნენ ისევ ცხოვარნი მისნი, სამწყსონი მისნი, მის მობრუნებამდე უმწყემსონი და უპატრონონი...

ხოლო, დედა ბაგრატ მეფისა, მარიამ დედოფალი, ანტიოქიის გზას დასდგომოდა, რათა შავ მთასა და ანტიოქიას მცირედ შეყოვნების შემდეგ, იერუსალიმს ჩასულიყო, წმიდა ადგილნი მოელოცნა და თანხლებული განძი იქაურ გლახაკთა და უპოვართათვის დაერიგებინა.

კონსტანტინოპოლიდან, საკეისროდან და საპატრიარქოდან, საგანგებო ბრძანებულებაც მოსვლოდათ ანტიოქიის მმართველსა და სულიერ მოძღვარსაც, გამორჩეული ღირსებით მიეღოთ საქართველოს ეკლესია-მონასტერი და საკადრისი პატივითაც გაესტუმრებინათ იერუსალიმის გზაზე.

მაგრამ მიუსწრო გიორგი ათონელმა, ათონის მთიდან სასწრაფოდ და საგანგებოდ წასულმა, ჯერ დედოფალი ინახულა, მერე ანტიოქიის პატრიარქი, მასთან სირიის განმგებელი და სამივეს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა: ახლა, ჩვენთა და ყოველ ქრისტიანთა ცოდვათა გამო, იერუსალიმი ტყვეა ურჯულო სარკინოზებისა. ამიტომ არა კეთილ არს დედა ქრისტიან ქართველთა სარკინოზეთს წავიდეს!

და ააღებინეს ხელი იერუსალიმს წასვლაზე მარიამ დედოფალს.

ააღებინეს, მაგრამ ახლა თვითონ გიორგის შეუჩნდა მარიამი: მე, შენგან დამოძღვრილსა და დამოწაფებულს, ბოლომდე მეყავ მეოხად, შეიწყალე სული ჩემი, ვითარცა გეწყალვოდა მოაქვამამდე, და, რადგან მე აღარ მეღირსება ჩემის ფეხით მოვიარო წმიდა ადგილნი წმიდა ქალაქისა — შენ იტვირთე იერუსალიმს წასვლა ჩემდა წილხვედრად, წაიღე ყოველი საფასე ჩემი და დაურიგე გლახაკთა და დავრდომილთა წმიდა ქალაქის ტაძრებსა და სალოცავებშიო.

ეძნელა გიორგის „საქმე ესე, ვინაითგან წმიდათა წიგნთა თარგმანისაგან დაეხრწეოდა"; მაგრამ ვერ წინააღუდგა დედოფლის და მოწაფის ვედრებას, აიღო ყოველი საწირველი საფასე და საგანძური მისი და წარემართა იერუსალიმს. ისევ მოიარა, მოიხილა, მოილოცა, გაუყო ყოველივე გლახაკთა, დავრდომილთა და უპოვართა ყოველივე წამოღებული, სახელითა ქართველთა დედოფლისა მარიამისა.

მაშინ იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ახალი აღმშენებლობით შენდებოდა და მაშენებელი მისი, ნეტარი მამა პროხორე დიღის სიხარულით, ლოცვით და კურთხევით შემოეგება გიორგის. დიდი წილი განძისა გიორგიმ სწორედ ჯვარის აღმშენებლობას შესწირა. — დიდი არს საუფლო ესე შესაწირავი, რომელიც მოგვიგე შენ, — უთხრა პროხორემ გიორგის — მაგრამ უფრო დიდ და აღმატებულ ღვთაებრივ შეწირულებად ჩავითვლით, უკეთუ შენის ღმრთივმოსილი ხელით დაწერილ წმიდა წიგნებს მოანიჭებ ჯვარსა ჩვენსა ცხოველმყოფელსაო.

აღუთქვა გიორგიმ ყოველი წიგნი, რომელიც ათონის მთაზე დაიბადება, ჯვარის მონასტერსაც მოერთმევაო.

და წამოვიდა პალესტინიდან.

და მოატანა კვლავ შავ მთას.

და შემოეგებნენ ყოველნი შავმთელნი.

უზომოდ გაიხარა დედოფალმა მარიამმა, მუხლებში შეუვარდა წმიდა მამას და მოძღვარს, მადლი მიუგო მისგან ეგზომ პატივცემულმა და ამაღლებულმა. მეორე დღეს მარიამი კვლავ ეზრახა გიორგის —

იქნებ ინებო, პატივი დაგვდო და მცირე ხნით მაინც ჩამობრძანდე საქართველოშიო. გიორგიმ კვლავ უარი უთხრა, ოღონდ აკურთხა და გზა დაულოცა დედოფალს. მარიამი საქართველოსკენ გაეშურა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი კი, გიორგი შეყენებულის თხოვნით, ერთ ხანად შავ მთაზე უნდა დარჩენილიყო, კვლავ საღმრთო წიგნთა სათარგმნსაწერად.

და იყო შავსა მთაზედაც — სვიმეონწმიდას და კალიპსოს — დღეღამსწორებით დაუცხრომელი, ვითარცა მოძღვარი ქრისტემიერ საძმოისა, მწყემსი სამწყსოისა და მწერალი საღმრთოისა და საადამიანოისა.

თარგმნიდა და „ეგევითარი თარგმანი, თვინიერ წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმესსა, სხვაი არა გამოჩენილა ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს!“

წერდა გიორგი. უმეტეს წილად ღამე წერდა. დღისით საწესოს და საკანონოს აღასრულებდა, ხნავდა, თესავდა, მჭედლობდა, იკონომოსობდა. „არა სცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შვრებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენაი ჩვენი და წმიდანი ეკლესიანი განაშვენნა და წერილთა თვისთა ოქროითა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად“.

. . . . . .

იმ დროს ანტიოქიას საღმრთო ქალაქს, პატრიარქი აღსრულებულიყო და მის ადგილზე ახალი მწყემსმთავარი ეკურთხებინათ. სახელი ახალი პატრიარქისა იყო იოანე, რომელსაც მანამდეც მისწვდომოდა ათონელი ქართველი ბერის საკვირველი სიბრძნისა, მწერლობისა და მოქალაქეობის ამბავი.

იმ ქართველ ბერთან სიტყვისქცევა მწადიაო — უბრძანებია იოანე პატრიარქს და მიუწვევია კიდეც გიორგი ანტიოქიას.

და შეხვდნენ ერთმანეთს, წმიდა პეტრეს დიდსა ტაძარსა.

და გააჩაღეს საღვთისმეტყველო აზრთა მიმოქცევა, რაიც გაგრძელდა სრული მსგეფსი — შვიდი დღე, შვიდეულითა საკითხავითა:

მართლისა სარწმუნოებისათვის,
საეკლესიო კანონთათვის,
სულისა სარგებლისათვის,
სათნოებათათვის,
ვნებათათვის,
მარხვათათვის,
შურისათვის.

— ჭეშმარიტად საკვირველი ყოფილა, ძმაო ჩემო, სიბრძნე და სიწ-

მიდე შენი! — შეჰღაღადა იოანემ მსგეფსისა ბოლოს და შეუვარდა მუხლებში გიორგის.

— ნუ იყოფინ, ნუ იყოფინ, მამაო ღმრთითშემოსილო! — თქვა ცრემლ-მუხლი მოიყარა ათონელმა და წამოაყენა ფეხზე ანტიოქელი.

ამიერიდან ყოველი ჩემი ცხოვრება შენთვის შემომივედრებიაო, დაასრულა იოანემ, და მართლაც ამის შემდგომ იგი ყოველთვის გიორგის ეკითხებოდა „გულისსიტყვათა თვისთა და ყოველთავე საეკლესიოთა საქმეთა“.

გამოხდა ჟამი და გიორგი ათონელმა საშინელი ამბავი შეიტყო: ანტიოქიის წმიდა პეტრეს ლავრას, „შურითა მტრისაითა“, ხანძარი გასჩენოდა და დამწვარიყო სრულიად.

მაშინვე გაეშურა გიორგი ანტიოქიას. მივიდა და იხილა ტაძარი დამწვარი, იოანე პატრიარქი კი მწუხარებით დაცემული და სიკვდილის პირს მიმხობილი.

მიუდგა გიორგი სულით დალეწილს და „სიტყვითა ნუგეშინისცემისაითა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებაი და გლოვაი განუქარვა“.

და ეუბნებოდა გიორგის, ცრემლთა თხევით, მისგან სულით და სხეულით აღორძინებული ანტიოქიელი:

„ჰოი, წმიდაო მამაო, უკეთუ შენი სიწმიდე არ მომშველებოდა მე, მწუხარებითა სული ჩემი ახლა ჯოჯოხეთს იქნებოდა შთასრულ“.

ახლა მთავარი არის მეყსეულად დაწყება ლავრის აღდგენისა და ახალი აღმშენებლობისაო — ეპასუხებდა გიორგი გულაჩვილებულ პატრიარქს.

და დაიწყო წმიდა პეტრე მოციქულის ლავრის ხელახალი აღმშენებლობა.

გიორგი დაესწრო საძირკვლის გასკვნას, კურთხევას და ისევ დაბრუნდა ათონს.

ანტიოქიის ახალი ტაძარი ის იყო სრულდებოდა, როცა პატრიარქი იოანე მიიცვალა უფლისა მიმართ. მის ნაცვლად მოვიდა ახალი პატრიარქი, სახელად თ ე ვ დ ო ს ი ს ა მ ე უ ფ ო ე ლ ი, კაცი ფილოსოფოსი და სრულად განათლებული.

თევდოსი სამეუფოელს კი არ სცნობოდა გიორგი ათონელი.

. . . . . .

ქართველები და ბერძნები კი ისევ ქიშპობდნენ და მტრობდნენ ერთმანეთს, არა მხოლოდ ათონზე, არამედ შავი მთის სავანეებშიც.

იმჟამს, გამორჩევით, სვიმეონწმიდას სავანეში გადაემტერნენ ერთმანეთს ბერძენი და ქართველი მოწესენი.

— ჩვენ ბერძნები ვართ! — ყოყლოჩინობდნენ ბერძენნი (და ისინი მართლა იყვნენ ბერძენნი!).

— ჩვენ ქართველები ვართ! ყოყოჩობდნენ ქართველები (და ისინი დიახაც იყვნენ ქართველნი!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ უფრო მეტნი ვართ! — იმუქრებოდნენ ბერძენნი და ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ 260.

— ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ! — იღრინებოდნენ ქართველები და ისინიც ისევ მართალნი იყვნენ, რადგან იყვნენ... 60.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის აღშენების დღიდან! — გაიძახოდნენ ბერძენნი.

— ჩვენ აქ მოვედით და დავემკვიდრეთ ამა მონასტრის დაარსებამდე! — გაიძახოდნენ ქართველები.

— ჩვენი წინაპრები პირადად იცნობდნენ სვიმონ მესვეტე-უმცროსს და დედამისს, წმიდა მართას! — ბღაოდნენ ბერძენნი.

— ჩვენი წინაპრები პირადად იცნობდნენ ორივე სვიმეონ-მესვეტეს, უფროსსაც და უმცროსსაც, და ქართველი იყო და არა ბერძენი წმიდა ანტონი, რომელმაც სვიმონ მესვეტე-უმცროსს იერუსალიმიდან ევლოგიად ჩამოუტანა წმიდა ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა! — ღმუოდნენ ქართველნი.

და ჰქონდათ ქართველებს უპირატესობა ყოველი თვინიერ „შურისა საეშმაკოისა“.

და აღიძრნენ ბერძენნი უპირატესობითა თვისითა — „შურითა საეშმაკოითა“, ქართველთა ზედა, რათა ძირითურთ აღმოეფხვრათ ნათესავი ქართველი სავანითგან სვიმეონწმიდისა.

და ეახლნენ ისინი თევდოსი სამეუფოელს, ანტიოქიის ახალ პატრიარქს, ეახლნენ, მუხლად შეუვარდნენ და მოახსენეს, ვითარმედ:

„შეგვეწიე, წმიდაო მეუფეო, და გვიხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლე კაცთაგან, რომელნიც არიან ამაონი და უცხოთესლისანი, ჩვენს მონასტერში დამკვიდრებულნი, სამოცამდე კაცი, იწოდებიან ქართველებად და არავინ იცის ვინ არიან, რას იზრახავენ, რაი არს მათი სარწმუნოება და რაისთვის დაუპყრიათ მონასტერნი მთისა საკვირველისანი.

გაჰკვირდა თევდოსი სამეუფოელი.

„საწუხად ჩემდა, მე კარგად არ ვიცნობ ქართველებს, მაგრამ განა ისინიც ჩვენებრ მართლამადიდებელნი არ არიან?“ — იკითხა გაოცებით.

„ჩვენთან მათი შედარება ვითარ ეგების, მეუფეო! რაღა ქართველები და რაღა სომხები! მათი ხუცესი ჟამსაც ვერ წირავს ჩვენს მონასტერში!“ — აყარყაშდნენ მომჩივანნი.

ჟამს ვერ წირავსო? ეს კი მართალი თქვეს ქართველთა მომტერეებმა. უკვე კარგახანი იყო, ქართველ ხუცესს ჟამის წირვის უფლება აღარ

ჰქონდა სვიმეონწმიდის ლავრაში. ამის მიზეზი ერთ დროს ქართველი ხუცესის „უცნაური ერესი“ გამხდარა: იგი სვეტზე ასულა და იქიდან უწირავს ჟამი არა სამლოცველო სამოსით, არამედ ოდენ ქალამნებით და ერთი საბეჭურით. და ამის შემდგომ ბერძნებს აუკრძალავთ ქართველი ხუცესისგან ჟამის წირვა მონასტერში. ქართველს მხოლოდ ზიარების უფლება დარჩენოდა მთავარ ტაძარში.

და ეს მიზეზი მოიმიზეზეს ახლა — „უკეთურებისა საფარველად“ ქართველებზე შხამის საქცევად მოსულმა ბერძნებმა.

ჩაფიქრდა პატრიარქი ანტიოქიისა, ჩაფიქრდა, იფიქრა და აღმოიხდინა ბოლოს ეს სიტყვა:

„არავინაა ნათესავთა ქართველთა შორის მცოდნე ბერძნულისა ენისა და განსწავლული საღმრთო წერილთა შინა?“

არის ასეთი კაცი — გამოუვარდა პირიდან ერთ მომჩივანთაგანს.

დაასახელეო, ბრძანა თევდოსიმ.

„არის მონაზონი ქართველი, ღრამატიკოსი და ბერძნულ წიგნთა ქართულად მთარგმნელი, სახელად გიორგი“.

„მომიყვანეთ მე იგი!“ — ბრძანა ბრძანებითა შეუვალითა პატრიარქმა.

და მიიყვანეს გიორგი ათონელი ანტიოქიის მწყემსმთავართან.

მარტო არ იყო თევდოსი. ქართველთან შესახვედრად მოეწვია მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, სწავლულნი, წარჩინებულნი ანტიოქელნი, ერნი და ბერნი.

და შეევიდა გიორგი ქართველი ბერძნულ სულიერ კორომსა შინა.

მიეგება თევდოსი პატრიარქი. ჯვარი გარდასახა, კურთხევა მისცა და მოიკითხა კეთილად.

მადლი მიუგო ქართველმა.

დაბრძანდიო, შესთხოვა თევდოსიმ და დაისვა პირდაპირ, ახლოს.

საუბარი გაგრძელდა დიდხანს. ეკითხებოდა თევდოსი „ღმრთივსულიერთა წიგნთაგან“, და გიორგიც პასუხობდა „ღმრთივმშვენიერად“. და დარწმუნდა ბერძენი, რომ ქართველის სულში „მადლი ღმრთისაი დამკვიდრებულ არს“, და უთხრა ბოლოს, განცვიფრებულმა და აღტაცებულმა:

„პატიოსანო მამაო კურთხელ არს ღმერთი, რომელმან მე მახილვინა სიწმიდე შენი. და, აჰა, ესერა, ღვთის მოწყალებით გხედავ, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ. დანარჩენითა ყოვლითა სწავლულებითა ბერძენი ყოფილხარ. მადლი ღვთისა შენთან არს დამკვიდრებული, ქართველო, და რეცა სული წმიდა ამბობდეს სიტყვას პირთა შენითა!“

ეს ბრძანა და მობრუნდა თევდოსი სამეუფოელი, და მაშინვე მოაყვანინა ქართველთა მაბეზღარნი და ავის მზრახველნი, ფრიად შეჰრისხნა, აძაგა, აგინა და ბრძანა მათი განკანონება ეკლესიისაგან.

მაგრამ ისევ გიორგი გამოესარჩლა ქართველთა მომტერეებს. მე მიპატიებია და შენც აპატიეო — შესთხოვა პატრიარქს.

შეიწყნარა პატრიარქმა გიორგის თხოვნა და განუტევა ცილისმწამებელნი.

ბოლოს ბრძანა პატრიარქმა თევდოსი სამეუფოელმა: „ეხლა ... ქართველებმა ჟამიც მათი ნებისად სწირონ სვიმეონწმიდის მთავარ ტაძარშიო.

და იქმნა ასე...

...ისევ გამოხდა ჟამი.

ისევ არ დაისვენეს ქართველმა მომტერეებმა.

ისევ ეახლნენ თევდოსი სამეუფოელს მის წინაშე ქართველებზე გესლის საქცევად და აუწყეს, ვითარმედ:

„რა უფლებით ხდება, მეუფეო, ეგზომი კადნიერება ქართველებისა, რომ მათი ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი არცერთი პატრიარქის ხელმწიფებას არ ექვემდებარებიან, ყოველ საეკლესიო წესს თვითონ განაგებენ და განასრულებენ, კათალიკოსსა და ეპისკოპოსებსაც თვითონ დაისვამენ. და როგორ ბედავენ ეგზომ თვითნებურ ყოფას, როცა მათი ქვეყნის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს არც ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს. ამიტომ ჯერ არს ქართველები ემორჩილებოდნენ ანტიოქიას, ამა ღმრთის ქალაქს, და ამა მოციქულთა საყდარს. რამეთუ ერი ქართველთა არის უმეცარი, სამწყსოი მათი მცირე და არიან ჩვენდა მახლობლად, ჯერ არს იმწყემსებოდნენ ისინი პატრიარქ ანტიოქელისგან, მისგანვე იკურთხებოდეს და ხელდაისხმოდეს კათალიკოსი ქართველთა და ვიყვნეთ ასე ჩვენც და ისინიც — ერთი სამწყსო, ერთი მწყემსის ქვეშ“.

მოისმინა ქართველთა სავნებელი ეს ნაბეზღარიც თევდოსი სამეუფოელმა, მოისმინა, ჩაუფიქრდა და ბოლოს ნაბეზღარადაც აღარ მოეჩვენა. ნაბეზღარი კი არა, უფრო სამართლიანობადაც კი მიიჩნია, ქართველთა სამწყსო ანტიოქიის სამწყსოს შეერთებოდა, უკეთუ მართლა ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან საქართველოში არც ერთი არ ყოფილა, და უკეთუ...

და იხმო ისევ გიორგი ათონელი თევდოსიმ.

კვლავ ტკბილად მოიკითხა და მერე უთხრა, ვითარმედ:

„ჰოი შენ, ნეტარო მამაო, თუმცა ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულობითა და მეცნიერებით ჩვენივე, ბერძენთა სწორი ბრძანდები, და იმედი მაქვს, რასაც გეტყვი, ყოველივეს ჯეროვანი სისწორით გაიაზრებ. ჩემის ღრმა რწმენით, ჯერ არს, რათა თქვენი, ქართველთა ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი ჩვენი, ანტიოქიის სამოციქულო საყდრის ხელქვეით იმწყემსებოდნენ. და შენ შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, რადგან მე ვიცი როგორ ისმენს თქვენი მეფე შენს სიტყვას, როგორ შეუვალად უგდებს იგი ყურს ყოველ შენს რჩევას. და ამიტომ გთხოვ მე, მისწერო საქართველოს მეფეს და აუწყო უმჯობესობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიასთან შეერთებისა!.

მცირე ხნით შედგა თევდოსი, მაგრამ როცა გიორგის სახეზე ოფლის ოდენა ცვლილებაც ვერ შეამჩნია, ისევ განაგრძო, ახლა უკვე უფრო მკაცრად და უფრო ხმამაღლად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხოლო, უკეთუ თქვენმა მეფემ ჩემი სიტყვისა არაფერი შეიწყნარა, მაშინ მე მივსწერ ჩემი საყდრის თანამოდგამ ოთხივე პატრიარქს — კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კართაგენის პატრიარქებს, რომ ქართველები სამოციქულო კანონმდებლობას არაფრად აგდებენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათს მიწაზე არცერთ მოციქულს ფეხიც არ დაუდგამს, თვითონ იმწყემსებიან, თვითრჯულობენ და კადნიერად ქედფიცხელობენ. და ესრეთ შეგამთხვევთ უამრავ საზრუნავსა და სასწავლებელს, ვიდრე თქვენი მეფე ჩვენს წინაშე თავის ფეხით მოვიდოდეს და მორჩილებასაც თავის პირით მოგვახსენებდეს“.

დაასრულა თევდოსი სამეუფოელმა და დააშტერდა გიორგის. გიორგი კი ისევ მშვიდად დახვდა ანტიოქიელის დაჟინებულ მზერას. მერე, მხოლოდ ბაგენი შეარხია და თქვა სახეწყნარმა და სიტყვამყარმა, ვითარმედ:

„ჰოი, წმიდაო მეუფეო, ასე ადვილად რად წამოგიკრავს ხელი ეგზომ დიდისა და მაღლისა საქმის გააზრებად და განსასრულებლად? ვინ არიან ეგზომ უგუნურნი განმზრახნი და მრჩეველნი შენნი? ან და, რად ინებებ ეგზომ უგუნურად მოიხსენიო ქართველობა, სინამდვილეში ერი ბრძენი, წრფელი და უმანკოი? აჰა, ესერა, შემხედე მე და დამაკვირდი, რამეთუ მე ვარ ქართველთა შორის ყველაზე უმდაბლესი და უნარჩევესი და სწორედ მე უნარჩევესმა ქართველთაგანმა მოგცე პასუხი ყოველთა ქართველთა წილად, ოღონდ ჯერ მოაღებინე წიგნი — „მიმოსლვაი ანდრია მოციქულისაი“ და იქიდან გეუწყოთ საძიებელი თქვენი“.

მაშინ უბრძანა თევდოსიმ ტარსუსის ეპისკოპოსს, თეოფილეს, ტომით ქართველს, მოეტანა „მიმოსლვა ანდრია მოციქულისა“.

მოვიდა თეოფილე ქართველიც და მოიტანა ნაბრძანები წიგნი.

ისევ შემოიყარა პატრიარქმა სწავლულთა საკრებულო.

მოიმარჯვა გიორგიმ წიგნი იგი და უთხრა ანტიოქიის პატრიარქს: „შენ ეანგაზრახეს და გათქმევინეს, წმიდაო მამაო, ქართულ მიწაზე ათორმეტთაგან არცერთ მოციქულს ფეხი არ დაუდგამსო. მე კი მოგახსენებ, რომ საქართველო თავის ფეხით მოიარა და ქრისტიანობა იქადაგა არამცთუ ერთმა, არამედ ორმა მოციქულმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. და სვიმონ კანანელმა თავისი წუთისოფელიც საქართველოში დაასრულა და იქვე დაეფლა ქართულ მიწაში, აფხაზეთში, ქალაქ ნიკოფსიას. აჰა, ესერა, იხილე თავად, წმიდაო მეუფეო!“

და გადაუშალა წიგნი იგი ქართველმა ბერძენს და საკუთარი თვალით წააკითხვინა ბერძნულ ენაზე — მოგზაურობა და ღვაწლი ქრისტეს ორი მოწაფისა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიკითხა თევდოსიმ ყოველივე და თქვა ბოლოს, დანაგულისა ხმით:

„ჭეშმარიტ არს!“

„ახლა, შენ თვითონ, წმიდაო მეუფეო, აკი ამბობ, რომ ჩემი საყდარი ანტიოქიისა მოციქულ პეტრეს განეკუთვნებაო?“ — განაგრძობდა გიორგი.

„სწორედ ასეა — მე ვზი პატრიარქად საყდარსა მოციქულ პეტრეს სახელობისასა!“ — ამაყად სთქვა თევდოსიმ.

„ხოლო, პეტრეს პეტრემდე აკი სვიმონი ერქვა?“

„ჰო, მაგრამ მერე რაო?“

„მერე ის, რომ — პეტრეს პეტრე ვინ უწოდა?“

„უწოდა მისმა ძმამ ანდრიამ“, — მორჩილად მიჰყვებოდა ბერძენი ქართველს.

„მაშ, ანდრია მწოდებელია, ხოლო პეტრე — წოდებული, არა?“

„ჰო, ასეა. მერე?“

„მერე ისიც ხომ მართლად გამოდის, რომ ძმათაგან მწოდებელს საქართველო გაუნათლებია, ხოლო წოდებულს — ანტიოქია?“

„გამოდის, ჭეშმარიტად გამოდის“.

„და უკეთუ ყოველივე ასე გამოდის და ანტიოქიისა და საქართველოს სამწყსოთა შეერთებაც აუცილებელია, მაშინ რომელი რომელს უნდა დაემორჩილოს — მწოდებელი წოდებულს, თუ პირიქით, წოდებული მწოდებელს? ანუ რომელი უფრო უპრიანი ყოფილა, უფროსი ძმისა და მწოდებლის სამწყსო საქართველო უნდა ემორჩილებოდეს უმცროსი ძმისა და უფროსისგან სახელდებულ სამწყსო ანტიოქიას, თუ პირიქით?“

„ჰო, უცნაურია, თან მართალია, თან კიდევ...“ — ბუტბუტებდა თევდოსი.

ხოლო გიორგი უკვე სიცილით განაგრძობდა:

„ასე გამოდის, სრულის უეჭველობით, მეუფეო წმიდაო, რაკი შეერთებაა, ანტიოქია და შავი მთა უნდა შეუერთდეს საქართველოს“.

უხერხულად იღიმებოდა პატრიარქი ანტიოქიისა.

გიორგიმ კი ღიმილი მოიშალა და დინჯად განაგრძო:

„ქართველებს, მეუფეო, თქვენ რომ უმეცარ და მსუბუქ ხალხად მიგიჩნევიათ, — სწორედ იმ ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოგზაურობის დროიდან ქრისტეს სჯულისთვის აღარასოდეს უღალატნიათ. ხოლო, თქვენ, ბერძენნი, თქვენივე მტკიცებით მარად ბრძენნი და მარად მძიმენი, რამდენჯერ მიდრეკილ-

ხართ ღალატად მართლმადიდებლობისა? გადმოიღეთ და წაიკითხეთ, მეუფეო, დიდი სვინაქსარი, რომელიც გვაუწყებს: იყო დრო-ჟამი, როცა მთელს საბერძნეთსა მართლმადიდებლობა აღარ იპოვებოდა, და ამ-რედ ამის გამო იოანე გუთელი მცხეთას ჩავიდა და ქართლის-კათალიკოსის ხელით ეკურთხა კათალიკოსად".

ღაასრულა და დადუმდა გიორგი.

ხოლო თევდოსი სამეუფოელმა ასე მიმართა საკრებულოს მღვდელთა და ერთა:

„ხედავთ ბერსა ამასა, ვითარ მარტომან გვძლია და დაგვიბრიყვა ესოდენი სიმრავლე ღვთისმეტყველთა და სწავლულთა? ვითარცა მდინარე, დაუწყვეტლად მოედინება წმიდა სიტყვანი და ჭეშმარიტებანი პირითა მისითა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია მოვერიდოთ, და ვეკრძალოთ, რათა უარესი არ დაგვმართოს და, არამცთუ ოდენ სიტყვით, არამედ საქმითაც არ გვამხილოს მარცხი ჩვენი, კვლავ უფრორე არ დაგვამციროს და არ დაგვიმონოს!"

და იმ დღიდან კვლავ უფრო გახმიანდა და განიფინა სახელი გიორგი ქართველისა, მთაწმიდელისა, ათონელისა. იმ დღიდან „შეიყვარა იგი პატრიარქმან და ყოველთა ანტიოქელთა, ვითარცა მამაი და მოძღვარი სულიერი". იმ დღიდან თევდოსი სამეუფოელი — ვითარცა მის წინარე პატრიარქი იოანე — აღარაფერ მნიშვნელოვან საქმეს გიორგის დაუკითხავად და მასთან განუსჯელად აღარც განიკითხავდა, აღარც განასრულებდა, იგი, როცა ამ „უცნაური ქართველის" მიწვევა დასჭირდებოდა, სახედარსაც თვითვე უგზავნიდა.

. . . . . .

წერდა და იღვწოდა გიორგი ათონელი და „მოირწყნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელთა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს. და უფროის ყოველთაისა დიდად იღვაწა სულით კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტყოფილმან" (გიორგის წიგნთა „გარდაწერას" შესდგომოდა კაცი, რომელსაც ერთ დროს ერქვა ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის ერისთავთერისთავი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაუძინებელი მტერი და საქართველოს სისხლისდამაქცევარი)...

საქართველოდან კი ზედიზედ მოსდიოდა წერილები გიორგის — მეფისა, უფლისწულისა და ორივე დედოფლისა. იხმობდნენ, ეაჯებოდნენ, საქართველოში გვეწვიეო, შენს სათაყვანო სამშობლოშიო, აქაც გვაკურთხე, გაგვანათლე და გაგვახარეო.

„წმიდაო მამაო, მანდა, შავ მთასა, მცირედნი არიან მონასტერნი ჩვენნი, რამეთუ ქვეყანაი არს უცხოი. ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ

არს და დიდ ფრიად და მაღალ, და ეკლესიანი და სამღვდელოთმოძღვარონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ, აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქვენსა, რათა ჰბრძანო და მოშვრეს ... ვიკურთხნეთ თქვენ მიერ და განვნათლდეთ და კვლავად ეკლესიანი ჩვენნი აღივსნენ მდინარითა მაგათგან სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქვენთა ღმრთისულიერთა". ამას ბაგრატ მეფე სწერდა გიორგის.

არ უპასუხა ამ წერილს გიორგიმ, „რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებათა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა. და სიმდაბლესა შეიტკბობდა". ამასთან იმისიც ეშინოდა, ბაგრატ მეფემ საქართველოს მწყემსმთავრობა არ გადამკიდოსო.

მცირე ჟამი გამოხდა და ისევ მოვიდა წერილი ბაგრატ მეფისგან:

„წმიდაო მამაო, არათუ ოდენ წიგნთათვის ვარ, რათა განათლდენ ეკლესიანი ჩვენნი, არამედ რათა თვით მე განვნათლდე ხილვითა თქვენითა და სული ჩემი ხელთა თქვენთა შევჰვედრო და ძე ჩემი და ყოველნი თვისნი ჩემნი სიწმიდისა თქვენისა მიერ იმწყესებოდინ და განისწავლებოდინ, და რათა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩვენნი".

ეს წერილიც წაიკითხა და უცებ უსაშველოდ მოსწყურდა გიორგის საქართველოში წასვლა. მოსწყურდა, მაგრამ გულსავსედ რომ დარჩენილიყო, მაინც ღვთის დაუკითხავად ვერ გადაწყვიტა გადასაწყვეტი. საერთოდ სჩვეოდა ასე გიორგის, ყოველი დიდი საქმის გადაწყვეტისას წილის ჩაგდება წმიდა მოციქულთა მობაძვით. იმ დღესაც ისე მოიქცა, საქართველოში წასვლას რომ წყვეტდა: ეტრატის ერთ ნაჭერზე „წასვლა" დაწერა, მეორეზე „არწასვლა", ორივე საკურთხეველის ქვეშ ამოსდო, მერე გიორგი ხუცესმონაზონი შემოიყვანა, ჟამი აწირვინა და არჩევანი ამოაღებინა.

და წილად „წასვლა" ამოვიდა.

„ღმერთმა გულსგვიდგინა და დაგვაჯერა!" — თქვა გიორგიმ და ბაგრატ მეფეს გამგზავრების თანხმობა მისწერა ღვთისგან გულსავსემ.

და იმ წერილის მიღებისთანავე ბაგრატ მეფემაც სასწრაფოდ წარმოგზავნა სახედარნი და განძი, სამგზავროდ სამყოფინარი. მეფე წერილებს უგზავნიდა ანტიოქიის პარტრიარქსაც და დუკასაც, რათა არ დაებრკოლებიათ და ხელიც შეეწყოთ გიორგისა და მის მხლებელთა, ანუ მომოწაფეთა გამგზავრებისათვის საქართველოში.

და წამოემართა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიიდან, რამდენიმე მოწაფის თანხლებით. ევფრატამდე უხიფათოდ იარეს, ევფრატზე მისვლისას კი შეიტყვეს, რომ თურქებს დაეპყროთ მთელი შუამდინარეთი. მაშინვე ევფრატიდან სევასტიისკენ იქციეს გეზი, მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ. თურმე სევასტიაც აეღოთ თურქებს, აეღოთ და დაეწვათ. ქართველი ბერები კი უცოდნელად ვიდოდნენ და თურქთა ხელში

ჩავარდნაც არ აცდებოდათ, რომ უცებ მაღლიდან ძახილი არ შემოსმოდათ: არ წახვიდეთ, უკან დაბრუნდითო.

ხმა გაიგონეს და ხმის პატრონი თვალითაც ვერ მოიხილეს. ეკვ-ლად ანგელოზი იქნებოდაო, ბრძანა გიორგიმ და სევასტიის გზიდან კესარიისკენ გადაუხვიეს სასწრაფოდ. კესარია მშვიდობით განვლეს და სამისონს მივიდნენ. აქ საქართველოში მიმავალ ხომალდში ჩასხდნენ და, „კეთილითა და ჰამოითა ნიავითა ფოთს მიიწევნეს". ხომალდიდან გარდახდნენ, მიწას დაემხნენ და კარგახანს ჰკოცნეს და ცრემლით ალტვეს ქართული მიწა. მერე ისევ შესხდნენ კარაულთა ზედა და ქუთათისისკენ გაეშურნენ, რიონის ასწვრივ.

იდგა ჟამი სთვლობისა, ქუთაისს რომ მიატანეს. დიდის ზარზეიმით გამოეგება საქართველოს მაშინდელი დედაქალაქი წმიდა მამას და სიმართლის მზისთვალს. ილარიონ ქუთათელმა ბაგრატის ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა ღვთაებრივი სტუმრის სადიდებლად. და იმ დღეს კიდევაც დაემოწაფა ილარიონი გიორგის.

თვითონ მეფე ბაგრატ მეოთხე ქუთათისს არ ბრძანდებოდა მაშინ. იგი უფლისციხეს გადასულიყო, სახლეულით და მსახურეულით. სასწრაფოდ აუწყეს მეფეს გიორგის მობრძანება. გაიხარა მეფემ სიხარულითა დიდითა. სასწრაფოდ თავისი მწიგნობარი აფრინა ქუთათისს, რათა პატივით გადაეყვანა მას ძვირფასი სტუმრები იმერეთიდან ქართლს. გაემგზავრნენ და ილარიონ ქუთათელიც თან გაჰყვა მოძღვარს.

ქართლი მგლოვიარედ შემოეგება ათონელ მამას. წინა წელს შიმშილი და შავი სნება ერთად დასტყდომოდა ქვეყანას. გული აუტირდა გიორგის „ჰოი მე. რაისათვის მოვიწიე ამას ქვეყანასა ხილვად ესევითარითა უბედურებათა!"

უფლისციხიდან სამი ჟამის სავალზე მეფემ სტუმრებს მაღალ სამღვდელოთა ამალა შემოაგება. მალე უფლისციხეს მივიდნენ, გამოეგება მეფე და შესძახა „განმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა":

„კურთხეულ არს ღმერთი! აჰა, დღეს ცხოვრებაი არს სამეუფოისა ჩემისაი, რამეთუ ვიხილე ახალი ოქროპირი!"

და ასევე, დიდებულნი და წარჩინებული კარისკაცნი მეფისანი — „იხარებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და იტყოდეს":

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგვივლინა ესევითარი კაცი მაცხოვრად სულთა ჩვენთა!"

„და იყო სიხარული დიდი ყოველსა მას სამეუფოსა მისსა"...

... გიორგი მთაწმინდელის მოსვლის წელს (1060), მეფე ბაგრატ მეოთხემ კეთილმძღვრებით სძღია ერისა და ქვეყნის საბოროტო გამძლავრებულ ხუთთა ძმათა აბაზასძეთა. „ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზევებულნი, ხუთნი ერთობით", თვითონ ესწრაფოდნენ მეფის

დამხობას, მზაკვრული ხვანჯებითა და ავი ღადრობით. ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის შემდგომ, არცერთი სხვა თავგამზიდავი დიდაზნაური არ გამხდარა მეფისთვის ისე საშიში, როგორც აბაზასძე და ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გიორგი ითონელის მოსვლიდან ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ბაგრატ მეფემ ისე შეიპყრო ძმანი აბაზასძენი, „ვითარცა უძლურნი რაიმე და ყრმანი ჩჩვილნი“.

და ეუბნებოდა ბაგრატ მეფე გიორგი მთაწმიდელს, ეს გამარჯვებაც შენი ლოცვისა და მადლის შედეგიაო, რადგან შენს მოსვლამდეც მრავალგზის ხელეყავ აბაზასძეთა დამხობად, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამეგარჯვაო. ახლა ამ სასწაულს შენის წყალობით მივემთხვიე და ამიერითგან ჩემი მეფობა ოდენ შენის ლოცვითა და კურთხევით უნდა წარემართოსო...

გიორგის მოსვლიდან პირველი ზამთარი რომ მოიწია, ბაგრატ მეფე, ვითარცა ჩვევა ჰქონდა, გამოსაზამთრებლად აფხაზეთს გაემგზავრა და ათონელი მოძღვარიც თან წაიყვანა. ჭყონდიდს რომ მიატანეს, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი ეგებრა მეფეს, იმ ზამთარს მასთან დაეტოვებინა დიდი სტუმარი, რადგან თვითონ ჭყონდიდელი დამოწაფებული ყოფილიყო ათონელი წმიდა მამისა და გარდარეული სიყვარულით ჰყვარებოდა მოწაფეს მოძღვარი თვისი. და შეიწყნარა მეფემ ჭყონდიდელის თხოვნა, რაკიღა შეატყო, გიორგისაც ესურვილებოდა ჭყონდიდს დარჩენა. და ასე, მეფე მარტო წავიდა აფხაზეთს, ანაკოფიას, ზამთრის სათევად და მანდაურ საქმეთა საურავად.

ზამთარიც აიკრიფა და მეფე და მისი სტუმარი ისევ ქართლს დაბრუნდნენ. უფლისციხეში დადგნენ და მეფემ გიორგი მთაწმინდელს „განსასვენებლად და საყოფელად“ უბოძა „ადგილნი შვენიერნი“ და „ლავრანი დიდებულნი“, მათ შორის — ნეძვისა ქართლში და შატბერდისა კლარჯეთში. მაგრამ თავისგან მაინც არ იშორებდა მეფე ათონელს, რადგან „ვერ განძლებოდა სმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყვათა მისთაითა“. და ერთხელაც ეს უთხრა მეფემ მთაწმინდელ მოძღვარს:

„ჩვენ ამისთვის გავბედეთ მოშრომა და შეწუხება სიწმინდისა თქვენისა, რათა სრულიად აღმოვფხვრა ჩვენი სულისაგან ყოველი ნაკლულოვანება და ცთომა უწესო. ამიტომ გთხოვ, დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადი თვალუხვავად განგვიმარტე. რამეთუ რაიცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო და შევასრულო, ვითარცა ნაბრძანები წმიდა მოციქულთა პირისაგან“.

ეს უთხრა და გიორგი უფლისწულიც შემოიყვანა, მისი ხელი აიღო, ათონელს ხელში ჩაუდო და შესთხოვა მოწიწებით:

„აჰა, მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ!“

პასუხად ათონელმა აკურთხა ტახტისმემკვიდრე, დალოცა და დაასრულა სიტყვითა ამითა:

„ღმერთმან ორითავე ცხოვრებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კონსტან-
ტინე, შიშსა შინა თვისსა და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაიმოწაფა გიორგი მთაწმინდელმა გიორგი უფლისწულმა. „ბაგა-
გებო სწავლანი დაუწერა და მისცა, ღმრთივსულიერნი და მცხებანი
საღმრთონი. მისცა და უბრძანა, რათა იკითხვიდეს და ისწავლიდეს
გულსმოდგინებით და განიადაგებით, რამეთუ მომავალი ხელმწიფე, პატ-
რონი, გამზრდელი და განმსწავლელი ერისა, უწინარესად თვითონ ყოფი-
ლიყო განსწავლული, გაწურთვნილი და განსპეტაკებული ხელისუფალი.

ხოლო სწავლანი გიორგი ათონელისა არ იყო სასწავლონი ოდენ
ერთი ტახტისმემკვიდრისა. არამედ დადიოდა ათონელი სოფლიდან
სოფელს, დაბიდან დაბას, ქალაქიდან ქალაქს, სამწყსოდან სამწყსოს, და
ასწავლიდა ყველგან და ყველას — დიდსა და მცირეს, სეფეწულსა და
გლახაკს, აზნაურსა და უაზნოს, მქონებელსა და უპოვარს, ერსა და ბერს.

ასწავლიდა, ზრდიდა, მოძღვრავდა, კურნავდა (რადგან „მაღლი
აქვნდა სულთა კურნებისაი“) და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს
შორის.

ასწავლიდა და ამსელდა.

მოძღვრავდა და განაქიქებდა.

აღსარებად და სინანულად იწვევდა ყველას, დიდით მცირემდის,
უმაღლესიდან უდარესამდის. და წმიდანის წინაშე „იწყეს აღსარებად და
სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა,
მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და
გლახაკთა. ესრეთ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფეს, ვიდრე-
მდის საზრდელსაცა ძლივს მიიღებდნენ“.

განანათლა ათონელმა ქვეყანა და „ყოველნივე ცხადნი და დაფარუ-
ლნი უწესოებანი განჰმართა“. მთავარი კი მაინც ის იყო, არც მეფისა
და მეფისანებს დაერიდა და უპირველესად სწორედ მათ მიმართ „აღლე-
სა მახვილი მხილებისაი მრავალთა უწესობათათვის უშიშრად და
თვალუხვავად, სიბრძნით და გონიერად, რათა არა ჰყიდდეს საეპისკო-
პოსთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა ღა ყოვლითურთ სო-
ფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდი-
ლთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა, მონაზონებასა
შინა აღზრდილთა და ღმრთივსულიერთა მოძღვართა მიერ წამებულ-
თა“... მაშ, უღირსთა დაწინაურებას დაერიდე და ღირსეულნი დააწინა-
ურეო —აფრთხილებდა მეფეს მობღვარი. სიმართლის სასწორსაც დი-
დისა და დიდის ასამაღლებლად ნუ მისდრეკ, არამედ მდაბიო, ობოლი,
ქვრივი და ჩაგრული განამართლე და გააძლიერე, ვითარცა გვასწავლის
დავით წინასწარმეტყველიო...

დადიოდა საქართველოში გიორგი ათონელი — „მონაზონთა და
მოწესეთა და ყოველსა ერსა შესატყვისი სწავლითა განანათლებდა. უს-

წავლელთა ასწავლიდა, ხოლო სწავლულთა ნასწავლსა მათსა აღუსებ-
ბდა და განუმტკიცებდა, მდიდრებს გლახაკთა წყალობას ასწავლიდა,
ხოლო გლახაკთა — მოთმინებას და ქველთა საქმისათვის გარჯილობას,
დაცემულთ აჰღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მოწყ-
ლულთა ისრითა უხილავთა მტერთაითა განჰკურნებდა, ხოლო მოწყლვა-
დთა მათ მოწყვლისაგან უვნებლად დაიცავდა, დათქმულთა ღელვათა
შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა დანთქმად არა და-
უტევებდა, არამედ ვითარცა ხელოვანი მენავეთმოძღვარი, ზღვისაგან
ამის სოფლისა დაუნთქმელად განარიდებდა“ —

და კიდევ საქმე უდიდესი, ღვთაებრივი მადლით მოსილი, რაიც იტ-
ვირთა საოცარმა კაცმა ზესთასოფლურმა! ესე არს შეკრება ბავშვთა
ობოლთა.

ხოლო, კრებდა ბავშვებს რაის მიზეზით?

მიზეზითა სამითა:

ჯერ ერთი — მის გულმოწყალე ბუნებას სწყურიდა თავგამოდება
უდედმამობით გულდალახერული ობლებისათვის.

მეორეც — ეს უდედმამო ბავშვები ქართველ სწავლულთა საკრებუ-
ლოდ უნდა ექცია გიორგი მთაწმინდელს, და მთავარიც სწორედ ეს იყო.
უკვე დამწვისებულ და ჰასაკმორეულ ადამიანებს უჭირთო სწავლა წიგ-
ნისა და ენისა უცხო თესლისა, ხოლო ბავშვების ბუნება, გრძნობიერი,
ლბილი და ჩვილი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს და აღი-
ბეჭდავს სწავლულებასო! — ფიქრობდა გიორგი.

მესამეც — ათონის მთის ქართველთა სათვისტომოს გამძლავრება
ჰქონდა გიორგის გულს ამოჭრილი. ათონი შორს იყო საქართველოდან
და განსწავლული ქართველი ძვირძვირობით თუ გამოჩნდებოდა ათონზე,
და ვინც მოვიდოდა, უმრავლესნი ჟამს დაყოფდნენ და ისევ ტოვებდნენ
მთასა წმიდასა. ტოვებდნენ და ცალიერდებოდა ივერიონის ბრწყინვალე
ლავრა და კნინდებოდა სათვისტომო ქართული. ამიტომ შეკრებილ ობო-
ლთა უმრავლესობა მაინც სწორედ ათონის ქართულ სავანეთა გასა-
მძლავრებლად უნდა გამოეზარდა გიორგის.

სულ ოთხმოცი უდედმამო ბავშვის შეკრება და საბერძნეთს წაყვანა
გადაეწყვიტა ათონელ წმიდანს. ეძებდა და კრებდა თვითონ. ეხმარებოდნენ
თანმხლები მოწაფენი. მოჰყავდათ სხვებსაც — ობოლთა ნათესავებს, აბ-
ლობელთა და შორიელთა.

და იკრიბებოდნენ ობოლნი, ვითარცა ცხოვარნი წინაშე მწყემსისა კე-
თილისა.

და ალაგებდა გიორგი მთაწმიდელი სასწავლოდ და სამოძღვროდ
ობლებს ასაკ და ასაკ: — ოცეული პირველი — ხუთ წლამდე, რომელთაც
ედის ძუძუ ჯერაც არ დავიწყნოდათ; ოცეული მეორე — ხუთიდან თორ-

მეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ჯერ არ ამოსვლოდათ; ოცეული მესამე — თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე, რომელთაც მამაკაცობის თმა ამოსვლოდათ, და ოცეული მეოთხე — თექვსმეტიდან ოცამდე, რომლებიც მამაკაცობის თმასთან ერთად უკვე იყვნენ წვერულვაშ-დაწამებულნი...

უკვე მეხუთე წელიწადი (1065) იდგა საქართველოში მისი მოსვლისა და ისევ, სანამ უდედმამო ბავშვებს კრებდა, კვლავ ქართულ ეკლესია-მონასტრებში განაფენდა და აბინავებდა წიგნთა ყოველთა, რაიც მის კურთხეულ ხელს და გონებას ეთარგმნა, დაეწერა და დაესვინტაქსებია ორივე წმიდა მთასა ზედა — ათონსა და შავ მთას. ჯერ, რა წიგნებიც დახვდა საქართველოში იმათ განიხილავდა გულდასმით, სწორის სისწორეს ამტკიცებდა, უსწოროს ასწორებდა და განმართავდა, ნაკლულოვანთა ავსებდა, განუმარტებელს განმარტავდა და კვამლოვანს განანათლებდა. ყველა და ყველგან წერილად თუ დაუწერელად უტოვებდა სწავლათა, მცნებათა, ცნებათა, წესთა და შეგონებათა.

და იმავე მეხუთე წელს კონსტანტინოპოლიდან ელჩიონი ეწვია საქართველოს სამეფო კარს, საპატიო სილნიტიკოს სვინგელოზის მეთაურობით, ბიზანტიის მაშინდელი კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე დუკა თავისი უფროსი ძისა და ტახტისმემკვიდრის, უფლისწულ მიქაელისთვის ცოლად და ბიზანტიის დედოფლად ითხოვდა ქართველთა მეფის ასულს, მართას.

და ყველამ ისევ გიორგი მთწმიდელს მიაპყრო მზერა.

„აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაი შენი მართას ზედა!“ — შესძახა მარიამ დედოფალმა და ეამბორა ხელზე ღვთაებრივ მოძღვარს.

. . . . . .

და დამდგარიყო დღე გამგზავრებისა.

და მიდიოდა საქართველოდან გიორგი ათონელი, მიდიოდა და მიჰყავდა ოთხმოცი ობოლი ყრმა, სამომავლო სა-დიდ-ქართველოდ.

და მიდიოდა, ბრწყინვალე სამეფო ამალით, მეფის ასული მართა, მომავალი მარიამი, დედოფალი ბიზანტიისა.

საქართველო გაიარეს. ზღვის პირს ბიზანტიის კეისრისგან გამოგზავნილი დრომონი ელოდათ. ჩასხდნენ და წავიდნენ. კონსტანტინეპოლის სასახლე დიდის ზარზეიმით შეხვდა საქართველოდან ჩამოსულთ.

იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ იმ დღესვე „აღუწოდა და აღიყვანა“ საღვთო კონსისტორიონში გიორგი ათონელი, მისი თანმხლები იოანე ბედიელისა და პეტრე ბერის თანხლებით. სვინგელოზმა წარუდგინა სტუმრები კეისარს. წინ გავიდა გიორგი, მიეახლა კეისარს „წესისაებრ სამეუფოისა, თაყვანი სცა, ქებაი შეასხა და ლოცვაი და კურთხევაი მიუძღვნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰკვირდა კონსტანტინე კეისარი. ასეთი ღმრთივსულიერი სახე კაცისა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო, გადაულაპარაკა გარს მომდგარ ეპისკოპოსებს. სიტყვაც როგორი ჰქონიაო, დაბალხმოვანი, ამოდენა ... და მკვირცხედ შესაგონებელიო. მერე პეტრეს და იოანეს მიუბრუნდა და უთხრა მათ სახეგაბრწყინებულმა:

„მადლიერი ვარ უფლისა ბაგრატ სევასტოსისადა, რომელმაც მე გამომიგზავნა ესევითარი კაცი, ანგელოზთა მიმსგავსებული. კაცი რომელიც დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩვენი ჰმოსიეს". სთქვა და ბაგრატ მეფის წერილიც წაიკითხა. წაიკითხა და ამოიკითხა:

„გიხაროდენ, ჰოი ღმრთისმოყვარეო მეფეო, რამეთუ წარმომივლენიეს წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უსხეულო ანგელოზთაი, და მოძღვარი ჩვენი ყოველთაი. ეგრეთ შეიწყნარე, ვითარც შვენის მეფობასა შენსა, რომლის ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მპყრობელი წმიდაი მეფობაი შენი!"

წაიკითხა ეს წერილი და მაშინვე გიორგის მიუბრუნდა კეისარი:

„ბრძანე, წმიდაო მამაო, და რაიცა ინებო, ჩემმა ხელმწიფობამ მყისვე აღგისრულოს სიხარულითა და წადნიერებითა!"...

იმ დღეს მარიამ მართა-ყოფილის საპატარძლოდ დაწინდვაც მოხდა...

...კიდევ ერთი დღე და, გიორგი ათონელი ისევ მიიწვია იმპერატორმა, ამჯერად მაგნავრაში. ჭადრების ხეივანში ისხდნენ. შუაზედ კეისარი იჯდა, მარჯვნივ და მარცხნივ სამღვდელონი ჩარიგებულიყვნენ. სამი კათოლიკე პატრი შეიცნო გიორგიმ. დამხვდურნი დიდის წადნიერებით შეხვდნენ ახალმოსულს. იმპერატორმა გვერდით დაისვა გიორგი და კვლავ მიუბრუნდა დანარჩენებს — აი, კაცი ღვთისნიერი, რომლის სიტყვა და აზრი იქნებ უფრო შესასმინარი და შესაგონებელი აღმოჩნდეს ჩვენთვისო.

მაგრამ სანამ რომის კათოლიკეთა და ბერძენთა მართლმადიდებლობაზე გვეტყოდე, მანამ ის გვითხარ, ქართველთა და ბერძენთა ქრისტიანობას შორის თუ არის რაიმე განსხვავებაო.

გიორგიმ მაშინვე უპასუხა, მშვიდი და მტკიცე ხმით: განსხვავება ის არის, რომ ჩვენი, ქართველების მართლამადიდებლობა უფრო მტკიცეა, ვიდრე თქვენი, ბერძნებისაო.

როგორ თუ ქართული ბერძნულზე უფრო მტკიცეაო! — იტაცეს ბერძენმა სწავლულებმა.

„როგორ და, ჩვენ რაიც თავიდან მიგვიღია და გვიცვნია ქრისტიანობა, მის შემდგომ მისთვის ოდნავადაც აღარ გვიღალატნია, არასოდეს არ მივდრეკილვართ არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. და არც მივდრკებით, უფ-

ლის ნებით", — მტკიცედ თქვა ქართველმა და თან ისე გადახედა ბერძნებს, თუ საჭირო იქნება, განვაგრძობ და აქვე გადმოგილაგებთ ყოველ მიდრეკ-მოდრეკას და გადახვევ-გადმოხვევას, რაიც ბერძნული [illegible] დებლობას დამართნია დასაბამითგან მოაქუამამდეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბერძენ ღვთისმეტყველთ აღარ უცდიათ საცილობელი პასუხის გაცემა ხოლო კეისარმა მაშინვე ირწმუნა გიორგის ნათქვამი და გაჰკვირდა ქართველთა სარწმუნოების აგრე ხანგრძლივად უცვლელობისა და ურყევლობისთვის. და მაშინვე გადააბა ახალი სათქმელი გვირგვინოსანმა:

„მადლი ღმერთსა, ეგზომ უაღრეს საგულისხმონი რომ შევიტყვე ნათესავთათვის ქართველთა. გარნა, პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამხედრო საქმეთა შინა აღზრდილი და მეცნიერებისა წვლილად ყველაფერი ვერ მიცნობიეს. ხოლო ან ვინათგან კვერთხი მეფობისა ხელთ მიპყრიეს, მნებავს, რათა ყოველივე ვიცოდე, რაიც საცილო გამხდრა ბერძენთა და ჰრომაელთ შორის. მართლმადიდებლობა პირველ ყოვლისა სწორედ მეფეთაგან იძიების. და გვაუწყე, პატიოსანო მამაო, ვითარ არს ესე, რომ ჩვენ, ბერძნები და ქართველები მფუვანი პურითა ვწირავთ და ზედაშესაც წყალს ვურევთ, ხოლო ჰრომაელნი უფუვარი ხმიადითა და ურწყოითა ზედაშითა წირვენ? ფრიად უცხო მიჩნს ესე საქმე და ურთიერთას წინააღმდგომ. ანუ რა ძალა აქვს პურის ცომსა და მასთან შერეულ მარილსა, ან წყალს, რომელსაც ვურევთ ზედაშესა? განგვიმარტე და გულისხმა გვიყავ, წმიდაო მამაო!".

ამაზე გიორგიმ მაშინვე მიუგო:

„ჰოი მეფეო, ვინაითგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა, მრავაგზის მიდრკეს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, ამისთვის წინარე თქვენებრ ღმრთისმსახურმა კეისრებმა და ბასილევსებმა შეკრიბეს წმიდანი საეკლესიო კრებანი, წვრილად გამოიძიეს განგებულებანი ქრისტესი, ღმერთისა ჩვენისა, და გამოძიებით დააწესეს, რათა ქრისტეს ხორცის განსახიერებად მოვილებდეთ მფუვანსა პურსა, ხოლო ქრისტეს გონების განსახებად — მარილსა, და კიდევ, ზედაშე ღვინოში წყლის შერევა დაწესდა იმად, რომ ქრისტეს ჯვარცმულსა ლახვარნაკრავი გვერდიდან სისხლიც გარდამოსდინდება და წყალიც. რაც შეეხება ჰრომაელთა, იმათ დასაბამითგან რომ ღმერთი ერთხელვე იცნეს, მას შემდგომ აღარასოდეს აღარც მწვალებლობა, აღარც რაიმე მიდრეკა და გადახვევა სარწმუნოებაში აღარ ჰქონიათ. ყველამ იცით განშვენებულად — ღამესა მას სერობისასა უფალმა ჩვენმა იესომ უსისხლო მსხვერპლი მისცა თავის მოწაფეებს და, აგრეთვე მობაძვითა უფლისაითა, მოციქულმა პეტრემ, თავადმან ჰრომის ეკლესიისამან, პირველმა შესწირა მსხვერპლი უსისხლო. და მას შემდგომ ასევე უცვლელად მისდევენ ჰრომაელნი პეტრეს წესთა და

სარწმუნოებას". მცირედ შედგა და დასძინა: „ასეა ესე, და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწუნოებაი მართალი იყოს".

ასეთმა განსჯამ ძალიან გაახარა კათოლიკე ბერები, რომელნაც მა-შინვე მიუფინეს გიორგის: წმიდა პაპის წინაშე უნდა წაგიყვანოთ და იქ გათქმევინოთ ეგ სიტყვაო. გიორგის ამის პასუხი არც უცდია და არც კეი-სარს დაუყოვნებია ეთქვა გიორგისთვის ის, რაც წინა ღღეს აღთქმად დაედო:

„რაიცა საურავი და საზრუნავი საქმე გექნეს, მითხარ და ყოველივეს აღგისრულებს მეფობაი ჩვენი!"

გიორგიმ კი არც იმჯერად ინება რაიმეს თხოვა, ისე დაემშვიდობა კეი-სარს და დაბრუნდა თავის ობოლთა ბანაკში.

იმ ღღეს კიდევ ათონიდან ივერონის მამასახლისი ჩამოსულიყო, „კა-ცი სახიერი და წრფელი". მივიდა, ხელები დაუამბორა გიორგის და შე-პღალადა:

„კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოგიძღვა უფალი! აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შენსა!"

მესამედ კიდევ მიიწოდა თავისთან კონსტანტინე დუკამ გიორგი ათო-ნელი. ისევ დაისვა გვერდით და უთხრა ერთხელ კიდევ:

„რაიცა საურავი და საქმე შენი არს, მითხარი და ყოველსავე აღგის-რულებს კეისრობა და ბასილევსობა ჩემი".

„საურავად და საზრუნავად მე ის ოთხმოცი ობოლი ყმა დამრჩენია, საქართველოდან რომ წამოვიყვანე მე ცოდვილმა" — უპასუხა გიორგიმ.

„მერე, მაჩვენე ეგ შენი ობლები, რათა მივხედო წყალობით", — ბრძანა კეისარმა.

მაღლი მოასხენა გიორგიმ, ბავშვებს გავამზადებო, პიტაკს მოგართ-მევთო და გაგვაპატიოსნეთ თქვენის მობრძანებითო, უთხრა და დაემშვი-ღობა იმპერატორს.

მომდევნო ღღე, ივნისის 24, იოანე ნათლისმცემლის დაბადების ღღე იყო და ასტუდიას წაიყვანა ქართველები გიორგიმ. ფეხით მივიდნენ, ფეხ-შიშველნი. მივიდნენ. ემთხვევნენ თავსა ქრისტეს წინამორბედისასა, ეზიარნენ ქრისტეს ცხოველმყოფელ საიდუმლოთა და დაბრუნდნენ უკან, ქსერლოფად, სადაც მაშინ იდგნენ ქართველნი მეტოქად.

მივიდნენ თუ არა, მაშინვე უბრძანა გიორგიმ ასლომდგომთა:

„შეეკაზმენით და ობოლნი გაიყვანეთ ფილოპატს, სადაც ღღესვე უნდა შევხვდეთ კეისარს".

„ღღეს დარჩეს ასე და ხვალ შევხვდეთ კეისარს", — რ·ღით თქვა გიორგი ხუცესმონაზონმა, რომელიც გრძნობდა რატომღაც — მოძღვარი უქეიფოდ იყო.

„ჰო, ხვალე, ხვალე სჯობს“, — წამოეშველნენ მთქმელს დანარჩენი. მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე მთაწმინდელს.

„უკეთუ დღეს არ შევხვდებით კეისარსა, ხვალე ჩვენს ხელთ აღარ იქნება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა და დარჩა სხვათათვის სიტყვა ესე გაუგებარი და განუმარტებელი. ყველამ თურმე ასე გაიგო: ხვალე კეისრის ნახვა აღარ იქნება ჩვენს ხელშიო. არა და, ათონელი რასაც ამბობდა, თურმე იმავეს გულისხმობდა: ხვალ თვითონ ხვალე აღარ იქნება ჩვენს ხელშიო.

გამოვიდა და თვითონ შეჯდა ჯორზე სხვისგან მიუშველებლად და ხელმიუკარებლად. სხვებიც ამხედრდნენ. ობლები წინ წაიმძღვარეს და ფილოპატისკენ წარემართნენ. მივიდნენ. დადგნენ და აცნობეს კეისარს მოსვლა მათი.

ძალიან მალე მოვიდა კეისარი კონსტანტინე დუკა, სამივე ძე თან მოიყვანა — მიქაელი (ქართველთა სიძე), ანდრონიკე და კონსტანტინე.

ამალაც ახლდა, ამალაში კიდევ — რომაელნი და სომეხი მწყემსმთავარი გაგიკ კარელი.

თაყვანი სცეს ქართველებმა ხელმწიფეს და ხელმწიფისშვილებს.

ერთ ხანს უცქირა კეისარმა გაოცებით ქართველ ობლებს, მერე ათონელს მიუბრუნდა და უთხრა, ვითარმედ:

„დიდი და მაღალი საქმენი გიქმნიეს, ჰოი ნეტარო, ისეთი საქმე, რომლის შემძლებელი სხვა ერთიც არავინ მოიძებნების ამა ჟამსა შინა“.

მაშინ გიორგიმ უკვე დაწერილი პიტაკი მიართვა კონსტანტინეს და თან ეს უთხრა:

„წმიდაო მეფეო, ეს ობოლნი აღმოსავლეთში, საქართველოში შემიკრებია, ღმრთის სახელი დამისწავლებია და აწ შენი ხელმწიფობის წინაშე მომიყვანია. და როგორც საჭიროდ სცნოთ, ისე გაზარდეთ და შეიწყალეთ მლოცველად სულისა თქვენისა და შვილთა თქვენთა მზეგრძელობისთვის. მაშ, ობოლთა ჩემთა შევჰვედრებ ჯერეთ ღმერთსა და მას შემდგომ თქვენს ღვთაებრივ ხელმწიფობასა!“.

„მადლი მომიხსენებია, პატიოსანო მამაო, ნდობისა და სიყვარულისთვის! ახლა გთხოვ მე, ჟამობაი ათქმევინე და აგალობე ყრმათა და ყმაწვილთა შენთა!“ — უთხრა კეისარმა.

მაშინვე მიუბრუნდა ობოლთა კორომს ათონელი და უთხრა მშვიდი ალერსით:

„გალობაი სვიმონ მოხუცებულისა!“.

და იგალობეს ობლებმა — „მჯდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე“ და „აწ განმიტევე მე მშვიდობით“ (არავის უფიქრია, რომ სვიმეონ მართლის „აწ განმიტევე“ ამა ქვეყნიდან საკუთარ განტევებად ეგულისხმებოდა გიორგი ათონელს).

ნეტარებით ისმენდა კეისარი და მისი ამალა ყრმათა გალობას. და როცა გალობა დამთავრდა, უთხრა კონსტანტინე დუკამ ათონელ მამას:

„კეთილად განგისწავლებიან ბერძნულსა გვარსა ზედა, კეთილ-ბერ-
რო, შვილნი შენნი. და წინასწარ, ფსუნად, ათასი აჟურაი მიბოძებია-ოქ-
თვის. ხოლო, რაიც ამა პიტაკსა შინა სწერია, ყოველივე აღესრულება
წადიერად“. თქვა და გამოეთხოვა გიორგის და მის ქართულ საკრებულოს
კეისარი თავისი საკრებულოთი.

გიორგი ისევ თავისით, ხელშეუშველებელად აღჯდა ჯორზე და გამო-
უძღვა თავისიანებს ისევ ქსეროლოფისაკენ. მივიდნენ. დაისვენეს. და-
ღამდა.

ღამის სათევად თავზე დადგომა დაუპირეს, მაგრამ არ დაანებათ —
მარტო ერთიც კმა არსო და ის ერთი იყო ისევ გიორგი მცირე.

ოთხშაბათი დღე თენდებოდა — დღე წმიდათა თავთა მოციქულთა
პეტრესი და პავლესი. ცისკრისა ილოცეს ქართველებმა, კვლავ წინა-
მძღვრობით გიორგი მთაწმინდელისა. შუადღემდე იგი ისევ განარიგებდა
და განაწესებდა ყოველსა განსარიგებელსა და განსაწესებელსა. ნაშუა-
დღევს კი სარეცელზე წამოჯდა და ოთხივე მხარეს ოთხი წამკითხველი
დაიყენა, ოთხივე სახარების საკითხავად. ოთხივე რომ ჩათავდა, ტოლად
და სწორფერად, გიორგიმ იქ ღამსწრეთ ერთობით ჯვარი გადასწერა და
თქვა:

„დიდება შენდა უფალო !“.

მერე ტანი გაისწორა გიორგიმ, ახოვანი და ზრონაკვთოვანი, პირჯვა-
რი ისახა უკანასკნელად, „და თქვა სიტყვაი დასასრულისაი, რომელი-იგი
ვითარცა შარავანდედი მზისაი, წარიმძღვარა უფლისა მიმართ:“

„ხელთა შენთა, უფალო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა!“

იდგა 27 ივნისი 1065 წლისა.

აღსრულებულიყო გიორგი მთაწმინდელ-ათონელი, შობითგან 57 წლისა.

ოთხმოცმა ქართველმა ობოლმა ყრმამ გადაასვენა მისი წმიდა ცხედა-
რი კონსტანტინოპოლიდან ათონს.

(მაინცდამაინც — უცხო მიწაში დასამიწებლად...).

გრიგოლ ბაკურიანის ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა XI საუკუნის, ალბათ, 20-იან წლებში.

დაიბადა სამხრეთ საქართველოში, იმიერ ტაოში, დიდგვაროვან ქართულ ოჯახში.

პირმშო ძე ერისთავთ-ერისთავი ბაკურიანისა.

მოინათლა სახელითა — გ რ ი გ ო ლ.

საქართველოს სამეფო ტახტზე მაშინ იჯდა მეფე გიორგი I.

ბიზანტიის იმპერიის ტახტზე — ბასილი II, — ბასილი იგი, თორნიკე ერისთავმა რომ გადაარჩინა ბარდა სკლიაროსისგან გაჭყლეტას.

ყველაფერი გრიგოლის დაბადებამდე მოხდა... კარგად კი გადაუხადა მაშინ ბასილიმ ეს მადლი ქართველებს, — მისი მწყალობელი ქართველთა მეფე დავით III კურაპალატი რომ მოკვდა და მისი „სამხრეთული საქართველო" ქუთათისის ტახტზე მჯდარი ბაგრატ III-ის „ერთობილ საქართველოს" შეუერთდა, ბასილიმ დაასწრო, ტაო-ბასიანი დაიჭირა და თავისი იმპერიის სამანებში მოაქცია, „იბერიის საკატაპანოს" სახელით.

ეს მოხდა 1001 წელს, — როცა გრიგოლ ბაკურიანის ძე ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო.

ხოლო, ახლა, როცა დაიბადა და მისი მშობელი ტაო ბიზანტიაში აღმოჩნდა, — მაშასადამე, დაიბადა ბიზანტიის იმპერიაში.

ამრიგად, — დაბადებულა ეროვნულ-მოქალაქეობრივად ქართველი, პოლიტიკურ-მოქალაქეობრივად ბიზანტიელი.

ასეთი ყოფილა ნება ამ ქართველის ჭირვეული ბედისა...

ჭირვეულისა...

„ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი", — იტყვის ამას, სამომავლოდ, სწორუპოვარი მხედარი და მხედართმთავარი.

დაბადებითვე აღსასრულამდე უცხოეთში, ბიზანტიაში უნდა გაიაროს მისი წილხვედრი წუთისოფელი, უნდა იცხოვროს და იღვაწოს თხუთმეტი კეისრის ხელმწიფობის ჟამთა სიგრძეზე — ბასილიდან ალექსი კომნენოსამდე. დროის ეს ნაკვეთი კი უდრის, დაახლოებით, 65—70 წელიწადს.

ბიზანტიის 15 კეისრის ხელმწიფობის საერთო ხანგრძლივობა კი ეტევა 3 ქართველი მეფის ხელმწიფობის ხანგრძლივობაში.

მაშასადამე, გრიგოლ ბაკურიანის ძე თავისი წუთისოფლის 65—70

წლის მანძილზე მოესწრო 18 გვირგვინოსნის ხელმწიფობას, საიდანაც 15 ბიზანტიის კეისარია და მხოლოდ სამი საქართველოს მეფე.

(ასეთი პროპორციაც ნათლად მეტყველებს, რომელი „ორგანო“ უფრო ხშირად ემღვრეოდა და ეშლებოდა დედამიწას — „ჭიპი“, თუ „შუბი“!)

. . . . . .

ეამჟამად მაინც, „ოქროს ჭიპზე“ ფასი ედებოდა ნიჭს, სიმამაცეს და ერთგულებას — ამ „ქართულ თვისებებს“ (მით უფრო—„უცხოთმოყვარე ქართველის“ ერთგულება და თავგადაკვდომა უცხოელისთვის, თუნდაც მარტო „უცხოელთა განსაკვირვებლად“!).

და ჭაბუკი გრიგოლ ბაკურიანის ძის აღზევებასაც, „განსაკვირველ გამოჩინებასაც“ დრო უდგა მაშინ.

იგი მეწინავე, ახალგაზრდა მხედართა და სტრატეგოსთა შორის გამოსჩანს მაჰმადიანურ აზიასთან ხმალთაკვეთებაში. ბიზანტიის ლეგიონებს მიუძღვის სირიის, „მესოპოტამიის, სომხეთისა და მისი მშობლიური ტაოსათვის თურქ-სელჩუკებთან ბრძოლებში... კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარის ბრძანებით, გრიგოლ ბაკურიანის ძე სხვადასხვა დროს, ან ერთდროულად, განაგებს და „პატრონობს“: კარს (ყარსი), თეოდოსიოპოლს (კარნუ-ქალაქი, ერზერუმი), ზმოლენს, სომხეთს, სირიას, იბერიას (ტაო-ბასიანი).

ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთში, ან აზიაში მდგარი ყოველი საომარი ძალა გრიგოლ ბაკურიანის ძეს დაუქვემდებარა იმპერიის სასახლის კარმა, და ამიერიდან მას ეწოდება „აღმოსავლეთის დომესტიკოსი“ („ზორავარი“), ზედწოდებით — „სებასტოს“.

უმცროსი, მომდევნო ძმაც წამოსწეოდა გრიგოლს, ისიც მამაცი მხედარი და ნიჭიერი მხედართუფროსი — აბას ბაკურიანის ძე — თანაშემწე, „თანაზორავარი“ ეგზომ სახელგანსმენილი უფროსი ძმისა.

. . . . . .

1072 (თუ 1073) წელს, ქალაქ ბანაში, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ახალი მეფე გიორგი II და აღმოსავლეთის დომესტიკოსი, სებასტოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე.

და, გრიგოლ ბაკურიანის ძემ, კონსტანტინოპოლის დაუკითხავად და საკუთარ ნებისად, „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“.

გიორგიმ ნაჩუქარ ყარსში შავშელ აზნაურთა ციხიონი შეაყენა და ეგზომ გულუხვ „უცხოელ თანამემამულეს“ დიდი მადლიერებით დაშორდა.

. . . . . .

ერთი წლით ადრე, 1071 წელს, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ავიდა მიქაელ VII დუკა, მის გვერდით კი დედოფალ-ბასილისა, ასული საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა.

მის გვერდით... მაგრამ ასეთი შეწყვილებისას, „გვერდით" უფრო კეისარ-ბასილევსზე უნდა ითქვას, ვიდრე დედოფალ-ბასილისაზე:

დედოფალი, ციოსბოძებულ სიმშვენიერესთან ერთად, იყო ჭკვიანი, გონგამჭრიახი, ხოლო კეისარი — უნიჭო, უმეცარი და უმწეო.

მარიამისებრ პიროვნებას არ შეეძლო უქნარა და უგუნური ქმრის მაყურებელი მოწუწუნე-მოტირალი დიაცის როლში დარჩენილიყო.

იგი მოქმედებისთვის დაბადებულიყო და მოქმედებდა კიდეც. სასახლის კარზე, დედოფლის გარშემო, თანამოაზრეთა თუ თანამებრძოლთა რაღაც „დასიც" უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელშიც ერთ-ერთი წარმმართველი როლი მის თანამემამულე გრიგოლ ბაკურიანის ძეს უნდა შეესრულებინა.

1078 წელს, მიქაელ დუკას ნიკიფორე ბოტანიატემ წაართვა იმპერიის ტახტ-გვირგვინიც და დედოფალიც. იქნებ ამ დრამაშიც (თუ ტრაგიკომედიაში) მიეღო მონაწილეობა სებასტოს-დომესტიკოს ბაბურიანის ძეს.

ნიკიფორე ბოტანიატემ დედოფალზე წინასწარ მიცემული პირობა („პოლიტიკური პირობა") არ შეასრულა და... ახლა თვითონვე დაემხო.

ხოლო, ნიკიფორეს დამამხობელთა „დასს" სათავეში უდგნენ: მარიამ ბაგრატიონი, გრიგოლ ბაკურიანის ძე და ძმები ისააკ და ალექსი კომნენოსები.

იმპერატორი შეიქნა ადრევე მარიამის შვილიშვილად აყვანილი ალექსი კომნენოსი.

წინასწარ ეს პირობაც ჰქონდათ დადებული: უკეთუ აღმოსავლეთის დომესტიკოსი ალექსი კომნენოსს ტახტის დაუფლებაში შეეწეოდა, სამაგიეროდ იგი მიიღებდა დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ტიტულსა და მაგისტრატურას.

და აი, დგას 1081 წელი — ბიზანტიის იმპერიის ტახტზე ზის ალექსი I კომნენოსი და გვერდით უდგას იმპერიის სრულიად საომარ ძალთა მთავარსარდალი — სებასტოსი და დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე.

მაშ, იყო იმჟამინდელ „ჭიპსა ზედა" უძლიერესი „შუბლთაგანი" — დიდი ქართველი, თუნდაც „გაუცხოებული".

გამეფების წელსვე, კეისარმა ალექსი კომნენოსმა თავისი ერთგული თანამებრძოლი და მთავარი დომესტიკოსი სალაშქროდ აწვია, ილირიაში ჩამომდგარ ნორმანთა ბელადის, რობერტ გვისკარის წინააღმდეგ

შეჰყარა ლეგიონები გრიგოლ ბაკურიანის ძემ, თანაშემწე სარდლად ნიკოლოზ ვრანა დაინიშნა, მისებრ მამაცი და გამოცდილი თანამხედარი, და კეისარს ეახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განდევნეს ნორმანები ილირიიდან კეისარმა და მისმა თანამებრძოლმა დომესტიკოსმა.

ესეც ახალი დიდი სახელი იყო „სახელისა მაძიებელი" ქართველისთვის.

. . . . . .

გრიგოლს, მის დიდ დამსახურებათა კვალობაზე, ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან, საგანგებოდ გაცემული სიგელებით და ხრისობულებით (ოქრობეჭდებით), მიღებული და დამტკიცებული ჰქონია მამულები: ანისში, ტაოში, არმენიაკში, მოსინოპოლში, ფილიპოპოლში, ახრიდონში, სიკონში, სარპეტიკიონში, ვოლერნოში და პეტრიწონში.

პ ე ტ რ ი წ ო ნ ი კი, სწორედ გამორჩეული სიყვარულისა და ყურადღების საგნად ჰქონია გრიგოლ ბაკურიანის ძეს.

პეტრიწონი (შემდგომში — სოფელი ბაჩკოვო) მდებარეობდა ბალკანეთზე, ძველ თრაკიაში (შემდგომში —ბულგარეთი), როდოპის მთის კალთაზე.

მანამდე პეტრიწონი საკუთრებად ჰქონდა თვითონ დედოფალ მარიამ-მართაყოფილს. და ალბათ, სწორედ დედოფალმა მიუძღვნა იგი თავის ერთგულ თანამემამულე სარდალს.

და ააშენა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, 1083 წელს, პეტრიწონში სავანე, რამდენიმე ნაგებობით: მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა, ორი ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმიდა გიორგის სახელობისა, სამი სასტუმრო, საავადმყოფო, სემინარია და საძვალე-სამარხი (აქ გაღმოასვენა გრიგოლმა თავისი გარდაცვლილი ძმა, აბას ბაკურიანის ძე, და აქვე უნდა დაკრძალულიყო თვითონაც).

მშენებლობათა დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ (1084 წ.), პეტრიწონის სავანეს უნდა ჰქონოდა თავისი „ტიპიკონი", ანუ „წესდება", შედგენილი თვითონ გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ, დაწერილი ქართულ და ბერძნულ ენებზე.

პეტრიწონის „ტიპიკონის" დაწერიდან განვლო ერთმა წელიწადმა.

დამდგარიყო 1086 წელი. მტრის ახალი შემოსევის ამბავი მოიჯრა კონსტანტინოპოლს. სკვითების ურდოს გადმოელახა დუნაი; სკვითებს ადგილობრივი ერეტიკოსები, მანიქეველები და პავლიკიანები შეერთებოდნენ, ფილიპოპოლთან მოეყარათ თავი და უკვე კონსტანტინოპოლზე სალაშქროდ იკაზმებოდნენ.

მაშინვე გრიგოლ ბაკურიანის ძე იხმო კეისერმა ალექსი კომნენოსმა;

იხმო და ჯარის შეყრა და საომრად გასვლა უბრძანა. თანაშემწეებ მთავარსარდალს ნიკოლოზ ვრანა დაენიშნა.

ჯარიც შეპყარეს და სალაშქრო გზაზე უმალვე გავიდნენ, ფუხაის მიმართულებით. ბელიატოვის ციხეს მიუახლოვდნენ და მოწინააღმდეგის ბანაკიც გამოჩნდა.

პირველი თვალის დაკვრისთანავე მიხვდა გრიგოლ ბაკურიანის ძე: რიცხობრივადაც და პოზიციურადაც მტერს სრული უპირატესობა ჰქონდა.

ამჯერად ისა სჯობია, ბრძოლაზე თავი შევიკავოთ და ჯარი აშკარა და ამაო ამოწყვეტისაგან გადავარჩინოთო, — თქვა დინჯად მთავარსარდალმა.

მაგრამ დაიჩემა მისმა თანაშემწემ, ნიკოლოზ ვრანამ — უეჭველად ახლავე უნდა შევებათ მტერსო, და უკეთუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ ლაჩრები გამოვდივართო.

„ლაჩრებიო?!“ — ამ სიტყვამ ააფეთქა მოხუცი ქართველის გული. იქნებ, ვინ იცის და, ვინმემ მართლა ლაჩრობა დამწამოსო („უცხოელობაც“, ქართველობა გამახსენოსო!), და მაშინვე საბრძოლოდ დააწყო ჯარი. შუაკერში თვითონ ჩადგა, წარუძღვა და ხმალშემართული პირველივე დაეძგერა უკვე იერიშზე გადმოსული მტრის შუაგულს.

ხმალთაკვეთება დადგა უსასტიკესი. დასაწყისშივე აშკარა აღმოჩნდა სიმართლე ქართველი დომესტიკოსის მწარედ ნაწირნასწარმეტყველევისა — ბრძოლად გასვლა იმ პირობებში, თურმე, მართლა მხოლოდ უაზრო თვითგაჟლეტას მოასწავებდა. ბრძოლაში დაეცა ვრანა, მიზეზი ამ კატასტროფისა. უკვე ჭრილობებით სისხლისგან დაცლილიყო თვითონ გააფთრებით მებრძოლი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ბოლოს, კვლავ ჭრილობა შორიდან ნატყორცნი ხელშუბით, ყალყზე ავარდნილი ცხენი და, იქვე, უზარმაზარ მუხას შეასკდა სისხლისაგან დაცლილი მოხუცი სარდალი.

უკვე მკვდარი იყო დიდი დომესტიკოსი. მისი ჯარისკაცებიც სულ ერთიანად აეწყვიტათ გამარჯვებულ სკვით ველურებს და მათ „თანაველურ მწვალებლებს“.

ცხარე ცრემლით დაიტირა კეისარმა ალექსი კომნენოსმა დაღუპული ლეგიონები. მაინც გამორჩეული ცრემლისღვრით იგლოვდა გრიგოლ ბაკურიანის ძეს, უმამაცეს სტრატეგოსსა და უახლოეს თანამებრძოლს, სწორედ რომლის სიახლოვემაც შესძინა მას უზენაესი კეისრული ინსიგნიები.

დაიკრძალა გრიგოლ ბაკურიანის ძე მისგანვე ნაღვაწ-ნაამაგარ პეტრიწონს, მისგანვე ნაშენ სამარხსა შინა, მისი ძმის აბასის გვერდით.

იწვა დიდი ქართველი, დიდი საქართველოდან შორს.

ქართველი?!

ნაქართველარი?!

„გაუცხოებული ქართველი“, რომლის მარადიული ქართული ენათმე-

ტყველება, ფიქრთმეტყველება, სიზმართმეტყველება, ქართული წუხილი, ქართული ზრუნვა და ურვა — მაინც ყოველივე ქართული განივთებული-ყო იქ, პეტრიწონში, მისი ხელითვე ნაგებ „საქართველოში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ დედა-საქართველოდან კი რა წაეღო და რა ჩაჰყოლოდა თუნ-დაც მისგანვე „გაქართველებულ“ უცხო მიწაში?

ისიც არ ვიცით, საქართველოდან წაღებული მუჭა-მიწა მაინც თუ ჰქონდა ყელზე შესკვნილი.

(მაინც რას იწონის — რას-მეთქი და არა რამდენს — ასე მუჭა-მუჭად საქართველოდან გატანილი საქართველო?!)...

მართა — მარიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1050 წლის მახლობლად, ქუთათისში, საქართველოს მაშინდელ სატახტოში.

მამა — საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე.

დედა — დედოფალი ბორენა, ოვსთა მეფე ურდურეს ასული.

ძმა — საქართველოს მომავალი მეფე გიორგი მეორე.

ახალშობილ გოგონას დაარქვეს მ ა რ თ ა.

დაიბადა საარაკო სიმშვენიერით (როგორც სჩვევია, უცთომელად, ქართველისა და ოსის ნაჯვარს).

წინარე ნათქვამიდან (გიორგი მთაწმიდელის „ცხორებიდან") გავიხსენოთ: კონსტანტინოპოლს სტუმრად წასულ ბაგრატ მეფეს და დედამის მარიამს თან წაეყვანათ მცირეწლოვანი მართა, რომლის სილამაზემ გააოცა ყოველი მისი მხილველი „ჭიპსა ზედა დედამიწისასა". ბიზანტიის ბებერმა დედოფალმაც, თეოდორამ ხომ მაშინ იშვილა მართა, საოცარი სილამაზისთვის. და კიდევ: მალე გარდაცვლილ თეოდორას რომ მიასვენებდნენ, მაშინ ცითმოვლენილი ანგელოზივით გამოცხადებულ მართას მხილველმა გიორგი მთაწმიდელმა ეს შესძახა იქ დამსწრე ხალხს:

„შეხედეთ და უწყოდეთ ყოველმან, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა!"

დიახ, გაივლის ცხრა წელიწადი და აღესრულება მთაწმიდელი მოძღვრის წინასწარმეტყველება: 1065 წელს (გიორგი ათონელის საქართველოში წვევის მეხუთე წელი) კონსტანტინოპოლიდან ქუთათისს მოდის ელჩიონი, წარმოგზავნილი ბიზანტიის კეისარ-იმპერატორ კონსტანტინე დუკასაგან, რომელიც თავისი უფროსი ძისა და ტახტის მემკვიდრის მიქაელისათვის ცოლად და ბიზანტიის მომავალ დედოფლად ითხოვს ქართველი მეფის ასულს, მართას.

აკი ყველამ მაშინ გიორგი ათონელს მიაპყრო მზერა და დედოფალმა მარიამმაც ეს უთხრა მოძღვარს, ხელზე ამბორით: „აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაი შენი მართას ზედა!"

და წაიყვანეს მაშინ ბიზანტიის პატარძლად მართა (აკი თვითონ გიორგი ათონელ-მთაწმინდელიც თან ახლდა ამ საქორწინო ამალა-მაყრიონს... აკი იმ წელსვე აღესრულება თვითონ გიორგი).

ბიზანტიაში მართას სახელს გამოუცვლიან და ამიერიდან, სამარადჟამოდ, დაერქმევა — მ ა რ ი ა მ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . .

1067 წლის მაისში მოკვდა ბიზანტის კეისარი, ბაგრატ ქართველთა მეფის მზახალი, კონსტანტინე X დუკა.

იმპერიის მმართველობა იკისრა ქვრივმა დედოფალმა ე ვ დ ო კ ი ა მ. ამას აუჯანყდა და ტახტის წართმევა დაუპირა კაპადოკიელმა დიდკაცმა, პაჭანიგებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილმა სტრატეგოსმა რ ო მ ა ნ ო ს დ ი ო გ ე ნ მ ა. აჯანყება აჯანყებულს მარცხით გაუთავდა, ტახტის ნაცვლად ბორკილებიც მიიღო და სიკვდილიც მიესაჯა. მაგრამ უცებ ევდოკიამ ჯკუა იხმარა და თვითონ ამჯობინა, ეს მამაცი და მომხიბლავი ვაჟკაცი მოკვლა-დაკვლის ნაცვლად თავის გვერდით ქმრად და იმპერატორად დაესვა. ასედაც მოხდა: 1068 წელს ბიზანტიის კეისარ-იმპერატორი შეიქნა რ ო მ ა ნ ო ს IV დ ი ო გ ე ნ ი.

რომანოს დიოგენის კეისრობა გაგრძელდა სამი წელიწადი. 1071 წელს, მანასკერტთან (სომხეთში) დიდი ბრძოლა მოხდა ბიზანტიელებსა და თურქ-სელჩუკებს შორის, ორივე ხელმწიფის — რომანოს დიოგენისა და ალფ-არსლანის პირადი მონაწილეობით. სელჩუკებმა ბიზანტიელები დაამარცხეს, თვითონ კეისარი რომანოსიც ტყვედ იგდეს და ბორკილდასმული და თავლაფდაფენილი თან წაიყვანეს.

ბიზანტიის კეისარ-იმპერატორად გამოცხადდა მ ი ქ ა ე ლ VII დ უ კ ა პ ა რ ა პ ი ნ ა კ ი, სიძე ქართველთა.

მაშ, დედამიწის „ოქროს ჯიპზე" იჯდა ასული „დედამიწის შუბლისა", საქართველოს ხელმწიფის, ბაგრატ მეოთხის შვილი, ქართველობაში მ ა რ თ ა, ბიზანტიელობაში მ ა რ ი ა მ.

ამბობდა და წერდა მისი მარადდღე ხილვით აღტაცებული მ ი ქ ე ლ პ ს ე ლ ლ ო ს ი, სულიერი მარილი მსოფლიო იმპერიისა:

„რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, მის საქებრად ყველაფერი კმარა მარტო მისი ხასიათიც, თუნდაც სხვა ღირსებაზე რომ აღარა ვთქვათ რა — აი, მარტო მისი სახის სიმშვენიერე: თუკი ქალთათვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისთვის ყოველგვარ სამკაულზე უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი მეუღლისა, ენას არ გააცნობდა, და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო".

ამბობდა და წერდა მისი უახლოესი ადამიანი, იმპერიის პირველი სეფე-ქალი, შესანიშნავი ისტორიკოსი ა ნ ნ ა კ ო მ ნ ე ნ ე:

„მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არცთუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. ახლა თვალების ბრწყინვალებას არ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გეასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა — ყველაფერი ეს აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის (მარიამის) მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა; ხოლო ვინც შემთხვევით მარიამ დედოფალს დაინახავდა, როცა იგი სეირნობდა, ან უცაბედად საღმე შეხვდებოდა — საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, ის (მნახველი) გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა მას (მარიამს). ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არავის არასოდეს არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“.

ტახტისმემკვიდრე უფლისწულიც გასაოცრად სრულქმნილი სიმშვენიერისა შესძინა ქართველმა ქალმა იმპერიას — კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი.

„კონსტანტინე მე მინახავს ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი, მისი ძიძის მკერდზე, მეფური ბავთით თავშემკობილი... რაც შეეხება გარეგნობას და გამომჟღავნებულ ხასიათს, რამდენადაც ამათი მიხედვით არის შესაძლებელი მასში ჩაქსოვილი სულიერი თვისებების ამოცნობა, უნდა ვთქვა, რომ არ მინახავს ამგვარი მიწიერი სილამაზე: მისი სახე სრულყოფილ წრედ იყო ჩამონაკვთული; მისი მსხვილი ცისფერი თვალები სიმშვიდით იყო სავსე; მისი წარბები პირდაპირ სწორ ხაზს ქმნიდნენ, ცხვირის ძირთან პატარა მანძილით იყვნენ დაშორებულნი, ხოლო საფეთქლებთან ოდნავ მოდრეკილნი; ცხვირი თავისუფლად ეშვებოდა ნესტოებთან, მაგრამ დასაწყისში ოდნავ ამოზნექილი, ბოლოს რომ უახლოვდებოდა, არწივისებურად კაუჭდებოდა; თავზე თმა მზისებრ უბრწყინავდა; ტუჩები თხელი ჰქონდა; თვალით საამურად იცქირებოდა, ანგელოზებზე უფრო ნაზად, და სულსაც, ამის გამო ამჟღავნებდა არც დაცემულს, არც აფორიაქებულს, არამედ მიმზიდველს, ღვთაებრივი ძრაობით გამხნევებულს“ (ამას წერს მიქელ პსელლოსი).

„კონსტანტინე იყო, როგორც ბუნების ძეგლის („აგალმა ფიზეოს“), ღვთის ნახელავი („თეუ ხეირონ“) საჩუქარი, თუ შეიძლება ასე ეთქვას; თუკი ვინმეს დაუნახავს მაინც, იტყოდა, რომ ეს ოქროს მოდგმის ნაშიერი არისო, როგორც ეს ჰელინურ მითებშია მოთხრობილი“ (ამას წერს ანნა კომნენე).

ხოლო, თვითონ კეისარი მიქაელ VII დუკა პარაპინაკი, მეუღლე უმშვენიერესი მარიამ დედოფლისა და მამა „ოქროს მოდგმის“ კონსტანტინე პორფიროგენეტისა — იყო: „ხასიათით დინდლო („ხაუნოს“), გულუბრყვილო („აფელეს“), უზრუნველი („ანეიმენოს“), უმეცარი („ჰაპალოს“), მოუქნელი („ადექსიოს“), თავისი პირადი საქმეების გამართვაშიც უძალო („უკ ისხიონ“) და სახელმწიფო მართვაშიც სრულიად უქნარა“ (ამას წერს ვინმე ე ფ რ ე მ ი, მის „ქრონიკაში“).

ამ ერთი ოჯახის ქართულ-ბიზანტიურ „ხასიათთა ნარევს“ მალე თავისი შესაბამისი შედეგებიც მოჰყვება.

. . . . . .

შიშსა და ნევროზს მოეცვა „ოქროს ჯიპი დედამიწისა“.

გარედან შემოსევები და შიგნიდან აჯანყებები აზანზარებდნენ იმპერიას. დასალეთიდან, სამხრეთ იტალიაში, ნორმანები ჩამომდგარიყვნენ, უტიფარი რ ო ბ ე რ ტ გ ვ ი ს კ ა რ ი ს ბელადობით. თურქ-სელჩუკებს კი აზიიდან მომავალი სასურსათო გზები გადაეჭრათ კონსტანტინოპოლისათვის.

სატახტოში შიმშილმა დაიბანაკა და დაისაძოვრა. დახოცილთა დამარხვასაც ველარ აუდიოდნენ ცოცხლები. სათრეველებიც აღარ ჰყოფნიდათ — ერთი საკაცით ხუთ-ექვს მკვდარს მიათრევდნენ, ზერელედ მოქექილი სამარხებისკენ.

კეისარი კი უმწეო იყო — მიქაელ VII, ქართველთა სიძე. ხელმწიფის სისუსტეს კი, ჩვეულებრივ, ნაყოფად ვიგინდარა-მეფეობა მოაქვს, და იმდროინდელი ბიზანტიის სასახლის კარზეც მეფეობა განაგებდა ყოველ საქმესა საკეისროსა — საჭურისი-ყვერული ნ ი კ ი ფ ო რ ე, მოალერსებით რომ ნ ი კ ი ფ ო რ ი ც ა ს ეძახდნენ.

1073 წელს მცირე აზიაში მდგარი დაქირავებული ჯარი აჯანყდა, მათი სარდლის, რ უ ს ე ლ ი ს მეთაურობით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კეისარმა მიქაელ დუკამ და მისმა ნიკიფორიცამ დახმარება თურქებს თხოვეს. თურქებმაც მოსისხლეთა „მხსნელობა“ შეიფერეს და მათი დახმარებით აჯანყება ჩახშობილ იქნა.

1077 წელს, მაკედონელთა მხარდაჭერით, იმპერატორად თავი გამოაცხადა ნ ი კ ი ფ ო რ ე ვ რ ი ე ნ ი ო ს მ ა. ეს აჯანყებაც კეისარმა მიხეილ

დუკამ უცხო ძალებით, ამჯერად პაჭანიგების შემწეობით ჩააქრო და ტახტის მაძიებელსაც თვალები დათხარა.

მაშინვე ახალმა აჯანყებამ იფეთქა მცირე აზიაში, აქაურ ხალხს, ნიკიფორე ბოტანიატეს მეთაურობით. ბოტანიატეს ... კომნენოსების ძლიერი გვარიც. უზურპატორმა თურქებიც კი შეიკავშირა და ყოველის მხრით განმტკიცებულმა კურსი აიღო დასავლეთისკენ. მისვლისთანავე აიღო ქალაქი ნიკეა, საიდანაც ერთი ნაბიჯიღა დარჩენოდა იმპერიის სატახტოზე თავდასასხმელად.

ნევროზი გამძლავრდა კონსტანტინოპოლს.

საერთოდ იყვნენ „ოქროს-ჭიპელნი" — ნერვიული, მღელვარე, ხმაურიანი, მალემრწმენი, ჭორიანი, ღვთისმორწმუნეც და ეშმასმორწმუნეც, ნათლისმოყვარეც და ჯადოსმადევარიც, მოაზროვნეც და მორეგვნეც, მშიშარაც, პანიკიორიც. ერთ პირგახეულ ჭორიკანას შეეძლო შიშის ზარი დაეტეხა მთელი ქალაქისათვის. შიშიც კიდევ შიშს გააჩნია. ის კიდევ არაფერი, რომ მამაკაცნი ერთბაშად ცვედნებად იქცეოდნენ, არამედ ისეც ხდებოდა, რომ შიშით ქალებსაც საწიდოვნო რიგი მოუწყდებოდათ და ერთბაშად ქალობა ეკარგებოდათ. და გარბოდნენ ოქროს-ჭიპელნი, მამაკაცყოფილნი და დედაკაცყოფილნი, სადაც და საითაც მოუხდებოდათ, უგზოუკვლოდ, ბღავილით, წივილით, კრხჩიალებით, ყელის ღადვრით, ეკლესიებში მლტოლვარებით და მხოლოდღა ლოცვით — „კირიელეისონ!!!"

სულ დაეკარგა თავი კეისარ მიქაელ დუკას. თავდაკარგულმა ხალხმაც თვითონ გაუღო კარი კეისრობის ახალ მაძიებელს. სასახლეში შევიდა ნიკიფორე ბოტანიატე. თვითონ შემოეგება მიქაელ დუკა, იმპერატორის გვირგვინიც თვითონვე მიაწოდა და მიაძახა: აჰა, ეს გინდოდა და უბრძოლველად გაძლევ, ოღონდ ხალხი ხმლისაგან დაასვენე!

უთხრა და სასახლე დატოვა, ბერის ანაფორით შეიმოსა და სტუდიის მონასტერს შეეხიზნა, ისე რომ მეტჯერ აღარც ქვეყანა მოუკითხავს, აღარც ცოლი და აღარც შვილი.

აი, ასეთი აღმოჩნდა სიძე, აწ ნასიძვარი საქართველოსი.

დედოფალი მარიამი, ანუ მართა-ყოფილი, და მისი ძე კონსტანტინე პორფიროგენეტი პეტრეს სახელობის მონასტერს დამდგარიყვნენ, მარტოდმარტონი.

აია სოფიას ტაძარში კი უკვე ეკურთხებინათ ახალი კეისარ-იმპერატორი — ნიკიფორე III ბოტანიატე (1078—1081 წწ).

ბოტანიატეს გახელმწიფება მნიშვნელოვანწილად მაინც განპირობებული იყო კომნენოსების ძლიერი გვარის მხარდაჭერით, სახელდობრ — ძმების, ისააკ და ალექსი კომნენოსების თანადგომით და თანამბრძოლობით.

ძმებს დიდი გავლენა ჰქონდათ მაშინ იმპერიაში; თვით იმპერატორობის გერშიც აღებული ჰქონდა მათ სისხლს: ისინი იმპერატორ ისააკ I კომნენოსის (1057—2059) ძმისწულები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ამას გარდა, სხვა „სამეფო ნაკადიც“ აახლოებდა მათ „მაძიებლობისთვის“ საოცნებო საიმპერიო ინსიგნიებთან: ძმათაგან უფროსს, ისააკს ცოლად შეერთო ი რ ი ნ ე, ძმისწული ბაგრატ მეოთხე ქართველთა მეფისა, ანუ ბიძაშვილი დედოფალი მარიამ-მართაყოფილისა (ირინე იყო დემეტრეს ასული, იმ დემეტრესი, ბაგრატის მამას გიორგი პირველს ოსის ქალთან რომ გაეჩინა და თავს კონსტანტინოპოლს აფარებდა).

და ახლაც, ისააკ და ალექსი კომნენოსებს გადამწყვეტი დასტური უნდა მიეცათ ახალი კეისრის მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე: კეისარი ნიკიფორე ბოტანიატე ცოლად ირთავდა წინა კეისრის ნაცოლარს, დედოფალ მარიამ-მართას.

ნიკიფორე ბოტანიატე მაშინ მოხუციც იყო და ცოლიც ჰყავდა, თანაც ცოლი მეორე ქორწინებით. ცოცხალი იყო და თანაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა თვითონ მარიამის ქმარიც. და კიდევ — რიგიანი ქრისტიანისთვის, მით უფრო სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლისთვის, ქრისტიანული კანონიკით, დაუშვებელი იყო არამცთუ მესამე, არამედ მეორე ქორწინებაც კი.

მაგრამ ეს მკრეხელური ქორწინება — ისე, რომ პატრიარქ გრიგოლ VII-ის ანათემასაც ანგარიში არ გაეწია — მაინც მოხდა, რასაკვირველია, ორივე მხრიდან აღძრული ინტერესებით: ბოტანიატე, წარმომავლობით მდაბიო და უაზნო, ცოლად ირთავდა მეფის ასულს, ჭეშმარიტ დედოფალს, თანაც სულით და სხეულით უმშვენიერესს; ხოლო, მარიამ-მართა ამ ქორწინებით სამეფო ტახტისმემკვიდრეობას უნარჩუნებდა თავის ერთას, კონსტანტინე პორფიროგენეტს.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ამ დაწყვილებასაც მალე ერთი მხრისთვის იმედგაცრუება მოჰყვა. სახელდობრ, იმედი გაუცრუვდა მარიამ დედოფალს.

დიახ, ამ უჯიშო ბეხრეკმა ბოტანიატემ ეს უმშვენიერესი ქართველი ქალი ისე „მოიბალახ-მოისაძოვრა“ (ბერძნ. „ბოტანიონ“, „ბოტანე“ — „ბალახი“, „საძოვარი“), რომ მის წინაშე დადებული პირობა არა და არ შეასრულა: ტახტის მემკვიდრედ გერის, კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაცვლად თავისი ძმისწული ს ი ნ ა დ ი ნ ი გამოაცხადა.

მაგრამ მარიამ-მართაც არ ბრძანდებოდა ისეთი მარტივად, ვიწროდ ქალურ ბედიღბალზე მოწუწუნე დიაცი, რომელსაც არცერთი ქორწინებით „არ გაუმართლა“ — პირველი ქმარი რომ ისე ბედოვლათი შეახვედრა ავმა „ბედმა-მდევარმა“, მეორე კიდევ ისე ბეხრეკი და, რაც მთავარია, სიტყვისა და ფიცის გამტეხი.

იგი ძლიერი მოქმედების გმირად ყოფილიყო დაბადებული. მის გარშემო ძლიერი პოლიტიკური წრეც შეკრულიყო, როგორც ჩანს, უმეტეს წილ ქართველებით და მათთან დამოყვრებული „პროქართული ელემენტებით“.

„მოყვრები“ კი ისევ ის ყველაზე ძლიერი საგვარეულო აღმოჩნდა — კომნენოსთა საგვარეულო. როგორც ითქვა, ისააკ კომნენოსს აკი მარიამ დედოფლის ბიძაშვილი შეერთო ცოლად, მაგრამ ახლა ესეც საკმარისად არ მიიჩნიეს და „მოყვრობას“ „ნათესავობაც“ მიუმატეს: მარიამ დედოფალმა იშვილა ისააკის უმცროსი ძმა ალექსი კომნენოსი, ამ საგვარეულოში ყველაზე ჭკვიანი, ნიჭიერი, მამაცი და მთელს იმპერიაში პოპულარული პიროვნება.

შვილად აყვანის ცერემონიალიც შედგა საჯაროდ, აია სოფიას ტაძარში: შვილობილი დედობილის წამოსასხამის ქვეშ დგას მუხლებზე, ხელში ანთებული სანთლით, და ისმენს მღვდლის კურთხევას.

ამ „დედა-შვილობას“ — როგორც საქმით მალე დადასტურდება — საფუძვლად ედო ორმხრივი პოლიტიკური განაზრახი: უკეთუ ალექსი კეისარი შეიქნებოდა, მისი „თანაკეისარი“, გვირგვინისა და წითელი წაღების ტარების უფლებით, უნდა ყოფილიყო კონსტანტინე, ძე მარიამისა.

ამ „მოყვრულ-ნათესავურ-პოლიტიკური ალიანსის“ ერთ უსაჩინოეს თავკაცად გამოსჩანს ქართველი მხედართმთავარი გ რ ი გ ო ლ ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ე. იგი მაშინ იმპერიის აზიურ პროვინციათა ჯარების მთავარსარდალი იყო და ასედაც ეძახდნენ — „აღმოსავლეთის ზორავარი“. მასთანვე იყო მისი უმცროსი ძმა, მისი „თანაზორავარი“, ა ბ ა ს ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ე.

თვითონ ალექსი კომნენოსი იმჟამად იმპერიის დასავლეთ პროვინციათა საომარ ძალებს მთავარსარდლობდა და ამის მიხედვით მისი ტიტული იყო — „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი“.

ასე, რომ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ-დასავლეთის საომარი ძალები ქართველის და ბერძნის ხელში იყრიდა თავს.

ამასთან, ალექსის გრიგოლისთვის აღეთქვა — უკეთუ მე კეისარი გავხდები, მაშინ შენ იქნებიო დასავლეთის დიდი დომესტიკოსიც...

და ყველაფერი ისე ქმნეს, როგორც სთქვეს.

1081 წლის აპრილში, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ - ბ ა კ ურ ი ა ნ - კ ო მ ნ ე ნ ო ს თ ა წრემ ისარგებლა იმპერიის ყოველ კუთხეში ატეხილი არეულობით, გარედან თურქთა მოწოლით, კონსტანტინოპოლში შექმნილი ანარქიით და აპათიით, და თავიანთი საომარი ძალებით იერიში მიიტანეს სატახტოზე.

და ოქროს ჭიპი ერთხელ კიდევ დაეცა და განერთხა მისივე ჯარისკაცების ფერხთა ქვეშე.

და კომნენოსთა და ბაკურიანისძეთა ჯარისკაცებმაც იჯერეს „ბული ძარცვა-გლეჯითაც, სისხლის ქცევითაც, დიაცთა „მამაცურად დამდაბლებითაც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტიდან ჩამოგდებულმა ნიკიფორე ბოტანიატემ თავი ბედნიერად ჩათვალა, რაკი დარჩენილი სიცოცხლის დღეები არ მოუსწრაფეს და მხოლოდ მონაზვნად აღკვეცეს. იმასაც, როგორც ყოველ ადამის შვილს, ხორცი ეჭმებოდა და თმა ეზრდებოდა შეუჩერებლივ. თმა კვლავაც ამოსდიოდა, ნებართვით და აუკრძალავად, ოღონდ საღარდებლად ახლა ის დარჩენოდა, ვითარცა ბერს ხორცის ჭამა რომ ეკრძალებოდა.

ბიზანტიის სამეფო ტახტზე უკვე იჯდა ალექსი კომნენოსი (1081—1118 წწ).

„თანაკეისრად“ და „მემკვიდრედ“, თავზე გვირგვინით და ფეხებზე წითელი წაღებით, გვერდით ესვა ჭაბუკი კონსტანტინე პორფიროგენეტი, დუკა-ბაგრატიონი, ძე დედოფალი მარიამ-მართა ბაგრატიონისა, „ძეგლი ბუნებისა“, „ნაშიერი ოქროს მოდგმისა“.

თვითონ მარიამს სასთუმალქვეშ ედო ოქრობეჭედი, ახალი იმპერატორისგან წითელი მელნით ხელმოწერილი, საბუთი იმისა, რომ მის ძეს საიმპერიო ტახტისმემკვიდრეობა კვლავაც არ გასცუდებოდა.

ორ წელიწადში, 1083 წელს, მარიამისთვის იმპერატორობის პირობას მეტი დამაჯერებლობა მიეცა: ამ წელს ალექსი კეისარს შეეძინა ასული, ანნა, რომელიც მამამ მაშინვე დაწინდა მარიამის ძის საცოლედ, მაშასადამე იმპერიის მომავალ დედოფლად.

მომავალ სადედოფლოს და სასძლოს თვითონ მარიამი ზრდიდა...

ეს „ბედნიერი“ ბაგრატიონ-კომნენოსური „სანათესავო“ ერთ სასახლეში ცხოვრობდა, ერთად — მანგანის სასახლეში...

დიახ, ჯერჯერობით ყველაფერი ისე იყო და ისე ვიდოდა, როგორც ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, ამბობდნენ.

ჯერჯერობით-მეთქი, რადგან აკი ხშირად, ადამიანები რომ ბჭობენ, ფორტუნა თუ მოირა მაშინ სიცილით კვდება.

ფორტუნას სიცილი და ლაზღანდარობა კი ადამიანების ცრემლი, წუხილი, გოდებაა.

და ოქროს ჭიპზეც ლაზღანდარობით ჭიპზე იხეოდა ფორტუნა...

კონსტანტინე პორფიროგენეტი, ანუ „ძოწითშობილი“, ანუ ბაგრატიონულ-მეფური სისხლის „ოქროს ნაშიერი“, 1096 წელს ისე აღესრულება, ვერც ხელმწიფობას ეღირსება, ვერც ხელმწიფის სიძობას.

მარიამ დედოფალიც — შვილის ხელმწიფობის მოსწრებაში რომ ათენ-ალამებდა — მის სიკვდილს მოესწრება. და ამ დღიდან თვითონაც მკვდარი იქნება — სულით მკვდარი, რაკიღა სულისმიერი სიცოცხლე ნის ძეს წაჰყვება, იქ, სულეთში.

უიღბლო „ოქროს ნაშიერს“, კიდევ, მისი საცოლისა და სადედოფლოს მწარე სინანულიც წაჰყვება — ანნა კომნენესი, მომავალი მემატიანისა, მისი შფოთიანი დრო-ჟამის ამსახველი „ალექსიადის“ ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

სიცოცხლე მაინც თავისას არ იშლიდა, რაკიღა მარიამ-მართამ შვილის სიკვდილიდან კიდევ შვიდი წელიწადი იცოცხლა.

მონაზვნად აღიკვეცა და მთლიანად საეკლესიო-სასულიერო ცხოვრებას მიეცა.

მისი კულტურული ღვაწლმოსილებაც ადრიდანვე დაწყებულიყო. დედამისთან, დებორა დედოფალთან ერთად, იერუსალიმში კაპათას მონასტერი აეშენებინა. ასევე ადრე, დედოფლობისას, ცხოველი საღვთისმეტყველო მიმოწერა ჰქონია იმ დროის სახელმოხვეჭილ ფილოსოფოს-თეოლოგთან, თეოფილაქტე ბულგარელთან. სწორედ მარიამ დედოფლის შთაგონებით დაეწერა თეოფილაქტეს „განმარტებანი იოანეს სახარებისა“.

იმპერიის ყოველ კუთხეში ქართული ეკლესია-მონასტრების დაუცხრომელი მფარველი და მწყალობელი იყო მარიამი. ათონის ივერონიც გაეთავისუფლებინა მას ჩვეულებრივი, ყოველი საღვთისმეტყველო სავანისთვის დაწესებული საიმპერიო გადასახადისგან..

მაინც იცოცხლა, — მაინც მოესწრო ახალი საუკუნის დადგომას.

აღესრულა 1103 წელს.

და ჩაესვენა... უცხო მიწაში.

შ ა ლ ვ ა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი დაიბადნენ XII საუკუნის, ალბათ, 70-ან წლებში, ახალციხეს.

ძმანი, შ ა ლ ვ ა და ი ვ ა ნ ე, მაღალარისტოკრატული მესხური გვარისაგან — თ ო რ ე ლ ნ ი.

დაიბადნენ, ყრმობა განვლეს და სიჭაბუკის წლებით შემოჰყვნენ თამარ შვიდმნათობიერის ზეობის „ოქროვან ხანას“.

თამარის დროინდელ ქართველთაგან გადახდილ მრავალ ბრძოლათა შორის ორი მწვერვალი, ჭეშმარიტად ილიადური — ბრძოლანი შაქორისა და ბასიანისა.

და ორივეგან შალვა ახალციხელი ბრწყინავს უპირველეს, სანიშანსვეტო გმირთა შორის.

. . . . . .

აი, შამქორი, შარვანის დიდი ციხე-ქალაქი, მტკვრის ქვემო წელზე, მარჯვენა მხარეს. აქ დგას საქართველოს სამტროდ მოსული დიდძალი მუსლიმანური მხედრობა, ათაბეგ და ამირთამირა ა ბ უ ბ ა ქ რ ი ს წინამძღოლობით. თვით ბაღდადის ხალიფას თავისი დროშა და უხვად ოქროც გამოეგზავნა ქართველებთან საომრად აღძრული ათაბეგისთვის.

მდინარეს მარცხნიდან უკვე ქართველებიც მოსდგომიან, „ამერ-იმერნი“, თამარისგან დალოცვილნი და წარმოგზავნილი; მთავარსარდლად — მეუღლე მისი, დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი.

მაშ, დღე შამქორის ბრძოლისა, წელიწადი 1195, თვე ივნისი, რიცხვი 16, დღე — პარასკევი.

დავითს სამ ნაწილად დაეყო ჯარი: ორი, მარჯვენა და მარცხენა, ორივენი მოიერიშე, და ერთიც თადარიგი, რომელიც ძმებს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებს მიენდოთ. მარჯვენა მოიერიშეს სათავეში ჩაუყენა ა ნ ტ ო ნ გ ლ ო ნ ი ს თ ა ვ ი ს ძ ე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავათაცა ჭაბუკი“, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცვლად ხმალი ეპყრა ხელთ, და პირდაპირ შამქორის მთავარ კარიბჭისკენ წარგზავნა იგი მთავარსარდალმა.

თვითონ დავითი, შალვა ახალციხელის თანხლებით, მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან და მტრის ზურგიდან შემოსავლელად.

მარჯვენა კერძიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუ ბაქრის ლაშქარი. და „შეიქმნა ომი და კუეთება“, ისე რომ ხიდისა და გზის სივიწროვისაგან მხოლოდ [illegible] ასკდებოდნენ ერთიმეორეს. როგორც იქნა, ქართველებმა მდინარე და ხიდი დიდი სისხლის ფასად უკან მოიტოვეს და ციხესიმაგრეს კარიბჭეებსაც მიეტანენ. მაგრამ აქ აბუ ბაქრმა ურიცხვი მხედრობა შეაგება თავაწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამხეცებული ასკდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. „მოუკლეს ცხენი ზაქარია ვარამის ძესა, და დაუკოდნენ სხუათა მრავალთა დიდებულთა“. აგვიანდებოდა მარცხენა კერძიდან თვითონ სოსლანის შემოვლით მანევრს: აქ ქართველებს გზა შეხვდათ უვალი, ღირღოლოვანი, ფლატე-ქარაფოვანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. კვლავ წონასწორად იძვროდა ბრძოლის სასწორი. აბუ ბაქრს შეუწყვეტლივ მოჰყავდა ახალ-ახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ გაიმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“. უკვე მთელის ძალებით იბრძოდა აბუ ბაქრი. მას საეჭვოდ აღარ დარჩენოდა, რომ ბრძოლა სულ მალე მისი ძლევამოსილებით გათავდებოდა. ქართველთათვის გულდამგესლავად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასგან „ღაზოდ წარმოგზავნილი“ დროშა..

და უცებ ბრძოლის ველზე შემოიჭრნენ დავით სოსლანი და შალვა ახალციხელი.

წინ ქართველებს ქართული დროშა მოუძღოდათ — „დროშა იგი გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკობდა“ (შვიდასწლოვანი გამოძახილი ინდოეთს ვახტანგ გორგასალის ლეგენდარული ლაშქრობისა!).

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და ქართველთა ახალი მხედრობის გამოჩენამ „რისხვა ღმრთისა უხილავი“ დასცა მუსლიმობას.

ქართველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა იგი აბუ ბაქრს დასასრულის პირას ეგონა.

შეტევა და დავითის მხედრობას ერთბაშად მოწყდა მხედარი და ხალიფას დროშისაკენ გაქანდა ხმალამართული. ეს შალვა ახალციხელი იყო. გზა გაიკაფა, მედროშეთა რაზმს მიეჭრა, შეუკავებელი გარღვევით მთავარ მედროშესაც მიწვდა, მოუქნია და ალმედად (მხარიღლივ) გაჰკვეთა. დაფრთხნენ და უკუიქცნენ დანარჩენი დამცველნი დროშისა, რომელიც უმალვე მარცხენა ხელით დაითრია ახალციხელმა რაინდმა.

საესებით გატყდნენ ალლაჰის მხედრები. დროშის დაცემამ სრულად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მთელის ძალებით მიესივნენ მტერს ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს“.

ორად „განსქდა“ მუსლიმთა მხედრობა და ორი მხრისკენ გაიქცა — განძისკენ და გელაქუნისკენ.

პირველი გაექცა ბრძოლას თვით ათაბეგი აბუ ბაქრი და „ფიწალ-ბანდ“ მან ხნარცვსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი.

ქართველებმა კვლავ დაიჭირეს შამქორიც, განძაც, გელაქუნიც, სრულად შარვანი, სადაც ტახტზე აღადგინეს მათი ვასალი აღსართანი...

... გაეგება მეფე თამარი მორიგი ძლევამოსილებით დაბრუნებულ მხედრობას თვისას.

მის წინ გამოატარეს ბრძოლის ველიდან მოღებული ნაალაფევი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი, საომარი აღჭურვილობა, 12000 ტყვე-მუსლიმანი, 40 ავაზა, 20000 ცხენი, 7000 ჯორი, 15000 აქლემი.

მაგრამ ყველაზე დიდი ნადავლი მაინც ეს ყოფილიყო: მოიღო შალვა ახალციხელმა ხალიფას დროშა და ფერხთა წინაშე დაუფინა სათაყვანო ქალს და ხელმწიფეს.

დიდად გაიხარა თამარმა. მადლი უძღვნა ახალციხელ გმირს. მაშინვე მისგან მორთმეული დროშა აიღო და, ძვირფას მანიაკთან ერთად, ხახულის ღვთისმშობელს გაუგზავნა ღმრთივბოძებულ შენაწირად...

. . . . . .

აი, ბასიანის ბრძოლაც.

წელიწადი, ქრისტესშობითგან — 1203.

სწორედ ბასიანს მოსულა რუქნ ად-დინი, იკონიის სულტანი, მოსულა და მოუყვანია მოკავშირენი და დამხმარენი: აბულასტანის მბრძანებელი მულის ედ-დინ თოღრულ შაჰი, ეზინკის ამირა და რუქნ ად-დინის სიძე მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამშაჰი, შამის სულტანი და ბირიტის ამირთ ამირა.

სულ 400 000 თურქ-სელჩუკი მეომარი შეჭრილა საქართველოს „ერთხელ და სამუდამოდ წასახდენად“ და ამოსაგდებად.

ქართველებიც მოსულან ფეხშიშველი (!) თამარისგან გამოცილებულნი და დალოცვილნი; მთავარსარდლად კვლავაც დავითი, მისი მეუღლე...

საომრად განაწყო ჯარი მთავარსარდალმა:

მეწინავე, მოიერიშე ჯარს უსარდლა ძმები, შალვა და ივანე ახალციხელები.

მას უკან, მთავარი ძალები — მარჯვნივ აფხაზ-იმერნი, მარცხნივ ქართველნი, კახნი და ჰერნი.

ჯერ „წყნარად ვიდოდეს“ ქართველნი.

სულტანის ბანაკიც აიშალა საომრად. მაგრამ როგორც კი ქართველებმა ცხენები ააჩქარეს და ახალციხელთა წინამძღოლობით ზვავივით

იგრიალეს, თურქთა ურდო ასე მოიერიშე „ქაფარის“ (უსჯულო) სიტვით თითქოს შეძრწუნდა და გასაქცევად აგორდა.

ახალციხელებიც გამოენთნენ ყიჟინითა და საჭურვლის ბრგეგით.

მაშინ რუქნ აღ-დინმა შემოაბრუნა გაქცეული „ტყე-მალნარი“ თავისი უზარმაზარი მხედრობისა.

„და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძველ-ოდესმე ქმნილ იყო მხნეთაგან ეგევითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად, „მყოვარჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემსურვალი დასცხრომოდა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასავით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი საჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ-აღ-დინი გახელებული უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაუსოცეს ქართველ სარდალთა უმრავლესობას; შალვა და ივანე ახალციხელებს, ივანე მხარგრძელს, თაყაიადინ თმოგველს და „სხუათა მრავალთა თავადთა“.

მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ დარჩენილი სარდლები. ხოლო როცა მათმა მხედრებმა ქვეითად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვითონაც დაქვეითდნენ და განურღვეველ კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთაურებს. მაშინ მთავარი ძალით მიეჭრა დავითი, „ვითარცა აქილევი“, და „სპა მისი მივიდა, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა“.

და მასვე ჟამს შალვა ახალციხელმაც მიატანა რუქნ აღ-დინის „მაღალ საჩრდილობელს“ და იქ მოფრიალე სასულტნოს დროშას.

და უხეთქნა ხმალი თურქ მედროშეს „დროშაზე მონადირე“ ახალციხელმა.

უმალვე ორივე დაეცნენ — დროშაც და მედროშეც.

იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს, რომელმაც ძლივს გაასწრო ახალციხელის ხმალს თავის „მთასავით ცხენზე“ ამხედრებულმა.

და მასთან ერთად თურქთა მხედრობის „ეგეოდენი სიმრავლეც განსქდა, იძლია, დაიპანტა“.

დაქვეითებული ქართველებიც უმალვე ცხენებს მოასტნენ და ხმალამართულნი გამოენთნენ.

გარბოდა რუქნ აღ-დინის ლაშქარი, ვითარცა „თუალგარდუწდომელი მალნარი მიწითურთ მოგლეჯილი და დაზულეული“. გარბოდნენ, ერთმანეთს სთელავდნენ, „ურთიერთას დასთრგუნვიდეს“.

ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, დილის სისხამზე, ქართველებმა მოიხილეს ბასიანის ველი, „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის ყმანი, მათი დალეწილი საჭურველნი და ქართველთა ხელით „ახალციხურად“ დაფხრეწილი საომარი დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდძალი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. „აღივსნეს ოქროთა და ვერცხლითა და ჭურჭლითა პატიოსნითა“. ანგარიში არ ჰქონდა ცხენ-ჯორთა, აქლემთა, საჭურველთა, კარავთა და სხვათა მსგავსთა.

ასე განესრულა ბასიანის ომი.

ასე დათრგუნეს ქართველებმა მათი სამშობლოს გასანადგურებლად აღძრული უკანასკნელი „დიდი თურქობა“ სელჩუკის მოდგმისა...

ტფილისში, საზეიმო აღლუმზე, ისევ დაუფინა შალვა ახალციხელმა თამარ მეფეს ფეხებთან ძლეული მტრისგან ნაალაფარი სახელმწიფო დროშა.

მას უკან ძლეული, ბორკილდასხმული ძვირფასი ტყვეები მოჰგვარეს თამარს. სარდალთაგან მხოლოდ რუქნ ად-დინსა და მუღის ედ-დინს გაესწროთ სამარცხვინო ტყვეობისაგან. დანარჩენები იდგნენ ახლა საქართველოს მეფის წინაშე: მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰ ეზინკელი, შამის სულტანი, ბირიტის ამირთ-ამირა და „სხვა სულტანნი და ამირანი“.

თამარმა ყველა, ერთის გარდა, ერთხანს ციხედ, პყრობილად იყოლია, მერე შეიწყალა და განუტევა.

ხოლო, „ის ერთი“, თამარის დიდსულოვანი შეწყალებისგან უღირსი, აღმოჩნდა ეზინკის ბოროტი მბრძანებელი მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰი, რომელიც თამარმა დასაჯა სრულიად უცხო სასჯელით:

იგი გაჰყიდა, და... სასყიდელ ფასად აიღო ცხენის ნალი!

(„განყიდა ნალად ცხენთა“).

იმ წელსვე, როცა დიდი ძლევამოსილებით მოტანილი სიხარული ჯერ კიდევ არ განელებულიყო, ქართველებმა შეიტყვეს სიკვდილი რუქნ ად-დინისა.

ბასიანის ჯავრი სამარეში ჩაჰყოლოდა ქართველთა მტრობით დაუსვენარ თურქთა ხელმწიფეს.

. . . . . .

1204 წელს, გაზაფხულზე, კვლავ გამოიყვანა და დალოცა ჯარი თამარმა.

ისევ დავითი უსარდლა და სამხრეთ-დასავლეთისკენ გაისტუმრა.

მთავარსარდალს მარჯვნივ და მარცხნივ შალვა და ივანე ახალციხელნი მიჰყვებოდნენ.

ქართველები შეიჭრნენ ხლათში, იქ მდგარი თურქობა გაანადგურეს და ქალაქ კარისაკენ (ყარსი) წარემართნენ. კარი დიდი ქალაქიც იყო და დიდი თურქული ციხიონიც ედგა ბატონ-პატრონად. დავითმა ალყა შემოარტყა კარს. ქალაქი გაძალიანდა. მეციხოვნენი ყმაწვილ-ლაშა-ღვა-გინებით გადმოჰყიოდნენ მოალყეებს. ხოლო, როცა ალყაში მოქცეულებს საჭმელ-სასმელი გაუთავდათ, სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად იარაღის დაყრა გადაწყვიტეს. მაგრამ რაკი „ეშინოდათ სიტყვათა მათთათვის გინებისათა“, ვაი თუ დავითმა არ გვაპატიოსო, და შემოთვალეს: იარაღს დავყრით, თუ ქალაქის ჩასაბარებლად თვითონ თამარი ინებებს მობრძანებასო.

თამარიც გაეშურა კარს, თავისი ძე, მაშინ თერთმეტი წლის გიორგი ლაშაც წარიტანა. მეციხოვნეებმაც მაშინვე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა ყრმა ლაშა-გიორგი და ჩაიბარა კარი თავისი ციხე-კოშკებით.

ამგვარად, თურქებმა დაკარგეს კიდევ ერთი დიდი სტრატეგიული ციხე-ქალაქი, საიდანაც ისინი მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ ქართულ სამფლობელოთა სიმშვიდეს.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა ივანე ახალციხელს.

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატივს ახალი გამარჯვებით უპასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც“ გასცდა და „წარულო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე“. თამარმაც ახლად დაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამპყრობელს“, უმცროს ძმა-ახალციხელს უბოძა.

. . . . . .

განვლო ოცმა წელიწადმა.

დროის ულმობელ და ულევ დინებას თან წარეტანა დიდი თამარის „ოქროს ხანაც“, მისი ძის გიორგი ლაშას „სპილენძის ხანაც“.

და დამდგარიყო მომდევნო „ხანა“, მაგრამ რისა — სპილენძისა, ბრინჯაოსი, თუ სხვა რაიმე მდარე „შენადნობისა“?..

მაინც ჯერ ისევ ერთიანი, ჯერაც „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ საქართველოს ტახტზე იჯდა რ უ ს უ დ ა ნ, ასული დიდი თამარისა — შვილს რომ დედისგან მხოლოდ ღვთიური სხეულებრივი სიმშვენიერე შემორჩენოდა...

საქართველოს საფრთხეს რა გამოულევდა, და საფრთხე იგი, მორიგი და „ბუნებრივად“ მომდინარე, აღმოსავლეთიდან გამოჩნდა — საქართველოს შარვანულ სამფლობელოთაგან, ქართული „იმპერიის“ უკიდურეს პუნქტიდან — დარუბანდიდან.

კასპიის ჩრდილოურ სამყაროში მონღოლთაგან შევიწროებულმა ყივ-ჩაყთა ტალღებმა დარუბანდის კარი გადმოლახეს და შირვანის მთა-ბარს მოედვნენ ძარცვა-რბევით და წიოკობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ქალაქ ყაბალას მიაშურეს და ალყაში მოაქცივეს. ყაბალას მმართველმა ყივჩაყთა ბელადთან მოლაპარაკება გამართა და აღუთქვა: მე ქართველთა მეფეს თხოვნას გავუგზავნი, რომ ძღვნად ძვირფასი ხალათები და ფული გამოგიგზავნოთო. ეს, რასაკვირველია, დროის მოსაგებად იყო მოგონილი: ყივჩაყები ძღვენს დაელოდებოდნენ, სინამდვილეში კი ისინი ყაბალის დასახსნელად მოსულ ქართველებს და მათ მახვილებს გამორჩებოდნენ. მაგრამ არც ყივჩაყთა ბელადი მოტყუვდა. მან ყაბალის მიდამოების ძარცვა-რბევა განაგრძო; მერე, რაკი ყაბალის აღება ვერ შეიძლო, სამხრეთისკენ დაიძრა ახალი, ჯერ გაუძარცვავი სოფელ-ქალაქთა მოსარბევ-მოსაძარცვავად.

განძას მოატანეს ყივჩაყებმა და განძის მაშინდელი ამირა, ქუშხარა, მოყვრულად შეხვდა მომთაბარე მძარცველებს. მან ყივჩაყები ქილქუნის მიდამოებში დაასახლა კიდეც. ალბათ, მათთან კავშირით განძელი ამირა ქართველთა მბრძანებლობისგან თავის დაღწევას ფიქრობდა. მომთაბარე მძარცველ ურდოს ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება არ შეეძლო და ყივჩაყები საძარცვავად საქართველოსკენ წამოემართნენ. მტერს მაშინდელი ამირსპასალარი და ათაბეგი ი ვ ა ნ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი გაეგება, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა. მდიდარი ნაძარცვითა და ნატყვენავით დატვირთულმა და ქართველთა მოულოდნელი მარცხით გათამამებულმა ყივჩაყებმა ქუშხარა განძელის გამაფრთხილებელ რჩევას არ დაუჯერეს და ხელმეორედ წამოემართნენ საქართველოსკენ.

და ამჯერად ქართველები შ ა ლ ვ ა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი ს წინამძღოლობით გაეგებნენ მტრებს.

შეიბნენ.

ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი მაოხარი. მრავალი ყივჩაყი გაწყვიტეს, მრავალი ტყვედ აიყვანეს. თვითონ ყივჩაყთა ბელადმა სიკვდილს ძლივს გაასწრო და ქილქუნის ბანაკში შეიხიზნა და შეიკეტა. აქედან მან ქუშხარა განძელს კაცი მიუგზავნა, მასთან შეხვედრა და ქართველთა წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გასვლა ითხოვა. განძელმა უპასუხა: ჩემი რჩევა არ დაიჯერეთ და რაც დაგემართათ, თქვენს თავს დაბრალეთო. მაშინ ისევ განაახლეს ყივჩაყებმა მუსლიმან მოსახლეთა ძარცვა და აწიოკება. მუსლიმანებიც იარაღს მიეტანენ.

ისევ გამოჩნდა შალვა ახალციხელი, ქართულ მხედრობით.

ისევ დამარცხდნენ ყივჩაყნი და უკუიქცნენ ჩრდილოეთისაკენ.

კვალში ჩაუყენა შალვამ ქართველები და შარვანელები. აუარება ყივ-

ჩაყი გაწყვიტეს ან დაატყვევეს. შარვანისა და დარუბანდის ბაზრებზე ტყვე ყივჩაყი ჩალის ფასად იყიდებოდა.

1222 წლის სექტემბერში, ქართველთა ჯარი, ისევ შალვა ახალციხელის წინამძღოლობით, თავს დაეცა ქალაქ ბაილაყანს, რომელსაც საქართველოს ტახტისგან განდგომა განეზრახა. მუსლიმანები ქართველებს ყველაზე „კეთილ“ და „შემწყნარებელ“ მტრებად თვლიდნენ, რაკიღა გამარჯვების ჟამს მოსახლეობისგან მხოლოდ ხარკს ღებულობდნენ და ყოველგვარ სხვა ძარცვა-რბევისგან თავს იკავებდნენ.

მაგრამ ახლა უცნაური ის მომხდარა, რომ ქართველებმა ბაილაყანი კიდევაც აიღეს, კიდევაც გაძარცვეს და მოსახლეობაც სასტიკად ააწიოკეს. ქალაქშიც ძლიერი ციხიონი ჩააყენეს.

. . . . . .

1225 წელი შემოვიდა.

თურმე, საბედისწერო წელიწადი საქართველოს ისტორიისა.

რუსუდან მეფე ადრიან გაზაფხულზე ჯარს ამზადებდა ადარბადაგანის დასალაშქრავად და დასაპყრობად, მაგრამ სავსებით მოულოდნელად სრულიად ახალმა და საშიშმა მეტოქემ დაასწრო ადარბადაგანის დაპყრა.

ეს იყო ჯ ა ლ ა ლ ა დ - დ ი ნ ი.

იგი იყო ხვარაზმის შაჰის მუჰამედის ძე, მამაცი და თავზეხელაღებული თურქმანი. მონღოლებმა რომ მამამისი ხვარაზმ-შაჰი მოსპეს და მოინელეს, თვითონ ჯალალ ად-დინმა, მონღოლთაგან დევნილმა, ერთხანს ინდოეთს შეაფარა თავი, ხოლო, როცა მისი მღევარი, მონღოლთა დიდი მბრძანებელი ჩინგიზ ყაენი მონღოლეთს გაბრუნდა, ჯალალ ად-დინი ხვარაზმ-შაჰის ტიტულით ირანში გაჩნდა, აღმოსავლეთ ირანი სრულად დაიპყრო, იერთგულა, და აქეღან, კასპიის ამოვლით, ადარბადაგანისაკენ გამოემართა.

აქეთკენ ამხედრებულ ხვარაზმ-შაჰს დაწვრილებითი ცნობები ჰქონდა ქართველთა საუკუნოვანი უძლეველობისა და აზიაში პირველობის შესახებ. უეჭველად ესეც კარგად იცოდა მონღოლთაგან მწარედ მარცხნაჭამმა და მათგან ლტოლვილმა ჯალალმა — ქართველები აღმოჩდნენ პირველნი, რომელთაც თავიანთ ბექთარზე აისხლიტეს და ქართული „დავითფერულებით“ უკაქციეს აქამდე ყოვლისწამლეკავად აგორებული მონღოლური ტაიფუნი.

და ქართველთა სისხლი მოსწყურებოდა მონღოლთაგან ძლევით გულადულებულ თურქმანს.

მართლაც და, როგორ აღამაღლებდა მას, მონღოლთაგან ძლეულს, ძლევა მონღოლთა მძლეველებისა!

მოდიოდა ჯალალ ად-დინი; მოდიოდა და მოუწოდებდა ყველა მუსლიმანს „ცისქვეშეთში“ — იარაღი აიღეთ ქართველთა წინააღმდეგ „საღვთო ომშიო“. ზედიზედ შეუერთდნენ დასავლეთ ირანის ქალაქები. „ამ ჩვენთანავე ეყმო ქართველთაგან ზარდაცემული ადარბადაგანის — ათაბეგი უზბეგი. ამასთან, ჯალალმა იკონიისა (რუმის) და შამის სულტნებთან ელჩები აფრინა და შეუთვალა: მთელი ირანი და ადარბადაგანი ქართველების ბრჭყალებს გამოვგლიჯეო, ახლა თვითონ საქართველოსკენ მივეშურები და სისხლსა და ხანძარში უნდა ჩავახრჩო ეს ჩვენი, მუსლიმანთა დამანგრეველ-დამამცირებელი ქვეყანა; ხოლო, თქვენგან ოდენ კავშირი და მეგობრობა მწადიაო.

ტფილისშიდაც მოვიდა ჯალალის მოციქული — მოვიდა ომის ქადილით.

რუსუდან მეფის კარმაც ასეთი პასუხი გაატანა იმ ელჩს მის მეუფესთან: მამაშენი მუჰამედი შენზე ძლიერიც იყო, შენზე მამაციც, მაგრამ შენ უკეთ მოგეხსენება, რა დღე დამართეს მას და თქვენს ქვეშევრდომ ქვეყნებს თათარ-მონღოლთა; ახლა ისიც გეცოდინება: იგივე თათრები ჩვენც მოგვადგნენ, მაგრამ ჩვენ მათ სულ კუდით ქვა ვასროლინეთო.

ეს უპასუხეს და დინჯად, თვითდაჯერებით შეუდგნენ იარაღის ასხმას.

მაგრამ ვაი, რომ სიღინჯისთვის და გულდაჯერებისთვის დროც აღარ ყოფილა!

ელვასავით წამოვიდა ჯალალ ად-დინი.

200 000-მა მუსლიმმა მხედარმა გადმოლახა საქართველოს სამფლობელოთა საზღვარი მდინარე არაქსის ხეობაში. სომხეთს შემოიჭრნენ და ლვინის მისადგომებს მოენთნენ ცეცხლით და რკინით, „ხოცად და მოსრვად ქრისტეანეთა. ესრედ უწყალოდ მოსრვიდეს, რომელ არც თუ დედათა და ჩჩვილთა ყრმათა რიდებდეს“.

შეიყარა ჯარი ქართველთა, „ყრმათა იმერთა და ამერთა“.

რუსუდანმა სეფე-დროშა გადასცა მთავარსარდალს, ივანე მხარგრძელს.

უკვე სიბერე მორეოდა ივანეს; ფარულად მონაზვნობასაც შესდგომოდა. მეომრული „ილბალიც“ აღარ მოსდევდა ძველებურად. ეჭვი და შური ჩასცივებოდა ბებერი სარდლის გულს: ძალიან შორს გადაესწროთ მისთვის ახალციხელ ძმებს, გამორჩევით — მამაცთა შორის უმამაცესსა და უკეთილშობილეს შალვას.

ახლაც იქ დგანან ისინი, მეწინავე თორელთა და სამცხელთა წინ.

ისინი — ძმანი ახალციხელნი...

. . . . . .

1225 წლის აგვისტო.

სომხეთში, დვინის ჩრდილოეთით, ციხესიმაგრე გარნიზონ-ერევანში პირისპირ დამდგარან 200 000 მუსლიმანი და 60 000 ქართველი.

ქართველები მთაზე დაბანაკებულან, ხოლო ქვემოთ, ფართოდ გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გადაჭედილა.

საღამო ხანს მოსულან ორისავე მხრით.

წყვდიადიც ჩამოწვა და მთელი ღამე ორისავე მხრით ისმოდა ბრძოლისწინარე ნერვიული გნიასი და ყარყაში.

გათენდა.

ჯალალს საომრად განეწყო ჯარები. შუაკერძში მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დაეყენებინა, მარჯვენა კერძით — მშვილდმოისარნი, ხოლო მარცხენაზე — სულ მთლად ქვეითი ჯარნი, რომელთაც სარდლად უდგათ თვით ხვარაზმ-შაჰის ძმა ღიას ად-დინი.

ის დღეც სრულად ასე პირისპირ დგომაში გაატარეს მტრებმა. ორთავე მხარემ, ალბათ, იცოდა თავისი საომარი სადგომის უპირატესობა და ორივე ამიტომაც ერიდებოდა პირველ გამოსვლასა და შეტევას. მუსლიმანებს თავიანთი რიცხობრივი და ცხენოსან ძალთა უპირატესობის გამოყენება სწორედ იმ გაშლილ ველზე შეეძლოთ და არა იმ მაღალ მთაზე, სადაც ქართველები დაბანაკებულიყვნენ. ასევე ქართველთა სარდლობას სახიფათოდ უნდა მიეჩნია მთის დატოვება და იმ ფართო ველზე ჩასვლა, სადაც მას ურიცხვ მტერთაგან გარშემორტყმა და განადგურება ელოდებოდა.

ხოლო, როცა ის დღეც ისერიგად უქმსა და დამქანცველ მოლოდინში განესრულა, საღამო ჟამს ჯალალ ად-დინმა თავისი კარავი წინ, მთის ძირამდის გადააწევინა, თანაშემწე სარანგებს, ხანებსა და ემირებს უხმო და ბჭობა გამართა. როგორც ეტყობა, მტერს საქმის გაჭიანურება და იმ მთაზე დარჩენა გადუწყვეტიაო, ამიტომ ხვალ ჩვენ თვითონ გადავიდეთ შეტევაზე მთელის ძალებით, ხოლო, თუ ვინიცობაა, მტერმა იერიში დაგვასწრო, მაშინ ისრის მერეხით შევაკავოთო იგი, — ასე სთქვა და განაწესა ჯალალმა.

არ ჩანს, რას ფიქრობდა და რასა იქმოდა ამ დროს ქართველთა მთავარსარდალი...

გათენდა და იერიში ბრძანა ჯალალ ად-დინმა.

მარცხენა კერძი, ღიას ად-დინის წინამძღოლობით, მთისკენ დაიძრა. დანარჩენებიც მიჰყვნენ კვალდაკვალ.

ივანე მხარგრძელმაც უბრძანა მეწინავე ჯარს — თორ-ჯავახელებს — ჩაგებებოდნენ მტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორელებიც სწრაფად დაეშვნენ იარაღის ზრიალითა და ზათქით.

წინ შალვა და ივანე ახალციხელნი მიუძღოდნენ.

როცა მოიერიშე მტერს მიეჯრნენ, შალვამ მაშინვე ამირსპასალარს

შიკრიკიც აფრინა და შეუთვალა: მტერი უთვალავად და ულევად მოედინება, ჩვენ კი შეუდარებლად ვართ მცირენი — მხოლოდ ოთხი ათასნი, — ამიტომ გთხოვთ ისწრაფოთ და ჩამოგვეშველოთ მთავარი ძალებითო.

მაგრამ პასუხის დაცდა არც უფიქრიათ ახალციხელებს:

მათ „არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა“, და „ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს“.

„და იქმნეს ძლიერნი ომნი“.

ხოლო, ამირსპასალარ მხარგრძელისგან არც მაშველი ჯარი სჩანდა, არც შალვას შენათვალზე რამე პასუხი.

ხელმეორედ აფრინა ფაიქი შალვამ ამირსპასალარ-ათაბაგთან.

აფრინა და კვლავ შეუტია მტერს გულგამხეცებით.

„განგრძელდა ომი“.

ზემოდან თავგანწირული დაწოლით აკავებდა ერთი მუჭა ჯარი უწყვეტ ტალღებად ამომდინარე მუსლიმანთა ათასეულებს.

ისევ არ ჩანდა ივანე მხარგრძელისგან არც მაშველი ჯარი, არცრა პასუხად ბაიბური.

მესამედ აფრინა შიკრიკი შალვა ახალციხელმა.

თხელდებოდა ზღვარგადასული თავგანწირვით მორკენალ თორელთა რიგები.

ცხენები დაეხოცათ ორივე ძმას — შალვას და ივანეს.

ქვეითად განაგრძეს ბრძოლა, გავეშებით, სიკვდილთან გულუძვრელი წილყრით.

ისევ არ ჩანდა „გულმხეც“ მხარგრძელისაგან არც მაშველი ჯარი, არცრა პასუხი.

აღარც ახალციხელები ფიქრობდნენ მასზე. ფიქრისთვისაც აღარ ეცალა ბრძოლის ხანძრით დამწვარ გონებას. ისინი მხოლოდ მტრის ჩაბალახიან თავებს ჰხედავდნენ, და გაშმაგებით სცემდნენ მახვილებს „იმ ჩაბალახებს“; სცემდნენ და ეცემოდნენ, ცვივოდნენ „ჩაბალახები“, მაგრამ ისევ ჩნდებოდა ახალი, ჩნდებოდა და ამოდიოდა უთვალავი, ვითარცა თავები ზღაპრულ დევთა და ურჩხულთა გადაჩეხილი კისრებიდან.

ბრძოლა შენივთდა.

ხოლო, „ვითარცა შენივთდა ძლიერად ომი, ხრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა“.

შუაგადამსხვრეული ხმლებით იბრძოდნენ ახლა ახალციხელები.

ეცემოდნენ სისხლისაგან დაცლილი უკანასკნელნი თორელნი, ჯავახელნი, სამცხელნი.

ვინც გადაურჩა, მახლობელ კლდისკენ ივლტოდა თავშესაფარად.

ივანე ახალციხელმაც ველარ გაუძლო შემზარავ სასაკლაოსთან ტკენას და ისიც უკუიქცა გაქცეულთა კვალდაკვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უეცრად, მაინც და მაინც იმ წუთს, უზარმაზარი ქვალოდი მოსკდა და დაეშვა კლდიდან, ელვასავით დაქანდა, დაეტაკა და გაიტანა ივანე ახალციხელი, უსულოქმნილი.

ხოლო, შალვა იბრძოდა ისევ.

იბრძოდა, ვითარცა ჰერაკლე კენტავრებით გარშემორტყმული.

ბოლოს, ყოველის მხრიდან მიეშვნენ მუსლიმთა ანარჩევი გუნდები, „სიმრავლითა ფრიადითა“.

შალვას კი მხოლოდ ხმლის ვადა შერჩენოდა ხელში.

მითვე ვადითა მკერდი შეუნგრია უახლოეს თურქმანს, მერე ვადა ივი გადანატეხი შორს გასტყორცნა და უმალვე დაცემულ მტერს სისხლამონახეთქ მკერდზე დააფრინდა, პეშვით სისხლი აართვა და სახეზე შეიქცია.

ასე ინება გმირმა, რათა სახე მისი გაფითრებული არ ეხილა მტერს.

ასე სახეზე სისხლნაჩქერალი შეიპყრეს შალვა ახალციხელი — „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.

მიიწურა და მიიჟამა დღე ივი, ნაბოროტევი ქართველთა ზედა.

გარნისის ბრძოლა განესრულა — გარნისი — მარადიული სიმბოლო ქართველთა ზედა მარადიული წყევლისა და შეჩვენებისა.

4000 ქართველი იწვა ოთხჯერ უმეტეს მუსლიმთა შორის.

ივანე ათაბეგი-მხარგრძელი, ქართველთა მთავარი ძალებით, ხმლის დაუძვრელად გაშორდა საბედისწერო ბრძოლის ველს.

აწ საქართველოს მოღალატე მთავარსარდლისთვის მთავარი იყო დალუპვა მისი საძულველი ძმებისა — შალვა-ივანე ახალციხელთა..

. . . . . .

შალვა ახალციხელი წარუდგინეს აწ გამარჯვებით აღტაცებულ ხვარაზმ-შაჰს. იქ მდგარმა ყოველმა ადარბადაგანელმა და ნახჭევნელმა მუსლიმანმა იცნო მთელს წინა აზიაში სიმამაცით სწორუპოვარი ქართველი გმირი. კიდევაც მაშინვე დაწვრილებით აუწყეს შაჰს ვინაობა შალვასი. თუნდაც იმდღევანდელი გმირობა და ვაჟკაცობა კმაროდა შალვას გასაცნობად.

დიდხანს აღტაცებული მდუმარებით ათვალიერებდა ჯალალ ად-დინი უმშვენიერეს ვაჟკაცს. ჯერ ეს ჩაიფიქრა ჯალალმა:

„ადის ტომელს ჰგავს ეს ქართველი“ (ადის ტომი ყურანში იხსენიებოდა, ვითარცა უძლიერესი, უმამაცესი და ამპარტავანი ხალხი).

მერე ეს გაახსენდა შაჰს: შალვა ახალციხელი ხშირად ასე იტყოდა თურმე: ნეტავ ჩემ დროს ყოფილიყო და სადმე შემომყროდა ისლამიტთა

ყველაზე მამაცი ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბი და ვაჩვენებდი ჩემი მკლავის ძალასო, მის სახელგანთქმულ ზულ-ყაფარსაც („ხერხემლის მკვეთელი ხმალი") ჩემის ფოლადის ხმლით ჩალასავით მივულეწავდი და მის მონა-სპასაც ჩემს ცეცხლისმფრქვეველ შუბზე ავაგებდიო.

— მაშ, შენა ხარ შალვა ახალციხელი? — ჰკითხა ჯალალმა.

შალვას არაფერი უპასუხნია, არც შერხეულა. ან რა საჭირო იყო პასუხი, — ისედაც ხომ კარგად იცოდნენ ვინც იყო.

ავმა ღიმილმა დაუსერა ჯალალ ად-დინის სახე.

— სად არის შენი ვაჟკაცობა, შალვა ახალციხელო, სად არის შენი ხმალი, რომლითაც უნდა დაგემსხვრია ხალიფა ალის ღვთაებრივი ზულ-ყაფარი?

წამით თავის შუაგადამსხვრეული ხმალი გაახსენდა შალვას, მერე შაჰს თვალი თვალში გაუყარა და მძიმედ ამოიგმინა:

— ჰაი დედასა, რომ ყველაფერი შენმა ბედნიერმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა!

— ბედნიერმა ვარსკვლავმაო?!

ფიქრებმა ჩაითრიეს ჯალალ ად-დინი. მერე, როცა საფიქრალიდან გამოერკვა, ეს ბრძანა მკაცრად:

— პატივი მიეგოს შალვა ახალციხელს და სამმართველოდ „მიენიჭოს ქალაქნი ადარბადაგანისანი" — მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ.

მეორე დღეს ჯალალ ად-დინი ღვინისაკენ დაიძრა. იქაურ ყადის უბრძანა, მოსლიმანი მოსახლეობა ცალკე გამოეყო, ხოლო დანარჩენებს, ქრისტიანებს, მისდგა — ძარცვა და ჟლიტა.

აქედან ტფილისისკენ აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ თავრიზიდან (თავრეჟი) ამირა შერეფ ელმულკისაგან წერილი მოუვიდა, აქ შენს წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობაო. ჯალალი მაშინვე თავრიზს ჩავიდა, შეთქმულებაში ეჭვმიტანილნი ამოწყვიტა და ადარბადაგანი და ნახიჭევანი სასტიკად ააოხრა და ააწიოკა.

თავრიზში გამგზავრებამდე ჯალალმა გარნისის ბრძოლაში მარჯვენა ფრთის (მშვილდმოისარნი) მეთაურები დაიბარა და უბრძანა: იმ ბრძოლაში თქვენ თავი ვერ გამოიჩინეთ, ქართველთა შემოტევას კინაღამ გამოექეცით და თუ გინდათ ეს ლაჩრობა გაპატიოთ, სანამ მე თავრიზიდან დავბრუნდები, საქართველოს სამხრეთ სამფლობელოებში რბევა-წიოკობა გააჩაღეთ და ჩემს დაბრუნებამდე იქ ფეხი მაგრადაც მოიკიდეთო.

სანამ ჯალალის ამირები სომხურ და ქართულ ქრისტიანულ სოფელ-ქალაქებს არბევდნენ, მანამ მისმა სარდალმა ორხანმა საქართველოს განძაც წაართვა.

იმავე 1225 წლის დეკემბერში ჯალალ ად-დინმა ყველა წინასწარი

სამზადისი საკმარისად ჩასთვალა და უზარმაზარი მხედრობით თავრიზიდან ტფილისისაკენ დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე არაქსთან მცირე ხნით კარვები დასცეს.

და აქ მოულოდნელი ამბავი გამჟღავნდა: შალვა ახალციხელი თურმე წინასწარ წერილებს აგზავნიდა და თანამემამულეებს საქართველოში ხვარაზმა-შაჰის გალაშქრების გეგმებს ატყობინებდა. ეს წერილები ჯალალის მსტოვრებს ჩაეგდოთ ხელში და ახლა კარავში მიართვეს მბრძანებელს.

უსაზღვრო რისხვამ აიტანა ჯალალ ად-დინი.

მაშინვე შალვაც შემოიყვანეს მისი ბრძანებით.

გულის სიღრმემდე შეარყია დიდი მამულიშვილი ამ სამწუხარო გამჟღავნებამ.

რასაკვირველია, ეს არ იყო წუხილი და შიში სიკვდილის წინაშე, — ასეთ გრძნობას არც არასოდეს სცნობია გული შალვა ახალციხელისა.

არამედ — მისი წუხილი იყო წუხილი სამშობლო საქართველოზე, რომელსაც მან, ბედისწერის ულმობელი ჩარევის წყალობით, ბოლომდე ველარ გაუწია ღირსეული მამულიშვილის შესაფერისი სამსახური.

საქართველოზე ფიქრს დაეპყრო სრულიად გონება შალვა ახალციხელისა. ამიტომ მას თითქოს არც გაუგია სასიკვდილო განჩინება ავზნიანი მუსლიმი დროის გმირისა — ჯალალ ად-დინისა.

არც ის მოუსმენია, რომ მას მაინც პატიებასა და სიცოცხლეს აღუთქვამდნენ, უკეთუ ქრისტიანობას განაგდებდა და ისლამს აღიარებდა.

არ მოუსმენია, რადგან მისი სმენაც, მზერაც, ტვინიც, გულიც და სისხლიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოზე ფიქრით ავსებულიყო...

იქნებ, წამიერად შვილზე ფიქრმაც გაიელვა მის გონებაში — ყრმამან ფარადავლა ახალციხელმა:

„იმან მაინც..“

და ისევ საქართველოზე ფიქრმა აღავსო მისი გონება, მისი მზერა, მისი გული, მისი სისხლი, მისი ძვალ-ხორცი...

მდინარის პირას გაიყვანეს.

იდგა ტანასხლეტილი, ქანდაკადქცეული, საქართველოზე ფიქრით ავსებული...

ჯალათმა ორივე ხელით მოიქნია დრუნგილის ქვასავით მძიმე მახვილი...

აღარ იყო შალვა ახალციხელი...

ტფილისისკენ კი უთვალავი მუსლიმანური მხედრობა მიჰქროდა.

და ასეთ მტერს უკვე გარნისთან ნაღალატევი საქართველო ახალი, „ტფილისური ღალატით“ ელოდა.

ლაღად მიგელაობდა ჯალალ ად-დინი საქართველოს სატახტოსაკენ,

რაკილა იცოდა: იქ აღარავინ დახვდებოდა, ვითარცა შალვა ახალციხელი — „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“..

ისე ვითარცა მისი უმცროსი ძმა, ივანე, თვითონაც საქართველოსთან ახლოს, მაგრამ მაინც ქართული მიწის გარეთ აღესრულა და უცხო მიწადვე დამიწდა..

ხოლო მისმა ხალხმა საყვარელ გმირზე ეს მარადსახსოვარი ლექსი-სიმღერა შეთხზა:

შალვა ცხენს მოაგოგებდა
ვიწროსა და ავს ალაგსა,
შალვას ცხენი წამოექცა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
თავსა თურქი წამოადგა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
— დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჰკრა თურქმა, დასჭრა შალვა
თეძოსა და ავს ალაგსა...
დედას კაცი მოუვიდა:
„შენი შაელეგ მოვიკლესა“.
შალვას დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმასა:
-- ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა,
თუ არ იყო ბედის წერა,
ას-ორასი მაგისთანა
სორასნიდან ტყვე მოჰყვანდა, --
არცა თოფო, არცა ხმალო,
სულ მათრახით გაღმოჰყვანდა!
— შალვავ, შენი ყაწიმები
როგორ შემიყვარებია!
შავლეგ შენი თეთრი ჩოხა
შავად შეგიხამებია...

• • • • •

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
გულს ერჭვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა.
თავის თავს არა სჯაერობდა,
თავის სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა...

დაუდ — ხან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1539 წელს.

დ ა ვ ი თ — შუათანა ძე ქართლის მეფე ლუარსაბ პირველისა.

წინ უფროსი ძმა უძღოდა, სახელად — სვიმონ.

ხოლო, მოსდევდა სულ უმცროსი — ვახტანგ.

და, ყრმობითვე, თურმე, შუათანა ძეს ეს უკარგავდა მოსვენებას — უფროსი ძმა, უფროსობით და პირმშოობით, ტახტს რომ „ართმევდა".

. . . . . .

1556 წელს, ირანის ხელმწიფემ, თამაზ შაჰმა, ქართლის დასარბევად დიდძალი ყიზილბაშური მხედრობა გამოგზავნა, ვანჯა-ყარაბალის ბეგ-ლარბეგ შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლის წინამძღოლობით.

ლუარსაბ მეფემაც შემოიყარა ქართველთა ჯარი და გაქუსლა მტერთან შესახვედრად. მდინარე ქციაზე (ხრამზე) გადავიდა და ბანაკი დასცა.

მტრის გამოჩენამდე მეფემ სათათბიროდ შეჰყარა ჯარის მეთაურები და უახლოესი თანამებრძოლნი, საერონი და სამღვდელონი, მათ შორის მისი სამივე ვაჟი — სვიმონი, დავითი და ვახტანგი. აქვე იყო კათალიკოსი ზებედე.

თათბირი დაიწყო და ქართველებმა პირველად იგრძნეს, რომ მათი გმირი ხელმწიფე სავსებით დაბერებულიყო და მისი „სიცოცხლის ზომას" ყავლი გასვლოდა. მაშ, სხვა რა უნდა ეფიქრათ, როცა ლუარსაბ მეფე, სწორუპოვარი რაინდი და ზორავარი, მტერთან შეტაკების მოლოდინში თანამებრძოლებს, როგორც სჩვეოდა, საომარ განაზრახს კი არ აცნობდა, არამედ... სიზმარს უამბობდა, დიახ, იმ ღამით ნახულ ძილისშორისს:

„სიზმარი ვნახე, მართალი და ჭეშმარიტად დასაჯერისი, რომ უსაცილოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშნი გაიქცევიან... ხოლო მე ამ ომში მომკლავენ და ჩემს მკვლელსაც ქართველები მოჰკლავენ".

სანამ მსმენელნი გაოგნებას თავს დააღწევდნენ, ლუარსაბმა უფროსი ძე, ცხრამეტი წლის სვიმონი წინ გამოიხმო, დანარჩენებს მიუბრუნდა და ისევ წყნარად და შეუვალი ბრძანებით ბრძანა:

„ამიერიდან ეს გეყოლებათ ხელმწიფედ, ჩემი ძე სვიმონი, ღირსი ხელმწიფობისა!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაშინვე დანარჩენ ორ უფლისწულს მიუბრუნდა:

„ახლავ ეახელით თქვენს უფროს ძმას, დაემორჩილენით, შეეფიცეთ და უერთგულეთ, ვითარცა მეფეს!“

მიეჯრა უმცროსი უფლისწული ვახტანგი სვიმონს, მის წინაშე დაეხმო და დაუკოცნა ფეხები.

დავითი კი აგვიანებდა.

ლუარსაბმა რისხვეულად მიაპყრო თვალი შუათანა ძეს.

გამოვიდა დავითი ფეხარეული; სახე მოქცეოდა და გაფითრებოდა. ძლივს მოიყარა მუხლი.

მამის ძლიერმა თვალმა კვლავ აიძულა დამხობილიყო და ბაგით შეხებოდა გახელმწიფებული ძმის ფეხებს.

. . . . . .

ბრძოლა მოხდა სოფელ გარისთან, 1556 წელს.

ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

ბრძოლის მთავარი გმირი იყო თვითონ მთავარსარდალი, ჭაბუკი სვიმონ.

გმირის სიკვდილით დაილუპა თვითონ მხცოვანი მეფე ლუარსაბ.

იმ დღეს ყველა ქართველი იყო გმირი.

ოღონდ, დავით ბატონიშვილის არცა გმირობა, არცა ხელის ძვრა, თვალის მოკვრითაც არვის უნახავს..

ქართლის ტახტზე კი უკვე იჯდა სვიმონ პირველი.

იგი მცხეთაში ეკურთხა მეფედ, ტახტიც იქვე დაედგა, რაკიღა ტფილისი ირანელ ყიზილბაშებს დაეპყროთ, აგერ თხუთმეტი წელიწადი.

მამის ორეული იყო სვიმონი, მამასაებრ გულმხურვალე მამულიშვილი, ნიჭიერი მხედართმთავარი და მხედარი შემმართებელი.

მამასაებრ „ცხენოსან-ცეროსანი“.

მამასაებრ „ომში კოხტა და უშიშარი“.

ხოლო, ძმა მისი, დავით ბატონიშვილი — უკვე ჩამოყალიბებულიყო, ვითარცა „კაცი „ულმრთო“, უზომო ჭამა-სმის მოტრფიალე, „მეძავი და მემრუშე“, კაცი, „რომლისა გულსა არარა იყო ზრუნვა სულისა და ქვეყნისა“. სძულდა მამა-მშობელი, სძულდა ძმები, მეტადრე სვიმონი.

მაგრამ ყველაზე უარესი ის ყოფილა, რომ უსაზღვროდ სძულებია მშობელი საქართველო.

როგორც ეტყობა, არავის უფიქრია, რომ ამ „ხორცთმოყვარე და მეძავ-განმცხრომელი“ ბატონიშვილის ბოროტება ესოდენ შორს წავიდოდა.

თურმე დავითი ქვემო ქართლის თავადებთან, უპირველესად ბარათაშვილებთან ერთად, რაღაც საიდუმლო ხვანჯებს ხლართავდა.

მას კარგად უსარგებლია ქვემო ქართლის მესვეურთა გულგატეხილობით, რაიც ყიზილბაშთა უთავეამო შემოსევებსა და აოხრებათა წვეულებას გამოუწვევია საქართველოს ამ კუთხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, 1562 წელს დავით ბატონიშვილი ქვემო ქართლის თავადთა თანხლებით საქართველოდან ყაზვინში გაიქცა და შაჰ თამაზს მუხლებში ჩაუვარდა.

უსაზღვრო სიხარულით აღივსო შაჰი. ნებაყოფილობითი მონობისთვის მოსულ ქართველ უფლისწულს წინ ბეგლარბეგები, ხანები და ამირები შეაგება, მერე პირადად შეხვდა და მკერდში „მამაშვილურად" ჩაიკონა. ქართველთა პატივსაცემად მაშინვე საგანგებო მეჯლისიც გამართა. დავით ბატონიშვილს თვითონ შაჰის გვერდით, „ვითარცა ხელმწიფეს", ხალიჩები და დორები დაუფინეს და დააბრძანეს. მისი თანმხლები ბარათაშვილებიც ცალკეულად ირანელ წარჩინებულთა შორის ჩაალაგეს.

რამდენიმე დღის შემდეგ დავითმა წინა დაიცვითა, „ჰგმო ღმერთი და გათათრდა".

„და უწოდეს სახელი დ ა უ დ - ხ ა ნ".

მიიღო რაყამი, რომელშიც შაჰი მას „თავის ძედ" იხსენიებდა.

შაჰმა „თავის ქართველ ძეს" მისცა „ორი ათასი თუმანი ოქრო, სალათად კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქროქსოვილნი", ყიზილბაშური თორმეტნაკეციანი თაჯი, ზედაც ძვირფასად მოსევადებული ხმალ-ხანჯალი, „საბუხარი მარგალიტისა და ცხენი აღკაზმული ოქროთი, ყოველნი მოოჭვილნი თვლებითა, სურა და თასი ოქროსი".

დაუდ-ხანის მხლებელ თავადებსაც წინა დაუცვითეს და „დაათათრეს", ყველას „ხალათი, სახარჯო, ცხენი და იარაღი გაუკეთეს და უბოძეს".

საერთოდ ყველაფერი, „რაც ბატონ-ყმათ მიეცა, სრულ ცხრაათასის თუმნისა იყო".

ბოლოს, რაც მთავარია, და რისთვისაც ბოროტ უფლისწულს ხელი აეღო ყველაფერზე, რასაც კი ამქვეყნად „მშობლიური" ერქვა — შაჰ თამაზმა „ახლადშეძენილ ძეს" მისცა თავისი ყიზილბაშური მხედრობა.

მისცა და საქართველოსკენ გამოისტუმრა.

თანამდგომად და ხელშემწედ, სვიმონისგან გარისის ბრძოლაში განადგურებული ყარაბაღის ბეგლარბეგი შაჰვერდ სულთანი გამოატანა.

დაუდ-ხანს სამმართველოდ ტფილისი და ქვემო ქართლი უნდა ჩაებარებინა, ვითარცა „პირველი სახანო" სეფევიდ-ყიზილბაშთა ირანულ მონარქიაში.

. . . . . .

ეს მერამდენედ მოჰქროდა ირანული ურდო საქართველოს ასაოხრებ-ლად!

ბოლო, პირველად მოუძღოდა მტრის ჯარებს ქართველი კაცი საქართველოს ამოსაგდებად.

ამნაირი „პირველი ქართველი“ იყო: ერთ დროს ქრისტიანი დავით ბატონიშვილი, ახლა მუსლიმი, წინდაცვეთილი, წითელი და თორმეტნაკეციანი თავსარქმელით მოკაზმული „ყიზილბაში“ დაუდ-ხან.

ერთ დროს ძე დიდი ლუარსაბ მეფისა, ახლა — „ძე შაჰ თამაზისა“, შაჰის „ფეხთა მტვერის კოცნით გაბედნიერებული და ისლამის დიდებით შემოსილი“ განდგომილი.

გამტყდარიყო ციხე შიგნიდან.

რაკი დაიწყო, რაკი ნავსი გატყდა — კვლავაც გამოუჩნდებიან მიმდევრები ამ უსულგულო და უსირცხვილო რენეგატს...

მოჰქროდა ტფილისისკენ დაუდ-ხან, ვითარცა გულბოროტი კორიოლანუსი, უცხოელთა ლეგიონებით მშობლიური რომის დასაპყრობად და დასამხობად ამხედრებული...

დაუდ-ხანი პირველი რენეგატი უფლისწული იყო, ქართული სამეფო სახლეულიდან სპარსეთის კარზე რომ გაიქცა საქართველოს ტახტისა და გვირგვინის საშოვნელად.

ამიერიდან სამასი წლის მანძილზე ქართული სამეფო ინსიგნიების ძიებაში დაუდ-ხანის მსგავსად ხელმოცარული უფლისწულები, მხარგრძელთა მინაგვარი ფეოდალი ვიგინდარები, თანამოძმეთაგან ქინძისთავის ჩხვლეტით „ნაწყენი“ სულმოკლე შარლატანები, ფუფუნების, მრუშობის, „გათრიაქებისა“ და სოდომიტური გახრწნილობის მოტრფიალე ლაყეთავიანები — ყველანი სპარსეთს გაიქცევიან.

შაჰის ფერხთა ქვეშ განერთხმიან.

ქრისტიანულ „შეშისმსახურებას“ მიაფურთხებენ.

მაჰმადიანური წესით წინა-დაიცვეთენ.

ქართულ ენას დაითრგუნავენ.

სპარსულ და თურქულ ენებს „გაიმშობლიურებენ“.

ქართულ ღვთაებრივ ცეკვა-სიმღერას დაივიწყებენ.

გულის გამაწვრილებელ ბაიათსა და თეძოების მრუშ მიმოტანას „აითვისებენ“.

და ყველაფერი იმით თავდება, რომ ქართველი კაცი უკვე „გათათრებულია“!

სწორედ ეს „ქართველი თათრები“ იქნებიან სამასი წლის მანძილზე ირანელ მბრძანებელთა პირველხარისხოვანი „კადრები“, სპარსული ჯა-

რებით ჟამიდან ჟამზე საქართველოსაც რომ მოადგებიან და... თავის „ყოფილ სამშობლოსაც“ ისე „მოუვლიან“, ვინძლო ეს საოცრად ჯიუტი, ეშმაკის ცხენზე შემჯდარი ქართველი ხალხიც, მის „რჩეულ შვილთა“ მსგავსად, „გონს მოიყვანონ“ და „გაათათრონ“!..

. . . . . .

ირანში წასვლისას დავით ბატონიშვილმა თან წაიყვანა თავისი ხარჭა, წავკისელი გლეხის ქალი, რომლისგანაც მას შეეძინა ძე, ქაიხოსრო, ანუ სპარსულად ხოსრო-მირზად სახელდებული.

ახლა, საქართველოში წამოსვლისას, დაუდ-ხანმა ხარჭაც და ნახარჭალიც ირანში დატოვა.

მომავალში ხოსრო-მირზა იტყვის თავის სათქმელს — ირანშიც და საქართველოშიც.

. . . . . .

მაშ, 1562 წელს დაუდ-ხანი ყიზილბაშური ათასეულებით ტფილისს მოვიდა და შიგ შეიბუდრა.

ჯერ საქართველოს სატახტოსა და ქვემო ქართლის მპყრობელობას უნდა დასჯერებოდა. იმედი ჰქონდა, რომ მალე სვიმონს დანარჩენ ქართლსაც წაართმევდა და ალბათ, ბოლოს და ბოლოს, „ყოველი საქართველოს“ პატრონიც გახდებოდა, ნებითა ალლაჰისა და შაჰინშაჰისა!

მაგრამ გაალმასებით წამოემართა სვიმონ მეფე, ჯერ ქვემო ქართლის მოღალატე თავადებს მიუსტა და შავი ღღე გაუთენა. მერე დიღომს მივიდა, დაიბანაკა და ტფილისის გათავისუფლების სამზადისს შეუდგა.

დაუდ-ხანმა შეჰყარა ყიზილბაშთა მხედრობა, ტფილისელებიც ლაშქრად გაირეკა, სვიმონისგან დაწიოკებული ქვემო ქართლელი თავად-აზნაურობაც მოირთო და თვითონაც დიღომისკენ გაემართა.

ბრძოლა გახურდა სასტიკი და დაუნდობელი — 1567 წელს.

სვიმონ მეფეს დაეღუპა „მცირედნი რამე“.

ხოლო „დაუდ-ხანისა მოსწყდეს ორი ათასნი“.

დაუდ-ხანი პირველი გაექცა შეტევაზე გადმოსულ გაცეცხლებულ ძმას. ყიზილბაშებიც ჭენებით მიჰყვნენ და ძლივს შეასწრეს ქალაქის კარიბჭეში.

რამდენიმე დღეს ერთმანეთს ზვერავდნენ მოპირდაპირენი: გამარჯვებულნი — ქალაქის გარედან, დამარცხებულნი — ქალაქის შიგნიდან.

დაუდ-ხანი ჯერხნობით ვერ ბედავდა შურისმგებელ ძმასთან ხმლის ჯვარედინით გასვლას.

მის ბანაკში ერთი ყიზილბაში სარდალი იყო, ყარამანლუს ხანი, სა-

ხელად — იბრაჰიმ-ხალიფე, კაცი ამპარტავანი, რომელიც „სამარტოდ სახელს ეპებდა“. ერთ დღეს მან დაუდ-ხანს არ დაუჯერა, თავისი ჯარით ქალაქიდან გამოიჭრა და სვიმონ მეფეს შეება „ძალმიცემით ქართველნი მომეტებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგანწირულ ჩხეტვაში და ცხენთა ძგერებაში სვიმონი იბრაჰიმ-ხალიფეს მიუხდა და ირმიკულად მოქნეული ხმლით ალემედად (მხარიღლივ) გადაჰკვეთა.

სარდლის სიკვდილით ,ზარდაცემული ყიზილბაშები დაფრთხნენ და ბრძოლას ზურგი აქციეს.

ქართველები გამოედევნენ და ისე გაწყვიტეს, მოამბეც კი არ გაუშვიათ.

დაუდ-ხანმა ტფილის-დიღომთან დატრიალებული ამბები თამაზ შაჰს მისწერა და სვიმონ მეფის გასანადგურებლად ახალი საომარი ძალები სთხოვა.

შაჰ თამაზმაც „თავისი გურჯი ძის“ მუდარა ისევ შეიწყნარა და ყარამანლუს ახალ ბეგლარბეგს, ჰასან-ბეგს ბრძანება გაუგზავნა, სასწრაფოდ ლაშქარი შემოიყარე და დაუდ-ხანს მიეშველეო.

მართლაც ჰასან-ბეგი ტფილისს მივიდა „დიდის ლაშქრით“. დაუდ-ხანიც თავისი ყიზილბაშურ-ქართული ჯარებით გამოეგება და შეერთებული ძალებით გაქუსლეს დიღმისკენ, სადაც ისევ ბანაკად დამდგარიყო სვიმონ მეფე თავისი ქართლელებით.

ეს ბრძოლაც იმავე 1567 წელს მოხდა, ისევ დიღმის ველზე.

გახურდა ომი, სასტიკი, ფიცხელი და სისხლდამღინარი.

ისევ საარაკო სიმკვირცხლით იბრძოდა სვიმონ მეფე.

ქართველებმა ისევ დაიჯაბნეს რიცხვმრავალი მოპირდაპირე.

„და მოისრნეს სპანი მეფისა სიმონისნი მცირედნი რამე, ხოლო დაუთ-ხანისა ქართველებმა მოსწყვიდნეს ორი წილი“.

ისევ დაიფრინეს მტერი ქართველებმა. ძლივს შეასწრეს ტფილისის გალავანში დაუდ-ხანმა და მისმა თანამდგომმა ყიზილბაშმა სარდლებმა. ბევრი „წითელთავა“ ქალაქში შეღწევამდე დაეცა ქართული ხმლით შუაგაჩეხილი.

სვიმონ მეფე ტფილისის კარიბჭესთან დადგა და ქალაქის მოსახლეობას სატახტოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში მოუწოდა. ერთ ხანს უცადა პასუხს; მერე შეიტყო, რომ ტფილისელები ყიზილბაშებისა და თამაზ შაჰის შიშით ვერა ბედავდნენ მათ დასახსნელად თავდადებული მეფის მხარეზე გადასვლას.

მეფე მაინც არ აპირებდა ტფილისის კედლებიდან წასვლას.

ამჯერად დაუდ-ხანმა შაჰის ამირსპასალარს, ჰუსეინ-ბეგს სთხოვა შემწეობა.

ჰუსეინ-ბეგსაც ადრევე ჰქონოდა მიღებული შაჰის ბრძანება, — საჭიროების შემთხვევაში დაუდ-ხანს მიეშველეო უცილობლად, ამიტომ დაუდ-ხანის თხოვნისთანავე წამოემართა საქართველოსკენ, „ცეცხვითა“.

სვიმონ მეფე მაშინ ტაბახმელას მდგარიყო და ვერ შეუტყვია, როგორ შესულა ყიზილბაშთა ახალი მხედრობა ღამით, წყვდიადით მოცულ ქალაქში.

სვიმონიც ტაბახმელადან აიყარა და სამადლოს დადგა.

ახალი საომარი ძალებით გამძლავრებული და „განლაღებული“ დაუდ-ხანი სასწრაფოდ „განვიდა ციხით და მივიდა სამადლოს“.

და მოხდა ბრძოლა სამადლოს, 1568 წელს.

ისევ მიაშურეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს ძმებმა — მამულისთვის თავდადებულმა და მამულისთვის მოსისხლედ ქცეულმა.

ისევ სწორუპოვარი იყო მეფე ქართველთა.

„მაშინ განლომნეს მეფე სვიმონ და სპანი ქართველთანი“.

დაიფრინეს ირანელები, „კუალად წარიქციეს დაუდ-ხანი, და ყიზილბაშნი მრავალნი ამოსწყვიდნეს და უმრავლესნი დაიპყრეს და ღევნა უყვეს“.

მცირეთა თანხლებით შეასწრეს დაუდ-ხანმა და ჰუსეინ-ბეგმა ტფილისის ციხეში.

დაუდ-ხანს ისღა დარჩენოდა, გაბედულება მოეკრიბა და ისევ შაჰ თამაზისთვის ეთხოვა შემწეობა.

შაჰ თამაზსაც „მეორე გურჯი ძე“ ჯერჯერობით არ „შესძენოდა“ და იძულებული იყო ისევ უნიჭო ღა გულჩუკენი დაუდ-ხანის თხოვნა აღესრულებინა.

შაჰმა „დიდებული ფირმანი“ გაუგზავნა მონაპირე ბეგლარბეგებს, — მთელი საომარი ძალებით თავი მოეყარათა დაუდ-ხანის მისაშველებლად და სვიმონ მეფის გასანადგურებლად.

უზარმაზარმა თურქმანულ-ყიზილბაშურმა ურდომ მოიყარა თავი განძაში.

განძიდან მეგზურად ვიღაც კახაბერ ყორღანაშვილი წამოუძღვა საქართველოსკენ დაძრულ მტრის მეწყერს.

ბრძოლა მოხდა ფარცხისთან, ალგეთის ხეობაში, 1569 წელს.

ქართველებმა ბრძოლა წააგეს. კვლავ ყორღანაშვილის ღალატის წყალობით, თვითონ სვიმონ მეფე ყიზილბაშებმა ტყვედ აიყვანეს.

ჯერ ტფილისს მიიყვანეს ტყვე მეფე.

აღტაცებულმა დაუდ-ხანმა ვერ გაბედა ბორკილდადებულ ძმასთან შეხვედრა.

მეორე დღეს, გათენებამდე, სვიმონ მეფე ირანის გზას გაუყენეს.

შაჰ თამაზმა „ტკბილი თავაზიანობით“ მიიღო სვიმონი, „ლიდან პატივ-სცა და მისცა საბოძვარი მრავალი“. ტყვეობიდან გათავისუფლებასაც შეპპირდა და ქართლის ტახტის დაბრუნებასაც, ოღონდ... [illegible] სულ „მცირე რაიმეს“ შესრულება მოსთხოვა სამაგიეროდ: სჯულის შეცვლა, ანუ განტევება ქრისტიანობისა და აღიარება ისლამისა. მაშასადამე: უარყოფა ქართველობისა და აღიარება „თათრობისა“.

და სვიმონ მეფემ ცივი უარი სთქვა „გათათრებაზე“.

გაცოფებულმა შაჰმა სვიმონი ალამუთის განთქმულ ციხეში ჩააგდო ბორკილდასხმული.

და ქართლის მეფედ შაჰ თამაზმა დაუდ-ხანი გამოაცხადა.

ათი წელიწადი (1569—1578) ერქვა დაუდ-ხანს „მეფე“ მისგანვე გაყიდული და ნაღალატევი ქართლისა — ანუ მეფე დავით XI.

მაგრამ მხოლოდ ერქვა: ტფილისისა და საბარათიანოს გარდა ქართლის არცერთი კუთხე არ სცნობდა მოღალატის მბრძანებლობას. ეგ იყო და ეგ: ტფილისსა და დმანისს შორის დაეთრეოდა მუცელოხრობასა და მრუშობას თავმიცემული რენეგატი.

ქართველი მამულიშვილები კი ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეყნისა და სვიმონ მეფის მოღალატეებს, სადაც კი მოახელებდნენ, უწყალოდ ჟლეტდნენ.

მოღალატე ყორღანაშვილი ქართლის სპასპეტმა საჩინო ბარათაშვილმა გადასჩეხა გელიყარის კლდეზე. „ყორღან-ოღლი ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“, — მღეროდნენ ხალხში.

იმჟამად დაიბადა ეს მარადისი სიმღერაც:

„კიდეეაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შესჯამონ მტრისანი!“

. . . . . .

1578 წელს ომი განახლდა ირანსა და თურქეთს შორის — განახლდა და მთავარი საომარი საქართველოს დაუფლება იყო. უფრო ადრე, 1555 წელს, ზავი დადებულიყო, რომლის ძალით საქართველო შუაზე გაეყოთ საბატონოდ — დასავლეთ საქართველო — თურქეთს, აღმოსავლეთ საქართველო — ირანს.

„ახლა კი დაწყებულიყო „მეორე ირანულ-ოსმალური ომი“.

ირანში მაშინ ხელმწიფობდა შაჰი ხუდაბენდე, ოსმალეთში კი — სულთანი მურად III.

მურად სულთანმა თავისი ჯარების მთავარსარდალ-სერასქერად ლალა მუსტაფა ფაშა დანიშნა და სრულის ძალებით საქართველოსკენ გამო-

უშვა. 1578 წლის 9 აგვისტოს ლალა ფაშამ ჩილდირის ველზე გამარ-
თულ დიდ ბრძოლაში ირანელები გაანადგურა, მესხეთი დაიპყრო, ქართ-
ლში შემოიჭრა და ტფილისისკენ წარემართა; წინასწარ დაუდ-ხანს
წერილი გაუგზავნა და უბრძოლველად მორჩილება მოითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდ-ხანმა წერილი უპასუხოდ დასტოვა. მცირე ფიქრის შემდეგ,
ტფილისი ხანძარს მისცა, თვითონ ლორეს გაიქცა და იქაურ სამალავებში
გაუჩინარდა.

24 აგვისტოს თურქთა მხედრობა საქართველოს დამწვარსა და და-
ცარიელებულ სატახტოში შევიდა.

ლალა სერასქერმა ტფილისი ოსმალეთის საბეგლარბეგო-საფაშოდ
გამოაცხადა და მის მმართველად კარის (ყარსის) ბეგლარბეგი მეჰმედ
ფაშა გადმოიყვანა.

ტფილისის ამბები რომ შეიტყვეს, ირანის შაჰის კარზეც მიხვდნენ,
რომ დაუდ-ხანი მარტო ქართველებისთვის კი არა, ირანელებისთვისაც
„ნამდვილი ნაგავი" ბრძანებულა.

ბოლოს და ბოლოს, ყველა დარწმუნდა, მტერიც და მოყვარეც, რომ
ერთადერთი კაცი, ვისაც საკუთარი გონებისა და მკლავის ძალით თურქ-
ოსმალთა კლანჭებიდან ქართლის დახსნა შეეძლო, იყო ისევ და ისევ
სვიმონ მეფე.

და, ათი წლის ტყვეობის შემდეგ, შაჰი ხუდაბენდეს ბრძანებით, გა-
მოუშვეს სვიმონი ქართლის მეფედ და, რაც მთავარია, იქიდან ოსმალთა
გასაძევებლად.

და კვლავ განახლდა სვიმონ მეფის გმირობანი საარაკონი. იგი ზედი-
ზედ ამარცხებდა და ერეკებოდა ქართული მიწებიდან ოსმალ დამპყრო-
ბელთ.

ხოლო, ამასობაში დაუდ-ხანი კახეთს აფარებდა თავს (კახეთის მეფე
ალექსანდრე მეორეს მტრობა ჰქონდა სვიმონ ქართლის მეფესთან).

მერე, ერთ ღამეს კახეთიდანაც გაიპარა დაუდ-ხანი და ისევ ქვემო
ქართლს, დმანისის სამალავებში გაუჩინარდა.

1584 წელი იდგა. ქვემო ქართლში ოსმალეთის ახალი სერასქერი შე-
მოდიოდა, ახალი ოსმალური არმიით, სახელად ფერად ფაშა.

და სწორედ ფერად ფაშას ეახლა დაუდ-ხანი, მუსლებში ჩაუვარდა,
სულთან მურად მესამის ხოტბა აღავლინა, ალლაჰის სახელით მოიღოცა
და სთქვა:

„მე ვარ საქართველოს გასაღები და მაღალი ალლაჰის წყალობით,
ქართველთა ქვეყნის დაპყრობა და დამორჩილება მხოლოდ ჩემი საშუა-
ლებით არის შესაძლებელიო!"

ძალიან გაიხარა ფერად ფაშამ. მართლაც კარგად შეიძლებოდა სა-
ქართველოს წინააღმდეგ საქართველოს მოღალატის გამოყენება.

„არასოდეს ფადიშაჰი შენს ერთგულებას და სამსახურს უყურადღებოდ არ დატოვებსო“, დააიმედა მან დაუდ-ხანი.

მეორე დღეს ფერად ფაშამ 20000 ოსმალო მეომარი აარჩია, რიგულ სარდალს, რეზვან ფაშას ჩააბარა და თბილისისკენ გამოისტუმრა.

საქართველოს სატახტოსკენ მომავალ მტერს მოუძღოდა „საქართველოს გასაღები“ — დაუდ-ხანი.

დაუხვდა სვიმონ მეფე მტერს, ალგეთის ხეობაში, ხატისსოფელთან, და ისე ასწყვიტა, მოამბეც აღარ გაუშვია.

დაუდ-ხანი კი გაპარვა-დამალვის ოსტატი იყო და „იოსტატა“ კიდეც.

სამი წელიწადი კიდევ ემსახურა ოსმალებს დაუდ-ხანი — თუ მეგზურად, თუ დამსმენად, დამბეზღებლად...

ბოლოს, 1587 წელს, გადაწყვიტა სტამბულში წასულიყო და ამით საბოლოოდ ამოეკვეთა ფეხი საქართველოდან.

ხოლო, მისმა ძმამ, ბაგრატმა, ოსმალობას ყიზილბაშობა არჩია და ირანს წავიდა „დასაწინაურებლად“.

დაუდ-ხანი მარტოდ წავიდა სტამბულს.

ხონთქარის ბრძანებით მას „დიდი პატივი მიაპყრეს, ორი საფაშო სარჩოდ ვაუჩინეს და თვითან კარზე შეინახეს“.

სხვა რაღა უნდოდა სხვისი ხელის შემყურე თახსირს, სამშობლოს გამყიდველს, ხარბსა და მუცელოხერს.

ეჯდა, ჭამდა, სვამდა, ინელებდა, იძინებდა, იღვიძებდა და ყველაფერი ისევ თავიდან...

ასე მისდევდა დღეები დღეებს, თვეები თვეებს, წლები წლებს.

მერე ერთი „გასართობი“ მაინც მოიძია უსაქმურობით მძორდამძიმებულმა მუქთახორამ: დაჯდა და არაბული სააქიმო კარაბაღინების კითხვასა და გადმოქართულებას შეუდგა... და, ასე გაჩნდა — „იადიგარ დაუდი“...

ბოლოს, ისიც მოკვდა, ეითარცა ყოველი...

და დამიწდა იქვე, უცხო მიწაში.

უნდილაძენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბადებით იგი — უფროსი უნდილაძე, სახელად ალავერდიხან — დაახლოებით შაჰ აბასის კბილა უნდა ყოფილიყო.

შაჰ აბასი კი 1571 წელს დაიბადა.

შემდგომი მათი ცხოვრების ერთიანობა შეიძლება იმასაც მიგვანიშნებდეს, რომ სპარსულ ტყვეობაში დაბადებულმა ქართველმა და სპარსეთის მომავალმა დიდმა ხელმწიფემ ბავშვობა და ყრმობაც ერთად გაატარეს, იქნებ ყრმობითვე ერთმანეთს „ექართულებოდნენ“ კიდეც.

ეს „ქართული კიბე“ ასეთი იყო:

შაჰ თამაზს ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა, მესხი დიდაზნაურის ოთარ შალიკაშვილის ასული; ამათგან დაიბადა შაჰი მუჰამედ ხუდაბენდე, ხოლო ხუდაბენდესგან — აბას-მირზა, მომავალი შაჰ აბას, რომელმაც, ენა სწორედ ბებიამისის, იმ შალიკაშვილის ქალის კალთაში ამოიდგა.

ირანის ტახტზე კი 1587 წელს ავიდა იგი — შაჰ აბას პირველი, დიდი ხელმწიფე, „ირანის ლომი“, „ალლაჰის ჩრდილი“, ბადალი ლეგენდარული კიროსისა, სპარსეთის სახელმწიფოს ოდინდელი დამაარსებლისა.

გამეფებისას იყო 16 წლისა.

მიიღო უმძიმესი მემკვიდრეობა.

ამიერკავკასია მთლიანად და ჩრდილოეთ ირანის დიდი ნაწილიც წაერთმია ოსმალეთის ფადიშაჰს სპარსული ტახტისთვის.

აღმოსავლეთიდან ოზბეგები უტევდნენ და უკვე ხორასანიც ჩამოეგლიჯათ ირანისათვის.

სწორედ ოზბეგებთან შეტაკებით დაიწყო ხელმწიფობა ჭაბუკმა აბასმა.

თვითონ უსარდლა ყიზილბაშთა ლაშქარს.

გვერდით, „მარჯვენა ხელად“, მაინც ქართველი დაიყენა.

ეს იყო მესხი თვალშვენიერი ჯაყელი, სამცხის ათაბაგის, მანუჩარის ძმა.

სამჯერ შეებნენ ყიზილბაშები ოზბეგებს.

სამჯერვე თვალშვენიერი წარუძღვა ლაშქარს შაჰ აბასის ბრძანებით.

„სამჯერვე გაემარჯვა“ თვალშვენიერს, ოზბეგები „კიდეც დახოცნა, ხელთაც დაიჭირნა და ყაენს მიუსხა“ ხელფეხშეკრულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხარა შაჰმა და თვალმშვენიერს „მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა“.

გამარჯვებული ბრუნდებოდა შაჰ აბასი, და მაინც ეს ფიქრები ეტანჯა რენოდა მის გონებას:

„ძალიან ძლიერნი არიან ქართველები... ძალიან ძლიერნი და საშიშნი... ძალიან საშიშნი... მაგრამ ძალიან საჭირონი!“.

ოსმალეთთან კი, რადაც უნდა დასჯდომოდა, ზავი უნდა დაედო... დრომდე... ჯერჯერობით...

დაიდო კიდეც ზავი, სტამბოლში, 1590 წლის 21 მარტს, — ზავი მძიმე და დამამცირებელი ირანისათვის: მთელი ამიერკავკასია, ქურთისტანი და ლურისტანი ოსმალეთის სამანებში მოექცა.

ასეთი ზავი ჩამოუტანა სტამბოლიდან ყაზვინში შაჰ აბასს მისმა ელჩმთავარმა მეჰმედ ყული-ხანმა.

რასაკვირველია, შაჰმა წინასწარ იცოდა, რასაც აწერდა ხელს მისი დესპანი ოსმალთა სატახტოში, მაგრამ ახლა ქვეყნის დასანახად ისე მოიქცა, თითქოს არაფერიც არ იცოდა: მისი ბრძანებით მეჰმედ ყული-ხანი ჯალათებმა ყაზვინის შუა მოედანზე გამოიყვანეს და საზეიმოდ შეყრილი ზღვა ხალხის წინაშე თავი გააგდებინეს.

იმ ხმლის ჩახუნი უფრო შემზარავად და ავისმაუწყებლად სტამბოლში გაისმა, ვიდრე ყაზვინში.

და კისერიც მურად სულთანს უფრო აეწვა, ვიდრე თავწარკვეთილ ირანელ ელჩს.

. . . . . .

და იტყვის ამიერიდან დიდ სიტყვას დიდი შაჰ აბას.

იტყვის, რამეთუ გვერდით უდგას ქართველი — ალავერდი-ხან უნდილაძე.

და, არა მხოლოდ ერთი უნდილაძე, არამედ მასთან მრავალი ქართველი.

და, ძალიან „სჩანდნენ“ ქართველები ირან-სპარსეთის სატახტოში, თვით სასახლეში, „იმ ტახტთან“ ახლოს.

უფრო მეტიც ითქმოდა და იწერებოდა მაშინდელ ევროპელ მოგზაურთა, დიპლომატთა, საერო თუ სასულიერო თვითმხილველთაგან.

„სპარსეთში, შაჰიდან დაწყებული და უდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, რომელსაც დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს; ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“, — წერდა ჟან-ბატისტ ტავერნიე, ფრანგი მოგზაური და ნეგოციანტი.

ირანის სატახტო სწორედ ქართულია — მასში მეტი ქართველი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს, ვიდრე თვითონ საქართველოშიო, — ამის თქმასაც „კადრულობდნენ“ ევროპელი „თვალმოსეირენი“.

თვითონ შაჰ აბასს დიდად ეამაყებოდა, რომ მის ძარღვებში ქართული სისხლი დაედინებოდა.

თავი მოსწონდა ქართული ენის სრულქმნილი ცოდნით.

ირანის „საზეპურო ერში“ (მაღალ საზოგადოებაში, „არისტოკრატიაში“) ქართული მუსაიფით „კეკლუცობდა“.

უცხოელი, აზიელი თუ ევროპელი ელჩების მიღებისას, შაჰ აბასი ხშირად ქართულად იწყებდა ლაპარაკს, კარისკაცებიც ქართულად აჰყეებოდნენ და ელჩებიც იძულებული ხდებოდნენ რაღაცნაირად „ჩაწვდომოდნენ“ ირანის ამ ახალ, უცნაურ „სახელმწიფო ენას“.

ქართველები უ ყ ვ ა რ დ ა შაჰ აბასს, — უყვარდა იმიტომ, რომ ქართველები ძ ლ ი ე რ ე ბ ი იყვნენ და ერთგული, „თავგადამკვდარი“ სამსახური იცოდნენ.

ქართველები ს ძ უ ლ დ ა შაჰ აბასს, — სძულდა იმიტომ, რომ ქართველები ძ ლ ი ე რ ე ბ ი იყვნენ და არასოდეს ბოლომდე არ შეეძლოთ „უცხო თესლთა“ მბრძანებლობის დათმენა.

ქართველების ე შ ი ნ ო დ ა შაჰ აბასს, — ეშინოდა იმიტომ, რომ ქართველები ძ ლ ი ე რ ე ბ ი იყვნენ და არასოდეს არავინ იცოდა, როდის შემართავდნენ ისინი შურისმგებლურ უქარქაშო ხმლებს მტერთა მათთა შესამუსრავად.

და ქართველების დ ი დ ი ი მ ე დ ი ჰქონდა შაჰ აბასს, — იმედი ჰქონდა იმიტომ, რომ ქართველები ძ ლ ი ე რ ე ბ ი იყვნენ და მათი თანადგომით შეეძლო დაკნინება-დამხობის გზაზე შემდგარი ირანის გამობრუნება, კვლავ გამძლავრება, აღორძინება.

მაშ — კიდევაც უყვარდა და კიდევაც სძულდა, კიდევაც ეშინოდა და კიდევაც იმედოვნებდა, — ასეთი ერთიმეორის გამომრიცხველი განწყობილებანი მარტო „ნაჯვარი სისხლის“ ბრალი არ უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ისევ და ისევ ქართველთა სიძლიერეს, მათდამი „ანგარიშის გაწევას“, მათ „საჭიროებისამებრ გამოყენებას“ უკავშირდებოდა.

ძლიერნი არიან ქართველნი, ძალიან ძლიერნი!

და რამდენად სასიხარულოა შაჰ აბასისთვის, რომ ქართველები არიან აგრეთვე... სუსტნი!

ხოლო, ს ი ს უ ს ტ ე მათი არის ის, რომ ქართველები უფრო ც ა ლ კ ე უ ლ ა დ ა რ ი ა ნ ძ ლ ი ე რ ნ ი, — ცალ ცალკე, თითოეულად, სამანსამანად, ხოლო ერთმანეთის გვერდით დგომა ძალიან უჭირთ — ისე უჭირთ, როგორც ბუმბერაზ ხეებს ტყეში ერთმანეთთან მიჯრით ცხოვრება.

მაშ, ორივე კარგად იცის შაჰ აბასმა: სიძლიერეც და სისუსტეც ქართ-

ველებისა და ... თავ-თავის დროზე ორივეს კარგად გამოიყენებს, „მორ-
გებს“ და „მოივერაგებს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით „გათათრებული ქართველობა“ მოსწონდა შაჰ აბასს, ხოლო ქრისტიანულ ქართველობას ვერ ჰგუობდა.

ვერ ურიგდებოდა და ვერ ითმენდა, რადგან ცბიერმა შაჰმა ძალიან კარგად იცოდა; ქრისტიანობა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი არსებობის ნიშანსვეტი იყო, მისი სახელმწიფოებრიობის, მისი კულტურის, მისი „თავისთავადობის“, მისი „სხვად-ყოფნის“ საფარველიც და საფუძველიც.

ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა აზიაში საქართველოსთან ომს ნიშნავდა, ხოლო საქართველოსთან ომი თაობების ჟლეტას მოითხოვდა ყოველთვის...

ამიტომ ჯერჯერობით შაჰ აბასს საქართველოსთან ომი კი არა, ქართველთა თანადგომა, „თანაძმობა“ და „თანამოყვრობა“ სჭირდება. ჯერ მან „გათათრებული ქართველობა“ უნდა იკმაროს და მისი მხარდაჭერით „უახლოესი ამოცანები“ განასრულოს: ირანის საომარი აღორძინება და თურქ-ოსმალეთთან ანგარიშის გასწორება.

ისედაც, ისტორია უტყუვრად კარნახობს შაჰ აბასს: ირან-ოსმალეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში თითქმის ყოველთვის ის მხარე იმარჯვებს, ვის მხარეზედაც აღმოჩნდება საქართველო.

ამიტომ საქართველოსთან „ძმობა“ სჭირდება ჯერჯერობით შაჰ აბასს.

ჯერჯერობით!

(ისედაც, — ყველაფერი ხომ ჯერ-ჯერ-ობითია ამ ქვეყანაზე!).

. . . . . .

შაჰ აბასმა გამეფებისთანავე გადაიტანა სატასტო ქალაქი ჩრდილოეთიდან სამხრეთში — ყაზვინიდან ისფაჰანში.

ეს იმას ნიშნავდა, რომ შაჰი თურქმან-ყიზილბაშ გვარტომობას ზურგს აქცევდა და ძველთაძველ მკვიდრ „ფარსის“ ტომთა დაწინაურებას აპირებდა.

ეს მართლაც ასე მოხდა. შაჰ აბასი დარწმუნდა, რომ მისი მეფობის წინარე ირანის დაქვეითებისა და დაკნინების მიზეზი ყიზილბაშური სამხედრო-ფეოღალური წყობილება იყო. ყიზილბაში ფეოდალები „საკუთარი“ ჯარებით თვითნებურად, თუნდაც შაჰისგან დაუკითხავად მოქმედებნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ, ირანულ ქალაქებსა და სოფლებს ძარცვავდნენ, ანგრევდნენ და აწიოკებდნენ; ხშირ შემთხვევაში ისინი თვითონ ხელმწიფეს საომარ წვევაზე უარის თქმასაც უბედავდნენ... ეს „მიკრომონარქები“ ფავიანთი სატომო ჯარებით სასახლის კარის საქმეებშიც

ერეოდნენ, მრავალ უფლისწულთა თუ სხვა, „მოუფლისწული“ ტომების მაძიებელთა ინტრიგებსა და დინასტიურ სისხლთათხევაში მონაწილეობ-ღნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ აბასმა მტკიცე, შეუვალი ნებით დათრგუნა ყიზილბაშური არის-ტოკრატია და მის ნაცვლად უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფო თანამ-დებობებზე მკვიდრ ირანელთა („ფარსელთა“) და გათათრებულ ქართველ-თა ოჯახიშვილები დააწინაურა.

დიდ გარდაქმნებს დიდი ფული სჭირდებოდა და შაჰ აბასმა დასაყრ-დენ ძალად ვაჭართა და ხელოსან-მწარმოებელთა საზოგაოებრივი შრეე-ბიც მოიშველია. მათთან საქმიან ურთიერთობაში შეუდგა შაჰი ირანული პროვინციების აყვავებას — გზების, ხიდების, არხების, სავაჭრო ქარვას-ლებისა და სრა-სასახლეების მშენებლობას.

ყოველ საქმეში, ყოველ რეფორმატორულ გააზრებაში და ხორცშეს-ხმაში, შაჰ აბასს გვერდით, „პირველ კაცად“ ედგა სწორედ ალავერდი-ხან უნდილაძე, ყრმობითვე მაჰმადიანად აღზრდილი ქართველი.

მთავარი მაინც, რაიც შაჰ აბასმა უნდილაძეს მიანდო, იყო სამხედრო რეფორმა — ძირფესვიანი შეცელა წინანდელი საომარი განწესრიგებისა, ყაიდისა და ნაქცეურობისა.

და დაიწყო უნდილაძემ იმით, რომ ყიზილბაშ-მომთაბარული ლაშქა-რი შეამცირა — 60 000 მეომრიდან 30 000-ზე დაიყვანა და მის გვერ-დით ახალი, მკაცრად განწესრიგებული, მაღალი საომარი წრთვნით გა-წაფული და თოფ-ზარბაზნებით (10 000 ხელთოფი და 500 ზარბაზანი) აღჭურვილი მხედრობა შექმნა.

„შაჰისევანი“, ანუ „შაჰის მეგობარი“ — ასე დაარქვა შაჰ აბასმა მისი „ძმა-გურჯისაგან“ შექმნილ ამ ახალ ჯარს.

„შაჰისევანი“ არსებითად მარტო სამხედრო კი არა, სატომო გაერ-თიანებაც იყო. ამ „ახალმა ტომმა“, თავისი მაღალი წარჩინებითა და უფლებებით, სავსებით დააკნინა და დაასიკვდილა ძველი ყიზილბაშური სატომო გაერთიანებანი.

შაჰ აბასი ზოგიერთი ყიზილბაშური მოდგმის სავსებით ეანადგურე-ბასაც არ მოერიდა. მაგალითად, თექელუს ტომის ყიზილბაშობა დედა-ბუდიანად ამოაწყვეტინა.

„შაჰისევანის“ ტომის მეთაურიც და მთავარსარდალიც ერთდროულად შეიქნა თვითონ შაჰი.

მაგრამ შაჰი და „მისი უნდილაძე“ აქ არ შეჩერებულან.

მათ იცოდნენ, რომ ოდესღაც სპარსეთის დიდმა ხელმწიფემ, დარიოს პირველმა (ძვ. წ. 521—485) მუდმივი ჯარი შექმნა, 10 000 რჩეული მეომრით. „უკვდავნი“ უწოდა თვითონ დარიოსმა იმ მეომრებს. ვვიანი სახელით რომ მოვნათლოთ — ეს იყო იმდროინდელი „გვარდია“, რო-მელსაც ეკისრებოდა მეფის „ღვთაებრიობისა“ და მისი სასახლის დაცვა,

ომის დროს ყველაზე რთულ ჩანაფიქრთა განსრულება, ქვეყნის შიგნით სავარაუდებელ აჯანყებათა ჩახშობა, საერთო წესრიგისა და მშვიდობიანობის მოვლა-შენახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შაჰ აბასმა, უნდილაძის რჩევითა და განრიგებით, სწორედ ასეთი „რჩეულ უკვდავთა გვარდია“ შექმნა, და უწოდა მას ღ უ ლ ა მ თ ა ანუ ყ უ ლ ი ს (შაჰის „მონათა“) ჯარი — 10 000 რჩეული მხედარი.

ხოლო, ღულამთა „გვარდია“ თითქმის მთლიანად ყრმობიდანვე ტყვედ წაყვანილი და გათათრებული ქართველებისგან შედგებოდა. ქართველთა გვერდით, აქა-იქ თუ ირიცხებოდნენ გამაჰმადიანებული ჩერქეზები, ან სომხები.

ღულამთა მთავარსარდლად, ანუ ყ უ ლ ა რ ა ღ ა ს ა დ შაჰმა დანიშნა თვითონ ალავერდი-ხან უნდილაძე.

მაშასადამე, ალავერდი-ხან უნდილაძე ირანში დამკვიდრდა, ვითარცა „ვიცე-კოროლი“ (როგორც უყვარდათ თქმა ევროპელებს). იგი იყო შაჰის პირველი მრჩეველი, პირველი ვეზირი, მთავარი სპასალარი, „კლასიკური ირანის“ — ფარსის ბეგლარბეგი და შაჰის „გვარდიის“ დამაარსებელიც და ყულარაღასიც.

(ამიერიდან მთელი 125 წელიწადი სპარსეთის რჩეული ჯარების მთავარსარდალი, როგორც წესი (!), ყოველთვის იქნება ქართველი).

აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო უნდილაძე. ასი ათასი ეკიუ მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან შემოსდიოდა. ამას გარდა, მეორე პროვინცია, გულფაიგანი, „სახარჯოდ“ ჰქონდა ქართველ ყულარაღასს, გინა „ვიცე-კოროლს“.

უნდილაძეს და შემდგომში მის შთამომავლობას ეკუთვნოდა უამრავი ქარვასლა, ფუნდუკ-დუქანი და ბაზარი. მის ხელს ეპყრა საქარავნო და სამხედრო გზები ირანისა და ისფაჰანისა.

უნდილაძე და შემდგომში მისი მონაგარნი ირანში აგებდნენ გზებს, ხიდებს, წყალსადინარებს, კაშხალებს, ქარვასლებს, საფოსტო-სამიმოსვლო სადგურებს, მეჩეთებსა და მედრესეებს. ღღესაც მოქმედებს ისფაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის ნაშენები ხიდი.

ალავერდი-ხანის ცოლმა, ქართველმა ქალმა, საკუთარი ფულადი სახსრებით შუაგული ირანის მთები მრავალგან უღელტეხილებით გადასტეხა, გზები გაიყვანა, მდინარეებსა და ხევხუვებზე ხიღები გასდო.

დიდი „კულტურტრეგერიც“ ყოფილა უნდილაძე (და შემდგომში მისი ნაშიერ-ნაგრამი). კულტურულ აღმშენებლობას ელტვოდა შეუსვენებლივ: აშენებდა, აჩუქურთმებდა, აქანდაკებდა, სატავდა.

ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლის კედლები ბრწყინვალე ფრესკებით მოახატვინა.

აქვე ქართული წარწერაც „შეაპარა“ ქართველყოფილმა.

ეტანებოდა ირანულ, არაბულ, ბერძნულ და... ქართულ მწიგნობრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა ფირდოუსი, ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე. [illegible] ცულობდა რუსთაველზე.

. . . . . .

„ირანის არმიის მთავარი ძარღვი არის ქართველთა მხედრობა", — იტყვის პიეტრო დელა ვალე, იტალიელი მოგზაური, მკვლევარი, მწერალი, ქართველთა სიძე.

მაშ, ღულამთა გვარდია — ქართველთა მხედრობა, ქართველი მთავარსარდლით სათავეში — „მთავარი ძარღვი" ირანის საომარი ძალებისა!

ძალიან ენდობოდა შაჰ აბასი გათათრებულ ქართველებს.

ბალიან ენდობოდა, რადგან სჯეროდა:

გათათრებული ქართველი ქრისტიანი ქართველისათვის ყოველ დაბადებით თათარზე უარესია!

. . . . . .

„მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, ხოლო მე უნდილაძეს ვემორჩილები!" — იტყოდა შაჰ აბასი და ყურებამდე გადაგრეხილ ულვაშებს გაუწყრებოდა.

. . . . . .

1603 წელს შაჰ აბასმა ომი აუტეხა ოსმალეთის სულთან მეჰმედ მესამეს.

ორი ვეშაპის ჭიდილი ამჯერად, მცირე შესვენებებით, 1639 წლამდე გაგრძელდა.

ორივეს ქართველების იმედი ჰქონდა.

ორივეს საქართველო თავისად მიაჩნდა.

ამ ომში შაჰ აბასის თავიდათავი ამოცანა იყო: ღაებრუნებინა ოსმალეთისგან წართმეული ირანული მიწები და ამიერკავკასია — მთლიანად; გამორჩევით, საქართველო დაეპყრო ისე მტკიცედ, რომ აღარასოდეს მისი დაუფლების იმედი აღარ დარჩენოდათ არც მოსისხლე ოსმალეთს და არც „მეგობარ" რუსეთს.

პირველად ირანელები და ოსმალები ერთმანეთს დაეტაკნენ 1603 წლის ზაფხულში, სოფელ სუფიანთან, სალმასის ოლქში. ოსმალები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. შაჰი ჭენებით დაედევნა, თავრიზს დაეძგერა, აქაური ბეგლარბეგი ალი ფაშა ზარხოში ტყვედ აიყვანა და თვრამეტ-ღლიანი ალყის შემდგომ ქალაქიც იხსნა ოსმალური ტყვეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრიზიდან არაქსისკენ წამოემართა შაჰ აბასი, მდინარე გადმოლახა, ჯულფა აიღო, ნახიჭევანიც მიაყოლა და 16 ნოემბერს ერევანთან დასცა ბანაკი.

ერევანში დიდძალი თურქობა იდგა. ციხეც ძლიერ გაემაგრებინათ და გაემარაგებინათ მტრის მოსაგერიებლად.

შაჰმა ერევანს ალყა შემოარტყა. „ეს ალყა გაგრძელდა სრულად ცხრა თვე და ათი დღე“.

პირველმა იერიშებმა უნაყოფოდ ჩაუარა „ლომს“. სპარსული ჯარების წინ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა გაირეკა და თურქთა ზარბაზნებს უსაზმნოდ შეაყლიტა.

დეკემბრის მიწურულს შაჰ აბასმა სულთან მეჰმედ III-ის სიკვდილი შეიტყო. თურქეთის ტახტზე გარდაცვლილის ძე ასულიყო, თოთხმეტი წლის აჰმედ I (1603—1617 წწ.). სახელმწიფო საქმეების მოთავეობა თურმე აჰმედის დედას აუღია ხელთ.

გაიხარა შაჰმა — სადედაკაცოდ გამხდარა ოსმალთა ქვეყანაო.

მაგრამ ორი კვირის თავზე ახალი ამბავი ჩამოუტანეს აეშაგებმა სტამბოლიდან: გურჯი მეჰმედ ფაშა დაუწინაურებიათ ოსმალთა სატახტოში — სასახლის აღად დაუნიშნავთ და იდუმალ მისთვის მიუნდვიათ თურმე სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და მოვლა-პატრონობა. ყრმობისას საქართველოდან გატაცებული და გამაჰმადიანებული ქართველი ყოფილა მეჰმედ ფაშა, დიდად ჭკვიანი და მამაცი ვაჟკაცის სახელი ჰქონია დავარდნილი მთელ ოსმალეთში.

(უუჰ, ეს ქართველები!.. მათ გარეშე რომ არა საქმე არ გადაწყდება ამ ქვეყანაზე!)...

და შაჰ აბასმა ქართველები აფრინა საქართველოში — კონსტანტინე-მირზა და თამაზ-ყული-ხანი. პირველი — კახეთს, მეორე — ქართლს.

კონსტანტინე თვითონ კახეთის მეფის, ალექსანდრე მეორის ძე იყო, სპარსეთის კარზე მძევლად წაყვანილი ჯერ კიდევ შაჰ აბასის გამეფებამდე, 1581 წლიდან, ყრმობითვე გათათრებულიც და აწ თათრადვე დასრულებულიც.

თამაზ-ყული-ხანიც გათათრებული ქართველი ყმაწვილი, უნდილაძის აღზრდილი, შაჰის უახლოესი ღულამი იყო.

და აახლეს ნაქართველარმა ქართველებმა ქართველ მეფეებს სპარსეთის ხელმწიფის ბრძანება: ერევანს ვდგავარ და სასწრაფოდ მომეშველეთ თქვენი ქართლელებით და კახელებითო.

ქართლის მეფე გიორგი მეათე მაშინვე წაჰყვა ქართლელთა ჯარით თამაზ-ყული-ხანს.

კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე ჯერ, თითქოს, ოსმალეთის შიშით და რიდით, ფეხი აითრია, მაგრამ კონსტანტინე-მირზამ, „ტკბილი სიტყ-

ვით, დაპირებებითა და მუქარით მიანც დაითანხმა მამამისი", და აი, კახეთის მეფეც კახური ჯარით გამოჰყვა ერევნისკენ თავის „სახელოსა და სახელოვან" ძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხარა შაჰ აბასმა, ამდენი ქართველი რომ შემოიკრიბა ... „თავისიც" (სპარსეთისა) და „სათავისოც" (საქართველოსი).

იმ დღეს ინდოეთიდან ჩამოსული ძღვენითაც გაიხარა შაჰმა. ეს ძღვენი მისვანვე ინდოეთში ელჩად დადგენილმა მ ა ნ უ ჩ ა რ-ბ ე გ მ ა (ესეც გათათრებული ქართველი!) ჩამოუტანა. და მთელს ამ მისართმეველში ერთი ნივთი გამორჩეულად მოიწონა შაჰმა — ოქროს ქარქაშიანი ხმალი, სულ ერთიანად ძვირფასი თვლებითა და წვრილი ალმასით მოჭედილ-მოსევადებული.

— ოლბლიანი არის ეს ხმალი, — ქართულად უთხრა შაჰს მანუჩარ-ბეგმა — ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართება, როცა მას ხელში მოიმარჯვებ.

და ამ ინდური ხმალის „პირველ სიკეთედ" ქართველი მეფეებისა და მათი ქართული ჯარების მოსვლა მიიჩნია შაჰ აბასმა.

მეორე დღისთვის ერევანზე იერიშიც დანიშნა შაჰ აბასმა. უწინარესად, მან, ქართული წესისა და ნაქცეურობის კარგმა მცოდნემ ის გაიხსენა — „წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა, — და მეწინავე-მოიერიშე ჯარებად, გვერდი-გვერდ ქართლელთა და კახელთა რაზმები წაიმძღვარა.

სამი დიდი ჯვარი გამოიტანეს ქართველმა ჯვარისმტვირთველებმა, გამჭვირვალე ქსოვილებით შემოსილნი და წინ აღუმართეს თავიანთ ჯარებს.

— ამ ქართულმა ჯვრებმა უნდა გვიწინამძღვროს ბრძოლაში, — მშვიდად და მტკიცედ თქვეს ქართველმა მეფეებმა.

შაჰს ხმა არ ამოუღია.

ბრძოლა დაიწყო.

ქართველები გაქანდნენ ყიჟინითა და იარაღის ზრიალით.

გამოუსტნენ ოსმალები „ალლაჰ-ილალლაჰის" გრიალით.

უკუაქციეს ქართველებმა სასტიკი ჩეხვით.

შებრუნდნენ და უკანვე შეცვივდნენ ციხეში ოსმალნი.

ქართველებიც მიჰყვნენ სულმოუთქმელად.

და „მაშინ უმეტესად ყოველთა ქართველთა მოიჭირვეს და გარდავიდნენ გალავნებში და იომეს დიდად და სანამდი ყიზილბაშნი შევიდოდეს, ქართველთა აიღეს სიმაგრენი, აჩვენეს ძალი და მოჭირვება ყაენსა და აღიღეს ციხე".

უკვე ქართველთაგან აღებულ ციხე-ქალაქში ირანელებიც შეცვივდნენ „ალლაჰ-ილალლაჰის" ყივილით.

იდგა 1604 წლის აგვისტოს მიწურული, ქართველებს რომ ერევანი ოსმალებისგან გამოეგლიჯათ და სპარსელებისთვის მიერთმიათ.

საზღვარი არ ჰქონდა შაჰ აბასის სიხარულს.

(იციან „უცხოთგამხმარებელმა“ ქართველებმა, ვინ უნდა გაიხაროს!)

კარგად კი გადაუხადა შაჰ აბასმა მაშინ ქართველ მეფეებს ეს „ერევნული სიხარული“: გიორგი მეათეს მთელი დებედეს ხეობა, ლორე და ალჯაყალა წაართვა, ალექსანდრე მეორეს კი — კაკ-ელისენი, გინა საინგილო. ესეც არ აკმარა და მალე კიდევაც მიასიკვდილა ორივენი: გიორგის სასმელში საწამლავი შეუყოლა, ალექსანდრე კი მისივე შვილს მოაკვლევინა, გათათრებულ კონსტანტინე-მირზას, რომელმაც მამას ზედ მეორე შვილიც, ანუ საკუთარი ძმა გიორგიც დააკლა, და კახეთის ტახტზეც თვითონ დაბრძანდა.

თუმცა, მთლად ისე თავის სურვილისამებრ არ გამოუვიდა მაშინ შაჰ აბასს: კახელები მამისა და ძმის მკვლელის გამეფებას არ შეურიგდნენ, ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყდნენ, კონსტანტინე შუბებზე ააგეს და მეფედ თეიმურაზი მოითხოვეს.

თეიმურაზი, ძე ადრე გარდაცვლილი დავით მეფისა და ქეთევან დედოფლისა, მაშინ თვითონაც შაჰ აბასის კარზე იყო, სპარსეთში, და უმალვე დათანხმდა შაჰი მის გამეფებას კახეთის ტახტზე. დათანხმდა, რაკილა ეგონა, რომ ეს მეოცნებე პოეტი (თვითონ შაჰიც გვარიანი პოეტი!) ბიჭი, თანაც „სპარსული ენის მუსიკობაზე შეყვარებული“, თავით ბოლომდე სწორედ სპარსეთის დუდუკზე აბუქნავებდა თავის კახეთს. მაგრამ, ვაი რომ თურმე ვერ უცვნია შაჰს მაშინ „ეს ბიჭი“...

ქართლში კი გარდაცვლილი (ვითომ, ფუტკრისგან დაკბენილი!) გიორგის ნაცვლად, მისი ძე ლუარსაბი გაამეფა შაჰ აბასმა.

და ასე გადაწყდება საბოლოოდ, 1606 წელს: კახეთის ტახტზე — 16 წლის თ ე ი მ უ რ ა ზ I, ქართლის ტახტზე — 14 წლის ლ უ ა რ ს ა ბ II.

ხოლო წინა წელს, როცა შაჰი ქართული სამეფო (მისებურად — „სახანო“) ტახტების საკითხებს წყვეტდა, იგი თავრიზში იდგა, ალავერდი-ხან უნდილაძესთან მუდმივ თათბირში.

ოსმალეთთან ომი ახალი მოცულობით მძვინვარებდა. ოსმალთა ახალი მხედრობაც დაძრულა, სერასქერ ჯიღალ ოღლუსა და ნასიფ ფაშას სარდლობით. აზერბაიჯანისაკენ მოუშურებოდნენ თურქები, სალმასისა და თასუჯის გზებით.

— რამდენი არის თურქთა ლაშქარი? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა შაჰი უნდილაძეს.

—ასი ათასი მეომარი, — ისევ პასუხობდა უნდილაძე.

— მერე, ჩვენ? ჩვენ რამდენი გვყავს?

— სამოცი ათასი.

— უნდა დავუცადოთ ახალი ჯარების შეყრას.

— მაგრამ ოსმალნი დაგვიცდიან? — ღიმილით ჩაუჭრა უნდილაძემ.
— მაშ როგორ, სამოცი ათასით შევხვდეთ ასი ათასს?!
— დიახ! — მტკიცედ მოსჭრა ქართველყოფილმა.
— მერე?!
— მერე ის, რომ ისინი ოსმალები არიან, ჩვენ კი ირანელები.
ძალიან მოეწონა შაჰს, ქართველმა რომ თქვა ეს: „ჩვენ ირანელებიო".
— მაშ, იმედი გაქვს, რომ სამოცი ათასით ასი ათასი დამარცხდება!
— ალლაჰისა და შაჰის შეწევნით! — თქვა უნდილაძემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მოხდა 1605 წლის 7 ნოემბერს, სუფიანთან, ურმიის ტბის ახლოს.

ისევ უნდილაძე შეიქნა ამ საშინელი ხოცვა-ჟლეტის მთავარი გმირი. თურქები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

თვითონ სერასქერი ჯიღალ ოღლუ სინან ფაშა სირცხვილს არ „დაუწვავს", ისე მოჰკურცხლა ბრძოლის ველიდან.

მრავალი ტყვე და ნადავლი ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა (არავინ ამბობდა — ქართველებმაო!).

ოცი ათასი ოსმალოს წარკვეთილი თავი დაახვავეს შაჰის წინაშე.

ურმიიდან უნდილაძე ყარსისაკენ გაემართა ჯარის ნაწილით, ხოლო შაჰი დანარჩენი მხედრობით ყარაბაღისკენ წამოვიდა, ყარაბაღი დაიჭირა, მერე განჯას მოადგა და ალყაში მოაქცია.

(სწორედ აქ, განჯაში ეახლნენ კახელი ელჩები, აქ შეატყობინეს კონსტანტინეს მოკვლაც და აქვე თხოვეს თეიმურაზის გამეფებაც).

განჯის ალყა ოთხი თვე გაუჭიანურდა შაჰ აბასს.

თან ერთი თურქი სუნიტი დერვიშის წერილს გაეჯავრებინა ირანის ხელმწიფე. ის დერვიში სპარსელებზე წერდა: განკითხვის ჟამს დიდი ალლაჰი თქვენ, შიიტ სპარსელებს, აყროლებული ურიების ვირებად გადაგაქცევთო, რათა ამ საზიზღარმა და მთელს მსოფლიოში მოძულებულმა ხალხმა ვირებივით შეგკაზმონ, ზედ შეგჯდნენ და პირდაპირ ჯოჯოხეთში შეგაჯირითონო.

შაჰმა შიიტი დერვიშები გამოიძახა და უბრძანა: ამ წერილის სამაგივროდ, აქოთებულ ოსმალო სუნიტებს ისეთი წერილი მისწერეთ, ოცდათორმეტი ჩაღრმავებული ადგილიდან არც ერთი შეუგინებელი არ დაუტოვოთ, თორემ არც ერთს მხრებზე თავი არ შევრჩებათო.

მერე ალავერდი-ხან უნდილაძე გამოიძახა ყარსიდან: მომეშველე, ეგებ მოვუღო ბოლო განჯასო.

სასწრაფოდ მოიჭრა უნდილაძე.

მოიჭრა და ერთიანი იერიშით მიუსია ჯარები ქალაქის გალავნებს.

1606 წლის 5 ივლისს განჯა დანებდა ირანის მბრძანებელს.

შაჰის ბრძანებით ქალაქი გაძარცვეს და საძირკვლამდე დაანგრიეს.

მომდევნო 1607 წელს შაჰ აბასმა და ალავერდი-ხან უნდილაძემ შარ-ვან-აზერბაიჯანი, საქართველოდან კასპიის ზღვამდე, ოსმალური ციხე-ონებისგან გაწმინდეს და ყოველ აქაურ ქალაქში ირანული ციხეები შეაყენეს.

. . . . . .

1612 წელს საქართველოდან გაქცეული გიორგი სააკაძე შეეხიზნა შაჰ აბასს, მთელი ოჯახით და უახლოესთა ამალით.

ეს მაშინ, როცა თვითონ შაჰს, მომავალი წლისათვის, საქართველოში ლაშქრობა ჰქონია განზრახული...

ალავერდი-ხან უნდილაძე იხმო. ჩაიკეტა და ეთათბირა.

სახეალეწილი გამოვიდა და წავიდა უნდილაძე.

ახლა გიორგი სააკაძე იხმო შაჰმა. ჩაიკეტა და ეთათბირა.

სახედაწყნარებული გამოვიდა სააკაძე.

ზაფხულში განზრახული „საღვთო ომი" საქართველოს წინააღმდეგ საზამთროდ გადასწია შაჰ აბასმა.

უნდილაძის „მოკიდებულნი" ამბობდნენ: გიორგი სააკაძემ გაუხედნა ყური შაჰს, ზაფხულს წასვლა არ ვარგა საქართველოში საომრადო, რადგან მოსახლეობა ტყეში ადვილად იხიზნება და იქიდან ახალ ომსაც ამზადებსო; ამიტომ ზამთარში სჯობია საქართველოში შეჭრა, რაკიღა ხალხი ვერც ფოთოლგაცვენილ ტყეში დაიმალება, ვერც თოვლსა და ყინვაში გაასწრებს მთას, ხოლო თუ მაინც შეძლებს, სულ ერთია — ყინვა და ნეფხვი ამოწყვეტსო.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს მოსათხრელი და ამოსაგდები „საღვთო ომი" შაჰ აბასმა მაინცდამაინც ზამთარში დანიშნა.

და, მაინცდამაინც მაშინ მოკვდა ალავერდი-ხან უნდილაძეც.

აღსრულებულიყო ალავერდი-ხან უნდილაძე, ტომით ქართველი, ბედუკულმართობით უსამშობლო „თათარი", ნიჭით და სიქველით ირანის კარზე „ვიცე-კოროლად" აღზევებული; დიდი რეფორმატორი, უპირველესი სარდალ-ზორავარი, დაუცხრომელი „კულტურტრეგერი", ოფლშეუმშრალი აღმშენებელი; კაცი, რომელსაც მისთვის დაკარგული სამშობლო — საქართველოს საზიანოდ — თუნდაც საქართველოს სამტრო-საბუდარში მჯდომს — არასოდეს თითის განძრევაც არ უკადრებია; კაცი, რომელზეც თვითონ შაჰ აბასი ხშირად იტყოდა: მე, ირანის მბრძანებელი, ამ ქვეყანაზე მხოლოდ ალლაჰს და უნდილაძეს ვემორჩილებიო.

მომკვდარიყო დიდი ქართველი კაცი, დაუღალავი შემოქმედი და შეშქმნელი „უცხო.თესლის ისტორიისა"...

ავმა ელდამ დაურბინა ისფაჰანის სასახლეს, სრულიად ირანს.

„საქართველოში ლაშქრობას აღუდგა წინ უნდილაძე, და ამიტომ შაჰმა...“ — სათქმელს აღარ ასრულებდნენ „დიდი გურჯის“ მოულოდნელი სიკვდილით დაზაფრულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ შაჰი ამას ბრძანებდა, „მწარე სინანულით“:

„დიდი კაცი იყო ალავერდი-ხან უნდილაძე, დიდი საქმენი განასრულა სულკურთხეულმა; ყოველივე შეეძლო მის დიდ გონებას და მძლავრ ხელებს, მაგრამ... სიკვდილიც განა კაცთა ხელშია?!“

ბოლოს ეს დასძინა შაჰმა: ალავერდი-ხან უნდილაძე არც კი მომკვდარა, რადგან მისი შვილები და მონაგარ-ნაგრამი განაგრძობს სიცოცხლესო.

სთქვა და იმ დღესვე ალავერდი-ხანის აწ დაცლილი თანამდებობანი (რომელთაც ხარბი თვალით უცქერდა მრავალი კარისკაცი, მათ შორის, სარწმუნოა — მრავალი ქართველი!) მის ძეს, იმამ-ყული-ხან უნ-დ ი ლ ა ძ ე ს გადაულოცა — ბეგლარბეგობა ფარსისა, შირაზისა და თავ-რიზისა.

(ესეც ძალიან მოსწონდა შაჰ აბასს, რომ იმამ-ყული-ხან უნდილაძეს სახელი უკვე ისე გაეთქვა, რომ ევროპაში „სამხრეთ ირანის ვიცე-კოროლსაც“ უწოდებდნენ).

. . . . . .

უფროსი უნდილაძის დაკრძალვის დღეს რაღაც სულისხუთვა აუტყდა შაჰ აბასს.

ისფაჰანში ძალიან ჩამოცხაო, მოიმიზეზა და მაშინვე ფერეიდანის იალაღებზე გაქუსლა „სულის მოსაბრუნებლად“.

რამდენიმე დღე გაატარა ფერეიდანში და დიდი გულისყურით მოიხილა იქაურობა.

„აქაურ მიწას გამრჯე ქართველი მიწისმუშა მოუხდება და დამშვენდებაო“, თქვა და გამობრუნდა...

ზამთარი მოახლოვდა.

შაჰ აბასმა ლაშქრობა ბრძანა. იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა და უთხრა: თუ მამაზე მგლოვიარობა ხელს არ გიშლის, შენც წამყევი საქართველოშიო.

უფრო სხვა რამე მიშლის ხელსო, — უმალვე მიუგო „ვიცე-კოროლმა“.

— ალბათ, ქართველ თვისტომთა უზომო სიყვარული, არა?! — უცებ შეაფრქვია უნდილაძეს და გამომცდელად დააშტერდა თვალებში.

— თქვენს ბრწყინვალებას არა ნაკლებ უყვარს ქართველები, — მშვიდი ურყევლობით უპასუხა უნდილაძემ.

შაჰი შეცბა, მერე ისევ ჰკითხა: მაშ რა გიშლის ხელს, საქართველოში რომ მეახლოო.

— ქიშმი და ჰორმუზი, — უპასუხა უნდილაძემ.

და ვითომ ახლა „გაახსენდა“ შაჰს, რომ მის კარზე ქიშმისა და ჰორმუზის სამთავროთა დაპყრობა მზადდებოდა ფრიად საიდუმლოდ, და სწორედ იმამ-ყული-ხან უნდილაძისთვის მიენდო შაჰს საომარი საქმისა მეთაურობა. ამას გარდა, იმამ-ყული-ხან უნდილაძეს, ვითარცა „მამის მემკვიდრეობა“, ეკისრებოდა წარმართვა ირანის მთელი სამეურნეო-საგამგებლო საქმეებისა — მიწათმოქმედებისა, ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა და წყალსადენების, ხიდების, კაშხალების აღმშენებლობისა.

— კარგი აქ დარჩი და აქაურობას მიჰხედეო, — ბრძანა შაჰმა და იმამ-ყული-ხანი რომ გაისტუმრა. მერე მისი უმცროსი ძმა გამოიძახა — დ ა ვ ი თ (დ ა უ დ-ხ ა ნ) უ ნ დ ი ლ ა ძ ე. გამოიძახა და იმასაც ეს უთხრა უწინარესად: თუ მამაზე მგლოვიარობა არ გიშლის, შენც ჩემთან ერთად წამოდი საქართველოში სალაშქროდ.

ეტყობა, ელოდა დავით უნდილაძე შაჰისგან დაძახილს და მაშინვე შეაგება პასუხად:

— თუ არ დაგვიწყნიათ, მე სხვა რამ მაქვს თქვენგან ნაბრძანები.

— რა სხვა, დაუდ-ხან?

— გომბურნის დაპყრობა, ხელმწიფეო.

ეს არ დავიწყნია შაჰ აბასს: გომბურნში იმჟამად პორტუგალელები იდგნენ და დავით უნდილაძეს დააკისრა შაჰმა სპარსეთის ზღვის განაკიდური ქალაქიდან ევროპელების განდევნა და სპარსული ციხიონის შეყვანა.

— მაგრამ, აკი მომავალი წლისთვის ვაპირებდით გომბრუნში ლაშქრობას?! — თქვა შაჰმა.

— მე უკვე ყველაფერი მზად მაქვს სალაშქროდ, — ფიცხლავ შეაგება უმცროსმა უნდილაძემ.

— საქართველოში ლაშქრობამ ხომ არ დააჩქარა გომბრუნში ლაშქრობა, დაუდ-ხან? — ცბიერად იკითხა შაჰმა.

— არა, ხელმწიფეო, გომბრუნის ბედი მანამ გადაწყდა, სანამ საქართველოში ლაშქრობას შევიტყობდი, — მშვიდად მიუგო უნდილაძემ.

— ალბათ, უნდილაძეებს ბედად არ დაჰყოლიათ ქართულ მიწაზე ფეხის დაბიჯება... თქვა და ისევ ცბიერი თვალაკვრით გახედა დაუდ-ხანს.

. . . . . .

და დაილაშქრა საქართველო უნდილაძეთა წილისდების გარეშე.

და, ეს მაშინ, როცა სრულიად ირანში სწორედ უნდილაძეთა გარეშე არა განაზრახი, არცა დიდი და არცა მცირე, არც გაიზრახებოდა და არც განხორციელდებოდა.

საქართველოს დალაშქვრა კი მოხდა ოთხჯერ, — 1614, 1615, 1616, 1617 წლებში — დალაშქვრა და დამხობა; გამორჩევით, კახეთის აკლება-აოხრება, ძარცვა-რბევა, მოსახლეობის დედაბუდიანად ტყვედ ირანს გაყარა-გადასახლება. კახეთმა დაჰკარგა ორი მესამედი [illegible] მოსახლეობისა- სულ ნახევარი მილიონი ქართველი — სიკვდილით, თუ გადასახლებით — დაეკარგა საქართველოს იმ ავბედით წლებში.

. . . . . .

იმ პირველი „გურჯისტანული ლაშქრობისას" კი — 1614 წელს — სამხრეთით მოჭრილმა ფაიქებმა შაჰ აბასს ეს სასიხარულო ცნობა მოართვეს: დაუდ-ხან უნდილაძემ პორტუგალელები დაამარცხა, ზღვაში გადარეკა და ქალაქი გომბრუნი, მთელი ზღვის განაკიდურით, სპარსულ დროშებს დაუმორჩილაო!

ზეცას ეწია აღტაცება შაჰ აბასისა.

— ამიერიდან გომბრუნს დაერქმევა ბენდერ-აბასი და იქნება ირანის დიდი ნავთსადგური! — ბრძანა შაჰმა და მაშინვე დასძინა: დიდი კაცი იყო ალავერდი-ხან უნდილაძე, დიდი არის მისი უფროსი ძე იმამ-ყული-ხან, — შაგრამ მამაზე და ძმაზე იღბლიანი მგონია მე უმცროსი უნდილაძე.

თქვა და უფრო „ხალისიანად" მიუბრუნდა „გურჯისტანის საქმეებს".

. . . . . .

1618 წელს შაჰ აბასმა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის გადააყენა სატახტო ისფაჰანის ტარუღა (ქალაქის თავი, მოურავი) მირ აბდალ-აზინი, რომელსაც ვერც იმან უშველა, რომ იგი თვითონ შაჰ აბასის სიძე იყო.

შაჰმა გიორგი სააკაძე დაიბარა და ჰკითხა: როგორ მირჩევ, ვინ გამოვვადგება სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა გამოდგება, — უპასუხა გიორგიმ.

— ძალიან თავგამოდებული კი ხარ მაგ ხოსრო-მირზასთვის, გიორგი სააკაძევ!

— აგრე გახლავთ, რამეთუ ხოსრო-მირზა ჭკვიანია, დაკვირვებული, გაჭირვებაში გამოჯაქული, ნიჭიერი სარდალი, მამაცი მხედარი, ჭეშმარიტი მაჰმადიანი და შაჰის ტახტის უაღრესად ერთგული შაჰისევანი.

გიორგი სააკაძე გაუშვა და იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა შაჰ აბასმა. ტკბილად შეხვდა ხელმწიფე ქვეშევრდომს. ჯერ ისე აათვალჩაათვალიერა მოხდენილი ვაჟკაცი, კოხტად და მდიდრულად მორთულ-მოკაზმული — და ეს ჰკითხა მკაცრი ღიმილით:

— მაინც ვინ არის შაჰი, მე თუ შენ?

— თქვენ, ხელმწიფეო, ნებითა ალლაჰისა და მისი წინასწარმეტყველის მუჰამადისა, — დინჯად უპასუხა უნდილაძემ, რადგან საერთოდ შეჩვეული იყო შაჰისგან შეხუმრებას.

— მერე, შენ რომ ჩემზე უკეთესად გაცვია, გახურავს, ეჯრო-ძვირფასი აღჭურვილობით იკაზმები, ფულსაც მეტს ხარჯავ, — ამაზე რაღას იტყვი?

— ეგეც თქვენი წყალობა გახლავთ.

— რა იქნება, რომ შენ ერთი გროშით ნაკლები დახარჯო, თუნდაც იმისათვის, რომ ხალხმა შაჰსა და ხანს შორის განსხვავება დაინახოს?!

უნდილაძე იღიმებოდა და ხმას არ იღებდა. ასეთი „ხუმრობა“ ამას წინათაც თქვა შაჰმა, სადილზე, პორტუგალელი ანტონიო გოვეას თანდასწრებით...

ბოლოს, უნდილაძეს ეს ჰკითხა შაჰმა: ისფაჰანის ახალი ტარუღა უნდა დავნიშნო და შენ რას მირჩევ, ვინ გამოდგება სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა, — მაშინვე შეაგება უნდილაძემ.

. . . . . .

1619 წლის 7 ივლისს, კვირა დღეს, შაჰ აბასი ისფაჰანის მთავარ მოედანზე გამოსულიყო. თან სტუმრები ახლდნენ — ინდოელი და ოსმალო ელჩები.

იმამ-ყული-ხან უნდილაძეს ძღვენი გამოეგზავნა შაჰის კარზე და სწორედ იმ „საოცარი გურჯის“ მისართმეველის სახილველად მოსულიყვნენ შაჰიც და მისი სტუმრებიც.

მზე დაისად ეშვებოდა, როცა მოედანზე „გურჯი ხანის“ გამოგზავნილი ფეშქაშ-ქარავანი შემოვიდა.

წინ ორმოცი არაბული მერანი მოჰყავდა ორმოც გათათრებულ ქართველს.

ცხენებს შვიდი აქლემი მოჰყვებოდა, შვიდივე თვალ-მარგალიტით სავსე ლარებით დაკაპანებული.

ბოლოს მოდიოდა ყველაზე საწადნელი-სახილველი: ცხენშებმული ოთხთვალა ფორნები, ყოველ მათგანზე — ორი უზარმაზარი შაქრის ლოდი.

აზრი დაიკრეს ინდოელებმა: უნდილაძე ისე მიგვანიშნებს, მარტო ინდოეთს როდი გქონიათ შაქარიო, ჩვენც თავზე საყრელად გვაქვს ირანშიო.

ბოლო ფორანზე კი, ინდაურები დაესხათ ქართველებს.

ესეც დიდად „საწადნელი-სახილველი“ იყო, რაკიღა ინდაური პირველად შემოეყვანათ ირანში ქართველ ვაჭრებს ვენეციიდან.

მთავარი მაინც თვითონ ფორნები იყო — სავსებით ახალი სამგზავრო-სამიმოსვლო და საზიდარ-საბარგული გაწყობილობა.

და ეს „სიახლეც“ ქართველებს შემოჰქონდათ პირველად ირანში.

. . . . . .

1622 წლის გაზაფხულს, შაჰ აბასის ბრძანებით, გულაბყალას ციხეში თავი მოჰკვეთეს ლუარსაბ მეორეს.

მთელი ერთი თვის მანძილზე, უნდილაძის გვარიდან შაჰ აბასს თვალმოსაკრავადაც არავინ მოლანდებია.

არ სცალოდათ მაშინ უნლიდაძეებს: ლუარსაბ მეფეს გლოვობდნენ, სპარსელთაგან შეფარვით.

ცხარედ დასტიროდნენ მამულდაკარგული ქართველები მამულისათვის თავდადებულსა და წამებულ ხელმწიფეს.

. . . . . .

და გამოიძახა იმამ-ყული-ხან უნდილაძე შაჰ აბასმა.

ირანის „ვიცე-კოროლი“ გულფაიგანის საზაფხულო სავანეში ბრძანდებოდა იმჟამად, სტუმრები ჰყავდა — იტალიელი კათოლიკე ბერები, მისიონერები. ბერძნულ ფილოსოფიაზე და ხელოვნებაზე მსჯელობდნენ. ევროპელები განცვიფრებული იყვნენ უნდილაძის განსწავლულობით, ღრმააზროვნებით, შთამაგონებელი მსჯელობით.

ბოლოს უნდილაძემ სტუმრებს სთხოვა, მისი წიგნთსაცავისთვის რომიდან გამოეწერათ პლატონისა და არისტოტელეს თხზულებანი ბერძნულ და ლათინურ ენებზე, არაბულ-ლათინური ლექსიკონები და ბიბლია არაბულ ენაზე.

მისიონერებმა მაშინვე დიდის მოწიწებით აღუთქვეს მასპინძელს თხოვნის აღსრულება.

ამ დროს შათირიც მოიჯრა და შაჰის ბრძანება მოიტანა.

უნდილაძე სასწრაფოდ გაეშურა.

შაჰ აბასმა მისალმებისთანავე ახალ საომარ სამზადისზე ჩამოუგდო სიტყვა.

ყოველივე აღესრულება, მაგრამ... ამჯერად საით აპირებს ირანის ლომი ალლაჰისაგან ნაკურთხი მახვილის წარმართვას?

ნუ შეშფოთდება უნდილაძე — საქართველოში არ აგზავნის შაჰ აბასი. ისედაც ხომ რაღაცებს მოიგონებს უნდილაძე და მაინც დაიძვრენს თავს საქართველოში ლაშქრობისაგან... არხეინად ბრძანდებოდეს ირანის ვიცე-კოროლი!.. საქართველოსკენ კი არა, სამხრეთისაკენ სალაშქროდ უნდა მოემზადოს იმამ-ყული-ხან უნდილაძე.

ესეც კარგად იცის უნდილაძემ: აგერ ხუთი წელიწადია, შაჰის ბრძანებით იგი თვითონ უდგას სათავეში „სამხრეთული ომის“ საგზადოს.

და იმავე 1622 წელს (ლუარსაბ მეფის წამების წელს), იმამ-ყული-ხან უნდილაძემ სპარსი და გურჯი ჯარებით დაიპყრო შამი, შემდეგ ჰორმუზიდან გარეკა პორტუგალელები და ეს კუნძულიც ირანის ლომსახოვან დროშას დაუმორჩილა.

ამიერიდან გაეხსნა სპარსეთს სამხრეთულ ზღვათა კარიბჭენი.

ახალი, სამარადჟამო სტრიქონები ჩასწერა ქართველმა კაცმა სპარსეთის ისტორიაში.

ისფაჰანი დიდი ზარზეიმით შეეგება შამისა და ჰორმუზის გმირს.

ლექსები, პოემები, ბალადები, სიმღერები აზღვავდა იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასოებად და სადიდებლად.

(ჩვენს დრომდე მოატანა „უნდილაძის თემამ“ სპარსულ ლიტერატურაში. სპარსი პოეტი, კ ა დ რ ი, შამისა და ჰორმუზის ამბებს და მის მთავარ გმირს იმამ-ყული-ხან უნდილაძეს უღძვნის ორ პოემას — „ჯანგ ნამა-ი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“).

შაჰ აბასმა კი საგანგებოდ გამართულ ნადიმზე ეს უთხრა უნდილაძეს:

— რა ვქნა, აღარ ვიცი, რით დაგაჯილდოვო, — ერთი შაჰის ტახტი შემომრჩა და ამასაც შენ ველარ დაგითმობ, ამ ერთი რაიმეთი ხომ უნდა გავირჩევოდეთ მე და შენ ერთმანეთისგან; შეურიგდი და დარჩი ისევ ვითარცა „მეორე კაცი“ და „ვიცე-კოროლი“ ჩემს შემდგომო...

და იმ დღესვე, შაჰმა ორი უნდილაძე კიდევ დააწინაურა „ერთგულ გურჯთაგან“: ალავერდი-ხან უნდილაძის უმცროსი ძე, იგივე იმამ-ყული-ხანის უმცროსი ძმა, უკვე ჩვენთვის ნაცნობი დავითი ანუ დაუდ-ხანი გაჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა, ხოლო იმამ-ყული-ხანის ძე, სახელად ს ე ფ ი-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი — ლარის ბეგლარბეგად.

და, ალბათ, უნდა ეფიქრა იმჟამად იქ მყოფ გიორგი სააკაძეს:

მაინც რანი არიან ეს უნდილაძენი? მთელი თავისი წუთისოფელი ვითომც „თათრობენ“, მაგრამ არასოდეს ქართველობას არ ჰღალატობენ. საქართველოს მათის „თათრობით“ არასოდეს ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია. ოჯახებიც „წმინდა ქართული“ აქვთ. სპარსელთა შესახედავად, ჯამეში მუეძინის ყივილს „გულდასმით“ უსმენენ, მერე სახლში მიდიან და ჯვარცმის წინაშე მუხლმოყრილნი გულმხურვალედ ლოცულობენ პირჯვარის სახვით. მოყვრობა და ნათესავობა ისევ ქართულ ოჯახებთან აქვთ. იმამ-ყული-ხანს სამი ასული ჰყავს და სამივე ქართველზე გაუთხოვებია: ერთი ანდუყაფარ ამილახორს ჰყავს ცოლად — თვითონ შაჰ აბასის ცოლისძმას, მეორე — ამირ სპასალარ დაუდ-ბეგ გურჯს, მესამე — ალი-ყული ბეგ სააკაძეს, როსტომ სააკაძის ძმას; ხოლო, დაუდ-ხან უნდილაძეს ცოლად ჰყავს თეიმურაზ კახთა მეფის დაი — ელენე.

ჭკვიანი ხალხია უნდილაძენი!

კვლავაც მაღლა ფრენს არწივი უნდილაანთ საგვარეულო გერბით მკერდდამშვენებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

ხოლო, ქეთევან დედოფალი, დედა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველისა, აგერ მეათე წელიწადი შაჰ აბასისგან ტყვედ წაყვანილი, სწორედ იმამ-ყული-ხან უნდილაძის საბეგლარბეგოში, შირაზში ატარებდა ტყვეობას თვისას.

თვითონ „ვიცე-კოროლი" „თანამემამულე დედოფალს" და მთელს მის სახლეულსა და მსახურეულს დიდის პატივით ეპყრობოდა.

— ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი გახლავთ ჩვენიო, ამბობდა უნდილაძე; თუ მაინცდამაინც „ტყვეობაზე" დადგება საქმე ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო.

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩნია უნდილაძეს დედოფლისათვის.

ყველაზე მეტად მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი": ჰორმუზიდან წამოღებული ბიბლიოთეკა მთლიანად „სტუმარ დედოფალს" გაუგზავნა „წიგნის გიჟმა" უნდილაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა — ქალი და კაცი. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც „გიორგი ხუცესს" ეძახდნენ. იგი იყო დედოფლის კარის მღვდელიც, სახლთუხუცესიც, სუფრაჯიც, მოურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა ქეთევან დედოფლისა და გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კოლონიას", „თათარ სპარსელთა" და „გათათრებულ ქართველთა" ზღვაში.

გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილაძე, დედოფლისა და მისი კოლონიის ამბავს გამოიკითხავდა, ყოველ საჭირო საგანს, „საზრდელს" და „მისართმეველს" მიართმევდა და ისე გამოისტუმრებდა.

ყველაზე დიდი საწუხარი ეს ჰქონდა დედოფალს: ტყვედ წამოყვანილი შვილიშვილებისა არაფერი იცოდა. რა რომ შირაზში გადმოასახლეს, ერთხელაც არ შეახვედრეს არც ლევანი, არც ალექსანდრე.

„უნდილაძისგან ვიცი, შაჰ აბასი ცალკე საგანგებოდ ზრდის თეიმურაზის შვილებსო", მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე გიორგი ხუცესი. ეს იყო და ეს.

სინამდვილეში კი, — უნდილაძის მკაცრი ბრძანებით, არ უმხელდნენ ქეთევან დედოფალს, როგორ დაახოჯავა შაჰ აბასმა მისი შვილიშვილები, როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ჭკუიდან შეშლილი ლევანი...

უნდილაძემ ერთხელ გიორგი ხუცესის ხელით ნაშენები ბაღი მოი-

ხილა და ისე მოიხიბლა, მაშინვე ისფაჰანს გაგზავნა და შაჰ აბასის ბა-
ღები გაამართვინა და გაამშვენიერებინა „უცნაურ ხუცესს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რა არ გამოვა ქართველი კაცის ხელიდანო“, თქვა შაჰ-აბასმა, ახა-
ლი წალკოტის ხილვით და ხიბლით გაოცებულმა.

უნდილაძემ უმდიდრესი მისართმეველით დატვირთული ჩამოიყვანა
გიორგი ხუცესი ისფაჰანიდან შირაზში...

და დამდგარიყო 1624 წელი — მეათე წელიწადი ქეთევან დედოფლის
ტყვეობისა, როცა იმამ-ყული-ხან უნდილაძემ შაჰ აბასის ფიცხელი ბრძა-
ნება მიიღო:

„დაუყოვნებლივ ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, ქრის-
ტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძა-
ნება არ აღასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილს!“

ზარი დაეცა შირაზის ხანს.

„არ იქნება და არასგზით არ გათათრდება ქეთევანი... და ამისთვის
მე, უნდილაძემ, ტომით ქართველმა, მოვკლა საქართველოს დედოფალი,
დედა ქართველი ხელმწიფისა, სათაყვანო და სალოცავი ქართველი ხალ-
ხისა?!“

სასწრაფოდ პასუხი გამოუგზავნა შაჰს: ნუ იკადრებ და ნუ აღმარ-
თავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო; რას აქნევთ მის გათათრებასო;
განა თქვენთვის სირცხვილი არ იქნება ესოდენ სათნო ქალის სიკვდილი?!

აზვავდა შაჰ აბასი. ხელახლა აფრინა ფაიქი უნდილაძესთან სასტიკი
ბრძანებით: შენ რასაც ვიბრძანებ, ის შეასრულე დაუყოვნებლივ!..

სხვა გზა აღარ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს.

ეახლა და ეაჯა კრძალვით, თავაზით, მარწმუნებელი შეგონებით: ნუ
შეეცდები წინაღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძანებასო; მიიღე მაჰმადიანო-
ბა, ამით არაფერი დაშავდებაო; გარეგნულად აღიარე მხოლოდ სპარ-
სელთა საჩვენებლად, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი დარჩებიო.

ემუდარებოდა უნდილაძე ღვთაებრივ ქალს და „სტიროდა მსგავსად
ჰეროდეს ჯალათისა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა თავის მოკვეთა
იოანე ნათლისმცემლისა“.

ქეთევანმა კი მოკლედ, მშვიდად და შეუვალად სთქვა თავისი პასუხი:

— ჩემო კეთილო ძმაო! სხეულის სიკვდილისთვის არ გავწირავ სულ-
სა ჩემსა! რასაც ჰქვია ქრისტიანობა და ქართველობა! სხეული მიწაა და
დღეს თუ ხვალ ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და
საქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვე ჩასახლებულა, უკვდავია,
მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელმწიფეს ძალუძს და არც მის
ცრუ ღვთაებას!

შენს ხელმწიფესო?! — გულზე დაესო უნდილაძეს დედოფლის სიტყვა.
მე მისთვის ქართველი არ ვყოფილვარო, გაიფიქრა გულადუღებულმა
ვაჟკაცმა.

კვლავაც დიდხანს ეველრა და ემუდარა, მაგრამ კვლავაც „ამარად დაშვრა იგი მრავლის ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“.

დარწმუნდა იმამ-ყული-ხანი, ვერავითარი ძალა, ვერც დედოფალი და ვერც სატანა, ველარ შეარყევდა დედოფლის გადაწყვეტილებას.

და აღესრულა ქართველთა ისტორიის მარად სანიშანსვეტო წამება ქეთევან დედოფლისა — 1624 წლის 13 სექტემბერს.

(აქამდე არცერთ უნდილაძეს ასეთი გაწბილება არ უგემნია)...

. . . . . .

1625 წელს, თორმეტი წლის „გათათრებული“ გიორგი სააკაძე ისევ „გადმოქართველდა“, შაჰ აბასს აუჯანყდა და მარტყოფის ველზე 30 000-ანი ირანული არმია სრულად გაწყვიტა და მიწას გარია.

გაცოფებულმა შაჰმა სააკაძეს მისი ძის პაატას მოკვეთილი თავი გამოუგზავნა და სარევანშოდ, საქართველოს „ერთხელ და სამუდამოდ“ მოსასპობად ახალი საომარი ძალები აწვია.

საქართველოს ამოსაგდები საომარი წვევა განჯაშიც მივიდა. შაჰი მისგანვე აქ, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნულ დავით უნდილაძეს უბრძანებდა: სასწრაფოდ შენი საბეგლარბეგოს მხედრობით აღიკაზმე და საქართველოსკენ უკვე მიმქროლავ ჩემს ურდოს შეუერთდიო.

და, პასუხად შაჰმა მისი „საყვარელი“ და „იღბლიანი დაუდ-ხანისგან“ მიიღო... ცივი უარი.

მაშ, ისევ უარი!.. და თვითონაც კვლავ ვერაფრით ვერ უპასუხა ამ მორიგ „უნდილაურ ახირებას“ ირანის ლომმა...

ის ლაშქრობა, იმავე 1625 წლის 1 ივლისს, „მარაბდის ბრძოლით“ გათავდა. ეს იყო ქართველთა გმირობის აპოთეოზი — თუნდაც უიღბლო. შაჰი გამარჯვებას თავისად მიიჩნევდა, მაგრამ ქართველები, სააკაძის და თეიმურაზ მეფის მეთაურობით, ნამდვილ „სამამულო ომს“ ახლა იწყებდნენ...

. . . . . .

1626 წელი, შირაზი.

დარბაზობა აქვს ირანის „ვიცე-კოროლს“, იმამ-ყული-ხან უნდილაძეს.

იქ დამსწრე ინგლისელი ჰერბერტი გაოცებულია მასპინძლის სიმდიდრით. უთავალავი ოქრო-ვერცხლის ლანგარნი, ძვირფასად ნახელავი სასმურნი, ფარდაგნი, კრეტსაბმელნი, ნოხები, ხალიჩები, ურიცხვი თვალმარგალიტი.

ძმასთან სტუმრად არის დავით უნდილაძეც.

შათირი მოიჯრა ისფაჰანიდან,

შაჰ აბასი სასწრაფოდ იწვევდა ორივე ძმას.

მოტეხილი და მოთელილი ეჩვენათ შაჰი უნდილაძეებს. საოცრად დაღლილი, გალახული სახე ჰქონდა. თვალებსაც დაჰკარგვოდა ბრძოლა-ბური ცეცხლი და ელვამკრთომელობა.

— ოსმალებს ბაღდადი ალყაში მოუქცევიათ. შენ, იმამ-ყული-ხან, სასწრაფოდ უნდა გაეშურო შენის მხედრობით ბაღდადისაკენ! — უბრძანა შაჰმა უფროს უნდილაძეს.

მერე უმცროსს მიუბრუნდა და ჩამქრალი ხმით უთხრა:

— შენ კი, დაუდ-ხან, უნდა წახვიდე... საქართველოში!

— საქართველოში?!

— ნუ შეშფოთდები — საომრად არ გაგზავნი შენს საქართველოში... სამშვიდობოდ წახვალ.

— სამშვიდობოდ?!

— სწორედ.

— ვისთან?

— თეიმურაზთან.

თეიმურაზთანო? ვინ მოელოდა და ვინ წარმოიდგენდა ამას? შაჰ აბასი თეიმურაზს მშვიდობის ჩამოგდებას ეაჯება?! ნუთუ სცნო თავი დამარცხებულად ირანის ლომმა საქართველოს მეფესთან ოცწლიანი სამ-კვდრო-სასიცოცხლო ომის შემდგომ?!

ჰო, თეიმურაზს უნდა ეახლოს დაუდ-ხან უნდილაძე და შაჰის სახელით სამძიმარი მოახსენოს დედისა და შვილების სიკვდილის გამო! ბოდიშიც მოუხადოს, შაჰს ასერიგად რომ დააგვიანდა სამძიმრის გაგზავნა (თურმე ხდება ასეთი რამეც: მკვლელი სამძიმარს უცხადებს მისი ხელით ამოწყვეტილი შვილებისა და დედის ჭირისუფალს)! ესეც იცოდეს თეიმურაზმა: რაც ამ ბოლო დროს საქართველოში დატრიალდა, შაჰს თეიმურაზის ბრალად არ მიაჩნია, — ყველაფერი მხოლოდ გიორგი საакაძის ბრალია, ბრალი ცბიერი მოურავ-ხანისა, ერთნაირად რომ ღალატობს ყველას — ქართველსაც, სპარსელსაც და ოსმალოსაც. კარგად იცოდეს თეიმურაზმა, შაჰ აბასის გაზრდილმა და ნაამაგარმა, რომ საакაძე ორივეს „თანაბარი სიამოვნებით“ დალევს — შაჰის სისხლს და თეიმურაზის სისხლს... ბოლოს და ბოლოს, იყოს თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, ოღონდ თურქულ და რუსულ ხალათებს ნუ ჩაიცვამს და ნუ დაავიწყდება, რომ იგი მაინც შაჰ აბასის „ჩრდილის ქვეშ არის გაზრდილი...“, და ბოლოს — იქნებ თვითონ პირადად ეწვიოს გაზრდილი გამზრდელს!..

— ტფილისში ჩახვალ, დაუდ-ხან, იქ მოიწვევ და შეხვდები თეიმურაზს. იქვე მოელაპარაკები და იქიდანვე შიკრიკის ხელით გამომიგზავნი სამშვიდობო წერილს თეიმურაზ მეფის ხელრთვით, — დაასრულა შაჰმა.

— შიკრიკიც არ დამჭირდება, მე თვითონ პირადად გაცნობებთ ყოველივეს, — შეაგება დავით უნდილაძემ.

— არა, შიკრიკი გამომიგზავნე, ხოლო შენ ტფილისიდან განჯას გაეშურე და იქვე დარჩი.

— განჯაში რისთვის, ხელმწიფეო?

— ამიერიდან შენ ისევ დანიშნული ხარ განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგად.

ასე განუწესებია შაჰ აბასს: ირანის იმპერია ისევ ლამის ძმები უნდილაძეებისთვის გაუყვია სამმართველოდ — სამხრეთში იმამ-ყული-ხანი, ჩრდილოეთში დაუდ-ხანი...

. . . . . .

ტფილისისკენ მოჰქრის დავით უნდილაძე, განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი, შაჰ აბასის „რჩეული გურჯი", დიდი მისიით აღჭურვილი დაისპანი: მან ზავი უნდა ჩამოაგდოს ქართველ-სპარსელთა „ოცწლიანი ომის" თავზე.

სიხარულით აღვსილი მოჰქრის დავით უნდილაძე საქართველოსკენ.

გათათრებულ ქართველსაც უხარია უძლეველობა მისი დაკარგული სამშობლოისა.

უხარია, რომ არც ერთ უნდილაძეს — არც მამას და არც შვილებს — არასოდეს ქართველი კაცის სისხლი არ დაუქცევია.

. . . . . .

ტფილისი. 1625 წელი.

საზავო მაგიდას უსხედან „მოპირდაპირენი", ერთი — საქართველოს მხრივ, მეორე — სპარსეთის მხრივ, და ორივენი არიან ქართველნი.

და შეთანხმდნენ თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

შაჰ აბასი ცნობს თეიმურაზის უმაღლეს ხელისუფლებას „მის გურჯისტანში". თეიმურაზიც კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „მისი სისხლის დასაქცევად აღმართული ყიზილბაშური მოწამლული მახვილები შაჰის ბრძანებით ჩაგებულია ქარქაშებში", და თავის მხრივ ქართველთა მეფე პირობას იძლევა „თურქული ხალათი გაიძროს და სპარსული ჩაიცვას". რაც შეეხება „გამზრდელთან გაზრდილის" პირადად გამოცხადებას, თეიმურაზს ამჯერად არ მიაჩნია თავისი თავი „ღირსად ესოდენ დიდი პატივისა" და შეეცდება მომავალში ჩაიდინოს „ისეთი საქები და მოსაწონი საქმენი", რომ პირნათლად წარსდგეს „ალლაჰის ჩრდილის" წინაშე.

დასრულდა თუ არა მოლაპარაკება, დავით უნდილაძემ ისფაჰანს ფაიქი აფრინა და შაჰ აბასს აცნობა: თეიმურაზ მეფე ჩვენი სიახლოვის, „მორჩილებისა და დამჯერეობის შარაგზას ადგასო".

შაჰი კმაყოფილი იყო. საქართველოს მხრიდან „საშიშროებამოხსნილს“ შეეძლო უფრო თამამად და გულსრულად შეეტია ოსმალებისათვის.

იმავე წელს იმამ-ყული-ხან უნდილაძემ ბაღდადი იხსნა [illegible] ალყისაგან. უნდილაძის „ძლევა-გამარჯვებისა და ოსმალთა [illegible] მარცხის ამბები მთელს ქვეყანას კიდით-კიდე მოედო“.

ერთი სასიხარულო ამბავი სტამბოლიდანაც შეიტყო ირანის ხელმწიფემ: მომკვდარიყო მეჰმედ-ფაშა, თურქეთის დიდი ვეზირი, ტომით ქართველი...

მაგრამ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავიც შეატყობინეს შაჰს იმ დღეებში — ი ო თ ა მ - ს უ ლ თ ა ნ გ უ რ ჯ ი ს მოულოდნელი სიკვდილი. იოთამი თვითონ შაჰის აღზრდილი ყოფილა, ძალიან ერთგული, ჭკვიანი და მამაცი ჭაბუკი. იგი დარუბანდის მმართველად წარუგზავნია ხელმწიფეს. დარუბანდშივე მომკვდარა რაღაც უცებისი სიკვდილით იოთამ გურჯი.

ასე გამოვიდა: ერთი „ნაქართველარის“ (მეჰმედ-ფაშა) სიკვდილმა ძალიან გაახარა შაჰ აბასი, მეორის (იოთამ გურჯი) სიკვდილმა კი ძალიან დაამწუხრა.

. . . . . .

მთელი დღე ნადირობდნენ ალაზნის ველზე თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

მაინც არ ჰგავდა ნადირობას.

მთელი ღამე სანადიმო სუფრას უსხდნენ.

მაინც არ ჰგავდა ნადიმობას.

საქართველოს ჭირვარამზე მსჯელობდნენ, დავობდნენ, ჰაექრობდნენ.

მათი იდუმალი, ზოგჯერ ზახშერეული, ზოგჯერ ნერვიული ხმა ძილს უფრთხობდა ტყეში ჩაბუდრულ ნადირს და ფრინველს.

ღამე შემოაცვდათ.

ვარსკვლავები შეადნენ ზეცას.

ფეხზე წამოდგნენ — ქართველი მეფე და ქართველი ბეგლარბეგი.

ხანჯლები გაიძრეს.

ერთმანეთს ვერცხლი აათალეს ვერცხლის ქამართაგან.

ღვინით ავსებულ ყანწში ჩაჰყარეს ანათალი.

ნახევრამდე სულმოუთქმელად დალია თეიმურაზმა.

სულმოუთქმელად დასცალა მეფის ნასმური სასმური უნდილაძემ.

აწ ძმადნაფიცნი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

. . . . . .

1629 წლის 19 იანვარს მოკვდა შაჰ აბასი — ირანის დიდ აღმაშენებელი და საქართველოს დიდი დამაქცევარი.

ირანის ტახტზე ავიდა ჩვიდმეტი წლის შაჰ სეფი, დედით ქართველი, და კიდევ — დიდი შაჰ აბასისა და თამარ ამილახორის შვილიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო უნიჭო, უნებო, უხიაგი და სასტიკი.

სახელმწიფოს ნამდვილი გამგებელი კი — იყო ხოსრო-მირზა, ორივე მშობლით ქართველი (გავიხსენოთ: მამა — დავით (დაუდ-ხან) ბაგრატიონი, დედა — წავკისელი გლეხის ქალი).

აკი ისფაჰანის ტარუღობით დაიწყო მისი კარიერა — გიორგი საакაძემ და იმამ-ყული-ხანმა რომ უშუამდგომლეს მისი დაწინაურება შაჰ აბასს.

ხოლო ახლა ყველა ამას ამბობდა: ირანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებაო. შაჰი მის დაუკითხავად წყალსაც არ გადაღვრისო.

მაშ ყველა დაეჩრდილა ხოსროს.

თითქოს უნდილაძეების ვარსკვლავებიც კი დაეჩრდილა მის ვარსკვლავს.

თუმცა, მაინც ხოსრო-მირზას „რჩევით და ჩარევით" ეწერა ქართველთა სახელები შაჰ სეფის ხელრთვით შედგენილ სიაში:

იმამ-ყული-ხან უნლიდაძე — ბეგლარბეგი ფარსისა, ქუჰგილუიესა, ბაჰრეინისა და ხუზისტანისა;

სეფი-ყული-სულთან უნდილაძე, იმამ-ყულის-ძე — ბეგლარბეგი ლარისა (სეფე-ყული სინამდვილეში შაჰ აბასის „ნაეშმაკარი" შვილიაო, ამბობდნენ ხალხში);

დაუდ-ხან უნდილაძე, იმამ-ყულის უმცროსი ძმა — ბეგლარბეგი განჯა-ყარაბაღისა;

ფეროს-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი დარუბანდისა;

სეფი-ყული-ხან შირ-ალი ქართველი — ყორჩიბაში (ცხენოსანთა სარდალი) და ბეგლარბეგი არაბული ერაყისა;

ჯემშიდ-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი ავშარიისა და ხორასანისა;

ალი-ყული-ბეგ საакაძე, ძმა როსტომ-ხან საакაძისა, სიძე იმამ-ყული-ხან უნდილაძისა — სპასალარი და ბეგლარბეგი თავრიზისა.

. . . . . .

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ირანის ახალი შაჰის კარზე მაინც უნდილაძეები უკვე აღარ იყვნენ „მოდაში".

აღარ იყვნენ, რადგან „ორი ქართული ნაკადი" არ შეიძლებოდა უცხოეთის სახელმწიფო დარბაზის ჭერქვეშ „ერთნაირ მოწონებაში" მოთავსებულიყო.

ხოლო შაჰ სეფის კარზე ერთი ხოსრო-მირზა იყო „მოდაში“ — და ამიტომ, ვითარცა „ორი მუხის წესი“, მეორე ქართველს ახლომახლო აღარ დაედგომებოდა, თუნდაც ის მეორე „მუხა-ქართველი“ სახელოვანი ... ლაძეთა გვარგუჯაბისა ყოფილიყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ერთ დღეს, შაჰ სეფი ბაღში სეირნობისას, ცადავარდნილ ალვისხეებს მიადგა, უყურა, უყურა და თქვა:

„ძალიან გაზრდილან და გამსხვილებულან ეს ხეები, აუცილებლად უნდა მოვჭრათ და მათ ნაცვლად ახალი ნერგები ჩავყაროთ!“

გასაგებად იყო ნათქვამი.

„გასაგებადაც გაიგო“ ერთმა იქ მყოფმა კარისკაცმა, — შაჰის წინ მუხლებზე დაეცა, კისერი წარუპყრა და შესძახა: დიდებულად ბრძანებთ, დიდო ხელმწიფევ! აჰა, მზად გახლავართ თავი გამაგდებინოთო!

„შენ არა ხარ ის ხე, რომელიც უნდა მოიჭრასო“, დაამშვიდა შაჰმა კარისკაცი, რომელსაც, ალბათ, არ გააჩნდა „მოსაჭრელი ხის“ სიმაღლე და სისრულე.

მაშ, ვინ მიაჩნდა შლეგიან ხელმწიფეს „ზრდა-ნაჭარბ ხეებად“, რომელთაც უკვე დასდგომოდათ მოჭრისა თუ მოთხრის დრო-ჟამი?!

თურმე ძმანი უნდილაძენი — იმამ-ყული-ხან და დაუდ-ხან!

თურმე შაჰის წალკოტში „ახალნერგი ხე“ გამძლავრებულიყო, რომელიც ვეღარ ითმენდა თავისი ჯიშის „ჟამმორეულ ხეებს“.

ეს „ახალნერგი“ სწორედ ხოსრო-მირზა იყო — ტომით ქართველი, ხოლო სხვა ქართველებს, „როგორც წესი“, მის ახლოს აღარ დაედგომებოდათ.

ერთი სიტყვით, ხოსრო-მირზას რომ „გაეხარა“, უნდილაძენი უნდა „მოკვეთილიყვნენ“.

. . . . . .

ბოლოს და ბოლოს, შაჰ სეფისთვის ცნობილი შეიქნა ერთი უცნაური ამბავი. თურმე იმამ-ყული-ხან უნდილაძეს შირაზში, თავისი საბეგლარბეგოს შუაგულში, ბრწყინვალე დარბაზობა გაუმართავს და სტუმრად მისი ძმის, დაუდ-ხანისა და ინგლისელი სამხედრო ატაშის, ჰერბერტის გარდა, მიწვეული ჰყოლია თეიმურაზ მეფე.

შირაზის ბეგლარბეგის „შაჰზე უბრწყინვალეს“ მეჯლისსაც რომ თავი დავანებოთ (ამას ყველა შეგუებული იყო, უნდილაძეებს რომ „შაჰებზე უკეთესი“ ცხოვრება უყვარდათ!), საოცარი და დაუჯერებელი მაინც ის გახლდათ, რომ თეიმურაზი შირაზში ისე ჩასულა და საქართველოშიც უკანვე ისე დაბრუნებულა, არც შაჰს და არც მის „მამიკო“ ხოსრო-მირზას ამის შესახებ არაფერიც არ შეუტყვიათ!

ეს როგორ მოხდა, რომ ქართველმა მეფემ, ირანის ქვეშევრდომმა, ირანში ირანის შაჰის გვერდის ავლით გაბედა „მისვლა-მოსვლა“?!

ან რას ჩურჩულებდნენ თეიმურაზი და ძმანი უნდილაძენი შაჰსა და ხოსრო-მირზას ზურგს უკან, შირაზის სადარბაზოში?!

„შეთქმულება რაიმე“ ხომ არ გაუწყვიათ „გველის ჭკუის მქონე გურჯებს“ სეფი შაჰის ტახტის დასამხობად?!

ეს ხომ აშკარად ცნობილია, რომ ძმებს უნდილაძეებს დასაწყისშივე არ უნდოდათ სეფის გამეფება. გამორჩევით, იმამ-ყული-ხან უნდილაძე აპირებდა თურმე შაჰის ტატხზე „უფრო კანონიერი მირზას“ აყვანას. ალბათ, კიდევაც გაიტანდა თავისას „ყოვლისშემძლე უნდილაძე“, რომ ამ ქვეყანაზე ალლაჰის ნებით მოვლენილი არ ყოფილიყო „დიდი ხოსრო-მირზა“!

მაინც ვინ არის ის „უფრო კანონიერი მირზა“, უნდილაძე რომ უპირებდა გამეფებას? თვითონ უნდილაძის უფროსი ვაჟი, რომელიც თითქოს უნდილაძის კი არა, შაჰ აბასის პირმშო ძე იყოს!

მაინც საიდან ვრცელდება ეგზომ ბრიყვული ხმები?!

მაინც არ ნელდება უნდილაძეთა სადიდებელი მითქმა-მოთქმა „მთელს ენგიდუნიაზე“. ინდოეთიდან ესპანეთამდე ამას გაიძახიან დაბეჯითებით: იმამ-ყული-ხან უნდილაძე ის ვაჟკაცია, რომელსაც რა დღესაც მოესურვება, იმ დღესვე დაბრძანდება ირანის შაჰის ტახტზეო.

უეჭველად უნდა მოისრას იმამ-ყული-ხან უნდილაძე. უნდა მოისპოს დაუნდობლად, უნდა მოითხაროს ძირბუდიანად, ცოლ-შვილიანად, დედაწულიანად!

დაუდ-ხან უნდილაძეც უნდა მიჰყვეს თავისი უფროსი ძმის კვალს, — ისიც უნდა განადგურდეს დედა-წულით და ნაშობ-ნაგრამით!

მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ძმანი უნდილაძენი ძალიან უყვარს სპარსელ ხალხსო, „ორივე ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი სპარსეთის საყვარელ ადამიანებად გამხდარანო!“ — რამდენიმეჯერ მოახსენეს შაჰს.

სპარსელ ხალხს უყვარსო?!

მთელს სპარსეთს უყვარსო?!

როგორ დაცემულა სპარსეთი და სპარსელი ხალხი, ცბიერი გურჯების ფერხთა მტვრად რომ ქცეულან!

თუმცა რა გაეწყობა, — „ხალხის სიყვარულსაც“ უნდა გაეწიოს ანგარიში.

ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიტყოს „მისი გმირების“ ნამდვილი სახე და შინაარსი, — უნდა მიხვდეს და შეინანოს, რანაირ კერპს ეთაყვანებოდა და ემონებოდა.

და ამოქმედდა სეფი შაჰი.

დაიწყო უმცროსი უნდილაძით,

1630 წელს სპარსელებმა ხოსრო-მირზას მთავარსარდლობით ილაშქრეს ბაღდადს, დაამარცხეს თურქთა არმია, გააქციეს სერასქერი ხუსრევ-ფაშა, ბაღდადი ისევ მოიმტკიცეს და დიდძალი ნადავლით დატვირთულნი შემოიქცნენ გამარჯვებულნი.

ბაღდადს მოლაშქრე სარდალთა შორის იყო დაუდ-ხან უნდილაიძეც, განჯა-ყარაბაღის მხედრობით.

და იქიდანვე აუბეს ხრიკი და შარი თავმომწონე გურჯს: რამდენიმე ყაჯარი წარჩინებული მთავარსარდალს ეახლა და მოახსენა, — დაუდ-ხან უნდილაძე ყველას უხეშად, აგდებით და ქედმაღლურად გვექცევაო!

იდროვა ხოსრო-მირზამ, უნდილაძე გამოიძახა, საჩივარი გააცნო და „ურჩია“: ხელქვეითებს დღეიდან შემწყნარებლურად მოექეცი.

უნდილაძემ საყვედური იუკადრისა.

ხოსრო-მირზამაც „ქვეშევრდომი ქართველის“ უკადრისობა ფეხებზე დაიკიდა.

უნდილაძემ „მედროვე-თანამემამულეს“ ზურგი შეაქცია და მისი მბრძანებლური შეგონება უპასუხოდ დააგდო.

ხოსრო-მირზამ რისხვა გულს დაიკრძალა და ისფაჰანში დაბრუნებულმა შაჰს ყოველივე დაწვრილებით და გაზვიადებითაც აუწყა.

შაჰ სეფიმ საგანგებო მეჯლისი მოიწვია და დაუდ-ხან უნდილაძე ვითომ „ფრთხილი“ საყვედურებით „შეალამაზა“. ისევ არ სცნო საყვედურის ღირსად თავი უნდილაძემ.

მაშინ კი იჭექა შაჰმა. ჯალათებს ანიშნა. ჯალათები უნდილაძეს დაეძგერნენ, გარეთ გაათრიეს, არგანი შემოჰკრეს და ისევ უკანვე შემოიყვანეს.

„მამაშენის ნამსახურობისა და შენი უფროსი ძმის პატივისცემა რომ არ მქონდეს, ბეგლარბეგობასაც წაგართმევდი და იქნებ სიცოცხლესაც გამოგასალმებდიო“, უთხრა შაჰმა მოშაინური ღრეჯვით.

არც ერთი სიტყვა სინანულისა, საყვედურისა, სიმდაბლისა და სიმონავისა, — რაიც მის მაღალ ღირსებას და ამაყ სულს შებღალავდა — არ წასცდენია უნდილაძეს.

შაჰმაც მეტი ველარ შეჰბედა იმჯერად.

ის დღე როგორც იქნა განესრულა, ღამეც მიჰყვა და დილით შაჰმა და ხოსრო-მირზამ ისევ მოიკითხეს ურჩი ბეგლარბეგი.

დაუდ-ხან უნდილაძე წუხელის ცხენს მოახტა და ყარაბაღისაკენ გაეუსლაო, — იყო პასუხი.

როგორ თუ შაჰის დაუკითხავად გაბედა წასვლაო!

ეს ხომ გაქცევაა ურჩი ქვეშევრდომისა, გაქცევა და იქნებ... ღალატიც?!

მერე, იქვე, მეზობლად არის თეიმურაზ მეფე.

ხოლო, თეიმურაზი და დაუდ-ხანი „დიდი დოსტები“, ანუ — როგორც ქართველები ეძახიან — „ძმადნაფიცები“ ყოფილან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰმა ისიც შეიტყო, რომ ისფაჰანიდან გაქცეული დაუდ-ხან უნდილაძე და თეიმურაზ მეფე კახეთში ერთმანეთს შეხვედრიან სანადიროდ, მაგრამ ეს კი აღარ იცოდა შაჰ სეფიმ: უნდილაძემ ქართველი მეფე დაარწმუნა, რომ მას შაჰ სეფი და ხოსრო-მირზა მზაკვრულად თავს უქონიენ და ღღეს თუ ხვალ ქართლ-კახეთის მეფობას ხელიდან გამოგლეჯენ...

. . . . . .

ღაღლილმა მონადირეებმა მუხლი ჩაიკრიფეს, ხის ძირას, ჩრდილში. და დავით უნდილაძემ უამბო თეიმურაზ მეფეს:

„ერთხელ თურმე შაჰ აბასმა ჩემი ძმა იმამ-ყული-ხანი თავის ჰარამ-ხანაში წაიყვანა და უთხრა: ჩემი შენდამი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ჩემს ცოლთაგან ერთ-ერთი მინდა მოგიძღვნა და, აჰა, რომელიც ყველაზე უფრო მოგეწონოს, ამოირჩიე და წაიყვანეო. იმამ-ყულიმ ქალი აარჩია და წაიყვანა. ხუთი თვის თავზე კი იმ ქალს ვაჟი შეეძინა. თურმე ნაყოფი შაჰ აბასისგან გამოჰყოლოდა. იმამ-ყულიმ ბიჭი თავის ძედ გაზარდა და შაჰისთვის არაფერი გაუმხელია. ის ბიჭი ახლა შაჰ სეფიზე უფროსია — 24 წლისა. მისი სახელია სეფე-ყული-სულთანი, ბეგლარბეგი ლარისა. აი, ვინ არის „კანონიერი მირზა-ბატონიშვილი, ვისაც ეკუთვნის ეპყრას ირანის ტახტ-გვირგვინი!“...

. . . . . .

არც ამ საუბრის შესახებ იცოდა რაიმე სეფი შაჰმა.

უამისოდაც ხლართავდა იგი ხვანჯებს უნდილაძეთა ამოსაგდებად.

ერთ ღღეს დაუდ-ხან უნდილაძემ შაჰისგან ახალი თანამდებობა მიიღო: იგი, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგობის გვერდით, დანიშნულია აგრეთვე ტფილისის მმართველად!

მაშ, შურისგებისა და სასჯელის ნაცვლად ახალი აღზევება და პატივი!

უეჭველად რაღაც ხრიკი და მახე უნდა იყოს გაწყობილი შაჰის ბოროტი საბუდარიდან.

და მართლაც: შაჰ სეფი ტფილისის ყიზილბაშური ციხიონის უფროსს უთვლიდა საგანგებო იდუმალებით: როგორც კი დაუდ-ხან უნდილაძე ტფილისში გამოჩნდეს, მაშინვე შეიპყარ, მოახრჩე, თავი გააგდებინე და გამომიგზავნეო.

უნდილაძე განჯაში დარჩა. ტფილისს „სამმართველოდ“ თავისი მოადგილე გაგზავნა.

ეს პირველი ხრიკი რომ ჩაიშალა, შაჰმა მეორე მუხანათობა ჩაიფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა: განჯაში თოფი უნდა გავარდნილიყო და იმ თოფს „შემთხვევით“ დაუდ-ხან უნდილაძე უნდა მოეკლა.

მაგრამ ის მეთოფეც თოფის გავარდნამდე გაქრა „რაღაცნაირად“.

. . . . . .

ხოლო, თეიმურაზ მეფეს დაუდ-ხან უნდილაძის ფაიქები ესტუმრნენ და წერილი გადასცეს.

მეფემ, ის წერილი რომ წაიკითხა, მაშინვე თავისი პოეტური ქნარი გადასდო და ისევ უქარქაშო ხმალს ჩაავლო ხელი.

. . . . . .

1632 წლის სექტემბერი. ჟამი ნადირობისა.

დაუდ-ხან უნდილაძე განჯაში სანადიროდ იკაზმებოდა.

მოულოდნელად სამი კათოლიკე მისიონერი ეწვია საქართველოდან — პიეტრო ავიტაბილე, ჯაკომო სტეფანი და მეტეო ფიორინო. ტფილისში იქაურმა ყიზილბაშებმა გაგვძარცვესო და იქნებ დაგვეხმარო დანაკარგის ამოგებაშიო, შესჩივლეს ბერებმა „ტფილისის მმართველს“. გათათრებულ უნდილაძეს გული და სული ხომ ქრისტიან-ქართველისა ჰქონდა და ყოველთვის დიდის პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდა ევროპელ „ქრისტესმიერ ძმებს“. ამჯერადაც უნდილაძემ „არაფერი დაიშურა“ მათთვის: ფულიც მისცა, ცხენებიც, აქლემებიც და ექვსი მოსამსახურეც დაუნიშნა; ტფილისის ციხისთავსაც ბრძანება გაუგზავნა — დაზარალებულთ დანაკარგი აუნაზღაურეთო; განჯაში ადგილიც გამოუყო პატრებს, კათოლიკური ეკლესიისა და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

მერე მთელი ოჯახითა და ქონებით აიბარგა უნდილაძე, აიყოლია ყაჯარი დიდებულები, სარდლები, რჩეული ყაჯარული ლაშქარი და გამოუცხადა, — საქართველოში მივდივართ სანადიროდ; იქ, მდინარე ივრის ხეობაში თეიმურაზ მეფე შემოგვხვდება თავისი ამალით და, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდებულ ნადირობა-ნადიმობას შევყვებით სტუმართმოყვარე ქართველებთანო.

ყაჯარ-ყიზილბაშთაგან არავის გაჰკვირვებია, არც არავინ შეფიქრიანებულა, რადგან უჩვეულო არაფერი ხდებოდა. აკი ასე დადიოდნენ ყოველთვის ნადირობის ჟამს ივრის ნაპირებზე სანადიროდ და სანადიმოდ ქართველებთან ერთად.

ქართულ მიწაზე შესდგეს ფეხი, ივრის ნაპირებს გაუყვნენ გულდანდობილად.

შემოეგებნენ ქართველები.

წინ თეიმურაზი მოუძღოდათ, სანადიროდ აღკაზმული.

მეფე და ბეგლარბეგი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

სანამ ნადირობას შევუდგებოდეთ, მანამ მცირე ინადარ უნდა ვიმეძ-ღოთო, ბრძანა მეფემ და კარვისაკენ გაუძღვა სტუმრებს.

კარავში მასპინძლებს ხალიჩები გაეგოთ და ზედ უხვად დატვირთული სუფრაც გადაეშალათ.

ყაჯარმა დიდებულებმა და სარდლებმა ხალიჩებზე მუხლები ჩაიკეცეს და ის იყო, ხელი სუფრისკენ წაიწვდინეს, რომ ელვასავით შემოიჭრნენ ხმალშემართული ქართველები.

შემოიჭრნენ და დაერივნენ ყიზილბაშებს.

რამდენიმე წუთში ყველა ყაჯარყიზილბაში დაჩეხილი ეყარა ძირს.

ქართველები ისე გაფიცხებულიყვნენ, თათრულად გამოწყობილ უნ-დილაძესაც კინაღამ უჭირეს ხმალი.

გარეთ გამოცვივდნენ და მყისვე ცხენებს მოახტნენ თეიმურაზი და უნდილაძე.

ქართველთა ჯარი უკვე დასძგერებოდა ყიზილბაშთა მხედრობას.

ვიღაც მოლა გამოექცა საშინელ ხმალთაკვეთებას და დაუდ-ხანს მი-ვარდა კივილით:

„ქართველებმა გვიღალატეს, ბეგლარბეგო, ხალხს ვიხოცავენ და შენ მაინც უშველე თავს!“

გადაიხარხარა უნდილაძემ:

„ეჰეი, მოლავ, შე უბედურო, როგორ ტყუილად დაფეთებულხარ! არაფერი უბედურება არ მომხდარა. რასაც შენ ჰხედავ, ეგ გართობაა, თავშესაქცევი თამაშობა. ჯერ სადა ხარ — ამნაირ სეირს კიდევ ბევრს ნახავ!“

სულ მალე შვიდასი ყაჯარ-ყიზილბაში უსულო ლეშად ელაგა ივრის ნაპირას...

თეიმურაზ მეფესა და დავით უნდილაძეს კარგად ჰქონდათ შეგნებუ-ლი, რასაც ნიშნავდა იორზე დატრიალებული ტრაგედია. ეს აჯან-ყება და ომის დაწყება იყო ირანის მბრძანებლობის წინააღმდეგ.

მაგრამ ძმადნაფიცებს ის კი ვერ განუჭვრეტიათ, ბოლოს და ბოლოს, რას მოასწავებდა ესოდენ თავზეხელაღებული წამოწყება.

ვერ განჭვრიტეს და დიდი ომის გზაზე შედგნენ „ივრისპირული ნადი-რობით“ გალაღებულნი.

თეიმურაზმა დასავლეთ საქართველოში და სამცხეში აფრინა შიკრი-კები დამხმარე ჯარების სათხოვრად.

მართლაც მოვიდნენ და ქართლ-კახეთის საომარ ძალებს შეუერთ-დნენ: თეიმურაზ მეფის სიძე ალექსანდრე იმერთა ბატონიშვილი, ლე-ვან II დადიანი და „მესხთა თავადნი და აზნაურნი“.

კარგა ხანია აღარ ახსოვდა საქართველოს ერთიანი ქართული ლაშქარი! ახლა კი შეყრილიყვნენ ძმები — ქართველნი, კახელნი, იმერელნი, მეგრელნი, მესხნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეყრილიყვნენ ძმები, რომელთაგან ბევრს ექვსი წლის წინათ ფიცი დაედო ბაზალეთის მარად საგლოველ ძმათამკვლელობის ეროვნულ ცოდვაში.

. . . . . .

იმავე 1632 წელს, ნოემბერში, თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე ქართველთა ჯარით განჯაში შეიჭრნენ, თვითონ უნდილაძის საბეგლარბეგოს შუაგულში; ქალაქი აიღეს, ყიზილბაშთა ციხიონი გაჟლიტეს, იქაურობა მოარბიეს და ალაფალა გაახურეს. სპარსთა „გოდება მეშვიდეცას ასწვდა“.

განჯიდან მთელს ყარაბაღს მოედვნენ ქართველები ცეცხლითა და რკინით. არეზამდე ჩავიდნენ და, სადაც ყიზილბაშს წაეწივნენ, შავი დღე გაუთენეს. რის წამოღებაც და წამოყვანაც შეიძლებოდა, ყოველივე წამოიღეს და წამოასხეს.

ბარდას მივიდა თეიმურაზი, ეს ქალაქიც დაიპყრო და დაინადავლა. აქვე შედგა და თვალი მოავლო ამწლევანდელი შემოდგომის „მოსავალს“.

არეზის აქეთა (მარცხენა) მხარე მთლიანად ჩამოეკვეთეთ ქართველებს ირანის სამფლობელოთაგან. აღებული იყო სისხლი გრემის, ძაგემის, თორღვასა და ხორნაბუჯის აოხრება-აწყვეტისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო ირანული შემოსევებისგან ნახევარი მილიონი ქართული სიცოცხლის მოსპობასთან შედარებით.

მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო ახლა მეფე ქართველთა? განეგრძო და გაეფართოებინა შეტევა, თუ დაესვა წერტილი საომარი მოქმედებისათვის და ხმალი ისევ გაეცვალა პოეტურ ქნარში?

ერთი ვაი იყო და მეორე უი!

იმდროინდელი ქართული ძალებით ირანის დაპყრობა მას არ შეეძლო, არა და, მისგანვე საომრად გამოწვეული ლომის მოგერიებაც შეუძლებელი ჩანდა.

მართლაც და, თეიმურაზის „გამოხდომა“ ჭინჭრით ლომის გაღიზიანებასა და გაცოფებას ჰგავდა. ახლა იმ ლომს დახვედრა უნდოდა...

იმ დღესვე გამოირკვა, რასაც აპირებდა მეფე ქართველთა.

ბარდაში თეიმურაზს ეწვია განძასარის სომეხთა კათალიკოსი ჯარით და ძვირფასი ფეშქაშით. ეწვია და მოახსენა:

„ხონთქარი და ყაენი აშლით არიან, დრო ამის უკეთესი აღარ იქნების. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავს, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამ, ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბრძანდი და შვიდს დღეს თავრი-

ზი დაარბევინეთ და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქარი უანგარიშეთ და სიდამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდეს, ადირბეჟანის ბატონები გამოსცვალეთ, ყველგან თქვენი ყმანი დასხით და მე ხონთქართან გამგზავნეთ იმისგან ლაშქარს მოგაშველებ. თუ ყაენი წამოდგეს, შევებათ და ისინი ქართველთა ომს ვერ გაუძლებენ, გამარჯვება თქვენ დაგრჩების და მთავარ ხელმწიფედ გაკურთხებთ და საქრისტიანო შენით დაიხსნების და გაძლიერდებისო".

ძლიერად იყო ნათქვამი: ქართველებისა და სომხების ერთიან ლაშქარს უწინამძღვრე, შარვან-აზერბაიჯანში შენიანები დასვი, თურქებიც მოიშველიე. ირანი დალაშქრე და დააძაბუნე და ქართველ-სომეხთა ერთიან საქრისტიანო სამყაროს „მთავარ ხელმწიფედ" შენვე დაუდექიო.

განძასარის მწყემსმთავარს თეიმურაზის სწრაფი წინსვლა სომეხი ხალხისთვის ისეთივე მხსნელ მოვლინებად მოსჩვენებია, როგორადაც სინამდვილეში სდებოდა X—XII საუკუნეთა ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ისტორიაში.

მაგრამ სომეხ სამღვდელოს ფრიად გაზვიადებულად წარმოედგინა მისი თანამედროვე ქართველი მეფის შესაძლებლობანი. იგი ვერ მიმხვდარა, რომ თეიმურაზი მეზობელ სომეხ ხალხს ვერ მოევლინებოდა ისეთივე „მესიად", როგორც ამას ხმლითა და ჯვრით აკეთებდნენ დავით კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე და თამარ შვიდმნათობიერი. აკი აღარც მეთორმეტე საუკუნის საქართველო არსებობდა ამ ქვეყანაზე—„საძმო იმპერია" ქართველთა, სომეხთა, სხვათა და სხვათა — „სრულიად კავკასიელთა"...

ამიტომ თეიმურაზმა განძასარელის რჩევისაგან თავი „შორს დაიჭირა" და ეს უთხრა დაბეჯითებით:

„ჯერ ყარაბაღი დამიჭირავს და შირვანს ჩემი ყმის შვილი ბატონობს. ამ ზამთარ ქართლს მივალ, ხონთქარს ფეშქაშს გავუგზავნი, ჯარს შევახვეწებ და გაზაფხულსა უფრო დიდის ლაშქრით წამოვალო".

სტუმარს არ ეჯაშნიკა მასპინძლის პასუხი. თეიმურაზმა კი მაშინვე გადააბა სიტყვა: „ახლა ბორს უნდა დავბრუნდე, შენცა და დავით უნდილაძესაც თან წაგიყვანთ. ჩემი მეომრებიც შინისკენ გაუტევენ, დაისვენებენ და ლაშქრობით მოხვეჭილ ქონებასაც დააბინავებენო".

„ეჰ, შე დალოცვილო, ცხვარ-ძროხისთვის დადიანი და იმერელი არ წამოგესხა, განა ოთხფეხა საქონელს კახეთში ვერ იშოვნიდი? მერე, ირანის ხელმწიფე მაგდენს ვაცლის, რომ ახალი დიდი ლაშქარი შემოიყარო? დღეს-ხვალობით სპარსელები ლაშქარს მოვიხდუნებენ და ცხვრისა და ძროხის მაგიერად ადამიანებს ტყვედ წაასხამენ", — ნაღვლიანად თქვა სომეხმა.

მაგრამ თეიმურაზმა თავისი დაიჟინა, „ბერს არ დაუჯერა", ყარაბაღიდან აიყარა ჯარით ნაძარცვ-ნაალაფარით და აღალ-ფორანით, დავით

უნდილაძე თან წაიყვანა ცოლ-შვილით და ავლა-დიდებით. განძასარის პატრიარქიც იახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდილაძეს განჯის აწიოკების დროს ტყე-ღრეტ გადაკარგული იტალიელი პატრებიც მოეძებნა და ისინიც თან წაიყვანეს. პიეტრო ავიტაბილეს არ იშორებდა უნდილაძე. ღამით, შესვენებისას, თავის კარავში აწვენდა, მძინარეს თავისი საბნით ათბუნებდა, გზაში საკუთარ „მთლად ოქროთი მოკაზმულ ჯორცხენზე" წამოასკუპებდა.

გორში მისვლისთანავე დიდი ლხინი გადაიხადა თეიმურაზმა.

სანადიმო დარბაზი ულამაზესი ხალიჩებით მოეფინათ. სუფრა ნაირ-ნაირი ღვინოებითა და ხორაგით დაეტვირთათ. თეიმურაზი სუფრის თავში ჩამომჯდარიყო. მარჯვნივ სიძე — ალექსანდრე ბატონიშვილი უჯდა, მარცხნივ — დავით უნდილაძე, შემდეგ — ერთიმეორის პირდაპირ ჩარიგებულიყვნენ თეიმურაზის ძე დავით (დათუნა) უფლისწული, ლევან დადიანი, იოთამ ამილახორი, განძასარის პატრიარქი, იტალიელი მისიონერები, მესხი თავადები, აღმოსავლეთ-დასავლეთ „საქართველოთა" წარჩინებულნი.

საოცარი „სიმპოზიონი" იყო — „მრავალსარწმუნოებრივ-ინტერნაციონალური". ერთად ლხინობდნენ და „გაიხარებდნენ": მართლმადიდებელი დიოფიზიტი, გრიგორიანი მონოფიზიტი, კათოლიკე პაპისტი და მაჰმადიანი შიიტი.

შუა სუფრიდან პიეტრო ავიტაბილე ადგა, დავით უნდილაძეს მიეახლა და სთხოვა: ნება მომეცით დაგტოვოთ; აქაურ პატრებთან უნდა წავიდე და მოახლოებული შობის დღესასწაულისთვის ვიზრუნოო.

„კარგი, წადი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით გიშვებ, ლოცვის დროს ქრისტეს ჩემი სულიც შეავედროთო", — უთხრა უნდილაძემ.

პატრი გაოცდა: მაჰმადიანი ქართველი არ ხუმრობდა...

მეორე დღეს მეფემ მეგრელები, იმერლები და მესხები ვარიანის ჭალებსა და „ნეფის წყაროს" სანახებს გაუსია სანადიროდ. ბოლოს, ყველანი უხვად დაასაჩუქრა და თავიანთ საბუდარში გააბრუნა.

რა ელხინებოდა, ენადიმებოდა და ენადირებოდა სპარსელთა სისხლის დამაქცევარ მეფეს, როცა იმ სისხლის ასგზის ამოგების საფრთხე ატუზულიყო საქართველოს კარებთან?

თურმე ისევ იმამ-ყული-ხან უნდილაძის იმედი ჰქონდათ თეიმურაზ მეფესა და დავით უნდილაძეს.

დღე-დღეზე უფროსი უნდილაძე ფარსიდან შემოუტევს ისფაჰანს ოცდაათი ათასი მეომრით; აქედან თეიმურაზი და დაუდ-ხანი დაიძრებიან, სეფი შაჰს ტახტიდან ჩამოაგდებენ და მის ნაცვლად გაამეფებენ იმამ-ყული-ხანის ოჯახში „შვილად აღზრდილ ნამდვილ შვილს შაჰ აბასისას".

თეიმურაზსა და დაუდ-ხანს თავისი განაზრახი უკვე ერევნისა და ში-

რვანის ბეგლარბეგებისათვისაც გაუგზავნიათ: იმამ-ყული-ხან უნდილაძეს „კანონიერი მირზა“ აღუზრდია და თქვენც ნულარ დააყოვნებთ მონაწილეობა მიიღოთ სეფის ჩამოგდებისა და შაჰ აბასის „პირმშო ძის“ გამეფებისათვის ბრძოლაში...

დიდი, „უნდილაძური იმედის“ გარდა, თეიმურაზი ამასაც ვარაუდობდა: შაჰ სეფის დღესდღეობით საქართველოსკენ ჯარის გამოგზავნა არ შეუძლია, რადგან ირანს ახლა ერთდროულად ებრვიან ოზბეგებიც და ოსმალებიცო.

და ასე, „დიდი“ და „მცირე“ იმედებით ცხოვრობდა, განისვენებდა და განიხარებდა „ხმალზე მინდობილი“ ორი ძმადნაფიცი — თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

. . . . . .

შობის დღესასწაულზე დავით უნდილაძე „გორელ ევროპელებს“ ეწვია.

ქრისტიან ბერებს უკვე აღარ უკვირდათ ამ „უცნაური თათრის“ და მათი „დიდი კეთილისმყოფელის“ სტუმრობა.

საშობაო ტაბლა გაუწყვეს სტუმარს მასპინძლებმა.

უნდილაძემ ჯერ ღვთისმშობლის ხატსა და იესოს ჯვარცმას უცქირა მძიმედ ჩაფიქრებულმა. მერე პიეტრო ავიტაბილეს მიუბრუნდა და უთხრა: თურქეთის ელჩი მეწვია მოსალაპარაკებლად და თუ თქვენ კმაყოფილი იქნებით, აქ მოვიყვან და აქვე მოვეთათბირებიო.

ნება თქვენიაო, კრძალვით უპასუხა ავიტაბილემ.

საყოყმანო მხოლოდ ის შეიქმნა, პატრებმა არ იცოდნენ, ფეხმორთხმული დაესვათ მაჰმადიანი სტუმრები სუფრასთან, თუ ჩვეულებრივად მჯდომარენი, „ევროპული წესით“.

მაგრამ სტუმრებმა სწორედ „ევროპული წესი“ ამჯობინეს.

იმ დღეს ერთად გაინაწილეს ტაბლა კათოლიკე ქრისტიანებმა, შიიტმა, ქართველმა და სუნიტმა ოსმალომ.

სტუმრებს „მოეწონათ ყველაფერი იტალიური და ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ“.

მერე ცალკე ჩასხდნენ სათათბიროდ დავით უნდილაძე და თურქი დიასპანი — არზრუმის ფაშასაგან გამოგზავნილი.

დიდხანს ითათბირეს. თურქმა „დაპირებები“ ლატოვა და არზრუმს გაბრუნდა.

დავით უნდილაძე უემურშეყრილივით დარჩა.

როგორც იქნა, წარბი გაიხსნა და ისევ შეუდგა საუბარს კათოლიკე პატრებთან.

პიეტრო ავიტაბილე გატაცებით უსმენდა ამ „სასიამოვნო კაცს“ და თან დაბეჯითებით ფიქრობდა: თუ ფორტუნა ინებებს და დაუდ-ხანი ერთ-

ხანს მაინც ამ მხარეში დარჩება, სრულიად უეჭველად ჩვენს წმიდა საწმუნოებას მიიღებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდ-ხანი კი პატრ დონ ჯაკომოს ეუბნებოდა: „მე ყოველთვის ჩემს თანაგრძნობას ვუცხადებდი ევროპელ ერებს, განსაკუთრებით მათ სამსახურად ბევრი რამე გამიკეთებია ყოველთვის, როცა კი ამის შემთხვევა მქონია. ოღონდ ქრისტიანი შემხვდეს და მისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რადგანაც ძალიან მიყვარს ქრისტე და მას ჭეშმარიტ ღმერთად მივიჩნევ“.

ეს რომ მოისმინა, ჯაკომომ მაშინვე მიაგება უნდილაძეს: „რაკი თქვენ ქრისტეს სიყვარულისათვის ბევრი რამე გაგიკეთებიათ, სწორედ ამიტომ ქრისტე თქვენგან ითხოვს სულს“.

„მზად გახლავარ, ჩავბარდე ქრისტეს, ვითარცა მეუფეს და მას მივცემ სულსაც, სიცოცხლესაც. ხოლო მანამდე მე თქვენ გიძღვნით საჩუქარს!“ — შესძახა უნდილაძემ აღტკინებით და ძვირფასი მისართმეველიც მიართვა. პატრებს...

იქნებ მისი პორტრეტიც მაშინ ჩაიხატა ქრისტეფორე კასტელიმ — ხატი დავით უნდილაძისა, წყობილნაკვთოვანი სახით და ძლიერი თვალებით...

მთავარი ის იყო, რომ თურქეთიდან მაინცდამაინც არაფერი იმედი უნდა დარჩენოდათ თეიმურაზ მეფეს და დავით უნდილძეს.

ისი ელოდნენ ნიშანს იმამ-ყული-ხან უნდილაძისგან და პასუხს წერილებზე, რომლებიც მათ მისწერეს ერევნისა და შირვანის ბეგლარბეგებს.

ვაი თუ ამაოდ ელოდნენ?!

„ხმალზე და ფიცვერცხლზე შეფიცულებმა“ ჯერ არ იცოდნენ ყველაზე მთავარი და საბედისწერო ამბავი: იმამ-ყული-ხან უნდილაძეს საკუთარი ძალები საკმარისად არ მიუჩნევია და ინდოეთში მყოფ პორტუგალელებთან ელჩები გაუგზავნია, — ოღონდ შაჰ სეფისთან საომრად სამხედრო დახმარება გამიწიეთ და ჩემგანვე წართმეულ ჰორმუზს დაგიბრუნებთო. მაგრამ ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ხოლო, ჭინჭრით ცხვირდასუსხული და ბალანაშლილი ლომი საბედისწერო კამარას ამზადებდა.

. . . . . .

როცა შაჰ სეფიმ თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის აჯანყებისა და არეზის ჩრდილოეთი მიწა-წყლის აოხრების ამბავი შეიტყო, მან ისფაჰანი დააგდო და მრავალრიცხოვანი ამალით ჩრდილოეთისკენ წამოემართა.

მძიმე, თოვლიან-ყინვიანი დეკემბერი იდგა. შაჰმა ქარბუქში ძლივს მო-

ატანა ყაზვინს. აქვე დადგა გამოსაზამთრებლად და „საქართველოს საკითხის“ გადასაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირკვა, რომ მთელი წლის მანძილზე თურქთა შემოსევებს ვერ მიუყენებია ირანისთვის იმდენი ზარალი, რამდენიც ქართველების ლაშქრობას განჯა-ყარაბაღში.

შაჰმა ჯერ არ იცოდა თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხან უნდილაძის მომავალი განზრახულობანი, როცა მან სამი წერილი მიიღო ზედიზედ. ორი ერევნისა და შირვანის მმართველთაგან — სწორედ ის წერილნი, რომელთაც მათ თეიმურაზი და დაუდ-ხანი უგზავნიდნენ: სამხრეთიდან იმამ-ყული-ხანი შემოუტევს და ჩრდილოეთიდან ჩვენ შევუტიოთ შაჰ სეფისო. მესამე წერილი კი საქართველოდან იყო (ოღონდ არ ჩანს, ვინ სწერდა — ქართველი, ყიზილბაში თუ ვინმე „სხვა სჯული“) და შიგ ეწერა:

„დიდებულო ხელმწიფევ, თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ იმამ-ყული-ხან უნდილაძე, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენ არის მოპყრობილიო“.

სხვა რაღა იყო საჭირო! სამივე წერილი შირაზის ხანის უეჭველ ღალატს ააშკარავებდა.

შაჰ სეფიმ წერილი აფრინა შირაზში და იმამ-ყული-ხან უნდილაძეს შეუთვალა: სასწრაფოდ ყაზვინს მოდი და გამომეცხადეო.

უნდილაძეს გულმა რეჩხი უყო და პასუხად ეს გამოუგზავნა შაჰს: ჩემი საბეგლარბეგო მტრის სამფლობელოებს ესაზღვრება და ამიტომ საჩქაროდ მიმაჩნია უპატრონოდ მივატოვო აქაურობა; ჩემი ესოდენ ნასწრაფევი წამოსვლა ზიანს მიაყენებს ირანისა და შაჰის გვირგვინსო.

გველი აუსრიალდა გულზე სეფი შაჰს. ისევ აფრინა ბრძანება „კადნიერ გურჯთან“: შაჰი მე გახლავართ, სპარსეთს მე ვმბრძანებლობ და შენის აქ მოსვლით თუ ქვეყანას რამე უბედურება დაატყდება, ეგეც ჩემს კისერზედ იქნებაო; ახლავე გამოცხადდი, თორემ მე თვითონ წამოვალ მთელის მხედრობით და უსასტიკესად გავუსწორდები ეგზომ ურჩობას და კადნიერებასაო.

მუქარას მუქარა შემოაგება უნდილაძემ: ვინც ჩემზე ძალადობას გაბედავს, მეც ჩემს ძალღონეს დავახვედრებო; ნურავის დაავიწყდება — ირანის საუკეთესო ციხე-ქალაქები მე მიჭირავსო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

შინაური ომის სისხლიანი ღრუბელი დააწვა ირანს.

უნდილაძესთან ხმალდახმალ დავლურში გასვლა არ ურჩიეს შაჰს (ალბათ, ხოსრო-მირზამ არ ურჩია) და ისევ „შინაური წიაღსვლით“ გადაწყვიტეს „ყველაზე დიდი ხის“ წაქცევა.

უნდილაძის ახლო კარისკაცები მოისყიდეს შაჰის აეშაგებმა. და შე-

უჩდნენ „ის ახლობელნი“ თავის მბრძანებელს: ასეთი ურჩობა არ ივარგებს, შაჰი დაგვამარცხებს და გაგვანადგურებს; ამიტომ ისევ მორჩილება და შერიგება სჯობია; კიდევაც შეგირიგებს შაჰი — შეგირიგებს ყული-იმ დამსახურებათა შესაწონისად, რაიც აქამდე გაგიწევია და მომავალშიც უნდა გასწიო ირანის საკეთილდღეოდ.

. . . . . .

და გატყდა მარად გაუტეხელი იმამ-ყული-ხან უნდილაძე: დათანხმდა შაჰთან წასვლაზე.

. . . . . .

მუდამ ცთომილი კაცისთვის შეცდომას რაიმე „დიდი მნიშვნელობა“ არ ენიჭება, მაგრამ მუდამ უცთომელმა კაცმა თუ ერთი შეცდომაც საღმე დაუშვა, იგი მისთვის უეჭველად საბედისწერო გამოდგება.

და იმამ-ყული-ხან უნდილაძემაც დაუშვა „ის ერთადერთი“ შეცდომა.

. . . . . .

1633 წლის იანვარი.

ქალაქი ყაზვინი ეგებება ლეგენდარულ იმამ-ყული-ხან უნდილაძეს.

ოქრო-ვერცხლით დარახტულ მერანზე ამხედრებულა ოქრონემსულ სამოსელში გამოწყობილი ახოვანი ბეგლარბეგი (ეგზომ მდიდრული აღკაზმულობით მხოლოდ ირანის ხელმწიფეები გამოდიან სადღესასწაულო აღლუმებზე).

მოჰყვება ოჯახი, მოჰყვება ჰარამხანა (ესეც შაჰების ყაიდა და ნაქცეურობა).

უკან ბრწყინვალე ამალა და მხედრობა მოსდევს, ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ საჭურველში ჩასილაღებული (ასეთი ამალა ირანის ხელმწიფეთა გარდა არავის მოსწრებია აქამდე).

ქუჩები და „მეიდნები“ ხალხით გადაჭედილა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა აღტაცებული ჟივილ-ხივილით ესალმება „სანატრელ გურჯს“ (ხალხის ეგზომი სიყვარული და პატივი აქამდე არცერთ შაჰსაც არ ჰღირსებია).

სახედამეწყრილი შეეგება შაჰ სეფი უნდილაძეს:

— ამას რას ჰხედავს ჩემი თვალები?! შენა ხარ ირანის შაჰი თუ მე? რატომ გეგებება ეგზომი სიყვარულით სპარსელი ხალხი?!

— რა ბრძანებაა ხელმწიფეო! მე ხალხი მესალმება თქვენის თაყვანისცემით, რამეთუ მან იცის თქვენი უამრავი წყალობანი ჩემდამი, — მშვიდად მიუგო უნდილაძემ.

ეს „პირველი შეხვედრა“ ასე განესრულა.

„მეორე შეხვედრა“ შაჰსა და ბეგლარბეგს შორის მეორე დღისთვის დაინიშნა.

მაგრამ იგი აღარ შემდგარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

იმამ-ყული-ხან უნდილაძე ჰარამხანაში იყო.

ტიტველ კაცს დააღგნენ თავს ხმალშიშველი ჯალათები.

ჯალათებიო?!

სამი იყო: ერთი ყაჯარი — ქელბალი-ბეგ ეშიკაღასი, და ორი ქართველი — დაუდ-ბეგ გურჯი და ალი-ყული-ბეგ სააკაძე.

ორი ქართველი, ორივე სიძეები უნდილაძისა.

ეს რა ბოროტი დაცინვაა?!

მწარე ღიმილმა მოუშალა სახე სიკვდილთან წილნაყარ კაციშვილს.

მაშ, სიძეებს დააკისრა სიმამრის სიკვდილი ვერაგმა შაჰმა. ნეტავ თვითონ მოისაზრა, თუ ისევ ქართველმა ჩააგონა ქართველთა ეგზომ აბუჩად აგდება — აი, იმ ქართველმა, „მარჯვენა ხელად და მამად“ რომ უდგას ახლა გვერდით რეგვენ ხელმწიფეს?!

რა გაეწყობა! ისევ ქართველები ჰხოცავენ ერთმანეთს საქართველოს მტერთა თვალსასეიროდ და გულგასახარად!..

სააკაძეს შაჰის ფირმანი ეჭირა ხელში.

აბა, წაუკითხე, სიძევ- ბატონო განჩინება საყვარელ სიმამრს!

და წაუკითხა ალი-ყული-ბეგ სააკაძემ:

„სიკვდილი!“

მშვიდად მოისმინა უნდილაძემ.

მაინც რა უმწეო და „უმნიშვნელო“ ყოფილა კაციშვილი...

გამშრალი და გაქვავებული ელოდნენ ქალები: ნუთუ მართლა უნდა მოკვდეს „ვარდი აღტაცებისა“?!

„მე მზად გახლავართ, დავემორჩილო შაჰის ბრძანებას. ოღონდ ერთსა გთხოვთ — აქ ნუ მომკლავთ, ამ უბედური ქალების თვალწინ. ცოდონი არიან, — თავზარს დასცემთ სიკვდილის ხილვა“, — თქვა სიკვდილმისჯილმა.

ეს თხოვნა აუსრულეს და ჰარამხანიდან გაიყვანეს.

მტკიცე, აუშლელი ნაბიჯით მიდიოდა სიკვდილ-სიცოცხლის განსაზღვრელზე.

უკან სამი ჯალათი მიჰყვებოდა — ერთი სპარსელი მეთვალყურე, ორი ქართველი აღმსრულებელი

ორი ქართველი, ორივ სიძე, რომელთაგან არც ერთს უარი არ გაუბედავს დიდი თვისტომისა და მოყვრის სიკვდილზე და ამდენად — არც

ერთს არ უცდია შერცხვენილი წუთისოფელი გაეცვალა სამუდამო გმირის სახელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ იცის, რომელმა სიძემ მოიქნია პირველმა ხმალი. ან რა ბედენა იყო!

უნდილაძის მაღალგონიერი თავიც „ჩვეულებრივი დაცემით" დაეცა ცოდვილ მიწაზე.

აღარ იყო ამ ქვეყნად იმამ-ყული-ხან უნდილაძე, ტომით ქართველი, უფროსი ძე დიდი ალავერდი-ხან უნდილაძისა და მისებრ მჭედელი „სხვათა ისტორიისა", „ვიცე-კოროლი" ირანისა, ბეგლარბეგი ფარსისა, ბაჰრეინისა, ჰორმუზისა, ხუზისტანისა და არაბისტანისა, დიდი მხედართმთავარი და ზორავარი, „მეთაური თორმეტი სულტანისა, ორმოცდაათი ათასი მხედრისა, ვარდი აღტაცებისა"...

უნდილაძეთა „უკანასკნელ ყლორტებს" მიადგნენ ჯალათები.

დაუდ-ხანის ვაჟი გამოაცალკევეს და საღლაც წაიყვანეს.

იმამ-ყული-ხანის შვილთაგან პირველად თავი დააგდებინეს სეფეყული-სულთანს — სწორედ იმას, შაჰ აბასის ძესა და ირანის „კანონიერ ტახტის მემკვიდრეს" რომ უწოდებდნენ.

მერე იმამ-ყული-ხანის დანარჩენი ორი ვაჟის — ფათალი-ბეგისა და ალი-ყული-ბეგის თავებიც დაალაგეს მამის განკვეთილ თავსა და ტანზე.

უკვე მოთხრილი იყო „დიადი ხე" ძირფესვიანად.

. . . . . .

სამი დღე-ღამე ეყარა ყაზვინის შუაგულში დახოცილ ქართველთა ნაშთები.

სამი დღე-ღამე დასტიროდა შავოსანი ქალი დახოცილებს.

ეს ალავერდი-ხან უნდილაძის მეულლე იყო.

დასტიროდა ქართველი ქალი უფროსი ძისა და შვილიშვილების აჩეხილ ცხედრებს.

სამი დღე და ღამე არ ეძინა ქართული გოდებით ზარგანხდილ ქალაქს.

შაჰმაც ველარ გაუძლო და მეოთხე დღეს დააკრძალვინა ამოწყვეტილნი.

. . . . . .

ახლა დავით უნდილაძის ჯერიც დადგა.

შაჰ სეფიმ თეიმურაზ მეფეს შემოუთვალა: რაც იყო იყო, განჯა-ყარაბაღის სისხლიც მიპატიებია და ივრის პირზე ამოწყვეტილი შვიდასი სპარსელის სიცოცხლეც; ამას გარდა მრავალ წყალობასაც მოვიზღავ, ოღონდ სასწრაფოდ დაუდ-ხან უნდილაძე გამომიგზავნეო!

თეიმურაზმა ფიცხელი უარი შეუბრუნა ირანის მბრძანებელს: დავით უნდილაძე ხმალზე მყავს შემოფიცული და ხმალზე მინდობილი კაცის ღალატი ქართველ კაცს არც უკადრებია და არც იკადრებსო.

მაშინ შაჰ სეფიმ დაუდ-ხანის ცოლი საროსკიპოში ჩააგზავნა-ქალ-სათელად, ხოლო ვაჟი სოდომიტ მეჯინიბეებს მიუგდო...

სანამ ცოლ-შვილის უბედურებას შეიტყობდა, დავით უნდილაძემ საქართველოდან თურქეთში წასვლა გადაწყვიტა. ამით იგი თეიმურაზსაც უხერხულობიდან დაიხსნიდა და თეიმურაზთან ერთიანობისა და კავშირის სახელით სტამბოლის კარზე იქნებ რაიმე „ახალ სახსარსაც" იპოვნიდა სპარსეთთან საომრად.

გორში ჩავიდა დავით უნდილაძე. ისევ ეწვია კათოლიკე მისიონერებს. პატრ კაეტანოს, — რომელიც საუკეთესო მკერავიც ყოფილა — ევროპული ლაბადა, ქუდი და ჩექმები შეაკერვინა. პიეტრო ავიტაბილეს კათოლიკე „კოლონიისთვის" რვა ოქროს თუმნიანი აჩუქა, ქრისტიანულ წირვა-ლოცვაზე მისი „ცოდვილი სახელის" მოხსენიება სთხოვა და... გაუჩინარდა.

თურქეთს მივიდა უნდილაძე, სტამბოლის კარზე, ვითარცა „ქართველი მეფის, თეიმურაზის ელჩი".

ამ „ელჩობას" არავითარი შედეგი არ მოუტანია არც თეიმურაზისთვის, არც უნდილაძისთვის, არც მათი სვეგამწარებული სამშობლოსათვის.

სულ ჩაიკარგა და ჩაწყვდიადდა მისი სახელი და საქმენი ოსმალურ წიაღსა შინა.

იქ დაასრულა სიცოცხლე კიდევ ერთმა დიდმა უნდილაძემ, რომელსაც მისი „ძვალ-ხორცი ქართველნი" დავითს ეძახდნენ, სპარსნი — დაუდ-ხანს, ოსმალნი — დაუდ-ფაშას.

გულჩარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულჩარა, ანუ გულჩორა, ასული ქართლის მეფე გიორგი მეათისა, შვილიშვილი მეფე სვიმონ პირველისა — დაახლოებით, უნდა ღაბადებულიყო XVI საუკუნის 80—90-იან წელთა მიჯნაზე.

იგი შუათანა ბატონიშვილი იყო გიორგის ძეთა — დავით და ლუარსაბ უფლისწულთა შორის.

ამ ქართველი ქალის სახელის საისტორიოდ პირველი გამოჩენა მისი სამშობლოს ერთ, მორიგ ტრაგედიას დაუკავშირდა. ხოლო, ტრაგედია იგი — 1599 წელს, ალგეთის ხეობაში, უთვალავ ოსმალურ მხედრობასთან შეტაკებისას ქართველთა მარცხი და ბრძოლის მთავარი გმირის, თვითონ სვიმონ მეფის ბრმა-შემთხვევითი ტყვედ ჩავარდნა და, ბორკილდასმულად, სტამბოლს წაყვანა...

ზეიმობდა ოსმალეთი, — სვიმონ ქართველთა მეფის დამარცხებასა და დატყვევებას ზეიმობდა.

დაცემულიყო ამიერკავკასიის ხალხთა უპირველესი გმირი — დროშა, რწმენა და იმედი!

სულთან მეჰმედ მესამეს ბრძანება გაეცა: სამი დღე-ღამე იზეიმოს ოტომანთა დიდმა იმპერიამ!

სამი დღე-ღამე ოსმალური სახელმწიფო დროშები უნდა გამოჰკიდონ ყველა ქალაქში.

და ფრიალებდნენ ნახევარმთვაროსანი ბაირაღები არა მხოლოდ სტამბოლში, არამედ — ტფილისში, დმანისში, ლორეში, ახალციხეში....

სულთანი მეჰმედ მესამე „დიდი სიამტკბილობით" შეხვდა სვიმონ მეფეს. ბევრი წყალობა შეჰპირდა, დიდი სიმდიდრე და პატივი, მაგრამ ვერ იქნა და „გათათრებაზე" ვერ დაითანხმა.

არც ქართლის დახარკვასა და ქვეშევრდომობაზე დათანხმდა ქართველი მეფე.

მაშინ, განრისხებულმა ფადიშაჰმა სვიმონი იედიყულეში („შვიდკოშკიანი ციხე") ჩააგდო.

რა არ სცადა გიორგი სვიმონის ძემ მამის დასახსნელად: არ დაზოგა არც სამეფო ხაზინა, არც პირადი ავლადიდება, არც ეკლესია-მონასტრებისა და წარჩინებულ თანამემამულეთა შესაწირავნი, და... არც საკუთარი ღვიძლი შვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიახ, — გიორგიმ მამის გამოსახსნელად, სტამბოლში, შუამავლებად, თუ მძევლებად, სწორედ საკუთარი შვილები გაგზავნა — ჯერ უფროსი უფლისწული დავითი, მერე მის მიყოლებით — ასული, გულჩარა.

მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა.

თურქებმა ქრთამი ქრთამად დაიტოვეს, მძევლებიც მძევლებად, ხოლო სვიმონი არ იქნა და ტყვეობიდან არ გამოუშვეს.

და 1603 წელს საქართველოს მოუკვდა სვიმონ მეფე.

წყვდიადით მოცულ თურქულ ციხეში დახუჭა თვალი ქართული მზის სხივებით ასხმულმა და ქართველი ხალხის სიყვარულით გულანთებულმა კაცისშვილმა.

აღესრულა ხელმწიფე, ვინაც „ქართლს ხმალი შეარტყა", — მეფე „ცხენოსან-ცეროსანი", უიღბლო ეპიგონი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

იყო იმჟამად სტამბოლს გორელი ვაჭარი დიაკვნიშვილი და „ამან იშოვნა ძვალნი სვიმონ მეფისანი, და წარმოიღო იგი და მოართვა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დარეჯანს".

მცხეთას დაკრძალეს სვიმონის ნეშთი — მისი სათაყვანო და საფიცარი მამის, ლუარსაბის გვერდით...

. . . . . .

უკვე იდგა მე-17 საუკუნე.

ქართლის ტახტზე იჯდა გიორგი მეათე, რომელსაც ტყვეობით ნაწამები მამის ნაშთები დაეკრძალა, მაგრამ შვილები კი ვერ გამოეხსნა.

დავით ბატონიშვილზე ისტორიას არსებითი და მნიშვნელოვანი აღარაფერი შემოუნახავს, გარდა იმისა, რომ მას შეხვედრია და რამდენჯერმე თავისთან სადილზედაც მიუწვევია საფრანგეთის ელჩს თურქეთში — ჟან დე გონტო ბირონ ბარონ დე სალინიაკს. ქართველ უფლისწულზე სალინიაკს თავისი მთავრობისთვის პარიზში მოხსენებაც გაუგზავნია, ასეთი სანიშნო დასათაურებით — „თურქების მიერ საქართველოს ახალგაზრდა უფლისწულის დატყვევება — უფლისწულის მედგარი პროტესტი"; და იქვე — „ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არაა თოთხმეტი წლისა, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა". აი, მთელი დახასიათება დავით გიორგის ძე ბატონიშვილისა, დანატოვარი ფრანგი ელჩისა. ქართველი მემატიანე კი მხოლოდ ამას იტყვის: „სვიმონ მეფე ედი კულეში მოკლეს და ბატონის შვილი დავით დაიკარგა".

ხოლო გულჩარა არ აღმოჩნდა დავიწყებისთვის განწირული ჩვეულებრივი ქალთაგანი. სტამბოლის უმაღლეს კარზე მისვლისთანავე ყველა იქ დამხვედრი მოუხიბლავს ამ საოცრად მოხდენილ, მშვენიერ, სათნო და ჭკვიან გოგონას. განსაკუთრებით კი თვითონ ახლად გამეფებული ყმაწვილ

აჰმედ პირველის დედა მოხიბლულა ქართველი მეფის ასულით, მაშინვე თავისთან, სასახლეში დაუბინავებია. და ჰყოლოდა ასე „კალთაზე გამოკერებული“. სარწმუნოების გამოცვლაც არ მოუთხოვია ქრისტიანი ქალისთვის, ისე ჰყვარებია ფადიშაჰის მშობელს ეს გასაოცარი „გურჯი-სათუნი“.

მალე სრულიად მოულოდნელი ნიჭი და უნარი აღმოსჩენია გულჩარას — ნიჭი სახელმწიფოებრივი მმართველობისა და დიპლომატიური სამართალმცოდნეობისა.

იქნებ ქართველი ქალის დაწინაურებას ხელი შეუწყო იმჟამად იქვე სახელმოხვეჭილმა და აღზევებულმა ქართველმა კაცმა. ეს იყო გურჯი მეჰმედ ფაშა, რომელიც აჰმედ პირველის გამეფებისთანავე მისი სასახლის აღად დაუნიშნავთ.

. . . . . .

იდგა 1606 წელი.

ქართლის ტახტზე ახალი მეფე ასულიყო, მოულოდნელად გარდაცვლილი (შესაძლოა, მოწამლული) გიორგი მეათის ძე, თოთხმეტი წლის ლუარსაბ მეორე, გულჩარას უმცროსი ძმა. ეს გამეფება მოხდა ირანის მბრძანებლის, შაჰ აბასის ნებით.

კახეთში კი, თეიმურაზ პირველი გამეფებულიყო, — ესეც „ირანის ლომის“ ნებით.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოდან ოსმალები იდევნებოდნენ და მათ ადგილზე ირანელები ბატონდებოდნენ.

. . . . . .

გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის ომი, კავკასიაზე ბატონობისთვის, გამორჩევით — საქართველოს დაუფლებისთვის.

უკვე ძალზე მისჭირვებოდა ოსმალეთს, მით უფრო, რომ მას, მარტო ირანთან კი არა, ევროპაშიც გაეხსნა ფრონტი. უკვე ავსტრიის შუაგულს, ვენასთან იბრძოდნენ თურქნი, მაგრამ უკვე ძალაც დაშრეტოდათ, რაკიღა შაჰ აბასს სრულის ძალებით გაემძლავრებინა შემოტევები აღმოსავლეთიდან. სხვა გზა აღარ ჰქონდა სტამბოლის სასახლეს — როგორმე ზავი უნდა დაედო ერთ-ერთ მომტერესთან მაინც.

და დამსხდარიყვნენ ოსმალეთის მაშინდელი ფაქტიური უმაღლესი ხელისუფალნი, ყმაწვილი აჰმედ სულთანის დედა და მთავარი ვეზირი დერვიშ ფაშა და გადაუწყვეტიათ: შაჰ აბასთან ზავის შესაკრავად გულჩარა გავგზავნოთ და ჩაუშად (მცველად) მურად აღა გავატანოთო...

შაჰ აბასი ქართლიდან გასულიყო და შირვანისკენ მიეშურებოდა, თავისი მხედრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე ფაიქები წამოეწივნენ და მოახსენეს: ოსმალო ელჩები მოისწრაფიან შენთან შესახვედრადო.

ოსმალო? თურქი? ელჩებიო?!

გაუხარდა „ირანის ლომს". ალბათ, ძალიან მისჭირვებია სტამბოლის უმაღლეს კარს... აკი ორი მხრისკენ იქნევენ მახვილს ოსმალნი — ავსტრიას, ირანს... უეჭველად გასჭირვებიათ...

შეღგა და სტუმართა შესახვედრად გაემზადა აბასი.

მოახლოვდა ოსმალთა ელჩოინი.

მოახლოვდა, მოვიდა და აი „სიურპრიზი": დიასპანი აღმოჩნდა ქალი, სახელად გულჩარა, ქართველი ქალი!

შაჰიც „გამოიცვალა" ერთბაშად: მისთვის უჩვეულო „დამლაბლებით". კრძალვით, ქედდადრეკით, ძვირფასი საბოძვარ-მისართმეველით შეეგება ამ „ცით-მოვლენილ" ბანოვან-დიასპანს.

მერე დასხდნენ და შეუდგნენ საზავო-სამშვიდობო ბჭობას.

დიდხანს კი გაგრძელდა დიპლომატიური ჭიდილი ქართველ ქალსა და სპარსეთის ხელმწიფეს შორის.

შაჰ აბასი მშვიდობიანობის ჩამოგდების მთავარ პირობად 1555 წლის, ამასიაში დადებული ზავის აღდგენას მოითხოვდა (ამ ზავით ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ირანს „ეკუთვნოდა", დასავლეთი — თურქეთს).

თავის მხრივ გულჩარა 1590 წლის ზავის სამართლიანობას ასაბუთებდა (ამ ზავით ამიერკავკასია მთლიანად თურქეთს ეკუთვნოდა").

არცერთმა მხარემ არ დათმო. მოლაპარაკება ჩაიშალა. გულჩარა სტამბოლს გაბრუნდა.

შაჰს გული დასწყდა, რომ ეს საოცარი „გურჯი-ხათუნი" მის სახელმწიფო კარს არ ამშვენებდა და საძულველი სასულთნოს მესვეურთა შორის ბრწყინავდა.

გულჩარას დაბრუნების შემდეგ, იმავე 1606 წლის 11 ნოემბერს, ოსმალეთმა ზავი შეკრა ავსტრიასთან და მომავალი წლისთვის მთელი საომარი ძალებით ირანთან გადამწყვეტი ომის სამზადისს შეუდგა.

კიდევ ექვსი წელიწადი მძვინვარებდა ომი.

ხოლო, 1612 წელს, სექტემბრის დამლევს, სტამბოლში ისევ მიუსხდნენ საზავო მაგიდას სპარსეთისა და თურქეთის დიპლომატები და პოლიტიკოსები.

სამშვიდობო მოლაპარაკების მთავარი გმირი იყო ისევ ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომელმაც „მთელი კონსტანტინოპოლი

განაცვიფრა თავისი ჯაჭვით, სილამაზით, ბრწყინვალებით და მეტყველებით".

გულჩარამ საოცრად ძლიერი სიტყვით ჩააჩუმა ოზბეგი ელჩები, რომლებიც ხონთქარს ირანთან ომის გასაგრძელებლად აქეზებდნენ.

ზავი დაიდო.

მეტროქეებმა მახვილები ქარქაშებში სანახევროდ ჩააგეს.

აღდგენილი იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები: ქართლი, კახეთი, შირვანი და სომხეთი შაჰის „საკუთრებად" გამოცხადდა. დასავლეთ საქართველო და მესხეთი, ახალციხის მითვლით, ოსმალეთის „ქოხებად" დარჩა.

ამით წყდება სხვა ყოველგვარი ცნობა გულჩარაზე.

საქართველოში აღარასოდეს მობრუნებულა.

სიცოცხლე უცხო ქვეყანაში, უცხო მიწაზე დაასრულა.

მეფე ლუარსაბ მეორე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუარსაბ, უმრწმესი ძე ქართლის მეფე გიორგი მეათისა, დაიბადა 1592 წელს.

გამეფდა მამის სიკვდილის შემდეგ, 1606 წელს, შობითგან 14 წლისა.

იმ წელს, კიდევ — კახეთში გამეფდა თეიმურაზ პირველი, იმერეთში გიორგი მესამე.

ეს იყო დრო, როცა ქართლ-კახეთიდან თურქები გადიოდნენ და სპარსელები შემოდიოდნენ. ირანის მაშინდელ მბრძანებელს, „დიად ლომს", შაჰ აბას პირველს, სრულად წაერთმია ოსმალეთისთვის აღმოსავლეთ საქართველო და შირვან-აზერბაიჯანი. ოსმალები კი თავის საყმოდ ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს და დასავლეთ მესხეთს ინარჩუნებდნენ.

რაღა თქმა უნდა, ლუარსაბის და თეიმურაზის გამეფებაც შაჰ აბასის ნებით მოხდა...

მაშ, ქართლში მეფობას იწყებდა მეფე ლ უ ა რ ს ა ბ მ ე ო რ ე (1606—1622).

მაგრამ რა მეფობა იყო ეს?!

ტფილისში, აღჯაყალაში, ლორეში, დმანისში, თურქების ნაცვლად სპარსელები ჩამსხდარიყვნენ და ჩამკვიდრებულიყვნენ. მხოლოდ ეს იყო „სიახლე" და სხვა არაფერი.

თუმცა კიდევ იყო ერთი „სიახლე": ბორჩალუს ველური ტომი მოდიოდა დედაწულიანად და ლორე-დებედას ხეობაში სახლდებოდა, მკვიდრდებოდა, იბუდებდა.

ტომი, რომელსაც ქრისტიანის სისხლი სწყუროდა, მარადისად დაურწყულებლად.

ტომი, რომელიც ქინქლასავით მრავლდებოდა.

და დამბლავდებოდა ქართული მიწის სამხრეთული განაკიდურნი.

და ვინ იცოდა, რას მოასწავებდა ეს ხვალ, ზეგ... ასეულ წელთა სარბიელზე...

1607 წელს, ზაფხულში, ქართლის ახალ მეფეს მესხებმა სთხოვეს დახმარება თურქთა წინააღმდეგ საომრად.

და ლუარსაბმაც აფრინა ჯარი სამცხისკენ.

და ქართველებმა გაიმარჯვეს. თურქები ახალციხიდან განდევნეს და სამცხის ათაბაგის ტახტზე მანუჩარ მესამე აიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე 1607 წელს შაჰ აბასმა ცოლად წაიყვანა ლუარსაბ მეფის დაი, ლელა (თინათინი), რომელსაც სპარსულად კიდევ ახალი სახელი — ფათმა სულთან ბეგუმი, დაარქვეს.

კიდევ ორი წელი და, თურქები და ყირიმელი თათრები შემოესივნენ ჯერ სამცხეს, მერე ქართლს. მეფე ცხირეთს იდგა მაშინ და მტრის უეცარ დარტყმას ალბათ ვერც კი გადურჩებოდა, მაგრამ კეთილმა მღვდელმა თევდორემ, მტრისგან მეგზურად აყვანილმა, მტერსვე მეფისკენ მიმავალი გზა აუბნია, თვითონ სიცოცხლით გაიწირა და ამ წმიდა შეწირვით, მეფეც გადარჩა და ქვეყანაც. მეფის ერთგულმა მოურავმა და მაშინდელი საქართველოს უმამაცესმა რაინდმა გიორგი ააკაძემ საომარი ძალების შეყრა მოასწრო და მტერს შეეგება.

პირველი შეტაკება თეძმის ხეობაში, სხერტის ჭალაზე მოხდა. აქ დიდი გმირობით თავი გამოიჩინეს გიორგი ააკაძემ და ზაზა ციციშვილმა, რომელმაც თურქ ფაშა-სარდალს თავი გააგდებინა, წარკვეთილი თავი კბილებით იპყრა და ორივე ხელით შეჭურვილმა განაგრძო ბრძოლა. ქართველებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ეს იყო ბრძოლა მაინც შედარებით მცირე მოცულობისა.

გადამწყვეტი შერკინება მოხდა ტაშისკარს, ნახვეტას მინდორზე, 1609 წლის 27 ივნისს. აქ ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაზე 60 000 თურქი და „მგლის-ტყაოსანი" დაესვა, მეორეზე — 10 000 ქართველი.

ბრძოლა იყო სასტიკი, სისხლდამდინარი.

„ფიცხად იბრძოდეს ქართველნი".

პირველი გმირი, როგორც ყოველთვის, იყო გიორგი ააკაძე.

მაგრამ ერთგულ ყმას არც 17 წლის მეფე უგდებდა მხარს.

„მაშინ იქნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, — ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელ იყო, რომ მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ".

ქართველთა გამარჯვება იყო სრული, ბრწყინვალე. მტერთაგან უმრავლესნი ჩაწყდნენ და ჩაიხოცნენ. ვინც სიკვდილს გადაურჩა, „დაშინებულთა და დანქრეულთა", ტყე-ღრეს მიაშურეს. ბრძოლიდან სამი დღის მანძილზე „საშოვარზე" გადიოდნენ ასლომახლო სოფლელები, კაცნი და ქალნი, ტყესა და ხევში: იქ შეფარებულ თურქებს იჭერდნენ, აშიშვლებდნენ, მაგრამ ცოცხლებს კი უშვებდნენ — ახლა საშიში აღარ არიანო, ეგენიც ადამის ძენი ყოფილანო...

ქართველებს ტყვედ წამოეყვანათ მტრის ყველა სარდალი, ესენ შორის მთავარი სერასქერი, ფერად-ფაშა (ტომით ქართველი). ლუარსაბმა ყველანი თავის „მოყვარეს და მოკეთეს", შაჰ აბასს გაუგზავნა.

გაიხარა შაჰმა, ტყვეები ჩაიბარა, ქართველი ელჩი საბოძვარით აავსო და ლუარსაბ მეფესთანაც უძვირფასესი საჩუქრები და მისართმეველი გამოატანა.

1610 წელს შაჰ აბასი აზერბაიჯანში ჩამოვიდა და ქართველი მეფეები, ლუარსაბი და თეიმურაზი „სამეჯლისოდ" მიიწვია.

ლუარსაბს თავისი სათხოვარი (თუ მოსათხოვარი) ჰქონდა და დიდის ამალით გაეშურა. დედამისიც, დედოფალი მარიამი, თან წაიყვანა ქართველ მანდილოსანთა ასაბიით.

შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფისა და მარიამ დედოფლის შესახვედრად დიდი მოხელე გამოგზავნა — მოჰამედ ამინ-ბეგი. ქართველ სტუმრებს იგი „ყოველი სადგურიდან სადგურამდე შესაფერისად ემსახურა და პატივისცემით და მოწიწებით შაჰის ტახტთან მიიყვანა".

აბასი „დიდი სიხარულით" მიეგება ლუარსაბ მეფეს, დიდი პატივით, „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და ალერსით დააჯილდოვა" იგი. „უსაზღვრო მადლობა" მოახსენა თურქთა წარკვეთილი თავებისა და დატყვევებული სარდლების მიძღვნისათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლუარსაბ მეფეს თავისი სახსოვარი აქვს „სამოთხის დამამშვენებელთან" და „ალლაჰის აჩრდილთან".

და ლუარსაბმა ფერად ფაშას გათავისუფლება სთხოვა აბასს.

ძალიანაც მოეწონა შაჰს ქართველის „რაინდული ქცევა": განა თვითონ არ შეეძლო ჩემთან არ გამოეშვა და ისე გაეთავისუფლებინა ფერად ფაშა! მაგრამ ჯერ მე გამომიგზავნა, ჩემი უზენაესი მეუფობა აღიარა, ხოლო ახლა პირადად მთხოვს ქართველყოფილი სარდლის გათავისუფლებას... ალბათ, სწორედ იმიტომ მთხოვა, რომ ფერად ფაშას ქართული სისხლი უდგას ძარღვებში. უცნაურია, ალლაჰის მადლმა: ქართველებმა მაინცადამაინც არ იციან ერთმანეთისათვის თავის გამოდება და ამ ქრისტიან მეფეს რაღა კუჭი ეწვის გათათრებული და გადამტერებული ქართველის განტევებისთვის?! მაგრამ ეს თხოვნა უნდა შეუსრულოს, ოღონდ კი სხვა „სათხოვარი" (თუ მოსათხოვარი) არ ექნეს სტუმარს.

ბრძანა აბასმა, ფერად ფაშა გათავისუფლდესო.

ქართველი მეფე დიდ მადლობას უძღვნის „ქვეყნის დამამშვენებელ შაჰს" ფერად ფაშას გათავისუფლებისათვის, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ნამდვილი სათხოვარი (თუ — მოსათხოვარი) სწორედ ახლა აქვს ლუარსაბს.

— რა სათხოვარი?! — თვალები დაეჭრუტა შაჰს.

— ტფილისი, — მოკლედ ისროლა ლუარსაბმა.

— ჩვენ ხომ ერთნი ვართ — ქართველნი და ირანელნი. ჰო და, რა-ლა საჭიროა ტფილისში ირანული ციხიონი? — წყნარად, ნირშეუცვლელად თქვა ქართველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, შენ მეუბნები, რომ ჩემი ჯარი გავიყვანო ტფილისიდან! — ყინულის ნატეხებივით გადმოყარა სიტყვები სპარსელმა.

— დიახ! — ყინვას ყინვა შეაგება ქართველმა.

— და სამაგიეროდ შენ ჩადგები ტფილისში, არა?

— დიახ! — ისევ უჯიათად ჩამოჭრა ქართველმა.

ენის კლიტე გაუელმდა შაჰს.

ერთხანს მდუმარედ უყურებდა ყმაწვილი კაცის საოცრად წყობილ სახეს.

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ქალის სახიანი ბიჭი ასე გაუბზარავი სიტყვით გამიბედავდა ლაპარაკს", — ფიქრობდა შაჰი.

უცებ გიორგი სააკაძე გაახსენდა და გაიფიქრა — ალბათ ის ჩააგონებდაო.

გაიფიქრა და მაშინვე ალავერდი-ხან უნდილაძე მოიკითხა.

სასწრაფოდ შემოვიდა უნდილაძე.

მარტო ჩაიკეტნენ...

კარგად იცოდა ლუარსაბ მეფემ, ვინც იყო ალავერდი-ხან უნდილაძე — მარჯვენა ხელი შაჰ აბასისა, „ირანის ვიცე-კოროლი" (ევროპელები რომ ეძახდნენ ასე), შაჰის რეგულარული ჯარის, „შაჰისევანის", და „ყულის ჯარის" („გვარდიის") შემქმნელი, ირანის კულტურული აღმშენებელი, პირველი სპასალარი, პირველი ვეზირი, ფარსის ბეგლარბეგი, ერმობითვე საქართველოდან ტყვედწაყვანილი და თათრად გაზრდილი...

მეორე დღეს შაჰ აბასმა დიდის სიხარულით ახარა ლუარსაბ მეფეს:

— იმის გამო, რომ პაპაშენი სვიმონ მეფე ირანის დიდი მეგობარი და კეთილისმყოფელი ბრძანდებოდა, მისი ხსოვნის პატივსაცემად შენ, მის შვილიშვილს, გიძღვნი ტფილისს. უკვე გაიგზავნა ბრძანება, რათა გავიდეს ტფილისიდან ირანული ციხიონი და მის ნაცვლად საქართველოს მთავარ ქალაქში ჩადგეს ქართული ციხიონი.

უსაზღვრო აღტაცებით აენთო სახე ჭაბუკ ხელმწიფეს.

ეს დიდი გამარჯვება იყო.

ვულში კი ეცინებოდა: რაღა ახლა გაახსენდა შაჰ აბასს პაპაჩემის პატივისცემაო! თუ მართლა ასე გიჟდებოდა სვიმონ მეფის ხსოვნისთვის, რატომ მაშინ არ მოაგონდა, ოთხი წლის წინათ სპარსული ჯარი რომ ჩაგვიყენა ტფილისშიო!

მაგრამ აქ სულ სხვა რამ იყო საცნაური: შაჰს ოსმალეთთან ომი ჯერ კიდევ ვერ მოეთავებინა. ის კი არა და, დღე დღეზე ოსმა-

ლეთის დიდი ვეზირის, მურად ფაშას შემოსევას ელოდებოდა შაჰი. ამიტომ ისევ ძნელი და სახიფათო იყო ქართველების გადამტერება.

იცის შაჰმა, რომ ყოველთვის ასე იყო — ოსმალეთ-ირანის ომებში ყოველთვის ის მხარე იმარჯვებს, რომელ მხარესაც თანამებრძოლად დაუდგება საქართველო...

მაშ, დღეს დიდი დათმობა გამოსწირა შაჰ აბასმა საქართველოსთვის.

მაგრამ რა იციან ამ უბედურმა ქართველებმა, იგივე შაჰი სულ მალე აღარ იქნება ასეთი „დათმობის" გუნებაზე.

. . . . . .

იჯდა სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში და წერდა „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორიაში"... და მისცა შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს ტფილისის ვილაიეთი. საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხე-სიმაგრეს თავი მარჩბივის ვარსკვლავედის თაღამდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხსენებული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაური ჰავა-ჰაერის სინაზისა გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სიტურფითა და სინარნარით, ნაკვთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველა სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულიც ცხადად ჩანს მათი საოცარი ენატკბილობიდან და საამური ქცევებიდან. თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებული არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰავის სიჯანსაღით და მიწაწყლის უმწიკვლობით და ნაყოფიერებით ქვეყნიერების ვერც ერთი მხარე საქართველოს ვერ შეედრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა".

. . . . . .

...თეიმურაზმაც მოატანა კახეთიდან, კახთა ამალით და დიდი ძღვენით. ექვსი თვე „ვერ შეელია" შაჰ აბასი „ძვირფას სტუმრებს" გურჯისტა-

ნიდან. ექვსი თვის შემდგომ კი ორივე დიდძალი მისართმეველით დატვირ-
თული გამოისტუმრა „თავ-თავის საქართველოში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამოსვლის წინ მეფეებმა ეს სთხოვეს შაჰს: როცა თქვენი უდიდებულესობა სამოთხისებურ მაზანდარანს გაემგზავრება სანადიროდ და თვალსასეიროდ, შეგვატყობინეთ, რათა ჩვენც სანადიროდ აღკაზმული ვეახლოთ და თქვენთან დროსტარებით გაგვაბედნიეროთო.

თქვენს თხოვნას არ დავივიწყებო, ბრძანა შაჰმა.

მართლაც დიდებული მეხსიერება ჰქონდა ირანელ ხელმწიფეს.

და ქართველ ხელმწიფეებსაც „თავის დროზე“ გაახსენებენ მათს თხოვნას...

ტფილისი აღფრთოვანებით შეეგება ქართველ გვირგვინოსანს.

ეს მერამდენედ მოიკვეთა და მოიწმინდა საქართველოს წმიდა სატახტომ უცხო უჟმური!

მაგრამ ისევ გაერია შხამი საზეიმო ნექტარით სავსე ფიალაში.

ლუარსაბ მეფეს ცუდი ამბავი აახლეს ფაიქებმა: ყაზახის მმართველი მოჰამედ-ხან ყაზაყლარი შემოსეოია ქართულ სოფლებს ცეცხლითა და მახვილით.

ნუთუ შაჰ აბასის დაუკითხავად გაბედა ომის დაწყება ყაზახის ხანმა?!

გაოგნებული ისხამდა იარაღს ლუარსაბ მეფე და ფიქრადაც არ უფიქრია, რომ მოჰამედ-ხან ყაზაყლარს უბეში სწორედ შაჰ აბასის წერილი ედო.

„სასწრაფოდ ჯარი შემოიყარე, ქართლში შეიჭერ და კალოსავით გალეწე და გააცამტვერე, ლუარსაბ მეფეს თავი გააგდებინე და მოკვეთილი თავი მე გამომიგზავნე!“ — ეწერა იმ წერილში.

„ნუთუ შაჰის თანხმობით?“ — ეს კითხვა უწვავდა გონებას ლუარსაბს, როცა ახალი, სრულიად მოულოდნელი ამბავიც გაჩნდა — თვითონ შაჰ აბასის წერილი!

„შევიტყვე, რომ ყაზახის ხანი მოჰამედ-ხან ყაზაყლარი მოღალატეა; თურმე მაგ ძაღლთაპირს ოსმალო ფაშებთან გაუმართავს მიწერ-მოწერა. ამიტომ სასწრაფოდ გაეშურე ქართველთა ჯარით, ყაზახში შეიჭერ, ააოხრე და გააცამტვერე, ხოლო მოღალატე ყაზაყლარი მოჰკალ, თავი გააგდებინე და გამომიგზავნე!“ — ეწერა ამ წერილშიც.

არც ერთმა — არც ქართლის მეფემ და არც ყაზახის ხანმა — ცალკეულად არ იცოდნენ, რომ იყო ორი წერილი, ორივე ერთ დღეს ერთის ხელით დაწერილნი, და იყო ორი „ადრესატი“ — ერთმანეთზე ერთი კაცისგან სასიკვდილოდ წაქეზებულნი.

თვითონ შაჰ აბასი ერთ რამეში გულწრფელად იყო დარწმუნებული: ქართლის მეფეც და ყაზახის ხანიც — ორივე მისი ორგული იყო.

ძალიან კი მოსწონდა და ენდობოდა თავის ვონების სიმახვილეს:

ერთ-ერთი წარკვეთილი თავი უეჭველად დაგორდებოდა მის ფეხებთან — ან ლუარსაბისა, ან მოჰამედ-ხანისა.

ერთ-ერთის, ხოლო მეორეს... მეორესაც მალე მოუღებს ბოლოს ირანის ლომი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა მომხიბლავი და საწადნელია, რომელი დაასწრებს და რომლის თავი მოგორდება შაჰის ფეხებთან!

„ისე კი... ქართლის მეფის თავი მერჩივნა", — გულწრფელად გაიფიქრა აბასმა (გულწრფელობაც უყვარდა „თავის დროზე" შაჰ აბასს).

და მოხდა ასე: მოჰამედ-ხან ყაზაყლარის თავი მიუგორეს ფეხებთან.

„ისევ ქართველს უჯობნია!" — მწარედ თქვა შაჰმა და ულვაში კბილით ჩამოიწიწკნა.

შაჰ აბასს „ორი წერილის ფანდი" მაინც ძალიან დასჯდომოდა ჭკუაში და იფიქრა, იქნებ თვითონ ქართველ მეფეებს დავაკვლევინო ერთმანეთიო.

და მისწერა ლუარსაბ მეფეს ირანის შაჰმა: მე მირჩევნია ქართლიც და კახეთიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ თეიმურაზი მოჰკალი და კახეთი დაიჭირეო.

იმგვარივე წერილი იმ დღესვე გაუგზავნა თეიმურაზს: მე მირჩევნია კახეთიც და ქართლიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ ლუარსაბი მოჰკალი და ქართლი დაიჭირეო.

მაგრამ ქართველი მეფენი შაჰის მზაკვრობას ადვილად მიხვდნენ, წერილები ერთმანეთში გაცვალეს და ამით „ეს საქმე" გაათავეს.

შაჰს მხოლოდ გაუკვირდა: როგორ მოხდა, რომ ქართველებმა ამჯერად ერთმანეთის ტყავი არ დაჰხიესო?!

. . . . . .

1611 წელს, შაჰ აბასის დაჟინებითი „თხოვნით", კახეთის მეფე თეიმურაზ პირველმა ცოლად (მეორე ქორწინებით) შეირთო მეფე ლუარსაბ მეორის და — ხორეშანი.

იმავე წელს მეორე ქორწინებაც მოხდა: თვითონ შაჰ აბასმა კიდევ ერთი ქართველი ქალი შეირთო ცოლად — ელენე, თეიმურაზ მეფის და.

ამნაირად, გუშინდელი ქვისლები სიძე-ცოლისძმობითაც დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

და კიდევ მოხდა მესამე ქორწინება 1611 წლის შემოდგომაზე — ქორწინება უფრო „მრავალმნიშვნელოვანი" და „მრავალისმომასწავებელი".

გიორგი სააკაძემ ნოსტეში, თავის ციხე-დარბაზში, ლუარსაბ მეფის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართა.

მასპინძელმა მეფეს მწდედ (მერიქიფედ) ახალგაზრდა ქალი დაუყენა, საოცრად მომხიბლავი, ტანნაკვთოვანი და სახემშვენიერი.

თვითონ მოურავის დაი აღმოჩნდა ის ქალი (სახელი არ აქვს ცნობილი).

ჭაბუკი მეფე პირველი თვალის დაკვრისთანავე დაატყვევა ქალის

-შვენიერემ. მისი ნახელავი ღვინოც ძალიან გაუტკბა, მალე კიდევაც დათვრა და გული სატრფიალოდ აეშალა და აუზვავდა.

სხვა რაღა უნდოდათ მოურავზე ბალანაშლილ თავადებს! იმ ღღესვე შექმნეს მითქმა-მოთქმა და მიეთ-მოეთი: ვიგინდარა ააკაძემ წვეულება განზრახ გააწყო, მეფე განზრახ მიიტყუა, დაი თვისი განზრახ შეატყუა და ამნაირი უკადრისი გზით უნდა მეფეს კიდევ უფრო დაუახლოვდეს და მიეტმასნოსო.

წვეულება როგორც იქნა ჩათავდა, მაგრამ გამიჯნურებულმა მეფემ ნოსტეში სიარულსა და ქალთან შეხვედრას მოუხშირა.

ჭორი გაფუვდა, გასივდა, გასკდა, მოსკდა და სამეფო სასახლიდან გლეხის ქოხის კარამდე შხამად და დარდუბალად იწყო დინება

დიდსა და მცირეს მეფისა და მოურავის დის „რომანი" გაეკრა პირზე. ოჯახი უბახდებოდა ააკაძეს.

გიორგის დედა ლამის ჭკუიდან გადამცდარიყო მისი ქალისადმი მეფის „უსაქციელობის გადამკიდე".

გიორგი მიხვდა, რომ მწარე შეცდომა დაუშვა. იგი ვერავის დააჯერებდა, მეფისა და მისი დის შეხვედრა განზრახ რომ არ ყოფილა მოწყობილი.

მიხვდა და მაშინვე შეუდგა გამრუდებული საქმის გასწორებას.

მეფეს შეუთვალა: საკადრისი არ გახლავთ თქვენი ასეთი საქციელი და უმორჩილესად გთხოვთ, გულისთქმას ნუღარ აჰყვებით, ქალს თავი დაანებეთ, თორემ უეჭველად თავს შემოგაკლავთო.

ლუარსაბი მოულოდნელი პასუხით შეხვდა მოურავს:

— მე შენი დაი ჩემს სულზე უფრო შევიყვარე, ცოლად უნდა შევირთო და ქართლის დედოფლად დავსვა!

ეს კი მეტისმეტი იყო. გიორგის ერთ ხანზე სიტყვაც ველარ ეპოვნა საპასუხოდ. მაგრამ მისმა ძლიერმა გონებამ ისევ მალე განსაზღვრა, რა უნდა მოჰყოლოდა გულისთქმას ადევნებული ჭაბუკი გვირგვინოსანის აჩემებას.

— მეფეო, მე ერთი მდაბალი ყმა ვარ თქვენი, თქვენისვე წყალობითა და კეთილი საბოძვარით გამდიდრებული და აღზევებული. ამიტომ ჩვენი ასეთი დამოყვრება შეუძლებელი გახლავთ. კიდევაც რომ მოხდეს, თავადები და მათი სახლეულნი ჩემს დას დედოფლად არ დაისვამენ, იმასაც მოგაშორებენ, ჩემ თავსაც შეგაძულებენ და დაგაკარგვინებენ. მარტო ერთი თქვენი მამა-მძუძე და სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი ეყოფა ჩვენს

გადამტერებას. ამიტომაც გეაჯები, ხელი აიღოთ, მეფეო, ჩემი ოჯახის შერცხვენაზე და დაღუპვაზე! — შეჰღაღადა გიორგიმ.

— ასეთი რა დაუშავე ჩემს გამზრდელს და სუფრაჯს, გიორგი? — ეკითხა ლუარსაბმა.

— თქვენთან ჩემი სიახლოვე ვერ აუტანია შადიმან ბარათაშვილს. მიტომაც მემტერება და მექიშპება. ერთხელაც, როცა ხმლის ხმარებაზე ატრაბახდა, მე ვუთხარი: შადიმან, შენს ხმალს კვეთა არა აქვს-მეთქი. და ამის შემდეგ სულ გაცოფდა და დაეხარბა ჩემს სისხლს, — თქვა გიორგიმ.

— ძალიან მწარე სიტყვა კი გითქვამს, ჩემო გიორგი, შადიმანისთვის.

— ვუთხარ, რადგან ასედაც გახლავთ.. მაგრამ სიტყვას ბანზედ ნუ მიგდებთ, მეფეო. მუხლმოყრილი და ქვედავრდომილი გემუდარებით, ხელი აიღოთ ჩემი ოჯახის დამცირებასა და დაღუპვაზე!

— მე და შენი დაი უცოდველნი ვართ, ჩემო გიორგი, და ასეთად დავრჩებით ქორწინებამდე, ხოლო ქორწინებაც სულ მალე განესრულება! — ბეჯითად დაასრულა ლუარსაბ მეფემ.

გაოგნებულმა გიორგიმ მეფე მიატოვა და დედამისთან წავიდა — დედოფალ მარიამთან.

— თქვენი შვილი ჩემს დას მთხოვს ცოლად, მე უარს ვეუბნები, ის კი თავისას არ იშლის და ვინძლო თქვენ მომეხმაროთ და კაის საქმით გადამარჩინოთ! — მოახსენა გიორგიმ ქართლის დედოფალს.

მარიამს უკვე სცოდნოდა „მდაბიო ქალზე" შვილის გამიჯნურების ამბავი. დიდი საყვედურებიც იფრქვეოდა თურმე დედა-შვილს შორის, მარიამი სამეგრელოს მთავრის ასულს ურიგებდა ლუარსაბს (თვითონაც მეგრელი ლიპარტიანის ასული იყო დედოფალი), ხოლო „მდაბიო საკაძის ქალის" რძლად მოყვანა ვერასგზით ვერ წარმოედგინა გვირგვინოსნის დედასა და ქართლის „მთავარ დედოფალს".

მაგრამ სამეფო ტახტის ერთგულ მსახურს და მოამაგე მოურავს მაინც ღიღსულოვნად შეხვდა მარიამი.

ლუარსაბ მეფე მე აღარ მეკითხება ცოლის შერთვას, ყველაფერს მის ნებაზე აკეთებს და, რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ერთგულებისა და თავდადების დავიწყება ჩვენი ოჯახისაგან არასგზით არ მოხდებაო, — ასეთი სიტყვით გამოისტუმრა მარიამმა მოურავი.

ისევ ლუარსაბს მიაწყდა საკაძე, ისევ ევედრა, ჩემს დას დაეხსენიო, ცუდად ნუ გამათავებინებ ცხოვრებასა და შენდამი ერთგულ სამსახურსო.

არაფერმა არ გასჯრა. მეფეს შეურყეველად გადაეწყვიტა საყვარელი ქალის შერთვა.

გიორგი გატყდა. ახლა მხოლოდ ფიცი სთხოვა ხელმწიფეს, რათა არასოდეს ელალატნა მისი დისათვის, არც არავის წაქეზებით გამოეგდო ცოლობიდან და დედოფლობიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ღვთის პირით შეჰფიცა ლუარსაბმა.

და აი, ქორწილიც. ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე ცოლად ირთავს მოურავ გიორგი სააკაძის დას.

ნოსტედან ქვათახევს წაიყვანა ნეფემ დედოფალი.

მაყრიონს წინამძღვრად მიუძღოდა ნასიძე.

ქვათახევის მონასტერში მღვდელმა იოსებ კანდელაკმა დასწერა ჯვარი ლუარსაბ ბაგრატიონს და სააკაძის „მდაბიო ქალს“.

ოთხასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც გიორგი ლაშამ „უკანონო გზით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ მოიყვანა ქალი „სასლსა სადავითოსა“. და მას შემდეგ ლუარსაბ მეფე ქართველ გვირგვინოსანთა შორის მეორე იყო, რომელმაც „უზნეო ქორწინებით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ შეირთო ცოლი.

ლუარსაბ მეფე სიტურფით და მომხიბვლელობით დიახაც არ ჩამოუვარდებოდა თამარ შვიდმნათობიერის საოცარ ძეს, მაგრამ ვაჟკაცობით, ნებისყოფით, დიდსულოვნებით, „თვითნებაობით“?!

საქორწილო სუფრა ახალი ალაგებული თუ იქნებოდა, რომ ერთბაშად ისევ ერთმანეთის საჯიჯგნად აიშალა და აზვავდა ორი მოსისხლე „ბანაკი“ —შადიმან ბარათაშვილისა და გიორგი სააკაძისა.

სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა გულს ამოჭრილი. ეს დიდი მამულიშვილური ოცნება „აზნაურული გზით“ უნდა შეესრულებინა „წვრილი ერის“ სათაყვანო გმირს: აზნაურები თავადთა ქვეშევრდომობას უნდა დასხლტომოდნენ და ყმა გლეხების გაყოლიებით ერთიანი სამეფო ხელისუფლების უშუალო სამსახურში შესულიყვნენ. ასეთი იყო სააკაძის „მოკიდებულთა“ (მიმდევართა, თანამოდასეთა) საბრძოლო განაზრახი.

ლუარსაბ მეფის ქორწინება სააკაძის „დასის“ დიდი გამარჯვება იყო.

მაგრამ არ ეძინა შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის თავადურ წრეს.

აიშალნენ თავადები. აიშალნენ ოჯახებით, ცოლ-შვილით, ქალრძალით და შეუტიეს ლუარსაბ მეფეს: ცოცხალის თავით არ შევურიგდებით „უგვარო დედოფლის“ მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. „და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა“.

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მისი ოჯახი, ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს: განუტევე „უჯიშო დედოფალი“ და მოჰკალ „მოღალატე მოურავიო“.

ლუარსაბი ერთხანს მაგრობდა, საყვარელი ქალისა და ერთგული მოურავის ჩამოშორება არ უნდოდა; სახარებასაც იშველიებდა — „რომელ-

ნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენო", — მაგრამ ნაბრალა-ნწლოვანმა „ფეოდალურმა ღიჯინმა" ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კარგი, გავუშვებ დედოფალს!" — ამოიგმინა მეფემ.

უფრო მიეძალნენ და მიეტანენ თავადები: მარტო დედოფლის გაგზავნა რას უშველის, თუ სააკაძეც არ მოკვდებაო. ის კი არა და, ღის დამცირებით გაბოროტებული სააკაძე ფათერაკს რასმე გადაგყრის ჯერ შენ და მერე ჩვენც მოგვადგებაო. ამიტომ სააკაძე უნდა მოკვდეს ღაუნ-ღობლად და დაუყოვნებლივ!

მეფე გაჯიქდა. გიორგი სააკაძისაგან სიკეთისა და ერთგულების მეტი არაფერი მახსოვს და ამნაირი კაცი ასე უბრალოდ სასიკვდილოდ როგორ გავიმეტოო.

მაშინ შადიმან ბარათაშვილმა და ფარსადან ციციშვილმა ბერუკა ჯავახიშვილი გამოიძახეს მეფესთან.

ბერუკა ჯავახიშვილი გიორგის „შვილივით ნაზარდი" ჰყოლია, მაგრამ ახლა მისი მტრების ბანაკს მიჰკედლებია და სულიც ეშმაკისთვის მიუყიდ-ნია.

და უამბო ბერუკა ჯავახიშვილმა ლუარსაბ მეფეს: ეს ხუთი წელიწა-დია, რაც გიორგი სააკაძეს შაჰ აბასის კართან აქვს კავშირი გაბმულიო. ეს მას შემდეგ, რაც თქვენი ღის მაყრიონს გაჰყვა ისფაჰანშიო. მაშინ ძალიან ტკბილი საუბარი ჰქონიათ შაჰსა და მოურავსო. იქაურ გათათრე-ბულ ქართველებთანაც შიკრიკები დაუდის სააკაძესო. ხოსრო-მირზას, შენი პაპის ძმისწულს, თურმე ქართლის ტახტსაც ჰპირდებაო.

გული გაურისხდა და სული შეერყა ლუარსაბ მეფეს.

და დათანხმდა სააკაძის მოკვლას.

უნდა მოეკლათ წავკისს, მეფის საზაფხულო სასახლეში, საგანგებოდ დანიშნულ ნადიმზე.

მაგრამ ფარეშთუხუცესმა ბააკა ხერხეულიძემ შეთქმულება გასცა და სააკაძემ სიკვდილს გაასწრო.

შეთქმულები კი, ისევ შადიმან ბარათაშვილის წინამძღოლობით, გაქ-ცეულს დაედევნენ.

სააკაძემ ნოსტეში მიასწრო, სასახლიდან ოჯახის გამოტაცებაც მოას-წრო. თავადებმა მიტოვებული სახლკარი დაუნგრიეს და დაუწვეს.

გიორგი სააკაძე ოჯახით სპარსეთს გადაიხვეწა, შაჰ აბასთან თავშესა-ფარებლად და მის ამწიოკებელთა შურის საძიებლად.

ეს უკვე საქართველოსთვის დიდი უბედურების მომასწავებელი იყო...

შაჰ აბასსაც ახლა უფრო ძლიერად შეეძლო ამოქმედებულიყო: სააკა-ძეებიც მასთან იყვნენ, უნდილაძეები, ხოსრო-მირზა ბაგრატიონიც; მისი ჯარების „მთავარი ძარღვიც" (როგორც პიეტრო დელა ვალე იტყოდა) ქა-რთული მხედრობისგან შესდგებოდა, ყულის ჯარიც (გვარდია) სულ დარ-

ჩეული „გათათრებული“ ახალგაზრდა ქართველებისგან... და, საერთოდ, მაშინ ისფაჰანში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე ტფილისში...

1612 წლის მიწურულს, ზამთრის დამდეგს, შაჰ აბასი მაზანდარანს ჩამოვიდა და საქართველოში თავისი კარისკაცი, ამირ-ყული ჯილვადარი გამოგზავნა. ჯილვადარი ჯერ კახეთის სატახტოს, გრემს ეახლა, მერე ტფილისს და ორივე მეფეს მოახსენა: თქვენ შაჰინშაჰისათვის ადრე გითხოვნიათ, როცა სანადიროდ წასვლას ინებებთ, ჩვენც გაგვაბედნიერეთ თქვენთან მიწვევითა და ნადირობითო; ახლა შაჰ აბასი მაზანდარანს ბრძანდება, ქართველებთან ნადირობა სწადია, თქვენი თხოვნაც გარეშორებლად გულზე ახატია და მოუთმენლად ელოდება თქვენს ჩამოსვლასო.

შუბლში ხელი იტაცეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა — რა გვრჯიდა, სანადირო წვევას რომ ვეხვეწებოდით ჩვენს „მოსისხლე მოყვარესო“. მაგრამ მაინც რა ბედენა იყო — შაჰ აბასი მათი თხოვნის გარეშეც როგორმე სხვა საბაბსაც გამონახავდა ქართველი მეფეების საწვევად და „საალერსოდ“.

ასე იყო თუ ისე, ლუარსაბმა და თეიმურაზმა საშიშროება იგრძნეს და შაჰის მიწვევაზე არ წავიდნენ. ის კი არა და, თვითონ შაჰის მოციქული ამირ-ყული ჯილვადარიც არ გაუშვეს დროზე საქართველოდან — „დიდის სიყვარულით“ და პატივისცემით გაბრუებულ მოციქულს მთელი ზამთარი დაატარებდნენ ქართლსა და კახეთს შორის.

ახალი, 1613 წელიც დადგა. ზამთარიც ჩათავდა, ნადირობის „სეზონიც“ მიიწურა და შაჰ აბასსაც ქართველი „მოყვრების“ ამაო ლოდინში გული გადაეწურა.

საბოლოოდ გაირკვა ყოველივე:

ქართველი მეფენი ირანის მორჩილებაზე უარს ამბობენ!

ქართველებს რუსეთისკენ უჭირავთ თვალი!

თურმე თეიმურაზის უახლოესი კარისკაცი, თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი მოთავეობს ირანის წინააღმდეგ საომარ სამზადისს.

ჩოლოყაშვილს წაუქეზებია თეიმურაზი და ლუარსაბი: ნუ აყოვნებთ, შეკავშირდით და შეერთდით, სანამ სპარსელები კარს მოგვდგომიანო.

მართლაც თეიმურაზი სწვევია ლუარსაბს ტფილისში. დიდის ზარზეიმით შეხვედრიან ქართლელები კახეთის მეფეს. დამჯდარან ახალგაზრდა გვირგვინოსნები და ფიცით შეჰკვრიან ერთმანეთს: ამიერიდან ვიყოთ ერთიანნი, ერთსულოვანნი და ერთაზროვანნი სამშობლო საქართველოსათვის ბრძოლაშიო!

ეს ამბები „მეტად დაუმძიმდა მის უწმინდესობა შაჰს“.

ისე გაცოფდა და გავეშდა, რომ „სულ დაილეწა მისი ნათელი გონების სარკე“.

მაშ, ავრე, არა? „შესხდნენ ხომ ქართველი მეფენი უმეცრებისა და კადნიერების ცხენზე“! მაშ, ჯერ „ბედისწერას ლოყაში სილა არ გაურტყამს“ მაგ ლაწირაკებისთვის! მაშ, „ცხოვრების მასწავლებელს ბევრი ჯერ ყურები არ დაუგლეჯია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაიწყო შაჰ აბასმა.

დაიწყო კახეთით.

1614 წელს შემოესია, ააოხრა, გაძარცვა და ტყვედ წაიყვანა კახეთის მოსახლეობა.

თეიმურაზ კახთა მეფემ ჟალეთთან მტრის ალყა თავგანწირული ხმალოაკვეთებით გაარღვია, ქართლში გააღწია, იქ ლუარსაბს შეხვდა და ორივემ ერთად თავშესაფარებლად იმერეთისკენ გაქუსლა...

კახეთის მრავალგზისი აოხრების შემდეგ, შაჰ აბასმა თავისი „ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა და გორს მივიდა. გორისა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ ირანული ციხიონები შეაყენა.

შაჰმა გორში მისვლისთანავე იმერეთში სარუ ხოჯა მოჰამედ რეზა გაგზავნა და იმერთა მეფეს, გიორგი მესამეს შეუთვალა: თქვენ ჩემი ძვეშევრდომნი, ლუარსაბი და თეიმურაზ შეგიხიზნიათ; გთხოვთ, უკანვე გამოგვიგზავნოთ ორივენიო; სამაგიეროდ დიდძალ ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს მოგართმევთ; ხოლო, უკეთუ ჩემს თხოვნას არ შეიწყნარებო, „შარუხ დაჰრაინით“ ჯარი უნდა გამოვგზავნო ბაში-აჩუკის ასაოხრებლადო.

გიორგი იმერთა მეფემ გეგუთში, დიდი ჭადრის ქვეშ მიიღო შაჰ აბასის ელჩი. მიღებას, ლუარსაბთან და თეიმურაზთან ერთად, ესწრებოდნენ ლევან II დადიანი და მამია II გურიელი.

წერილი წაიკითხეს და ძალიან გაიკვირვეს, რომ შაჰი ქართველ ხელმწიფეს სტუმრების ღალატს სთხოვდა! როგორ მოხდება, რომ ქართველმა კაცმა სტუმარი, გინა ძმა და შვილი გაჰყიდოსო — ჯავრობდა გიორგი მეფე — ან და, ქართლსა და კახეთს იმერეთი როგორ ულალატებსო?!

მერე უცებ ეს იკითხა გიორგი მეფემ: „შარუხ დაჰრაინი“ რაღა არისო?

„შარუხი ქალამანია და დაჰრა წალდიო“, — უპასუხეს.

ამაზე კი სიცილი აუვარდა გიორგის: პირდაპირ საოცარია, იმერლებს ქალამანითა და წალდით გვაშინებენო?

ბოლოს გული დაიდინჯა გიორგიმ, რადგან შაჰ აბასი მაინც ხომ შაჰ აბასი იყო და პასუხიც დროიანად და შნოიანად უნდა გაეგზავნა „ირანის ლომისათვის“.

მეფემ შაჰთან გასაგზავნ ელჩებად შეარჩია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, „ანგელოზის მსგავსი“ მალაქია და თავადი ლევან აბაშიძე. მათ ჩააბარა შაჰისათვის გადასაცემი წერილი და ძღვენი და სარუ ხოჯასთან ერთად გაგზავნა **გორში**.

ხუმრობის მოყვარულმა გიორგი მეფემ თავისი არ დაიშალა და ასეთი „მწუთხე შეგონება“ დაადევნა ელჩებს: თუ შაჰმა მუქარაზე ხელი არ აიღო და მაინცდამაინც იმერეთისკენ ლაშქრობა გადაწყვიტა, მოახსენეთ ბაში-აჩუკები სიამოვნებით შეგხვდებიან და აქაურ იმერულ ღომს, — რომ დენსაც ინებებ, იმდენს გაჭმევენ-თქო!..

შაჰ აბასმა ღიდის პატივითა და თავაზით მიიღო „ბაში-აჩუკის“ ელჩები.

წერილი წაიკითხა და ძალიან ემწუთხა, რადგან იმ წერილში გიორგი მეფე შაჰის მოთხოვნაზე ასეთ პასუხს იძლეოდა: თქვენ ღიდი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ არც ჩვენ გახლავართ უგვარონი — ღვთაებრივი ღავითის შთამომავალნი გახლავართო; ჯარით დამუქრება რა საკადრისია, ანდა მუქარით და ძალისძალად რა საქმე უნდა გამოეწყოსო! მერე — ლუარსაბი და თეიმურაზი ჯერ ერთი ჩემი სტუმრები არიან, მეორეც — ნათესავები, მოკეთენი და მოკავშირენი; განა ყოვლად უზნეობა და სიმდაბლე არ იქნება, რომ მე ისინი ასე უღვთოდ და უსამართლოდ გავიმეტო?! ან ისეთი რა დააშავეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა, — განა დანაშაულია, რომ თქვენ გაგერიდენ და ჩემთან მოვიდნენ? მე კი პირიქით მგონია — ქვეშევრდომი რომ ბატონს ერიდება, დანაშაულად კი არა, ერთგულებად უნდა ჩაითვალოს... ახლა ჩემი რჩევა ეს არის, ბრძენო შაჰ აბას: ნება მიეცით ლუარსაბსა და თეიმურაზს დაბრუნდნენ თავიანთ სამეფოებში, თქვენ აიყარეთ თქვენის ჯარებით, დაბრუნდით ირანს, ხოლო ლუარსაბი და თეიმურაზი განაგრძობენ მეფობას და თქვენს ერთგულ სამსახურს სწორედ ისე, როგორც მათი წინაპარი მეფენი ემსახურებოდნენ თქვენს წინაპრებს!

კათალიკოს მალაქიას და ლევან აბაშიძეს „იმერული ღომის ჭამა“ არ უხსენებიათ, მაგრამ სიტყვიერად ბევრს ეცადნენ შაჰის გულისწყრომის დასაცხრომად და მშვიდობის ჩამოსაგდებად.

კარგა ხანს ფიქრობდა შაჰ აბასი, უამური საფიქრალით დამძიმებული. ბერე ეს უთხრა მალაქიას და ლევანს „მწუხარედ“: თეიმურაზის ბრალია ყველაფერიო; ლუარსაბზე კი სასაყვედურო არაფერი მეთქმისო, თეიმურაზი არის ჩემი მოსისხლე; თეიმურაზმა დამაკარგვინა ლუარსაბი, რომელიც მე ჩემ თავზე მეტად მიყვარდა და ახლაც მიყვარსო.

„ამიტომ გთხოვთ — მიმართა შაჰმა იმერეთის ელჩებს — გადასცეთ ლუარსაბს, ნუ აჰყვება თეიმურაზს, ჩემი სისხლის მონატრულს; სთხოვეთ მეფე გიორგის, დაარწმუნოს ლუარსაბი, მოშორდეს თეიმურაზს, მოვიდეს ჩემთან და ვიძლევი საშინელ ფიცს — მივართმევ ქართლის მეფობასაც და იმდენ მისართმეველსაც, ქვეყანა რომ მას შენატროდეს“.

ეს დააბარა შაჰმა ელჩებს და ორივეს უხვი საბოძვარი მიუბოძა — სასულიერესაც და საეროსაც.

იმერეთს გაბრუნებულ მალაქიას და ლევანს შაჰმა ისევ გააყოლა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუ ხოჯა, რომელსაც ლუარსაბ მეფესთან ცალკე წერილი მიჰქონდა. წერილში ეწერა:

„მამაცთა ხელმწიფე შაჰ აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გავამჟღავნეთ ჩვენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩვენს სიტყვებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებელს ვინახავ შენთვის და ველოდები შენს მოსვლას. ახლა ნულარ დაიზარებ მოსვლას, უჭკუო და უგუნურ მრჩევლებს ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაკარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არ მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსვლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორ ხალხს შორის, მსურს რომ ჩვენს დროშიც ისევე დარჩეს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არეზის (არაქსის) აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რათა იყო ზედამდგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რათა შენ იზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე სადარდებელი არ გვექნეს და მეორე მხარეზე ვიზრუნოთ. იყავ მშვიდობით!“

სარუ ხოჯა იმერეთიდან მარტო დაბრუნდა. მხოლოდ ლუარსაბ მეფის წერილი ჩამოუტანა მბრძანებელს. წერილში ეწერა:

„დიდო შაჰ აბას, თუ ჯეშმარიტია შენი სიტყვები და მართლა გსურს, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სუფევდეს, შენი სიყვარულისა და მშვიდობის ნიშანი ის იყოს, რომ შენ გაშენებულსა და ხელუხლებელს დატოვებ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ნებას დართავ დარჩეს თავის სამშობლოში. შენს ნაცვლად მანდ ერთ-ერთი შენი დიდებულთაგანი დატოვე, რათა სიყვარული, ერთგულება და კავშირი — რომელიც შენ გწადიან — მისი შუამდგომლობით განვამტკიცო შენთან. შენ კი აიყარე და წადი ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც დავბრუნდებით, დავეპატრონებით ჩვენს ქვეყანას და სიყვარულითა და ერთგულებით ვიქნებით შენთან. იყავ მშვიდობით!“

შავ დღეში ჩავარდა შაჰ აბასი.

არ შეშინდა და ქედი არ მოიხარა არც ერთმა მეფემ — არც „ცბიერმა ბაში-აჩუკმა“, არც „მოსისხლე თეიმურაზმა“ და არც „თვინიერმა ლუარსაბმა“.

არც იმერეთთან დამუქრებული ომი გამოდიოდა. ჯერ ერთი, დიდად სამძიმო და სახიფათო იყო ლაშქრობა იმერეთში, სადაც კბილები ამაოდ დამსხვრეოდა ყველა დიდ დამპყრობელს; მეორეც — იმერეთი ოსმალეთის „გავლენის სფეროდ“ ითვლებოდა და მასთან ომი სტამბოლის კართან დადებული ზავის დარღვევას მოასწავებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და, ირანის ლომს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მარცხს, დამცირებასა და თავლაფდასხმას.

და ასეთ მწვავე ჟამს ისევ გამოუჩნდა „მხსნელი, მოულოდნელად „ბედნიერ შაჰს“.

ეს იყო „ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის კერძი“ შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბ მეფის გამზრდელი მამა-მძუძუ და სუფრაჯი, სამეფო სუფრის მოურავი, გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი.

მივიდა შადიმანი და დაემხო შაჰის წინაშე. ენით მოსლიქა „კეთილშობილების ნოხი“ და შეჰღაღადა: თუ მიბრძანებ, მე გადმოვიყვან ლუარსაბ მეფეს იმერეთიდანო; მე ერთადერთს მის გამზრდელს და მამა-მძუძეს დამიჯერებს მისი გამოზრდილიო.

უსაზღვროდ გაიხარა აბასმა. აურაცხელი საბოძვარით აგავსებო და ღირსებისამებრ აგამაღლებო, — აღუთქვა შადიმანს. მოსდგა და ახლა ამ სულმდაბალ თავადს უმტკიცა შაჰმა: „მე მეფე ლუარსაბს როგორ წავახდენ, მეფის სვიმონის შვილიშვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ურიგოს როგორ ვაკადრებ, მაგრამ თეიმურაზმა მიცდინა და მომიტყუა მოსიყვარულე გულის მქონე ლუარსაბი. ესეც იცოდე, თუ მეფე ლუარსაბი მოვა და შემომირიგდება, დიდს წყალობას ვუზამ და გავამდიდრებო“, თქვა შაჰ აბასმა „და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“.

„თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო“, შეჰბღავლა შადიმანმა და ერთხელ კიდევ დაულოშნა ფეხისგულები გადამთიელს.

გამოიძახა სარუ ხოჯა შაჰმა და უბრძანა, ახლა შადიმან ბარათაშვილს ჰხლებოდა ბაში-აჩუკის ქვეყანაში.

სარუ ხოჯას ლუარსაბისთვის გადასაცემად „წიგნი საფიცარი“ და ოქროს ხმალი გაატანა შაჰ აბასმა.

ერთი წერილიც საიდუმლოდ გადასცა სარუ ხოჯას. ამ წერილით აბასი გიორგი მეფეს ატყობინებდა: თუ ლუარსაბი გაჯიქდება და არ წამოვა, მაშინ შენი შვილი ალექსანდრე გამომიგზავნე და იმას გადავცემ ქართლსო.

სარუ ხოჯას ევალებოდა ეს წერილი ჯერ ლუარსაბისთვის წაეკითხვინებინა და თუ წამოსვლაზე დათანხმდებოდა, იგი გიორგისთვის აღარ უნდა ეჩვენებინა.

ბოლოს, შაჰმა ცოლს — ლელა-თინათინს დაუძახა და შეუჩნდა: ხომ იცი, როგორ მიყვარს შენი ძმა, მაგრამ თეიმურაზი და გიორგი მეფე მიბრიყვებენ და აღარ მეკარებაო; ამიტომ მისწერე წერილი, ნურავის ყურს ნუ უგდებს და მოვიდეს ჩვენთან, საყვარელ დასთან და სიძესთან.

ლელას ქმრის ვერაგობაში ეჭვი არ შეუტანია, ისე დაუწერია წერილი ლუარსაბისადმი.

ეს წერილიც წარიტანეს შადიმანმა და სარუ ხოჯამ და სახწრაფოდ გა-
ქუსლეს იმერეთისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აიღო ლუარსაბ მეფემ შაჰისგან გამოგზავნილი მურასა ბმალი
და წაიკითხა შაჰის „წიგნი საფიცარი“.

წაიკითხა გიორგი მეფისთვის გამოგზავნილი წერილიც.

წაიკითხა დის წერილიც.

მოისმინა შადიმან ბარათაშვილის „მამაშვილური“ შეგონებანი, ფიცი
და მტკიცი. და შადიმანმა, „იმ სატანის კერძმა, როგორც გველმა ევა,
ისე დაიყოლია და დაითანხმა ლუარსაბის გონება შაჰთან წასვლაზე.

გიორგი მეფისადმი შაჰის წერილმაც ეჭვები აღუძრა ლუარსაბს, ვინ
იცის, იქნებ შეთქმულებაც მომიწყონ ირანისა და იმერეთის ხელმწიფე-
ებმაო.

იმ დღეს მაინც სულ არ მოეწონა იმერეთის მეფის კადნიერება: რა
არის და, ლუარსაბის წინაშე გიორგი ქუდმოხდილი და ფეხი-ფეხზე შე-
მოდგმული დაბრძანდა!

„მტერმა, რაც ნებავს, ის მიყოს, მაგრამ ჩემზე უმცირესისაგან დამ-
ცირებას ვერ მოვითმენო!“

ეს ჩაიბუზღუნა და „მაშინღა დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და
აემზადა წასასვლელად“.

მიეხვივნენ — დედა მარიამი, დაი ხორეშანი, სიძე თეიმურაზი, მას-
პინძელი გიორგი მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრები, იმერელი დიდე-
ბულები — ნუ იქნები ესოდენ გულუბრყვილო, ნუ გაბრიყვდები და ნუ
ენდობი ვერაგ შაჰ აბასსო; „ცხარე ცრემლით სტიროდნენ“ და არწმუ-
ნებდნენ, ხელი აეღო შაჰთან წასვლაზე.

— ნუ დაუჯერებ მაგ ორგულსა და ვერაგ მხეცს. მაგას ჩვენი სისხ-
ლის დალევა სწყურია! — ყვიროდა თეიმურაზი — ქრისტიანი მეფე ქვე-
შევდრომადაც აღარ ნებავს შაჰ აბასს, უნდა ჩვენს ადგილზე ხანები და
ბეგები დასვას. ძმა შენ არა გყავს, შვილი და ძირი. თუ მიხვედი, შენც
მოგკლავს და ქართლსაც სახანოდ გადააქცევს!

ოდიშის ახალგაზრდა მთავარი, ლევან დადიანი, ადრე დათქმული
ქორწინებისკენ მიანიშნებდა ლუარსაბს: ბარემ ჩემი დაი ცოლად შეირთე
და შაჰ აბასთან წასვლაზეც ხელი აიღეო.

მაგრამ ლუარსაბს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა და ასევე მტკიცედ და
პასუხშეუქცევლად გამოაცხადა:

— შაჰი მივიდა და დადგა ჩვენი სამშობლოს შუაგულში და მთხოვს
მშვიდობის ჩამოგდებას. უკეთუ არ მიუვალ, მთელს ქვეყანას იავარ-
ჰყოფს, ააოხრებს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქართველობას
ამოხოცავს და ტყვედ წაიყვანს. და ყოველივე ამის მიზეზი ვიქნები მე.
სინდისდამძიმებულ ცხოვრებას ამ ხანმოკლე საწუთროში და ამდენი
ხალხის ცოდვის ტვირთვას უმჯობესია ვეახლო შაჰს და ვიხსნა მთელი

ქვეყანა, რამეთუ ჩემის მიზეზით ჩემი სამშობლო არ აოხრდეს, ღვთის იმედით პირდაპირ წავალ მასთან, ხოლო იქ რაც მომელის, ესოდენი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის რაღა ეთქმოდა და ეპასუხებოდა?!

დიდებული იყო სიტყვა იგი — უზემოესი მამულიშვილობით შთაგონებული, თქმული საოცრად მომხიბლავი ჭაბუკის პირით.

თითქოს დემეტრე თავდადებული ამდგარიყო მკვდრეთით.

და წამოვიდა იმერეთიდან ქართლისაკენ ლუარსაბ მეფე. საწერეთლომდე მოაცილეს დედამ, დამ, სიძემ, მასპინძელმა, მთავრებმა, დიდებულებმა.

ცრემლთა თხევით დაემშვიდობნენ და გაბრუნდნენ.

მოდიოდა სახეცისკროვანი ჭაბუკი.

წინ სატანა მოუძღოდა...

შაჰი ლიხის მთის კალთებზე ნადირობდა.

ნადირობა მიზეზად ჰქონდა, თორემ სინამდვილეში ლუარსაბ მეფის შესახვედრად მოსულიყო იმერეთის საზღვართან.

მოუთმენლად კი ელოდა სიძე ცოლისძმას.

გამოჩნდა ლუარსაბ მეფე.

წინ სატანა მოუძღოდა — შადიმან ბარათაშვილი.

უკან სარუ ხოჯა მოსდევდა.

აღტაცებულმა შაჰმა ცხენები გააჭენა, ლუარსაბს ზედ მიეჭრა, გადაეხვია და შეჰბღავლა ცრემლთა ღაპაღუპით:

— როგორ შემიძლია მოგაგო ბოროტი რამე ეგზომ ახოვანსა, მშვენიერსა და ერთგულსა ძესა ჩემსა?!

იღიმებოდა ლუარსაბ მეფე. თან უკვირდა: ტირილიც შესძლებია „ყოვლისშემძლე“ შაჰ აბასსო!..

უხაროდა შაჰს — ამ „გველის ბუნების“ სპარსელს, „დიდად დახელოვნებულ ვეშაპს“, „იმიტომ ჰხარობდა თავის გულში და სულში, რომ ეს დღე მისთვის უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა“.

მაშინვე დიდი მისართმეველი მიართვა აბასმა ლუარსაბს, დიდებული სანადიმო სუფრა გაუშალა, და რამდენიმე დღე ანადიმა და ინადიმა „სვებედნიერმა ვეშაპმა“.

მერე ვორში ჩაიყვანა დიდის ზარზეიმით სიძემ ცოლისძმა.

აქაც „დიდის სიყვარულითა“ და „სიწრფოებით“ ინადიმეს და ინადირეს.

ხალხს უკვე სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ შაჰის გულში ლურსაბის სიყვარულის მეტს არაფერს გაეჭაჭანებინოს.

მაინც ეშინოდა შაჰ აბასს — ვაი თუ ლუარსაბს ვინმე ქართველთა-განმა „გული გამოუცვალოს და შფოთი აღადგინოსო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიდან აიყარა და ტფილისისკენ გაიყოლია ლუარსაბი.

„წარვიდეთ ტფილისსაო და ვილხინოთ მუნცაო და შევექცეთო“. მერე მე წავალ ირანისაკენ, შენ კი ტფილისში დარჩებიო, ვითარცა მეფე ქართლისა, ქართლის სატატხო ქალაქშიო!

ამაზე უფრო სასურველი რაღა უნდა ჰქონოდა ლუარსაბ მეფეს!

მცხეთიდან ტფილისამდე გამწკრივებულ სპარსელ ჯარებს შორის გაიარეს ირანისა და ქართლის გვირგვინოსნებმა.

და იყვნენ ერთხანად ტფილისში, მოსვენებით, „განსვენებით“ და განცხრომით.

ლუარსაბს კი სული ელეოდა — როდის აიყრება, გამშორდება და გადაქარდება ირანელი სულთამხუთავი ტფილისიდანო...

ეს „ნანატრი დღეც“ დადგა.

ჯერ შაჰ აბასმა ტფილისის ციხეში სპარსული ციხიონი შეაყენა; ციხიონის უფროსად სპარსელი დანიშნა, მერე, „ნებაყოფლობით შაჰისევანებად“ ჩაწერილი ქართველები დედაბუდიანად აჰყარა, ათასეულებად დაალაგა და ირანის ცრემლიან გზებს გაუყენა.

ნახატურივით გაშტერებული და გამშრალი იდგა ქართველთა მეფე.

ბოლოს შაჰი თვითონ ლუარსაბს მიუბრუნდა და „ალერსიანად“ უთხრა — წავიდეთო.

„წავიდეთო“?!

რატომ ითქვა ეს სიტყვა მრავლობითობით?!

განა მარტო, ულუარსაბოდ არ უნდა წასულიყო შაჰი?!

მაშინ უფრო „გარკვევით“ უთხრა შაჰმა: ყარაიას ველზე გავიდეთ ერთად, იქ ვინადიროთ და შევიქცეთ ნადირობითა და ლხინითა. მერე შენ უკან დაგაბრუნებ, ტფილისს, ხოლო მე წავალ ირანსო.

გული გაებზარა ლუარსაბს. ალბათ აღარ აპირებს დაეხსნას „ვერაგი ვეშაპი“ ქართლის ხელმწიფეს.

და გაჰყვა ყარაიას, სანადიროდ...

...ყარაიას ველზე ნადირობდნენ შაჰ აბასი და ლუარსაბ მეფე.

იქვე, მაღლობიდან ლელა-თინათინი ქალთა ამალით სჯვრეტდა ძმისა და ქმრის სანადირო პაექრობას.

შაჰი ხელუცთომელი მონადირე იყო, მაგრამ მაინც დასჯაბნა ქართველთა მეფემ: მან ცხრამეტი ნადირ-ნანადირევით დააჯარბა ირანელს.

ქება-დიდება შეასხა აბასმა ლუარსაბს, მოუფერა და მოუალერსა, მაგრამ მალულად შურით გაიტენა და გული „გაუმტერდა“ ქართველი ჯაბუკისადმი სავნებლად და საბოროტოდ.

დამ მიიხმო ლუარსაბი და უჩურჩულა იდუმალ:

— ჩემო ძმაო, ძალიან გამორჩევით ნუ აჩვენებ შაჰს შენს სიმარჯ-ვეს, ვაჟკაცობასა და ახოვანობას. მე ვიცი მისი ხასიათი — შურიანი ... ხვანჯიანი კაცია; პირადად ვერას გეტყვის, მაგრამ გულში ... ეწყინება და ვინ იცის რას წაგკიდებს.

ლუარსაბმა ხელი ჩაიქნია და ეს უთხრა დას და დედოფალს ირანისას:

— აწ რა ვქნა და რაღა გაეწყობა, ჩემო დაო, ან რაღა ბედენაა, ავად ვეჩვენები თუ კეთილად; ეს ხომ ვიცი, აღარ გამიშვებს შაჰ აბასი და, რაკი დაბრუნება აღარ მიწერია, ისევ სჯობია მტერსაც და მოყვარესაც კარგად ვეჩვენო, ვიდრე ცუდად.

თქვა და უჭირა მათრახი ცხენს მონადირე-მეფემ.

წამოეწია შაჰ აბასი ლუარსაბს და უთხრა:

— ვინაითგან ხარ ამისთანა მონადირე, რაინდი და უცთური მოისა-რი, წარვიდეთ და მოვინადიროთ ყარაბაღიცა, რამეთუ არის ყარაბაღი კარგი სანადირო, სალხინო და შესაქცევარი, ხოლო ყარაბაღიდან უკან დაგაბრუნებ, ტფილისს.

„წავიდეთო“, თქვა ლუარსაბმა მშრალად, ჯადონაძგერალივით.

ყარაბაღსაც ეწვივნენ და ახლა იქ გაახურეს ნადირობა, ნადიმობა და და „შექცევა“ სიძე-ცოლისძმამ.

აქ, ყარაბაღში, ადრე ოსმალეთს გაგზავნილმა და ახლა უკანვე მობ-რუნებულმა ელჩმა ეს ამბავი ჩამოუტანა შაჰ აბასს: თურმე თეიმურაზსა და ლუარსაბს იმერეთიდან სტამბოლში ხონთქრისათვის „უმდაბლესი აზრები“ გაუგზავნიათ. ოსმალეთის ქვეშევრდომობა შეუთავაზებიათ და ირანის წინააღმდეგ საომარი დახმარებაც უთხოვიათ.

გველის კაჭრობა აუვარდა შაჰ აბასს. ლუარსაბის და თეიმურაზის სისხლი არაოდეს ისე არ სწყურებია, როგორც ახლა სწყუროდა. მაგრამ თეიმურაზი შორს იყო და ისევ ლუარსაბს უნდა ეზღო ორივეს სისხლი.

დრომდე მაინც დაიწყვიტა რისხვა აბასმა. ოსმალეთში ახალი ელჩი აფრინა ხონთქრის დასამშვიდებლად და დასაშოშმინებლად. დიდძალი საჩუქრებიც გაატანა იმ ელჩს — სულ საქართველოში ნაძარცვი ნივთები — მათ შორის თორლას საგანძურიდან მოტაცებული, თვალ-მარგალიტით მოჭედილი საეპისკოპოსო გვირგვინი.

ლუარსაბს მოუსვენრობა დაეტყო.

შაჰმაც იფიქრა, ქართველი მეფე არ გამეპაროსო, და...

და ერთ დღეს შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს თავზე დაადგა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ჯიღა.

— ეს ჯიღა ჩემი სიყვარულის ნიშნად გქონდეს და ყოველთვის თავზე ედგას ჩემთან შეხვედრის ჟამს! — უთხრა ალერსიანად შაჰმა.

რამდენიმე დღე ასე ხვდებოდნენ ერთმანეთს: ჯიღით თავშემკობილი ლუარსაბი ეგებებოდა „სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე“ ირანელს.

მაგრამ ერთხელ ლუარსაბი თავშიშველი შეხვდა შაჰს.

— ჯილა სად არის, შვილო და ძმაო“ — შეშფოთებით იკითხა შაჰმა, როცა ისინი სპარსელ დიდებულებთან ერთად მიუსხდნენ სუფრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავკარგე, — სინანულით თქვა ლუარსაბმა.

— რანაირად, შვილო და ძმაო?

— არ ვიცი. წუხელის მქონდა, ამ დილით კი ველარსად ვიპოვნე. ალბათ, მომპარეს. სხვა რამ ნივთებიც წაუღიათ ქურდებს.

„ქურდებმა მომპარესო?!“ იყვირა შაჰმა და სისხლიანი თვალები დაუტრიალა სპარსელ დიდებულებს.

— განა სიკვდილის ღირსი არა ხართ, რომ თქვენის უყურადღებობით და ბედოვლათობით ასეთი სირცხვილი მაჭამეთ? ჩემი სტუმრის, მოკეთისა და მოყვრის სავანებელში შედიან ქურდები და იპარავენ მის ნივთებს! ამაზე საშინელი რაღა უნდა მოხდეს!.. ახლა გიბრძანებთ: ყარაულად დაუნიშნეთ ლუარსაბ მეფეს ყველაზე მამაცი და ფხიზელი ჩაუშები, რათა დღე და ღამე თვალმოუხუჭავად დაიცვან მისი სიცოცხლე და ქონება, დღე და ღამე არ მოშორდნენ არც მის კარავს, არც თვითონ მას კარვიდან ფეხგადგმულს, თორემ... თორემ, თუ კიდევ მსგავსი სირცხვილი მაჭამეთ, ყველას დედაბუდიანად ამოგჟლიტავთ!

ადვილი მისახვედრი იყო მაღალი „ზნეობრივი სტუმარ-მასპინძლობის“ დაცვით ლუარსაბ მეფე ველარსად გაიქცეოდა. მას შაჰის ძლიერი საყარაულო დაცვა ადგა თავს. მაშ, იგი დატყვევებული იყო.

მომდევნო დღეს შაჰი მიადგა ლუარსაბს და „ალერსიანად“ უთხრა:

— ახლა მაზანდარანს გავეშუროთ მე და შენ, რამეთუ შესანიშნავი სანადიროა სამოთხისებური მაზანდარანი. წარვიდეთ, დრო ვატაროთ და შევექცეთ!

ისევ ჯადოქმნილივით უხმო და უნიშატო შეხდვა ლუარსაბი შაჰის ახალ გაწვევას.

მაზანდარანსაც მივიდნენ.

იქაც უზომოდ ინადირეს და ინადიმეს.

და, ბოლოს და ბოლოს, აქვე უნდა თქმულიყო, რას უპირებდა შაჰ აბასი „სიყვარულსა და ალერსში ჩაძირულ ტყვეს“.

და უთხრა კიდევაც აბასმა ლუარსაბს: ქრისტიანობა უნდა დაავდო და მაჰმადიანობა უნდა მიიღო!

„რაო?! ქრისტიანობა განვუტევო და ისლამი ვიტვირთო? მე, ქართველთა მეფე ლუარსაბმა, ძემან გიორგისამან და შვილიშვილმან დიდი სვიმონისამან, ქრისტეს ვუღალატო, ქართველობა დავაგდო და გავთათრდე?!“

— არასოდეს ეს არ მოხდება! — გადაჭრით, პასუხშეუცქეველად დაბეჭდა ლუარსაბმა.

არ მოეშვა შაჰი. აღუთქვამდა უთვალავ სიმდიდრეს, პატივს, აღზევებას. მაგრამ ვერ იქნა და „ვერ მძლე ექმნა“.

ისევ რისხვას და მუქარას მიმართა შაჰმა, მაგრამ ლუარსაბმა „არად შერაცხა რისხვა მძლავრისა, არამედ ეგო, ვითარცა ანდამატი, ... ვრელ, ვითარცა კლდე, და უშიშ იყო, ვითარცა ლომი საყოფელ-... სა“.

მაშინ ბრძანა შაჰმა, შეიპყრეს ლუარსაბ მეფე და ჩააგდეს ასტრაბადის ციხეში. ერთ ხანს იქ ჰყავდა. ბოლოს ასტრაბადიდან შირაზს გადაიყვანა და იქ, გულაბყალას ციხეში გამოჰკეტა შაჰ აბასმა ქრისტიანობისთვის და ქართველობისთვის თავგანწირული მეფე ქართველთა.

. . . . . .

იდგა 1622 წელი — მერვე წელიწადი ლუარსაბ მეფის ტყვეობის და პყრობილობისა.

შაჰ აბასი მდინარე აბიქურენის პირას იდგა ამალით. ისფაჰანს წყალი აკლდა და სატახტო ქალაქისკენ აბიქურენის გაყვანას აპირებდა შაჰი. უკვე კიდევაც დაწყებულიყო არხის გაჭრა წყლის გადასაგდებად. ხელმწიფე სწორედ სამუშაოთა სახილველად ჩამოსულიყო აბიქურენზე.

და აქ რუსი ელჩები ეახლდნენ შაჰ აბასს.

ბევრი რამ განიხილეს და განსაჯეს სტუმრებმა და მასპინძლებმა.

ბოლოს ერთი სათხოვარიც აღძრეს რუსებმა: ქართველი მეფე გაათავისუფლეთ, თავის ქვეყანაში დააბრუნეთ და ძველებურად თქვენი ქვეშევრდომობით იყოლიეთო.

უეჭველად აღვასრულებ თქვენს შუამდგომლობას და გავუშვებ ლუარსაბს საქართველოშიო“, — „სიამოვნებით“ აღუთქვა ელჩებს შაჰმა.

როცა რუსები წავიდნენ, შაჰმა გულაბყალას ციხის უფროსი გამოიძახა და უთხრა რისხვეულად:

— წარწყმედისა და სიკვდილის ღირსი ხარ შენ! რატომ აქამდე არ მოგიკლავს ლუარსაბ მეფე? ახლა რუსები იყვნენ ჩემთან და მისი გათავისუფლება მთხოვეს. წადი ახლავე და თუ ხვალ საღამომდე ლუარსაბ მეფის სიკვდილი არ შემატყობინე, იცოდე დედაბუდიანად ამოგწყვიტავ!..

. . . . . .

მაშ, 1622 წელი, ზაფხული.

შირაზში უნდილაძის წალკოტებს შირაზული ვარდობის ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ხოლო, გულაბყალაში პატიმარს ადრე გაჰღვიძებოდა.

ქართველები იხმო ქართველთა მეფემ და განაცხადა საოცრად წყნარი, უშფოთველი ხმით:

— გული მითქვამს, რომ დღეს აღვესრულები მე ამა საწუთროსაგან. ახლა მსურს სიკვდილის წინ დამიტიროთ წესისამებრ საქართველოსა,

რამეთუ მე თვით ვისმინო თქვენი ხმა ქართული, თქვენი გოდება ქართული, თქვენი სიტყვა ქართული, — ვითარცა ხმაი, გოდებაი და სიტყვაი სრულიად საქართველოსი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სთქვა ლუარსაბმა და გულაღმა დაწვა სარეცელზე. გულზე ხელები დაიკრიფა და თვალები დახუჭა, ვითარცა მიცვალებულმა.

მიუდგნენ ქართველები და იტირეს მეფე ზარით და ზუნით, „წესისამებრ საქართველოსა“.

ბერე ეპისკოპოსი მიიხმო და ეზიარა ლუარსაბ მეფე. თვალი მაცხოვრის ხატისთვის მიეპყრა და მეტყველებდა ქრისტიანი ქართველი:

„შენ უწყი, უფალო ჩემო ქრისტე, ვითარ არცა ანგარებითა, არცა სიმდიდრის მოყვარებით დავუტევე მამული და საყოფელი ჩემი და ვერცავინ შემძლებელ იყო შეპყრობად ჩემდა და ვერცა გამოყვანებად სიმაგრეთა მათგან, რომელსა მე ვიმყოფებოდი. გარნა ვიყავ მწუხარე და მელმოდა გულსა იავარ-ყოფა საქართველოსი, დამხობა წმიდათა ხატთა და ჯვართა და დარღვევა წმინდათა ეკლესიათა. ხოლო უკეთუ მე განვრინებულიყავ ხელთაგან ყიზილბაშთა, მაშინღა განირყვნებოდა და მოოხრდებოდა მშობელი ქართლი, ვითარცა იერუსალემი ნაბუქოდონოსორის მიერ. და მე აღვირჩიე საქმე ესე, რომელი ბრძანე წმიდასა სახარებასა: „მწყემსმან კეთილმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვისო“. გავსწირე თავი და არა მივეც განსარყვნელად, იავარსაქმნელად და შესაჭმელად სიწმიდენი და ალაგნი ქართლისანი. მინდობილმან ბრძანებისა შენისამან დავსდევ თავი ჩემი ქვეყნისათვის და გადარჩა ქართლი მოოხრებისაგან. ეს ყოველივე შენ უწყი, რამეთუ მეცნიერ ხარ გულის-სიტყვათა და გონებათა. არა მეწყალვის მეფობა და შარავანდედობა ჩემი, არცა შვენიერობა, ჰაეროვნება და ახოვნება სიჭაბუკისა ჩემისა, არცა უებრობა და ყვავილი სიორძილისა ჩემისაი, არცა კისკასად მორბედობა ასპარეზობისა და ქველყოფილობა ჰასაკობისა ჩემისა, არცა ბრძოლასა შინა მხნეობა და სიმაგრე მკლავისა, და არცა თეატრონსა შინა მორბედობა ცხენთა და მსწრაფმავლობა და მარჯვედ სრვა მხეცთა, დაუშრომელობა მკლავთა და ყოველთავე მოსავთა ჩემთა უზეშთაეს ყოფა, არცა დიდება, პატივი და სანოვაგენი, მრავალფერი ტაბლანი და გამოჩენებითი ლხინი და მხიარულითა პირითა მეტყველებანი, ზმანი და ბღერანი და მეფობრივი სარეცელი და ტახტგვირგვინოსნებანი. ესე ყოველივე დამიტევებია შენი და საქართველოს სიყვარულისათვის...“

ჯალათი შემოვიდა, იქ დამსწრეთ ანიშნა — გადით, მარტო დაგვტოვეთო.

მეფემაც თვალით უბრძანა თავისიანებს — წადითო, და კაეშნიანი ღიმილით დაემშვიდობა ყველას, ცალკეულად მზერის გადაკვრით.

ქართველები გალაგდნენ — გამშრალნი, დამეხილნი.

კიდევ შემოვიდა ჯალათი. მეორეს მესამე შემოჰყვა, მერე — მეოთხე, შეხუთე, მეექვსე.

შემზარავი სახეები აელანძა მეფის თვალებს.

ერთს უზარმაზარი მშვილდი ეპყრა ხელთ — მსხვილი, გასაოცარი ლარით გაჭიმული.

ლუარსაბმა რატომღაც იმ მშვილდის ლარ-საბმელს დაადგა თვალი და თქვა მშვიდი ხმით:

„აღასრულეთ ბრძანებული თქვენი!"

საბელი შეხსნეს მშვილდს ჯალათებმა.

ლუარსაბ მეფის ახოვან ყელ-კისერს ყულფად შემოაჭვდეს და ორივე მხრისკენ დაიქნიეს საბელის თავნი...

. . . . . .

ასე აღესრულა მეფე ქართლისა, ლუარსაბ მეორე, „კაცი შვენიერი და კეკლუცი და სანახავად სატრფიალო, — რომ არსად გამოსულა ამისთანა შვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა სამღთო-საკაცობრიო ზნეობით გათავებული და უკლები".

გამეფდა 14 წლისა, იმეფა ათი წელიწადი, წამებულის სიკვდილით აღესრულა შობითგან 24 წლისა.

გადაეგო უშვილძიროდ.

მისი ყველაზე დიდი „ხელმწიფური უნარი" სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის პირადი სიცოცხლის გაწირვა იყო და კიდევაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად.

ქართულ მიწაში განსვენება არ ჰღირსებია ქართული მიწისთვის თავგანწირულ ჭაბუკ ხელმწიფეს.

. . . . . .

შაჰ აბასი ისევ აბიქურენის პირას იდგა, როცა ლუარსაბ მეფის წარკვეთილი თავი მიართვეს.

დიდხანს გაქვავებული თვალით უცქირა შაჰმა სისხლით შელებილ წამებულ სახეს.

მერე ცახცახი აუვარდა, ისტერიულად ახარხარდა, მშობიარე ქალივით აკივლდა, პირიდან ლეზვი და ლოშქრი დასდინდა.

და მოკვეთილ თავს ხელები წაუშინა სახეში.

სცემა, ლანძღა და აგინა, აქეთ-იქით აგორა, მიახეთქ-მოახეთქა.

ბოლოს, როცა გული მოიჯერა და მოიძღო, ყურით აიღო და იქვე თავქვეზე მოისროლა.

ჯერ ნელა დაგორდა წამებულის თავი, მერე სრბოლას უმატა და ბალცემით დაექანა უფსკრულისაკენ.

ქეთევან დედოფალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1572 წელს, ა შ ო თ ა ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი ს ოჯახში.

სახელად — ქ ე თ ე ვ ა ნ.

1588 წელს, თექვსმეტი წლისა, ცოლად შერთეს კახეთის მეფის, ალექსანდრე მეორის ძეს — დ ა ვ ი თ ს.

კახეთის სამეფო სახლი აშლილ-არეული დახვდა რძლად შესულ ქეთევანს. ალექსანდრე მეფეს გრემის სასახლეში ორი შვილი შემორჩენოდა — დავითი და გიორგი. და ორივე ტახტ-გვირგვინისთვის ებრძოდა ერთმანეთს. მეფობა უფროსობით დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ მამა მაინც უმცროსს აცხადებდა ტახტის მემკვიდრედ. და არც ერთი კი არ ფიქრობდა, რომ ირანის მბრძანებელი შაჰ აბასი კახეთის ბატონად ამზადებდა ალექსანდრეს მესამე შვილს, კონსტანტინეს, რომელიც ირანის ხელმწიფეს ყრმობითვე მძევლად და „აღსაზრდელად" წაეყვანა ისფაჰანის სასახლის კარზე.

ბოლოს თავისი გაიტანა დავითმა. მამა აიძულა ალავერდის ტაძარში ბერად აღკვეცილიყო და მის ნაცვლად თვითონ დამჯდარიყო მეფედ. მაგრამ კახეთის ახალი მეფე, დავით I, მეფობითვე უდღეური აღმოჩნდა. მან ოთხი თვეც ვერ მოათია ტახტზე. გარდაიცვალა მოულოდნელად, 1602 წლის 21 ოქტომბერს.

ქეთევანს, აწ ქვრივ დედოფალს, დარჩა ქალ-ვაჟი; უფროსი, ძე — თ ე ი მ უ რ ა ზ ი, და უმცროსი, ასული — ე ლ ე ნ ე.

თეიმურაზი ამ დროს უკვე ცამეტი წლისა იყო და, კაცმა რომ სთქვას, აწ გარდაცვლილი მამის ტახტიც მას ეკუთვნოდა, მაგრამ ალექსანდრე ბერობიდან მობრუნდა და ისევ დაჯდა კახეთის მეფედ. დაჯდა და თავის მიმავალ მემკვიდრედ ისევ გიორგი გამოაცხადა.

დაქვრივებულ დედოფალს და მის დაობლებულ შვილებს „თავიდან მოშორების" საფრთხე შეექმნათ (ასეთ დროს ხომ სასახლის კარზე კარგადაც იციან „თავიდან მოშორების" ხერხებიც...).

მაშინ კახეთის კარზე რუსეთის მეფის, ბორის გოდუნოვის ელჩები იყვნენ ჩამოსული — ტატიშჩევი და ივანოვი, რომელთაც დიდი პოლიტიკური მეგობრობის ჩამოგდების გარდა, დავალებული ჰქონდათ საქართველოში შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ძისათვის და საქმრო ასულისათვის. და აი, ტატიშჩევმა და ივანოვმა რუსთხელმწიფის

რძლად და სიძედ თვალი დააღგეს დავითისა და ქეთევანის შვილებს — ელენეს და თეიმურაზს.

მაგრამ არ ეძინათ სპარსელებს. შაჰ აბასის ელჩი კახეთის ... მაჰმად-ბეგი, მაშინვე ატყდა: თეიმურაზი და ელენე სპარსეთს ... ვიყვანოო, რადგან თვითონ შაჰს სურს თეიმურაზი იშვილოს და ელენე ცოლად შეირთოსო!

ითქვა და მოყვრობის სასწორმაც სპარსეთისკენ გადასწონა.

თეიმურაზი და ელენე სპარსეთის გზას გაუყენეს...

კვლავ გამოხდა ჟამი მცირედი და შაჰ აბასმა კახეთისკენ გამოგზავნა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. მოდიოდა ქართველად დაბადებული და თათრად გაზრდილი „დიდი ბატონიშვილი კონსტანტინე-მირზა" (ასე ეძახდნენ მას სპარსეთში), სპარსელი თანაშემწეებისა და სპარსული ჯარის თანხლებით. მოდიოდნენ და მოჰქონდათ შაჰის ნაბრძანები: კახეთის მეფისათვის კახთა ჯარი უნდა გამოერთმიათ, კახთა თანადგომით აზერბაიჯანს შეჭრილიყვნენ, იქიდან თურქები განედევნათ და ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ სპარსეთისთვის დაემკვიდრებინათ.

ხოლო, ვერაგი შაჰის „უფრო დაწვრილებითი" ნაბრძანები მხოლოდ კონსტანტინე-ხანის გულს იყო დამარხული...

შეხვედრა მოხდა ძაგემს, აღმოსავლეთ კახეთში, 1605 წლის მარტში.

იმ დღეებში რუსი ელჩების მისაღებად ემზადებოდა ალექსანდრე და სწორედ რუსებმა თავისი თვალით იხილეს ეს შემზარავი სურათი — როგორ დაახოცვინა სპარსელებს გასპარსელებულმა ქართველმა უფლისწულმა მამა და ძმა — მეფე ალექსანდრე და მისი ძე გიორგი.

მამისა და ძმის თავები კონსტანტინემ ირანს წარგზავნა მისი მწყალობელი და გამზრდელი შაჰ აბასის „ძვირფას ძღვნად".

ხოლო თავგანკვეთილი ცხედრები აქლემს მანდიკურად გადაჰკიდა და ალავერდის ტაძარში გაგზავნა კონსტანტინემ „საბოლოოდ დასამარხავად".

გათათრებული უფლისწულის მხეცობით გაოცებულმა და შეძრწუნებულმა კახელებმა დიდ წუხილით დაიტირეს და დაკრძალეს წამებული მამა-შვილის ნეშთები.

„დასხდნენ მგოსანნი გლოვისანი". იდგა ზარდამცემი იერემიადა.

ხოლო, მთავარი ჭირისუფალი — ქეთევან დედოფალი.

განლიგებული უცქერდა ხალხი, როგორ დასტიროდა ეს საოცარი, ღმრთივ სულიერი ქალი შამამთილს, მაზლს და საქართველოს...

კახეთის სამეფო ტახტი, სახელმწიფო საგანძურები და სრა-სასახლენი სისხლიანმა კონსტანტინე-ხანმა დაიჭირა.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გაყიზილბაშებული კონსტანტინეს გამეფება კახეთის „გათათრებასა" და ირანის „თათრულ სახანოდ" გადაქცევას მოასწავებდა.

მაგრამ სულ მალე კონსტანტინეცა და შაჰ აბასიც დარწმუნდნენ, რომ კახეთის „გათათრება“ არც ისე იოლი საქმე იყო. აქაური ერი სიკვდილს არჩევდა და ქრისტიანობასა და ქართველობაზე ხელს არ აიღებდა.

უკვე იგრძნობოდა, რომ აჯანყების ნაკვერცხალი სწრაფად ანთებ-ბოდა.

კონსტანტინე მისვდა, რომ კახეთის მამულიშვილური ძალები ქალის გარშემო იყრიდნენ თავს.

ხოლო ქალი „ესე იყო ღვაწლ-მრავალი და სამგზის სანატრელი, დედათა შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევანი“.

და კონსტანტინემ ქეთევანის დაუფლება გადაწყვიტა.

ხოლო „დაუფლება ესე“ იქნებოდა არა მარტო ცოლად შერთვა მშვენიერი ქალისა, არამედ „სრულქმნილი დაუფლება“ მტრად გადაკიდებული კახთა ქვეყნისა.

კონსტანტინე ქეთევანის მაზლი იყო, მაგრამ მუსლიმანთა საოჯახო სამართლით მაზლისა და დაქვრივებული რძლის შეუღლება სააუგო და საძრახისი კი არა, დიდ „სამადლო ქმედებად“ ითვლებოდა კიდეც.

და შეუთვალა კონსტანტინემ ქეთევანს:

„მე დამიპყრია კახეთი ნებითა ყეენისათა, ვარ მე ხელმწიფე და იყავ შენ დედოფალი; მაჰმადის სჯულით ჯერ-არს შეუღლება რძლისა და მაზლისა; ხოლო უკეთუ არ ინებო, მე ძალით ვჰყო ესე!“

უსაზღვრო ზიზღმა, აღშფოთებამ და გაკვირვებამ მოიცვა ქეთევანის სათნოებით აღსავსე გული. სასწრაფოდ კახელი დიდკაცობა შეჰყარა და აუწყა კონსტანტინეს „უკეთურება უკეთურებასა ზედა“.

თუ მტკიცედ არ ამომიდგებით მხარში და ამ საზიზღარ კაენს არ ვაზღვევინებთ, მე კახეთიდან სულ წავალ და ქართლს დავბრუნდები, მუხრანს, ჩემს თავისსახლობაზეო, — გამოაცხადა დედოფალმა.

დიდებულებმა დაიჩოქეს სათაყვანო ქალის წინაშე და შეჰფიცეს, „რომე შენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდა“ და მწარედ ვაზღვევინებთ შენს შეურაცხმყოფელსა და ჩვენი ქვეყნის დამაქცევარსო.

კონსტანტინემ კატასტროფის სიახლოვე იგრძნო, ამიტომ ქეთევანის დაუფლებაზე ფიქრს დროებით თავი მიანება და კახელ დიდებულებს შირვან-აზერბაიჯანში სალაშქროდ ვაყოლა მოსთხოვა.

ქეთევანმა და მისმა თანადგომმა დიდებულებმა კარგად იცოდნენ, რომ შირვანს ლაშქრობაზე უარის თქმა თვითონ შაჰ აბასის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებას ნიშნავდა ამიტომ, სანამ კონსტანტინე ვერ მოეშორებინათ, მის ნებას უნდა დაჰყოლოდნენ და საომარ წვევაზე დათანხმებულიყვნენ.

10 000 კახელი მხედარი დაუყენა გვერდით კონსტანტინემ ყიზილბაშთა ლაშქარს და 1606 წლის მაისში შირვან-აზერბაიჯანისაკენ გასწია.

შევიდნენ და ჯერ არეში წაართვეს ოსმალებს, მერე ყაბალახ შემოადგნენ ალყად. ყაბალას კედლებთან შეიქნა ძალმიცემით ცემა და ბრძოლა. ნამეტნავად „კარგად იყვნენ კახნი და კოხტაურად იბრძოდნენ, ბიზნიდამ ურუმთა (თურქთა) და გარედამენ ყიზილბაშნი გაკვირვებულნი შექმნილიყვნენ ქართველთა გალომებისასა და შეუპოვრად მხიარულად ომსა“.

ყაბალა აიღეს, თუმცა კონსტანტინე დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა და შირვანში მოპოვებული გამარჯვების ამბავი შაჰ აბასს აცნობა. შაჰმა გაიხარა და საჩუქრები გამოუგზავნა „საყვარელ კონსტანტინე-ხანს“. კონსტანტინემაც ახალი ძალითა და ენთუზიაზმით შეუტია თურქებს. მორიგი იერიში შემახაზე მიიტანეს ქართველებმა და ყიზილბაშებმა. იერიში ჩაუქრათ და ალყაზე გადავიდნენ. ალყა გაჭიანურდა, აქ კახელებმა თვითონ კონსტანტინეს მოკვლა სცადეს, მაგრამ განზრახვა უხეიროდ და უშედეგოდ გაუთავდათ. შეთქმულნი მოღალატეს ღამით კარავში შეუხტნენ, მაგრამ კონსტანტინემ სიკვდილს გაასწრო. კახელთა ჯარი ყიზილბაშებს გამოეყო და კახეთში დაბრუნდა. მარტო ყიზილბაშებით კონსტანტინემ ვერაფერი გააწყო და ხელცარიელი დაბრუნდა შაჰთან.

შაჰს კახთა ელჩობა ეწვია, მორჩილების თანხმობა მისცეს, ოღონდ მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მოგვაშორე და მეფედ „შენი მაღალი ტახტის“ ახლო მყოფი თეიმურაზი გამოგვიგზავნეო.

შაჰის „მაღალი გონება“ მაშინვე მიხვდა, რომ კახეთს კონსტანტინე მისი „თათრობისთვის“ არ სურდა, ხოლო თეიმურაზს ქრისტიანობისთვის (ანუ „ნამდვილი ქართველობისთვის“) იწონებდა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „კახეთის საქმეს“ მეტი სიფრთხილე და წინდახედულება სჭირდებოდა. მან ელჩებს ალექსანდრესა და გიორგის დაღუპვის გამო სამძიმარი უთხრა. კონსტანტინეს ჩამოცილებისა და თეიმურაზის კახეთს გაგზავნის საქმესაც მალე გადავწყვეტო, აღუთქვა ელჩებს. მერე ქეთევან დედოფლისა და კახეთის წარჩინებულ მესვეურთა სახელებზე „წყალობის წიგნი“ შეადგინა, თავის ელჩებს ჩააბარა და ქართველ მოციქულებთან ერთად კახეთისაკენ გამოისტუმრა.

კონსტანტინემ კი შაჰის წყალობას აღარ დაუცადა, ახალი ჯარები შემოიყარა და საქართველოსკენ წამოემართა. ძაგემს მოვიდა, ბანაკად დადგა და გრემში მოციქული აფრინა ქეთევან დედოფალთან და მის საადარბაზოსთან.

მე სამტროდ არ მოვსულვარო, ითვლევინებოდა კონსტანტინე, არც თქვენს შორის მეგულება მტერიო, იმ სამი-ოთხი კაცის გარდა, მოკვლა რომ დამიპირეს და ამდენი შფოთი და დავიდარაბა აგვიტეხესო. მიმიღეთ, ყველაფერში თქვენი სურვილის მიხედვით მოვიქცევი, ჩემს ნათესავ უფლისწულებსაც მამასავით მოვუვლი და, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ ჩემი მოკვლის მოსურნეებსაც მივუტევებ ესოდენ მტრობასო. თუ ასე

შემონათვალს არ დაიჯერებთ, ვინც გენებოთ გამომიგზავნეთ და იმის წინაშე დავიფიცებ ყოველ ჩემს აღთქმასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრემში სასაცილოდაც არ ეყოთ კონსტანტინეს ფიცი და მტკიცი.

სასწრაფოდ აისხა იარაღი კახთა ლაშქარმა.

ქეთევანმაც ქართლში აფრინა შიკრიკი დახმარების სათხოვრად. ქართლის მეფე გიორგი მეათემ პაპუნა ამილახორი წარმოგზავნა ზემო ქართლის ჯარით.

ლაშქარი დალოცა ალავერდელმა.

ქეთევან დედოფალი გაუძღვა, ვითარცა ერთ ღროს ღიღი თამარი მიუძღოდა „ყოველი საქართველოს" მსედრობას.

ჯალაბით, ქალებით და ბავშვებით მოდიოდნენ კახელი მეომრები.

ბელაქნის წყალზე მოვიდნენ.

მაღლობზე კახეთის სახელმწიფო დროშა აღმართეს და მის ქვეშ ქალები და ბავშვები დააბანაკეს.

აქვე დადგა ქეთევან დედოფალიც.

და ჯარმა დედოფლისა და ცოლ-შვილთა წინაშე დაიფიცა მამული-შვილური თავგანწირვა, რაინდული ვაჟკაცობა და მოყვასული ურთიერთ თანადგომა და თანაალმობა. მერე წინ გავიდნენ და საომრად დალაგდნენ.

კონსტანტინეც მოიჭრა თავისი მხედრობით.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

ქართველებმა გაიმარჯვეს.

კონსტანტინე ბრძოლაში მოჰკლეს — დავით ჯანდიერმა, თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებმა ააგეს შუბებზე.

და ქეთევან დედოფალმა ელჩობა გაგზავნა თავრიზს, სადაც მაშინ იმყოფებოდა შაჰ აბასი.

კახელები შაჰის წინაშე ბოდიშს იხდიდნენ სპარსეთის ლაშქრის „უნებლიე ხელყოფისათვის" ხოლო მოკლული კონსტანტინეს სანაცვლოდ კახეთის ტახტზე ითხოვდნენ თეიმურაზ ბატონიშვილის დანიშვნას.

შაჰ აბასმა ამჯერად ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა, რადგან ეშინოდა კახეთი რუსეთისკენ არ გამექცესო, და გამოუშვა თეიმურაზი კახეთის მეფედ.

...ირანის მიწა უკან ჩამოიტოვეს კახელებმა.

ქართულ მიწაზე შემოდგეს ფეხი.

მაშინვე გაიძრეს შაჰის ნაჩუქარი ოქრონემსული ხალათები.

თეიმურაზი ცხენიდან გარდახდა, დაემხო და დაეკონა ქართულ მიწას.

ქიზიყი ამოიარეს. ერთმა იქაურმა გლეხმა ისტუმრა მეფე და მისი ამალა. ამ ოჯახში ცხრა ვაჟი იხილა, ცხრა აკვანში ჩაკრული, თეიმურაზმა. „უეჭველად ფეხბედნიერი იქნება ჩემი მეფობაო", — გაუელვა ჭაბუკ ხელმწიფეს და სიხარულით აღვსილი თვალი ჩამოატარა ცხრა ქალრძალს და ცხრა ქართველი წულით გასხივოსნებულ ცხრა აკვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრემის სასახლე ზეიმით ელოდა მეფეს.

ელოდა ქეთევან დედოფალი — შვილს, ხელმწიფეს.

ბოდბეს ეკურთხა კახეთის მეფედ თეიმურაზ პირველი ფიროსმანი ნინოს საფლავთან მუხლმოყრილი.

ერთი წლის შემდეგ, 1607 წელს, შაჰ აბასი, ალავერდი-ხან უნდილაძის თანხლებით აზერბაიჯანში შევიდა, იქიდან ოსმალთა საბოლოოდ გასარეკავად. იქიღანვე თეიმურაზს შემოუთვალა: ძალიან მენატრები, ძალიანაც მჭირდები და სასწრაფოდ კახელთა „გაწყობილი ჯარით" გამომეცხადე ქალაქ შემახასთანო. ირანის ლომი მოუთმენლად ელოდა „თავის გაზრდილს" და უმამაცეს კახელთა ლაშქარს.

და მოვიდა... უარი.

ღიახ, თეიმურაზი უარს ამბობდა შირვანს ლაშქრობაზე. მხოლოდ ეს იყო, რომ ბოდიშს უხდიდა შაჰს — ამჯერად არ შემიძლია სალაშქროდ გამოსვლა და გთხოვთ გამათავისუფლოთ „მაღალ კარზე სტუმრობისგანო".

უარიო? აიშალა და აზვავდა შაჰ აბასი. ნუთუ ეს თავის ნებითა და ჭკუით გამიბედა თეიმურაზმაო. არა, უეჭველად დედამისი ქეთევან დედოფლის ჩაგონებით იქნებაო.

რა გაეწყობოდა! მდგომარეობა კარნახობდა რისხვის დაცხრომას და შემოუთვალა „გამზრდელმა" „გაზრდილს": ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ შენი თხოვნისა, ვთქვათ და, ნუ მოხვალ ამჯერად ჩვენთან, მაგრამ ვაი თუ შენი გამოუცხადებლობა „ზერელე ჭკუის ადამიანებს შაჰისადმი ერთგულებისა და მორჩილების ნაკლებობად მოეჩვენოთ", ან ღალატად ჩათვალონ და „სხვა მხარეების მმართველებმაც" შენის მიბაძვით განდეომა და ღალატი განიზრახონ! ამიტომ გთხოვთ, მაინც მოხვიდე მცირე ხნით, მოხვიდე „მარტო, მსუბუქად"; მალე უკანვე გაგაბრუნებ, კახეთს, საიდანაც მერე დედაშენს გამოგზავნი იმდენი ლაშქრით, რამდენსაც თვითონ დედოფალი შესაძლებლად ჩათვლის.

მაგრამ მაინც არ გამოცხადდა თეიმურაზი. მან „საპატიო მიზეზის გარეშე" ისევ „უარი თქვა მოსვლაზე და შაჰის სამსახურის ბედნიერებას არ ეზიარა".

რისხვის ცეცხლზე იხრაკებოდა შაჰ აბასი.

განვლო მცირე დრომ და კახეთიდან მოვიდა დედოფალი ქეთევანი, სულ რაღაც ათასი კახელის თანხლებით. თეიმურაზი კი ისევ არ ჩანდა.

შაჰს შეეძლო დაცინვად მიეღო ქართველთა ეს უცნაური სტუმრობა, მაგრამ არაფერიც არ შეიმჩნია და დიდის პატივით მიიღო კახეთის დედოფალი და მისი ამალა.

კახელები მისვლისთანავე საომრად გაეწყვნენ და უნდილაძის „სიბას" შეუერთდნენ. მაგრამ შაჰ აბასმა „სტუმრების შეწუხება" არ ინება და

კახელთა რაზმი ბრძოლის ხაზიდან უკანვე გამოიწვია, დედოფალ ქეთევანს კი თავისი ცოლები აახლა, „დიდის ალერსითა და პატივით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე კახეთს გაბრუნდა დედოფალი თავის ამალით.

ბოღმა ბოლავდა შაჰ აბასის გულში.

ხოლო, ეს კი სრული სიწრფოებით უნდა ითქვას ალლაჰის წინაშე: მართლაც რომ ღვთაებრივი ქალი ყოფილა ქეთევან დედოფალი...

1607 წლის 27 ივნისს უნდილაძემ ზარბაზნების უწყვეტი ცეცხლით შეანგრია შემახას კედლები და ქალაქშიც შეიჭრა. სპარსელებმა სულ ერთიანად ამოწყვიტეს ოსმალონი. შირვანის ყველა ციხე-ქალაქში ოსმალთა ნაცვლად უკვე სპარსელები იდგნენ. „ოსმალობა“ დამთავრდა და „ყიზილბაშობა“ დაიწყო...

1607 წელს, ჩვიდმეტი წლის თეიმურაზმა ცოლად შეირთო მამია გურიელის ასული, ანა, რომლისგანაც მას შეეძინა ორი ძე — ლ ე ვ ა ნ ი და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

1610 წელს ანა გარდაიცვალა და მომდევნო 1611 წელს, შაჰის დაჟინებით, თეიმურაზმა ცოლად შეირთო ლუარსაბ ქართლის მეფის დაი, ხ ო რ ე შ ა ნ ი...

1613 წლის მიწურულს, შაჰ აბასი უზარმაზარი ირანული ურდოს თანხლებით განჯას მოვიდა და დაიბანაკა.

მოვიდა თუ არა, მაშინვე ერთხელ კიდევ აამუშავა „წყვილი წერილების“ ტაქტიკა. ერთდროულად ლუარსაბს და თეიმურაზს ერთნაირი წერილები გამოუგზავნა. ლუარსაბს სწერდა: „ჩემო საყვარელო ცოლისძმავ, ნუ ენდობი თეიმურაზს, ნუ უერთგულებ მას, ვინაიდან იგი შენი მოსისხლე მტერი არის და სურს მეგობრობის ნიღბით მოგატყუოს, მოგკლას და შენს ქვეყანას დაეპატრონოს. მან მე პირადად გამიმხილა ეს განაზრახი. ამიტომ სანამ ცოცხალი ხარ, თვითონ დაასწარი, მოჰკალი იგი და შენი იქნება ორივე ქვეყანა — ქართლიც და კახეთიც. მეც აქ მოვსულვარ და თუ საჭირო გავხდე, შემომითვალე და მაშინვე მოვალ და მოგეშველები ჯარითაც, ფულითაც“. იგივე ეწერა თეიმურაზისადმი მიწერილ წერილშიც, ოღონდ „ადრესატთა“ გადანაცვლებით.

ერთადერთი, რაშიაც არ მოტყუვდნენ ლუარსაბი და თეიმურაზი, ისევ ეს იყო: შაჰ აბასის წაქეზება არ გაიკარეს, წერილები ისევ ერთმანეთში გაცვალეს, ჭეშმარიტება დაადგინეს და ისევ „არხეინ მოყვრობას“ მიეცნენ.

მთელი ზამთარი იდგა შაჰ აბასი განჯაში, საქართველოს კარისყურზე, და ქართლ-კახეთის გვირგვინოსნებს ხელიც არ გაუნძრევიათ უსაშველო საფრთხის უკუსაგდებად.

მომდევნო 1614 წლის აღრე გაზაფხულზე შაჰ აბასმა თეიმურაზს ელჩი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „დღე-დღეზე ოსმალეთს სალაშქ-

როდ მიეშურები, ხოლო შენ აღარ გენდობი — ასე მგონია, პაპაშენივით, ოსმალების მხარეს დაიჭერ, ამიტომ, თუ მართლა მტრობას არ მიპირებ, შენი შვილი უნდა გამომიგზავნო მძევლად დაუყოვნებლივ, ჩემთან იქნება შენი ძე, შევიტკბობ, შევიყვარებ და გავზრდი შენზე უკეთესად და შენს უმჯობესად!"

თავზარდაცემულმა თეიმურაზმა სამეფო დარბაზი შეჰყარა და „მძლავრი ბოროტის" მოთხოვნა შეატყობინა.

დარბაზმა მძევლის გაცემა ურჩია მეფეს.

ავარდა და დავარდა თეიმურაზი — ტყუილად მაკარგვინებთო შვილს, ვერაგი შაჰი მაინც თავისას იზამსო, მაგრამ ვერაფერს გახდა: თავადები ჯიუტად მოითხოვდნენ ერთ-ერთი უფლისწულის გაცემას, რამეთუ ეგონათ მეფის ძის გაცემით საკუთარ ოჯახებს გადაარჩენდნენ შაჰის მძვინვარებისაგან.

გატყდა თეიმურაზი: ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, რომელი გაემეტებინა სამძევლოდ — ხუთი წლის ლევანის, თუ სამი წლის ალექსანდრე. არჩევანი უმცროსზე შეუჩერდა, ალექსანდრეზე. ჩვილი ბავშვის ხილვაზე შაჰს გული აუჩუყდება და იქნებ უკანვე დაგვიბრუნოს ყრმა უფლისწულიო!

თანაც ქეთევან დედოფალი უნდა ხლებოდა შაჰ აბასს, რადგან თეიმურაზი „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ აბასისგან, რამეთუ ეველროსცა შეწყალებად და უკუნქცევად".

ერთი სიტყვით, განჯას გაგზავნეს უფლისწული ალექსანდრე, ქეთევან დედოფლისა და სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძის თანხლებით.

დიდი პატივით, თავაზითა და თაყვანისცემით შეხვდა შაჰი ქეთევან დედოფალს, მაგრამ ყრმა ალექსანდრე რომ იხილა, რისხვა ვეღარ დაიოკა და ბრაზიანად იყვირა:

„რას ჰგავს ეს?! მე თქვენ ძიძა ვგონივართ თუ ბიძა, ეს ერთი ბეწო ბალღი რომ მომიგდეთ?!"

ისე გაცოფდა და გაშეთდა, არასგზით აღარ მოუსმინა ქეთევანს, „ულამაზესსა და უბრძენეს დედოფალს".

მაშინვე ნოდარ ჯორჯაძე, იგივე სპარსი მოციქულის თანხლებით, უკანვე კახეთს გაგზავნა და თეიმურაზს ბრძანება შეუთვალა: ახლავე შენი უფროსი ძე გამომიგზავნე, თუ გინდა დედაშენი და უმცროსი ვაჟი დაგიბრუნო და მეც ჩემის ჯარებით უკანვე გავბრუნდე, — თუ არა და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალეო.

ქეთევანმა მაინც მოახერხა ჯორჯაძის პირით შეეთვალა თეიმურაზისთვის: არამც და არამც არ გამოუშვა ლევან ბატონიშვილი მძევლადო, რადგან ეტყობა, მთელი ჩვენი ოჯახის ხელში ჩაგდებასა და ამოწყვეტას აპირებს შაჰ აბასიო.

ისევ დაისვა სათათბიროდ დარბაზი თეიმურაზმა.

ისევ აიჩემეს უფლისწულის გაწირვა თავადებმა.

ისევ იომა და იბრძოლა თეიმურაზმა — მეორე შვილსაც ნუ დამიკარგავთო; სულ ერთია, მაინც შემოგვიტევს შაჰ აბასი, ტყუილუბრალოდ ნუ დამიქცევთ ოჯახსო, — მაგრამ ვერაფერმა გაჭრა. „შენ ეჭვითა ხარ, შაჰ აბასის გაზრდილი ხარ — ეუბნებოდნენ თავადები მეფეს — მერე ორჯერ ყავი მასთან, ორჯერვე დიდის პატივით მიგიღო და უამრავი ნიჭით დატვირთული გამოგისტუმრა და რაღა მაინცდამაინც შენს შვილებს გაიმეტებსო“.

და თითქმის ძალით წაართვეს თავადებმა თეიმურაზს ლევანი და, დავით ჯანდიერის თანხლებით, შაჰ აბასს გაუგზავნეს განჯაში.

ზოგიერთ „თადარიგიან“ კახელ და ქართლელ თავადს უკვე მოესწრო შაჰ აბასთან გაქცევა და მისი „კეთილშობილი ნოხის კოცნით გაბედნიერება“. როცა თეიურაზმა დედა და ორივე შვილი გაიმეტა, დაფრთხნენ სამშობლოს მოღალატენი — ვაი თუ ირანის მბრძანებელმა ქართველი მეფეები შეირიგოსო და შეუჩნდნენ შაჰს: ნუ ინებებ და ხელს ნუ აიღებ ქართლ-კახეთის დალაშქვრაზეო; ჩვენ და ჩვენი შვილები მძევლებად გხლებივართ და „თუ შენს ლაქშარს რაიმე დაუმარცხდეს, ყველას თავები დაგვაყრევინეთო; რადგან აქამდისინ მობრძანებულხართ, საქართველო ინადირეთო“.

შაჰ აბასსაც წაქეზება რაღად სჭირდებოდა და, როცა კახეთის მეფის დედა და ორივე უფლისწული თავისთან დაიგულა, მესამედ წარმოგზავნა თავისი მოციქული, დავით ჯანდიერიც გამოატანა და თეიმურაზს ახალი ბრძანება შემოუთვალა:

„აწ ვსცან, რამეთუ ხარ დიდად ერთგული ჩემი, ვინაიდგან არ დაერიდე ძეთა შენთა ჩემთან გამოგზავნას. ახლა შენც მოდი ჩემთან სასწრაფოდ, აღგავსებ ნიჭითა მრავლითა და განგიტევებ უკანვე მშვიდობით“.

ბრმისთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო მზაკვარი და მანქანიერი შაჰის განზრახვა: მას უნდოდა კახეთის სამეფო ოჯახისთვის თავი მოეყარა და ერთიანად შეემუსრა. კახეთის ვულაჯამ თავადებსაც ეჭვი აღარ უნდა შეჰპარვოდათ, რომ შაჰ აბასი სამეფო სახლის განადგურებისთანავე მათ ფეოდალებსაც შემოესეოდა ცეცხლითა და მახვილით. მაგრამ ზოგი მაინც იმ აზრზე იდგა, წავიდეს და ეახლოსო თეიმურაზი შაჰს. მაგრამ მეფე ისე გაცეცხლდა, უმალვე ხმა გაიკმინდეს. თეიმურაზი შაჰთან არ წავიდა და მტრის დასახვედრ სამზადისს შეუდგა.

და ამას მოჰყვა მთელი ციკლი უსაშინელესი ტრაგედიებისა ქართველი ერის ისტორიაში — შაჰის შემოსევა და კახეთის დაქცევა, დედაბუდიან აყრა და გადაყრა, თეიმურაზის გაქცევა, კახთა აჯანყება და მეფის ისევ „მოქცევა“, ისევ შემოსევა, ჟლეტა, ოხრება, გადასახლება, ისევ და ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად, კახეთის დალაშქვრამდე კი — შაჰ აბასმა ძვირფასი ტყვეები, ქეთევანი და მისი შვილიშვილები, გაგზავნა ირანს, ქალაქ შირაზს, ძლიერი რაზმით დაცულნი.

და იყო ქეთევან დედოფალი შირაზში, და ესმოდა როგორ იქცეოდა მისი სამშობლო და ჰხედავდა, როგორ ივსებოდა სპარსეთი კახეთიდან გადმოსახლებული ქართველებით...

პიეტრო დელა ვალე სწერდა რომის პაპს, ურბანუს მერვეს:

„დღეს სპარსეთში არ მოიძებნება არცერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ უმშვენიერესნი არიან ქართველი ქალები...“

დაიქცა და დაიმეხა „ყველაფრით სავსე მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა. იავარყოფას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ქალაქი და სოფელი, ვერც ერთი ციხე და სასახლე, ვერც ერთი ტაძარი და ეკლესია, ვერც ერთი სახლი და შრამელი. მრავალი სოფელი სამუდამოდ ამოწყდა და ალიგავა პირისაგან მიწისა.

ანგრევდნენ ყოველ ნაშენებს.

იტაცებდნენ ქართველი კაცის ნაოსტატარ ნივთებს, სამკაულებს, შაჰ აბასის სახაზინოდ და „ხარჭათა აღსამკობელად“.

მოერეკებოდნენ ტყვეებს — „ზოლეიხას მსგავს, საოცრად ლამაზ ქალწულებს და უწვერულ, იოსებ მშვენიერის ღაწვებიან, ხალებით დამშვენებულ ყმაწვილებს“.

ქართველი ქალის მოთქმა-გოდება ჰზარავდა სიცხით გათანგულ ირანის ცისგვამს.

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მდუღარე ცრემლი ადუღებდა ისედაც ცხელ ირანულ მიწას.

მათთვის აღარ არსებობდა სამშობლო კახეთი, საქართველო, საქრისტიანო. მათი გონებიდან უნდა ამორეცხილიყო სალოცავი სიტყვები — „ქართველობა“, „ქრისტიანობა“.

მათი „საქართველო“ ამიერიდან იქნებოდა ირანი, ვინა სპარსეთი.

მათი „კახეთი“ ამიერიდან იქნებოდა ფერეიდანი, ვინა მაზანდარანი, ვინა ხორასანი, ვინა ფეროჰაბადი.

ნახევარი მილიონი ქართველი შეეწირა ავზნიანი შაჰ აბასის მიზანთროპულ ვნებებს.

ერთი მესამედი გაწყდა.

ორი მესამედი სამუდამოდ აჰყარეს და გადაჰყარეს.

...პიეტრო დელა ვალე რომის პაპს, ურბანუს მერვეს:

„რა მდგომარეობა მოჰყვა იმ საზარელ გადასახლებას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისგან, რამდენი წყეტა-ულეტა, რა ვლეჯა, რა გახრწნილობა, რა ძალმომრეობა, რამდენი ჩვილი ყმაწვილება დაახრჩვეს მამებმა თავისივე ხელით, ან წყალში ჩაჰყარეს, რათა არ უყურონ მათ საცოდაობას და სატანჯველს, რაკიღა ყოველ ღონეს იყვნენ მოკლებული მათ საპატრონოდ. რამდენს ულეტდა სპარსთა მხედრობა გზა-გზა დაცვივნულებს, ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული! რამდენი ბავშვი მოჰგლიჯეს სპარსელებმა დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ან ცხენებისა, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ გასასრესად! რამდენი დააშორეს მამა შვილს, ცოლი ქმარს, დაი ძმას, და გაჰფანტეს ერთიერთმანეთიდან შორიშორს ქვეყნებში, ისე რომ, ეს საწყლები საუკუნოდ იყვნენ იმედგადაწყვეტილნი — ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთო ერთიმეორეს! რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე უფრო იაფად. რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის?!“

. . . . . .

ქეთევან დედოფალი კი ისევ შირაზში იყო.

ათი წელიწადი აღარ ენახა საქართველო.

ალბათ ვერც ვეღარასოდეს იხილავდა.

მისი სათაყვანო სამშობლოს მიწაც, წყალიც და ცისგვამიც იმ ერთ მუჭა ქართულ მიწაში ჩაკუმშულიყო, მკერდზე რომ ეკიდა იესო მაცხოვრის ჯვარცმასთან ერთად.

დღენიადაგ იმ სურნელით სუნთქავდა, საქართველოდან წამოღებულ ნივთებს და წიგნებს რომ ასდიოდა ისე ცხოვლად, მძაფრად, სულისა და გულის წამღებად.

შირაზი ი მ ა მ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ უ ნ დ ი ლ ა ძ ი ს სამფლობელო იყო და დიდის პატივით ეპყრობოდა ირანის „ვიცე-კოროლი“ (როგორც ევროპელები უწოდებდნენ) „თანამემამულე დედოფალს“ და მთელს მის სახლეულსა და მსახურეულს.

ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენიო, ამბობდა უნდილაძე, და თუ მაინცადამაინც ტყვეობაზე დადგება საქმე, მაშინ ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო.

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩინა უნდილაძეს დედოფლისათვის.

ყველაზე მეტად მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი“: მისგან ახლახან დაპყრობილი ჰორმუზიდან წამოღებული ბიბლიოთეკა მთლიანად „სტუმარ დედოფალს“ გაუგზავნა თვითონ „წიგნის გიჟმა“ უნდილაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა — ქალი და კაცი. ამთ შორის იყო ერთი, რომელსაც გიორგი ხუცესს ეძახდნენ, იგი იყო მისი კარის მღვდელიც, სახლთუხუცესიც, სუფრაჯიც, მეურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა ქეთევან დედოფლის გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კოლონიას", „თათარ სპარსელთა" და „გათათრებულ ქართველთა" გარემოცვაში.

გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილაძე, დედოფლისა და მისი „კოლონიის" ამბავს გამოჰკითხავდა, ყოველ საჭირო საგანს, „საზრდელს" და „მისართმეველს" მიართმევდა და მიუბედნიერებდა და ისე გაისტუმრებდა.

ყველაზე დიდი საწუხარი მაინც ეს ჰქონდა დედოფალს: შვილიშვილებისა არაფერი იცოდა. რა რომ შირაზში გადმოასახლეს, ერთხელაც არ შეახვედრეს არც ლევანი და არც ალექსანდრე.

„უნდილაძისგან ვიცი, შაჰ აბასი ცალკე საგანგებოდ ზრდის თეიმურაზის შვილებსო", მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე გიორგი ხუცესი.

ეს იყო და ეს.

უნდილაძის უმკაცრესი ბრძანება იყო: არ გაემხილათ ქეთევან დედოფლისთვის, როგორ დაახოჯავა შაჰ აბასმა მისი შვილიშვილები, და, დასაჭურისების შემდგომ, როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და მერე ჭკუიდან შეშლილი ლევანი...

უნდილაძემ ერთხელ გიორგი ხუცესის ხელით ნაშენები ბაღი მოიხილა და ისე მოიხიბლა, მაშინვე ისფაჰანს გაგზავნა და შაჰ აბასის ბაღები გაამართვინა და გაამშვენიერებინა ამ „უცნაურ ხუცესს".

რა არ გამოვა ქართველი კაცის ხელიდანო, თქვა შაჰ აბასმა ახალი წალკოტის ხილვითა და ხიბლით გაოცებულმა.

უნდილაძემ მაშინ მდიდარი ძღვენით დატვირთული ჩამოიყვანა გიორგი ხუცესი ისფაჰანიდან შირაზში...

სწორედ იმ ხანად პიეტრო დელა ვალე სწერდა მარიო სკიპანოს, სპარსეთიდან რომში: „„სიმართლე უნდა ითქვას, ქართველი ქალები ულამაზესნი და უმშვენიერესნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმაღალნი, რომ სიმაღლე დეიდაჩემისა — ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყველას შავი თმა აქვს და თვალებიც შავი, დიდრონი და მომხიბლავი; პირისახე — თეთრი, ხოლო ლოყები — ვარდისფერი, ალბათ ბახუსის წვენის მეოხებით, რომელსაც ისინი კარგად იცნობენ და მათი სამშობლო ამ მხრივ გერმანიასაც არ ჩამოუვარდება... მე ქართველებს ვთვლი ყველაზე ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში".

აგერ მეხუთე წელიწადი ცხოვრობდა სპარსეთში პიეტრო დელა ვალე — იტალიელი მოგზაური, სწავლული, კათოლიკე მისიონერი. კა-

თოლიკურ სარწმუნოებას ქადაგებდა, ყოველ ქრისტიანს შფარველობდა და ეხმარებოდა. უცხო ქვეყანას იკვლევდა და სწავლობდა, პერსიპოლისის სასახლის კედლებიდან უძველეს და უცნაურ „ლურსმულ დამწერლობას იწერდა და გასაშიფრავად ჩხრეკდა, აწამებდა და თვითონაც ეწამებოდა.

ცოლად ქრისტიანი სირიელი ქალი ჰყავდა, სახელად მაანი. ცხოვრობდნენ ქართულ ოჯახში. ერთი ობოლი ქართველი გოგონაც შეიფარეს და შვილივით შეიყვარეს ახალგაზრდა ცოლმა და ქმარმა. იმ გოგონას თინათინი რქმეოდა (გვარი უცნობია), ხოლო იტალიელმა დედობილ-მამობილმა ახალი სახელი — მარიუჩა დაარქვეს. დიდი დრო არ გაივლის, პიეტრო დაქვრივდება და მარიუჩას ცოლად შეირთავს, მაგრამ სანამ ეს მოხდა, მანამ გიორგი ხუცესის მეშვეობით, ჯერ მარიუჩა და შემდეგ პიეტრო დელა ვალე შეხვდნენ და გაეცვნენ ქეთევან დედოფალს.

ბევრი ისაუბრეს ქართველმა დედოფალმა და იტალიელმა სწავლულმა ევროპისა და აზიის ხალხთა თავგადასავალზე, იტალიისა და საქართველოს ბედზე, მსოფლიოს ხალხთა რელიგიურ რწმენაზე, რწმენათა სიმბოლოებზე, საგანგებოდ — ისლამზე, იუდაიზმზე, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ქრისტიანიზმზე.

პიეტრო დელა ვალესთან საუბარმა ერთხელ კიდევ ჩააფიქრა მის მუდმივ საფიქრალზე ქეთევან დედოფალი: იქნებ უშველიდა ქართველ ხალხს კათოლიკური ქრისტიანობის აღიარება?! იქნებ მართლა გამოიდებდა თავს რომის პაპი და სრულიად ევროპა ისლამიტურ ვეშაპთაგან „კათოლიკური საქართველოს“ დასახსნელად და გადასარჩენად?! ან რა დაშავდებოდა კათოლიციზმის აღიარებით? განა, სულ ერთი არ არის? განა ჭეშმარიტი ქრისტიანობისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს რომისა და კონსტანტინოპოლის მწყემსმთავართა საუკუნოვან პიროვნულ ბრძოლას „ქრისტეს გარეთ“ გამოგონილი დოგმებითა და რიტუალებით?!.

...შაჰ აბასი კი ქეთევან დედოფლის დაღუპვის საბაბს ეძებდა და მაშინვე მიაგნო კიდეც.

ერთ დღეს მან კახეთიდან გადმოსახლებულ და გამაჰმადიანებულ ახალგაზრდა ღულამებს მოუყარა თავი და ასეთი კითხვა მიაგო: ჩემო ერთგულო მეგობრებო, რატომ გინდათ წარწყმიდოთ თქვენი დედები — რატომ არ დაატოვებინებთ ქრისტიანობას და რად არ მიაღებინებთ მაჰმადის რჯულს, რომელიც სასუფევლის მშვენიერებას უმზადებს ადამიანს?

ქართველყოფილი ჭაბუკები კარგა ხანს დუმდნენ. მერე ერთმა თქვა, როგორც იქნა: ჩვენ დედებს ხშირად ვეუბნებით, მაგრამ უარს ამბობენ მაჰმადის რჯულის მიღებაზეო.

— ვითომ რატომაო?! — იყვირა შაჰმა.

— ასე ამბობენ, ქეთევან დედოფალი თუ ქრისტიანია, ჩვენ როგორღა ვულალატებთ ქრისტეს რჯულსო, — უპასუხა იგივე ღულამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შაჰ აბასისთვის ზედმისწრება იყო გათათრებული ქართველის ეგზომ ბრიყული პასუხი.

და, უმალვე ფიცხელი ბრძანება აფრინა იმამ-ყული-ხან უნდილაძესთან:

„დაუყოვნებლივ ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს. ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ შეასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილს!“

შეძრწუნდა შირაზის ხანი.

„არ იქნება და არასგზით არ გათათრდება ქეთევანი... და ამისთვის მე, უნდილაძემ, ტომით ქართველმა, მოვკლა საქართველოს დედოფალი, დედა ქართველი ხელმწიფისა, სათაყვანო და სალოცავი ქართველი ხალხისა?!“

სასწრაფოდ პასუხი გამოუგზავნა შაჰს: ნუ იკადრებ და ნუ აღმართავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო; რას აქნევთ მის გათათრებასო, განა თქვენთვის სირცხვილი არ იქნება ესოდენ სათნო ქალის სიკვდილი?!

აზვავდა შაჰ აბასი. ხელახლა აფრინა ფაიქი უნდილაძესთან სასტიკი ბრძანებით: შენ რასაც გიბრძანებ, ის შეასრულე დაუყოვნებლივ!..

სხვა გზა აღარ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს.

ეახლა და ეაჯა კრძალვით, თავაზით, მარწმუნებელი შეგონებით: ნუ შეეცდები წინააღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძანებასო; მიიღე მაჰმადიანობა, ამით არაფერი დაშავდებაო; გარეგნულად აღიარე მხოლოდ სპარსელთა საჩვენებლად და სათვალისოდ, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი დარჩებიო.

ემუდარებოდა უნდილაძე ღვთაებრივ ქალს და „სტიროდა მსგავსად ჰეროდეს ჯალათისა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა თავის მოკვეთა იოანე ნათლისმცემლისა“.

ქეთევანმა კი მოკლედ, მშვიდად და სიტყვაშეუქცევლად თქვა თავისი პასუხი.

— ჩემო კეთილო ძმაო! სხეულის გადარჩენისათვის არ გავწირავ ჩემს სულს, ანუ ქრისტიანობას და ქართველობას! სხეული ხომ მიწაა და ღღეს თუ ხვალ ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და საქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვე დაბადებულა, უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელმწიფეს ძალუძს და არც მის ცრუ ღვთაებას!

შენს ხელმწიფესო?! — გულზე დაესვა უნდილაძეს დედოფლის სიტყვა. მე მისთვის ქართველი არ ვყოფილვარო, გაიფიქრა გულადღელებულმა. კიდევ დიდხანს ეევედრა და ემუდარა, მაგრამ ამაოდ „დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“.

დარწმუნდა იმამ-ყული-ხანი, ვერავითარი ძალა, ვერცა ლმერთი და ვერცა სატანა, ველარ შეარყევდა დედოფლის გადაწყვეტილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბოლოოდ ბრძანა შაჰ აბასმა წამება ქართველი ქალისა.

(ხოლო, „წამების ხელოვნებას“ ოცდაერთი საუკუნის „გამოცდილება“ ჰქონდა სპარსეთში)...

. . . . . .

შირაზი.

1624 წლის 13 სექტემბერი.

უბერავს ქარი, ცხელი, ხორშაკიანი.

ცეცხლი გიზგიზებს „მეიდანზე“.

რკინის მარწუხები, მაშები, შამფურები, ლურსმნით სავსე ქვაბები, ბარები, სპილენძის მიტრა-თავსარქმელი — ვარვარებენ ცეცხლში ჩალაგებულნი.

ხალხით გაჭედილა „მეიდანი“ — სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ჩერქეზნი, იტალიელი და პორტუგალელი მისიონერნი.

გამოდის ქეთევან დედოფალი.

თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილს, მარჯვნივ და მარცხნივ მოაცილებენ წითელხალათიანი ჯალათნი. უკან ორმოცამდე ქართველი ქალი და კაცი მოსდევს; მათ წინ — გიორგი ხუცესი.

ზედ ცეცხლის პირზე შეაყენეს ჯალათებმა დედოფალი და მისი ამალა.

ისფაჰანიდან საგანგებოდ წარგზავნილი დივანბეგი უახლოვდება ქეთევანს და ერთხელ კიდევ აუწყებს კრძალვით და თითქოს მუდარით: უკეთუ დედოფალი აღიარებს მაჰმადის რჯულს, შაჰი მას შეირთავს ცოლად და აღავსებს უთვალავი საჩუქრითა და პატივით; ხოლო, უკეთუ უარს ჰყოფს ხელმწიფის თხოვნას, იგი აღესრულება უსასტიკესი წამებით!

ქეთევანმა ისევ სრული სიმშვიდითა და სიმტკიცით არჩია სიკვდილი ქრისტესოვის და საქართველოსთვის.

მაშინ პირით შეაბრუნეს დედოფალი მხლებლებისკენ, რათა ჯერ თავისი თვალით ეხილა „გათათრება“ მისი ერთგული ადამიანებისა. ჯერ გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ჯალათები. გიორგიმ სირცხვილს სიკვდილი არჩია, დაასწრო და ჯალათის მახვილს გულით შეენარცხა. დანარჩენებს მიესივნენ ჯალათები და ყველანი სათითოოდ „დაახოჯავეს“ და „დაათათრეს“ დედოფლის მსახურეულნი.

ბოლოს თვითონ დედოფალს მიადგნენ და უთხრეს, სიკვდილისთვის მოემზადეო.

ნება მომეცით, სიკვდილს წინ ვილოცოო და იქვე მდგარი კათოლიკური ეკლესიისკენ ანიშნა ქეთევანმა. უარი ველარ შეუბედეს ყიზილბა-

შებმა. და პატრი ამბროზიო დოს ანჟოსი და პატრი გრიგორი ორსინი წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. შევიდა და ილოცა ქეთევან დედოფალმა. საქართველო დალოცა, ღვთისმშობელს შეავედრა მისი წილხვედრილი ქვეყანა; მერე მარიამს და იესოს შესთხოვა წამების ჟამს ტკივილთა დათრგუნვის ძალა და განწმენდილი და განმტკიცებული გამოვიდა სამლოცველოდან.

ცეცხლთან მივიდა, დადგა და ანიშნა ჯალათებს.

ჯალათებმა მაშებით ცეცხლიდან აღმოახდინეს გავარვარებული მიტრა და თავზე ჩამოაცვეს ქალს. დაცემა ვერ მოასწრო ქეთევანმა — უმალვე წითლად აბრდღვიალებულ ლურსმანთა „სარეცელი“ დაუგეს და ზედ გულაღმა „დარეცეს“ ჯალათებმა. თეთრი სუდარა შემოაფხრიწეს, ჯვარცმა ააგლიჯეს, საკინძე აუშალეს, ქართული მიწა ჩაუშალეს.

ცეცხლის საგებელზე იწვა დედა საქართველოსი, შიშველ და ყვავილ-ჩაუქრობელ მკერდზე ქართული მიწის წმინდა ნაშთით მიმოფანტული.

წითლად მოლაპლაპე ბარი დაუსვენა ჯალათმა მკერდის შუაში.

ქალი არ ტიროდა, არც კვნესოდა. ოღონდ ლოცულობდა ჩურჩულით: „ქრისტე“, „მარიამ“, „საქართველო“...

ჯალათმა სისხლისფრად აკიაფებული მარწუხი აიტაცა. მარცხენა ძუძუს მისწვდა და მოგლიჯა. მერე მარჯვენა ძუძუს ჩასჭიდა და ისიც განაშორა მკერდს. გახურებული შამფურები აძგერეს ორივე ნაძუძურზე. მერე მთელს ტანზე ცხელი ლურსმნის „საბანი“ დაჰხურეს.

„საქართველო!“ — ისევ აღმოხდა წამებულის ბაგეს.

და დედოფლის შუბლს დაუმიზნა და დასცა ჯალათმა ნაცეცხლარი და ნასისხლარი ბარი.

და კიდევ ერით სიტყვა მოასწრო უკვე სიკვდილის საუფლოში ჩადირულმა:

„შვილო!“

და არავინ იცის, ვინ გაახსენდა სიკვდილ-სიცოცხლის განსაღრეკელზე საქართველოს დედას — სვეგამწარებული თეიმურაზ მეფე თუ თვითონ საქართველო...

ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ჯალათებმა დაუსაფლავებლად დააგდეს ცისა და მიწის შუა.

ღამით ამბროზიო დოს ანჟოსმა და გრიგორი ორსინიმ მოიპარეს წამებული ქალის სხეულებრივი ნაშთები. საკმეველითთა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესთვის წამებული დედოფლის უწმიდესი ნაშთი.

ორი წლის შემდგომ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნაშთთა ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწი-

ლი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს, და-გრასას მონასტერში.

თეიმურაზმა ერთხელ კიდევ დაიტირა და მოიტირა თავისი წამებული დედა და შვილები. ქეთევანის ნაშთები ძვირფას კუბოში ჩასვენა და ალავერდის ტაძარში დაკრძალა.

გაივლის ოცდაათი წელიწადი და თეიმურაზ მეფე დედამისის წმიდა ნაშთთაგან, მარჯვენა ფეხის ცერა თითს, მოსკოვში საჩუქრად უგზავნის რუსეთის მეფე ალექსი რომანოვს.

ხოლო, ქეთევანის წამებიდან სწორედ ასი წლის თავზე, 1724 წელს, კახელმა მღვდელთმთავრებმა, ჭარელი ლეკების შემოსევის შიშით, სახელოვანი დედოფლის უკანასკნელი ნაშთები ალავერდის სამარხიდან ამოალაგეს და ანანურისკენ გაუყენეს.

არაგვს რომ გადადიოდნენ, შუა მდინარეში ცხენს აგორებულ ქვაზე ფეხი დაუცურდა დაეცა და ტვირთიც წმიდანის ნაშთებით წყალმა გაიტაცა.

(მართლაც რომ უცნაურზე უცნაურია ბედი ადამიანისა: დიდი მარტვილი ქალის, საქართველოს დედისა და დედოფლის სისხლი ირანის ცხელმა მიწამ შეიშრო, ხოლო ძვალთაგან ნაწილი ევროპას განისვენებდა, ნაწილი ინდოეთს, ნაწილი რუსეთს და ნაწილსაც ახლა ქართული მღინარე მიაქანებდა სადღაც, ადგილსა მიუსაფარსა, მიუგნებელსა და სამარადამოდ მიუწვდომელსა)...

. . . . . .

ყოველი ცალკე ადამიანისგან სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლის შეწირვა ეჭვმიუტანელი გმირობაა, და საქართველოც მისთვის თავდადებულ და სიცოცხლეგაწირული გმირების სიმრავლით სწორედ ბედნიერი და ნებიერი ქვეყანაა. მაგრამ საზოგადოდ ყველა ეს გმირობა, რასაც ერთნაირად სამშობლოსათვის თავდადება ჰქვია, მაინც ერთნაირი მნიშვნელობით ვერ შეფასდება ისტორიაში. მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ თვითშეწირვის ყოველი ფაქტის შეფასებისას, მაინც და მაინც, უწინარეს ყოვლისა, ეს ორი კითხვა წამოიჭრება წინა პლანზე: ვ ი ნ წირავს თავს, და რ ა დ რ ო ს წირავს?! ცალკე ერის გადარჩენაშიც გადამწყვეტი როლის აღსრულება ყველაზე მეტად იმავე ერისაგან გაღმერთებული ადამიანის თვითშეწირვას ხელეწიფება — თვითშეწირვას ერის წინამძღოლისას ან საწინამძღვროდ მოწოდებულისას.

მერე — ერთნაირი მშნიერნელობა ვერ მიეცემა თვითშეწირვას ერის ამაღლებისა და ერის დაცემის ეპოქებში. ქართველი ხალხის ისტორიაში ერთნაირად ვერ შეფასდება სამშობლოსათვის თავგანწირვა მეთორ-

მეტე საუკუნისა და თავგანწირვა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებისა- როცა ერი სულიერ-სხეულებრივად აყვავებული და გამძლავრებულია, როცა მის ეროვნულ არსებობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაშინ ქვეყნის საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლის გაწირვა — თუნდაც, თავისთავად დიდი გმირობა — მიზანდასახულობით, ეროვნული თავმოყვარეობის დაცვისა თუ გამეღავნების ფარგლებს ვერც კი გასცილდება.

მაგრამ სულ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ეძლევა თვითშეწირვით გმირობას მაშინ, როცა ერი უკვე დამხობის, გადაგვარების გზაზე გასულა, როცა იგი სულიერ-სხეულებრივი მოსპობის უფსკრულს მიმთხვეულა; როცა დგას საკითხი — ვიქნები თუ არა მე, ვითარცა ერი, ხვალ, ზეგ, მერმისად? — არა, არ ვიქნები! ანუ — უფრო არ ვიქნები, ვიდრე ვიქნები!

და ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველო სწორედ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, ანუ „გიორგი სააკაძის ეპოქაში". ქართველი ერი სწორედ აშკარა დაღუპვის პირას იდგა. იყო ორი საფრთხე: ეროვნული მოსპობის (ფიზიკური მოსპობის) და ეროვნული გადაგვარების (სულიერი გადაგვარების). ორივე სამხრეთიდან მოდიოდა: შემოსევები ცეცხლითა და რკინით და შემოსევები „იდეოლოგიურად",„ გათათრებით". და ეროვნული აღმოფხვრის ყველაზე უარესი საშიშროებაც სწორედ ეს იყო — ქრისტიანობის, ანუ ქართველობის სულიდან ამოგდება-ამორეცხვა და მის ნაცვლად მაჰმადიანობის, ანუ „თათრობის" ჩასახლება-ჩასისხლხორცება. ხოლო, ქართველთა „გათათრება", თავის მხრივ, ორი გზით ხდებოდა — ძალდატანებით და ნებაყოფლობით. და ერისათვის, მისი მომავალი არსებობისათვის უარესი, ანუ უარესად დამღუპველი სწორედ ეს „ნებაყოფლობითი გათათრება" იყო. დედამიწაზე, ყოველ დროსა და ადამიანთა ყოველ მოდგმაში, სულმოკლეობა რიცხვით ყოველთვის სჭარბობს სულგრძელობას და სულმტკიცობას. აქ მთავარი მოტივი „უკეთესი ცხოვრების" გარანტიაა, და თუნდაც ეს „გარანტია" მშობლიური ერისათვის მოსისხლე უცხოელის ხელიდან მოდიოდეს, მას მაინც სულმოკლეთა უმრავლესობა ეტანება თავდავიწყებით (გნებავთ, „ერის დავიწყებით"!)— საქმეც სწორედ ის იყო, რომ კაცს „თათრობა" „ქრისტიანობაზე" უკეთ აცხოვრებდა. შაჰ აბასი „ნებაყოფლობით შაჰისევანისთვის" არაფერს იშურებდა და ძალიან ბევრი სულმოკლე ქართველი თავისი ფეხით შესდგომოდა მისი პირადი ცხოვრების „გამაბედნიერებელი გათათრების" სპარსულ გზას. თქმა არ უნდა, თვითონ ქართველთა შინაური შუღლი და მტრობა აჩქარებდა ეროვნული სულის რღვევის ამ საშინელ პროცესს. ქართველთაგან შევიწროებულსა და, სამაგიეროდ, შაჰისაგან მოალერსებულ ქართველს სპარსეთში უკეთ ეცხოვრებოდა, ვიდრე თვითონ საქართველოში. და გარბოდა ქართველი საქართ-

ველოდან „სათათრეთში“. ასე რომ თვითონ ქართველებიც ფრიად უადვილებდნენ შაჰ აბასს ქართველთა შორის „იდეოლოგიურ მუშაობას“ — ქართველისთვის სპარსეთი სჯობია საქართველოსო, ანუ — ქართველისთვის „თათრობა“ (მაჰმადიანობა) სჯობია ქართველობასო (ქრისტიანობასო).

და სწორედ ასეთ უმძიმეს, ეროვნული გადაშენებისა და გადაქარების ჟამს იყო საჭირო სამაგალითო თვითშეწირვა სწორედ **სამაგალითო** ადამიანისა — ისეთი ადამიანისა, რომელიც ერს ან ედგა წინამძღვრად, ან საწინამძღვროდ და სანიშანსვეტოდ გამოსჩანდა თავისი დიდი პიროვნული სიძლიერით და ბიოგრაფიული სიდიადით.

მაშ, სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ სამყაროს **დიადი მაგალითი** ქრისტიანობა-ქართველობის გადასარჩენად თავგანწირვისა. სჭირდებოდა და კიდევაც ჰყავდა, და ჰყავდა არა ერთი, არამედ... ოთხი, ორი კახეთს და ორიც ქართლს. კახეთს — მეფე თეიმურაზი და დედამისი ქეთევან დედოფალი; ქართლს — ლუარსაბ მეფე და მისი მოურავი გიორგი საakაძე. ამ „შესანიშნავი ოთხეულის“ იმედზე და მაგალითზე იდგა მაშინდელი ერი ქართლ-კახეთისა. და, ბუნებრივია, ამავე ოთხეულის შიში და ფიქრი უნდა ჰქონოდა მაშინ საქართველოს ყველაზე დიდსა და ძვინვარე მტერს შაჰ აბასს. უკეთუ ამ „ოთხ სამაგალითოს“ თავის ერთგულ „შაჰისევანად“ („შაჰის მეგობრად“) მოიმხრობდა და მოიარშიებდა, მაშინ **მათ მაგალითზე** შაჰ აბასი საერთოდ ქართველთა „მასობრივ გათათრებას“, რალა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილად მოახერხებდა.

და თავდაპირველად ამ მხრივ დიდი წარმატებაც კი ჰქონდა შაჰ აბასს. აკი მას იმ „ოთხეულიდან“ ყველაზე ძლიერი — გიორგი საakაძე — უკვე მოეყუჩებინა თავის „შაჰისევანურ ბუდეში“ (რა ვუყოთ, რომ საakაძის მოხვეჭა და „მოყუჩება“ ისევ ქართველების „დიდი ხელშეწყობის“ წყალობით შესძლო აბასმა. მადლობა ამისთვის ქართველებს და მათ ეროვნულ წინამძღოლს ლუარსაბ მეფეს!).

მაგრამ ისე მოხდა, რომ შაჰ აბასის თავგამოდებული ცდანი იმ „დიდი ოთხეულის“ ძალდატანებითი თუ ნებაყოფლობითი („იდეოლოგიური“) დაუფლებისა მხოლოდ გიორგი საakაძით ამოიწურა. თეიმურაზ მეფე ვერც ხელთ მოიხელთა, ვერც ტკბილი სიტყვით „მოიტკბილა“, აქამდე შეურიგებელ მტრად შემორჩა და არც რა იმედი მომავალში მისი შემორიგებისა არ ჩანდა. ლუარსაბ მეფე კი მოიხელთა, მაგრამ მასთან „იდეოლოგიური ბრძოლა“ ცბიერ შაჰს მარცხით გაუთავდა, და მარცხიც სწორედ ის იყო, რომ ქართველთა მეფე ქართველობისა და ქრისტიანობის **შეულევნებლობისათვის** წამებით მოჰკლა. იმასაც კი ვერ მიხვდა „ბრძენი ლომი“, რომ ლუარსაბ მეფე მან ჭეშმარიტ გმირად აქცია. მისგან მოკ-

ლული ქართველი მეფე მშობლიურ ხალხს მოევლინა სწორედ, როგორც სამაგალითო გმირი, რომელმაც ქართველობისთვის მოწამებრივი სიკვდილით დათრგუნა გზა სიკვდილზე უარესი „გათათრებისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაზე დიდი მარცხი შაჰ აბასისთვის მაინც ქეთევან დედოფლის წამება იყო. საერთოდ, ქალის გმირობა, მშობელი ერისა და ქვეყნისათვის თავდადება, ყოველ ხალხში და განსაკუთრებით ქართველ ერში, უალრესად ამაღლებულ, თითქმის საკულტო-საკრალურ მოვლინებად შეიგრძნობა და შეიცნობა.

ქეთევანი კი მანამდეც, სანამ მან „სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა“ (ქართველობისთვის სიკვდილით თათრობა დათრგუნა) და წმინდანად შეირაცხა, მანამდეც იგი თავისი საოცარი ცხოვრებით, პიროვნული მომხიბველობითა და სულიერი სისპეტაკით ჭეშმარიტი წმინდანი იყო.

და სწორედ ასეთი ქალის გმირობა, მისი დიდი სიცოცხლის თვითშეწირვა უნდა გამხდარიყო დიადი მაგალითი რღვევის გზაზე შემდგარი ეროვნული სულის განმტკიცებისა და ისევ ტრადიციულ ქრისტიანულ-ქართულ ზნეობრივ საკურთხეველზე შემობრუნებისა და შემომტკიცებისა.

ამ მხრივ სანიშნეულო იყო თუნდაც იმ ახალგაზრდა ქართველი ლულამის ნათქვამი შაჰის წინაშე: სანამ ქეთევან დედოფალი ქრისტიანია, მანამ არც ჩვენი დედები აპირებენ ქრისტიანობაზე ხელის აღებასო! დიახ, ასეთი ყოფილა მ ა გ ა ლ ი თ ი ქეთევან დედოფლისა. ყველა იმას შესცქეროდა, იმას ჰბაძავდა, ყველა მისი „მიმდევარი“ ყოფილა, განსაკუთრებით კი — ქართველი ქალები. მაშ, თუ ქეთევანი „გათათრდება“, მისი „მიმდევარი“ ქართველი ქალებიც „გათათრდებიან“. ხოლო, საერთოდ, ქართველი ქალის „გათათრება“ სრულიად ერის გათათრებასა და ეროვნულ გადაგვარებას მოასწავებს (ალბათ, ქართველი მამაკაცის რენეგატობაც ვერ ავნებს იმდენს საერთო ქართულ სულს, რამდენსაც ქართველი ქალის „ანტიქართულობა“!). და ამიტომ აჩქარდა „ბრძენი შაჰი“, აჩქარდა და მიიღო კიდეც „მისაღებელი“!

ქეთევანის საოცარმა გმირობამ, ეროვნული სულისა და საწრმუნოებისათვის თავგანწირულობამ, ერთბაშად შეაყენა და შემოაბრუნა სწორედ სულიერი დაღუპვის გზაზე შემდგარი ქართველობა.

მას ხალხმა „საქართველოს დედა“ უწოდა.

მისი გმირობა მართლაც ჭეშმარიტი შ ე მ დ ე დ ებ ე ლ ი დ ვ რ ი ტ ა აღმოჩნდა ქართული სულიდან აღძრული მანამდე შეუჩერებელი სისხლის დენისა.

მან იხსნა ქართველი ხალხი სულიერი წარწყმედისაგან.

მისმა უწმიდესმა მოწამებრიობამ იერიქონის საყვირის ძალისხმევით დაარისხა ყოველი ქართველის სულში:

„ნუ გათათრდები!“

გიორგი სააკაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა იმ წელს, რა წელსაც სვიმონ ქართლის მეფემ დმანისის ხევში მწარედ დაამარცხა და გააქცია ოსმალთა დიდი სერასქერი სინან ფაშა.

ხოლო, წელი იგი იყო ქრისტეშობითგან 1580.

ძეობა — საქართველოსთვის სამომავლოდ სანიშანსვეტო — მოხდა შიდა ქართლში, მდინარე ატენის ხეობაში, სოფელ ფელში, სვიმონ მეფის თანამებრძოლი აზნაურის სიაუშ სააკაძის ოჯახში.

ახალშობილს დაარქვეს გ ი ო რ გ ი.

მის შემდგომ სიაუშ სააკაძეს და მის მეუღლეს, თამარს, ბარათაშვილის ქალს, კიდევ შეეძინებათ ორი ვაჟი და ერთიც ასული. და ამ ოთხთაგან მხოლოდ ორის სახელი შემოინახა ისტორიამ — გიორგი და ქაიხოსრო.

მანამდე სააკაძეთა გვარი, თუმცა მკრთალად და ბუნწად, მაგრამ მაინც გამოსჩანს საუკუნეთა წიაღში.

ყველაზე ადრეული წინაპარი — ჯანზურაბ სააკაძე, იხსენიება თამარ მეფის დროს, მეთორმეტე საუკუნის მიწურულს.

შემდგომ — დონა სააკაძე, მეფე ბაგრატ მეხუთის თანამებრძოლი — — თემურ-ლენგის პირველი შემოსევის ჟამს. ტფილისის დაცემის დროს მეფესთან ერთად ტყვედ წაუყვანია თემურ-ლენგს (1386 წლის 21 ნოემბერი).

მერე — გიორგი სააკაძე, იხსენიება 1547 წელს. მას ოთხი ვაჟი ჰყოლია: ჟეშთელ, სიაუშ, ზურაბ და ივანე.

ამათგან სწორედ სიაუშს არგუნა მისმა საწუთისოფლო ბედისწერამ ბამობა ყველაზე დიდი სააკაძისა.

თავიდან, სააკაძეთა „სამკვიდრო სოფელი" ყოფილა ფელი, მდინარე ატენის ზემო წელზე, ხოლო გიორგის დაბადების შემდეგ სიაუშ სააკაძის ოჯახი ჩამოსახლებულა სოფელ ნოსტეში.

. . . . . .

ახალი, კვლავაც საქართველოსთვის უმძიმესი საუკუნე — მე-17 საუკუნე დამდგარიყო.

„ნაშალნი" ერთ დროს ერთიანი საქართველოსი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართლი,
ეხეთი,
იმერეთი,
გურია,
სამეგრელო,
აფხაზეთი,

და, კიდევ ზესხეთი ცალკე, რომელიც აღარც იყო „ცალკე", რადგან იგი ოსმალებს თავის საკუთარ საფაშო-ვილაიეთად გადაუკეთებია და გათურქების გზაზეც შეუყენებია.

დაშლილ-დანაკუწებული საქართველოს სამუდამო დასაპატრონებლად და დასაუფლებლად თავდავიწყებით ებრძვიან ერთურთს ყიზილბაშური სპარსეთი და ოსმალური თურქეთი.

უკვე სპარსეთი სჯაბნის ოსმალეთს, — სჯაბნის, რამეთუ იქ ტახტზე ზის დიდი შაჰ აბასი, „ირანის ლომი".

. . . . . .

1603 წელს საქართველოს მოუკვდა სვიმონ მეფე.

ქართლის ტახტზე ავიდა ძე მისი გიორგი მეათე.

გიორგი სააკაძე მაშინ იყო 23 წლისა.

ცოლიც იმ წელს შეერთო — არაგვის დიდი ბატონის, ნუგზარ ერისთავის ასული, სახელად მარეხი, რომლისგანაც სახელოვან მეუღლეს რვა შვილი შეეძინება: ავთანდილი, პაატა, ივანე, ზურაბი, იორამი და სამი ასული, სახელებით ისტორიისთვის უცნობნი.

ამ სამ დათაგან უფროსს თეიმურაზ მუხრან-ბატონი შეირთავს, შუათანას — იასე ქსნის ერისთავი, უმცროსს — ფერად ფაშა ჯაყელი.

ასეთი სამოყვრო წრენი თავისთავად მეტყველებს სააკაძეთა გვარის მაშინდელ „გვარიშვილობას".

სააკაძეები თავიდანვე აზნაურობას არ კმარობდნენ და დიდგვარიან თავადობას უტოლებდნენ თავს. მაინც სიაუშ სააკაძე, სვიმონ მეფის მოურავი და თანამებრძოლი, უკვე ძლიერი ფეოდალი ჩანს. მას სვიმონ მეფისგან, ერთგული სამსახურისთვის, მოურავის სახელთან ერთად, თარხნის წოდებაც ჰქონდა საგანგებო სიგელით დამტკიცებული (აქედან, შემდგომში — გვარი თარხან-მოურავისა).

სააკაძეების ფეოდალური და პოლიტიკური აღზევების მწვერვალი იქნება მაინც გიორგი სააკაძე, ვითარცა „თავადი აზნაური" და „თავადი კაცი".

გიორგი სააკაძის საკუთრება იყო: თეძმის ხეობაში—ნოსტე, ახალშენი, ნოსტის ოძისი, გველდეს ორბეთი, ცხირეთი, ერთაწმინდა, ფავნისი, ეზატი, ვულადეთი, კავთისხევი, წინარეხი, მარჯანაანთ უბანი, ტყემლო-

ვანი, მზვარე, კოტმანი, ორივე (ზემო და ქვემო) ვერსვეული, [illegible], სამტრედო, გოსტიბე, კაბერი, გარგარი, მერია, ჭავჭავისი, [illegible], გოგოთი; მანგლისის ხეობაში — ზემო ოპისი, ტყის უგუდეთი, [illegible] უგუდეთი; ატენის ხეობაში — ფელი, ღვწე, ხანდისი, სიქალეთი, ღვედრეთი, [illegible]; ალის ხეობაში — ნაბასტევი, კლდის წყარო; ტფილისის ახლოს — ლისი, ნახშირგორი, წოდორეთი; ქვემო ქართლში — კრწანისი, ყიშლაღი, ბერდიკი.

იზრდებოდა, სრულდებოდა და ეაჟკაცდებოდა გიორგი სააკაძე.

გაზრდილიყო, დასრულებულიყო, დავაჟკაცებულიყო შაჰ აბასიც, ქართული სისხლით ნაჯიშარი და ქართულ სისხლზე გახელებული.

. . . . . .

თითქოს საგანგებოდ ინება ასე საისტორიო ბედისწერამ — სამივე ქართველი მეფე ერთ წელიწადს — 1605 წელს აღესრულა: ქართლის მეფე გიორგი მეათე (შაჰმა რომ მოწამლა), კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე (გათათრებულმა შვილმა რომ მოკლა) და იმერეთის მეფე როსტომი (თითქოს, თავისით რომ მოკვდა). და მომდევნო 1606 წელს შეუდგნენ მეფობას: ქართლში — ლუარსაბ მეორე, კახეთში — თეიმურაზ პირველი, იმერეთში — გიორგი მესამე.

ხოლო მათი ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტნიორი — გიორგი სააკაძე მაშინ 26 წლისა იყო.

უკვე ზრდადასრულებული და ღამწვისებული იდგა მეჩვიდმეტე ასწლეულის საქართველოს მთავარი ვმირი. ტანად გოლიათი იყო, ასოვანი, კუნთად ჩაკირული, გლემურძოვანი მკერდით, რვალის მკლავებით, სიკეთითა და სიავით შეზავებული იერით, ნებიანი ნიკაპით, ორბის თვალებით, ნერბის ცხვირით და გრძლად ვადამტკაცული ულვაშებით.

მისი სახიდან ერთდროულად გამოკრთოდა — გონიერებაც, პატივმოყვარეობაც, მძვინვარებაც. დიდსულოვნებაც ეტყობოდა, შემწყნარებლობაც, მაგრამ არც სულსწრაფი შურისმგებლობა, ცბიერება და დაუნდობლობა უნდა ჰკლებოდა უსაზღვრო ძალისხმევით აღსავსე მის სულს.

ქართლის ახალ მეფეს, თოთხმეტი წლის ლუარსაბ მეორეს, უკვე ტახტის სიახლოვეს დასვდა იგი. მისმა ხმალმა და გონებამ წინარე მეფეების, სვიმონ პირველისა და გიორგი მეათის დროსვე აღამაღლა და ააღზევა ეს „გააზნაურებული მდაბიო“ (უფრო დაზუსტებით — „გათავადებული აზნაური“). გიორგი მეათეს ტფილისისა და ქართლის მოურავად დაენიშნა გიორგი სააკაძე. მოურავობა, ამ ბოლო დროიდან მაინც, თითქოს სააკაძეების „საგვარეულო სახელად“ გადაქცეულიყო.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ გიორგი სააკაძე ქვეყნის მეს-

ვეური „საზეპურო ერის“ ანუ „არისტოკრატიის“ თვალში „ვიგინდარა“, „მედროვე“ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ რომში ასეთ „ვიგინდარას“, „მედროვეს“ თავისი სტილი დაერქვა — homo nowus — „ახალი კაცი“. ყველაზე მკაფიო მაგალითი ასეთი „ახალ-კაცობისა“, ისევ ძველ რომში, იყო გაიუს მარიუსი, რომელიც ქვეყნის დასახსნელად სახელმწიფოს სათავეში მოვიდა სოფლიდან, სოფლელი აგრიკოლა, გუთნისდედა, და ამ „უჯიშო სოფლელმა“ დაჯაბნა ყველა „ჯიშიანი ქალაქელი“ და თავისი „გლეხური“ მკლავით, გონებით, ჭეშმარიტად რამდენჯერმე დაიხსნა ქვეყანა დალუპვისაგანაც, სირცხვილისგანაც. სახელოვანი ციცერონი ასე ამბობდა გაიუს მარიუსზე: rusticanus vir, sed plane vir — „სოფლელი კაცია, მაგრამ მთლიანი კაცია!“ და თვითონ ციცერონიც, ეს დიდი მოაზროვნე და სახელმწიფოს მეთაური, აგრეთვე „ვიგინდარა“ და „მედროვე“ იყო. და კიდევ მის შემდეგ, ვინ მოთვლის რამდენი „მედროვე“ მოსულა რომისა, ბიზანტიისა თუ ფეოდალური ევროპის სახელმწიფოთა სათავეში...

გიორგი სააკაძის „მედროვეობას“ საქართველოშიც ჰყავდა წინამორბედნი. ასეთი იყო მონღოლთა ბატონობის ხანაში, ქართული სამეფო კარის დაკნინების ჟამს, დავით ულუს მეფობისას, სადუნ მანკაბერდელი — წარმომავლობით „უჯიშო“, მკლავით და ჭკუით ძლიერი, ცბიერი, ხერხიანი („ილათიანი“), დრო და ჟამის შესაფერისი ქუდის უტყუარად შემრჩეველი. „მედროვე“ და „ვიგინდარა“ იყო, ისევ დავით ულუს დროს, მეტუმრე ჯიქური, ქვეყნის და ხალხის ჭეშმარიტი პატრონი და ქომაგი, და სწორედ ამ „პატრონ-ქომაგობისათვის“ მაშინდელი ქართული არისტოკრატიისაგან და თვითონ სულმოკლე მეფისაგან სასიკვდილოდ გამეტებული (მისი ბრძანებით, მეტეხიდან მტკვარში რომ ისროლეს).

ქართლის ახალი მეფეც, ყმაწვილი ლუარსაბ მეორე, ისეთი მბრძანებელი იყო, სხვისგან რჩევის გარეშე მბრძანებლობა ხეირიანად რომ არც შეეძლო. სწორედ ასეთ დროს, უკეთუ რჩევა და ჭკუა ვისაც ეკითხება ჭკუა ნაკლებად უჭრით — მეფე იძულებული გახდება ჭკუის საკითხავად ტრადიციული „ჯიშით მრჩეველთა“ წრეში სხვა ვინმე, „არატრადიციული“, თუნდაც „უჯიშო“, მაგრამ „ჭკუით ჯიშიანი“ ადამიანი შემოიყვანოს.

და იგი უკვე შემოყვანილიც დახვდა იმ „სატახტო წრეში“ ჭაბუკ ლუარსაბ მეფეს.

და ამ „რჩეულ ვიგინდარას“ გიორგი სააკაძე ერქვა.

ვთქვათ, დავით ალმაშენებელი რომ ყოფილიყო, მედროვეობისათვის არავითარი ფეხის ჩასადგომი ადგილი ტახტის სიახლოვეს არ გამოჩნდებოდა. გიორგი სააკაძისთანა მამაცსა და ნიჭიერ კაცს დავითი სარდლად აიყვანდა და ამით ყოველივე გათავდებოდა, მაგრამ ახლა...

ახლა ტახტზე ლუარსაბ მეორე იჯდა.

ტახტთან კი გიორგი სააკაძე იდგა.

ხოლო, ისინი, ვისაც ტახტთან დგომა და ქვეყნის სვე-ბედი ტრადიციით, „ჯიშით“ ეკითხებოდა და ეკისრებოდა — ქართლის ძირძველი არისტოკრატია — ვერასდიდებით ვერ შერიგებოდა მათ „ჯიშობრივად ეთვინილ“ ავანპოსტზე „უჯიშო მედროვის“, გინა „მეცამეტე გოჯის“ წამოსკუპებას.

და მთავარნი გიორგი სააკაძის მოძულეთა და მომტერეთაგან იყვნენ თავადნი, ანუ „საზეპურო ერისანი“ — შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი.

და ჩასჩიჩიხებდნენ ისინი ახალგაზრდა მეფეს: ეგ ვიგინდარა სააკაძე პირადული აღზევებისა და მოხვეჭისათვის არც ქვეყანას დაიხდობს, არც მეფესო. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, ჩამოიშორე, თორემ ერთხელაც იქნება, ყველას დაგვლუპავს ეს ცბიერი, ვერაგი, მჩურჩნელი (ყურში მოჩურჩულე, მაბეზღარა) და დაუნდობელი კაცი.

. . . . . .

1607 წელს შაჰ აბასმა ცოლად წაიყვანა ლუარსაბ მეფის დაი, ლელა (თინათინი), რომელსაც იქ, სპარსეთში მესამე სახელიც დაარქვეს — ფათმა სულთან ბეგუმ.

ისფაჰანში მიმავალ მაყრიონს ლუარსაბ მეფემ წინ წაუმძღვარა გიორგი სააკაძე.

და პირველად მიდიოდა იგი სპარსეთისაკენ გაწვდილ „შაჰ რაზე“ („შაჰ-რა“, „შაჰის გზა“, აქედან — შარა, შარა-გზა).

მანამდე რამდენს გაუვლია ეს ცხელი გზა — კეთილი თუ ბოროტი გულით, მამულის გადასარჩენად თუ მამულის დასაღუპავად, შინაურ თანამემამულეთაგან მცირე განაწყენებისათვის, საქართველოს დაუძინებელი მტრის კარზე „სამართლის საძიებლად“. ამ გზაზე ესმოდა ყოველ ქართველს იმ ჯადოსნური ფრინველის ხმა: „ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!!!“

თუმცა ყველას როდი ესმოდა — ქვეყნის მოკეთესაც და ქვეყნის მოღალატესაც.

მხოლოდ ქვეყნის მოკეთეს ესმოდა.

ქვეყნის მოღალატეს არ ესმოდა.

სვიმონ მეფეს ესმოდა.

მის ძმას დაუდ-ხანს არ ესმოდა.

ახლა ვინც მიდიოდა, იმას ესმოდა: გიორგი სააკაძეს.

„ნუ გათათრდები!“

ძალიან მკვეთრად ესმოდა.

მიდის გიორგი სააკაძე სპარსეთის „შაჰ რაზე“, პირველად მიდის. თვითონ მიდის პირველად, თორემ სააკაძური სისხლი უკვე ნაჩვევია ამ გზაზე სიარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ნაჩვევი!

დიდი მამულიშვილის, მეფე ლუარსაბ პირველის ძემ და დიდი სვიმონ მეფის ძმამ დავითმა, ანუ გათათრებული სახელით — დაუდ-ხანმა დაგერშა პირველად სააკაძის გვარი საქართველოდან გაქცევაზე და „გათათრებაზე“. სწორედ დაუდ-ხანს, საქართველოს მოღალატეს და სპარსეთს გადახვეწილს, თან გაჰყვა მისი ერთგული (მოღალატის უღალატო!) აზნაური ბეჟან სააკაძე.

იცის გიორგი სააკაძემ, რაც მოხდა მაშინ, 45 წლის წინათ (1562 წელს) — როგორ წავიდა მაშინ პირველად „პირველი სააკაძე“ სპარსეთს, ანუ როგორ გაიქცა საქართველოდან, — სულ ერთია, ნებით თუ უნებურად, რადგან ყოველგვარი გაქცევა სამშობლოდან, მაინც საერთო შეფასებით, ფასდება როგორც სამშობლოს ღალატი.

და გაიქცა მაშინ სააკაძე სპარსეთს, მოღალატესთან ერთად გაიქცა. მოღალატე მეუფის წამხედურობით, თვითონაც გათათრდა (წინა დაიცვითა) და სპარსთა სამსახურში შევიდა. შევიდა და ძალიან მალე დაწინაურდა — დაწინაურდა, რადგან ქართველი იყო და თანაც სააკაძე — ძალიან მამაცი, ძალიან ნიჭიერი და უცხო თესლის და უცხო დროშისთვის უკიდურესად თავგანწირული!

მისი გმირობით და ერთგულებით გაკვირვებული და აღტაცებული თათრები ყარა-ბეჟან-ბეგს ეძახდნენ. მაგრამ „გაუცხოებულ“ ქართველ გმირსა და სარდალს ბოლოს მაინც დარია ხელი სამშობლოზე წუხილმა და დაბრუნდა ქართლში. დაბრუნდა და, გორის ახლოს, მტკვრის პირას, სახლი აიშენა და კერა გაიწყო ცოლ-შვილთან ერთად. მაგრამ არ დააყენა „გადმოქართულებული“ ბეჟან სააკაძე „ჭეშმარიტმა ქართველმა“ ფარსადან ციციშვილმა: ღამით თავს დაეცა თავისი ყმებით და აზნაურებით, მძინარე ბეჟანი ზედ სარეცელზე დააკვლევინა, ოჯახი გაძარცვა და აუწიოკა (ეს ამბავი რომ მოხდა, გიორგი სააკაძე მაშინ 9 წლის ბიჭი იყო... შადიმან ბარათაშვილთან ერთად, არავის ისე არ სწყურია სააკაძეების სისხლი, როგორც ფარსადან ციციშვილს). ცოლი და სამი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა მოკლულ ბეჟან სააკაძეს. ფარსადან ციციშვილის შიშით, ვერავინ გაბედა ობლებისა და ქვრივ-ოხრის მფარველობა და ლუკმის მიწოდება. ისინიც ადგნენ და ისევ სპარსეთს მიაშურეს. გზაზე ყაჩაღებმა ერთადერთი მარჩენალი ძროხაც წაართვეს; დედა და ორი შვილი გზაზედვე დაიხოცნენ. მესამე, 11 წლის როსტომმა, მძლავრსხეულიანმა და უტეხნებიანმა ბიჭმა, მაინც მიიტანა სული შაჰ აბასის კარამდე — იმ შაჰ აბასისა, რომელიც პირდაპირ ნადირობდა საქართველოსგან მოკვეთილ და სა-

ქართველოზე დაბოლმილ ქართველებზე — და ქართული სისხლით „თამაში“ რომ უყვარდა „გარდარეულად“. და მაშინვე პირად ღულამად „ეყვანია შაპს როსტომი, ახლა კი 18 წლის ჭაბუკი უკვე სოჰბათ-ბაშად ხდარა; ამბობენ, თურმე, მალე სპასალარობასაც გამოჰკრავს ... ტომ სააკაძეო (ძალიან ხომ არ იმშვენებენ და იშნოებენ „თათრობას“ სააკაძეთა გვარისანი?!).

მაშ, პირველად, 45 წლის წინათ, ამ გზით გაიარა ბეჟან სააკაძემ.

მეორედ, 7 წლის წინათ — როსტომ სააკაძემ.

ხოლო ახლა, მესამედ — მიდის გიორგი სააკაძე.

მაგრამ იგი მიდის არა „გასათათრებლად“, არამედ მხოლოდ „თათრებთან“ სამოყვროდ, **მაყრად.**

მიდის და ესმის „იმ ფრინველის“ ხმა: „ნუ გათათრდები!“

და მიიყვანა გიორგი სააკაძემ სადედოფლო ისფაჰანს.

შემოეგებათ შაჰ აბასი.

დედოფალი დედოფლად დაისვა ქართველ ქალებზე დახარბებულმა (ოთხი დედოფალი ეყოლება და ოთხივე ქართველი ქალი). მერე საქართველოდან ჩამოსულ ქართველ მოყვრებს „მიესიყვარულა“ და მიექართულა შაჰი. სარწმუნოა, რომ გამორჩევით გიორგი სააკაძე მოსწონებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ რაღაც საერთო მსგავსება ჰქონდათ ერთმანეთში. ეს არ იყო მსგავსება მხოლოდ ორივეს სახეზე საგანგებოდ აყვავებული ულვაშებისა; ვერც ტანის ახოვანებით მიეტოლებოდა სპარსელი ქართველს, მაგრამ დაუცხრომელი სწრაფვა მარად ქმედებისა, ენთუზიაზმი თავგანწირული მიზანსწრაფულობისა, ძალუმი სუნთქვა პატიმოყვარეობისა და მძვინვარებისა — ორივეში ერთნაირი ძალისხმევით გამოსჭვიოდა.

უეჭველად: იმთავითვე უნდა მოსწონებოდა შაჰ აბასს გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძესაც იმთავითვე შეეძლო საკუთარი თვალით ეხილა და ღარწმუნებულიყო: ქართველებს ძალიან დიდი ფასი ედოთ სპარსეთში, შესაძლოა უფრო მეტი ფასიც, ვიდრე თვით საქართველოში.

(და — ცდუნება უნდა ყოფილიყო ძალზე ძლიერი).

გიორგის მაშინვე შეეძლო თავისი თვალით ეხილა, რომ სპარსეთის სატახტო „უფრო ქართული ქალაქი იყო, ვიდრე ტფილისი“.

შეეძლო ეხილა ამდენი განდიდებული და გამდიდრებული ქართველი კაცი (გიორგის კი როგორ უყვარდა განდიდებაც და გამდიდრებაც!), მათ შორის — უნდილაძეებიც უნდა ეხილა აქ, ღაულ-ხანის „მირზებიც“ (ბატონიშვილები) — ბაგრატ-მირზა და ხოსრო-მირზა. და კიდევ ბევრი, ბევრი ქართველი (თუ „ნაქართველარი“?).

სწრაფად, ძალიან სწრაფად მობრუნდა მაშინ გიორგი სააკაძე სპარსეთიდან საქართველოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს რაღაცას კამოექცა, რაღაცისგან დამფრთხალი და დაფეთებული.

დაუზოგავად მოაჭენებდა ცხენს და „იმ ჩიტის“ ხმა ისევ ესმოდა:

„ნუ გათათრდები!“

ისევ ესმოდა.

ჯერჯერობით ესმოდა.

(ისე კი, საერთოდ — ყოველივე „ჯერჯერობითი“ არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!).

. . . . . .

იმავე 1607 წელს შაჰ აბასის ქართველმა სარდლებმა შირვანის ციხე-ქალაქებიდან ოსმალური ციხიონები განდევნეს და სპარსული ციხიონები ჩააყენეს. მთავარი აქ დერბენდი და შემახა იყო. და დერბენდი 16 წლის ჭაბუკმა მესხმა მანუჩარ-ბეგმა აიღო და მიართვა შაჰ აბასს (მანუჩარ-ბეგი სახელოვანი ათაბაგის, მანუჩარ მეორე ჯაყელის ძე და დიდი სვიმონ მეფის დისწული იყო). ხოლო, შემახა ალავერდი-ხან უნდილაძემ აიღო, ზარბაზანთა უწყვეტი ცემით.

შირვან-აზერბაიჯანშიც, ქართლ-კახეთივით, ოსმალობა განიდევნა და სპარსელობა შემოვიდა. მესხეთიც ფეხზე დამდგარიყო ოსმალური უღლის გადასაგდებად. აქაურ ქართველთა აჯანყებას სათავეში ჩასდგომოდა „დიღებული მანდილოსანი“, მანუჩარ მეორე ჯაყელის ქვრივი, სვიმონ მეფის დაი, დერბენდის გმირის, ჭაბუკი მანუჩარ-ბეგის დედა — ელენე.

ელენემ ოსმალთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა სპარსეთის ხელმწიფესაც და თავის ძმისწულსაც — ლუარსაბ ქართლის მეფეს.

შაჰ აბასმა მაშინვე შეიწყნარა ელენეს თხოვნა, თუმცა მხოლოდ ყიზილბაშთა მცირე ლაშქარი გამოჰყო, მანუჩერ-ბეგს ჩააბარა და მესხეთს გაუშვა.

ლუარსაბმაც აფრინა ქართლის ლაშქარი სამცხისაკენ.

1607 წლის ზაფხულში ქვრივმა ქალმა ქართველთა ირგვლივ იერიშით აიღო ახალციხე. აქაური ბეგლარბეგი, გაოსმალებული ქართველი იუსუფ-ფაშა, 150 ოსმალოსთან ერთად, ტყვედ მიჰგვარეს ელენეს.

ახალციხე არ იკმარეს და ქართველებმა ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯეს „აგრეთვე იქაური ადგილების უმრავლესობა“.

ახალციხის გამგებლად, ელენეს თხოვნით და შაჰის დასტურით, დაჯდა მანუჩარ-ბეგი, ახალი სახელით — მაუჩარ მესამე ათაბაგი.

მომდევნო 1608 წელს ოსმალებმა რევანშის აღება სცადეს მესხეთში, მაგრამ მესხთა ახალი ბატონი და პატრონი ძლიერად დახვდა მტრის შემოსვას. ოსმალები იმწლევანდელ მარცხს შეურიგდნენ და უკუიქცნენ, მაგრამ თურმე მხოლოდ იმწლევანდელ მარცხს შერიგებოდნენ...

...იდგა წელიწადი — 1609, თვე ივნისი.

ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე იდგა ცხირეთს, საზაფხულო განსასვენებელს.

სასწრაფოდ გამოეძახა მოურავი გიორგი საკაძე და ბარალი ბაბა ციციშვილი.

ჰქონდათ ფიცხელი ბჭობა, თათბირი.

ფრიად საშფოთარი ამბავი მოეტანათ სამცხიდან შიკრიკებს. ოსმალები წინა წლების მარცხს მაინც არ შერიგებიან და მანუჩარ-ბეგისა და დედამისი ელენეს დასასჯელად წამოსულან დიდძალი ლაშქრით ახალციხისკენ. თანაც მარტო ოსმალები კი არა, ოსმალთა ურდოს ასდევნებოდა ყირიმელ თათართა ლაშქარი, რომელსაც ქართველები „თათარ-ხანის ჯარს", ანუ „მგლისტყაოსნებს" ეძახდნენ. ცეცხლითა და მახვილით შემოსევიან სამცხეს, აუღიათ და დაურბევიათ ახალციხე. მთებში გახიზნულან დედა-შვილი, ელენე და მანუჩარი.

სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალები და „თათარ-ხანნი" ლუარსაბ მეფესაც გაუხსენებდნენ და შეეცდებოდნენ მწარედ გადაეხადათ მისთვის, ქართლის ჯარი რომ მიაშველა აჯანყებულ მესხებს.

უკვე თადარიგიც დაეჭირათ მეფესა და მოურავს: ზაქარია და იარალი ბარათაშვილნი გაუგზავნიათ მცირე ჯარით, მესხეთიდან ქართლისაკენ მომავალი თრიალეთური გზების შესაკრავად და, უკეთუ გამოჩნდებოდა, მტრის გამოჩენის შესატყობინებლად.

მტრის ურდო კი მოგორავდა ქართლისაკენ, შეუჩერებლად.

ახალციხის აღებისთანავე, „მთავარი გურჯისტანის" წასახდენად მოთქარუნობდნენ ერთად შეყრილნი ოსმალნი, სამცხის, შავშეთის, ნიგალისხევის საფაშოებისა, მათივე ფაშებით სათავეში და, მათთან — „თათარ-ხანის მგლისტყაოსანი".

მთავარსარდლად მაჰმადიანთა მხედრობას მოუძღოდა ფერად ფაშა, გამაჰმადიანებული ქართველი, რომელსაც თანაშემწედ მოსდევდა მოჰამედ ფაშას მამაცი ვაჟი.

ჯავახეთი გადმოიქროლეს, თრიალეთიც, მანგლისშიც შემოიჭრნენ და, სანამ ზაქარია და იარალი შეიტყობდნენ, რამდენიმე სოფლის აოხრება და წარტყვევნაც მოასწრეს მტრებმა.

დაგვიანებულს რაღა შემოაბრუნებდა და დაედევნენ მაოხარ მტერს ბარათაშვილნი თავისი ჯარით. აღგილობრივ მოსახლე სოფლელებიც მიეტანენ გადამთიელ მოსისხლეებს — ვინ ცელით, ვინ ნამგლით და ვინ კეტით ხელშეჭურვილი.

ოსმალებს სადღაციდან ცნობა ჰქონდათ, რომ ლუარსაბ მეფე ცხირეთს იდგა და თვითონაც ცხირეთისკენ ეშურებოდნენ. მათ ქართველი მეფის შეპყრობა და ქართლის მოთარეშება ჰქონდათ გულს ამოჭრილი.

საგულდაგულოდ ყირიმელი „მგლისტყაოსანნი“ მოთქარუნობდნენ „საოცნებო გურჯისტანის“ მოსაძარცვავად და „მოსაჯმელად“. ბევრჯერ სნენოდათ: ვერსად იმდენ გემრიელსა და ხვავრიელ ნადავლს ვერ მოვნადავლებ, რამდენსაც საქართველოშიო და ისინიც მოდიოდნენ „ხვავრიელად გასამდიდრებლად“.

60 000 ოსმალო და ყირიმელი მოჰქროდა შუაგულ ქართლისკენ. ცხირეთისკენ მიმავალ გზაზე უნდა გასულიყვნენ და ქართლის მეფეს მოულოდნელად დასცემოდნენ. ამიტომ მეგზურს ეძებდნენ.

მანგლისი, ოძისი და კველთა რომ გადასწვეს, სწორედ აქ, სოფელ კველთაში, ერთი მღვდელი მოიხელთეს, სახელად თევდორე, და იმას უბრძანეს ოსმალებმა — წინ გაგვიძეხ და ცხირეთს გაგვიყვანეო.

თევდორემ ცივად იუარა; ლახტი უჭირეს, ერთხელ, მეორედ. კარგი, წაგიძღვებითო, თქვა მღვდელმა. მხარ-მკლავი შეუკრეს — არ გაგვექცესო — და გაიგდეს წინ ოსმალებმა.

მიდიოდა, მიუძღოდა მტერს ახალგაზრდა ქართველი მღვდელი და არავინ იცოდა რა ფიქრი უტრიალებდა გონებაში. მისი საქმე კი, აწ მომხდარი საქმე, გვიჩვენებს და გვარწმუნებს, რა ფიქრებიც უნდა ჰქონოდა მის კეთილშობილ სულს:

„მე ვარ მწყემსი კეთილი, და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათვის. მე ვარ მწყემსი სოფელ კველეთის მცირე სამწყსოსი, ხოლო სული ჩემი უნდა დავსდვა დიდი სამწყოსოსთვის — საქართველოსთვის... საწუთრო ესე წამიერი და წარმავალი, ხოლო ცხოველი მარადჟამეულ არს საქართველო, სამშობლო ჩემი... და საქართველო არის ღმერთი...“

გადაიარეს ერიქალას მთა, სოფელი გოსტიბეც გამოჩნდა.

იცოდე, ცხირეთს უნდა გაგვიყვანო, სადაც თქვენი მეფე დგასო, — კიდევ ერთხელ შეახსენეს მეგზურს ოსმალებმა. და მიუძღოდა თევდორე მტერს.

გოსტიბედან ძირს ეშვებოდნენ . სოფელ ერთაწმინდაში შეეღნენ. სად ვართო, იკითხეს ოსმალებმა ერთაწმინდაშიო, უპასუხა მღვდელმა. ცხირეთი კიდევ შორს არისო? ისევ იკითხეს ოსმალებმა. მალე მივალთო, იყო პასუხი.

ერთაწმინდას გზა იყრებოდა. ხელმარცხნივ ცხირეთის გზა იყო, ხელმარჯვნივ — ქვენადრისისა. და მეგზურმა მტერი ქვენადრისის გზას გაუყენა. ცხირეთი კი ხელმარცხნივ დარჩა.

სანამ ქვენადრისს მივატანდეთ, მანემ ცხირეთს მდგარი მეფე შეიტყობს მტრის შემოსევას... შესაძლოა, უკვე შეიტყო კიდეცო... ღმერთმა ინებოსო — ფიქრობდა თევდორე.

თვითონ ნელა ვიდოდა, ფეხს ითრევდა. ოსმალები კი მიაჩქარებდნენ. და როცა ახალი სოფელი გამოჩნდა და ის სოფელი ცხირეთი კი არა,

ქვენადრისი აღმოჩნდა, მაშინლა მიხვდნენ ოსმალონი, რომ მტვერელმა ოსნი ნატყუარი გზით წაიყვანა და ლუარსაბ მეფე განსაცდელს გადაარჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოხდა ის, რაც ჩვეულებრივ ხდება ასეთ დროს. ოსმალებმა ალყა-თელი მღვდელი თევდორე სტანჯეს და თავი გააგდებინეს.

თევდორეს გმირობა უკვდავ სიწმინდედ დარჩა მისი მშობელი ხალხისა და ქვეყნის ხსოვნასა და ისტორიაში.

. . . . . .

თევდორეს მამულიშვილური თავგანწირვა შეიქნა ცხოველმყოფელი წინამძღვარი მომდევნო დიდ სამამულო გმირობათა, რომლის მთავარი გმირი უკვე გიორგი სააკაძე უნდა ყოფილიყო. სანამ თევდორე მტერს ნატყუარი გზით მოატარებდა და, ბოლოს და ბოლოს, მისი კეთილშობილი თავი წამებულ სხეულს განეკვეთებოდა, მან მეფემ და მოურავმა მტრის შემოსევის ამბავიც შეიტყვეს და საომრად გამზადებაც მოასწრეს.

გიორგიმ მეფეს სთხოვა, ცხირეთიდან გამოსვლას ნუ ინებებთო, და დარჩა ცხირეთის ციხეში ლუარსაბ მეფე. თვითონ სააკაძე კი საომარ ძალთა შესაყრელად გაიჭრა. შიკრიკები გაუგზავნა და ჯარებით იწვია თეიმურაზ მუხრან-ბატონი, არაგვისა და ქსნის ერისთავები, მაჩაბელი, ამილახორი, ბარათაშვილნი და, ტფილისის ციხიონის უფროსიც, დელუ-მუჰამედი (მუჰამედ-სულთან შამს ად-დინ-ლუ) თავისი სპარსული ციხიონით.

ყველა წვეული სასწრაფოდ წამოემართა თავისი ლაშქრით. ხოლო, სანამ ისინი პაემნად დანიშნულ ადგილს მოვიდოდნენ, მანამ გიორგიმ ახლომახლო სოფლებში ძიმოქცევით 400 მეომარი შემოიყარა და ცხირეთს მობრუნდა.

შვიდი საათი უტარებია თევდორე მღვდელს ნატყუარი გზებით ოსმალთა მხედრობა. და იმ შვიდ საათში, გიორგი სააკაძის წყალობით, ლუარსაბ მეფეს უკვე მზად ჰყავდა ჯარი მტერთან შესაებებლად.

მოკლე, ფიცხელი ბჭობის შემდეგ, მეფემ ჯარებს სარდლებად უჩინა გიორგი სააკაძე, ზაზა ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, და მტრის ბანაკისკენ გაუშვა.

ოსმალ-თათართა მხედრობა კი თეძმის ხეობაში გასულიყო, ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაზე.

ჭენებით მიჰყავდა ჯარი სააკაძეს, მაგრამ სანამ ის მიასწრებდა, მტერზე ადევნებულმა ზაქარია და იარალი ბარათაშვილებმა მოასწრეს შებმა. ისინი ოსმალთა უკანა კერძს ზედ სხერტის ჭალაზე წამოეწივნენ და შეებნენ კიდეც.

ჭალა ნაწვიმარი იყო, კაცის ფეხისთვის სხლტომადი და ტალახიანი. საომრად ასეთი ადგილი მცირერიცხოვან თავდამსხმელთათვის უფრო ნა-

კლებ მომგებიანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მრავალრიცხოვან თავდამცველთათვის ზაქარიას და იარალის კი ეს არ გახსენებიათ.

ბრძოლა მძიმედ დაიწყო. მეომრებს აჯრილ-აზელილ მიწაზე ფეხი უსხლტებოდათ ეცემოდნენ, დაცემულთა წამოდგომა უჭირდათ, ბორძიკობდნენ და, მუხლმოკვეთილნი და მკლავმოქანცულნი, უსაზმნოდ ეხეთქებოდნენ ერთმანეთს.

უცებ ფერად ფაშამ უკუაქცია ქართველებთან მორკენალი თავისი მეომრები, შეამჯიდროვა, დანარჩენ მთავარ ძალებთან შეამტკიცა და ყველამ ერთად ისრის სეტყვა დაუშინა უკვე საომარი საზიდან ჩამოტოვებულ და ტალახში ფორთხვით მომავალ ქართველებს.

ხმლის მისაწვდენზე აღარ იყვნენ და ისრის მერეხის ქვეშ იხოცებოდნენ ხმალდაუქმებულნი.

ისრებით დაცხრილულნი დაეცნენ თვითონ ზაქარია და იარალი.

და მაშინ მოუსწრეს სააკაძემ და ციციშვილმა. მოუსწრეს და ეკვეთნენ ძმვინვარედ. ოსმალებიც მხნედ შემოეგებნენ, ზაქარია-იარალის ძლევით გათამამებულნი. გახელებით უტევდნენ გიორგი სააკაძე, მისი ძმა ქაიხოსრო, ზაზა ციციშვილი და თამაზ მაჩაბელი. ქართველებმა ჩახოცეს და გადაქელეს მეწინავე „მგლისტყაოსანნი“.

ოსმალთა რომელიღაც ფაშა გამოჯირითდა სიკვდილის ხაზზე, მამაცად მბრძოლი. ზაზა ციციშვილმა მიაშურა, მაგრამ თამაზ მაჩაბელმა მოასწრო შუბით. ოსმალმა დამბაჩა შემოაგება თამაზს. დროზე შეაგდო ცხენი ყალყზე მაჩაბელმა. ტყვიამ ცხენს გულში გაუარა და მიწაზე დაეცა მხედრიანად; ფაშამ წამსვე დაცლილი დამბაჩა გადააგდო და ხმალი აღმართა. და სწორედ მაშინ შუა ჩამოიჭრა ზაზა ციციშვილი. ციციშვილსაც დაუხვდა მამაცი ოსმალო. გაიბრკიალეს ხმლებმა. ჩალმიანი თავი მოწყდა ოსმალოს, უნაგირზე წამიერად ჩაყინულს. სანამ ოსმალოს წარკვეთილი თავი მიწას დაეცემოდა, მანამდე აიტაცა იგი მარცხენა ხელით ზაზამ. აიტაცა და თან თამაზ მაჩაბელს შესძახა, ცხენზე შეჯექო! საკუთარი დაცემული ცხენისგან თავდასხსნილი მაჩაბელი წამსვე ზურგზე მოეკლო მოკლული ოსმალოს ცხენს. შემოესივნენ და შემოერტყნენ მეთაურის სიკვდილით გააფთრებული ოსმალ-თათარნი. ერთი ხმალი აღარ იკმარა ზაზა ციციშვილმა: ფაშას წარკვეთილი თავი წვერით კბილებში ჩაიჭირა, სატევარიც გაიძრო და ორივე ხელით შეჭურვილმა შეუტია გააფთრებით. ძმებმა სააკაძეებმაც მოუსწრეს. მტრის შუაგული გაარღვია გიორგიმ. ოსმალები უკუიქცნენ.

სანამ ქართველთა მთავარი ძალები არ მოსულიყვნენ, მანამ გიორგიმ ოსმალთა ურდოს გამოდევნება სახიფათოდ ჩათვალა, ნაომარი ჯარით სხერტას გაეცალა და ცხირეთს მობრუნდა.

ოსმალ სარდალთა თავები დაუყარეს წინ ლუარსაბ მეფეს სააკაძემ და ციციშვილმა (ასეთი იყო იმდროინდელ ქართველთა შორის მაჰმადიანური სამყაროდან შემოსული „მოდა“ და „ყაიდა“ დროისა!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

სხერტის ჭალაზე დამარცხებული ოსმალთა არმია ფერად ფაშამ ყარალაჯის გზით გორისაკენ წაიყვანა. საომარი წყობით მიდიოდნენ, დინჯად, ფრთხილად, შიშრეულად — კვლავ ანაზდეული თავდაცემა არ მოგვიწყონ ქართველებმაო.

მტკვარზე ხიდი უნდა გადაევლოთ და ისე შეეჭრილიყვნენ ოსმალები გორში. მაგრამ დაასწრო ერთმა სომეხმა ტერტერამ. იგი თურმე გორიდან სოფელ დოესში მიდიოდა რაღაც საქმეზე და მტკვრის მარჯვენა მხარეს მტრის ჯარები რომ დაუნახავს, მაშინვე ხიდს დასტაკებია, ფიცარ-ფიცარ აუყრია და შემოსევის საცნობი განგაშიც აუტეხია.

ოსმალებმა ხიდის აღდგენა დააპირეს, მაგრამ მოპირდაპირე მხრიდან გორელები მოცვივდნენ და მტერი ისრის სეტყვის ქვეშ მოაქციეს.

ქართველთა მთავარი ლაშქარიც გამოჩნდა მტკვრის მარცხენა მხარეს. უკვე ყველა მოსულიყო თავისი ლაშქრით: თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ამილახორი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბარათაშვილები. ტფილისის ციხისთავი ღელუ-მუჰამედიც მოსულიყო 700 სპარსელით თუ გამაჰმადიანებული ქართველით. ლუარსაბ მეფე და გიორგი სააკაძე მოუძღოდნენ შეერთებულ ქართულ მხედრობას.

ოსმალებმა ხიდს თავი მიანებეს და ისევ მტკვრის მარჯვენა განაკიდურს გაუყვნენ. ახლა მათ ლუარსაბ მეფის დატყვევება და ქართლის დაპყრობა კი არა, საქართველოდან ცოცხლად გაღწევა და ნაძარცვ-ნატყვევნავის გაყოლიება შემორჩენოდათ საფიქრალ-საზრუნავად.

მითქარუნობდნენ და საციციანოს სოფლებს მიიძარცვავდნენ. სოფელ ბრბონას რომ ჩააღწიეს, შედგნენ და ისევ ხიდის გამართვას შეუდგნენ. სოფელში სახლები დაანგრიეს და ნანგრევი ხის მასალით მართლაც მოასერხეს ხიდის გადება. მტკვარზე გადავიდნენ, ტაშისკარის ბოლოს ჩავიდნენ და ნახვეტაში დასცეს ბანაკი.

სააკაძემ და ლუარსაბმა ჯარი ახალდაბას ჩაიყვანეს. იქ ხიდი ეგულებოდათ, მაგრამ ადიდებულ მდინარეს გაეტაცნა იგი. ის ღამე დაითმინეს და დილით, სისხამზე, გიორგიმ მტკვრის გადალახვა ბრძანა. ქართველებმა ჯერ ილოცეს, ღვთისმშობელი, სვეტიცხოველი და მის საძირკველში კვარი ქრისტესი მოიხსენიეს, მკლავიც დაილოცეს, ხმალიც, და მეფისა და მოურავის მიყოლით, თვითონაც გადაეშვნენ მტკვარში.

ძალზე საშიში კი იყო უსაშველოდ ადიდებულ მდინარესთან ბრძოლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც უმსხვერპლოდ გააღწიეს მეორე ნაპირს. ტანსაცმელი დაიწურეს, იარაღი მოირგეს და საომრად გაემზადნენ.

უკვე გული საგულეს დაიგულეს მეფემ და მოურავმა — ოსმალთა ველარსად გაექცეოდათ. შალვა ქსნის ერისთავი თავისი ქსანელებით კორტანეთს ჩაიყვანეს და ამით ახალციხისკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტეს მტერს. ხოლო ოსმალთა ზურგიდან, სურამის ბოლოს, შიდა ქართლის ჯარი იდგა საომრად შემართული.

მტრის ურდოს გასასვლელი აღარსაით ჰქონდა და ისღა დარჩენოდა ბრძოლა მიეღოთ. დაუტრიალდნენ საომარ სამზადისს ოსმალნი. სანგრები და თხრილები გათხარეს, მიწაყრილები აღმართეს, ტომრები სილით გატენეს და კედლებად დაისადაგეს...

ლუარსაბ მეფემ თათბირად შემოიყარა სარდლები.

პირველი წამოდგა ნუგზარ არაგვის ერისთავი, სიმამრი გიორგი სააკაძისა, და თქვა: მთიელი მეომრები ღამე ბრძოლას ამჯობინებენ და მეც ჩემის მთიელებით ღამე დავეცემი მტერსო. მაგრამ არაგვის ერისთავის აზრი ციციშვილმა და ამილახორმა მაშინვე დაიწუნეს: ღამეს ისევ დღე სჯობს და გათენებისას მივუხტეთ მტერსო.

ბოლოს გიორგიმ თქვა თავისი საომარი განაზრახი: ღამის ჩაწურულს, რიჟრაჟზედვე, მტრის მიწაყრილებს იდუმალ მივეახლოთ, ერთბაშად თოფები დავუშინოთ და უმალვე ამხედრებულნი ხმლითა და შუბით ჩავუხტეთ თოფის კვამლით გატენილ მინდორში ოსმალთა ბანაკსო...

მიიღეს ეს მარტივი და თამამი მონასაზრი სააკაძისა და ბრძოლის მოთავეობაც მასვე მიანდეს.

იმ ღამით გიორგიმ მეწინავე გუნდი გააწყო. სამეთაუროდ ყველაზე ერთგული მეომრები დააყენა: ლომი ჩრდილელი, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსიტა გედევანიძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მათარსი შიხაიდრიძე, ქვლივიძე, ინაშვილი. ესენი გიორგი სააკაძის „მოკიდებულნი" (მიმდევარნი, თანადასელნი) იყვნენ, ზოგი გლეხი, ზოგი წვრილაზნაური...

...27 ივნისი 1609 წლისა. დილა სისხამი, ტაშისკარი, ნახვეტას მინდორი.

ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაზე 60 000 ოსმალო-თათარი დაესვა, მეორეზე — 10 000 ქართველი.

თოფების ერთბაშმა გრიალმა და კლდეებზე ასხლეტილმა ნახმევამ შეარყია მტკვრის ხეობა. ომის მოლოდინით ღამენათევი შემოეგებნენ ოსმალნი მოიერიშე ქართველობას. ხოლო ქართველები უკვე ჩაჭრილიყვნენ ყოველი მხრიდან მათგანვე ნათოფარ მტრის ბანაკში. თოფისწამლის და სისხლის სუნი შეერთვნენ ერთურთს. ბრძოლა გახურდა სასტიკი, სისხლდამდინარი. „ფიცხად იბრძოდნენ ქართველნი". სააკაძე ყველაზე

სქლად შეკრულ ოსმალობას არჩევდა და მისკენ მიპროდა გამმაგებით. შუაგულს იჭრებოდა შუბგამართული და იბრძოდა დინჯად „გულმყარად“. საგანგებოდ ოსმალთა ჯილოსან სარდლებს ეტევებოდა ორთავე უსულოდ ირეცებოდნენ მისი ხელით დანაკრავნი. „გულსრულად“, დიდი სიმამაცითა და სიჩაუქით იბრძოდა ლუარსაბ მეფეც, ჭაბუკი „ტანსარო“, „თამამად მიმხდომელი“, ლახტის მცემელი და შუბის მაძგერებელი.

„მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, —ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ“.

მზე საშუადღეოზე მიიწევდა და მწვავედ აწვებოდა ტაშისკარის საომარ თონეს. „ომი გახშირდა“. მეომრები გახელდნენ, გამხეცდნენ. მესამეჯერ შეემსხვრა შუბი ხელში სააკაძეს. ლახტი მიართვა ლომი ჩრდილელმა. კვლავ მიეტევა გიორგი მძაფრად. ლახტიც გადაუტყდა. ხმალი „ამოამღერა“ მოურავმა. შორიდან ნატყორცნი ისრები ასხმოდა ზორბა ტანზე. ზედიზედ თორმეტ რჩეულ ოსმალოს დააყრევინა გიორგიმ იარაღი და ტყვედ მიუყარა ინაშვილსა და ქვლივიძეს. ფერად ფაშას მიუხდა მოურავი. მხნედ შემოეგება გათათრებული ქართველი ჯერ კიდევ (!) ქრისტიან ქართველს. ხმალი დააგდებინა გიორგიმ. ორმა პაპუნამ, ჩივაძემ და ვაშაყაშვილმა, მხარ-მკლავი გაუთოკა ოსმალთა მთავარსარდალს. მეცხრე საათი დადგა საშინელი ხმალთაკვეთებისა. სასწორი აეშალა ხელში ომის ღმერთს. ბრძოლა ქართველთა ძლევამოსილებით გადაწყვეტილიყო. ოსმალთაგან უმრავლესნი ჩაწყდნენ და ჩაირეცნენ. ვინც ქართველთა შურისმგებლურ მახვილს გადაურჩა, „დაშინებულთა და დანქრეულთა“, ტყესა და ღრეს მიაშურეს თავპირის მტვრევით. ბრძოლის შემდგომ სამი დღის მანძილზე „საშოვარზე“ გადიოდნენ ახლომახლო სოფლელები, კაცნი და ქალნი, ტყემაღნარებსა და ხევხუვებში: იქ შეფარებულ და ჩაჩუმქრულ ოსმალებს იჭერდნენ, დედმიშობილად ატიტვლებდნენ. თუმცაღა ცოცხლად კი უშვებდნენ — ახლა საშიში აღარ არიანო, ეგენიც ადამის ძენი ყოფილანო!...

ახალგაზრდა მომხიბლავი მეფე მიუძღოდა გამარჯვებულ ჯარს.

უკან ფერად ფაშა და მოჰამედ ფაშას ძე მოჰყვებოდნენ დატყვევებულნი.

წარკვეთილი თავებიც და წარუკვეთელი ტყვე სარდლებიც ქართველებს მათი „მოყვრისა და მოკეთისათვის“ — შაჰ აბასისთვის უნდა გაეგზავნათ...

ამრეზილი ჩაყინულიყვნენ თავადები უნაგირებზე.

რადგან... „უჯიშო სააკაძე“ მიჰყვებოდა გვერდით ხელმწიფეს.

. . . . . .

ტაშისკარის ბრძოლიდან გავიდა ორი წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ, 1611 წლის შემოდგომის დამდეგს, გიორგი სააკაძეს თავის ციხე-დარბაზში, ლუარსაბ მეფის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართა. სუფრასთან მასპინძელმა მეფეს მწდედ (მერიქიფედ) ახალგაზრდა ქალი დაუყენა, საოცრად მომხიბლავი, ტანნაკვთოვანი და სახემშვენიერი. ის ქალი (რომლის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა) თვითონ მოურავის და აღმოჩნდა.

მეფე მოურავის დას გაუმიჯნურდა და, ბოლოს და ბოლოს, — ისე, რომ თვითონ გიორგის უარს ანგარიში არ გაუწია, ქალი იგი ცოლადაც დაისვა.

როგორ თუ ეს მოხდაო, — და აიშალა თავადთა წრე, შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის მოთავეობით. აიშალნენ, აზვავდნენ და შეუტიეს ლუარსაბ მეფეს: ცოცხალის თავით არ შევურიგდებით უგვარო დედოფლის მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. „და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა“.

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მისი ოჯახი, ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს: განუტევე უჯიშო დედოფალი და მოჰკალი მოღალატე მოურავიო...

. . . . . .

ლუარსაბ მეფეს წავკისში საზაფხულო სასახლე ედგა.

და აქ, 1612 წლის 20 მაისს, მეფესთან თავი მოეყარათ მის უახლოეს კარისკაცებს, თავადებს, რომელთა შორის იყვნენ: შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი და სხვანი, ყველანი მოძულენი სააკაძისა.

ერთადერთი ჩანდა გიორგი სააკაძის „მოკიდებულ კაცთაგან“ — ფარეშთუხუცესი ბააკა (კახაბერ) ხერხეულიძე, რომელსაც შეეტყო, რომ მეფეს ხვალ დილისათვის ყარაიას ველზე სანადიროდ წასვლა გადაეწყვიტა და ამისთვის მოეწვია თავისი ახლო კარისკაცნი.

მაგრამ მონადირეთა გუნდი ძალიან ემრავლა თვალში ხერხეულიძეს. გუნდი კი არა, უფრო ჯარს ჰგავდა, საგანგებოდ იარაღში ჩამჯდარს და ჩასილაღებულს.

დარბაზში იყვნენ ჩაკეტილნი მეფე და მისი „თანამონადირენი“. რაღაცას თათბირობდნენ, დაბალი, იდუმალი სიტყვამიმოქცევით. მაგრამ ხერხეულიძის სმენას მაინც მისწვდა ეს ნერვიულად ამონათქვამი — „ხვალ მოვჰკლათ!“ ამის გამგონეს იქნება ეს სიტყვა ხვალინდელი ნადირობისას

მხეცთა თუ ფრინველთა „მოკვლად“ უნდა ეგულისხმებინა, მაგრამ მაინც დაუკრავს ეჭვი ასე საგანგებოდ და იდუმალი მღელვარებით წამოსროული ლი სიტყვისათვის ბააკა ხერხეულიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობა, ვიღაცას კიდევ ელოდნენ მონადირენი, მოუთმენლად ელოდნენ. ალბათ კიდევ ერთ „მონადირეს“.

და მოვიდა კიდეც... გიორგი სააკაძე!

პირველმა ხერხეულიძემ შეიტყო გიორგის მოსვლა, პირველივე შეეგება და პირველად შეიტყო მისგანვე: მეფეს გიორგიც ჰყოლოდა მოწვეული — დღესვე წავკისს მოდი, რათა ხვალ დილით ადრე ყარაიას გავიდეთ სანადიროდო... და მოსულიყო გიორგი სააკაძე სანადიროდ!

ახლა უნდა გამძაფრებოდა ეჭვი ბააკა ხერხეულიძეს — გიორგი სააკაძის მოსვლაზე ხომ არ ყოფილა გულისხმა დაცემული, იმათ რომ წამოცდათ — „ხვალ მოვკლათო“?! და გადაწყვიტა ფარეშთუხუცესმა, ფხიზლად ყოფილიყო იმ ღამით, უფრო ფრთხილად, ვიდრე მის ფარეშთუხუცესობას ევალებოდა.

მეფემ და მისმა ამალამ შეიტყვეს მოურავის მოსვლა და გამოეგებნენ „სიყვარულითა დიდითა“ (როგორც სჩვევიათ ქართველებს).

ის დღე ერთად იყვნენ, სერობად ერთად უნდა დამსხდარიყვნენ, პური ერთად გაეტეხათ, ღვინოც მცირედად შეესვათ, ნადირობის წინ. და ეტყობა, შეთქმულნი ისე თავდაჭერილად და ფრთხილად იქცეოდნენ, სააკაძის მარად ფხიზელმა გონებამაც ვერ დაიკრა ეჭვი სიკვდილის საფრთხისა.

შუაღამე კარგახნის გადასული იქნებოდა, რომ ძილთან ნაბრძოლსა და თვლემამოძალებულ ბააკა ხერხეულიძეს ადამიანთა ნერვიული ჩურჩული, ფეხის ხმა და იარაღის ჩხარუნი მოესმა. ფიცხლავ გამოვარდა, სააკაძის საძინებელს დაეტაკა და შეჰყვირა: „თავს უშველე, გიორგი, შენს მოსაკლავად მოდიან!“

ახალუხის ამარად, ფეხშიშველი იწვა გიორგი, ეგრევე წამოიჭრა, მხოლოდ ხმალი აიტაცა და ელვასავით გავარდა გარეთ. უკვე კვალში უდგნენ ამხედრებული მდევრები. მაგრამ მაინც მიასწრო გიორგიმ ცხენთან, უბელოს მოახტა და გაფრინდა,

„მონადირეთა“ მთელი ჯარი გამოედევნა გაქცეულს.

თვითონ მეფის მხლებლებს ბააკა ხერხეულიძე შეეპყროთ და ძირს დაენარცხებინათ. მას იქვე, „მეფის ღალატისათვის“, ცხვირი მოჭრეს და ლოყა-ნიკაპი დაათალეს.

სააკაძე კი მიჰქრის სრულის ძალით, რაიც კი შესწევს დაუცხრომელი სხეულის მქონე ცხენსა და კაცს. მან მდევარს უნდა მიასწროს ნოსტეში, სადაც უცდის მისი ოჯახი —დედა, ცოლი, შვილები — ავთანდილ, პაატა, ივანე, ზურაბ, იორამ... უნდა მიასწროს, რათა მდევარმა არ დაასწროს და ცოლ-შვილი არ ამოუწყვიტოს, სახლი და კარი არ დაუქციოს.

სრულის ძალით მიფრინავს, მაგრამ მაინც ესმის მდევართა ხმა, მათი გნიასი, ცხენთა თქარუნი.

მოსდევენ და რისთვის მოსდევენ ასე გახელებით, ასე თავდავიწყებით, ასე თავაწყვეტით? ვისთვის რა დაუშავებია? სიკეთის მეტი ვისთვის რა უქნია?!

ქართველები არიან და ქართველს მისდევენ სასიკვდილოდ!

ვაი შენ, ამოწყვეტილო საქართველო... თუ გარეშე მტრისგან, თუ თვითონ ქართველთაგან ამოწყვეტილო!

მიჰქრის, მიფრინავს გიორგი სააკაძე.

მაგრამ მაინც ესმის ცხენთა თქარუნი და მდევართა ნერვიული ყარყაში.

თავდავიწყებით მისდევენ, სრულის თავდავიწყებით, რადგან ქართველები არიან და ქართველს მისდევენ, მაშ, როგორ!..

უძოს მთა გადაიქროლა, კოჯორიც. მაინც მისდევენ, მაინ... ქართველები — ქართველს... სრულის თავდავიწყებით... იცის სიძულვილმა ასეთი თავდავიწყება...

და, უკვთუ წამოეწიონ, მაშინ?

მაშინ... აი, ხმალი სააკაძისა! ყველაზე დიდი ქართული ხმალი, ხმალი მძიმე და სალმასური, რომელსაც უანგარიშოდ დაულვრია სისხლი საქართველოს უცხო მომტერეთა და მოსისხართა, ხოლო ქართველ კაცს ჯერ არ მოხვედრია სააკაძის ხმალი.

ჯერ!

მაგრამ, ვაითუ ახლა, ამ ღამეს ან ხვალ, ან ოდესმე დააქციოს სააკაძის ულმობელმა ხმალმა სალმასურმა სისხლი ქართველი კაცისა, სისხლი თანამოძმისა, თვისტომისა?!.

უძოს მთა გადაიქროლა, კოჯორი, დიდგორი, გოსტიბე.

და, აჰა, ნოსტე!

და მოასწრო გიორგი სააკაძემ — მოასწრო ცოლ-შვილის წამოყრა, გამოყრა და ტყე-ღრეში შეყრა...

უკვე „სამშვიდობოს“ იყვნენ, როცა სულ გათენდა.

და თითქოს ხელისუგულზე ჰხედავს გიორგი სააკაძე და მისი ზარდაცემული ოჯახი: ნოსტეს შემოესია მდევარი. შადიმან ბარათაშვილი მოუძღვის ჯარს, ხმლის ქნევით და ავი ყივილით.

ექვსმა კაცმა გამოასწრო სასახლიდან, რაღაც ფუთებით და ყუთებით დატვირთულებმა. ესენი გიორგის ერთგული მსახურნი არიან. ცხენებზე მიასწრეს, ამხედრდნენ და გამოასწრეს.

შადიმან ბარათაშვილი და ფარსადან ციციშვილი პირველნი შევარდნენ სასახლეში. სხვებიც მიჰყვნენ ყივილით, ბღავილით, ღრიანცელით.

გარეთ გამოყარეს სააკაძის ქონება და ავლადიდება, ყველაფერი დაიტაცეს და დაიალაფეს. სასახლე გაძარცვეს, ძვლებამდე გააშიშვლეს და

ცეცხლს მისცეს. ხანძარი მოედო ყველაფერს, რასაც სააკაძის ნახელავი და ნაჭირნახულევი ერქვა — სახლსა და კარს, ციხეს და დარბაზს, ყოველ ლგვარ შრამელს, ყოველ ნაშენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტირეს და გამოიტირეს სააკაძეებმა მშობლიური ნოსტე, მათი ნააკვნარი და ნატერფალი. გამოქცეულმა მსახურებმაც მოატანეს — ცხენებით, იარაღით, გამოტაცებული ავლადიდებით. სადღაციდან პაპუნა ჩიკაძე გამოძვრა. დარახტული ცხენი, შუბი და აბჯარი მოართვა გიორგის, თვითონ საომრად შეჯავშნულმა და ამხედრებულმა.

აბა, დავიძრათო, ბრძანა გიორგიმ — ახალციხისკენ მივდივართო, და გამოეშურნენ. მაგრამ მალე უკანვე შემოიქცნენ, რადგან ახალციხისკენ მიმავალი გზები სრულად ჩაეკეტათ და ჩაეგმანათ მის მოსისხლეებს.

ახლა საით? საარაგვოსკენო — ბრძანა გიორგიმ. იქ, დუშეთს, დიდი ნუგზარ ერისთავი შეიფარებს სიძე-ქალიშვილს და შვილიშვილებს, მცირე დროით მაინც შეიფარებს — სულის მოთქმამდე და გონის მოკრებამდე, ხოლო შემდგომ, იქნებ „სხვა გზაც“ გამოჩნდეს...

და შემობრუნდნენ. ისევ დიდგორის მთას შემოუდგნენ. უსიერ ტყემალნარს მიჰყვებოდნენ, ფრთხილად, უჩქამურად, ნაქურდალი ნაბიჯებით. ალდე-ნაპრალებსა და ქვა-ღოჯიან ბილიკებზე და თანითანებზე მიფორთხავდნენ, ხელსა და ფეხზე სისხლდადენილნი.

გაღაიშუადღა, როცა სოფელ კარსანს მიუახლოვდნენ; ტყე მოისაფრეს და მცხეთას გადაადგნენ. გამოჩნდა სვეტიცხოველი, სამთავრო; ჯვარი. დაიმუხლისთავეს. ილოცეს. იტირეს.

მტკვარი უნდა გადაევლოთ ლტოლვილებს. მდინარე წყალჭარმაგად ადიდებულიყო და მხოლოდ ხიდით შეიძლებოდა გადავლა. მაგრამ ხიდი ყარაულის ქვეშ აღმოჩნდა. ლუარსაბ მეფეს და მის შადიმან-ფარსადანებს არაგვისკენ მიმავალი გზის მოჭრაც მოუსწრიათ სააკაძისთვის.

ყველა გზა შეეკრათ სააკაძის ყველაზე დიდ მტრებს — საქართველოდან გასაქცევიც და საქართველოში „მი-მო-საქცევიც“.

დაღამებას დაუცადეს ლტოლვილებმა, გიორგიმ ხიდის დასაზვერავად ჩაგზავნა ინაშვილი. სამოცი დარჩეული კაცი დგას ხიდზეო — ამოიტანა ამბავი ინაშვილმა. არ სძინავთო, ფხიზლობენ და იქადნებიან კიდეც, უეჭველად შევიპყრობთ სააკაძეს და მის ჯალაბსო.

გული გაუცოფდა გიორგის. ახლავე ჩავიჭრები, ყველას ამოვწყვეტ, ხიდსაც ავიღებ და დახოცილთა იარაღსაც დავინადავლებო. მაგრამ არ დაანებეს ხმლის დაძვრა თანალტოლვილებმა გიორგის: სანამ ამოწყვეტდეთ, მანამ გუშაგები ყვირილს მოასწრებენ, ქვეყანას შეყრიან და იქნებ ხიდის აყრაც მოგვასწრონო. ისედაც, დახოცვას რას ვემართლებით იმ უბედურებს, რა ჰქნან, მეფის ბრძანება აქვთ და რა უნდა გააწყონო, —ამბობდა პაპუნა ჩიკაძე, არც ქაიხოსრომ მოუწონა ძმას გუშაგთა დახოცვის განზრახვა. მაშინ ცურვით უნდა გადავლახოთ მტკვარიო, ბრძანა გიორგიმ.

და შუაღამისას, პირველ მამლისყივილზე დაეშვნენ მდინარისაკენ. ბი-ღის ქვემოთ შესცურეს მტკვარში. ქალები და ბავშვები შუაზე მოექციათ და ისე მიაპობდნენ ადიდებულ მდინარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვნებლად და უჩინრად გავიდნენ, „საქართველოს მფარველი ღვთის-მშობლის შეწევნით“.

სვეტიცხოველს მიეპარნენ. დაკეტილ კარიბჭესთან ილოცეს გულმხურ-ვალედ. იქვე, ტაძრის კარიბჭესთან ოქროს თასი დატოვეს და არაგვის ხე-ობას აუყვნენ.

ბებრისციხე და ნატახტარი აიარეს. მისაქციელთან ნუგზარ ერისთავი შემოეგებათ და დუშეთისაკენ წარუძღვა ლტოლვილებს. დასხდნენ საძე და სიმამრი, ჯავრი დაინელეს და დიდხანს ითათბირეს. ნუგზარმა თავი გამოიღო — იცოდე, შენი ჭირის თანაზიარი ვარ სიკვდილამდეო. ჩემთან დარჩები — მტერს ერთად დავხვდებით, წახვალ და — მეც შენთან წა-მოვალ საჭიროდ თუ სალხინოდო.

გიორგიმ საარაგვოში დარჩენაზე უარი სთქვა, — რომ დავრჩე, სანამ უნდა ვიდგე შენს კარზე, ან აქედან როგორ დავითმინო ჩემი სახლ-კარის უნახავობა, უპატრონობა და უპატიურობაო!

მაშ, რას აპირებო, ჰკითხა ნუგზარმა.

სპარსეთს უნდა წავიდეო, თქვა გიორგიმ და სიტყვას გულიც ამოატანა.

— სპარსეთს?

— ჰო, ყაენს უნდა ვეახლო.

— შაჰ აბასს?

— სწორედ!

— მერე?

— მერე ის, რომ... იქიდან გავუსწორდები ჩემს მტრებს!

— შენს მტრებს აქედანაც გავუსწორდებით გიორგი, — აგერ, შენია-ნებიც მოგვეშველებიან, მუხრან-ბატონი, ქსნის ერისთავი...

— არა, არა! — გააწყვეტინა გიორგიმ — ძმათაშორისი ომის მიზეზი ვერ შევიქნები. უეჭველად უნდა წავიდე სპარსეთს.

ნუგზარი გაჩუმდა. მან იცოდა, სააკაძე რომ იტყოდა, მამაზეციერიც ველარ შეაცვლევინებდა განაზრახს.

მერე თვითონ ნუგზარს შეუჩნდა გიორგი — ადექ და შენც ჩემთან ერ-თად წამოდი სპარსეთსო. კარგა ხანს იფიქრა ნუგზარმა. ბოლოს ადგა და გადაწყვეტით თქვა: კარგი, წამოვალო, მეც მინდა შევხვდე სპარსეთის ლომს, და ღმერთმა იცოდეს, არავითარ სავნებელს არ ვუმზადებ არც მეფეს და არც საქართველოსო.

გადაწყდა: გიორგი სააკაძე და ნუგზარ ერისთავი, მაშინდელი საქართ-ველოს ორი უძლიერესი შვილი, მიდიან საქართველოს დაუძინებელი მტრის, შაჰ აბასის კარზე!..

გიორგი მაინც ვერ ენდო დუშეთში ჯალაბის დატოვებას — ვაითუ ჩემს არყოფნაში ლუარსაბმა საარაგვო დააწიოკოს და ოჯახი ამომიწყვიტოსო. ამიტომ დედა იმერეთს გაგზავნა, ხოლო ცოლ-შვილი გაყოლია ჯაკიდევ, სიმამრის, ძმის და ერთგულ მსახურთა თანხლებით, სამხრეთისაკენ გაუტია.

ღამით გაიარეს საგურამო, ლილო, ლოჭინი, გადალახეს მტკვარი და იაღლუჯასთან გასულებს დაათენდათ.

აქ მდევარი გადაუდგა წინ დევნილებს, იარაღმომარჯვებული.

რა გნებავსო, ჰკითხა სააკაძემ. შენი შეპყრობაო, უტიფრად უპასუხა იმ კაცმა.

— რა გვარის კაცი ხარ?— ჰკითხა გიორგიმ.

— კოლოტაური.

— ვისი კაცი ხარ?

— მუხრან-ბატონისა.

— მერე, მუხრან-ბატონი რომ ჩემი მოყვარე და მოკეთე გახლავს, შენ რაღად მემტერები, კოლოტაურო?

— ეგ მე არ ვიცი, ვერ გაგიშვებ, უნდა მობრუნდე და წამომყვე, მორჩა და გათავდა!

გიორგის გაუკვირდა ამ კაცის თავხედობაც და გაბედულობაც. ცხენი შემოაბრუნა და შუბი გამართა. კოლოტაურმაც გაწვართა შუბი და გამოაჭენა ცხენი. დინჯად დაიძრა გიორგი. მოვარდნილ კოლოტაურს შუბზე შუბი აუკრა, იარაღი დააგდებინა და უიარაღოს შეტრიალებული შუბი ტარით აძგერა მკერდში. კოლოტაური მიწაზე ისე მძიმედ დაენარცხა, ორივე მხარეს ნეკნები ჩაელეწა.

ღმერთს მადლობა შესწირე, ქართველი კაცი სასიკვდილოდ რომ ვერ გაგიმეტეო, — მიაძახა გიორგიმ და გზა განაგრძო.

(ჯერ ისევ „შესწევდა უნარი“ ქართველი კაცის სიკვდილის თავიდან აცილებისა გიორგი სააკაძეს...).

აღჯაყალას მივიდნენ. დიდის ამბით შემოეგებათ აქ მდგარი სპარსული ციხიონის მეთაური. ორი კვირა სანადიმო სუფრა არ აუღიათ „ორი დიდი გურჯის“ მოსვლით გახარებულ ყიზილბაშებს.

გიორგი სააკაძემ ცოლ-შვილი აღჯაყალას დატოვა და თვითონ, ნუგზარ ერისთავთან, ძმასთან და მსახურეულ ამალასთან ერთად ისფაჰანის გზას გაუდგა.

. . . . . .

სპარსეთის ცხელ „შაჰ რაზე“ მიაჭენებს ცხენს გიორგი სააკაძე, ანუ „მესამე სააკაძე“ (აკი სპარსეთში გაქცევის, სამშობლოდან გადახვეწის წინამორბედად ჰყავდა მას ბეჟან სააკაძე, მერე ამის ძე როსტომ სააკაძე).

მიდის და მის სულში — საფიქრებელი და სარწმუნებელია — ერთმანეთს ებრძვის მისი „ორი მე“ — ორი გიორგი საკაძე.

„რას სჩადიხარ, მართლა გარბიხარ საქართველოდან?!“

„გამაქციეს და გავრბივარ“.

„ეგ სულ ერთია, გაგაქციეს თუ შენით გარბიხარ. მაინც გაქცევა ჰქვია. ხოლო სამშობლოდან გაქცევა, ისიც შენებრ დიდი შვილისა — არის ღალატი სამშობლოისა“.

„მე მალე დავბრუნდები, ხომ ჰხედავ, ცოლ-შვილი თან აღარ მიმყავს“.

„ბაგრამ მობრუნებამდე ხომ მაინც მოღალატე გქვია!“.

„ქართველი გლეხი მაპატიებს, როცა ჩემს დამაქცევარ თავადობას გავუსწორდები“.

„რა ძალა შეგწევს, ჩვენს თავადობას რომ გაუსწორდე?“

„შაჰ აბასი მომცემს მხედრობას“.

„მერე, უცხო ქვეყნიდან მოყვანილი ჯარით ქართველ თავადს ისე როგორ გაუსწორდები, ქართველ გლეხს რომ სისხლი არ დაათხევინო?!“.

„ვნახავ... შევძლებ... მოვახერხებ“.

„დაბრუნდი-მეთქი, სანამ გვიან არ შექმნილა, შე უბედურო!“.

„მალე დავბრუნდები“.

მიდიოდა საკაძე. უცხო მიწა უწვავდა ფეხებს.

მაინც მიდიოდა, რამეთუ სატანა აჯდა საჟნიან ბეჭზე.

„ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები!“ —იძახდა ჩიტი გაკაპასებით.

საკაძეს ხან ესმოდა მისი ძახილი, ხან არ ესმოდა.

. . . . . .

დიდი ზეიმი ჰქონდა შაჰ აბასს.

ბოლოს და ბოლოს, „მისი შექმნილიყო“ გიორგი საკაძე!

ქართველებმა ყველაზე ღირსეული ხმალი თავისი ხელით გადმოუგდეს საქართველოს ყველაზე დიდ მოსისხარს!

ახლა თვითონ დარწმუნდება თანამემამულეთაგან მოთხრილი, განდევნილი და დამცირებული გიორგი საკაძე, რომ „დიდი ქართველების“ ფასი სპარსეთში უფრო იციან, ვიდრე თვითონ საქართველოში.

აბა, შევუდგეთ, გიორგი საკაძევ!

ღღეიდან შენ დგახარ სპარსეთის შაჰის სამსახურში.

თანახმაა გიორგი საკაძე, მხოლოდ თვითონაც აქვს შაჰთან სათხოვარი.

რა სათხოვარი?

დახმარება სურს ქართლის თავგასული თავადების დასასჯელად.

თანახმაა დიდი შაჰ აბასი, მაგრამ ახლავე მაჰმადიანობა მიიღოს, და წინა დაიცვითოს გიორგი სააკაძემ.

არა, არა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმ დღეს კიდევ ახალი ამბავი მოვიდა საქართველოდან: გიორგი სააკაძის მამულები და ავლადიდება მის მოსისხლეებს გაუნაწილებიათ— შადიმან ბარათაშვილს, ფარსადან ციციშვილს, ბერუკა ჯავახიშვილს, ქაიხოსრო ჯავახიშვილს.

და ლუარსაბ მეფეც გაჰყრია ცოლს — გიორგი სააკაძის დას. გაჰყრია და ცოლად ირთავს ლევან დადიანის დას...

ჰა, რას იტყვი, გიორგი სააკაძევ, როდის აპირებ მაჰმადის სჯულზე მონათვლას?

დღესვე, ახლავე!..

დგას 1612 წელი.

გიორგი სააკაძე არის 32 წლისა.

და არის „გათათრებული" — სპარსელი, შიიტური მაჰმადიანობით.

. . . . . .

ნუგზარ ერისთავი შაჰმა უხვად დააჯილდოვა და ისე გამოისტუმრა საქართველოში. გამოისტუმრა და ლუარსაბ მეფისთვის საგანგებო ძღვენი და წყალობის სიგელიც გამოატანა შაჰმა არაგვის ერისთავს. ამას კი პირველი მწარე ფიქრი უნდა აღეძრა სამშობლოდან გაქცეული სააკაძის გულში: რას ნიშნავს ყაენის ამგვარი „ორმაგი თამაში" — სააკაძეს სულში ვიძვრენო, მაგრამ სააკაძის მტრებსაც თურმე რომ „იძვრენს სულში"?!

ნუგზარი წამოვიდა.

გიორგი მარტო დარჩა. თუმცა მარტო რად ეთქმოდა, როცა ქართველებით ავსებულა სპარსეთის სატახტო. შაჰინშაჰის ტახტის შემდგომ, სპარსეთში, „როგორც წესი", ქართველებს უჭირავთ ყველანაირი „ტახტები" — მთავარსარდლისა, სარდლებისა, ყულარაღასებისა, ბეგლარბეგებისა, დივანბეგებისა, ყორჩიბაშებისა, საერთოდ ყოველი „ბეგებისა", „ბაშებისა" თუ „ხანებისა".

ქართული ენა ისმის ყველგან—ქუჩაში, ბაზარში, დუქანში, მეჩეთში, სამხედრო ბანაკში და შაჰის სასახლეში.

თვითონ შაჰი „ქართველობს", ქართულად ლაპარაკობს, ქართულად დარდიმანდობს, ქართულად ქველობს, ქართულად მძვინვარებს. შაჰის ჰარამხანაც ქართულად ლაპარაკობს. შაჰის ნაშიერი მირზებიც ქართულად იდგამენ ენას. მრავალ ცოლთაგან ოთხი ამორჩეული ცოლი ჰყავს შაჰ აბასს, ოთხი დედოფალი, ოთხივე ქართველი ქალი: თამარი — ანდუყაფარ ამილახორის დაი, დარეჯანი — სვიმონ ხანის დაი (აქ ფახრიმჯან ბეგუმი დაურქმევიათ), ელენე — თეიმურაზ კახთა მეფის დაი, და ლელა-თინათინი

— ლუარსაბ ქართლის მეფის დაი (აქ ფათმა სულთან ბეგუმი დაურქმევიათ). ამ ოთხი ქალის სიბრძნისა სჯერა საერთოდ ქალის ჯკუა-გონების სრულფასოვნებაში დაეჭვებულ ყაენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ აბასს თამარ ამილახორისაგან ჰყავს უსაყვარლესი უფროსწული სეფი-მირზა, მამაცი და სახემშვენიერი მემკვიდრე სპარსეთის ტახტისა.

ქართველობაა „მთავარი ძარღვი" სრულიად სპარსეთის მხედრობისა. 30 000 ქართველი შაჰისევანი და ღულამი დგას შაჰ აბასის საომარ დროშათა ქვეშ (ამდენი ჯარის გამოყვანა თუ შეუძლია თვითონ საქართველოს, თვითონ საქართველოს გადასარჩენად?!). „უკვდავთა გვარდია", ღულამთა ჯარი, არის იგივე ქართული ჯარი (თვითონ საქართველოს თუ მოსწრებია „მისი გვარდია"?!). ქართველები უდგანან „მარჯვენა ხელად" სპარსეთის ლომს. აი, ბაგრატ და ხოსრო ბაგრატიონები; აი, როსტომ სააკაძე, აი, ბებუთაშვილი; აჰა, უნდილაძენი!

მაგრამ როგორ უნდა შეხვედროდენ და როგორ უნდა მიეღოთ უცხო მიწაზე, გაუცხოებით აღზევებულ ქართველებს გიორგი სააკაძე, ახლადგაუცხოებული თვისტომი?

მაშ, რად აიმრიზა დიდი ალავერდი-ხან უნდილაძე, როცა უფრო ტანსრული გიორგი სააკაძე ისე ტკბილად მიიღო და „მიისიყვარულა" სპარსეთის ლომმა?..

...გიორგი სააკაძემ კი ცოლ-შვილი აღჯაყალიდან ისფაჰანში გადაიყვანა. ეს კი, მისი მტრისა თუ მოყვრის თვალში, კვლავ უფრო განამტკიცებდა ავად მოარულ ხმას, რომ სააკაძემ „საბოლოოდ უარჰყო" საქართველო...

თვითონ საქართველოში უკვე მოდიოდა ხმები გიორგი სააკაძის საოცრად სწრაფი აღზევებისა შაჰ აბასის კარზე. ძნელი გასარკვევი კი იყო, ჭორად ითქმებოდა თუ სწორად ყოველივე, რასაც ამბობდნენ. თითქოს, შაჰი თვითონ უტარებდა რაღაც „გამოცდებს" სააკაძეს, მისი გმირობის, ვაჟკაცობისა და „ილათიანობის" გამოსავლენად. აქედან მაინც სამ „გამოცდას" ასახელებდნენ გამორჩეული დაბეჯითებით და დაჟინებით:

ერთხელ, სუფრასთან მჯდარმა, შექეიფიანებულმა შაჰმა გიორგის უთხრა: მუდამ წარბშეყრილი რომ ხარ, არ მომწონხარ და ძალიან უნდა ვაგახარო, იქნებ წარბი გაგახსნევინოო. თქვა და ნიშანი მისცა. რვა მსახურმა რვა ტომარა ვერცხლის ფული შემოიტანა და შაჰის ფეხებთან დაალაგა. და უთხრა შაჰმა გიორგის: თუ ამ ტომრებს ერთ აღებაზე აიღებ და იმ კარებამდე მიიტან, ვერცხლიც სულ შენი იყოს და ნამდვილი ვაჟკაციც შენ გერქვასო. გიორგი ჯერ შეყოყმანდა: ცოტა ავიღო — უღონობას ღამწამებენ, მთლიანად ავიტაცო — სიხარბეს დამაბრალებენო. მაგრამ მაინც ეს გადაწყვიტა: ისევ მირჩევნია სიხარბე მიძრახონ, ვიდრე აქაურებს უძლური და ბეჩავი ვეგონოო. და მივარდა ტომრებს. ერთი თავზე

შეიგდო, სათითაოდ მხრებზეც დაიდო, იღლიებშიც თითო-თითოდ ამოჩარა, აქეთ-იქეთ ხელებშიც თითოდ დაიჭირა, ერთიც კბილებით დაითრია და ასე, ყველა ტომარა კარებამდე მიარბენინა, შაჰი გაჰკვირდა ამ ამბავ-ბაში მოვიდა და პირობისამებრ ძვირფასი ტვირთი მტვირთველსვე მიუ-ბოძა. ამ ამბის დამსწრე ქართველებიდან ზოგი ამრეზით იმზირებოდა, ზოგი ღიმილით: ამრეზით ისინი, ვისაც არ მოსწონდა, მათი სახელოვანი თანამემამულე წელში ოდრიკალად მოკეცილი რომ მიაძუნძულებდა ფუ-ლით სავსე ტომრებს, ხოლო ღიმილით ისინი, ვისაც ახარებდა — სააკაძემ სიხარბით სახელი წაიხდინაო...

მეორედ, შაჰმა ჭიდაობა გამართა ისფაჰანის მთავარ მოედანზე. ერთი ფალავანი გამოაყვანინა, სპარსელი გოლიათი, აქამდე რომ ბეჭებით მიწას არ შეჰხებია. გამოვიდა ის სპარსელი მოჭიდავე და ქართველები ამოიღო მიზანში. დარჩეული ქართველი მოჭიდავენი გავიდნენ, მაგრამ მარცხის მეტს ვერაფერს გამორჩნენ. ბოლოს გიორგი გაიწვია გათამამებულმა ყი-ზილბაშმა. გავიდა გიორგი, დინჯად მიიღო მოპირდაპირის იერიში, უმალვე დაიხელთა, აიტაცა და ისეთი ძალით დაანარცხა საჭიდაო ფორს, რომ მოჭიდავე დიდხანს ველარ აშორდა მიწას. ამის შემხედვარე ქართველებმა კი ყველამ ერთპირად გაიხარეს („ქართულ სისხლს უხაროდა"!)...

ეს ორი ამბავი ჰგავს სიმართლეს და სიმართლედვე შეიძლება იწამოს ადამიანმა, მაგრამ მესამე — უფრო ზღაპარს ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. მაგრამ ზღაპრად თუ ლეგენდად ნათქვამსაც აკი აქვს რაღაც რეალური საფუძველი (ლეგენდა სინამდვილის პოეტური ტყუპისცალია!). ხოლო, ამ ამ-ბავს ასე მოგვითხრობენ:

ერთხელ შაჰ აბასმა ჰკითხა სააკაძეს: რას იტყვი, გიორგი, ყველაზე უფ-რო რომელი იარაღი გამოადგება გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცსო? — სულ ერთია, ყველაფერი იარაღი გახლავთ, რაც კი იმჟამად ხელში მოგხვდებათ, უმალვე მიუგო გიორგიმ. განვლო მცირე დრომ. ეს საუბარი გიორგი-საც დაავიწყდა და შაჰმაც „დაივიწყა". და ერთ დღეს სააკაძე ბაღში სე-ირნობდა მარტოდმარტო, დაღვრემილი, რაღაც მძიმე ფიქრებით დატვირ-თული. წელზე პატარა ხანჯალი ერტყა, საქართველოდან წამოყოლილი. სხვა საჭურველი არა ჰქონია სასეირნოდ გამოსულს. უცებ, სად იყო და სად არა, ორი მშიერი ლომი შემოიჭრა ბაღში და პირდაღრენილნი მივა-რდნენ გიორგის გაალმასებით. წამიც და... გიორგის მარჯვენა ხელში ხან-ჯალი ეჭირა, მარცხენაში კი ქუდი. მარცხენა მხრიდან მოიერიშე ნადირს ქუდი ჩასჩარა პირში და იმავ წამში მარჯვენიდან მოვარდნილს ხანჯალი სასიკვდილოდ აძგერა ყელში. კიდევ წამიც და მეორე ლომსაც, სანამ ქუდს პირიდან გამოიგდებდა, შეუმუსრა ყელი ხანჯლის მეორე მოქნევით... დინ-ჯად მოითავა გიორგიმ ეს საქმე, არხეინად შეახოცა სისხლიანი ხანჯალი ლომის ფაფარს და ისევ განაგრძო ბოლთის ცემა მძიმე ფიქრებს თავმიცე-

მულმა. იმას არც უფიქრია, რომ ეს საშინელი „სახილველი“ შაჰის ბრძანებით დატრიალებული „გამოცდა“ იყო. არც ის იცოდა სააკაძემ, რომ იქვე მახლობელ სახლში ჩასაფრებული შაჰი საკუთარი თვალით ამხელდა ყველაფერს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა ასეთი ამბები სპარსეთიდან საქართველოში.

და არა მარტო ეს ამბები...

. . . . . .

1613 წელს შაჰ აბასმა საქართველოს დალაშქვრა გადაწყვიტა.

ჯერ ალავერდი-ხან უნდილაძეს ეთათბირა.

უნდილაძეთა ცხოვრების აღწერიდან მკითხველს ახსოვს, რომ მაშინ შაჰ აბასი გაწბილდა: ალავერდი-ხან უნდილაძემ საქართველოში ლაშქრობაზე უარი თქვა.

მაშინ გიორგი სააკაძე გამოიძახა შაჰმა, დაისვა და ეთათბირა.

ეთათბირა და „გაუმართლა“ კიდეც.

ამ შეხვედრის შემდეგ, შაჰ აბასმა ზაფხულისათვის განზრახული „გურჯისტანული საღვთო ომი“ საზამთროდ გადაიტანა. ამას კი ასეთი ხმის დარხევა მოჰყვა: გიორგი სააკაძემ დაარწმუნა შაჰი, ზაფხულს წასვლა არ ვარგა საქართველოში საომრადო, რადგან მოსახლეობა მთაში ადვილად იხიზნება დ იქიდან ახალ ომს ამზდებსო; ამიტომ ზამთარში სჯობია საქართველოში შეჭრა, რადგან ხალხი ვერც ფოთოლგაცვენილ ტყეში დაიმალება, ვერც თოვლსა და ყინვაში გაასწრებს მთაში, ხოლო, თუ მაინც შეძლებს, სულ ერთია — ყინვა მაინც ამოჟლეტს ლტოლვილ ქართველებსო.

„მაგნაირ ვერაგობას გიორგი სააკაძე საქართველოს დასამხობად შაჰს არასგზით არ ჩააგონებდაო“ — იძახდნენ თავის მხრივ სააკაძის „მოკიდებულნი“.

ალავერდი-ხან უნდილაძე კი მაინცდამაინც მაშინ მოკვდა.

. . . . . .

და წაეწყო ერთმანეთს შაჰ აბასის ოთხი დამანგრეველი ლაშქრობა საქართველოში —1614, 1615, 1616, 1617 წლები.

ჯოჯოხეთური რბევანი, ნგრევანი და წარტყვევნანი კახეთისა.

ტყვეობანი კახეთის მეფის დედისა და შვილებისა.

ტყვეობა ქართლის მეფისა.

სად იყო ამ დროს, საქართველოს ამ უმძიმეს ჟამთა შინა, გიორგი სააკაძე?

აი ისიც— მისი „პირველი გამოჩენა“— ის ეპიზოდი, როცა ორივე ქართველი მეფე მესამესთან, იმერეთის მეფესთან გაიქცნენ, იმერეთს თავ-

შესაფარებლად, ხოლო შაჰ აბასმა, კახეთის „მრავალგზისი ლაშქრობის შემდეგ“, „ვარსკვლავივით ურიცხვი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა, გორს მივიდა, გორისა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ სპარსული ციხეები შეაყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰმა ჯარები სასტიკად გააფრთხილა — ქართლის მოსახლეობასთან მოკრძალებით იყავთ, ძარცვა-გლეჯა და აწიოკება გულშიაც არ ვაივლოთ და ეს ამპარტავანი ხალხი არ ამიჯანყოთ, თორემ ცოცხალის თავით ვერ გადამირჩებითო. მაშინვე მან ქართლის სოფლებსა და ქალაქებში გზირები დაგზავნა და ყველგან გამოაცხადებინა:

„დიდი და ქვეყნის აღმაშენებელი შაჰ აბასი ბრძანებს, რომ ქართლის ქვეყანა თავისი მცხოვრებლებით, დიდებულებითა და მდაბიოებით იყოს მშვიდობითა და მოსვენებით. ყველას, ვინც სპარსთა ჯარის შიშით გახიზნულია ციხეებსა და სხვა გამაგრებულ ადგილებში, ამის შემდეგ ნულარ შეეშინდებათ და ნულარც იმეს მიიკიმიან; ყველანი დაბრუნდნენ ბინებში და ხელი მოჰკიდონ თავის საქმიანობას და აღმშენებლობას. იყოს მშვიდობა და მისვლა-მოსვლა სპარსელებსა და ქართველებს შორის, რადგან ქართლის ქვეყანას ჩემად ვრაცხ და ამიტომ არ დავარბევ ჩემი და ლუარსაბ მეფის გულისათვის, რომელსაც ჩემს ძედ, ძმად და მეგობრად მივიჩნევ. როდესაც ლუარსაბი დაბრუნდება, მაშინვე მის ქვეყანას მასვე ჩავაბარებ, მე კი ჩემს სამშობლოში დავბრუნდები. ასე მოვიქცევი, თუ მოვა ჩემთან ლუარსაბ მეფე, მაგრამ თუ არ მოვა, მაშინ აქა მყავს მოურავი, აქაური ქართველი და ქართლს სწორედ ამ მოურავს ვუბოძებ, მე კი ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები...“

მაშ, აი, გამოჩნდა მოურავი გიორგი სააკაძე!

ყოველივე ნათლად იყო ნაბრძანები შაჰ აბასისგან: თუ მოსულა, მოსულა ლუარსაბ მეფე ჩემდა მორჩილად, არ მოსულა და — აი, გიორგი სააკაძე, ჩემი ყმა და მორჩილი, და ეს იქნება ქართლის გამგებელი და ბატონი, მორჩა და გათავდა!

შენც მომეხმარეო — უთხრა შაჰმა გიორგის — ქართლის მოსახლეობა დააწყნარე და დააშოშმინე; დაარწმუნე ქართველები, რომ მე მათ სამტროდ კი არა, სამოყვროდ ვარ მოსული. ესეც იცოდე, აქაური ქართველებიც მე და შენ (ჰმ, „მე და შენ!“) ძალიან გამოგვადგებიან შაჰისევანებად. ხოლო, რაც შეეხება ქართლის გამგებლობას — მოვა თუ არ მოვა ლუარსაბ მეფე, სულ ერთია, ქართლი მაინც შენ უნდა გიბოძო სამმართველოდ და საპატრონოდ.

გიორგი სააკაძე შაჰ აბასის დაპირებებს მოთმინებით ისმენდა, ხოლო გული ბოლმით უსივდებოდა უკვე მან კარგად იცოდა, ვერაფი შაჰი ჩვეულებრივ ცრუობდა და ახალ-ახალ ბოროტებას ხვანჯავდა მისი სამშობლოს დასამხობად და ამოსაგდებად. შაჰი იმაში კი მართალი იყო, რომ მას სურდა ყოველი ქართველი „შაჰისევანად“ გადაექცია. მაგრამ ახლა გი-

ორგი სააკაძე კარგად იყო მიმხვდარი, რომ ყოველი ქართველის „მამა-სევანად“ გადაქცევა სწორედ „ყოველი საქართველოს“ დამხობასა და და-ქცევას უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სააკაძე ჯერჯერობით (ჯერჯერობით-მეთქი!) მაინც შერიგებას ურჩევდა ხალხს. მთავარი ახლა ის იყო, ქართლის მოსახლეობა კახეთის ტრაგედიას გადარჩენოდა.

თვითონ გიორგი მაშინ თავის მამულში, ნოსტეში მივიდა.

მივიდა და დაანთო ცეცხლი კერაზე.

მეზობლად ქაიხოსრო ჯავახიშვილი ცხოვრობდა, სააკაძეების ოჯახის ერთ-ერთი დამაქცევარი. როგორც კი გიორგის მობრუნება შეიტყო, მა-შინვე ცოლ-შვილიანად აიყარა ქაიხოსრო და იმერეთისკენ გაქუსლა, საა-კაძისგან მოსალოდნელი შურისძიებით ზარდაცემულმა.

გიორგიმ თავისი ერთგული მსახური ბიძინა გამოადევნა ქაიხოსროს. ბიძინა სურამთან წამოეწია გაქცეულს და უკანვე შემოაბრუნა: გიორგი წახდენას არ გიპირებს, ძველი წყენა დაივიწყა და შენთან კარგი მეზობ-ლობისა და მოკეთეობის გარდა აღარაფერი სურსო!

მობრუნდა ქაიხოსრო ჯავახიშვილი სააკაძის დიდსულოვნებით გაოცე-ბული და თავლაფდასხმული.

ქაიხოსროსთანა მცირე ზომის ეგოისტებს ნაკლებად ესმოდათ სააკაძის ფართო მამულიშვილური განზრახვანი. მართალია, გიორგი სააკაძე სპარ-სეთში სწორედ იმიტომ გაიქცა, რომ შაჰის მხარდაჭერით ქაიხოსროსთანა და შადიმანისთანა ფეოდალები დაეთრგუნა, მაგრამ გიორგი მალე მიმხვ-დარა თავის შეცდომას: შაჰ აბასი, რომელიც თურმე საქართველოს ძირ-ფესვიანად მოთხრას აპირებდა, გიორგის ქართველ ფეოდალებთან ბრძო-ლაში მოკავშირედ არ გამოადგებოდა. უფრო მეტიც: გიორგიმ შეამჩნია, რომ შაჰს ახლა სააკაძის მტრები უფრო მოსწონდა, ვიდრე თვითონ საა-კაძე.

დიდი სიფრთხილე იყო საჭირო...

სააკაძისთვის ახლა მთავარი ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენა იყო და არა მისი პირადი მტრების განადგურებაზე ფიქრი.

მთავარი იყო, ქართველები—თავადნი, აზნაურნი თუ უაზნონი — ერ-თმანეთს არ დარეოდნენ და ამით „ყოველი ხარისხის“ ქართველისათვის საერთო მტრის — შაჰ აბასის გული არ გაეხარებინათ.

(ყოველთვის ხომ არ უნდა იქცეოდნენ ქართველები მტრის გულის გა-სახარად!).

მთავარი ახლა ის იყო, როგორმე შაჰი ქართველი კაცის სისხლდაუ-ქცევლად გასულიყო ქართლიდან, ხოლო შემდგომ... შემდგომ სხვარამ დიდ-დიდნი საზრუნავნი „გამოუჩნდება“ დიდ მოურავს...

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, გახსენება მომდევნო ეპიზოდისა, — როცა, შადიმან ბარათაშვილმა შაჰ აბასს იმერეთიდან ლუარსაბ მეფე გორში გადმოუყვანა.

იყო მაშინ გიორგი სააკაძე გორში შაჰაბასის გვერდით? ეს არ ჩანს.

მერე, გორიდან ხომ ტფილისს მიიყვანა შაჰმა ლუარსაბი, ხოლო ტფილისიდან ყარაიას გაიტყუა, ვითომ სანადიროდ... და, აქ ისევ გამოჩნდა სააკაძე.

თურმე აქამდე უთმენია გიორგი სააკაძეს, მაგრამ რაკი შაჰმა თვითონ აღარ თქვა, მისი ტფილისიდან გასვლის წინ მაინც უკითხავს მოურავს — ვინ რჩება ქართლის გამგებლადო?!

ფარსადან ციციშვილიო, — შეამყრალა სახეში აბასმა.

ფარსადანიო?!

ესეც ელდა სააკაძის გულს!

ნუთუ ასე ასრულებს შაჰ აბასი თავისივე პირით ნათქვამ „მაღალ-ხელმწიფურ პირობას“: აკი შენ, გიორგი სააკაძეს დაგსვამ ქართლის გამგებლადო?!

რა მოხდა?

ვთქვათ, არ ენდო, ან არ გაიმეტა ქართლი სააკაძისთვის შაჰმა, მაგრამ ამ ფარსადან ციციშვილმა მაინც რით დაიმსახურა ლუარსაბ მეფის მონაცვლეობა და სააკაძეზე უკეთესობა?!

ფარსადან ციციშვილი — სააკაძის მოსისხლე მტერი ამჯობინა შაჰ აბასმა გიორგი სააკაძეს?!

რაღაც „ახალი მოქცევა“ უნდა დაწყებულიყო სააკაძის სულის ძვრასა შინა.

. . . . . .

მომდევნო ეპიზოდთა გახსენება: შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფე ყარაიადან გაიტყუა ყარაბაღს, ყარაბაღიდან მაზანდარანს. აქ შაჰმა ქართველთა მეფეს მოსთხოვა ქრისტიანობის დაგდება და მაჰმადიანობაზე შედგომა, რაზეც, ვითარცა ითქვა — მიიღო მტკიცე უარი.

და შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფე შეიპყრო და ჩააგდო ასტრაბადის ციხეში.

მაშინვე გავარდა ხმა: შაჰს ლუარსაბის შეპყრობა გიორგი სააკაძემ ჩააგონაო!

მას უკან, შაჰმა ლუარსაბ მეფე შირაზს გადაიყვანა იქ ჩააგდო გულაბყალას ციხეში.

და მაშინვე აგორდა ეს ხმაც: გიორგი სააკაძემ ჩააგონა შაჰ აბასს ლუ-

არსაბ მეფის გადაყვანა ასტრაბადიდან გულბყალას, რადგან ასტრაბადს შეიძლება ზღვით რუსები მოადგნენ და გაიტაცონ ქართველი მეფეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

1615 წლის სექტემბერში კახეთი აუჯანყდა შაჰ აბასს.

ამ დიდი სამამულო გამოსვლის ჟამს ქართლი „თავისთვის იყო", გულგრილი და გამტკნარებული.

გიორგი სააკაძეც ჩამოსულიყო შაჰის ნებართვით ნოსტეში, „მამულის დასახედავად".

მეზობელმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა შეიტყო გიორგის ჩამოსვლა.

ეს ის ქაიხოსრო გახლდათ, გიორგის შიშით იმერეთს რომ გარბოდა ცოლ-შვილიანად, გიორგიმ რომ მტრობა აპატია, უკანვე მოაბრუნა და მისსავე მამულში დაამკვიდრა გულდანდობილად.

ახლა ქაიხოსრომ „სამაგიეროს მიგება" გადაწყვიტა დიდსულოვანი მეზობლისადმი.

ფარსადან ციციშვილს ეწვია ქაიხოსრო —„ქართლის გამგებელსა" და გიორგი სააკაძის მოსისხლე მტერს. ეწვია და მოახსენა: გიორგი სააკაძე გამოჩნდა ნოსტეში, ჯარი მომეცი და შევიპყრობ, ან წუთისოფელს გამოვასალმებ ქართლის მოღალატესო.

სამასკაციანი ჯარი მისცა ციციშვილმა ჯავახიშვილს.

შუაღამისას დაეცნენ თავზე სააკაძის სახლ-კარს.

ვიღაც ერთგულ კაცს გაეფრთხილებინა გიორგი წინასწარ.

სიკვდილს ძლივს გაასწრო სააკაძემ...

შაჰ აბასმა მოისმინა „ერთგული მოურავ-ხანის" საჩივარი.

მოისმინა, მაგრამ არ შეისმინა.

(ისევ გაუცუდდა ქართველს უცხოეთში სამართლის ძიება!).

. . . . . .

1616 წელს, შაჰ აბასმა რომ კახეთში მორიგი მაოხარ-დამაქცევარი ლაშქრობა მოაწყო, ქართლში „მეფედ" თუ „გამგებლად" ბაგრატ-ხანი გამოაგზავნა — უფროსი ძე გათათრებული დაუდ-ხანისა.

მაშინ გიორგი სააკაძე ერთხელ კიდევ ჩამოვიდა ქართლში.

ბაგრატ-ხანი დიდის პატივით შეხვდა მოურავს.

ნოსტეში მამულები დაუბრუნა, ხელახალი „წყალობის წიგნები" მიართვა, ძველი პატივი და „ხარისხები" აღუდგინა.

„გათათრებული ქართველები უფრო კარგად ეთვისებიან ერთმანეთს, ვიდრე საერთოდ ქართველები", — ისმოდა ხალხში.

. . . . . .

მაინც საგანგებოდ ეს უნდა მივანიშნოთ: საქართველოში [illegible] მანგრეველი ლაშქრობის დროს შაჰ აბასს გიორგი სააკაძისთვინ [illegible] დვია არც ერთი საომარი განაზრახის უშუალო შესრულება, არ მიუნდვია ქართველი ხალხის დასალაშქრავად, ასაწიოკებლად, ასაყრელად, გადასაყრელად.

რა იყოს ეს?

უნდობლობა შაჰ აბასისა?!

ურჩობა გიორგი სააკაძისა?!

არავინ იცის, რადგან არსად არაფერი ჩანს.

მხოლოდ ერთი რამ არის ცხადზე უცხადესი: სააკაძის ავფხიანი, სასტიკი ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედრია...

. . . . . .

1619 წელს მოკვდა ბაგრატ-ხანი, გამგებელი ქართლისა, შაჰ აბასის ნოხელე და ყურმოჭრილი ყმა. იგი ძალიან ჰგავდა მამამისს — მშობელი ხალხისა და ქვეყნის გამცემელს. მამასავით უნდილი და მხდალი იყო. თუმცა სიბრძნის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოყვარული ბრძანდებოდა, მაგრამ მის მწიგნობრობას დაქცეულ ქვეყნის საკეთილდღეოდ ქრთილის ოდენა არაფერი გაუკეთებია. თვითონ „ქართლის მეფეს" უწოდებდა თავის თავს, მაგრამ არავინ, არც ქართველი და არც სპარსელი მას მეფედ არ მიიჩნევდა. სპარსელები უბრალოდ „ხანს" ეძახდნენ, ხოლო ქართველები, — რომლებიც მას ძალიან „სძულობდნენ" — „თათრობისათვის" არც არაფრად აგდებდნენ და დაცინვით „საბარათიანოს ბატონად" მოიხსენიებდნენ. მართლაც საბარათიანოში იჯდა დღენიადაგ; „სამეფო რეზიდენციად" ბოლნისი ჰქონდა, რადგან ტფილისში ჩამოსვლას ქართველთა შიშით ვერა ბედავდა გულჩუკენი „თათარ-ხანი". და მოკვდა ბოლნისში. დარჩა ცოლი — ანა, ერთი ძე — სვიმონი, და ერთიც ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა თვითონ შაჰ აბასს.

შაჰ აბასმა ერთი ფიქრი იფიქრა, ქართლის გამგებლობაც კახეთის მმართველის, ფეიქარ-ხანისათვის მიენდო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა, „რამეთუ არა ჰქონდა იმედი ფეიქარ-ხანისა", და ისევ ბაგრატ-ხანის ძე და თავისი ცოლისძმა სვიმონი დასვა აწგარდაცვლილი მამის ადგილზე.

ქართლის ახალი საჭეთმპყრობელი თავის თავს „სვიმონ-ხანის" გვერდით „მეფე სვიმონ მეორეს" ეძახდა. მაგრამ ეს მცირე მეფუკა ამაოდ ეზმანებოდა დიდი თანამოსახელის, სვიმონ პირველის აჩრდილს. ქართველთაგანი არავინ, არც თავადი და აზნაური, არც „წვრილი ერი", არაფრად აგდებდა „პატარა სვიმონის" უმწეო გამგებლობას. ამიტომ ათვალწუნე-

ბულ და აბუჩად აგდებულ სვიმონ-ხანს თვალი დღენიადაგ სპარსეთისაკენ გასაქცევად ეჭირა...

ბაგრატ-ხანის სიკვდილს ნუგზარ ერისთავის სიკვდილი ... არაგვის ერისთავობა უფროს ძეს, ბაადურს ეკუთვნოდა. გიორგი ... კი თავიდანვე ნუგზარის მომდევნო ძე, ზურაბი ურჩევნოდა, რადგან თვითონ გიორგის აღეზარდა უმცროსი ცოლისძმა. ხოლო, რაკი საკაძეს „ასე ურჩევნოდა", იგი კიდევაც გამოიღებდა ხელს თავის არჩევანის აღსასრულებლად.

და, როგორც კი ბაადური გარდაცვლილი მამის ტახტზე დაჯდა, ზურაბმა მაშინვე მის წინაშე მორჩილებაზე უარი გამოაცხადა და ცოლთან ერთად სპარსეთს გაიქცა, გიორგი საკაძესთან.

გიორგიმ შაჰს წარუდგინა თავისი ცოლისძმა. ირანის ლომს ძალიან მოეწონა მძლავრსხეულოვანი და ძალსულოვანი მთიელი თავადი. რაღაც კიდევაც ითათბირეს ერთად სამივემ — შაჰმა, საკაძემ და ახალგაზრდა ერისთავმა.

ზურაბის ცოლი შაჰ აბასის კარზე დარჩა — იქ, სადაც საკაძის სახლეული იდგა. თვითონ ზურაბი საქართველოში წამოვიდა, შაჰისგან ბოძებული საჩუქრებით დატვირთული, შაჰისგან არაგვის ერისთავად ხელდასხმული და შაჰისევანთა ჯარით „დამშვენებული".

და მიუხტა ძმას საარაგვოში. ბაადურმა ცოლ-შვილით ძლივს გაასწრო და დასავლეთ საქართველოში, საჩინოში გადაიხვეწა. ზურაბმა საარაგვო დაისაკუთრა. მერე ქვემო ქართლის სპასპეტი ბარათა ბარათაშვილი „მოიმწო", მთიულ-მოხევენი დაიმორჩილა და „განძლიერდა ფრიად".

ხოლო გადახვეწილ ბაადურს უბედურება არ ეშვებოდა. მის ცოლს საზვერელი ჩიჯავაძე გაუმიჯნურდა. ჩიჯავაძე ტრფიალს არ დასჯერდა, ბაადური მისივე ცოლის თანხმობით მოკლა და ქალი იგი თვითონვე შეირთო ცოლად. ეს რომ ზურაბ ერისთავმა შეიტყო, მაშინვე ლაშქარი შემოიყარა, ფერსათი გადაიარა და საჩინოს დაეცა; ციხე ვერ აიღო, მაგრამ საზვერელი ჩიჯავაძე კი შეიპყრო და თავი გააჭდებინა.

ზურაბ ერისთავი ისე მოქმედებდა, თითქოს მასზე უმაღლესი ხელისუფალი აღარავინ არსებულიყოს, აღარც აღმოსავლეთ და აღარც დასავლეთ საქართველოში.

სვიმონ-ხანი შაჰ აბასთან გაიქცა საჩივლელად.

მაგრამ ზურაბს ერთის ფეხით მიესწრო მისთვის.

გიორგი საკაძეც იქ იყო.

როცა შაჰმა სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის საჩივრები მოისმინა, საკაძეს თვალი თვალზე გადაუწონა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა: კარგი, რაც იყო, იყო, და ამიერიდან ქართლს ჩვენ მოვუვლითო.

„ჩვენ?!“ — უნდა გახმიანებულიყო საკაძის გულში...

...ის იყო, შაჰ აბასმა „საქართველოს ქართველთა“ ამბების მოსმენა და განსჯა მოათავა, რომ „სპარსეთის ქართველთა“ შორის დაბადებული ავი შემთხვევა მოახსენეს.

გათათრებულ ქართველ შაჰისევანთა ჯარში ერთმა ქართველმა აზნაურმა, სახელად ხოჯასთე-ბეგმა (დაკარგულია მისი ქართული, ქრისტიანული სახელი), რაღაც უცნობი მიზეზის გამო, თურმე ხანჯლის მოულოდნელი დარტყმით მოჰკლა მეორე ახალგაზრდა ქართველი ღულამი, სახელად რამაზ-ბეგი.

მკვლელობის გამოსაძიებლად და განაჩენის გამოსატანად დასხდნენ: ვეზირი მირზა აბუ თალები, სოჰბათიასაული ქალბალი-ბეგი და ფეროჰაბადის ტარუღა უმბეთ-ბეგ სიაჰ მანსური.

მოიყვანეს მკვლელი ხოჯასთე-ბეგი, რომელსაც ორი მისი ძმა მოჰყვა, ისინიც ღულამ-შაჰისევანნი. ხოჯასთე-ბეგმა სასამართლოს ყოველივე დაწვრილებით და დაუფარავად მოახსენა — ნამდვილად მოვკალით რამაზ-ბეგი, მოსაკლავი იყო და მოვკალითო. ძმებიც გაიძახოდნენ, რამაზ-ბეგის მოკვლაში ჩვენც გვიდევს წილიო.

ქალბალი-ბეგმა თქვა, რაკი ყველაფერი გარკვეულია, ისღა დაგვრჩენია მკვლელი დასასჯელად წავიყვანოთო, და ხოჯასთე-ბეგს ქამარში ჩაავლო ხელი.

მაშინ, უეცრად ხმლები გაიძრეს ძმებმა-ქართველებმა და დაერივნენ მოსამართლეებს. ქალბალი-ბეგი და აბუ თალები იქვე ასჩეხეს. ძლივს გააწყრო ტარუღა უმბეთ-ბეგმა. სასამართლოზე დამწრე ხალხი თავზარდაცემული მიაწყდა კარებს. ვილაცეებმა გამოიღეს ხელი, მაგრამ ისინიც უმალვე აკაფეს და ააფეთქეს ქართველებმა. ამასობაში უმბეთ-ბეგმა ჩაუშების გუნდი შემოიყვანა და შორიდან ისრისა და ტყვიის ცეცხლით ჩახოცეს ძმები...

„ახლა აქაური ქართველებიც დაერივნენ ერთმანეთს?!“ — გაკვირვებით წამოიძახა შაჰმა.

მძიმე საფიქრალს მისცემოდა გიორგი საკაძე.

. . . . . .

„ამიერიდან ქართლს ჩვენ მოვუვლითო“, აკი ასე სთქვა შაჰმა გიორგი საკაძის, სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის თანდასწრებით. ხოლო, „ჩვენ“ — გულისხმობდა შაჰსა და საკაძეს.

მართლაც სჭირდებოდა „მოვლა“ უპატრონოდ და უმთავრობოდ დარჩენილ ქართლს, სადაც თავადებს საკუთარი „დამოუკიდებელი ქართლები“ შემოერაგვათ, შიგ ჩაკეტილიყვნენ და საკუთარ ქონში ჩახრაკულნი ელოდებოდნენ ბედისწერისგან მიგდებულ წილხვედრს.

ქართლის მმართველად ისევ სვიმონ-ხანი დატოვა შაჰ აბასმა.

მაგრამ „ვექილად“ და „მრჩევლად“ სვიმონ-ხანს გიორგი სააკაძე დაუნიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისშივე აშკარად იყო საცნაური: უნიჭო და უნიათო სვიმონ-ხანი „პოლიტიკური ფიტული“ იქნებოდა, ხოლო ქართლის ნამდვილი მმართველი და განმგებელი — მაღალნიჭიერი და მაღალძალოვანი გიორგი სააკაძე...

1620 წელს სვიმონ-ხანი, გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი საქართველოში შემოვიდნენ.

გიორგი სააკაძე ქართლის ტახტ(თან) იდგა.

(არავინ იცის, ოცნებობდა თუ არა სააკაძე ტახტ(ზე) ჯდომას, რაშიც მას ბრალს სდებდნენ მისი მომტერე თავადიშვილნი).

და ახლა იგი უფრო ახლოს და უფრო მტკიცედ იდგა სამეფო ტახტთან, ვიდრე ლუარსაბ მეფესთან მოყვრობის დროს.

ამიერიდან გიორგის ხელთ იყო ქართლის ყოველი დიდი და მცირე საქმენი.

თვითონ სვიმონ-ხანი ასე ეპასუხებოდა სააჯოდ და სათხოვრად მოსულ „დიდთა“ თუ „მცირეთა“ ქართველობას: „მოურავი მობრძანდების და ის გადასწყვეტს“, „მის მობრძანებამდის გვმართებს მოთმინება“, „მოურავს უკეთ მოეხსენების ყოველივე საცილობელი“, „იმან ჩვენზედაც უკეთ იცის, რარიგადაც სჯობს“, „სწორედ ისე ვიქთ, როგორადაც ბატონს მოურავს მოესურვების“.

დასდგომოდა გიორგი სააკაძეს ღღე-ღამ ნაოცნებარი დრო-ჟამი — ჟამი ანგარიშსწორებისა, მისი მოსისხლე თავადების ამოწყვეტისა და ამოგდებისა. განა ამისთვის არ გადაიხვეწა სააკაძე სპარსეთში!?

აბა, დაუდგნენ ახლა ბარათაშვილები, ციციშვილები და ჯავახიშვილები სააკაძის ავფხიან ხმალს!

შადიმან ბარათაშვილი აღარსად ჩანს (ალბათ მოესწრო „თავისით სიკვდილი“ სააკაძის ყველაზე დიდ მოსისხლეს).

ცხენები შეეკაზმათ და ჯალაბი აეყარათ ფარსადან ციციშვილს, ქაიხოსრო და ბერუკა ჯავახიშვილებს.

მაგრამ დაასწრო სააკაძემ, ცხენდაცხენ მიუხტა და... სამივეს შეურიგდა!

— ჩვენ შუა ძმობისა და მოყვრობის მეტი აღარა დარჩა რა; სამუდამოდ და საბოლოოდ ასე შევრიგდით და შეევწყვენით, ჩვენ შუა საყარყაშო საქმე აღარაფერი დარჩენილა, — უთხრა გიორგიმ ქაიხოსროს.

იგივე უთხრა ყოველ მანამდე მომტერე თავადს.

შიშით მუხლმოშლილი თავადები ერთბაშად „დაუმოყვრდნენ“ დიდსულოვან მეტოქეს.

ფარსადან ციციშვილმა „საფიცრის წიგნი“ მიართვა გიორგი სააკაძეს და მის შვილებს — ავთანდილს, პაატას, იორამს.

„რაც ღმრთისაგან და კაცთაგან თქვენ მორჭმას და გადიდებას ეღირებ-დეს და კარგად მოუხდებოდეს, იმისი მომჭირნე და ძალის მიმცემნი ვიყოთ თათარშიგაცა და საქართველოშიგაცა არც სახერხოდ და სამტროდ და სამტყუნოდ შემოგადგეთ და რაც ამას წინათ ჩვენსა და თქვენს შუა სასა-მდურო და ნაწყენი საქმე იყო, ისიც ასრე ჩავარონინოთ, თქვენი მტრისა მტერი ვიყოთ და მოყვარისა მოყვარე“.

გიორგის „საფიცარი წიგნი“ აახლეს მროველმა ეპისკოპოსმა დომენტი ავალიშვილმა და მისმა ძმისწულებმა:

„ვიყვნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგნის მდომ-ნი. არა გავნოთ, არა გაზიანოთ, არა გიცრუოთ, არა გიტყუოთ, არა გი-ჩხუბოთ... თქვენი მტრისა მტერნი ვიყვეთ და მოყვრისა მოყვარე“...

დიახ, გიორგი სააკაძეს ზავი სწყუროდა — ზავი, ერთობა, ერთხმიანო-ბა, თანადგომა და თანალმობა ყოველ ქართველთაგან, თუნდაც მტერთან, მოსისხლესთან...

ახლა პირადული მესისხლეობისთვის და ანგარიშსწორებისთვის არ სცალოდა გიორგი სააკაძეს.

სამუდამოდ დარწმუნებულიყო მოურავი: ახლა მისი ყველაზე დიდი „პირადი მტერი“ იყო შაჰ აბასი, რადგან შაჰ აბასს გადაეწყვიტა სააკაძის უპირველესი სალოცავი ხატის დამსხვრევა და შეგინება.

ხოლო, ამ ხატს საქართველო ერქვა!

სააკაძეს ერთიანი, მძლავრი, „ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ უ რ ი“ საქართველოს აღდგენა ჰქონდა გულს ამოჭრილი.

ხოლო შაჰ აბასს საქართველოს ერთიანად დამხობა და ამოგდება ჰქო-ნდა ჩაჭედილი შლეგიან გონებაში.

ამიტომ ახლა ყოველი ძალა და საშუალება შაჰ აბასის — ამ ყველაზე დიდი და სახიფათო „პირადი მტრის“ — წინააღმდეგ სჭირდებოდა გიორ-გი სააკაძეს.

ამიტომ მას, ქართველთაგან მოკვეთილს, ზავი სწყუროდა „ყოველნაირ ქართველთან“ ერთნაირად — მტერთან და მოყვარესთან, თავადთან და გლეხთან, აზნაურთან და უაზნოსთან.

ასე იყო საჭირო და გარდაუვალი, რადგან მის გონებაში დიდი სამამუ-ლიშვილო განაზრახი მწიფდებოდა.

სწორედ ამისთვის იდგა (და არა „იჯდა“) ქართლის დაობლებულ ტახ-ტთან (და არა „ტახტზე“) გიორგი სააკაძე.

სწორედ ამისთვის შედგომოდა გიორგი სააკაძე გაცხოველებულ აღ-მშენებლობას, ციხესიმაგრეთა აღდგენას, გზებისა და ხიდების განახლე-

ბას, დამქრალი სოფლების ხელახალ ღასახლებას, ხალხის გამხნევებას და წახალისებას.

ქართლის გარეთაც გასულიყო გიორგი სააკაძე მოკავშირეთა ძებნაში ბლად.

ახალციხის ბეგლარბეგი ფარად შაფა სიძედ გაიხადა — თავისი უმცროსი ასული გაატანა ცოლად. ფარად ფაშა წარმომავლობით ქართველი იყო, ოსმალეთის მოხელე. გიორგი ვარაუდობდა — საჭიროების შემთხვევაში სიძეს შეეძლო სიმამრის დასახმარებლად ოსმალეთიც გამოეწვია საომარ ველზე!

იმერეთის მეფე გიორგი მესამესაც დაუკავშირდა სააკაძე. როცა შეგატყობინებთ, იმერთა ჯარებით მოგვეშველეო და თუ გავიმარჯვებთ, ქართლის ტახტზე შენს ძეს ალექსანდრეს ბატონიშვილს დავსვამთო — ატყობინებდა გიორგი სააკაძე გიორგი მეფეს. ეს აღთქმა სარწმუნო იყო, რადგანაც იმერეთისა და ქართლის ტახტების შეერთება სწორედ სააკაძის ოცნების — საქართველოს გაერთიანების მანიშნებელი იქნებოდა...

...წყვდიადი იწვა საქართველოს ცისგვამში.

სააკაძის შიკრიკები მიმოქროდნენ, ნაბდით დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულნი.

ყრუ ხევხუვებში და ქვაბულებში ქართული ხმლები იჭედებოდა...

. . . . . .

1622 წელს, შაჰ აბასის ბრძანებით, გულაბყალას ციხეში წამებით მოჰკლეს ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე.

და გაისმოდა მაშინდელ საპრსეთში ხუთ ენაზე — სპარსულად, ქართულად, სომხურად, იტალიურად, პორტუგალურად: „ლუარსაბ მეფე შაჰ აბასმა გიორგი სააკაძის ჩაგონებით მოჰკლაო!“.

სააკაძისაგან ლუარსაბის სასიკვდილოდ ამოჩემების მიზეზად ნაირ-ნაირს ასახელებდნენ მითქმა-მოთქმაზე დახარბებული და ნერწყვმორეული ადამიანები:

სააკაძეს სიკვდილი დაუპირაო ლუარსაბ მეფემ;

სააკაძეს სახლ-კარი აუწიოკაო ლუარსაბ მეფემ;

საკაძეს დაი გაუბახაო ლუარსაბ მეფემ;

სააკაძეს ცოლ-შვილიანად საქართველოდან ფეხი ამოუკვეთაო ლუარსაბ მეფემ.

და, აჰა, ბოლოს და ბოლოს, სააკაძეს ყველაფერი ერთად ამოანთხევინაო ლუარსაბ მეფეს!

მოდი და გადაარწმუნე ახლა დარწმუნებულად მოყარყაშე ხალხი!

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდევნო 1623 წელს, გაზაფხულზე, შაჰ აბასმა გიორგი საკაძე იძახა და უბრძანა: ყანდაჰარს მივდივარ სალაშქროდ, ოზბეგები უნდა ამოვწყვიტო ძირბუდიანად; შენ მეწინავე ჯარებს უნდა უსარდლო და პირველმა მიიტანო იერიში ყანდაჰარზეო.

გაიხარა საკაძემ: პირველად მიდიოდა სალაშქროდ სხვაგან უცხო მხარეში და არა საქართველოში.

ყანდაჰარს მიადგა სპარსთა და ქართველთა მსედრობა. გიორგი საკაძე პირველი გავარდა საიერიშოდ ამხედრებული. მიჰყვნენ ქართველები. ჩამოეგებნენ ოზბეგები. დადგა სასტიკი კაცთაკვლა. მეწინავე ოზბეგთა მწკრივები ასჩეხეს და გადაქელეს ქართველებმა. გამაყრუებელი ბღავილით მიჰყვნენ სპარსელები. უკუიქცნენ ოზბეგნი. მეციხოვნეებმა ქალაქის კარი გაუღეს უკუქცეულ თავისიანებს. საკაძემ გაქცეულ მტერს გადაასწრო და ქალაქში შეიჭრა ქართველთა გუნდით. მიჰყვნენ სპარსელები და ცეცხლითა და მახვილით გაესივნენ ყანდაჰარის ქუჩაბანდებსა და საცხოვრებლებს. რამდენიმე საათში მდიდარი და ბრწყინვალე ქალაქი გაძარცეული, აწიოკებული და აოხრებული გართხმულიყო გამარჯვებულთა ფეხქვეშ.

დიდის ზეიმით შეეგება სპარსეთის სატახტო ყანდაჰარიდან დაბრუნებულ ძლევამოსილ მხედრობას და მის მთავარ გმირს გიორგი საკაძეს.

იმავე 1623 წელს, შემოდგომაზე, შაჰ აბასმა ბაღდადისკენ დაძრა ჯარები.

მთავარსარდლად ყარჩიხა-ხანი დანიშნა.

წინ მაინც გიორგი საკაძე მიაველვებდა ცხენს.

ისევ პირველნი ეკვეთნენ ქართველები მსოფლიოში განთქმულ ქალაქს. კვლავ საარაკო გმირობით იბრძოდა გიორგი საკაძე. გვერდით ძმა მისდევდა — ქაიხოსრო საკაძე. იგი დიდის სიმამაცით იბრძოდა. ჯვროდ დაუშინეს ფანთიხი ბაღდადელებმა. მკვდარი დაეცა ქაიხოსრო საკაძე. გამხეცებით შეუტია ძმის სიკვდილით გამწარებულმა გიორგიმ. ბაღდადის კარიბჭენი შემუსრეს ქართველებმა. ყელზე თოკშებმულნი გამოეგებნენ მეციხოვნენი სპარსეთის „გურჯ სარდალს“. მთელი ერაყი და ქურთისტანი დაუმორჩილეს ქართველებმა შაჰ აბასის ტახტს. ახალი ფურცლები „ჩააკერეს“ ქართველებმა სპარსეთის ისტორიაში.

ისევ უშაღლეს საირაოზე აფრენილიყო საკაძის გულსისხლიანი არწივი.

მაგრამ მაინც ვის საირაოზე შემართულა გიორგი საკაძე, დიდი გმირი აზიის კონტინენტისა?

ანდა, საკუთარი სამშობლოდან გადახვეწილსა და უცხო ქვეყნის ისტორიის მჭედელს, საერთოდ, შეიძლება ეწოდოს გმირი?!

არა! გორგი სააკაძე მხოლოდ ერთხელ იყო გმირი — ტაშისკართან, სადაც მან მისი მამულის „შესაჭმელად“ მოსული მტერი დაამარცხა, დააწვინა და დაამიწა.

და იმასაც — ტაშისკარის მამულიშვილურ გვირგვინსაც — ... ეტყობა, ფერი სავსებით ამოსჭამა ათი წლის „თათრულმა ფერისცვალებამ“.

არა! ჭეშმარიტი გმირი ის არის, ვინც იბრძვის საკუთარი სამშობლოსათვის!

ხოლო გიორგი სააკაძე?!

გიორგი სააკაძე თურმე ეს ათი წელია, საკუთარ გმირობას გაქცევია! საკუთარ თავსაც გაქცევია!

და სანამ უნდა გაგრძელდეს ასე — გაქცევა სამშობლოდან, გაქცევა გმირობიდან, გაქცევა საკუთარი თავისაგან?-

კარვად უნდა ჩაჰკვირვებოდა გიორგი სააკაძე ყოველივეს, თუნდაც მიტომ, რომ ბაღდადის აღების პატივი შაჰ აბასმა ერთ დღეს ყარჩიხა-ხანს მიაწერა. გიორგიმ თავისი თვალით იხილა ეს თავზარდამცემი სურათი: შაჰ აბასი ეუბნება ყარჩიხა-ხანს· „ჩემო ბვირფასო ყარჩიხა-ხან, შენ მე ისეთი გამარჯვება მარგუნე, ალლაჰსაც რომ ვერ გამოვთხოვდი უფრო მეტ პატივს. ახლა მიდი, ჩემს ცხენზე შეჯექ და მე ფეხით გეახლები, როგორც მსახური!“

ყარჩიხა-ხანი ძალიან ჭკვიანი და წინდახედული კაცი იყო და შაჰის ბრძანება ძალიან შორს დაიჭირა, მაგრამ შაჰ აბასი არ მოეშვა და თავისი გაიტანა.

ამის შემხედვარე გიორგის ალბათ მიწა რომ გახეთქოდა ის ერჩივნა.

და ყოველივე ამას დაიმახსოვრებს გიორგი სააკაძე — ორივეს დაუმახსოვრებს, შაჰსაც და ყარჩიხასაც!..

. . . . . .

1624 წლის 13 სექტემბერს, შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით აწამეს ქეთევან დედოფალი, დედა თეიმურაზ კახთა მეფისა.

იმავე წელს, შაჰს გიორგი სააკაძეც მიეწვია რაღაც საგანგებო წვევით.

ზურაბ ერისთავიც გიორგისთან ერთად მიეხმო აბასს.

და ისხდნენ თათბირად: შაჰ აბასი, გიორგი სააკაძე, სეიმონ-ხანი და ყარჩიხა-ხანი.

„საბოლოოდ“ წყდებოდა „გურჯისტანის საკითხი“. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ყ ო ფ ნ ა-ა რ ყ ო ფ ნ ი ს „საქმე“ სრული ა რ ყ ო ფ ნ ი თ უნდა გათავებულიყო. და ასედაც გადაწყდა:

„გაუქმებულ კახეთში“ რაღაც სასწაულად ხელახლა აღმოცენებუ-

ლი კახელობა ერთის ხელის მოსმით გაიჟლიტოს, ხოლო ქართლი დედაბუდიანად აიყაროს და სპარსეთში გადასახლდეს!

ხოლო, ეს განაზრახი ამნაირად უნდა აღესრულოს: შაჰი ქართლის მმართველს სვიმონ-ხანს ცოლად აძლევს თავის შვილიშვილს— ისახან ყორჩიბაშის ასულს, ჯაჰან-ბანუმ ბეგუმს; ახლადშეუღლებულნი გაემგზავრებიან ტფილისს და, როგორც მაყრიონს, თან გააყოლებენ სპარსულ მხედრობას ყარჩიხა-ხანის მთავარსარდლობით.

ყარჩიხა-ხანის მთავარ მრჩევლად ინიშნება გიორგი სააკაძე, ქართლის მოურავ-ტარუღა და ნამდვილი გამგებელი.

„სააკაძესთან თათბირისა და შეთანხმების გარეშე ყარჩიხა-ხანს ნება არა აქვს გადაწყვიტოს რაიმე დიდი თუ მცირე საქმე საქართველოში!“ — ხმამაღლა, მკაცრად და საგანგებოდ ყველას გასაგონად ბრძანა აბასმა.

სააკაძესა და ყარჩიხა-ხანს თანაშემწეებად გაჰყვებიან — ზურაბ არაგვის ერისთავი, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი, ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლი, კიდევ სხვა „ათორმეტი ხანი“, მრავალი ამირა და სულთანი...

თათბირი სრულდებოდა.

და შაჰ აბასმა სრულიად მოულოდნელად ზურაბ ერისთავს უთხრა — სანამ ქართლს მოივლიდეთ, მანამდე შენი ცოლი ჩემთან უნდა დარჩეს სტუმრადო.

არ ესიამოვნა ზურაბს, — სტუმრად კი არა, მძევლად იტოვებსო, გაიფიქრა, მაგრამ უმალვე გული დაიარხეინა — საშიში არაფერია, შაჰის ერთგულად მივდივარ, ერთგულადვე დავბრუნდები და მეუღლეც აქვე დამხვდება უვნებლადო...

და უცებ გაისმა შაჰის გამყინავი ხმა:

„ჩემთან დარჩება გიორგი სააკაძის ძე, პაატა, რამეთუ... ძალიან მიყვარს მე პაატა სააკაძე!“

სისხლი უნდა გაშრობოდა ამის გამგონე გიორგი სააკაძეს...

...ისტორიამ ერთი სიტყვაც არ შემოინახა იმ შემზარავი დიალოგისა, რომელიც უნდა გამართულიყო შვილის გამწირველი მამისა და განწირული შვილის გამომშვიდობების ჟამს. შესაძლოა, არც „ისე საზარელი“ ყოფილიყო ეს განშორება, უკეთუ პაატამ არც კი იცოდა, რა იდუმალი განზრახვებით მიდიოდა მამამისი საქართველოში. მაგრამ თვითონ გიორგის გულზე კი მთელის სიმძიმით უნდა გაევლო შვილის გამწირველი მშობლის აუწერელ და გამოუთქმელ სულიერ წუხილს, მით უფრო, რომ გიორგიმ „თავისთვის“ კარგად იცოდა, რაისთვისაც მოდიოდა საქართველოში, რაის ქმნას აპირებდა და „იმ ნაქმნარისთვის“ რაც მოელოდა მძვინვარე შაჰის ხელში მძევლად ჩატოვებულ მის შვილს...

..როცა საქართველოში სალაშქროდ ყველაფერი მზად იყო, შაჰ-აბასმა ყარჩიხა-ხანი ცალკე დაიბარა და იდუმალ უთხრა:

— მე შენ თათბირზე სხვების შესახედად გითხარ, რომ საკაძეს ერთ-კითხვად არაფერი მოგემოქმედა. ახლა კი ცალკე, პირადად გიბრძანებ: სააკაძეს საგანგებოდ ადევნე თვალი; ჩემგანაც საიდუმლო წერილსა და ბრძანებას ელოდე და ისე მოიქეცი, როგორც იმ წერილში ეწეროს!

ამის შესახებ, რასაკვირველია, სააკაძემ არაფერი იცოდა.

მაგრამ არც შაჰ-აბასმა იცოდა, რომ გიორგი სააკაძესაც ჰქონდა ერთი საიდუმლო საქართველოში გამომგზავრების წინ — შეხვედრა დაუდ-ხან უნდილაძესთან.

—ყველაფერი გააკეთე, ჩემო გიორგი, ყიზილბაშთა ამოსაწყვეტად, რასაც კი შეძლებ, — უთხრა უნდილაძემ სააკაძეს..

. . . . . .

საქართველოსკენ მოიჩქაროდა ნეფე-დედოფალი — გათათრებული ქართველი სვიმონ-ხანი და სპარსელი ქალი ჯაჰან-ბანუ ბეგუმ.

უკან მოსდევდა „მაყრიონი“ — უზარმაზარი სპარსული მხედრობა.

საქართველოს დასაქცევად აღძრულ სპარსელთა ურდოს მოუძღოდა ორი „გათათრებული ქართველი“ (გიორგი საკაძე, ზურაბ ერისთავი) და ორი გათათრებული სომეხი (ჩარჩიხა-ხანი, იუსუფ-ხანი).

მაშ, სააკაძეს ჯერ ისევ „გათათრებული ქართველი“ ჰქვია!

ჯერ არავინ იცის, რა „განსაწმენდელი“ ჩაგუბებულა მის სულში — განსაწმენდელი იმ ცოდვათაგან, რასაც აქამდე, ამ თორმეტი წლის მანძილზე, ზოგი „ქვეყნის ღალატს“ ეძახის, ზოგი „საკუთარი მეფის მკვლელს“, ზოგი „კახეთის დამაქცევარს“. განა უწინამორბედია გიორგი სააკაძის საქციელი საქართველოს ისტორიაში? ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი, ნებით თუ უნებლიეთ გადახვეწილა საქართველოდან, უცხო მზის სხივი აუცრია და უცხო ისტორიის შემოქმედი გამხდარა, სამაგალითოდ შეიძლება კვლავ გაიხსენოს ეს სახელები ადამიანმა:

მედეა, ასული კოლხთა მეფე აიეტისა — საბერძნეთში,
ბაკურ იბერიელი — რომში,
ვეტრანიონ ლაზი — რომში,
ბუზმირ იბერიელი — რომში,
ფარსმან იბერიელი — რომში,
სუბარმახიოს კოლხი — რომში,
პეტრე იბერიელი — რომში,
იოანე ლაზი — რომში,
ფარსმან კოლხი — ბიზანტიაში,
ფირან იბერიელი — ბიზანტიაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუფინე კოლხი — ბიზანტიაში,
ლეონტი კოლხი — ბიზანტიაში,
ზავნა კოლხი — ბიზანტიაში,
ბაკურ ფირანის ძე იბერიელი — ბიზანტიაში,
ფაზა იბერიელი — ბიზანტიაში,
თორნიკე პროტოსპათაროსი — ბიზანტიაში,
ფარსმან იბერი იერაპოლისელი — ბიზანტიაში.
გრიგოლ ბაკურიანის ძე — ბიზანტიაში,
აბაზ ბაკურიანის ძე — ბიზანტიაში,
გიორგი ბეგი — ოსმალეთში,
მეჰმედ ფაშა — ოსმალეთში,
გულჩარა — ოსმალეთში,
კონსტანტინე-მირზა — სპარსეთში,
ალავერდი-ხან უნდილაძე — სპარსეთში,
იმამ-ყული-ხან უნდილაძე — სპარსეთში,
დაუდ-ხან უნდილაძე — სპარსეთში...

. . . . . .

„წესადცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“ — აეკვიატებიათ ქართველ მამულიშვილებს და თავგამოდებით იბრძოდნენ და აქცევდნენ სისხლს „სხვათა ისტორიის გასაჭედად“:

თორნიკე ერისთავი — ბიზანტიელთათვის;

ულუ დავითი, სარგის ჯაყელი, რატი სურამელი, ვახტანგ მეორე და ვახტანგ მესამე — მონღოლთათვის;

კონსტანტინე მეორე და მზეჭაბუკ ჯაყელი — ყიზილბაშთათვის.

მაინც ვინ უფრო „მოერგება“ გიორგი სააკაძეს, ვითარცა წინამორბედი, ანუ ორეული?

ალბათ, მანუჩარ მეორე ათაბაგი!

მანუჩარმა ქართველობა ოსმალურ თათრობაში გაცვალა, ოსმალური სახელი მუსტაფა დაირქვა, ოსმალოს ფაშობა გაიკრა და ერის წყეულ მოღალატედ იქცა. მაგრამ ბოლომდე ვერ გაუძლო „ნებაყოფლობით თათრობას“ ქართველად დაბადებულმა კაცმა: ოსმალო ფაშებს დაერია, ერთი თავიდან ჭიპამდე გააპო ხმლის ხეთქინებით, მეორეს ყური და ლოყანიკაპი დაათალა, მესამე ცოცხალ-მკვდარი დააწვინა... და დაუბრუნდა მანუჩარი ქართველობას — სამშობლოს და სარწმუნოებას. დიდსულოვანმა მშობელმა ხალხმაც დაივიწყა მისი „თათრობა“ და ერის წყეული მოკვეთილობიდან ისევ ეროვნულ გმირად გაიხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასევე შეუნდობს ქართველი ხალხი გიორგი სააკაძესაც, უსეთუ იგი ყოველივეს საქმედ აქცევს, რაიც ახლა მის გულში განზრახვად უძევს.

თევდორე, ლუარსაბი და ქეთევანი — სააკაძის სამი თანამედროვე — ერთბაშად წმინდანნი გახდნენ, ხოლო თვითონ სააკაძე ამიერიდან ვერანაირი გმირობით, თუნდაც სიცოცხლის ისეთივე მოწამებრივი თვითშეწირვით, ვეღარ გახდება წმინდანი: თორმეტწლიანი „გალანძღული სიცოცხლის“ გაწირვით წმიდანი ვეღარ გახდები!

მაგრამ საკუთარი შვილის შეწირვით?!

განა, საკუთარი სიცოცხლისა და საკუთარი შვილის სიცოცხლის გაწირვა ერთი და ივივეა; ან ოდნავადაც შეედრება ერთი მეორეს?!

საკუთარი სიცოცხლის გაწირვა რაიმე დიადი საქმისათვის უყოყმანოდ შეუძლია ყოველ საშუალო ადამიანსაც, მაგრამ რომელ ღვთაებრივ გმირსაც არ შეუდრკება გული და შეუღონდება სული, როცა საქმე მისი ღვიძლი შვილის სიცოცხლეს მიადგება?!

და ახლა, იქნებ გიორგი სააკაძეა ის გმირი, რომელსაც ძალუძს სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანოს გაცილებით დიდი და წმინდა მსხვერპლი, ვიდრე მისმა თანამედროვე სამივე წმიდანმა ერთად?!

...და შემოდის საქართველოში მისი „უძღები შვილი“, თორმეტწლოვანი „უძღებობის“ შემდეგ, ორმოცდახუთი წლის ასაკში, „განსაწმენდელი“ ფიქრითა და ზრახვით დატვირთული...

. . . . . .

1625 წელი.

ტფილისში მოვიდა სპარსეთიდან წამოსული ნეფიონი და მისი უზარმაზარი ურდო-მაყრიონი.

აიშალნენ ქართველები — ვის მოსწრებია ამდენი მაყარიო?! სხვა რამ ავი განაზრახი ხომ არ იმალება ამ უცნაური ქორწილის უკან?!

საშფოთარი არაფერი აქვთ ქართველებს. შაჰის შვილშვილის და სიძეს სწორედ ასეთი დიდროვანი საქორწილო მოგზაურობა ეკადრება, მორჩა და გათავდა! გიორგი სააკაძე არწმუნებდა ყველას, „ფიცითა და მტკიცით“:

„ამა ჯარისა სიმრავლე საქართველოსათვის არ არის საზიანო, ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქვენი საქმე მე დამადევითო“.

რამდენიმე დღეს, გაბმით, „იყვის მღერა, ნადიმი და მეჯლისი, ბურთაობა და ყაბახის სროლა“ ტფილისში.

ქორწილი რომ ჩათავდა, ყარჩიხა-ხანმა სპარსული მხედრობა ტფილისიდან აპყარა, მუხრანს ჩაიყვანა და აღაიანის ველზე დააბანაკა.

მაშინვე ყარჩიხამ, რასაკვირველია სააკაძესთან შეთანხმებით, კა-

ხეთში ბრძანება გაგზავნა: იმერეთს ლაშქრობას ვაპირებ და სასწრაფოდ ყველა ბრძოლისუნარიანი კახელი, ვითარცა ქუდზე კაცი, მუხრანს გამოცხადდეს სპარსელებთან და ქართლელებთან შესაერთებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა კახელები მუხრანს მოვიდოდნენ, სპარსელები მისდგებოდნენ და უკლებლივ ყველას ამოწყვეტდნენ!

ასე იყო მოფიქრებული მარტივად და „მადიანად“.

და ეს განზრახვაც ისევ სააკაძესთან ჰქონდა „შეთანხმებული“ ყარჩიხას.

მაგრამ იმ ღამით გიორგი სააკაძე მცხეთაში კათალიკოს ზაქარიას და წილკნელ ეპისკოპოს პართენს შეხვდა. და ასე — სააკაძის დიდი სამამულიშვილო განზრახი პირველად ქართლის სულიერმა მამებმა შეიტყვეს.

ეს ამბავი კი გიორგი სააკაძეს ყარჩიხა-ხანთან აღარ ჰქონდა შეთანხმებული!...

მეორე დღეს ზურაბ ერისთავი დაიმარტოხელა გიორგი სააკაძემ. იგი სულხორციანად ენდობოდა ზურაბს — გიორგის გაზრდილი იყო შუათანა ცოლისძმა. ხმალიც მისგან ჰქონდა ნასწავლი, მამულიშვილობაც და „ანტიმამულიშვილობაც“.

მე და შენ საქართველო უნდა დავიხსნათ დაღუპვისგანო, პირდაპირ უთხრა სიძემ ცოლისძმას, არც ერთი სპარსელი აქედან ცოცხალი არ უნდა წავიდეს, სულ ერთიანად უნდა ამოვჟლიტოთო.

გაოცდა და დაშეთდა ზურაბ ერისთავი. თუ აჯანყებას აპირებდი, რატომ სპარსეთში არ მითხარიო. ახლა რა ვქნა, ცოლი რომ სპარსეთში დავტოვეო; ხომ იცი, როგორც კი შაჰი ღალატს შეიტყობს, მაშინვე თავს გააგდებინებს ქალსო. სპარსეთში რომ ჩემი განზრახვა გამენდო, შენ თავს ვერ შეიკავებდი და რა ვიცი რას მოიმოქმედებდიო, უთხრა გიორგიმ. ისედაც შაჰი ცოლს არ გამოგატანდაო.

და, რაც მთავარია, რატომ ავიწყდება ზურაბ ერისთავს, რომ გიორგი სააკაძემ ღვიძლი შვილი ჩაუტოვა ხელში მძვინვარე შაჰს!

მაინც ყოყმანობდა არაგვის ერისთავი.

მაშინ გიორგიმ ცოლისძმის უზომოდ პატივმოყვარულ გულს დაუბიზნა: თუ შაჰ აბასმა ცოლი მოგიკლა, სამაგიეროდ ლუარსაბ მეფის დას, ლელა-თინათინს შეგრთავ ცოლადო.

ლელა-თინათინი, როგორც წინარე ნათქვამიდან გვახსოვს, შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფის მოკვლის შემდეგ საკუთარი ცოლობიდან განუტევა და კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს მიუძღვნა.

როცა გავიმარჯვებთ, ფეიქარ-ხანს ლელას წავართმევთ და შენ შეგრთავთ ცოლადო — არწმუნებდა გიორგი ზურაბს.

და მოიხიბლა ზვიადი ფეოდალი ასეთი შეთავაზებით. ხუმრობა ხომ არ იყო — ზურაბ ერისთავი ქართლის გვირგვინოსან-ბაგრატიონთა ოჯახს უმოყვრდებოდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზურაბი დათანხმდა.

აჯანყების თავი და თავი რგოლი შეიკრა.

...ამასობაში კახელთა ჯარი მოვიდა სპარსთა ბანაკში.

გაიხარა ყარჩიხა-ხანმა. შაჰის პირველი ბრძანება აღსრულების პირას იდგა: კახელებს ამოსწყვეტდნენ და მერე ქართლის აყრას და გადასახლებას შეუდგებოდნენ!

და, ზვარაკად მოსულ კახელებს სპარსელებმა გამოუცხადეს, რაკი თქვენც იმერელთა ქრისტიანი თანამოძმენი ხართ, იმერეთში სალაშქროდ ვერ გენდობით, ამიტომ იარაღი ჩაგვაბარეთ, საჩუქრად ძვირფასი ხალათები მიირთვით უკანვე თქვენსავ კახეთში გაბრუნდითო!

„საჩუქრების დასარიგებელი" კარავი მოშორებით ბანაკის განაკიდურზე იდგა, მაღალი, კაცის-სამალავი თეჯირით გარშემოვლებული. იმ კარავში სათითაოდ შეხვალთ და თქვენს კუთვნილ-საჩუქარსაც იქ მოგართმევენო, — უთხრეს კახელ „სტუმრებს" სპარსელმა „მასპინძლებმა".

და კიდევაც დაიწყო „მისართმეველის მირთმევა". რიგით პირველი კახელი შეიწვიეს კარავში. შემდეგ მეორე, მესამე.. მეათე.. მეთხუთმეტე...

და უკან არც ერთი არ ბრუნდებოდა.

ალბათ თავს უყრიან და ერთად გამოუშვებენ შაჰის ხალათებით დამშვენებულებსო, ფიქრობდნენ საჩუქრის მოლოდინში ჩამდგარი კახელნი.

და უეცრად კახელთა შორის ვიღაცამ იდუმალი სიტყვა ისროლა: იმ კარავში სათითაოდ შესულ ქართველებს „საჩუქრად" თავის დაგდებინება გელოდებათო!

თავის დაგდებინებაო?!

ეგ ჩვენ გვკითხონო, იგრიალეს კახელებმა, ხმლები იშიშვლეს და გაალმასებით ეკვეთნენ სალტედ შემოკრულ ყიზილბაშთა ლაშქარს. ეკვეთნენ და სალტე გადასჩეხეს. ბანაკის გასასვლელთან მდგარი სპარსელებიც გადაქელეს და სამშვიდობო გზებზე გააღწიეს.

თითები დაიჭამა ყარჩიხა-ხანმა.

არავითარი ეჭვი არ იყო: კახელთა ამოწყვეტის განაზრახი მხოლოდ მან გასცა, ვინც ამ განზრახულობაში ყარჩიხასთან ერთად მონაწილეობდა. ასეთი კაცი კი გიორგი სააკაძე იყო...

გიორგის არ გამოჰპარვია, რომ ამ დღესვე ყარჩიხა-ხანმა შიკრიკი აფრინა სპარსეთისაკენ.

დღე-დღეზე შაჰ აბასის ახალ ბრძანებას ელოდა ყარჩიხა-ხანიც და... გიორგი სააკაძეც...

სპარსელთა ურდომ ადგილი მოინაცელა: მარტყოფის ველზე გავიდა და იქ დაბანაკდა..

გიორგი საკაძემ კი ლოჭინის ხეობაში დაუხშირა სიარულს, რადგან სწორედ აქ გამოიელიდა სპარსეთიდან მომავალი გზა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელებიც შეეჩვივნენ იმას, რომ ნადირობაზე შეყვარებული მოურავი ყოველდღე გადიოდა „ქორის მოსატევებლად“.

იმ დღესაც ხმა დააგდო ბანაკში, სანადიროდ მიედევარდ-და ქორი ხელმოჭანგული გაეშურა ლოჭინისაკენ.

გუმანმა არ უმტყუნა: სპარსეთიდან მომქროლავმა შათირმა შემოაგელვა ცხენი ხეობაში.

დაუხვდა გიორგი, გაძალიანდა შათირი, მაგრამ სად გაექცეოდა საакაძის ფოლადის თითებს. შეიპყრო გიორგიმ, გაჩხრიკა. უბიდან წერილი ამოართვა.

შაჰი სწერდა ყარჩიხა-ხანს: „გიბრძანებ, კახელნი ამოსწყვიტო, ქართლელნი დედაწულიანად აჰყარო და სპარსეთს წამოასხა. ხოლო მოურავი დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და ვამომიგზავნე!“

გიორგიმ შაჰის წერილი უბეში შეინახა, შაჰის შათირი კი იქვე მოგუდა და მიწაში ჩამარხა.

ბანაკში მობრუნდა. ვითომც არაფერი მომხდარიყოს, „ძველი მეგობრობით“ ესაუბრა ყარჩიხა-ხანს. თან ეს უთხრა ბეჯითად, მკაცრად: ქართლის თავადები უნდა შევჰყარო სასწრაფოდ და ვუბრძანო, ხალხი გაამზადონ დედაბუდიანად ასაყრელად და სპარსეთში გადასაყრელადო.

ყარჩიხამ ეჭვი ვერარა დაიკრა და საакაძის განზრახვა მოიწონა.

გიორგიმ ქართლის თავადები შეჰყარა და შაჰის წერილი წაუკითხა.

და ყველა მიხვდა შაჰ აბასის ვერაგ განზრახვას — საакაძის მოყვარეც და მომტერეც: საქორწილოდ მოსულ ყიზილბაშობას ქართლი უნდა დაექცია, კიდევ ერთხელ, ანუ — „ერთხელ და სამუდამოდ“!

და ყველა თავადმა — საакაძის მტერმაც და მოყვარემაც — ერთხმად შეჰფიცეს, რომ დათქმულ დროზე მთელის ძალებით ამხედრდებოდნენ საქართველოს დამაქცევარ გადამთიელთა შესამუსრავად.

(ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ყველას, საакაძის მტერსაც და მოყვარესაც — უპირველეს სალოცავ ხატად მაინც ჰქონდა სამშობლო საქართველო, ხოლო შინაურ ქიშპსა და მტრობას დროებით თავი უნდა მოემძინარებია).

ერთადერთი ქართველი თავადი, რომელსაც შეთქმული მამულიშვილები არ ენდნენ, იყო გამაჰმადიანებული ანდუყაფარ ამილახორი, შაჰ აბასის ცოლისძმა, სიმონ-ხანის ქვისლი და ისა-ხან ყორჩიბაშის სიძე (ქალის თესლით — შაჰ აბასის შვილიშვილის ქმარი). საფურცლის ჭალაზე შეიპყრეს შეთქმულებმა ანდუყაფარი ცოლშვილანად, ჩრდილოეთისაკენ გააქანეს და თერგის ხეობაში არშის ციხეში გამოჰკეტეს...

სამამულო ომის მაწვევარი შიკრიკები მიმოქროდნენ ქართლის მიწაზე. ხალხი ლარაღს ისსამდა გამალებით.

ერთად შეყრილ ქართულ ლაშქარს ზურაბ ერისთავი უსარდლებდა.

ხოლო გიორგი საკაძე...

...დღე დათქმული აჯანყებისა — 25 მარტი (7 აპრილი) 1625 წლისა, დღესასწაული ხარება.

ხარება! (ალბათ დიდი იმედი ჩასდეს ამ საოცარ სიტყვა-სასწაულში პატრიოტებმა).

ჯერ ისევ ღამე წევს მარტყოფის ველზე.

გულდანდობილად სძინავს ბანაკად ჩაგუბებულ 30000 სპარსელს.

მთავარსარდლის კარავში განისვენებს ყარჩიხა-ხანი და მისი ძე, იმამვერდი-ბეგი. მშვიდად სძინავთ, რადგან იციან, საკაძე არსად გასულა ბანაკიდან, ვერც ვერსად წავა, მსტოვრები თვალს არ აშორებენ. მახლობელ კარავში ეგულება ყარჩიხა-ხანს „მოურავ-ხანი", ოთხი „გურჯის" თანხლებით. ხოლო, სულ ხუთი „გურჯი" რას განიზრახავს და,.. თუ განიზრახავს, რას გააწყობს ოცდაათი ათას ყიზილბაშთან!

ამიტომ სძინავთ არხეინად.

მხოლოდ გიორგი საკაძეს და მისგან არჩეულ ოთხ ქართველს არ სძინავთ.

იარაღასხმული მიწოლილა „რჩეული ხუთეული":

გიორგი საკაძე,

მისი ძე ავთანდილ საკაძე,

თავადი პაატა ხერხეულიძე,

თავადი ელია დიასამიძე,

გლეხი პაპუნა ვაშაყაშვილი.

რიჟმაჟმა იწყო შემოსვლა.

ღამემ შავი კრეტსაბმელი აიკრიფა და ხარება-დღეს შეატოვა მარტყოფის ველი.

გამაყრუებელმა ყიჟინამ და იარაღის ზრიალმა უეცრად შეარყია ცა და მიწა.

ეს — ქართული ჯარი მოჰქროდა, ზურაბ ერისთავის სარდლობით.

აიშალა სპარსთა ბანაკი.

კარვიდან გამოიჭრა ყარჩიხა-ხანი და ავზნიანი ყივილით იხმო ყველა სარდალი.

ერთბაშად მოცვივდნენ ამხედრებული გიორგი საკაძე, იუსუფ-ხანი, მოჰამედ ყული-ხანი ზიად-ოღლი და სხვანი „ხანნი ათორმეტნი".

— ცხენიდან ჩამობრძანდი და შევიტყოთ რა ხდებაო! — შეჰკივლა ყარჩიხამ საკაძეს.

— ჩამოხდომისა კი არა, უმჯობესია შენც შეჯდე ცხენზე და ჯარს მიჰხედო, თორემ ვგონებ თეიმურაზ მეფე მოდის თავის მხედრობით! — შეუტრიალა საკაძემ.

ცხენს მოახტა ყარჩიხა-ხანი.

მაგრამ უნაგირზე გასწორება კი ველარ მოასწრო.

— ახლაღა სინჯე ქართველების სისხლის დაქცევა! — დაიღრიალა საკაძემ და თვალწამიერად შიშვლად დაჭერილ მარცხენა იღლიაში აძგერა შუბი ყარჩიხა-ხანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდიგარდმო შუბგანწონილი და სულგავარდნილი დაეხარცხა მიწას სპარსთა მთავარსარდალი.

წამსვე ხმალი იშიშვლა საკაძემ.

სპარსთა დანარჩენ სარდლებს უკვე ხმლებით სჩეხდნენ ავთანდილ საკაძე, პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი.

ავთანდილს იმამვედრი-ბეგი მოეკლა, ყარჩიხა-ხანის ძე.

გიორგიმ იუსუფ-ხანს თავი ხმლით დააგდებინა.

პაატას, ელიას და პაპუნასაც დაეღვარათ „თავისი წილი" მტრის სისხლი.

რამდენიმე წუთიც ღა სპარსულ ურდოს აღარც ერთი სარდალი აღარ ჰყავდა ცოცხალი.

ხუთ ქართველს ერთბაშად წარეკვეთა თავი სპარსული ურჩხულისათვის.

ზურაბ ერისთავიც უკვე შემოჭრილიყო სპარსთა ბანაკში.

ქართველები უწყალოდ ღა ხელდარეულად ჟლეტდნენ უმეთაუროდ და უპატრონოდ დაგდებულ სპარსულ მხედრობას. სპარსელებს კი ისღა დარჩენოდათ, გაქცეულიყვნენ, ვისაც საით და როგორ მოუხდებოდა. ქართველები ლტოლვილებს მისდევდნენ და ხოცავდნენ მთელი ღღე.

უთენია დაწყებული ბრძოლა გვიან მიმწუხრამდე გაგრძელდა.

30000 სპარსელიდან მხოლოდ 3000 გაასწრო სიკვდილს.

ქართული ხმლებით აჩეხილ ოცდაშვიდი ათას სპარსელში ესვენა შვიდი რჩეული სპარსელი სარდალი.

დიდძალი ნადავლი და აღჭურვილობა ჩაუვარდათ ხელში გამარჯვებულებს. ისინი „აღივსნეს საშოვრითა — ოქროთი, ვერცხლით, თვალითა მარგალიტითა, მრავლის უცხო ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორითა".

„ხარება" სუფევდა იმ ღღეს საქართველოში.

სწორედ ღღეს იდგა უზენაესი მამულიშვილობის მწვერვალზე მამა პაატა საკაძისა.

. . . . . .

სვიმონ-ხანი და ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიადოღლი ტფილისისაკენ მიჰქროღნენ თავპირისმტვრევით.

მაგრამ გიორგი საკაძემ მიასწრო. ტფილისი აიღო და ნარიყალაში ჩაკეტილ ყიზილბაშურ ციხიონს ალყა შემოარტყა.

სვიმონ-ხანმა და მოჰამედ ყარაბაღელმა საქართველოს საკასტროს გვერდი აუქციეს, ალჯაყალამდე უკანმოუხედავად ირბინეს, ალჯაყალის ციხეში შეცვივდნენ და შიგ ჩაირაზნენ. მცირე ხნის მერე, იქიდანაც გადაიხვეწნენ და მაზანდარანს ჩააღწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის ციხე გაძალიანდა. დრო კი აღარ ითმენდა, მტერს სულის მოთქმის სახსარი არ უნდა მისცემოდა. ამიტომ გიორგიმ ნარიყალა ალყაში ჩატოვა და თვითონ, ზურაბ ერისთავის თანხლებით, კახეთისაკენ გაფრინდა.

ზურაბ ერისთავს გიორგისგან აღთქმული ლელა ბატონიშვილი ეგულებოდა ფეიქარ-ხანის კარზე და ყველაზე წინ ის მიჰქროდა ფრთაგამოსხმული.

ფეიქარ-ხანს, მარტყოფის კატასტროფა რომ შეეტყო, ხორნაბუჯი დაეგდო და ისიც ფხოჭა-გლეჯით გაქცეულიყო. მტკვარზე წამოეწივნენ ქართველები გაქცეულ ყიზილბაშებს. გახელებით დაეძგერა ზურაბ ერისთავი. ფეიქარ-ხანმა მოასწრო მტკვარზე გადასვლა. ცოლიც თან გაიტაცა, ლელა-თინათინი, ბარდავისკენ გაჰკურცხლა. მიპყვა ზურაბი გააფთრებით, მაგრამ ვერც ყიზილბაშ მეტოქეს დაეწია და ვერც „თავის საცოლე“ დააგდებინა.

სანამ ზურაბი ხელცარიელი და გულჯავრიანი დაბრუნდებოდა, გიორგიმ მტკვარზე ფეიქარ-ხანისგან დატოვებული ყიზილბაშობა დაატყვევა „მრავალი ქონებით, იარაღ-მოწყობილობით, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით“.

შემობრუნდნენ და ისევ ხორნა-ბუჯს მოაშურეს ქართველებმა. ციხეში მდგარი ყიზილბაშური ციხიონი იარაღაყრილი გამოვიდა, ორმოცდაათი საპალნე აბრეშუმი გამოიტანა და სხვა მრავალ ქონება-მისართმეველთან ერთად მიართვა გამარჯვებულებს.

მთელი კახეთი სააკაძის ხელში მოექცა.

არ სცხრებოდა მოურავი. კახეთიდან განჯისა და ყარაბაღისკენ გაქუსლა, იქაური ყიზილბაშები დააწიოკა და დააფორიაქა, უმრავლესობა ამოჟლიტა, სულიტკბილობის მოყვარულნი ტყვედ აიყვანა, გაქცეულებს არეზამდე სდია, მრავალი დავლა მოინადავლა და ქართლისაკენ შემოტრიალდა.

ქართლ-კახეთი სრულიად გაწმენდილიყო ყიზილბაშური სნებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს ორივე ტახტი სააკაძის ხელით საღსალამათად დახსნილი და გადარჩენილი ელოდებოდა ღირსეულ პატრონს.

მაშ, მეფე (ან — მეფეები) სჭირდებოდა „ორ საქართველოს“ — ქართლსა და კახეთს.

მერე, კაცმა სთქვას და, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო მეფე (თუ — „პატრონი“) ქვეყნისა, თუ არა იგი, ვინც თავისი მჭრელი ვონებითა ღა მძლე მარჯვენით იხსნა იგივე ქვეყანა?!

ხალხი, გამორჩევით „წვრილი ერი“, კიდევაც მოითხოვდა მეფედ სააკაძის გამოცხადებას.

მეფე საძებარი არ არისო, ბრძანა გიორგიმ და მაშინვე გორში ელჩები აფრინა და თეიმურაზს შეუთვალა: კახეთისა და ქართლის ტახტნი, ორივე შენ გელოდება, მობრძანდი, დაბრძანდი, იმეფე, ქვეყანას უპატრონე და მოუარეო.

თეიმურაზი ის იყო რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, სააკაძის ელჩებმა რომ ასეთი „ცითმოვლენილი ამბავი“ და შეთავაზება მოართვეს. მის სიხარულს ენა ვერ იტყოდა და კალამი ვერ ასწერდა!

და მაშინვე ქართლ-კახეთისკენ სამგზავრო სამზადისი ბრძანა.

მაგრამ თეიმურაზმა გონიოდან ფეხის დაძვრა ვერ მოასწრო, რომ მალულმა შათირებმა მეორე, უკვე საშიშარი და საშფოთარი ამბავი მოურბენინეს: ღმერთი არ გაგიწყრეს და გონიოს ციხიდან არ გამოხვიდე, თორემ იცოდე, სააკაძეს ცოცხალი ვერ გადაურჩებიო; შენი მოკვლა მას ტახტისაკენ გზას უხსნის და სავსებით დასაჯერებელია, რომ სასიკვდილოდ არ დაგინდობს ევ „თათარიო“!

ერთხანს თავზარდაცემული და შეძრწუნებული იდგა ამის მსმენელი თეიმურაზი. მერე კი მაინც ესა თქვა მწარე სინანულით და გულმხურვალებით:

„თუ მართლაც და, უფალს ჩემი სიკვდილი ნებავს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი! მე მაინც ბედნიერი ვიქნები, რაკი უკანასკნელად გავუღიმებ მშობლიურ ცას, რომლის ქვეშ მე თვალი ამეხილა და გონება გამეხსნა!“

თქვა და წამოემართა ქართლ-კახეთისკენ.

სანამ თეიმურაზი მოაღწევდა, მანამ გიორგი სააკაძემ ისევ შეუტია ტფილისის ციხეს გამგელებით. ქართველებმა თაბორის მთიდან თოფების ბათქით აიღეს „დაბალი ციხე“. ნარიყალა კი ისევ მაგრობდა. გიორგი სააკაძის ბრძანებით წყალი დაუწყვიტეს ნარიყალას, დღედღეზე ციხე უნდა დაცემულიყო.

მაგრამ ისევ გამოჩნდნენ მოღალატენი „საასპარეზოდ“.

გორელი ვაჭარი გიორგი გორგიჯანაშვილი თურმე ყიზილბაშთა ციხიონის უფროსს „ძმაკაცობდა“. ყიზილბაშს გორგიჯანაშვილისთვის შემოუთვლია: „უწყლობამ ნამეტნავად შეგვაღონაო, წყლით რამე გვიღონეო“. ამდგარა ღამით გიორგი გორგიჯანაშვილი, ერთიც თავისი სანდო კაცი წაუყვანია, ნარიყალას წყალსადინარ კლდეზე გასულა, ღარები გაუწყვია და წყალი ციხის დასარწყულებლად გაუშვია.

მეორე დღეს სააკაძის მეომრებმა აღდგენილი წყალსადინარი შენიშნეს და ღარები ხელახლა აყარეს. მაგრამ ალყაში მოქცეულებს წყურვილის საშიშროება მანც კარგა ხნით მოეხსნათ: ყიზილბაშებს მთელი

ლამის წყალდინებით ყველა ჭა, ჭურჭელი და წყალსაცავი გაეკსოთ და სარწყულები უხვად გაემარაგებინათ.

ციხიდან ყიზილბაშებს ორი კაცი გამოეპარათ და იმათ აუწყეს საკაძეს მოღალატეთა სახელები — გიორგი გორგიჯანაშვილი და გარსოა ჭანოაშვილი.

გორგიჯანაშვილის ღალატი ადრე შეეტყო გიორგის და ახლა გარსოა ჭანოაშვილის ვინაობა იკითხა. ჭანოაშვილი ტფილისელი მოქალაქე ყოფილა, ისიც ყიზილბაშთა ციხიონის უფროსის „დოსტი“ და მასთან იდუმალ შეზრახებული: როცა ციხის გარეთ რაიმე შენთვის სასიკეთო და საიმედო ამბავი მოხდება, მე წითელი სამოსელით შევიმოსები და ისე დაგენახვებითო, თუ არა და, უბრალოდ ჩაცმულს დამინახავთო!

და ამნაირად, ყიზილბაშები „წითელი გარსოას“ დანახვაზე გამხნევდებოდნენ და ძალას მოიცემდნენ, ხოლო „შავი გარსოას“ გამოჩენისას ზედმიწევნით ფხიზლობდნენ, ფრთხილობდნენ და საფრთხის უკუსაგდებად საგანგებოდ ემზადებოდნენ.

(პირდაპირ, საოცარი ბედი დაჰყოლოდა საქართველოს საღვთო დედაქალაქს: თითქმის ყოველი ძნელბედობის ჟამს, მისივე მოქალაქეებიდან საკვირველად „კოლორიტული მოღალატენი“ გამოუჩნდებოდნენ! კოლორიტული „მშობლიური მოღალატენი“!).

და „სოფლელმა“ გიორგი სააკაძემ თბილისის მკვიდრ „ქალაქელს“ კოლორიტული ღალატისთვის თავი გააგდებინა, ხოლო გორგიჯანაშვილი ძელზე თავდაღმა ჩამოჰკიდა და ქალაქის ქუჩები ჩამოატარა.

იმ დროს ტფილისში იმერეთის მეფის წარმოგზავნილი მოციქულები იყვნენ, მათ შორის ქუთათელი ეპისკოპოსი, რომელიც პირადად სცნობია გორგიჯანაშვილს (ალბათ, ქუთათისის „მაღალ წრეშიც“ ჰქონდა „კავშირნი“ ქართველ პატრიოტთა მტრობით დაბოლმილ ვაჭარს). ქუთათელმა სააკაძესთან იშუამდგომლა და გამოიხსნა გორგიჯანაშვილი სიკვდილისგანაც და თავლაფდასხმისგანაც.

ხოლო ნარიყალა ისევ ყიზილბაშებს რჩებოდათ.

...ამასობაში გონიოდან წამოსულმა თეიმურაზმაც მოატანა.

მცხეთაში შეეგებნენ ერთმანეთს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე — ორი გმირი, ორნივ სამშობლო საქართველოს საკეთილდღეოდ უმძიმეს ბრძოლებში გაწამებულნი და გაჭაღარავებულნი.

ორივეს საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი მსხვერპლი გაეღო სათაყვანო სამშობლოსათვის — შვილები...

მცხეთაში, სვეტიცხოვლის ლავრაში, ქართველ საერო და სასულიერო „საზეპურო ერის“ წინაშე თეიმურაზი აკურთხეს ქართლისა და კახეთის მეფედ.

ასე შეიქნა თეიმურაზი „ორივ ტახტის მჭერი“.

აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა.

ზეიმობდა ქართველი ხალხი დიდ გამარჯვებას.

ზეიმობდა გიორგი სააკაძე, მთავარი გმირი ქართველთა ძლევამოსილებისა და ყველაზე დიდი მეოცნებე „ყოველი საქართველოს“ თიანებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბედისწერა სწორედ უმაღლესი აღზევებისა და ზარზეიმის ტოლძალოვან საწუხარსა და საგლოველს უმზადებს ადამიანებს.

და ასე იყო ახლაც, რამეთუ ჯერ ისევ ცოცხლობდა შაჰ აბასი.

. . . . . .

შაჰ აბასს არასდროს ასეთი თავზარი არ დასცემია, როგორც დასცა ჯერ მარტყოფის კატასტროფამ, უზარმაზარი არმიის მოსპობამ, უპირველესი სარდლების ამოწყვეტამ და, მერე — ქართლ-კახეთის გაერთიანებამ.

თანაც ყოველივე ეს საშინელებანი მოხდა მაშინ, როცა სპარსეთის სახელმწიფო და მისი „ლომის“ ძალმოსილება ზეობის მწვერვალზე იდგა.

შაჰს ეგონა, ეს-ეს არის საქართველო სრულიად წავშალე პირისაგან მიწისაო და უეცრად კი წამოიმართა იგი ახალნერგად, შურისმგებლური მახვილით სელში, წამოიმართა და მიწას განართხო სწორედ იგი, ვისაც ქართული ფუძის მოთხრა ჰქონდა გულს ამოჭრილი.

თურმე შეუძლებელია „მოკვლა საქართველოსი“, თურმე მართლა მარადიული უკვდავების სული ანთია ამ უცნაური ხალხის სხეულში — ხან მინავლებული, ხან უაღრესად გამძლავრებული.

სასიკვდილოდ დაგულებულ საქართველოს თურმე ახალი ცხოვრება დაუწყია, ქართლი და კახეთი გაერთიანებულა და ერთიან, „გამთლიანებულ“ ტახტზე „ყველაზე საძულველი თეიმურაზი“ დაბრძანებულა!

ყველაზე საძულველი თეიმურაზი?

მაგრამ გიორგი სააკაძე?!

რა შეეძრება გულში ახლა გიორგი სააკაძის მძულვარებას?!

შაჰ აბასის გული ყოველთვის ყოველგვარი მძულვარების სრულად მომცველი და „დამტევი“ იყო. მაგრამ ახლა შაჰს ათასი გულიც არ ეყოფა ვერაგი მოურავ-ხანის სიძულვილის დასატევად!

მარტყოფი და სააკაძე! — აი, ორი უსაშინელესი და უსაძაგლესი სიტყვა სპარსეთის ხელმწიფის აზრსაბრუნავში!

მარტყოფი! — თითქმის ორმოცი წელიწადი გასულიყო შაჰ აბასის გამეფებიდან და ამ ორმოცი წლის მანძილზე შაჰს ასეთი ზარალი და უბედურება არ მოსწრებიაო, გაიძახიან სპარსეთში, ოსმალეთში, ევროპაში.

სააკაძე! — ასეთი მტერი საერთოდ არ მოსწრებია სპარსეთის ქვეყანასო, გაიძახიან აზიაში, ევროპაში.

„ვფიცავ ალლაჰს, მთელი ჩემი სამეფოს ნახევარს მივცემ, ვინც ბაა-კაძეს ცოცხლად მომიმორევს!“ — ბღაოდა შაჰი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სანამ გიორგი სააკაძეს „ცოცხლად მოუთრევდნენ“, ... შაჰს შეუძლია სიკვდილზე უარესი სასჯელი და სატკივარი შეჰყაროს დიდების მწვერვალზე აფოფინებულ მოურავ-ხანს. დიახ, სიკვდილზე უარესი!

ხოლო, ადამიანისათვის მის სიკვდილზე უარესი არის მისი შვილის სიკვდილი...

პაატა სააკაძე მომგვარეთ, მოღალატე მოურავ-ხანის შვილიო, დაიზ-მუვლა შაჰ აბასმა. მიუყვანეს.

და მოუკლა შვილი შაჰ აბასმა გიორგი სააკაძეს. თავი მოჰკვეთა და მამას გამოუგზავნა. ტანი კი ხევში გადააგდებინა, ყვავ-ყორანთა და მხეცთა საჭიჯგნად.

პაატა სააკაძის გვამი ღამით ევროპელმა კათოლიკე მისიონერებმა ამოასვენეს ხევიდან და სადღაც იდუმალ ადგილას დაასვენეს.

შვილის სიკვდილის შიში ჰზარავდა გიორგი სააკაძეს. და, აი, ჩამოუ-ტანეს სპარსელმა შათირებმა შვილის წარკვეთილი თავი.

მამის წინ ესვენა თავი წამებული შვილისა, რომელმაც მას დაუბ-რუნა „ჭეშმარიტი ქართველობა“ და ახლად არგუნა „ერის მხსნელისა“ და „ეროვნული გმირის“ სახელი.

უმძიმესი ვლოვის ზარი დასცემოდა სააკაძეთა სახლეულს.

საგლოველი იყო საყოველთაო, რამეთუ ჭაბუკის უწმინდესი სიცოცხ-ლის გაწირვამ დაუბრუნა საქართველოს ყველაზე დიდი „უძღები შვილი“, რომელიც ყველაზე საშფოთარ ჟამს ჭეშმარიტ მხსნელად მოევლინა და-ღუპვის პირას მიმთხვეულ სამშობლოს.

ერთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალეს წმინდა ჭაბუკის თავი.

მალე ტფილისელმა ვაჭრებმა, ევროპელ მისიონერთა თანადგომით იპოვეს და წამოასვენეს პაატას გვამი სპარსეთიდან საქართველოში, და როგორც იქნა, ელირსა განკვეთილი მარტვილის თავსა და ტანს ერთად დავანება მშობლიურ მიწაზე.

და დაინთო ერთაწმინდის ეკლესიაში იმჟამინდელი საქართველოს ყველაზე დიდი კერეონი.

ბედნიერი იყო ჭაბუკი: მშობლიურ მიწაში იწვა. ჯალათის ხელით ნაწამები სხეული აღარ სტკიოდა და „ყოველი საქართველო“ იყო მისი ჭირისუფალი.

მისი სახელი ეროვნული გმირობისა და მამულიშვილობის ნიშანსვე-ტად იქცა.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქართველებს ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ შაჰ აბასი ზურაბ ერისთავის საძიებლად მარტო ჰაატა სააკაძის სისხლს არ იკმარებდა. დღე-დღეზე მისი ახალი შემოსევა იყო მოსალოდნელი. ამიტომ ახალი ომისთვის ემზადებოდნენ ქართველები. დღე და ღამე იჭედებოდა საჭურველი. დღე და ღამე თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუხრელად იღვწოდა სააკაძე.

უწინარეს ყოვლისა მთავარი ეს იყო — რაიმე „შინა-განსქდომა" არ ჩამოვარდნილიყო ქართველთა შორის.

გიორგიმ შენიშნა: პირჩაღრუბლული იმზირებოდა და იღრინებოდა ზურაბ ერისთავი — „მეორე გმირი" უკვე მომხდარი დიდი სამამულო ეპოპეისა. ძნელი არ იყო ზურაბ ერისთავის გულჯავრიანობის მიზეზის გარკვევა. მისი ცოლი შაჰ აბასმა გაამაჰმადიანა და თავისი ცოლების მსახურად განაწესა. გიორგი სააკაძის აღთქმა ზურაბისა და ლელა ბატონიშვილის „სანატრელი ქორწინებისა" არ შესრულდა, რადგან ვერ იქნა და ვერ დააგდებინეს ფეიქარ-ხანს ლელა-თინათინი.

ძალიან სახიფათო იყო პატივმოყვარე, დიდგული და ურყევი ბუნების მქონე არაგველი ძბრძანებლის იმედგაცრუება.

დატრიალდა გიორგი სააკაძე. ზურაბი ადვილად დაარწმუნა იმაში, რომ აწ გარდასულ ლუარსაბ ბაგრატიონთან დამოყვრებას ისევ ქართლ-კახეთის „ორივე ტახტის მჭერთან" დამოყვრება სჯობდა. თეიმურაზს კი ასული ჰყავდა, სახელად დარეჯანი. და ჩადგა სააკაძე მეფესა და ერისთავს შორის შუამავლად.

დედოფალი ხორეშანი უარს ამბობდა ზურაბისთვის ქალის მიცემაზე. „მაგან ამოაგდო ჩემი სამშობლო ქართლიო", გაიძახოდა ლუარსაბ მეფის დაი. მაგრამ მაინც გასჭრა დიდი მოურავის „პოლიტიკურმა მაჭანკლობამ" — ზურაბ ერისთავმა ცოლად შეირთო თეიმურაზ მეფის ასული დარეჯანი.

საქმე თითქოს კარგად მიდიოდა.

თეიმურაზი მეფობდა.

გიორგი სააკაძე განაგებდა.

თავადები მოურავის პირველობას თითქოს შერიგებოდნენ. „თვით ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას".

გიორგი სააკაძემ სპარსეთთან გარდუვალად მოსალოდნელ ომში ოსმალეთის მომხრობაც სცადა.

ამ დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი და აღმოსავლეთის ჯარების სერასქერი ჰაფიზ-ფაშა დიარბექირში იდგა და ბაღდადს სალაშქროდ ემზადებოდა. გიორგიმ ელჩობა შეადგინა, სათავეში თავისი შვილი იორამი ჩაუყენა და ჰაფიზ-ფაშასთან გაგზავნა. მოურავის ელჩებს ოსმალთა

მისართმევად მიჰქონდათ საქართველოში ამოწყვეტილ ყიზილბაშ სარ-
დალთა წარკვეთილი თავები (მათ შორის — ყარჩიხა-ხანისა და ეულუფ-
ხანისა), მხარგაკრული ტყვეები, ნადავლად წამოღებული სამანი სპარ-
სული დროშა, საომარი საყვირები და ზურნაიკები.

ქართველი ელჩები 1625 წლის 3 ივლისს ეწვივნენ ჰაფიზ-ფაშას.

ოსმალებმა სიამოვნებით მოიხილეს ყიზილბაშ სარდალთა თავები — ოთხი წლის წინათ წარკვეთილნი, მარილში გამოყვანილნი, მაგრამ მაინც ხრწნამორეულნი. მადლიერებით ჩაიბარეს ტყვეები და ლომის გერბიანი დროშები.

იორამ სააკაძემ მამის წერილი გადასცა დიდ ვეზირს. გიორგი ატყობინებდა ჰაფიზ-ფაშას: ოსმალთა სამეფო გვარეულობას ჯერ ისეთი მოხერხებული შემთხვევა არ მოსწრებია სპარსეთთან ანგარიშის გასასწორებლად; ამიტომ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ისწრაფეთ და თქვენის ჯარებით გამოემართეთ განჯა-ყარაბაღისა და შირვანისაკენ. მისვლისთანავე ყველა ეს ქვეყანა უბრძოლველად დაგემორჩილებათ; ამის მერე სულ იოლად შეძლებთ არდებულისა და მეშჰედის აღებას და ყიზილბაშთა ქვეყნის სავსებით გადაწვას; თანაც იმდენ სიმდიდრეს მოინადავლებთ, ქვეყნის დასასრულამდე სალაპარაკო და სალექსე გახდებაო.

ჰაფიზ-ფაშას კი არც დიდი ნიჭი ჰქონდა და არც გაბედულება. ვერ იქნა და სააკაძის შემონათვალს გადაჭრილი პასუხი „ვერ მოუხერხა“.

ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი მაშინ მრჩევლად ახლდა ჰაფიზ-ფაშას.

ასეთი მოხერხებული შემთხვევა მართლაც აღარასოდეს ჩაგივარდება ხელშიო, უთხრა იბრაჰიმმა ჰაფიზს. ამიტომ სააკაძეს დაუჯერე და შირვან-აზერბაიჯანისკენ გაუტიე ჯარებითო.

— ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა ჩვენ ბაღდადის დაპყრობა გვიბრძანა და არა საქართველოსა და შირვანისკენ გალაშქრება, — თქვა ჰაფიზ-ფაშამ.

იბრაჰიმ ფეჩევი მაინც არ შეეპუა და მაშინვე ეს უთხრა დიდ ვეზირს:

— ბედნიერებით მოსილმა ჩვენმა ფადიშაჰმა რომ ეს იცოდეს — დიდი მოურავი ჩვენს მხარეზე გამოსულაო — მაშინვე სწორედ შირვანისკენ გაგაგზავნიდათ, ანდა შეიძლება თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამიერკავკასიაში ლაშქრობას. დარწმუნებული ვარ, თუ ამ შემთხვევას ხელიდან გავუშვებთ, ქვეყნის დასასრულამდე გვექნება სანანებლად.

— თქვენ კიდევ არ გცოდნიათ ჩემი ხასიათი. მე ვიდრე რომელიმე წამოწყების წარმატებით შესრულებაში წინასწარ არ დავრწმუნდები, მისკენ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ, — მთქნარებით თქვა ფაშამ.

— განა, დიდებულმა სულთნებმა, გინა პატიოსანმა ვეზირებმა, რომელთაც ამოდენა საღვთო ომები და დაპყრობანი ეგზომ ძლევამოსილებით ჩაუტარებიათ, წინასწარ იცოდნენ, რომ უეჭველად გაიმარჯვებდნენ? ომში გამგზავრებისას სარდალი სიმამაცეს და ალლაჰს უნდა მიენდოს.

ან ახლა, ბაღდადს რომ ჩახვალთ, ნამდვილად იცით, რომ დაიპყრობთ და გაიმარჯვებთ? — არ ეშვებოდა იბრაჰიმ ფეჩევი.

— მტკიცედ მწამს და ეჭვიც არ მეპარება,— ისე თქვა ქართველმა, რომ მოსაუბრე მიმხვდარიყო, ამ საკითხზე ნულარ ვილაპარაკებთო.

მთავარსარდალთან ამაო საუბრის შემდგომ იბრაჰიმ ფეჩევი იანიჩართა მეთაურთან — ხუსრევ-აღასთან მივიდა (ეს სახელი კარგად დაიმახსოვროთ, რადგან იგი ამ ამბებიდან ოთხი წლის შემდგომ ავტორი შეიქნება დიდი ქართული ტრაგედიისა).

ახლა ხუსრევ-აღას შეუჩნდა იბრაჰიმ ფეჩევი, იქნებ შენ გამოეხმაურო გიორგი სააკაძის მოწოდებას და გაილაშქრო შირვანისკენო.

ხუსრევ-აღამ ყბა ცბიერად მოიქცია და თქვა: ჩვენ მთავარსარდლის ხელქვეითები ვართ და რასაც გვიბრძანებს, ჩვენც იმის აღმსრულებლები გახლავართო.

ფეჩევიმ იფიქრა, ხუსრევს ჰაფიზის გამარჯვება და აღზევება არ ეპრიანებაო, და სულ მიანება თავი სარდლების წაქეზებას ამიერკავკასიაში სალაშქროდ.

...ისევ დგას 1625 წელი. წელი ქართველთა ძალმოსილებისა, წელი რწმენისა, სიხარულისა, სამომავლო იმედისა და უძლეველობისა.

მაგრამ, ვაი თუ წლის ბოლომდე ვერ გააწიოს საუკუნოვანი წყედიადით ავსებულ სივრცეში შემოჭრილმა სინათლის სხივმა!..

კიდევ მოჰქრის საქართველოსკენ ვეებერთელა ურდო — საუკეთესო, ანარჩევი მხედრობა სპარსეთისა.

მოჰქრის ურდო და მოაქვს შაჰ აბასის „მსოფლიო რისხვა“.

ან ახლა უნდა მოისპოს საქართველო, ან ვერასოდეს!

ვაი შენ, გურჯისტან!

ურდოს მოუძღვის ისა-ხან ყორჩიბაში, სიძე შაჰ აბასისა.

თანაშემწე სარდლებად დანიშნული არიან: შირვანის ბეგლარ-ბეგი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ხოსრო-მირზა დავითის ძე, ქართველი ბატონიშვილი, ისფაჰანის ტარუღა, შაჰის კარზე გიორგი სააკაძის წყალობით დაწინაურებული და აღზევებული.

(ამ გათათრებულმა ქართველმა უნდა გაუმართლოს შაჰ აბასს, გიორგი სააკაძემ არ გაუმართლა, ხოსრო-მირზამ უნდა გაუმართლოს).

ისევ მიეღო შაჰ აბასის ბრძანება დაუდ-ხან უნდილაძეს — საქართველოში სალაშქროდ აღიკაზმე შენის მხედრობითო.

ისევ უარი შეეთვალა უნდილაძეს.

ურდო კი მოჰქროდა საქართველოსაკენ.

მოჰქროდა და მოჰქონდა „მსოფლიო მრისხანება“ შაჰ აბასისა — ან ახლა უნდა აღიხოცოს პირისაგან მიწისა საქართველო, ან ვერასოდეს!

ვაი შენ, გურჯისტან!

. . . . . .

ივნისის დამლევს მოვიდნენ „დიდითა მძლავრობითა“ და დაიბანაკეს ალგეთზე, სოფელ მარაბდის ახლოს.

ისევ ალგეთი!

სავანე მრავალი დიდი სამამულიშვილო ხმალთაკვეთებისა!

სავანე ცრემლთა სიხარულისა და ცრემლთა სინანულისა!

ალგეთის მკერდზე წერია „დიდი ფარცხისი“ — 1074 წელი. ქართველები მეფე გიორგი მეორის სარდლობით ამარცხებენ თურქ-სელჩუკთა ურდოს.

ალგეთის მკერდს ამშვენებს საარაკო გმირობანი დავით ალმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისა.

ალგეთის მკერდს ამახინჯებს მხარგრძელთა სამარცხვინო რენეგატობა მონღოლთა მბრძანებლობის დროისა.

ალგეთის მკერდზე აღბეჭდილია დიდი მამულიშვილობა გიორგი ბრწყინვალისა, მონღოლთა უღლის დამამხობელისა.

ალგეთის მკერდს ესალბუნება გმირობა და მამულიშვილური აღსასრული ლუარსაბ დიდისა.

ალგეთის მკერდს შხამავს „მამულიშვილური ღალატი“ ყორღანაშვილისა.

ალგეთის მკერდზე ბრწყინავენ საოცარი გმირობანი სეიმონ დიდისა.

ალგეთის მკერდზე დაიბადა ლექსი-სიმღერა ქართველი კაცის მარადიული რწმენისა, იმედისა და უკვდავებისა — „კიდევაც დაიზრდებიან“...

მაშ, ისევ ალგეთზე მოსულა მტერი, მარაბდის ველზე მოსულა და დაუსაძოვრებია.

1625 წელი, ივნისის უკანასკნელი დღე.

პაპანაქება სიცხე.

50000 მეომარს მოითვლის ყიზილბაშთა ურდო.

ჯერ კიდევ არ სჩანს თავის მხედრობით აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი.

...ქართველებიც მოსულან. სულ ოცი ათასი კაცი.

კოჯრის მთაზე დგანან.

ახლა საომარ ბჭობად დამსხდარან წინამძღოლნი.

საერონი: თეიმურაზ მეფე, გიორგი საკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მისი ძმა დავით ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, იასე ქსნის ერისთავი (სიძე გიორგი საკაძისა), თეიმურაზ მუხრანბატონი (ესეც სიძე გიორგი საკაძისა), მისი ძმა ქაიხოსრო მუხრანბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდიერ-ასლანიშვილი, მანუჩარ ათაბაგი (იგი ოსმალებთან შეტაკებისას უკუქცეულა ახალციხიდან ახალდაბას

გადმოსულა და, როგორც კი ყიზილბაშთა შემოსევის ამბავი შეუტყვია, მაშინვე სამასი მესხით წამოსულა მოძმეთა მოსაშველებლად).

სასულიერონი: მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხაგბანელი

და დამსხდარან თათბირად სარდალნი — საერონი და სასულიერონი.

თუმცა ბევრი სათათბირო და საცილობელი რა უნდა ყოფილიყო! უმარტივესი ჭეშმარიტება გახლავთ: მცირე ჯარს რიცხვმრავალ მტერთან გაშლილ ველზე შერკინება უმრავლეს წილად მარცხს არგუნებს, ხოლო მთაგორიან ადგილებში შეტაკებისას დიდი ლაშქარი მთელის ძალით ვერ გაიშლება და მისი მოპირდაპირე მცირერიცხოვანი ჯარი ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. ამასთან, რაკი სიცხიანი ამინდები იდგა, ბუნებრივად უნდა ეფიქრათ, რომ პაპანაქებით შეპყრობილ მარაბდის ველზე მზის გულს შეზრდილი სპარსელები უფრო ძალმოსილად იბრძოლებდნენ, ვიდრე „უფრო ჩრდილოელი“ ქართველები.

მაშ, ქართველები კოჯრის მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას. ეს სავსებით უბრალო, „შეუიარაღებელი თვალით“ დანახული, საღი და ნათელი მოსაზრება წარმოადგინა გიორგი სააკაძემ. განსაკუთრებით, ქვეითად მოსული ჩვენი გლეხკაცობა ვერ გაუძლებს სიცხიან მინდორზე სპარსულ მხედრობასთან რკენას და სულ ერთიანად დაგვეღუპებაო, ამბობდა გიორგი.

ბაადურ ციციშვილმა მაშინვე აუბა მხარი მოურავის განასაჯს.

„სიცხით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ქვეითად მბრძოლი გლეხობა მართლაც ამოგვიწყდება, ხოლო, — თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველოც დაძაბუნდა!“ დაასკვნა ციციშვილმა.

მაგრამ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მარტო აღმოჩნდნენ თავიანთი „საღი აზრებით“. ყველა დანარჩენმა სარდალმა შეტევაზე გადასვლა მოითხოვა — მომავალ დღეს, დილით ადრე, მარაბდის ველზე.

ზურაბ ერისთავმა თქვა: გიორგის რჩევა კარგია, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც აქეთ, ჩვენი საფრისკენ წამოვა და სხვა გზას არ აირჩევსო. ამიტომ სჯობია დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა დგასო.

ბარათა ბარათაშვილმა, ქვემო ქართლის, ანუ მეწინავე სადროშოს სარდალმა თქვა: მტრის დაცდა და ლოდინი ჯარებს დაგვიშლის, ლაშქარი დაგვეფანტება, ისედაც ყიზილბაშთა მხედრობა ქვემო ქართლის მიწაზე დგას, საბარათიანოში, აქაურობას ავერანებს და ამას ჩვენ დიდხანს ვეღარ მოვითმენთ. ამიტომ ხვალ დილითვე უნდა დავეცეთ მტერსო (ბარათას საკუთარი სატკივარიც სტკიოდა: მას ყაფლან ბარათაშვილის მამა-ბიძები ამოეწყვიტა და მათი მამულები მიეტაცნა. ყაფლანს სპარსეთში გაესწრო და ახლა იგი ყიზილბაშთა ლაშქარს მოჰყოლოდა მეგზურად და თავისიანთა სისხლის საღვრელად).

ძმებმა თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონებმა თქვეს: დიდხანს დგომა არც ჩვენ შეგვიძლიაო. ამიტომ თუ დაგიწყიათ ბრძოლა ხომ კარგი, თუ არა და ჩვენის ლაშქრით ავიყრებით და სულ გაგვცლეთ!

იგივეს ამბობდა იასე ქსნის ერისთავი.

კახელმა სარდლებმაც თქვეს: თათრები ბარე ორჯერ გაგვილახავს და კიდევაც გავლახავთო; ამიტომ ხვალ სისხამზე დავიწყოთ, დილაგრილოზე ვიომოთ და სანამ ასიცხდებოდეს მანამ მოვრჩეთო.

ბოლოს მანუჩარ ათაბაგს სთხოვეს თათბირი მოწიწებით და მანუჩარმაც თქვა დინჯად: ბრძოლის საბრუნავს ბედისწერა და ღმერთი აბრუნებს; უმეტეს წილად კი მაინც ის მხარე გაიმარჯვებს, რომელიც ფიცხლავ, მოულოდნელად დაასწრებს დარტყმას. ამიტომ მეც ვფიქრობ, ხვალ უთენია დავეცეთ მტერსო.

ჯარიც საომარი ცეცხლით ანთებულიყო. გამორჩევით, ახალგაზრდობა ველარ იჯერდა თავს. იარაღს აწვალებდნენ, „კბილებს იმსხვრევდნენ“ და გაიძახდნენ: ჩვენ მტრის მოსვლას რად ველოდებით, ან სიმაგრეში ჩასაფრება ვის ეკადრება, თქვენ მიგვიძეხით და მიგვიშვით და, მეფის მზეს ვფიცავთ, დაგანახებთ ყიზილბაშთა სისხლისა და ცრემლის დენასო!

გადაწყდა: მთიდან დაშვება და გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვა.

და ეს იყო პირველი შეცდომა, — გაუსწორებელი შეცდომა, რადგან გადაწყვიტეს სწორედ ის, რაიც სწყუროდა და ენატრებოდა თვითონ მტერს.

(აკი ხშირად იქცეოდნენ ქართველები მტრის გულის გასახარად!)..

ახლა მთავარსარდლობის საკითხიც დადგა.

თეიმურაზ მეფეს არც სარდლის ნიჭი აკლდა და არც ჯარისკაცული შემმართებლობა, მაგრამ გიორგი სააკაძე — იმჟამინდელი უპირველესი „გენერალი“ (თუ „მარშალი“) — იქ იყო და...

ერთი სიტყვით, ასე გადაწყვიტეს: მთავარსარდლობა მიანდეს მეფე თეიმურაზს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა, — გაუსწორებელი შეცდომა, რადგან ყიზილბაშებს თეიმურაზ მეფისა დიახაც ეფიქრებოდათ, მაგრამ გიორგი სააკაძისა პირდაპირ ცხოველური შიში და ძრწოლა ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, ქართველმა თავკაცებმა ყველაფერი ისე „გააწყვეს“ როგორადაც სახლში ფეხშემოდგმულ მტერს მოესურვებოდა და მოენატრებოდა...

...თეიმურაზ მეფემ წინასწარ მზვერავი რაზმი გაგზავნა დავით ჯანდიერისა და აღათანგ ხერხეულიძის სარდლობით. ორივეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში თითო თვალი დაჰკარგვოდა — დავითსაც და აღათანგსაც. ჯარში ზოგს ეცინებოდა, ზოგსაც ეფიქრებოდა მეფის ამნაირი გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწყვეტილება — ბრძოლის წინარე ჟამს რაღა მაინცდამაინც უთვალო სარდლები დანიშნა მტრის „სათვალთვალოდო“!..

ღამე მომძლავრდა.

უკანმოუბრუნებლად მიგორავდა 30 ივნისი 1625 წლისა.

ქართველთა ლაშქარი ზიარებად იდგა.

ეპისკოპოსინი — მროველი, ალავერდელი, რუსთაველი, ხარჯაშნელი— და მრავალი მღვდელი და ბერი-ფიჩოსანი იარაღასხმული დამდგარიყო ერისკაც მამულიშვილთა გვერდით.

მეფე მიუახლოვდა რუისის ეპისკოპოსს — მროველს, დომენტი ავალიშვილს, და სთხოვა ზიარება და დალოცვა ჯარისა.

გიორგი სააკაძეს გაუხარდა, მისი თანამოაზრე და თანამოსაგრე ეპისკოპოსი რომ დალოცავდა და აზიარებდა ლაშქარს ბრძოლის წინ.

მროველმა მეფეს მდაბლად დაუკრა თავი. ჯვარისმტვირთველს ჯერის გამოსვენება უბრძანა და თვითონაც წინ წამოდგა იარაღასხმული.

ყველას ეუცნაურა საომრად შეჯურვილი სამღვდელოსაგან ზიარება.

თეიმურაზმა იგრძნო საერთო „უხერხულობა“ და მაშინვე ეს უთხრა მროველს:

„უკეთუ აპირებ აღიღო ხმალი საბრძოლველად, მაშინ უბრძანე რამეთუ გვაზიაროს სხვამან სამღვდელომან, ხოლო უკეთუ ხმალს შემოიხსნი, გვირჩევნია შენ გვაზიაროს“.

ან ერთი, ან მეორე, ეუბნებოდა თეიმურაზი დომენტის — ან ბრძოლაში მონაწილეობაზე აიღე ხელი, ან ზიარებაზეო.

მაგრამ მროველმა არც ერთის დათმობა მოისურვა, არც მეორისა. მან ჯერ თვალი მოავლო ყოველ სამღვდელოს, დიდსა და მცირეს მაღალდაბლობით — ეპისკოპოსიდან ვიდრე უბრალო მორჩილ-მოწესემდე.

ყველანი იარაღში ჩამსხდარიყვნენ მდუმარენი. ყოველ მათგანს მაზიარებელი მღვდელობა კი არა, ბრძოლის ველზე თავდადებული მამულიშვილობა აერჩია საკუთარი სიცოცხლის წილად.

სახეზე ნათელი დაეფინა მროველს, ხმლის ვადაზე ხელი დაიდო და ძლიერი ხმით მიმართა ერსა და ბერს:

— ქართველნო, შვილნო, ძმანო და მამანო! იცოდეთ ყველამ — მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადული წადნიერების საკეთილდღეოდ, არამედ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავად და მტერთა მისთა სისხლის საღვრელად. ამიტომ ჯერ არს სწორედ მე ვაზიარო ქართველნი გმირნი და მამულიშვილნი, რამეთუ მათთან ერთად მეც მზადა ვარ დავათხიო საკუთარი სისხლი გადასარჩენად ქართველობისა და ქრისტიანობისა!

აღტაცებამ მოიცვა ლაშქარი, და „მროველმა გვაზიაროსო!“ — იგრიალა ყველამ ერთბაშად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აზიარა, და დალოცა სალაშქროდ შემართული ქართული მხედრობა რუისელმა სულიერმა მამამ.

ჯვარი გარდასახა — ჯვრით და ხმლით.

ყოველ ქართველს ზიარებად მისცა ქართული პური და ქართული ზედაშე, ვითარცა ხორცი და სისხლი საქართველოსი.

დალოცა დროშა საქართველოსი — ნაშთი — ნაფლეთი ერთ დროს ჰაერეთში მძლავრად მქროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

მედროშე აღმოჩნდა მტრის საზვერავად წასულ აღათანგ ხერხეულიძის ძმა.

და ალამდარ ხერხეულიძეს კიდევ შვიდი ვაჟკაცი უდგა მხარმიჯრით. ისინიც მისი ძმები აღმოჩნდნენ.

ლედისგან ყოფილან დალოცვილნი და შეგონებულნი: სააქართველოს დროშა არ დასცეთ ქართულ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ აიტაცოს დროშა, თუ ამასაც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე მანამ, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდეს. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!..

მაშ, ცხრა ხერხეულიძე გამოდის მამულისათვის სისხლის საღვრელად; სულ ერთია, ვისი სისხლიც დაიღვრება — ხერხეულიძეთა თუ მათი მომტერე ყიზილბაშთა — ოღონდ კი საქართველო გადარჩეს!

ცხრა ძმა ხერხეულიძე!

იქ კიდევ ცხრა მაჩაბელი ჩამდგარა ერთიან, ჩაკირულ კედლად.

იქ კიდევ — შვიდი ჩოლოყაშვილი.

ღმერთო, ამრავლე — ცხრა-ცხრა, შვიდ-შვიდი, არანაკლები!..

...ღამე განზოგადდა.

კოჯრის მთიდან ეშვება ქართველთა ჯარი.

მიდიან, „მხიარულად და თამამად“.

კახელთა რაზმებში ხუმრობენ ბიჭები: მივალთ, მივდივართ იქ, სადაც მაკე ფურები გველოდებიანო.

გზაზე ჯანდიერისა და ხერხეულიძის მზვერავებმა დახოცილი ყიზილბაშები შემოაგებეს. ისა-ხან ყორჩიბაშის მსტოვრები ყოფილან, ქართველთა დასაზვერავად წამოსულნი. ქართველ მზვერავებს გადაჰყროდნენ და ზედვე შეჰკვდომოდნენ.

ჯანდიერი „იმუქრებოდა“: სადაცაა გათენდება და ისწრაფეთ, თორემ ჩვენც აღარ დაგელოდებით, ისე შევებმებით მტერსო.

ფეხი აიჩქარეს. ფერდობი ჩაითავეს, მინდორში ფეხი ჩადგეს და კიდეც ინათა.

გათენებულიყო 1 ივლისი 1625 წლისა.

ღლე — სახელოვანი მ ა რ ა ბ დ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა.

სახელოვანი თუ საბედისწერო?!

თუ ორივ ერთად — სახელოვანიც, საბედისწეროც?!

ლამის გამსკდარიყო მოსარკული ცა. უკვე ჩანავლებული ციხკრის ვარსკვლავიც უსაშველო სიცხით და ლულით ემუქრებოდა საომარ თვლ-პიონს.

ამიტომ დროზე, მზის განზოგებამდე და გამძვინვარებამდე უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია!..

თეიმურაზმა ლაშქარი მოუმკალ ყანაში შეიყვანა და მცირე ხნით მუხლი ჩააკრეფინა.

მტრის ბანაკიც გამოიკვეთა მოძალებული სინათლის ჩქერზე.

ხშირი, კუნაპეტი ტყე-მაღნარივით ჩაგუბებულიყო ყიზილბაშური ურდო.

— უჰ, რამდენი არიან?! — ამოიგმინა ვილაცამ.

— ჰო, სიმრავლე გვარტომობით მოსდგამთ მაგ წყეულებს, — შეაგება მეორემ.

— ბევრი არიან? მერე რაო — მათ შორის არც ერთი არ არის თქვენისთანა ვაჟკაცი! — ეს სააკაძის ხმა უნდა ყოფილიყო...

...ეტყობოდა, სპარსელთა სარდლობა დარწმუნებული ყოფილა, ბრძოლა ამ დღეს რომ მოხდებოდა, ქართველები რომ „სპარსელთა სასურველს“ მოისურვებდნენ და საომრად სწორედ მარაბდის ველზე ჩამოვიდოდნენ.

ამიტომ საომრადაც დიდის გულმოდგინებით მომზადებულან.

სანგრები გაუთხრიათ.

სანგრებს უკან, მიწაყრილებზე, ზარბაზნები ჩაულაგებიათ.

ზარბაზნებს შემდგომ, თორმეტი ათასი მეთოფე ჩარიგებულიყო ოთხ „ტერასად“: პირველი ტერასა — ცალ მუხლზე ჩაჩოქილი, მეორე — ფეხზე მდგარნი, მესამე — ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთხე — კიდევ მაღლა, აქლემებზე ალმჯდარნი.

თოფიანი ათასეულების სარდლად იდგა ამირგუნე-ხანი, სიმამაცისთვის „სარუ ასლანად“ (ყვითელ ჯიქად) წოდებული.

ყიზილბაშური ურდოს შუაგულში რჩეული მხედრობით ჩამდგარიყო თვითონ მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში.

დანარჩენი ჯარები ფლანგებზე იდგა ჩატბორილი და ჩაგუბებული.

მარჯვენა ფლანგის სარდლად — ხოსრო-მირზა, გათათრებული ქართველი ხოლო მემარცხენე სარდლად — ყაზახ-ხან ჩერქეზი.

არსად ჩანდა აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და მისი მხედრობა...

თეიმურაზ მეფემ ლაშქარი საომრად გაამზადა.

წინ ცხენოსნები დააყენა, უკან ქვეითი ჯარი.

(არ ჩანს — რომელ სარდალს რომელი ადგილი ეჭირა)...

...ომის ღმერთმა ხელში აიღო ბრძოლის სასწორი: ქართველთა პინაზე — 20000, სპარსელთა პინაზე ჯერჯერობით — 50000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...შეტევა ქართველებმა დაიწყეს.

სათოფე მანძილამდე ნელი წყობილი ნაბიჯით იარეს, სათოფეზე ფარ-შუბი გაიმართეს და ჭენებით გაქანდნენ გამგელებულნი.

თორმეტი ათასმა სპარსულმა თოფმა და ზარბაზანმა გულგამგმირავი გრიალითა და მეხთატეხით ლამის ერთმანეთს შეალეწა მიწა და ზეცა.

ნათოფარ-ნამეხარმა კვამლმა დააბნელა მტერთაშორისი თვალსარბიელი.

წუთით შედედდა ქართველთა იერიში.

პირველი სისხლიც ქართული დაქცეულიყო მარაბიდს ყანებში.

წუთში კვამლიც გათხელდა და ისევ მოხსლიტეს ცხენები ქართველებმა. მძლავრი ყიჟინით ეკვეთნენ და შუბის ძგერებით შეანგრიეს სპარსელთა მეწინავენი.

„და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუზარადზედ ხეთქინება“.

ქართველთა ძლევამოსილებით დაქანდა ბრძოლის სასწორი მეომარი ღვთაების ხელში.

ეტეეებოდნენ ქართველები „ერთპირობით, გულსრულად, ჯავრიანად“, „ჰხოცდნენ, ლეწავდნენ, ჩამოჰყრიდნენ“.

აბღავლდა, აღმუვლდა, აღრჭიალდა მარაბდის ველი.

„ქრისტე!.. და საქართველო!“

„ალაჰ, ილალლაჰ!“

მზე შუბის ტარზე წამოვიდა, სისხლიანი შუბების სროლით.

ქართველებმა გაალმასებული ხმალთაკვეთებით სრულად აჰკაფეს „ყვითელი ჯიქის“ მეწინავე-მეთოფე ათასეულნი და „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ ცხენოსანთა და აქლემოსანთა „ტერასებში“.

„ჰკა მაგას!.. მიდი, მივეშვნეთ!.. ჩვენ გავიმარჯვებთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი! ქრისტე და საქართველო!“

„ალლაჰ, ილალლაჰ!“

ამირგუნე-ხანის თორმეტი ათასი მეთოფე-მეომარი უკვე აღარ იყო თორმეტი ათასი. დარეცილიყო, დანრგეულიყო, დაფანტულიყო ყიზილბაშთა წინა ლაშქარი.

ამირგუნე-ხანს მიუხდა მანუჩარ ათაბაგი.

„ყაენის სიცოცხლეს გაფიცებ, იქნებ მიცნო მანუჩარ ათაბაგი!“ — შეუძახა მესხთა მთავარმა.

დიახაც იცნობდა „ყვითელი ჯიქი“ თავის გაზრდილს.

ცხენდაცხენ ეკვეთნენ ერთმანეთს.

გამზრდელის ხმალი აისხლიტა გაზრდილმა და თვითონ გადაჰკრა „თავსა თაჯიანსა“.

შვილს მამის მკლავი გამოჰყოლოდა (გაიხსენეთ, როგორ გააპო თავიდან ჭიპამდე ხმლის დარტყმით თურქი მანუჩარის მამამ, მანუჩარ-მუსტაფამ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან „ყვითელი ჯიქი“.

მაინც აღმართა მეორედ ხმალი ათაბაგმა.

ქვევიდან დაასწრო ამოძახილი ძირს დაცემულმა.

„ნამაქაფარმო,* რისთვის მკლავ, აკი ჩემი გაზრდილი ხარ?!“

ხმალი დაუშვა მანუჩარმა, ხელიც აღარ გაუნძრევია, როცა ყაჯარები წინ ჩამოუხტნენ და გაიტაცეს მძიმედ დაჭრილი თავისი სარდალი.

(მაინც მანუჩარ ათაბაგის დანაჭდევ ჭრილობას გადაჰყვა შემდგომ ამირგუნე-ხანი).

დულდა მარაბდის ველი — გმინავდა, ღმუოდა, ზმუოდა.

სუსტდებოდა „ალლაჰ, ილალლაჰ!“

მძლავრდებოდა „მიდი, დაჰკა, ჩვენთან არს ღმერთი და საქართველო!“

მისდევდნენ ქართველები გააფთრებული ჩეხვით და კაფვით.

ყველა ლომ-გმირი შექნილიყო — მეფეც, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბერიც.

„ჩვენ გავიმარჯვეთ! მიდით, დაჰკარით, ქართველებო! ჩვენთან არს ქრისტე და საქართველო!“

ზედიზედ ენარცხებოდნენ სისხლიან მიწას ლომის გერბიანი დროშები.

ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძის ხელით აღმართული ქართული დროშა — მაინც გორგასლიან-დავითიან-თამარიანი.

ყველა ქართველი ლომად ქცეულა, მაგრამ მაინც ისევ „სხვანაირია“ შემმართებლობა დიდი მოურავისა. მუზარადი მოეხადა გიორგის. ასე „უჯობდა“, რადგან „მოურავ-ბეგის“ მძვინვარე სახის ხილვით თავზარი დასცემოდათ „მის ნაცნობ“ ყიზილბაშებს.

იბრძოდა გიორგი სააკაძე. თითქოს ომის ღმერთი ჩამოსვეტილიყო ციდან მიწაზე. იგი იყო ყველგან, სადაც მისი საარაკო ვაჟკაცობა საგანგებოდ ეჭირვებოდა მისიანებს. ყიზილბაშთა სქელ რაზმებს არჩევდა სააკაძე. შეუტევდა და „მუსლჩაკეცილი ეშვებოდა“ სპარსული რაზმი.

თოფი ესროლა სპარსმა მხედარმა. ყალყზე შეაგდო ცხენი გიორგიმ. სულგავარდნილი დაეცა ცხენი. წამსვე საკუთარი მოართვა გვერდით მბრძოლმა ლომი ჩრდილელმა. ელვასავით მოევლო სააკაძე. ცხენის მკვლელს წამოეწია, ხმლით ჩამოაგდო და მოკლულის ცხენი ლომი ჩრდილელს მიუმაგივრა.

დიდი სიმამაცით იბრძოდა „მეორე გმირი“ — ზურაბ არაგვის ერისთავი. დაჭრილიყო ზურაბი, „შუბლზედ თოფსა გარდაეკრა“, მაგრამ მაინც არავის შეუსმინა და არ გავიდა ბრძოლის ველიდან.

---

* ნამაქაფარმი — უპურმარილო, მარილ-ნაარმევი.

ბლაოდა, ღმუოდა, ზმუოდა ზრიალებდა მარაბდის ველი.

ქართველები ყიზილბაშთა შუაგულში შეიჭრნენ და ფლანგებისაკენ გაიშალნენ ორმხრივ საიერიშოდ.

„მიდი, დაჰკარ, ჩვენ გავიმარჯვეთ, რამეთუ ჩვენთან არს ერისტე და საქართველო!“

ყიზილბაშთა ვერც ერთმა ფლანგმა ვერც თავისიანთა შუაკერძზე მიშველება მოახერხა, ვერც ქართველთა გახელებული იერიშების შეკავება.

მარცხენა ფლანგზე ყაზახ-ხან ჩერქეზი გულჩუკენად შეეგება ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავ-არაგველის თავდასხმას. პირუტყვული შიშით ატანილი გაექცა ყაზახ ჩერქეზი ახალგაზრდა სააკაძის საომარ გაწვევას. მისი შირვანული მხედრობაც თან მიჰყვა გაქცეულ სარდალს ცხვირპირის მტვრევით.

გამოედევნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი თავიანთი ჯარით, ბრძოლის ველიდან გადაიკარგნენ გაქცეულებიც და მდევრებიც.

ეს როგორ? ნაადრევად ხომ არ შესტოპეს ახალგაზრდა ქართველმა სარდლებმა? ან პირიქით — საბედისწერო შეცდომა ხომ არ იყო ესოდენ რასწრაფეევად და ნაცუნცუხევად ცხენოსანთა დიდი ნაწილის ჩამოკვეთა ქართველი მხედრობის მთავარი სხეულისგან?!

ვაითუ...

თუმცა... ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც მოეხსნა ბრძოლას — ხოსრო-მირზას ფლანგი. ვერ ისახელა თავი ისფაჰანის ტარულამ, შაჰ აბასის „რჩეულმა გურჯმა“. ან, იქნებ არც გაიმეტა ქართველთა სისხლის დასაქცევად არც მკლავი და არც გული წავკისელი გლეხის ქალის ნაშობმა ვაჟკაცმა?!

მზე საშუადღეოსკენ მიიწევდა ცეცხლოვანი ისრების სროლით.

მაგრამ მზე რაღად ენაღვლებათ „უკვე გამარჯვებულ“ ქართველებს!

აჰა, ყიზილბაშთა უკანასკნელი ძალაც — შუაკერძი — და იგიც უკუაქციეს ქართველებმა გავეშებული ხმალთაკვეთებით.

მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა, „უაღრესად გულად და შემმართებელ მამაცთა მცირე რაზმით“, ღრმა ზურგში გადაინაცვლა და მოიერიშე მტერს წინ დაუგდო ორდუბაზარი.

(ორდუბაზარი ყიზილბაშთა ქონების, საქონლისა და სიმდიდრის სათავსო სადგომი იყო).

და ერთბაშად დაეძგერნენ ქართველები მტრისგან დაგდებულ ყველაზე „ქონიან ნაჭერს“.

საკუთარი ხმლები შორს მოისროლეს — უქარქაშო ქართული ხმლები, რომლებმაც აქამდე ძლევით მოიყვანეს თავიანთი პატრონნი.

ხმლები ხელიდან გაუშვესო?!

ეს უკვე ბედისწერა იყო!..

მტრისგან დაუნჯებულ სიმდიდრეს დაერივნენ და თვითონაც აირივნენ.

იტაცებდნენ ყველაფერს „უცხოს“ და „საუცხოოს“ — ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ მურასა ხმლებს, ხანჯლებს, აკინაკებს, რაბტსა და უნაგირს, თაჯსა და ჯიღას, ოქრონემსულ ხალათებსა და კაბა-ჯუბაჩას.

უპატრონოდ მიმოფანტული ეყარა უქარქაშო ქართული ხმლები.

ისინი აღარ სჭირდებოდათ „გამარჯვებულ“ და ალაფალაში თავდავიწყებით ჩაფლულ პატრონებს. ეს აღარ იყო ქართული ჯარი და აღარც ჯარი საერთოდ.

თეიმურაზ მეფემ და გიორგი სააკაძემ კი ჯერ არ იცოდნენ, რა ამბავიც დაეტრიალებინა „ორდუბაზართან“ ქართველთა მანამდე გაუგონარ სიხარბესა და სიწუწკეს. ისინიც — „სრულს გამარჯვებაში“ დარწმუნებულნი — უკან ჩამორჩენოდნენ ლაშქარს: ზურაბ ერისთავს წამდაუწუმ გული მისდიოდა ჭრილობიდან სისხლდამდინარეს, და იმას დასტრიალებდნენ მეფე და მოურავი.

ხოლო მზე, თითქოს მდუღარე სისხლით გატენილი, საშუადღეოზე დაყუდებულიყო.

და ერთბაშად, ანაზდად, სისხლით ნარწყულებ მარაბდის ველზე „მესამე ძალა“ შემოიჭრა გამძვინვარებით: აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი მოჰქროდა ახალი, ხელუხლებელი, საომარი ყიჟინით ანთებული დიდის მხედრობით. მოთქარუნობდნენ ისლამიტური დროშების ფრიალით, საომარი ნაღარების, ბუკებისა და ზურნაიკების ზმუილით, დოლბარბითების დაგადუგითა და გაბმული, სისხლისვამყინავი ყივილით:

„შაჰ გელდი! შაჰ გელდი! შაჰ გელდი!!!“

შაჰი მოდისო?

წამოიშალნენ ქართველები.

მაგრამ გვიანღა იყო თავის აღებაც და ხელის გამოღებაც.

ძნელი ყოფილა, ძალიან ძნელი, ხელიდან გაშვებული, ნამსახური უქარქაშო ხმლის დაბრუნება!

და ელვის სისწრაფით ტრიალებდა ჩარხი ბედისწერისა.

ერთბაშად დაქანებულიყო ბრძოლის სასწორი ქართველთა ბედით.

სამი მხრიდან წამოემართნენ ყიზილბაშნი დელიბაშური გამძვინვარებით.

შუაკერძით — ისა-ხან ყორჩიბაში, მარჯვნით — შაჰბენდე-ხანი და მარცხნით — ხოსრო-მირზა.

და სპარსელები მაშინ იწყებდნენ ბრძოლას, როცა იგი ქართველებს დამთავრებული ეგონათ.

„ალლაჰ, ილალლაჰ!“ — აზანზარდა მიწა და ზეცა.

„ქრისტე და საქართველო!“ — სისხლნაკლულად გაისმა სოდომ-გომორულ მეხთატეხაში.

ნაფლეთ-ნაფლეთი რაზმებით იბრძოდნენ ქართველები.

იბრძოდნენ მაინც საარაკო შემმართებლობით, გააფთრებით ვიწყებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრძოდნენ თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის.

ფეხი ცურავდა სისხლით ატალახებულ მიწაზე. მკლავი იქანცებოდა. მუხლი იკვეთებოდა. მაჯა დუნდებოდა. გული ძრწუნდებოდა.

„ჩვენ გავიმარჯვებთ! ალლაჰ, ილალაჰ!"

ორი ცალთვალა გმირი დაეცა შორიდან ნაძგერალი გმურებით გულ-განგმირულნი — დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე.

მკერდშემუსვრილი დაეცა თეიმურაზ მუხრანბატონი.

„თეიმურაზი მოჰკლეს! თეიმურაზი მოჰკლეს!" — მეხივით დაურბინა ქართველობას საბედისწერო ძახილმა.

სწორედ საბედისწერომ — რადგან ჯარს მოკლული ეგონა თეიმურაზ მეფე და არა თეიმურაზ მუხრანბატონი!

ხოლო ბევრისთვის მეფის სიკვდილი ომის დასასრულს ნიშნავდა.

და სულ წარეკვეთა სასოება ისედაც ძალადაშრეტილ ჯარს.

ქართული ცხენოსანი ლაშქარი შემობრუნდა და გაიქცა.

ამაოდ ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გამოქცეულთა შეკავებას.

ისევ არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი, ადრე გაქცეულ სპარსელებზე მდევარი ჯარებით, არა და, როგორ ეჭირვებოდა მათი მოსვლა ქართველობას!..

ქართული დროშა შექანდა უცებ. ეს — მედროშე ხერხეულიძე დაცემულიყო მკვდარი. მისმა ძმამ აიტაცა დროშა. ისიც დაეცა განგმირული, მესამე ძმამ მოუსწრო და ისევ აღმართა დროშა საქართველოსი...

იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი სააკაძე. „იმდროინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთა-განცა არა თქმულ არს, რაც ამ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა".

იბრძოდა მეფე თეიმურაზი, იბრძოდა, ვითარცა შვენოდა გმირ ხელ-მწიფეს, სარდალს და მხედარს. „მას დღესა ბატონმან თეიმურაზ დაამტ-ვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩომოდა რა და ბეჭდე-ბიცა დაემტვრია" მუშტის ძგერებით.

ისევ „დიდად მხნედ და ძლიერად ომობდნენ" მანუჩარ ათაბაგი და „ყმანი მისნი".

ტყვიით განგმირულნი დაეცნენ ეპისკოპოსნი — რუსთველი და ხარ-ჯაშნელი.

დაეცა ბაადურ ციციშვილი, რომელმან თქვა სიტყვა უკვდავი და მა-რად სახსოვარი: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა!"

და წყდებოდა „გლეხი კაცი" — უკვე წყდებოდა მარაბდის ველზე მისი

თანამემამულე „საზეპურო ერისაგან“, თავადობისაგან ქვეითად დაგდებული და მიტოვებული.

კიდევ ზედიზედ დაცემულიყო სამი ხერხეულიძე, შორიდან ტყვიით დაცხრილულნი. კიდევ სამი ძმა დარჩენილიყო ხერხეულიძის ნაშიერი. ამიტომ ისევ ფრიალებდა ქართული დროშა.

უკანასკნელმა ცხენოსანმა ქართულმა თავადაზნაურობამ მიატოვა ბრძოლის ველი და კოჯრის მთას მიაშურა თავშესაფარად.

სულ მარტო დარჩა წვრილი ერი“.

მაინც იბრძოდა გააფთრებული გლეხკაცობა — მარადიული სიმტკიცე და სინდისი საქართველოსი. იბრძოდა შეურცხვენელი, ღირსეული სიკვდილისათვის. „ალაგ-ალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიდამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს. ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს“.

მზე ჩაესვენა დაქანცული, ჯანდაკარგული.

მაინც ფრიალებდა ქართული დროშა უკანასკნელი ხერხეულიძის ხელით ზეაღმართული და სისხლდადენილ გლეხთა მცირე გუნდით შემოსალტული.

მეთოფეთა ათასეული შემოუსია ყოვლის მხრიდან ყიზილბაშთა მთავარსარდალმა.

და დაიგრიალა ათასმა თოფმა.

უკანასკნელმა ნამეხარ-ნახმევმა შეაზანზარა მარაბდის ზეცა.

უკანასკნელი მამულიშვილნი დაენარცხნენ მარაბდის მიწას.

უკანასკნელი ხერხეულიძის განგმირულ მკერდზე დაცემულიყო ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს ცისგვამში მძლავრად მქროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა ქართული მიწა-წყლის საკურთხეველზე. აღესრულა უგანაჩენო მარცხისა და უბადლო გმირობის აპოთეოზით.

წყვდიადში ჩაიძირა ადამიანის გვამებით დარეცილი და დამძიმებული საომარი თალპიონი.

მთელი ღამე გმინავდა მარაბდის ველი.

დილით ახალმა მზემ პირველმა აღითვალა ადამიანთა ურთიერთ-ნამსხვერპლარი.

23 000 მკვდარი ესვენა მარაბდის ველზე — 14 000 სპარსელი და 9 000 ქართველი.

მზის თვალმა საგულდაგულოდ მოითვალისა:

ცხრა ძმა ხერხეულიძე,

ცხრა მაჩაბელი,

შვიდი ჩოლოყაშვილი...

... შავით მოსილი ქალი მიადგა უკანასკნელ მამულიშვილთა გვამების გროვას.

დაიჩოქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემხო,

დალეწილი მკერდი დაუკოცნა ხერხეულიძეს.

და ისევ აღმართა ცხრა ქართველი მამულიშვილის დედამ შვილის მკერდზე დაფენილი ქართული დროშა.

. . . . . .

მარაბდის ველზე განცდილმა მარცხმა დამარცხება არ არგუნა ქართველებს.

მარაბდის ველზე აღებულმა გამარჯვებამ გამარჯვება არ არგუნა სპარსელებს.

ომი გრძელდებოდა.

საბედისწერო ბრძოლის მეორე დღესვე მოპირდაპირენი კოჯორ-ტაბახმელას ტყეებსა და ხევხუვებში შეებნენ ერთმანეთს.

სპარსელები შიდა ქართლისკენ აპირებდნენ გაჭრას.

გიორგი სააკაძეს ჯარი მცირე რაზმებად დაეყო და „პარტიზანულ ომს“ შესდგომოდა.

ათი დღე-ღამე აკავებდნენ ქართველი მეომრები კოჯრის წკვარამებში შემოწოლილ ყიზილბაშობას.

ამასობაში ქართლის მოსახლეობა სიმაგრეებსა და სახიზნავებში აფარებდა თავს.

გათამამდა ტფილისის ციხეში ჩაკეტილი ციხიონი. შვიდასი ყიზილბაში გამოვიდა და სათარეშოდ შეესია ახლომახლო სოფლებს. საგანგებოდ აიკლეს ლისი, სააკაძის საუფლო სოფელი.

სამოცი მეომრით მოიჭრა გიორგი სააკაძე. მოიჭრა და შვიდასივე ყიზილბაშის თავი ისე დააგორა, არც ერთ საკუთარს განაკაწრიც რომ არ მიუღია.

ისა-ხან ყორჩიბაშს საქართველოში გამოლაშქრების წინ შაჰ აბასისგან ნაბრძანები ჰქონდა, არშის ციხიდან როგორმე გამოეხსნა მისი ცოლისძმა და სიძე ანდუყაფარ ამილახორი ცოლშვილიანად.

ანდუყაფარის მეუღლე ყორჩიბაშის ასული იყო და სპარსთა მთავარსარდალი ისედაც საგანგებოდ მოიწადინებდა არშის ციხის ტყვეთა გამოხსნას.

და ყორჩიბაშმა თერგის ხეობისკენ სალაშქროდ თორმეტი ათასი ყიზილბაშ-ყაჯარი აარჩია და მეთაურებად სამი სარდალი უჩინა: შაჰბენდე-ხანი, ყაზახ-ხან ჩერქეზი და ხოსრო-მირზა.

წინასწარ ანკესი ისროლა ყორჩიბაშმა — ვინ იცის, იქნებ მოეფთხო და, ზურაბ ერისთავს შეუთვალა: შენც კარგად იცი, როგორ უყვარს შაჰ აბასს თავისი შვილიშვილი, რომელიც ცოლად ჰყავს მისსავე საყვარელ ცოლისძმას ანდუყაფარ ამილახორს; ახლა ანდუყაფარი და მისი ცოლ-შვილი რომ არშის ციხეში ჩაგიკეტავთ, მე შაჰის ბრძანება მაქვს ტყვეები გამოვიხსნა, რადაც უნდა დამიჯდეს. არშისკენ მიმავალი გზა კი შენს საერისთავოზე გადის, არაგვის ხეობაზე. რაც იყო — იყო, დავივიწყოთ. ერთმანეთში სისხლს ნულარ დავღვრით. გზა მომეცი და ერთმანეთსაც შევფიცოთ — არც ჩემი ჯარი ავნებს რაიმეს შენს სამფლობელოს და ნურც შენი ხალხი შეეცდება ჩემიანების სისხლის დაქცევასო.

ზურაბ ერისთავის გულში კი ორი არსება ბუდობდა — ლომი და მატელი. პირველს გმირი ერქვა, მეორეს — პატივმოყვარეობა.

და ძალიან ხშირად ჩაგრავდა მატელი ლომს.

ახლაც დაავიწყდა ფასი საკუთარი გმირობისა და მამულიშვილობისა მარტყოფისა და მარაბდის გმირს. დაავიწყდა და გზა მისცა საარაგვოზე საქართველოს მოსისხლეებს. მხოლოდ ერთი პირობით გამოიჩინა ზურაბ ერისთავმა „უპირატესობა“ ყორჩიბაშთან შეთანხმებისას:

სპარსთა ლაშქარი არაგვის ხეობას აივლიდა, მაგრამ „მოის“ (უკან დაბრუნებისას) ქსნის ხეობაზე ჩამოივლიდა.

გასაგები იყო ზურაბ ერისთავის ეს „ახირება“: არაგვის ხეობა ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელი ყიზილბაშური დარბევისაგან გადარჩებოდა, ხოლო ქსნის ხეობა რა ზურაბის სანაღვლო იყო!.. ის კი არა და, ზურაბისთვის უმჯობესიც გახლავთ, ქსნის ხეობის ამოგდებით ყიზილბაშები ქსნის ერისთავს თუ დაასუსტებენ!

(ასეთია „სიბრძნე“ ჭეშმარიტი ფეოდალისა, თუნდაც ქართველი ფეოდალისა...).

მაშ, ასე შეთანხმდნენ ისა-ხან ყორჩიბაში და ზურაბ ერისთავი. „მიის“ („მიისობას“ — წასვლისას) — არაგვი და „მოის“ („მოისობას“ — წამოსვლისას) — ქსანი.

მაგრამ არ ეძინა გიორგი სააკაძეს. წიწამურისა და ღართისკარის ხევები ჩახერგა, თავისი „პარტიზანები“ ჩააყენა და არაგვისკენ წამოსულ სპარსულ მხედრობას წინ გადაუდგა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

ქართველებმა ათჯერ უმრავლესი მტერი ველარ შეიმაგრეს. გიორგიმ წეროვანისკენ დაიხია და ყიზილბაშურმა მხედრობამ საარაგვოს გააღწია.

არშამდე უვნებლად და არხეინად იარეს.

არშის ციხეს და მასში ჩაკეტილ ამილახვრიანთ სახლობას მცირე ციხიონი იცავდა. მაშინვე შეთანხმდნენ მიმხდურნი და დამხდურნი —

მეციხოვნეებმა ტყვეები გასცეს და სამაგიეროდ ციხე-სიმაგრე ხელუხლებლად დაინარჩუნეს.

წამოიყვანეს ანდუყაფარი და მისი ჯალაბი.

პირობისამებრ, სპარსელებმა საარაგვოზე ხელი აიღეს ერისთავებ-მთა გადმოლახეს და ქსნის ხეობაზე ჩამოეშვნენ.

დიდი სისხლითხევა ელოდა ქსანს.

გიორგი სააკაძე სწორედ ქსანზე დამდგარიყო სამხრეთისაკენ მომავალი მტრის დასახვედრად. იასე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრანბატონიც შეერთებოდნენ სააკაძეს თავ-თავიანთი ჯარით. მტრის ზურგზე საიერიშოდ უმცროსი ცოლისძმები, დავითი და გიორგი გაემზადებინა მოურავს (ზურაბ ერისთავს „ხელები დაებანა" — ჩემმა ძმებმა როგორც უნდათ ისე ქნანო! გულს სინანულიც შეჰპარვია ლომისა და მატლის პატრონს — ნეტავ ცუდად ხომ არ მოვიქეცი, სპარსელები რომ შემოვუშვი საარაგვოშიო?!).

შუაში მოიქციეს ქართველებმა სპარსთა მხედრობა.

მოიქციეს და „ამოსწყვიტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯვება არა თქმულ არს. მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა".

სააკაძემ ხუთი კონა ისარი შემოიხარჯა და მერე ხმლით დაერია ყიზილბაშებს.

შაჰბენდე-ხანი ტყვედ აიყვანეს ქართველებმა — აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, რომელმაც ქართველთა მარცხით გადასწონა მარაბდის საბედისწერო ბრძოლის სასწორი.

და იქვე ასჩეხეს ქართველებმა მათი სისხლის ავად დამაქცევარი.

ყიზილბაშთა მეორე სარდალმა შირვანის ბეგლარბეგმა ყაზახ-ხან ჩერქეზმა უკან, ისევ ჩრდილოეთისაკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ აქ დავით და გიორგი ერისთავთა მეომრებმა შეიპყრეს იგი.

(ყაზახ-ხან ჩერქეზი ცოცხლად მიჰგვარეს ჯერ ზურაბ ერისთავს, მერე თეიმურაზ მეფეს. არც ერთმა სასიკვდილოდ არ გაიმეტა, რადგან ორივეს პურ-მარილი ჰქონია მიღებული შირვანის ბეგლარბეგისაგან. და მანამდე ჰყავდათ ყაზახ-ხანი ცოცხლად დატყვევებული, სანამ ტყვემ მცველები არ მოისყიდა და თავს გაქცევით არ უშველა).

გიორგი სააკაძის პირდაპირ სპარსთა მესამე სარდალი აღიმართა — ხოსრო-მირზა, შაჰ აბასის კარზე აღზევებული ტარუღა ისფაჰანისა.

მარაბდის ველზე ვერ გამოჩნდა (თუ „არ გამოჩნდა") ხოსრო-მირზა, ხოლო ახლა... ახლა სასტიკი ხმალთაკვეთებით შემოუტია „თათარმა ქართველმა" ქრისტიან თანამოძმეებს.

ეს მესამე დღე გრძელდებოდა ბრძოლა.

ქსანი სავსებით „იქმნა ვითარცა სისხლი".

თორმეტი ათასი სპარსელისგან ერთი ათასეულიც აღარ იდგა ფეხზე.

მაგრამ მაინც იბრძოდა „მხეცქმნილი“ ხოსრო-მირზა, თათრულად განათლული გურჯი მხედარი, ქართულ-მეფურ და ქართულ-ეკლესიურ სისხლთა ნაჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელამებისას გამოარღვია ხოსრო-მირზამ სააკაძის სალტე, ამილახვრიანთ ოჯახიც გამოიტაცა და გაქუსლა.

თითქოს კიდევაც გაუხარდა გიორგი სააკაძეს, რომ „მისმა“ ხოსრო-მირზამ იმ დღეს მასზე „არანაკლები“ გმირობა გადაიხადა.

მთელი ღამის ლაგამახსნილი ჭენების შემდეგ ხოსრო-მირზა ტფილისს მივარდა და ყორჩიბაშს საღსალამათად ჩააბარა ანდუყაფარ ამილახორი და მისი ცოლ-შვილი.

დიდი სიხარული ჰქონდა ყორჩიბაშს: შაჰ აბასის ბრძანებაც აღასრულა და თავისი ასულიც ქმარშვილიანად დაიხსნა სამარცხვინო ტყვეობისაგან.

მაგრამ დიდი წუხილიც ჰქონდა სპარსთა მთავარსარდალს: თორმეტიათასიანი ყიზილბაშური მხედრობა ქართველთა ხელით ქსნის ხეობაში ჩაწყდა და ჩაიხლიწა, უამრავი საომარი საჭურველი, ტყვეები, ცხენები და საქონელი სააკაძის მეომრებმა დაინადავლეს.

მარაბდის სისხლი და ბოლმა ქართველებმა გადაჭარბებით აიღეს და ამოიგეს.

ორი კვირა ვერ დაიწმინდა ქსნის წყალმა წითელი ფერი...

... უცნაური ის იყო, არაგვსა და ქსანზე ყიზილბაშთა „მიისმოისობის“ დროს თეიმურაზი არსად გამოჩენილა არც მეფედ, არც სარღლად, არც ჯარისკაცად.

არც გიორგი სააკაძეს შეუწუხებია იგი — მაინცდამაინც გამოდი, გვიმეფე, გვისარდლე და გვიპატრონეო...

... ისა-ხან ყორჩიბაშს ბრძოლის ველზე გამოსვლა და ქართველებთან იარაღით შერკინება უკვე აღარ შეეძლო, ამიტომ ისევ „ციხის შიგნიდან გატეხვით“ შეეცადა სპარსთა მთავარსარდალი ქართლ-კახეთის მთლიანობისა და სიმტკიცის დაშლას. და ისევ გაუმართლა საქართველოს მტერს ამ „ნაცადმა გზამ“. ისევ დაეხარბნენ ქართლის თავადები სპარსულ ხალათებსა და „სახელოებს“. ყველას დაასწრო ღალატი ბოქაულთ-უხუცესმა ქაიხოსრო ბარათაშვილმა, რომელიც მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში სააკაძის საომარი დროშის ქვეშ იქნევდა ხმალს. ქაიხოსრომ ყიზილბაშებს მიართვა ქვემო ქართლის უმტკიცესი ციხე-სიმაგრე ბირთვისი. სამაგიეროდ, ყორჩიბაშმა ქვემო ქართლის სპასალარობა (რომელიც მანამდე ბარათა ბარათაშვილს ეპყრა) უკვე გათათრებულ ქაიხოსრო ბარათაშვილს უბოძა. მომდევნო 1626 წელს სპარსელებმა ტფილისის მოურავობაც ქაიხოსროს ჩააბარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ზოგმა სამღვდელომაც უღალატა ქრისტეს რჯულსა და ქართველობას.

ისევ სამხრეთ საქართველოში ჯარბობდნენ მოღალატენი.

გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა სწორედ სამხრეთიდან დაიწყო ბრძოლა-ბრძოლა სელებისთვის და სამცხისკენ გაქუსლა ცოლ-შვილით და ერთგული მამულიშვილების თანხლებით.

სამცხეს წასვლის წინ სააკაძემ ძლიერად გაამაგრა ქართლის ციხენი — კეხვი, კიკანათბერი, ალი და სურამი.

გიორგი სააკაძე რომ ქართლიდან გასულად დაიგულა, ქართველთა ტყვეობიდან თავდახსნილმა ანდუყაფარ ამილახორმაც მოინდომა „გმირობის ჩადენა". იგი შეუთანხმდა იასე ქსნის ერისთავს, და მისი თანადგომით თავს დაეცა თავად ღაზნელს, რომელსაც იგი მისი ლატყვევების და არშის ციხეში ჩაკეტვის მთავარ დამნაშავედ სთვლიდა. ღაზნელი ააწიოკეს და მისი ქონებაც გაიყვეს ანდუყაფარმა და იასემ. მცხეთის დეკანოზს მიუხდა ანდუყაფარ ამილახორი, ტაძარი გაუძარცვა და მუქარა დაუბარა — იცოდე, შენს ადგილზე ტფილისიდან მოლა-მუეძინსაც გამოვაგზავნიო.

მართლა არჩევდა ანდუყაფარი მოლას მცხეთის დეკანოზის შესაცვლელად, მაგრამ ამ რჩევაში რომ იყო, ნარიყალას ციხეზე ფეხი დაუცურდა, გადმოვარდა და მიწამდე სულიც აღარ დაჰყოლია.

იმავე 1625 წელს ისა-ხან ყორჩიბაშმა ტფილისში სვიმონ-ხანი „დააგდო" და თვითონ ანდუყაფარ ამილახორის დაქვრივებული ოჯახით და ამოწყვეტილ-გაჩანაგებული ჯარის ნაფლეთებით საქართველოდან წავიდა.

შაჰის ბრძანებით ყორჩიბაში ყარაბაღში დაბანაკდა. აქედან მას ისევ უნდა ებრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ და როგორმე შეენარჩუნებინა სამცხის ციხესიმაგრენი, რომლებიც წინა 1624 წელს სპარსელებს დაუჭერიათ.

ტფილისში „დაგდებული" სვიმონ-ხანი კი ისევ „ტყუილი-მეფე" იყო და სხვა არაფერი. ქართველთა შიშით იგი „ვერ გამოვიდოდა ციხიდამე და ვერცა პატრონობდა ქართლსა"...

... დიდი, სანიშანსვეტო წელიწადი შეიქნა 1625 წელი.

სრულიად სპარსეთის ლაშქარი იმჟამად 120000 მეომარს მოითვლიდა და აქედან ნახევარი — 60000 მეომარი საქართველოში დაჰკარგა შაჰ აბასმა. მერე, ეს სპარსული ტრაგედია ქართულ სცენაზე ნახევარი წელიწადიც არ გაგრძელებულა.

სპარსეთი დამარცხდა.

საქართველო ისევ ქართველებს ეკუთვნოდა.

ჭეშმარიტად ლომი ყოფილა შაჰ აბასი, რამეთუ გასაოცარი მოთმინებითა და მოჭირვებით მიიღო დარტყმა სამივე მეხისა — მარტყოფი, მარაბდა, ქსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქსანზე გამართული ხოცვა-ჟლეტის ამბავი დაწერილებით შეატყობინეს, მხოლოდ ეს თქვა აბასმა: ნამდვილი გმირი და ვაჟკაცი მარტო ხოსრო-მირზა ყოფილაო.

ხოლო როცა ხოსრო-მირზაც მოვიდა და ანლუყაფარ ამილახორის ოჯახიც მოჰგვარა, შაჰმა მაშინვე ბრძანა: დღეიდან ჩემი ყულარაღასი ხოსრო-მირზა იქნებაო.

„კი, მაგრამ ხოსრო-მირზა ხომ ისფაჰანის ტარუღა გახლავთ?“

„ორივე იქნება — ისფაჰანის ტარუღაც და ღულამთა ჯარის ყულარაღასიც“ — დაბეჭდა შაჰმა.

ამ „უცნაური გადაწყვეტილების“ შემდეგ შაჰ აბასი გილანს წავიდა „წმინდან წინაპართა“ საფლავებზე სალოცავად, საცრემლავად, „ქართული ბოღმის“ მოსაოხრებლად და მოსაქარვებლად.

იმ დღეებში კიდევ ერთი საწყენი ამბავი შეატყობინეს შაჰ აბასს: დარუბანდის ვილაიეთის ბეგლარბეგი მომკვდარიყო — იოთამ სულთან ქართველი, შაჰის აღზრდილი ღულამი, ჯერ კიდევ „გაუფუჩქვნელი ჭაბუკი“.

მაინც შეწუხდა ქართველებზე ცოფმორეული შაჰი.

და მაინც ქართველი დანიშნა დარუბანდის ბეგლარბეგად — ფეროხ-სულთანი, ფრიად მამაცი, ნიჭიერი და ერთგული ღულამი.

ხოლო, გიორგი სააკაძე სამცხეს მიდიოდა. თან მიჰყვებოდნენ — გერშანოზ ბარათაშვილი, გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილი, როსიტა გედევანიძე, დემეტრე საგინაშვილი, მათარსი შიხაიდრისძე და პაპუნა ვაშაყაშვილი.

სამცხეში ხალხი უნდა აეჯანყებინა და ყიზილბაშები განედევნა გიორგი სააკაძეს.

. . . . . .

მარაბდის ომიდან დაბრუნებულ მანუჩარ ათაბაგს სამცხეში ფრიად საშფოთარი ამბავი დაახვედრეს. თურმე მანუჩარის ბიძა, ბექა, სტამბოლს ბრძანებულა და ხონთქართან „რაღაც მოლაპარაკება“ ჰქოხია.

ბექა თავის ძმისწულს ათაბაგობის ტახტს ეცილებოდა და ამისთვის სტამბოლის კარს ელაქუცებოდა.

მანუჩარი ქრისტიანობისა და ქართველობის თავგანწირული დამცველი იყო გათათრების უფსკრულზე გადაჩეხილ მესხეთში, ხოლო ბექა უკვე ღალატისა და რენეგატობის გზაზე იყო შემდგარი. ამიტომ ბიძას „დიდი შანსები“ ჰქონდა ძმისწულისათვის ათაბაგობის წართმევისა.

მანუჩარმა გადაწყვიტა ხონთქარს პირადად სწვეოდა და ბიძამისის „ნაველრაგალი გარიგება“ იქვე, სტამბულის კარზედვე გაებათილებინა.

ამიტომ, როცა გიორგი სააკაძე სამცხეს ჩავიდა (1626 წლის ზაფხულის დამლევს), იქ მანუჩარ ათაბაგი არ დახვედრია.

სამაგიეროდ მესხი მამულიშვილები შემოეგებნენ დიდის ამბით სახელოვან გმირს. და სააკაძეს ჯარებით ეახლნენ: თანუნა დიასამიძე, დავით გოგორიშვილი, როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ და ბეჟან თაქთირისძენი.

და გაჩაღდა სამამულო ომი მესხეთში.

სააკაძემ მესხთა თანადგომით ზედიზედ აიღო ხერთვისი, აწყური, ფარავანი და გარეკა იქიდან ყიზილბაშთა ციხიონები. ახალციხისკენ გაემართა სააკაძე.

ახალციხეში სპარსელი სარდალი სელიმ-ხანი იდგა ძლიერი ციხიონით. სააკაძის მოახლოება რომ გაიგო, სელიმ-ხანი ჯარიანად აიყარა და ყორჩიბაშთან გაიქცა ყარაბაღში.

სააკაძე ახალციხეში შევიდა.

ყორჩიბაშმა სასწრაფოდ ჯარი გამოგზავნა სამცხის დასარბევად და სააკაძის გასანადგურებლად.

მოურავი სანადიროდ გასულიყო და თავისი თვალით ეხილა, როგორ გაივსო საფარისა და ასპინძის მიდამოები ყიზილბაშური მხედრობით.

და ჩაუხტა სააკაძე „მცირედითა კაცითა“ რიცხვმრავალ მტერს. ჩაუხტა და ეკვეთა გამძვინვარებით. „ეკვეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიდნა იგინი“. სპარსთაგან მცირეოდენმა გაასწრო სიკვდილს.

ახლა საკითხი დაისვა ყიზილბაშთაგან განთავისუფლებული სამცხისათვის „ადგილის მიჩენაზე“. ბუნებრივად იგულისხმებოდა, რომ სამცხე გაერთიანებულ ქართლ-კახეთს უნდა შეერთებოდა. აკი თვითონ გიორგი სააკაძის ყველაზე დიდი სამამულიშვილო განაზრახიც ეს იყო — გაერთიანება „ყოველი საქართველოსი“. გიორგი სააკაძემ გააერთიანა ქართლ-კახეთი და „ორივე საქართველოს“ ერთი ტახტი დაუდგა და ზედაც ერთი მეფე დაუსვა — მეფე თეიმურაზ პირველი. ბუნებრივია, რომ ახლაც იგივე გიორგი სააკაძე მისეანვე დახსნილ სამცხესაც ქართლ-კახეთის ერთიან ტახტს შეუერთებს და მის ერთხელმწიფეს, თეიმურაზ მეფეს დაუმორჩილებს.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სააკაძემ სამცხეში ქართველი მეფე კი არა, ოსმალეთის სულთანი მოიწვია!

რა მოხდა?!

ნუთუ ხელი აიღო სააკაძემ საქართველოს გაერთიანების დიად განზრახვაზე? ან იქნებ დიდ ქართველს მესხეთი არ სტკიოდა ისეთივე „ქარ-

თული ტკივილით", როგორც ქართლი და კახეთი? ნუთუ სააკაძეს არ ესმოდა ის „სასმინარი", რაიც ისე ნათლად ჰქონდა შეგნებული ყოველ მაშინდელ ქართველს: სპარსიც და ოსმალიც ქართველისთვის ერთნაირად „თათარია" და სამცხესაც არაფერი ეშველებოდა, — თუ სპარსის კლანჭებიდან დაიხსნიდი და სამაგიეროდ ოსმალოს კლანჭებში ჩააგდებდი?!

მალე დადასტურდება, რომ სააკაძეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია, მაგრამ თეიმურაზი, ქართლ-კახეთის „ერთიანი მეფე", სამცხის პატრონად მაინც არ მოიწვია. იქნებ თეიმურაზმა „ვერ გაუმართლა" სააკაძეს. იქნება თეიმურაზი ისე დაპატარავდა მოურავის თვალში, რომ მას ქართლ-კახეთის მეფე უკვე ალარ მიაჩნდა ერთიანი „ყოველი საქართველოს" ღირსეულ გვირგვინოსნად?!

სააკაძე უეჭველად იმასაც კარგად დაინახავდა, რომ ბაგრატიონთა აწ რძეგამშრალ დ გაბერწებულ სამეფო საგვარეულოს თეიმურაზზე უკეთესიც ალარავინ მოეძებებოდა.

მაგრამ ყოველივე ეს ნუთუ ღირდა იმად, რომ საქართველოში ერთი თათრის ნაცვლად მეორე თათარი მოწვეულიყო?!

ან, საერთოდ, იყო საჭირო და აუცილებელი იმ ჟამინდელ საქართველოში ვინმე „უცხო პატრონის" მოწვევა?!

აკი უფრო ძნელბედობის ჟამს აღმოაჩნდა საქართველოს საკუთარი ძალები, რათა უსაშინელესი მოსისხლისთვის და მთელი ქვეყნიერებისთვისაც დაემტკიცებინა თავისი „საოცარი ძალმოსილება", ვითარცა უტყუარი დასაბუთება მისი მარადიული უძლეველობისა და უკვდავებისა.

განა, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი და კიდევ მრავალი „პარტიზანული წიალსვლა" — თვითონ სააკაძის მძლავრი ხელებით დაწნული გვირგვინები — სამაგალითოდ არ კმაროდა თვითონ სააკაძისათვის?!

განა, საქართველო დღეს უფრო მძლავრი არ არის, ვიდრე გუშინ — მარტყოფის „სააკაძურ გმირობამდე"?!

მაშ, რა მოხდა და რატომ აიჩემა მარტყოფის, მარაბდის, ქსნისა და ასპინძის გმირობათა კავალერმა ისევ თათრის მოყვანა „საქართველოს გასაერთიანებლად"?!

ანდა, საერთოდ, შეიძლება უცხო, მომტერე და მოსისხლე ძალის საშუალებით ქვეყნის გაერთიანება და გამძლავრება?! მოხერხდება კი, უცხო გადამთიელის ხელით მშობლიურ კერაზე ცეცხლის დანთება, როცა იმ ხელის პატრონი დღენიადაგ შენი კერის დაქცევაზე ოცნებობს?!

აკი ჰყავდა გიორგი სააკაძეს წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი, ასე უცხო, მ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მოსისხლე მტრის საშუალებით რომ აპირებდა მ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს დახსნასა და გაერთიანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გიორგი სააკაძის ეს წინამორბედი იყო... თვითონ გიორგი სააკაძე!

აკი სწორედ გიორგი სააკაძემ მოინდომა საქართველოს ეროვნული სპარსული ძალებით საქართველოს „დახსნა", „გაერთიანება" და „გამძლავრება"!.

მერე, რა გამოვიდა აქედან?

ნახევარ მილიონამდე ქართველის დალუპვა და სხვა არაფერი!

და მერე ისევ სააკაძის მეთაურობით ძლივს მოხერხდა (იქნებ არც კი მოხერხდა?) „სპარსული გათათრებისა" და ეროვნული გადაგვარება-გადაშენებისგან თავის დახსნა.

მაშინ, თორმეტწლოვანი „თათრობის" შემდგომ მიხვდა გიორგი სააკაძე, ცუდად გამომივიდაო და, კიდევაც გაასწორა, რაიც შეეშალა. ძლიერად, დიდის სახელოვნებით გამოისყიდა მძიმე შეცდომა, მაგრამ ახლა?!

ისევ იმეორებს იგივე შეცდომას?!

თანაც — შეცდომიდან შეცდომამდე ნახევარი წელიწადიც არ არის გასული!

ნუთუ კიდევ ისე გულუბრყვილოა სააკაძე, ასეთი რამე იანგარიშოს: ჯერ ოსმალეთის საშუალებით საქართველოს გავაერთიანებ და მერე თვითონ ოსმალეთსაც დავეტაკებიო?

განა, ასევე არ ფიქრობდა ათი-თორმეტი წლის წინათ სპარსეთის მიმართ! და რაც გამოვიდა ამ ფიქრიდან უკვე იწვნია საქართველომაც და თვითონ სააკაძემაც.

როგორ — დღევანდელი გიორგი სააკაძე გუშინდელ გიორგი სააკაძეს ველარ ჰხედავს და ველარ იხსენებს?!

ისევ შემომჯდარა სატანა სააკაძის საჟნიან მხარზე..

... სამცხის პატრონი მანუჩარ მესამე ათაბაგი, დიდი ეროვნული გმირი და მამულიშვილი, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სტამბოლიდან. გიორგის იგი თითქოს არც გახსენებია, მაგრამ ამ „უხერხულობიდან" მოულოდნელმა ამბავმა დაიხსნა სააკაძე: მანუჩარ ათაბაგი ხონთქარმა დიდი პატივითა და აღთქმებით გამოისტუმრა თურმე სტამბოლიდან; არც, ქრისტიანობას გართმევ და არც სამცხის პატრონობასო, — ამ დაპირებით მოვიდა სამშობლოში მანუჩარი, მაგრამ.. გზად მომავალი ათაბაგი ბიძამისმა ბექამ მიიწვია სტუმრად, და მოხდა ის, რაც ძალიან ხშირად ხდება სანადიმო სუფრასთან: მასპინძელმა სტუმრის ღვინოში საწამლავი შეაყოლა. ასე აღესრულა მანუჩარ მესამე ათაბაგი, მარაბდის ბრძოლის გმირი, მესხეთის ქართველობისთვის თავგამოდებული მეომარი მამულიშვილი. ხოლო მისი მკვლელი, გამაჰამადიანებული ბექა ჯაყელი, ოსმალური სახელით, საფარ-ფაშად მოევლინა მესხთა ტანჯულ ქვეყანას.

ხოლო გიორგი სააკაძემ ოსმალეთის სულთანს მურად მეოთხეს ელჩი გაუგზავნა, გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილი. გაუგზავნა [illegible] ლა: სამცხის ციხე-ქალაქები, ყიზილბაშებს რომ დავაგდებინე [illegible] თვის მიბოძებია, ოღონდ ჯარები მომაშველე და შეერთებული ძალებით შევუტიოთ სპარსელებსო.

გახარებულმა ხონთქარმა პასუხად „მოსცნა ნიჭნი დიდნი მოურავსა და იენგიჩარნი და დაიპყრნეს ციხენი იგინი" — სამცხისანი. მურთაზ ფაშა (დაბადებით ქართველი) ჩამოვიდა ოსმალეთიდან და იმან განუწესა ოსმალური ციხიონები ახალციხესა და სამცხის სხვა ციხე-ქალაქებში.

ერთი სიტყვით სულთანი მურად მეოთხე არ დაბნეულა ასეთი მოულოდნელი ძღვენის მიღებით.

ხოლო, „დამხმარე ძალები", რომელთაც სპარსეთის წინააღმდეგ სააკაძე ოსმალეთიდან ელოდებოდა?

გაგიგონია?!

„დამხმარე ძალად" გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილმა გიორგი სააკაძეს ხონთქრისაგან ფარატინა „წყალობის სიგელი" და კაფუჯი-ბაშის წოდება ჩამოუტანა. ეს იყო და ეს. თურმე სად სცალია სულთანს სააკაძისთვის, ბაღდადის დასაპყრობად ჯარებს ამზადებს და საქართველოს „გასათავისუფლებლად" რამეს, თუნდაც ერთ ჯარისკაცს, გამოიღებს?! პირიქით, თვითონ სულთანი გამოელის სააკაძისგან ოსმალეთის საომარი ტვირთის გამსუბუქებას. სწორედ ასე სწერს ხონთქარი სააკაძეს თავის „წყალობის სიგელში":

„აბა, შენ იცი, ქართლის მპყრობელო მოურავ-სან (მართლაც მწყალობელი ყოფილა ოსმალეთის ხელწიფე; სააკაძისთვის ქართველები „ქართლის მოურავის" თიკუნს ძლივს იმეტებენ, სულთანი კი „ქართლის მპყრობელს" უწოდებს — ხუმრობა ხომ არ არის!), შენებურად როგორ დაუტრიალდები და თავდაუზოგავად, საკუთარი საომარი ძალებით მუსრს გაავლებ ყიზილბაშებსო, შენი ბუნებრივი, თანდაყოლილი ვაჟკაცობის, შემმართებლობის, უსაზღვრო მამაცობისა და გმირობის შესატყვისად მოიკრიბე რაც ძალი და ღონე გაქვს და, შენი მმართველობის ქვეშ მყოფი ქართლის ჯარის გარდა, წაახალისე საქართველოს სხვა ბეგები და გულადი წარჩინებულნი, შემოიყარე ბლომად ქართული ჯარები და მთელი თქვენი ძალებით ეცადეთ უკანვე გამოგლიჯოთ საქართველოში ურჯულოების გამავრცელებელ ყიზილბაშებს ქართული ციხესიმაგრენი და სხვანი და სხვანი... აბა, თქვენ იცით, როგორ სასახეო საქმეებს ჩაიდენთო"!

მკითხველი არ უნდა დაეჭვდეს, რომ სწორედ სასაცილოდ ავდებას ჰგავს ამნაირი „წყალობის წიგნი".

ერთადერთი, რაც ახალ „თათრულ წიაღსვლას“ ნამდვილ შედეგად მოჰყვა, გახლდათ სამცხის დაკარგვა საქართველოსთვის და ... ოსმალეთისთვის, გნებავთ — წართმევა სპარსელთაგან ... ოსმალთათვის.

ისევ უნდა გამორკვეულიყო გიორგი სააკაძე.

ისევ საჭირო იყო უკან მობრუნება, ანუ — საკუთარ, „ქართულ წიაღში ჩაბრუნება“.

ამჯერად თავისი დიდი ზრახვებისათვის გზის ძებნა სააკაძემ „მესამე საქართველოში“ დაიგულა და იგი იმერეთში წავიდა.

თეიმურაზთან შერიგება მას არ უფიქრია.

სამაგიეროდ სხვა ფიქრობდა... ისევ შაჰ აბასი!

. . . . . .

1626 წელი. შირაზი.

დარბაზობა აქვს სპარსეთის „ვიცე-კოროლს“, იმამ-ყული-ხან უნდილაძეს.

იქ დამსწრე ინგლისელი ჰერბერტი გაკვირვებულია მასპინძლის სიმდიდრით — უთვალავი ოქრო-ვერცხლის ლანგარნი, სასმურნი, ნოხები, ხალიჩები, ფარდაგნი, კრეტსაბმელნი, ურიცხვი თვალი და მარგალიტი.

ძმასთან სტუმრად არის დავით (დაუდ-ხან) უნდილაძეც.

შათირი მოიჭრა ისფაჰანიდან. შაჰ აბასი სასწრაფოდ იწვევდა ორივე ძმას.

მოტეხილი და მოთელილი ეჩვენათ შაჰი უნდილაძეებს. საოცრად დაღლილი, გალახული სახე ჰქუნდა. თვალებსაც დაჰკარგოდა ძველებური ცეცხლი და ელვამკრთომელობა.

— ოსმალებს ბაღდადი ალყაში მოუქცევიათ. შენ, იმამ-ყული-ხან, სასწრაფოდ უნდა გაეშურო ბაღდადისაკენ შენის მხედრობით! — უბრძანა შაჰმა უფროს უნდილაძეს.

მერე უმცროსს მიუბრუნდა და ჩამქრალი ხმით უთხრა:

— შენ კი საქართველოში უნდა წახვიდე, დაუდ-ხან!

— საქართველოში?!

—ნუ გეშინია, საომრად არ გაგზავნი შენს საქართველოში... არამედ, სამშვიდობოდ წახვალ.

— სამშვიდობოდ?!

— სწორედ.

— ვისთან?

— თეიმურაზთან.

თეიმურაზთანო? ვინ მოელოდა და ვინ წარმოიდგენდა ამას? შაჰ აბასი თეიმურაზს მშვიდობის ჩამოგდებას ეაჯება?! ნუთუ სცნო თავი და-

მარცხებულად სპარსეთის ლომმა საქართველოს მეფესთან ოცწლიანი სამკვდრო-სასიცოცხლო ომის შემდგომ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, თეიმურაზს უნდა ეახლოს დაუდ-ხან უნდილაძე, ბატონ-ყმური ხელით სამძიმარი მოახსენოს დედისა და შვილების სიკვდილის გამო! ბოდიშიც მოუხადოს, ასე რიგად რომ დააგვიანდა შაჰს სამძიმრის გაგზავნა! (თურმე ხდება ასეთი რამეც: მკვლელი სამძიმარს უცხადებს მისი ხელით ამოწყვეტილი შვილებისა და დედის ჭირისუფალს!). ესეც იცოდეს თეიმურაზმა: რაც ამ ბოლო დროს საქართველოში დატრიალდა, შაჰს თეიმურაზის ბრალად არ მიაჩნია, არამედ ყველაფერი მხოლოდ გიორგი სააკიძის ბრალია, ბრალი ცბიერი მოურავ-ხანისა, ერთნაირად რომ ჰლალატობს ყველას — საქართველოსაც, სპარსელსაც და ოსმალოსაც. კარგად იცოდეს თეიმურაზმა, შაჰ აბასის გაზრდილმა და ნაამაგარმა, რომ სააკაძე ორივეს სისხლს „თანაბარი სიამოვნებით“ შესვამს — შაჰის სისხლს და თეიმურაზის სისხლს... ბოლოს და ბოლოს, იყოს თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, ოღონდ ოსმალურ და რუსულ ხალათებს ნუ ჩაიცვამს და ნუ დაავიწყდება, რომ იგი მაინც შაჰ აბასის „ჩრდილის ქვეშ არის გაზრდილი“.. და ბოლოს — იქნებ თვითონ პირადად ეწვიოს გაზრდილი გამზრდელს!..

ტფილისში ჩახვალ, დაუდ-ხან, იქ მოიწვევ და შეხვდები თეიმურაზს. იქვე მოელაპარაკები და იქიდანვე შიკრიკის ხელით გამომიგზავნი სამშვიდობო წერილს თეიმურაზ მეფის ხელრთვით, — დაასრულა შაჰმა.

შიკრიკიც არ დამჭირდება, მე თვითონ პირადად გაცნობებთ ყოველივესო, შეაგება უნდილაძემ.

არა, უეჭველად შიკრიკი გამომიგზავნე, შენ კი, თეიმურაზთან მოლაპარაკებას რომ მორჩები, განჯას გაეშურე და იქ დარჩიო, — უბრძანა ახალი საბრძანისი შაჰმა უნდილაძეს.

— განჯაში რისთვის, ხელმწიფეო?

— ამიერიდან შენ, დაუდ-ხან უნდილაძე, დანიშნული ხარ განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად.

ასე განუწესებია შაჰ აბასს: სპარსეთის იმპერია ლამის ძმები უნდილაძეებისთვის გაუყვია სამმართველოდ — სამხრეთში იმამ-ყული-ხანი, ჩრდილოეთში დაუდ-ხანი...

... და მოჰქრის ტფილისისკენ დავით უნდილაძე, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი, „ტფილისის გამგებელი“, შაჰ აბასის „რჩეული გურჯი, დიდი მისიით აღჭურვილი დესპანი, — მან ზავი უნდა ჩამოაგდოს ქართველ-სპარსელთა „ოცწლიანი ომის“ თავზე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სიხარულით აღვსილი მოჰქრის უნდილაძე საქართველოსკენ.

ალბათ, გათათრებულ ქართველსაც უხარია უძლეველობა მისი დაკარგული სამშობლოისა.

ისიც უნდა უხაროდეს, რომ არც ერთ უნდილაძეს — არც მამას, ...
ეროვნული ბიბლიოთეკა
არც შვილებს — არასოდეს ქართული სისხლი არ დაუქცევია...

... ტფილისი. 1626 წელი.

საზავო მავიდას უსხედან „მოპირდაპირენი", ერთი — საქართველოს მხრივ, მეორე — სპარსეთის მხრივ, და ორივენი არიან ქართველნი.

და შეთანხმდნენ თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

შაჰ აბასი ცნობს თეიმურაზის უმაღლეს ხელისუფლებას „მის გურჯისტანში". თეიმურაზიც კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „მისი სისხლის დასაქცევად აღმართული ყიზილბაშური მოწამლული მახვილები შაჰის ბრძანებით ჩაგებულია ქარქაშებში და, თავის მხრივ, ქართველთა მეფე პირობას იძლევა „ოსმალური ხალათი გაიძროს და სპარსული ჩაიცვას". რაც შეეხება „გამზრდელთან გაზრდილის" პირად გამოცხადებას, თეიმურაზს ამჯერად არ მიაჩნია თავისი თავი „ღირსად ესოდენ დიდი პატივისა" და შეეცდება მომავალში ჩაიდინოს „ისეთი საქები და მოსაწონი საქმენი", რომ პირნათლად წარსდგეს „ალლაჰის ჩრდილის" წინაშე!

ხოლაპარაკება ღასრულდა თუ არა, დავით უნდილაძემ ისფაჰანს შიკრიკი აფრინა და შაჰ აბასს აცნობა: თეიმურაზ მეფე ჩვენი სიახლოვის, „მორჩილებისა და დამჯერობის შარაგზას ადგასო".

შაჰი კმაყოფილი იყო. საქართველოს მხრიდან „საშიშროება-მოხსნილს" შეეძლო უფრო თამამად და გულსრულად შეეტია ოსმალებისთვის.

იმავე წელს იმამ-ყული-ხან უნდილაძემ ბაღდადი იხსნა ოსმალოთა ალყისაგან. უნდილაძის „ძლევა-გამარჯვებისა და ოსმალოთა ლაშქრის მარცხის ამბები მთელს ქვეყანას კიდით-კიდე მოედო".

ერთი სასიხარულო ამბავი სტამბოლიდანაც შეიტყო სპარსეთის ხელმწიფემ: მომკვდარიყო მეჰმედ-ფაშა, ოსმალეთის დიდი ვეზირი, ტომით ქართველი...

მაგრამ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავიც შეატყობინეს შაჰს იმ დღეებში — იოთამ-სულთან გურჯის მოულოდნელი სიკვდილი. იოთამი შაჰის აღზრდილი ყოფილა, ძალიან ერთგული, ჭკვიანი და მამაცი ჭაბუკი. იგი დარუბანდის მმართველად წარუგზავნია ხელმწიფეს. დარუბანდში მომკვდარა რაღაც უცებისი სიკვდილით იოთამ გურჯი.

ასე გამოვიდა: ერთი „ნაქართველარის" (მეჰმედ-ფაშა) სიკვდილმა გაახარა შაჰ აბასი, მეორის (იოთამ გურჯი) სიკვდილმა კი დაამწუხრა...

... მთელი დღე ნადირობდნენ ალაზნის ველზე თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე, მაინც არ ჰგავდა ნადირობას.

მთელი ღამე სანადიმო სუფრას უსხდნენ. მაინც არ ჰგავდა ნადიმობას.

საქართველოს ჭირ-ვარამზე მსჯელობდნენ, დავობდნენ, ბუტრუტობდნენ, ბოლოს, ფეხზე წამოდგნენ — ქართველი მეფე და ქართველი ბეგლარ-ბეგი. ხანჯლები გაიძრეს. ერთმანეთს ვერცხლის ქამართაგან ერთ-ერთი აათალეს. ანათალი ლვინით ავსებულ ყანწში ჩაჰყარეს, ყანწი ზიარად გამოსცალეს და ძმადგაფიცულნი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

. . . . . .

გიორგი სააკაძე იმერეთში იყო მეფე გიორგი მესამის კარზე. ქუთათისის სასახლე დიდის ზარზეიმით შეხვედროდა სახელოვან ქართველ გმირსა და მის თანმხლებ ამალას.

თათბირი ჰქონდა მოურავს დასავლეთ საქართველოს მეფესთან, მის სახლეულთან, მთავრებთან, საერო და სასულიერო წარჩინებულებთან. ბჭობას მალაქია კათალიკოსიც ესწრებოდა.

ახლა იმერეთის მესვეურებს მოუწოდებდა სააკაძე „ყოველი საქართველოს“ შესაკავშირებლად და საერთო მტრის (იმჯერად სპარსეთის) წინააღმდეგ ერთიანი ძალებით საომრად.

იმერეთის თავკაცნი — მეფეც, თავადიც, ერიც და ბერიც — დიდის გატაცებითა და აღტაცებით შეხვდნენ მოურავის მოწოდებას.

ქუთათისიღან გიორგი სააკაძე ოდიშს გაეავიდა და ლევან დადიანს ეწვია. ლევანიც დიდის პატივით შეხვდა სახელოვან გმირს. სააკაძის განაზრახი — ყოველი საქართველოს გაერთიანებისა უცხო მტერთა დასათრგუნავად — დადიანსაც ხიბლავდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ერთი რამე მაინც არ მოსწონდა ოდიშის მთავარს: სააკაძე სპარსელებთან საომრად ოსმალებს ეპატიჟებოდა საქართველოში, ლევან დადიანს კი ოსმალების სისხლი სპარსელებისაზე მეტად სწყუროდა, ამიტომ დასაჯერებელი უნდა იყოს ეს გაღმოცემა, რომელიც დღემდე ცოცხლობს სამეგრელოში: დადიანი ეუბნება სააკაძეს — თუ ოსმალების წინააღმდეგ იომებ, ჩემი სამეგრელოდან ოცდაათი ათასი ხმლით მოგეშველებიო. მაგრამ გიორგი ნტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე; ქართველთა და ოსმალთა კავშირი სპარსეთის წინააღმდეგ!

მაინც დადიანმა დიდი სტუმარი ყიზილბაშებთან ომში თანადგომის დაპირებით გამოისტუმრა.

ისევ ქუთათისში მობრუნდა გიორგი სააკაძე.

კიდევ ერთი საწადელი ამბავი მოხდა იმერეთს: გიორგი სააკაძის ვაჟმა, უკვე სახელმოხვეჭილმა ახალგაზრდა გმირმა, ავთანდილმა, ცოლად შეირთო გიორგი მესამის ასული, სვარამზე.

რა იყო ეს, სიყვარული თუ პოლიტიკა? ალბათ, ერთიც და მეორეც. ქორწინება განამტკიცეს „ფიცის წიგნით“, რომელშიც ეწერა: „... ესე ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთ მეფემა პატრონმა გიორგიმ და ძემან

ჩემმა პატრონმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ — თქვენ, მოურავს ბატონს გიორგის, ასრე რომე ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულგაწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთიდან გიორგი სააკაძე ქართლში დაბრუნდა, მისგანვე განთავისუფლებულ ციხეებს ჩამოუარა, ციხიონები გაამხნევა, განამტკიცა და ტფილისზე დაცემა ერთჯერ კიდევ გადაწყვიტა.

მოურავი თავისი გუნდით სხალნარში იდგა და ერთგული „მოკიდებული“ ინაშვილი ტფილისში ჩაგზავნა იდუმალ, იქაურობის დასაზვერავად.

ყიზილბაშებმა სააკაძის მოსვლა მაინც შეიტყვეს (ტფილისს ხომ მოღალატე მუდამ შიგნითვე ჰყავდა), გაფრთხილდნენ და ციხე-გალავანიც საგანგებოდ გაამაგრეს.

გიორგიმ ქალაქზე იერიში უიმედოდ ჩათვალა და ისევ სამცხისკენ გაქუსლა.

მთელი ზამთარი სამცხეში იდგა.

მთელი ზამთარი საქართველოს „ხვალინდელი ბედის“ სილვებით ცხოვრობდა, ფიქრობდა, ბორგავდა, იტანჯებოდა.

გაზაფხულმა გამოიჭიატა თუ არა, მაშინვე ისევ ქართლისკენ წამოემართა თანამებრძოლ-თანალტოლვილთა ამალით.

აშკარა განხეთქილება ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილიყო თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, ჯერჯერობით „შორიდან ნაგრძნობი“ იჭვნეულობითა და უნდობლობით ზვერავდნენ ერთმანეთს მეფე და მოურავი.

ქართლის თავადთაგან ზოგი საქართველოს ღალატს დასდგომოდა, ზოგიც შინაური მტაცებლობისა და შინა-სისხლის დაქცევის უბოროტეს გზას.

გამორჩევით უნდა სწყენოდა გიორგი სააკაძეს მისი უასლოესი ადამიანების, სიძისა და ცოლისძმის ავკაცური ქცევანი. პირველმა, იასე ქსნის ერისთავმა, როგორც უკვე ითქვა, ქვეყნის მოღალატე ანდუყაფარ ამილახორთან ერთად წილი დაიდო ღაზნელთა სახლეულის ამოწყვეტაში და მათი ავლადიდების დატაცებაში, ხოლო მეორემ, ზურაბ ერისთავმა ყველა მანამდელი ქართველი ფეოდალი „დაჯაბნა“ შინაურთა, თანამოძმეთა და თანამემულეთა ხოცვა-ჟლეტით.

ერწო-თიანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს მიხდომია დასაპყრობად და დასაყმევებლად ზურაბ არაგვის ერისთავი, მრავალი სისხლი დაუქცევია მთიელი ქართველობისა, მრავალიც მისთვის დაუდენია თავისუფლების მოტრფიალე მთას. სალექსო, სასიმღერო და საცრემლო გამხდარა ზურაბ არაგვის ერისთავის საძრახისი ლაშქრობანი თუშ-ფშავ-ხევსურეთში:

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა:
ხევსურეთისა, ფშავისა.

. . . . . .

ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა,
ვაგიწვრილდების კისერი
ვერ შესძლებ ქვეითობასა.

. . . . . .

ზურაბისთანა ბატონი
ვინლა გამოვა ხმლიანი,
განჯა მირანა ამტერია,
დღესაც კი სახელი არი.

. . . . . .

შენ ერისთავო დიდის მთისაო,
წყალი ჩაგიღის არაგვისაო,
არკი გეტყოდი, ჩემო ბატონო,
ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო,
ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი
გარდახატული თვალწარბ თმისაო.

. . . . . .

დუშეთ იყრების ლაშქარი,
არ ერგებიან გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან
ბაზალეთურნი ტბანიო,
საღგომლად არ ეყოფიან
თრიალეთურნი მთანიო.

. . . . . .

გუდელას დაჯდა ზურაბი,
ატირდა ევრ რო ქალიო;
„დამაკლდა სათვალავშიგა
სამოცი ხმალოსანიო“.

. . . . . .

„გაიქეც ერისთვიშვილო,
მოგდევენ ხევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითლდებიან
კეოს გორ ქცეულანიო.
აგერ ლულის თავს გახენე,
მძიმე გადმოგდა ჯარიო“,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბოლით დაკრიფნა ზურაბმა
გრძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდნენ ფშავლები,
აყოლეს სისხლის კვალიო.
ცოლი ეტყოდა ზურაბსა:
„რად არ მოგიღეს მკვდარიო?“

. . . . . .

„დადეგ, დაგვეხსენ, ზურაბო,
ნარჩომნ ორთ შენი ხმლისანი,
თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
მეპატნი ჩვენაც გვყონ წყლისანი“.

. . . . . .

არ კი გითხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია.
აფხუშელთ გამოგაქციეს,
დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით გამოგავლიეს
ჩარგლის ჭალაი გრძელია,
კართანას გადმოსეესა
მსახურთ გიკიდეს ხელია,
თვალივის ველში ჩამოხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია.

. . . . . .

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარი
ნაკრეფნი შვიდის თვისანი!
ჩაუშვებ მათურაშია,
თვალნი გაგიწყდეს ხთისანი,
დაგიხვდეს ფშავლიშვილები,
არწივნი მაღლის მთისანი,
შამოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებივნეს ქვიშანი!

. . . . . .

ზურაბო, ერისთვის შვილო,
რა თავი გედიდებაო?
მაგ შენსა აზნაურებსა
ყორნები ეზიდებაო!

. . . . . .

ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაეს უტირა დედაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბევრს ქალს გაუბსნა საკინძი,
უჯკიმა ბუძუზედაო.

. . . . . .

ხელსურებ ხინკლად ჩაყარა,
ფშავლებ შაუნთო შეშადა,
გაუტეხელი მოხვევ
გაიმეტ დასაჩეხადა.

. . . . . .

გიორგი სააკაძემ თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის ფარულ „განდგომას“ თვალი ააცილო და ისევ მათი თანდათანობითა და „თანაბრძოლით“ განაგრძო ბრძოლა ქართლის ციხეებში ჩასანგრებულ ყიზილბაშებთან.

ჯერ გორის ციხე გამოჰგლიჯა ხელიდან მტერს. იქ მდგარი ყიზილბაშობა ამოწყვიტა და ქართული ციხიონი შეაყენა.

მერე ქართული სოფლების საძარცვავად და საწიოკებლად ათარეშებულ ოს ფეოდალებს მიუსტა გიორგი სააკაძე. მიუსდა და ზედიზედ აიღო ოსური ციხეები და საფარ-სამალავები. საწუხრად მხოლოდ ეს დარჩა სააკაძეს: ერთგული თანამებრძოლი თამაზ მაჩაბელი მოუკლეს საფრიდან ნასროლი ისრით.

ზემოთ ითქვა, რომ ქვემო ქართლის დიდმა თავადმა ქაიხოსრო ბარათაშვილმა მარაბდის მარცხის შემდეგ ქართველობა ყიზილბაშობაში გაცვალა და ბირთვისის დიდი ციხესიმაგრე მტერს მიართვა.

მთელი ღამე მუხლჩაუხრველად იარა მოურავმა და მისმა „მოთარეშე“ გუნდმა. უთენია მივიდნენ ტბისში და მისვლისთანავე თავს დაეცნენ ქაიხოსრო ბარათაშვილის სასახლეს.

გამოვიდა ქაიხოსრო, სპარსულად ინით წვერშელებილი.

წამსვე დაეტაკნენ პაპუნა ვაშაყაშვილი და თამაზ ქარციძე დ შეუკრეს ხელები ქაიხოსროს.

მაპატიეთო, იბღავლა მოღალატემ.

ბირთვისიდან ყიზილბაშთა ციხიონი გამოიყვანე და სიცოცხლეს გაჩუქებო, უთხრა გიორგიმ.

მეტი რა ჩარა ჰქონდა ბარათაშვილს, და „გამოიტყუა“ ბირთვისის ციხიდან ყიზილბაშები, სულ ხუთასი კაცი.

დაეძგერნენ ქართველები, თოფ-დამბაჩა და ხმალ-ხანჯალი დააყრევინეს, ხუთასივეს თავები დააგდებინეს და მძოვრადქცეულნი ხევში გადაჰყარეს, ყვავ-ყორანთა და მხეცთა საძიძგნად.

ბირთვისში ქართველები ჩადგნენ.

ქაიხოსრო ბარათაშვილს და მის ძმას ხოსიას სააკაძემ ბორკილები გაუყარა და კიკანათბერის ციხეში ჩაამწყვდია.

ბირთვისიდან ლორესაკენ გაემართა სააკაძე. აქაური მელიქები ბეგი და ზაქუმი, შაჰ აბასის ერთგულ სამსახურში იდგნენ, და სპარსელებს თავგამოდებით ეხმარებოდნენ ქართული მიწა-წყლის აოხრებაში.

იერიში მიიტანა სააკაძემ ლორეს ციხეზე.

ათაბეგსა და ზაქუმს არც ცოლ-შვილი გახსენებიათ, არც ქონება და ავლა-დიდება — ყველაფერი უპატრონოდ დააგდეს, საიდუმლო ხვრელით გაძვრნენ და სპარსეთს გადაიხვეწნენ.

ქართველები ლორეს დაეუფლნენ.

უკვე „ყოველი ქართლი" — „ქვემოც", „ზემოც", და „შიდაც" — სააკაძის კურთხეული ხმლის წყალობით დახსნილი იყო უბოროტესი ყიზილბაშური უღლისაგან.

მხოლოდ ტფილისი ერთადერთი ჩარჩენილიყო ქართლის ბაგრატიონთა ნაბოლარა ნაშთის, სვიმონ-ხანისა და მისი სპარსელების ხელში.

ქართლის განთავისუფლების შემდეგ გიორგი სააკაძემ დალაშქრა შამხალი და დალესტანი. შავი დღე გაუთენა, სააბრაგო საფარ-საბუდარნი მიუნგრ-მოუნგრია და ქართულ მიწა-წყალზე თარეშის ჟინი დიდი ხნით აღუკვეთა იქაურ ავაზაკ ფეოდალებს...

... ქართლ-კახეთი მტრისგან დახსნილი იყო — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ--კახეთს ერთი მეფე ჰყავდა — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ-კახეთის ის „ერთი მეფე", ანუ „ორივე ტახტის მჭერი", თეიმურაზი იყო — ესეც გიორგი სააკაძის წყალობით.

მაგრამ ერთ დღეს, სააკაძის სიძულვილით აღფრთოვანებულმა თავადებმა თეიმურაზს მოახსენეს — გიორგი სააკაძეს ქართლის გამგებელი დაუნიშნავსო!

ქართლის გამგებელიო?!

მეფის დაუკითხავად გაბედა ეს მეფის ყმა სააკაძემ?

ასე გამოდის, თეიმურაზ მეფეს მეფედ აღარ აგდებს სააკაძე; ან, იქნებ, ქართლის წართმევასაც უპირებს „კახეთის ბატონს"!

მაინც ვინ დაუნიშნავს კადნიერ მოურავს „ქართლის გამგებლად"?

ქაიხოსრო მუხრანბატონი!

აჰა, ყოველივე გასაგებია! ქაიხოსრო სააკაძის სიძის (მარაბდის ბრძოლაში დალუპული თეიმურაზ მუხრანბატონის) ძმა! თანაც, მუხრანბატონები ხომ ბაგრატიონთა „შტოები" არიან! ალბათ, მალე ქართლის მეფედაც გამოაცხადებს ქაიხოსრო მუხრანბატონს „ყოვლის შემძლებელი დიდი

მოურავი", რომელსაც თურმე ოსმალეთის სულთანი „ქართლის მბრძანებელ მოურავს-ხანს " უწოდებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია, ყოველივე გასაგებია, რასაც უმზადებს „უჯარის ბატონი" თეიმურაზ მეფეს!..

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მუხრანბატონის „ქართლის გამგებლობამდე" აღზევება კი არა, თვითონ თეიმურაზი აპირებდა მუხრანი მუხრანბატონებისათვის წაერთმია და თავისი ვაჟისთვის, დათუნასთვის მიეცა საუფლისწულოდ (ეს ერთი ძე შემორჩენოდა თეიმურაზს ხორეშან დედოფლისაგან)...

გამოხდა კიდევ რამდენიმე დღე და ახლა ეს მოახსენეს თეიმურაზს: ქუთათისში ყოფნის ჟამს სააკაძეს უთქვამს იმერეთის მეფე გიორგი მესამისთვის — თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა და საქართველოს გაერთიანება შევძელით, მეფედ შენი შვილი ალექსანდრე უნდა დავსვათო.

აი, თურმე რა ზრახვები ჰქონია ორ გიორგის თეიმურაზის წინააღმდეგ! ალბათ, ამიტომაც დამოყვრებულან იმერეთის მეფე და სააკაძენი.

მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო თეიმურაზ მეფე. სულ გამოიცვალა, „სულ სხვა კაცად იქცა" — ისედაც წუთისოფლისგან განაწამები, ოჯახით ამოწყვეტილი, ქვეყნიდან ქვეყნად ნალტოვარი და ნათრევი, სისხლისმაქცევარი და სისხლდაქცეული. საწუთრო საბოლოოდ აევსო შხამით, მოყვასისადმი ეჭვით, შურით, უნდობლობით...

ზურაბ ერისთავი გამოიძახა.

მარტონი ჩაიკეტნენ და ჩაირაზნენ...

... 1626 წლის შემოდგომის პირი დამდგარიყო...

მეფე თეიმურაზ ცხინვალს იდგა ამალით.

აქ იყვნენ: გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი, იოთამ ამილახორი, იასე ქსნის ერისთავი, ქაიხოსრო მუხრანბატონი და მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი.

მეფის სადგომიდან გამოვიდა სააკაძე.

სამი კაცი უცდიდა გარეთ. მიეგებნენ, გაინაპირეს და მოახსენეს იდუმალი ხმით: ძალიან მძიმე ამბავი უნდა შეგატყობინოთ, მაგრამ წინასწარ შემოგვფიცე, რომ ჩვენს სახელებს არ გაამჟღავნებო.

გაოცდა გიორგი. ასეთი რა ამბავია, ფიცის გარეშე ვერ გითქვამთ სათქმელიო. ისინი კი არ იშლიდნენ — ფიცი გვითხარ და მოგახსენებთო.

სხვა გზა აღარ იყო და შეჰფიცა გიორგიმ.

და უთხრეს იმ იდუმალმა მაცნეებმა სააკაძეს — ხვალ მეფე თეიმურაზს შენი სიკვდილი აქვს დანიშნულიო.

სიკვდილიო?!

სიკეთის მეტი რა გამიკეთებია მეფისთვის ან ქვეყნისთვის, და სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღილს რაღად უნდა მემართლებოდნენო?! — დაიგმინა განცვიფრებულმა და გაოგნებულმა სააკაძემ.

ჩააგონესო მეფეს: სააკაძე იმდენად გათავხედდა, საყმოდ თავს ალაგ-გიდებს, დიდ „სახელოებსაც“ შენს დაუკითხავად არიგებს, ხალხსა და ჯარს თავის ნებაზე ატრიალებს და, დღეს თუ ხვალ, სამეფო ტახტსაც წაგართმევსო — მიუთხრეს მეფის განზრახვის მიზეზები მაცნეებმა მოურავს.

ყოველივე ენიშნა სააკაძეს: ისევ თავადები მიმღვრევენ წყალსო. იოთამ ამილახორი აშკარად ემტერება მოურავს, ზურაბ ერისთავიც გაურბის და რაღაც საეჭვოდ ილრინება. ვერ იქნა და ვერ მოინელეს ბარათაშვილებმა, ციციშვილებმა და ჯავახიშვილებმა მოურავის ზრუნვა „მისებრ უჯიშო“ მდაბიო ხალხზე: ვერ მოინელეს მისი ესოდენი აღზევება, სახელოვნება და გავლენიანობა; იქნებ ამასაც უჩიჩინებენ თეიმურაზს თავადები, რომ სააკაძის „მომავალი გმირი“ (ანუ — ერთხელმწიფე მომავალი ერთიანი საქართველოსი) თეიმურაზი კი არა, იმერელი უფლისწულია..

გიორგიმ მუხრანბატონსა და ქსნის ერისთავს შეატყობინა მაცნეებისგან მოტანილი ამბავი: თურმე თეიმურაზ მეფე მოკვლას მიპირებსო.

ქაიხოსრომ და იასემ არ დაიჯერეს თეიმურაზის ასეთი მუხანათობა და გიორგისაც ეს უთხრეს: ყურს ნუ დაუგდებ, ეგ ყოველივე იმისთვის არის მოჭორილი, მეფესთან მტრობა ჩამოგიგდონ და ქართლი შინაური აშლილობით ააფორიაქონო.

მაგრამ არ ეშვებოდნენ გიორგის „ერთგული ადამიანები“ — უეჭველად სიკვდილს გიპირებს თეიმურაზიო.

მაინც რაის საბაბით მიპირებს მოკვლასო, იკითხა მოურავმა.

ლუარსაბ მეფის მოკვლისთვისო, იყო პასუხი.

როგორ, ლუარსაბ მეფის სიკვდილს გიორგი სააკაძეს აბრალებენ?!

ერთი უყურეთ, თურმე შადიმან ბარათაშვილისა და შაჰ აბასის ცოდვებსაც სააკაძეს აყრიან კისრად!..

ამდენი ფრთხილი გასვლა-გამოსვლა, იდუმალი ჩურჩული და „გაყენ-გამოყენება“ შეუმჩნეველი არ დარჩენია თეიმურაზს.

ასეთი რა მოხდა, რომ მთელი დღე მიილალ-მოილალებით და ჩურჩულითაც ვეღარ დაიღალეთო, შემოუთვალა გაჯავრებულმა მეფემ მოურავს.

მაშინ გიორგიმ მროველი გამოიწვია და ამას შეევედრა: იქნებ გაისარჯოთ, მეფესთან მიმოციქულოთ და შემიტყოთ, რას მემართლება, სიკვდილს რომ მიპირებს; აქამდე ჩემის სმლითა და ჩემის გულით მისი მონა-მორჩილი გახლავართ და რაისთვის მიმეტებს ასე სასტიკადო?!

შევიდა დომენტი ავალიშვილი მეფესთან და მოახსენა მოურავის დანაბარები.

გაიკვირვა და გაიოცა თეიმურაზმა: ეს ვინ მოიგონა, რომ ჩემს ერთ-

გულსა და თავდადებულ მოურავს თითქოს სიკვდილს ეუმზადებდეო! ახლავე მაცნობოს გიორგიმ სახელი ეგზომ სიცრუის მომჩუსავისაო! — ასეთი ბრძანებით გამოუშვა მეფემ რუისელი მოძღვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ მაცნეების გამეღვანებაზე ცივი უარი თქვა — ფიცი ბაქვს მიცემულიო — და თან ეს დააბარა მეფესთან ხელმეორედ შებრუნებულ მროველს: თურმე ლუარსაბ მეფის სისხლს მე მაბრალებთ და რატომ, რაის საბუთით ინებებთ ესოდენ მძიმე ბრალდებასო?!

და ერთხელ კიდევ შემოთვალა თეიმურაზმა. პასუხი:

„ქვეყანამ იცის, ლუარსაბ მეფის სისხლი შენი დაღვრილია, მაგრამ სუფევა დაიმკვიდრა განსვენებულმა და ანგელოზები იცავენ მის მოწამე სულს! ამიტომ მე ლუარსაბის სისხლს არ ვეძიებ და შენც, მოურავ სააკაძეს, შეგიძლია მშვიდად იჯდე შენთვის!“.

ყოველივე იყო ნათელი და ნათლად შესატყობარი.

თეიმურაზ მეფეს, ლუარსაბ მეფის სისხლის საბაბით, სააკაძის თავიდან მოშორება ჰქონია გადაწყვეტილი.

გიორგიმ ერთხელ კიდევ სცადა ნაპრალის ამოვსება, მაგრამ ამაოდ — ერთხელ კიდევ გააგონეს მანამდეც ბევრჯერ გაგონილი: აღარ შეიძლება ამის მოთმენა — რომ სააკაძე მბრძანებლობს ქართლზე, — რომ ტახტზე დაბრძანებული სააკაძის წინაშე თავადები მანამ ვერ დასხდებიან, სანამ თვითონ არ მისცემს დაჯდომის უფლებას, — რომ თავადები სააკაძეს ძალლებივით ქეშიკში (ყარაულში) უწყვებიან, და სხვა მისთანანი..

უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს მეფე და მოურავი.

და უკანასკნელად ეს უთხრა გიორგიმ თეიმურაზს:

„ღმერთმა იცის, შენ, კახეთის მეფეს, ქართლი მოგეცი, ჩემი თავიც მოგიძღვენ და თავს შემოგავლე, მაგრამ რა ვქნა, რომ არც განდომეს და არც ინდომე ჩემი სიცოცხლე. რა გაეწყობა — ეგზომი უმადურობისთვის გულში დანას მე არ დავიცემ!“

გათავდა.

მეფესა და მოურავს შორის უქარქაშო ხმალი ჩამოეშვა...

... ცალ-ცალკე, თავიანთი „ამალებით“, სხვადასხვა მხარეს მიაქროლებდნენ ცხენებს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე.

„ქართლ-კახეთის ერთიანობა მანამ შეუძლებელი იქნება, სანამ სააკაძე არ განადგურდება!“ — ფიქრობდა თეიმურაზი.

„ყოველი საქართველოს გაერთიანება მანამ შეუძლებელი იქნება, სანამ თეიმურაზ მეფე არ განადგურდება!“ — ფიქრობდა მოურავი.

... ძმათაშორისი ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა საქართველოს ცისკვამში.

მამაზეციერსაც აღარ შეეძლო მისი თავიდან აშორება.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მთავარი ეს იყო — ვის მხარეზე იქნებოდა ზურაბ ერისთავი.

და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს „პირველი და მეორე ერისთავი — გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი.

ყველაფერი ერთად გაახსენა გიორგიმ ზურაბს: მამაშენი მუდამ ჩემი ერთგული და თავდადებული მოყვარე იყო. შენ ხომ ჩემი გაზრდილი და საყვარელი ცოლისძმა ხარ. თათრობის უმძიმესი წლებიც ერთად გაგვიტარებია, ყიზილბაშებიც ერთად შეგვიმუსრავს მარტყოფისა და მარაბდის მინდვრებზე. ჩვენი წუთისოფლის წილხვედრიცა და ქვეყნის ჭირ-ვარამიც ერთად გაგვიტარებია და ახლა ისეთი რა მოხდა, რომ მე გადამიდექ და თეიმურაზს მიუდექიო?!

— მეფეს ვერ ვულალატებ, — ცივად უპასუხა ზურაბმა.

— მუხრანს გპირდება და იმიტომ, არა? — მიახალა გიორგიმ.

—შენ კი მუხრანის ბატონი წამომასკუპე თავზე, — შეაგება ზურაბმა.

გიორგი მიხვდა, რომ სამუდამოდ დაჰკარგოდა მას ზურაბ ერისთავი. ცოლისძმას უკვე ალესილი ჰქონია ხმალი სიძის შესამუსრავად.

— კარგად �მასსოვრე, ზურაბ ერისთავო! მე რომ მომკლავენ, მაშინვე ჩემი მკვლელები შენ გწვდებიან ყელში და მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაც! — თქვა და გაშორდა ვიორგი სააკაძე არაგვის ერისთავს.

ისევ აფრინა ელჩი იმერეთს და მეფე გიორგი მესამეს შეუთვალა: შენი შვილი ალექსანდრე „ქართლის საბატონოდ“ გაამზადე და სასწრაფოდ ჯარიც მომაშველე თეიმურაზთან საომრადო.

იმერეთის მეფემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ თეიმურაზის დამხობის წყალობით ქართლიც და კახეთიც მისი შვილის სამეფო საკუთრებად გადაიქცეოდა, რაიც თავისებურად „პირველი საფეხური“ იქნებოდა ქუთათისის ტახტის გარშემო „ყოველი საქართველოს“ გაერთიანების გზაზე.

და მაშინვე გამოუგზავნა გიორგი მესამემ გიორგი სააკაძეს იმერთა ლაშქარი — მამუკა ბოქაულთუხუცესის, ამილბარ აბაშიძისა და ხოსია მაჭავარიანის სარდლობით.

სამცხიდან საფარ ფაშამ მესხთა ჯარი გამოუგზავნა, დავით (დავით-ბეგ) გოგორიშვილის სარდლობით.

სანამ იმერლები და მესხები მოაღწევდნენ, მოურავმა მისი მომხრე ქართლელი თავადები შემოიყარა — ქაიხოსრო მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სამეფო აზნაურობა.

სააკაძეს და მის მომხრეებს თეიმურაზის მხარეზე გადასული საარაგვოდან კიდევ ჰქონდათ ერთი იმედი. ეს იყო ზურაბ ერისთავის უმცროსი ძმა გიორგი, ყიზილბაშებთან ბრძოლაში გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლი. ვიორგი ერისთავს ცოლად ქაიხოსრო მუხრანბატონის ასუ-

ლი ჰყავდა. ეს „მოყვარული სამეული“ — გიორგი სააკაძე, გიორგი ერისთავი და ქაიხოსრო მუხრანბატონი — ყველაზე სახიფათო ძალად ეჩვენა თეიმურაზის ბანაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩააგონეს ზურაბ ერისთავს კახელმა მსტოვრებმა: უტყუარი ცნობები გვაქვს, უმცროსი ძმა სიკვდილსა და საერისთავოს წართმევას გიპირებსო.

ეჭვითა და უნდობლობით დასნეულებულმა ზურაბ ერისთავმა არც აცივა და არც აცხელა — შეიპყრო ძმა გიორგი და თვალები დასთხარა.

სააკაძემ საბოლოოდ დაჰკარგა არაგვის საერისთავოს „დაბრუნების“ იმედი.

ზურაბ ერისთავი მტკიცედ დამდგარიყო თეიმურაზ მეფის „მარჯვენა ხელად“.

ქართლიდან კიდევ ერთი თავადი გადასულიყო კახელთა ბანაკში — იოთამ ამილახორი.

... მაშ, თანამოძმეთა და თანამომისხლეთა ორი ბანაკი!

თეიმურაზ მეფისა — დუშეთს, ზურაბ ერისთავის სასახლესთან.

მოურავ სააკაძისა — მუხრანს, ქაიხოსრო მუხრან ბატონის სასახლესთან.

შავი ღრუბლებით დატვირთული საქართველოს ცისგვამი.

წვიმს კოკისპირულად.

გზები ლაფით აივსო. მინდვრები დაიტბორა.

მცირედ გადაიკარა თუ არა, გიორგი სააკაძემ ბანაკი აჰყარა და დუშეთისაკენ გაემართა.

თეიმურაზმა — „მტრის“ წამოსვლა შეიტყო, ლაშქარი დუშეთიდან გაიყვანა, ბაზალეთის ტბასთან დადგა და საომრად გაემზადა.

სააკაძემაც შეამჩნია „მტრის“ მოძრაობა და თვითონაც ბაზალეთს მიაშურა.

თითქოს ნაწვიმარი არ კმაროდა, — კახელებმა ბაზალეთზე მისასვლელი გზები „დამატებით დატბორეს — იქნებ სააკაძე და მისი ლაშქარი შიგ დაეფლოს და უფრო იოლად გავუსწორდებითო!

მაგრამ მოურავი იმ ადგილებს კარგად იცნობდა, „მტრის“ განზრახვაც ადვილად შეიცნო, დაგებულ მახეს გვერდი აუქცია, ბაზალეთის ტბას სხვა გზით მიადგა და „თეიმურაზელთა“ პირისპირ საომრად დააწყო ლაშქარი...

... 1626 წლის გვიანი შემოდგომა, ბაზალეთის ომი — სამგლოვიარო სამანი საქართველოს ისტორიისა!..

დგანან და გასცქერიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მოლოდინში, გარინდებულნი, შეგრძნებულნი, ჯადოქმნილნი, სატანით მხარმოქცეულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის ამალაში დუმილი დაარღვია ედიშა ვაჩნაძემ, ახალგაზრდა კახმა თავადმა:

„ჩვენზე მეტი ჯარი ჰყოლია სააკაძეს. ტბის ტევრივით ჩამოვარდა და შავ ზღვასავით ჩაგუბებულან“.

„ჰო, ბევრი არიან“, — უგემურად თქვა თეიმურაზმა.

„არაფერია, მეფევ ბატონო, — მადლობა ღმერთს, ჯერ არ მომხდარა, ყმას რომ ბატონზე გაემარჯვოს“ — ჩაილაპარაკა ზურაბ ერისთავმა.

მძიმე, ლაფიანი გზები გამოეევლო სააკაძეს და მის ჯარს. დაქანცული იყვნენ, სახსარმოშლილნი.

გიორგის უნდოდა, როგორმე იმ დღეს ბრძოლას მორიდებოდა და ჯარი დაესვენებინა, მაგრამ იმერლებმა და სამცხელებმა მოითხოვეს — რაკი საომარ ველზე მოვსულვართ, კიდევაც ახლავე გაგვიყვანე ბრძოლაშიო.

ეტყობოდა, არც მოპირდაპირე ბანაკი აპირებდა ბრძოლის გადადებას.

მდუმარედ იდგა გიორგი სააკაძე, ხმლის ვადაზე ხელჩამოსვენებული (ეს ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედროდა!).

„ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ მე და ის ვერ შევრიგდით... მე და ის!“ — გაუელვა გიორგის.

უცებ თითქოს რაღაც ახალი აზრი იაზრა, ინაშვილი მოიხმო, იდუმალ ელაპარაკა და „მტრის“ ბანაკში გაუშვა.

ინაშვილი თეიმურაზს ეახლა, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

— მოურავმა გიორგი სააკაძემ გთხოვათ, ნება მომეცითო პირადად გაახლოთ ჩემი თავი ბრძოლაშიო, ძალიან მინდა ჩემი სიბერიკაცე შენს სიყმაწვილესთან შერკინებაში გამოვცადოო.

წამოიყინჩნენ ზურაბ ერისთავი და კახელი თავადები, მაგრამ ისევ დაასწრო ყველას თეიმურაზმა:

— მოხარული ვარ ხმალდახმალ შევხვდე სახელოვან მოურავსო. ოღონდ მითხარით ბრძოლის ველზე შესაცნობი ნიშნეულობა.

—თვითონ დამაბარა მოურავმან: ლურჯა ცხენზე შევჯდებიო, შავ კურტაკს ჩავიცვამ და შავ მუზარადს დავიხურავო, — მიუგო ინაშვილმა,

—კეთილი, მაშინ ჩემი ნიშნეულობაც ინებოს სააკაძემ: შავი ცხენი, თეთრი წამოსასხამი და თეთრი თავსარქმელი! — შესძახა მეფემ.

ინაშვილი სააკაძესთან დაბრუნდა.

ზურაბ ერისთავი მივარდა თეიმურაზს: არ არის საკადრისი, რომ მეფე თავის ყმას შეებასო, ისა სჯობია, თქვენს მაგივრად თქვენი ნიშნეულობით სხვა ვინმე შეებრძოლოს მოურავსო.

— მე გავალ სააკაძესთან საბრძოლველად! — იყვირა ედიშა ვაჩნაძემ.

— ყველამ შეუქო გაბედულება ჭაბუკ თავადს.

მეფის შავი ცხენი მოჰგვარეს ვაჩნაძეს, თეთრი წამოსასხამი წამოასხეს საომარ კურტაკზე, თეთრი თაჯიც დაპხურეს მუზარადზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სააკაძეც მზად იყო. ლურჯა ცხენზე ამხედრებულმა, შავი საომარი კურტაკით და მუზარადით გამოწყობილი.

დავით გოგორიშვილი მოისმო სააკაძემ და იმასაც თავისი ერთი ხელი ალბურვილობა აასხა, თავის მარქაფ ლურჯაზე შესვა და უთხრა:

ბრძოლაში ისე გახვალ როგორც გიორგი სააკაძეო.

თურმე ეს ყოფილა მოურავის განზრახვა: ბრძოლაში „ორი სააკაძე" მიიღებს მონაწილეობასო; მე რომ თეიმურაზს შევებმები, „მეორე სააძე" (გოგორიშვილი) დანარჩენებს დაერევაო; „მტერი" ნამდვილ სააკაძეს ვერ ამოიცნობს, დაიბნევა, დაფრთხება და აირდაირევაო...

... ომი დაიწყო.

გაალმასებით ეკვეთნენ ერთურთს ერთი ცის ქვეშ შობილნი, ერთი დედის რძენაწოვარნი, ერთ ემბაზში განათლულნი და ერთი დიდედას ხელით ჯიპმობანილნი.

„შესდექით, ძმანო უგუნურნო!" — არ იქნა და არ გაისმა ეს შესახილი, არც ზეციდან არც მიწიდან.

მხოლოდ ომის ღმერთი თახთახებდა ცის კამარაზე, სისხლის წყურვილით გახელებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს ერთ სისხლიერნი.

ძმას ძმის მოკვლა უკეთ ესერხება, რადგან ძმამან ძმისა უკეთ იცის, სად უნდა დაჰკრას, რომელ ადგილზე დანაკრავი უფრო იოლად ალმოახდენს სულს...

...„სააკაძე!" — იყვირა ედიშა ვაჩნაძემ და ელვის სისწრაფით მიაშურა ლურჯა ცხენზე ამხედრებულ, შავი კურტაკით შემოსილ გოლიათ მხედარს.

„ბატონს თეიმურაზს ვახლავარ!" — დაიქუხა სააკაძემ და თვითონაც გაექანა შავ ბედაურზე ალმჯდარ, თეთრად მოკაზმული მხედრისაკენ.

ერთმანეთს შეასკდნენ „შავი" და „თეთრი" რაინდები.

შუბები შეალეწეს ერთურთს ფარებზე.

წამსვე ხმლები გაიძრეს.

მიხვდა სააკაძე, რომ მისი მოპირდაპირე არ იყო მეფე.

დაასწრო ვაჩნაძემ და თავზე უხეთქა ხმალი სააკაძეს. „მუზარადი გაუტეხა, მაგრამ გერში ვერ ააღებინა".

ტკივილს ალარ დაუცადა გიორგიმ .ელვასავით მოიქნია ხმალი. თავგაპობილი და უსულოქმნილი დაენარცხა მიწას ედიშა ვაჩნაძე.

„ნეტავ იმ ყმასა, თავის პატრონს რომ ენაცვალოს", — სინანულით ჩასძახა მომაკვდავ ჯაბუკს სააკაძემ.

და უმალვე რაღაც უცნაური, მანამდე განუცადებელი სისუსტე იგრძნო

გიორგიმ მთელს სხეულში. სასხრები ნოშლოდა და მოსხლეტოდა, რეტ-
დასხმული თავი უსაშველოდ დამბინებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველი აიჭრა და ატორტმანდა მის თვალსარბიელში. თმა-
ქოს დედამიწაც ღასხლტა და გაფრინდა ზეცად...

ცხენმა გაიყვანა ბრძოლის ველიდან უგონო მხედარი.

მიწამ დაითრია და ცხენიდან გადმოაგდო.

ძლივს დაიხსნა თავი გაჩეხილი და გაღრეცილი მუზარადისგან.

სიგრილემ დაჰკრა ცეცხლმოდებულ თავ-პირში.

გონი მოუბრუნდა.

ბრძოლის ველიც გასწორდა თვალსარბიელში. დედამიწამაც შეწყვიტა
სრბოლა.

ეს კი ველარ გაიხსენა, როგორ გამოაღწია საომარი წრეწირიდან.

მხოლოდ ტკივილი გაიაზარა, მანამდე განუცდელი ტკივილი, — ქარ-
თველი კაცის ხელით დანაკრავმა რომ დაურბინა თავის თხემიდან ფერხთა
ქუსლებამდე.

მეხი ჰქონია მკლავში იმ ქართველ ჭაბუკს!

იმ ქართველს!...

ქართველს!...

პირველად მოხვდა ქართველის ხელით მოქნეული ხმალი (შხამიანად
კი მოხვდა!).

ვინ მოთვლის, რამდენი შეხვედრა ჰქონია სააკაძეს საომარ ველზე
პირდაპირი ხმლის ჯვარედინით, მაგრამ არასდროს ასე ძლიერად არავის
არ შემოუკრავს, როგორც იმ ქართველმა შემოჰკრა, — მაგრამ არც არა-
სოდეს თვითონ დაურტყამს ისე მძლავრად, როგორც იმ ქართველს დაარ-
ტყა...

ჭეშმარიტად: არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის დამარცხება,
როგორც ქართველ კაცს!...

ბრძოლის ველს გაჰხედა.

დიდი საომარი ხელოვნებით ხოცავდნენ ქართველები ქართველებს.

წამოიწია' მიწას მიკრულმა სააკაძემ.

მაგრამ ისევ არ აუშვა მიწამ...

...ქართველები კი გაალმასებით ჟლეტდნენ ერთურთს.

გალომებული იბრძოდა „მეორე სააკაძე" — დავით გოგორიშვილი.
ვისაც შემოჰკრა, სიცოცხლე გაჰყარა და სიკვდილი ჩაუყენა. ეჭვი
არავის შეჰპარვია, რომ ნამდვილი სააკაძე იბრძოდა მისთვის ჩვეული
შემმართებლობითა და საომარი ხელოვნებით.

მიუხტა თეიმურაზ მეფე. შემოეგება გოგორიშვილი „სააკაძურად".
ნავარდი დაჰკრეს და ცხენები მოსხლიტეს. შუბგამართულნი დაეძგერნენ

ერთმანეთს. ორივემ აისხლიტა ფარზე ნაძგერალი შუბი. მხოლოდ თეიმურაზი გადიზნიქა ზურგით უნაგირზე.

წამსვე მოიჭრა საამ კობიასძე და გვერდიდან დაატაკა ლაზეკარი გოგორიშვილს. ეს დარტყმაც აიცდინა მესხმა რაინდმა და საპასუხოდ გაძარცა შუბი. გაექცა კობიასძე .გამოედევნა გოგორიშვილი.

„დამიდექ, მოურავო!" — უკნიდან მოესმა გოგორიშვილს.

ეს ზურაბ ერისთავი იყო.

შემობრუნება ველარ მოასწრო მესხმა. შიშველ ბარძაყზე დაჰკრა ხმალი ზურაბმა. ხმლიანი ხელი წამიერად დაკოდილი ბარძაყისკენ გაექცა გოგორიშვილს. იმ წამსვე ხელმეორედ მოიქნია ხმალი არაგვის ერისთავმა. მისმა მეომრებმა მოუსწრეს და ხელის გამოღება აღარ აცალეს, ისე აკუწეს გოგორიშვილი.

„სააკაძე მოჰკლეს"! — ბედისწერის ზარივით დაერისხა ბრძოლის ველს ეს დაძახილი.

მუხლი და მკლავი მოეშალათ „სააკაძელებს".

მუხლი და მკლავი გაათკეცებით გაუმძლავრდათ „თეიმურაზელებს".

ბრძოლის ველი სავსებით დაიხელთეს თეიმურაზმა და ზურაბ ერისთავმა.

თავდავიწყებით ეტევებოდა მეფე „მტრებს" და „თავდავიწყებულმა" ვერ შენიშნა როგორ მოუხდა მარცხენა მხრიდან ქვეშხეთელი აბაშიძე — მოუხდა და აძგერა შუბი. მაინც გულიდან ფარით აისხლიტა მტრის იარაღი მეფემ. მაგრამ დანაკრავი მაინც უსისხლოდ არ მოსცარვია აბაშიძეს. შუბი მარცხენა მკლავში შეურჭო და შეატოვა მეფეს და თვითონ წამსვე გაექცა სამაგიერო სისხლის დაქცევას.

ფიცხლავ შეუკრეს ჭრილობა მეფეს. ბრძოლიდან მაინც არ გავიდა ბრძოლით გახელებული თეიმურაზი.

(ამ დღეს იყო იგი ყველაზე დიდი ვმირიც და ყველაზე დიდი სარდალიც)...

...ბრძოლა გათავდა, ბაზალეთის ბრძოლა — ბლოვის სამანი ქართველი ხალხის ისტორიისა!

უძლური ხდება სიტყვა „სისასტიკე".

განადგურებული იყო სააკაძის ბანაკი.

ქართველთა ხელით დახოცილი ქართველებით დარეცილიყო ქართული მიწა.

ვინც დაიღუპა — დაიღუპა, მაგრამ ვინც ცოცხალი დარჩა — მეფე, თავადი, აზნაური, ბლეხი თუ „სხვა რამ მდაბიო" — დაუჭრელ-დაუკოდავი და სისხლდაუდენელი არავინ დარჩენილა — არც დამარცხებულთაგან, არც გამარჯვებულთაგან.

თეიმურაზ მეფემ გაიმარჯვა და მოურავი სააკაძე დამარცხდაო! — გაიძახოდნენ ბაზალეთის ცოდვისშვილები — ზოგი აღტაცებით, ზოგიც

სინანულით, და არავინ ამბობდა, რომ ამ დღეს დამარცხდა — საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკაძის მეომრებთან ერთად ბაზალეთის მიწაში დამიწდა ... მამულიშვილური განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა ... ალორძინებისა.

არა, — გარნისის ღალატიანი ბრძოლის შემდგომ, საქართველო ასე სასტიკად არასოდეს დამარცხებულა...

...იმერელი ტყვეები მოჰგვარეს თეიმურაზს.

„ყველას თითო ყური აათალეთ და ისე გაუშვით!“ — ბრძანა მეფემ და ერთხელ კიდევ შეირცხვინა თავი ესოდენ ულირსი ბრძანებით.

რატომღაც ხოსია მაჭავარიანს ორივე ყურის მოჭრა გადაუწყვიტა თეიმურაზმა.

„სულ მთლიანად ნუ მომაჭრით, ნახევარ-ნახევარი მაინც შემარჩინეთ!“ — შეჰლალადა.

„ორივე ძირში დაათალეთ!“ — ჟინიანად გაიმეორა მეფემ.

და ორივე ყური პირწმინდად მოჰკვეთეს იმერელ სარდალს.

„არ მეგონა, თუ ასეთი გულპილწი იყავი!“ — შებღავლა უყურო მაჭავარიანმა თეიმურაზს.

გულპილწი!

იქნებ არ გაემტყუნებოდა ასეთი სიტყვის წამოძახილი დასახიჩრებულ კაციშვილს. იქნებ არც ის გაჰკვირვებოდა ვისმეს, უმადურობა რომ ვისმეს წაეყვედრებინა მეფისთვის, ისეთი უანგარო მასპინძლობისთვის და მფარველობისთვის, იმერეთს რომ გაუწევია ლტოლვილობის ჟამს... მაგრამ არც ერთ სხვა ქართველს, არც უყუროს და არც ყურიანს, მსგავსი მაყვედრებელი სახელნართაული სიტყვა თეიმურაზისთვის არ უკადრებია იმდღევანდელი უფრო დიდი ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს თ ვ ი ს.

მან, საქართველოს მეფემ, იმ დღეს ხომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ა მ ა რ ც ხ ა!

. . . . . .

ბაზალეთის ცოდვიანი მიწიდან გიორგი საკაძე და სიკვდილს გადარჩენილი მისი თანამებრძოლები სამცხეში გაიქცნენ, ახალციხეში მოიყარეს თავი ცოლ-შვილითა და სახლეულებით — გიორგი საკაძემ, იასე ქსნის ერისთავმა და ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა. ქაიხოსროს თავისი ძმის, მარაბლის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზის ცოლ-შვილიც წამოეყვანა სამუხრანოდან.

თათბირად დასხდნენ და ძალიან მალე გადაწყვიტეს: ოსმალეთში უნდა გადასვეწილიყვნენ და ხონთქრის სამსახურში შესულიყვნენ, ხოლო შემდგომ... შემდგომ, გიორგი საკაძის აზრით, ხონთქრისგან ოსმალურ

ჯარს გამოითხოვდნენ და საქართველოს „დასახსნელად“ გამოუძღვებოდნენ...

ის ზამთარი სამცხეში გაატარეს.

მერე, სააკაძემ ოჯახი სამცხეს დატოვა. მხოლოდ ... ყოლია — უფროსი ვაჟი და განუყრელი თანამებრძოლი.

იასე ქსნის ერისთავმა და ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა თავიანთი სახლობანი, თეიმურაზ მუხრან-ბატონის ოჯახთან ერთად, იმერეთს გაგზავნეს.

და 1627 წლის გაზაფხულზე ბაზალეთის ცოდვისშვილებმა ოსმალეთისაკენ გაქუსლეს...

მაშ, ახლა ოსმალეთის მიწაზე მითქარუნობს გიორგი სააკაძე.

და ერთ გვამ-სხეულში ორი გიორგი გლეჯს ერთმანეთს.

„რას სჩადიხარ, გზააბნეულო ადამიანო, ისევ გარბიხარ საქართველოდან?!“

„ისევ გამაქციეს და ისევ გავრბივარ“.

„ისევ სულ ერთია, გაგაქციეს თუ შენით გარბიხარ — მაინც ღალატი ჰქვია სამშობლოდან ყოველ გაქცევას“.

„მე მალე დავბრუნდები“.

„მაშინაც აგრე ფიქრობდი, სპარსეთისაკენ რომ მიჭენობდი, მაგრამ ეგ „მალე“ აკი თორმეტი წელიწადი გაგიგრძელდა“.

„ის სპარსეთი იყო“.

ჰო, ის სპარსეთი იყო, ეს კი ოსმალეთია... მაგრამ რითი სჯობს შენი საქართველოსთვის ოსმალეთი სპარსეთს? განა, ალია და ოსმანა ორივე თათარი არ არის, განა საქართველოსთვის ორივე ერთნაირად მოსისხლე და დამაქცევარი არ არის?!

„არა, ახლა სპარსეთი უფრო საშიშია საქართველოსთვის“.

„სპარსელები შენ თვითონ დაამარცხე და გადარეკე საქართველოდან და ახლა ვის წინააღმდეგ აპირებ ოსმალური ჯარების მოყვანას საქართველოში?“.

ტფილისში ჯერ ისევ დგანან ყიზილბაშები... ქვემო ქართლიც უჭირავთ სპარსელებს“.

„ტყუილად ცდილობ, გიორგი სააკაძევ, თვალები აუხვიო გიორგი სააკაძეს! შენ თეიმურაზ მეფის, ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის სისხლი გწყურია: და ამათ დასამხობად გინდა ისევ უცხოელთა ლაშქრის მიყვანა საქართველოში!“.

„თუნდ აგრეც იყოს! სწორედ თეიმურაზ მეფე და მისი „მოკიდებული“ თავადობა უნდა მოისპოს, საქართველო რომ გაერთიანდეს და გაძლიერდეს!“.

„მერე, ისევ საქართველოს მოსისხლე უცხო თესლთა მეოხებით აპი-

რებ საქართველოს გაერთიანებას და გაძლიერებას?! განა შენს თვალწინ არ მოხდა ყოველივე — როგორ „გაერთიანდა“ და „გაძლიერდა“ საქართველო შენგანვე არჩეული „სპარსული გზით“?! ცას შეჰღაღადებს „ამასათასი ქართველის სისხლი! აკი მაშინ თვითონვე მიხვდი „უცხოური გზის“ ცთომილებას! მიხვდი და იხსენ კიდეც შენი სამშობლო შენეული მძლავრი მკლავით და მძლავრი გონებით. მაგრამ ახლა რა ხდება? ნუთუ წინარე ცთომილებას იმეორებ და შენგანვე დახსნილ და გადარჩენილ ქვეყანას „ახალი უცხოური გზით“ ახალ სატანჯველს უმზადებ?!“

„მე ჩემი ქვეყნის დახსნის გზას ვეძებ.“

„გარეთ ნუ ეძებ, თვითონ ქვეყნის შიგნით ეძიე!“

„ქვეყნის შიგნით არ მომისმინეს, გამანადგურეს და გამომაძევეს“.

„შენი ხალხი გაღმერთებს, დიდო მოურავო, დაუბრუნდი და მაშინვე გვერდით დაგიდგება „ყოველი ერი“.

„მალე დავბრუნდები“.

„გიჯობს, ახლავე შემობრუნდე, გიორგი სააკაძევ, დიდო ქართველო, ერთ დროს სპარს-თათარო, მერე ისევ ქართველო, ახლა ოსმალ-თათრობაზე შემდგარო!“...

მაინც მიდიოდა სააკაძე.

უცხო მიწა ფეხებს უწვავდა კაცსაც და ცხენსაც.

მაგრამ მაინც მითქარუნობდა, რადგან სატანა აჯდა საჟნიან ბეჯზე.

ისევ მიისწრაფოდა „უცხო თესლთა“ ისტორიის „შესაქმნელად“ საქართველოს ეროვნული გმირი...

სტამბოლის კარი დიდის ზეიმით შეხვდა სააკაძეს. ხონთქარი მურად მეოთხე საგანგებოდ დარჩეული და მორთულ-მოკაზმული ამალით მიეგება ლეგენდარულ გურჯს.

ოდრიკალად მოიკეცა ვეება გმირი, სულთანს მუხლებზე ეამბორა, და მოახსენა მოწიწებით: „მე თქვენს ხმალს მოვენდევ, თქვენს ფერხთა მტვრად ვიქეც და სხვისი ყმობა გულშიც არ გამიტარებიაო“.

სახე გაებადრა მურადს, ძალიან მისარია, ჩემი ქვეშევრდომობა რომ აგირჩევიაო — ეუბნებოდა სააკაძეს — დიდად გიმადლი, სამცხიდან და საქართველოდან ყიზილბაშები რომ გადარეკეო; ამიერიდან შენი ყოველი სურვილის აღმსრულებელი ვიქნებიო; წყალობით აგავსებ, სამ-ოთხ საფაშოს თავისი ციხე-ქალაქებით სარჩოდ და საპატრონოდ გიბოძებო.

ცხენზე შებრძანდა ხონთქარი, გაიყოლია სააკაძე მისი ამალით ამხედრებული და მთელი სტამბოლი შემოატარა, რათა „არ მოსწყენოდა“ საქართველოს სახელოვან გმირს.

მერე ენგიჩარ-აღას (იანიჩართა გვარდიის უფროსს) უბრძანა სულთანმა, ახლა შენ ეახელ დიდებულ სტუმარს და ყოველივე დაწვრილებით აჩვენე და მოახილვიეო.

ენგიჩარ-ალას მეგზურობით ქართველებმა დიდის ინტერესით ეაათვა-ლიერეს ეს საოცარი ქალაქი, „მსოფლიოს ოქროს ჭიპი“, მზხი ყოველი ლირსშესანიშნაობანი, ბერძნულ-ანტიკურიც და გვიანრომაულ-ბიზანტიურიც და ოსმალურიც, ქრისტიანულიც და მაჰმადიანურიც.

ნახეს თოფხანები და არსენალები, ციხესიმაგრენი და ზღვის სანაპირო ბასტიონები, საციხოვნო ზარბაზნები და ზამბულაკები, ფალკონეტები და ჯაზაირები, მარმარილოს სრა-სასახლენი და „ლომ-ვეფსვთა საღგურნი“.

ჯერ კიდევ „გაუთათრებელი“ ქართველი სტუმრები დიდის მოწიწებით შევიდნენ აია სოფიას დიდებულ ლავრაში, მსოფლიო საქრისტიანო სამლოცველოში. პატრიარქს ესტუმრნენ, მის წირვა-ლოცვას დაესწრნენ, თვითონაც გული მოიჯერეს მხურვალე ლოცვით და ლიტანიით (აქ დაიღვარა მათი უკანასკნელი „ქრისტიანული ცრემლი“).

. . . . . .

„გათათრების“ დღეც დადგა.

და „გათათრდნენ“.

ზოგს წინდაცვეთაც აღარ დასჭირვებია, რადგან „ხელმეორე თათრობაში“ შედიოდა.

ასეთი იყო თვითონ გიორგი სააკაძე.

იგი „თათრად გააახლეს“ და ახალ სახელად მეჰმედი დაარქვეს.

მაშ, დგას 1628 წელი და ევროპისა და აზიის გზატკეცილზე, ბოსფორისა და ოქროს რქის შესაყარში, აღმართულა 47 წლის გოლიათი კაცი-შვილი, მშობელი ქვეყნისთვის მრავალჭირნახული, წრფელი მამულიშვილური განზრახვებით ავსებული, მაგრამ ამავე ზრახვათა განსრულების გზათა ძიებაში ერთხელ კიდევ შემცდარი და ხელმოცარული...

... თავისი მოსათხოვარი მოსთხოვა „კვლავვგათათრებულმა“ სააკაძემ „თათრის ხელმწიფეს“; ჯარები უნდა მომცე საქართველოში სალაშქროდ.

— ჯერ ბაღდადი და არზრუმი უნდა გამოეგლიჯო ხელიდან სპარსელებს — შეაგება ხონთქარმა — გიორგი სააკაძის გმირობაც სწორედ საბაღდადოდ და საარზრუმოდ მჭირდება. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს... საქართველოში წასვლასაც მოესწრები...

...სულდაკნინებული გამოვიდა გიორგი ხონთქარის სასახლიდან.

დიდხანს დაეხეტებოდა სტამბოლის ქუჩებში გულჯავრიანი, სახიდამეწყრილი და შხამიანი ფიქრებით დარეგვილი.

ერთ დღეს სტამბოლის ფრანგულ საელჩოს მიადგა და მიღება ითხოვა.

ვინ ბრძანდებითო, ჰკითხეს ფრანგებმა.

საქართველოს მეფის, თეიმურაზის ელჩი გახლავართო, იყო პასუხი.

სიხარულით მიიღო საფრანგეთის დესპანმა „ქართველი მეფის ელჩი“. დიდი დარბაზობაც გაუმართა. რაღაც ხანგრძლივი სჯა-ბაასიც ჰქონდათ. თუმცა არავინ იცის, რაზე საუბრობდნენ ფრანგი და ქართველი, ოღონ განაზრახი გაანდო საკაძემ ევროპელ დიპლომატს, რა სთხოვა, რა ურჩია, რა „შეაგონა“.

ამ შეხვედრის ჟამს საფრანგეთის ელჩმა გიორგი საკაძეს იტალიელი მისიონერები გააცნო — პიეტრო ავიტაბილე, ქრისტეფორე კასტელი და ჯაკომო სტეფანი.

თურმე ქართველთა დიდი მეგობრისა და მოყვარის, პიეტრო დელა ვალეს მოხსენებას დაურწმუნებია რომის პაპი ურბანუს მერვე, გაეძლიერებია კათოლიკური სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში. და სწორედ ამ მიზნით მოდიოდა ეს სამი კათოლიკე ბერი, რომელთაც მოჰქონდათ პაპის „კათოლიკური ალერსით“ გამთბარი და გამტკბარი ეპისტოლენი ცალ-ცალკე იმერეთ-კახეთის მეფეებისა და გურია-სამეგრელოს მთავრებისადმი.

ძალიან გაიხარეს „წმინდა მამებმა“ საკაძესთან შეხვედრით, თურმე საქართველოში მიდიოდნენ ისინი, თეიმურაზ მეფესთან შესახვედრად. გზებზე დიდი შიშიანობა იდგა და საიმედო თანამგზავრს ეძებდნენ. საკაძეზე უკეთესს ვის იპოვნიდნენ, თუკი ეს „გოლიათი ელჩი“ საქართველოსკენ ღროზე გაბრუნდებოდა.

ერთმანეთს გადაება საპატიო სადილები და მეჯლისები საფრანგეთის საელჩოში.

გიორგი საკაძემ დაატყვევა ევროპელები — სიტყვა-პასუხით, აღზრდილობით, გონგამჭრიახობით, სიკეთით, სიქველით.

საქართველოზე ეკითხებოდნენ და ისიც ბალღური აღტკინებით მოუთხრობდა ქართულ მიწასა და წყალზე, ქართულ მზესა და ცაზე.

ქართველებზე ეკითხებოდნენ და ქება-დიდებით მიწაზე ფეხს აღარ უდგამდა არც ერთ ქართველს, არც მოყვარესა და არც მტერს.

ყველაზე მეტს მაინც თეიმურაზ მეფეზე გამოჰკითხავდნენ ევროპელები „თეიმურაზის ელჩს“.

„თეიმურაზს ძალიან გაუხარდება თქვენი სტუმრობა და დიდის პატივისცემით მიგიღებთ“, — ეუბნებოდა გიორგი საქართველოსკენ წამოსასელელად აღძრულ ევროპელებს და უზომო ხოტბით ამკობდა მოსისხლე მტრად გადაკიდებულ თანამემამულე გვირგვინოსანს.

მოჯადოებულნი იყვნენ ევროპელები.

ქრისტეფორე კასტელი თურმე მხატვარიც ყოფილა, — ჩაუჯდა და დახატა გიორგი საკაძე. ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ხატი სწორუპოვარი ქართველი მხედრისა და მხედართმთავრისა.

ნახატი იგი — სიმკაცრითა და კაეშნით აღსავსე სახე მარტო კაცისა და მისი მშობელი შფოთიანი საუკუნისა...

...სულთანმა მურად მეოთხემ გიორგი სააკაძეს სამმართველოდ — „საზრდელად“ უბოძა ოსმალეთის ყველაზე დიდი „ქვეყანა“ — იკონიის, ანუ ყარამანიის ვილაიეთი.

სტამბოლის კარზე მრავალი ოსმალო და გაოსმალებული კარისკაცი ალიესო შურით და მტრობით „გურჯი მოურავ-ბეგის“ ეგზომი პატივისა და აღზევების გამო.

გიორგიმ იკონიის სამმართველოდ და საპატრონოდ თავისი ქართული ამალიდან გაგზავნა „ვინმე ხუცესი“.

თვითონ სააკაძე სულთნის ბრძანებით საომარ ველზე გაეშურა ოსმალეთის დიდი ვეზირისა და მთავარსარდლის ხალილ-ფაშას „მარჯვენა ხელად“.

1627 წლის ზაფხულში ოსმალები მიადგნენ არზრუმს, რომელიც ხონთქრის მოღალატე აბაზა-ფაშას სპარსელებისთვის ჩაებარებინა.

არზრუმთან გამართულ ბრძოლაში გიორგი სააკაძემ ისევ დაიგდო სწორუპოვარი სარდლისა და მხედრის სახელი. მაგრამ ხალილ-ფაშას უნიჭობისა და ლაჩრობის წყალობით არზრუმი იმ წელს ისევ სპარსელებს დარჩათ.

1628 წელს სულთანმა მურად მეოთხემ ხალილ-ფაშა გადააყენა და აღმოსავლეთის ჯარების სერასქერად დანიშნა თავისი სიძე (დის ქმარი), ახალი დიდვეზირი ხუსრევ-ფაშა (მკითხველმა გაიხსენოს: 1625 წელს ხუსრევი „ალას“ სახელით იანიჩარებს მეთაურობდა).

ამჯერად გიორგი სააკაძე ხუსრევ-ფაშას „მარჯვენა ხელი“ უნდა ყოფილიყო.

...შაჰ აბასი მაზანდარანს ნადირობდა და ნადიმობდა, როცა ხუსრევ-ფაშას შემოტევის ამბავი შეიტყო. გამორჩევით, სპარსეთის ლომი იმას შეუშფოთებია, რომ არზრუმისკენ წამოსულ ოსმალეთის სერასქერს გიორგი სააკაძე „ბედშავი და უმადური ქართველი მოურავი“ უდგას გვერდით.

მაზანდარანიდან შაჰ აბასი ყაზვინს მივიდა და იქ დაისადგურა ომის სამეთაუროდ და სამეთვალყუროდ.

მაგრამ არზრუმის დანარჩუნება მაინც ველარ შეძლეს სპარსელებმა. ოთხი თვის ალყის შემდეგ იგი აიღეს ოსმალებმა.

არზრუმის ბრძოლებისა და ეგზომ სახელოვანი ციხე-ქალაქის დაუფლების მთავარი გმირები ისევ გიორგი სააკაძე და მისი თანამებრძოლი ქართველები ყოფილან. კიდევაც მოუხსენებიათ მურად სულთანისათვის:

„გურჯი მოურავი რომ არ ყოფილიყო, ხუსრევ-ფაშა არზრუმს ვერასგზით ვერ აიღებდაო“.

(ხოლო ხუსრევ-ფაშა ავბუნება კაცი იყო — შურიანი, ეჭვიანი და სი-სხლის მოყვარე. წარმომავლობით ბოსნიელი, სიყრმითგანვე გაოსმალე-ბულ-გათათრებული, „გათათრებულმა მცირე ერის შვილებმა“ კარგად „ერ-სი ძმების“ თვალსაჩინოდ, განსაკუთრებით იციან ერთმანეთზე გადამტე-რება).

იმავე 1628 წელს ხუსრევ-ფაშა და გიორგი სააკაძე არზრუმიდან სამ-ცხეს შემოიჭრნენ და აქაური ციხე-ქალაქებიდანაც განდევნეს სპარსული ციხიონები.

არავის გაჰკვირვებია, რომ „მშობლიურ მიწაზე“ მეომარმა გიორგი სააკაძემ სავსებით დაჩრდილა ოსმალეთის დიდვეზირი და მხედართუფ-როსი.

უკვე გველის გორგალი ეხვეოდა გულზე ხუსრევ-ფაშას...

. . . . . .

1629 წლის იანვარი. მაზანდარანი. აშრაფი. შაჰის სასახლე.

შაჰ აბასი არის 58 წლისა და არის ავად, ლოგინად ჩავარდნილი.

მიჯინებული ინთილა დამართნოდა, მუცლის ყვანა. ჩირქი და თხრამლი სდიოდა განუწყვეტლივ და განუცადებლად.

იწვა სასიკვდილო სარეცელზე და საბოლოოდ რწმუნდებოდა „ყოვ-ლისმძლეველი ლომი“: ორი რაიმე ვერ დაეძლია ვერასდიდებით—სიკვ-დილი და საქართველო.

„მაინც ვერ იქნა და ვერ მოვერიე საქართველოს... სიკვდილივით დაუ-ძლეველი ყოფილა საქართველო, ხოლო სიკვდილი — საქართველოსავით დაუძლეველი!“.

ღამის და ძილის ეშინოდა, რადგან შემაძრწუნებელი კოშმარები და მო-ლანდებები ახრჩობდნენ წყვდიადით მოსილს ან სიზმრად ჩათრეულს.

უსაყვარლესი შვილის, სეფი-მირზას ლანდი არ შორდებოდა და არ ასვენებდა, სეფი-მირზა! ქართველი ქალის ნაშობი, უმშვენიერესი, უნიჭი-ერესი და უმამაცესი უფლისწული! მამისგან მოკლული შვილი!

რა რომ სეფი-მირზა ისე უსამართლოდ და უგანაჩენოდ მოკლა, მის შემდგომ სპარსეთის ტახტის მემკვიდრედ შაჰ აბასმა სეფის ძე საამ-მირზა გამოაცხადა — საამ-მირზა, რომელსაც ახლა ჩვიდმეტი წელი შესრულე-ბოდა და „სამეფო კბილიც ამოსვლოდა“.

ალბათ, ესეც ბედისწერა იყო: ისევ ქართველი ქალის ნაშიერი უნდა ასულიყო სპარსეთის ტახტზე — საამ-მირზას დედაც და ბებიაც ხომ ქარ-თველი ქალები იყვნენ.

ანდერძიც კარგა ხნის შედგენილი ჰქონდა შაჰ აბასს — ანდერძი საამ-მირზას გამეფებისა.

მაგრამ დაანებებდნენ საამ-მირზას სპარსეთის სახელმწიფო ინსიგნიებს დანარჩენი ტახტის მოცილენი? შაჰ აბასმა შვილთაგან და შვილიშვილთაგან ზოგი დახოცა, ზოგი დააბრმავა და ზოგიც ალამუთის ციხეში გაგზავნა, მაგრამ იმ ბრმებსა და პატიმრებს თავიანთი „დასები“ ჰყავდათ სპარსულ ლიდკაცობაში.

საამ-მირზას ყველაზე დიდი მოცილე მაინც ისა-ხან ყორჩიბაშის ვაჟი იქნებოდა. ყორჩიბაში ხომ შაჰის სიძე იყო და მისი ვაჟიც შაჰის შვილიშვილი გახლდათ, თანაც ორივე მშობლის ნაკადით „წმინდა სისხლის სპარსელი“. უეჭველად სპარსელი დიდებულებიც ყორჩიბაშის ძეს აირჩევდნენ ქართული სისხლის მქონე საამ-მირზას წინააღმდეგ.

მაგრამ არსებობს უტყუარი ძალმოსილება შაჰ აბასისა, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომაც უტყუარად დარჩება და იმოქმედებს ამ ქვეყანაზე. ხოლო, ეს ძალა გახლავთ ხოსრო-მირზა, თათრად გაზრდილი ქართველი, მამით ბაგრატოვანი და დედით ბლეხი, „უკვდავთა სამეფო გვარდიის“ ყულარაღასი და ტარუღა სპარსეთის სატახტო ისფაჰანისა, უჭკვიანესი გამგებელი და უმამაცესი მხედარი...

და უკანასკნელად გამოიძახა შაჰ აბასმა ხოსრო-მირზა; უკანასკნელად დაიბარა და უკანასკნელად დაუბარა მანამდე ასჯერ დანაბარები:

— საამ-მირზა შენ უნდა აიყვანო სპარსეთის ტახტზე!

— აღესრულება! — ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი აღთქმა ხოსრო-მირზამ რწმენანაჯერი სიდინჯით.

— შენს მეტს არავის ვენდობი და შენ ვიტოვებ ამ ანდერძს. და გაუწოდა ანდერძი შაჰმა ერთგულსა და „უტყუარ მარჯვენა ხელს“.

— აღესრულება! — ისევ წყნარად თქვა ხოსრომ და ჩამოართვა ფირმანი.

— რაო, რას ამბობენ მუნეჯიბნი — რამდენ ხანს იმეფებსო საამ-მირზა? — უცებ იკითხა შაჰმა.

— თვრამეტ თვეზე მეტს ვერ იმეფებსო, — ნირშეუცვლელად მიუგო ხოსრომ.

დიდხანს სდუმდა სახეჩამქრალი ხელმწიფე. უკანასკნელად კაჭრობდა მისი გული გველის კაჭრობით.

— თვრამეტი თვე კი არა, სამი დღეც რომ ვერ მოათიოს, მაინც საამ-მირზა უნდა იქნეს სპარსეთის მბრძანებელი, მაინც სეფი-მირზას შვილმა უნდა დაიდგას თავზე მამამისის კუთვნილი გვირგვინი! — ენინიანად ამოიგმინა ბოლოს.

— აღესრულება!

— გახსოვდეს, ხოსრო-მირზავ, როცა ჩემს ანდერძს გამოაცხადებ, წარბის შეხრაც თუ ვინმემ გაბედოს, სასიკვდილოდ არ დაინდო, იცოდე!

— აღესრულება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ტახტზე ასულ საამ-მირზას სახელი უნდა გამოუცვალო და მაგის სახელი დაარქვა — სეფი!

— აღესრულება!

— მაშ, სპარსეთის ტახტზე ადის შაჰ სეფი!

— დიახ, ხელმწიფეო...

... თვალები მილულა მომაკვდავმა.

ისევ გაახილა და უკვე ძლივს ჰხედავდა თავზე წამომდგარი ხოსრო-მირზას სახეს.

ქართველი კაცი ესწრებოდა მისი ბობოქარი საწუთროს უკანასკნელი წუთების მარცვლას.

ქართველები და საქართველო!

მთელი მისი წუთისოფელი მოსვენებას არ აძლევდა ეს ორი სიტყვა.

ქართველები უყვარდა და ქართველები სძულდა.

ქართველების ეშინოდა და ქართველებით იმედოვნებდა.

ახლაც ქართველი კაცის იმედით კვდებოდა.

და 1629 წლის 19 იანვარს სპარსეთს მოუკვდა მისი ყველაზე დიდი ალმაშენებელი, ხოლო საქართველოს — მისი ყველაზე დიდი დამაქცევარი.

აღესრულა მომავლის საქართველოს ყოველი მომტერე-დამპყრობლის ყველაზე დიდი მასწავლებელი და მოძღვარი.

დაკრძალეს დიდ ქალაქ ყუმში, ისფაჰანსა და თეირანს შორის.

მიჯინებულმა ფალარათმა მოინელა ნახევარი მილიონი ქართველის მომნელებელი...

... ხოსრო-მირზას ხელი ნახევრად ამოწვდილ ხმალზე დაედო და ისე კითხულობდა ანდერძს. ტახტზე ადიოდა შაჰ სეფი...

. . . . . .

მაშ, გიორგი სააკაძე მოესწრო მისი პირადი და მისი სამშობლოს მოსისხლის — შაჰ აბასის სიკვდილს.

მაგრამ ბედისწერა ხშირად დიდ სიხარულს დიდი მწუხარებით დასწონის.

გიორგი სააკაძის ცხოვრების ეტლიც თავაწყვეტილი სრბოლით მიელტვოდა აღსასრულის კარიბჭისაკენ.

დიახ, სიკვდილს გაახსენდა, რომ დიდი გიორგი სააკაძეც მისი შვილი იყო...

... გველის გორგალი ეხვეოდა გულზე ხუსრევ-ფაშას, რადგან სააკაძის ტანსრული ჩრდილი ჩამოწოლილიყო სერასქერსა და სულთანს შორის.

სერასქერსა და დიდვეზირ ხუსრევ-ფაშას ცოლად მურად სულთანის ღაი ჰყავდა.

და ცოლიც აქეზებდა ქმარს: ყველგან გურჯი გიორგი სააკაძის ექადიდება გაისმის, ყველას მისი სახელი აკერია პირზე. შენი ხსენება კი სულ გაქრა და დაიკარგა. სულთანიც დღენიადაგ ამას გაიძახის: სააკაძეზე უკეთესი ქვეშევრდომი არც მყოლია და არც მეყოლებაო..

ქვა ისედაც აგორებული იყო.

მარტო ხუსრევ-ფაშას სახლეული არ უდგა კრიჭაში გიორგი სააკაძეს. მისი საბეგლარბეგოს — კონია-ყარამანიის ოსმალო დიდკაცობაც შურითა და მძულვარებით ზომავდა „ზვიადი გურჯის" აღზევების გზას. აქაური ფეოდალები უკვე „წარმატებით" ხლართავდნენ ხვანჯებს სააკაძის სახელის შესალახავად და ხონთქრის თვალში დასამცირებლად.

კონიელ დიდკაცთა შეთქმულებას სათავეში ედგა ვილაც იბრაჰიმ ფეჩევი (არა ისტორიკოსი), „ცნობილი თავისი ბრაზიანობითა და კადნიერებით".

ფეჩევის „დასის" რომელიღაც მოშაირე-მასხარამ ლექსი გამოუთქვა და გაუვრცელეს სააკაძეს:

ღვინოს ვსვამ და ვეასლები ფლავს,
გარეგნობით ვემსგავსები ხარს,
არ ვარ მოთაყვანე ცეცხლისა,
არც მუსლიმი,
არც ურია,
ვარ მირმირანი ყარამანიისა,
ვარ მოურავი გურჯისტანისა.

კონიაში დატრიალებულ ყოველ ბნელსა და უწესო საქციელს ქართველებს აბრალებდნენ.

ვილაც მძარცველებმა ღამით სახლები დაძარცვეს, — ქართველებს დააბრალეს.

ვილაც მაწანწალებმა ქალებს ნამუსი აჰხადეს, — ქართველებს დააბრალეს.

ვილაც ლაზღანდარებმა ქალიშვილებს თმები გადაპარსეს, სახედრებზე თავგადახოტრილები შესვეს და ხალხის თვალსასეიროდ ჩამოატარეს, — ესეც ქართველებს დააბრალეს.

კონიის სამმართველოდ გაგზავნილი „ვინმე ხუცესი" — მოადგილე გიორგი სააკაძისა — იბრაჰიმ ფეჩევიმ სრულიად უმიზეზოდ შეიპყრო და ციხეში ჩააგდო.

იმჟამად გიორგი არზრუმს იდგა და სანამ მის საბეგლარბეგოში დატრიალებულ ამბებს შეიტყობდა, მანამ იბრაჰიმ ფეჩევი კონიელ დიდკაცთა თანხლებით ხუსრევ-ფაშას ეწვია და წერილობით და სიტყვიერად საჩივარი გადასცა ქართველთა „უსამართლობის, სიმკაცრის, გაუპატიურებათა და ძალმომრეობათა" შესახებ.

ხუსრევ-ფაშა ახალი დაბრუნებული იყო ბაღდადის ლაშქრობიდან, მარცხიანად დაბრუნებულიყო. ბაღდადი ვერ წაერთმია სპარსელებისთვის. ვერ წაერთმია, რადგან სააკაძე არ წაიყვანა „მარჯვენა ხელად“, რადგან არ იცოდა ხუსრევ-ფაშამ, რას გადაუწყვეტდა ხონთქარი მას „ბაღდადური მარცხისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ღღეს კიდევ ერთი წერილი მოსვლოდა ხუსრევ-ფაშას ცოლისაგან: ჩემი ძმა ხონთქარი შენზედ „გულში მწარედ“ არისო, მოურავის გამარჯვებები კი „მწვედ უხარიაო“, მე ვიცი, მოურავის ხმალდახმალ მოკვლა „დიალ ძნელი“ საქმეა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება — ან უნდა მოჰკლა, ან უნდა შეაკვდეო; ნუ დაგავიწყდება, რომ „ჯერ ისევ“ დიდი ვეზირი და ხელმწიფის დის ქმარი ბრძანდებიო.

„ჯერ ისევ!“ — ეს მუქარა იყო, — მუქარა მარტო ცოლისა კი არა, არამედ ხონთქრის დისა.

ერთი მიზეზიც „ეშოვნა“ ხუსრევ-ფაშას გიორგი სააკაძის გასანადგურებლად. ვილაცა იტყობინებოდა, სააკაძე საქართველოში აპირებს „გაპარვასო“, — ჯერ „დადიანის ქვეყანაში გაიქცევაო“ და იქიდან ქართლში გადააღწევსო.

ის „ვილაცა“ და ხუსრევ-ფაშა ამჯერად არა სტყუოდნენ, გიორგის მართლა ჰქონდა გულს ამოჭრილი საქართველოში დაბრუნება...

...ხუსრევ-ფაშამ ანატოლიის ბეგლარბეგს ზორ-ფაშას უბრძანა, სასწრაფოდ ჯარით გაეშურე, გიორგი სააკაძე და მისი ქართველები შეიპყარი და მომგვარეო.

გიორგის უკვე ჩაესწრო კონიაში.

ავთანდილიც თან ახლდა.

მამა-შვილს ჩასვლისთანავე დაახვედრეს დიდი ვეზირის საშფოთარი ბრძანების ამბავი.

გიორგიმ სასწრაფოდ გადათვალა ქართველთა რაზმი.

ორმოცდაათიც არ მოითვლებოდა.

მაშინვე გამოიყვანა კონიიდან გიორგიმ ამხედრებული გუნდი.

და თავი მისცეს მთასა და ბარს, ტყესა და მინდორს, კლდესა და ღრეს. მიჰქროდნენ გახელებით, უგზოუკელოდ, უმისამართოდ, ანგარიშმიუცემლად.

გააფთრებით მისდევდა და ეძიებდა ზორ-ფაშა ოსმალური ათასეულებით ორმოც-ორმოცდაათ ქართველს.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გიორგი სააკაძემ არ იცოდა საით მიდიოდა.

არ იცოდა, რადგან სამუდამოდ დაჰკარგოდა მისი ცხოვრების ნიშანსვეტი — საქართველო!

თმა-წვერი სავსებით გასთეთრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისხლი დაჰქანცვოდა და დაუძლურებოდა...

და მდევრები დევნილებს წამოეწივნენ.

სუსტი, ამაო გაბრძოლება და ყველანი შეიპყრეს.

ხუსრევ-ფაშა ჰალაბში (ალეპო) ელოდებოდა ბორკილდადებულ საკაკაძეს და მის თანალტოლვილებს...

...მაშ, 1629 წლის 3 ოქტომბერი. ქალაქი ჰალაბი.

ზედ კარის ზღურბლზე ზის ოსმალეთის დიდი ვეზირი და სერასქერი ხუსრევ-ფაშა.

იანიჩარებს მოჰყავთ გიორგი საკაძე.

ხელ-ფეხი მძიმე ჯაჭვებით შეუკრავთ.

ტანზე ყვითელი ხალათი აცვია სასიკვდილოდ განაწირს.

თვალებიც თითქოს ჩანაცრებია, თვალები — ერთ დროს მზის დამკორტნელნი.

ხელმარჯვნივ — უფროსი ძე, ავთანდილ საკაძე მოჰყვებოდა მამას.

ხელმარცხნივ — ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და იასე ქსნის ერისთავი.

ესენიც ყვითლად მოურთავთ წითლოსან ჯალათებს.

მათ უკან ყვითელ ფერზე ჩაგუბებულა ორმოცი ქართველი.

ფეხქვეშ უცხო მიწა გარინდულა, თავზე უცხო ზეცა გადმომხობილა...

— ყველას თავები დააყრევინეთ! — თქვა ხუსრევ-ფაშამ.

ყველას დაასწრო გიორგი საკაძემ: ჯალათს მიეარდა, მის წინ ოდრიკალად მოიკეცა და „წარუპყრა ქედი" (ალბათ, შეშინდა მარად გულშეუძვრელი მოურავი — შვილის სიკვდილი არ იხილოს ჩემმა თვალებმაო).

არ დაამადლა ჯალათმა და...

და გიორგი საკაძის თავი დაეცა!

ტანი შეუჟრჟოლდა დედამიწას.

გულიც შეუტბორდა საარაკო ვაჟკაცის სისხლით.

პაატა საკაძის სამარტვილეც უნდა შეძრულიყო ერთაწმინდაში.

წამსვე ავთანდილ საკაძის მშვენიერი თავი და ახოვანი გვამი ცალ-ცალკე დაეცნენ განკვეთილი მამის გვერდით.

მერე იასე და ქაიხოსრო დაენარცხნენ თავ-ტან-განშორებულნი.

ზედიზედ ცვიოდა ქართველთა თავები.

ყოველ დაკვრაზე ხმამაღლა ითვლიდა დაგორებულ თავს ჯალათთა იასაული.

(საკაძის რაზმში ყოფილა მამა-შვილი — გორგასალი და ბეჟანი. სიკვდილი მარტო შვილისთვის მიესაჯათ — ბეჟანისათვის. და როცა ჭაბუკი წამოაჩოქეს, მივარდა გორგასალი იასაულსა და შეჰღაღადა, ნუ მომიკლავ შვილს, მის მაგივრად ჩემი თავი მიათვალე წარკვეთილ თავებს და სამაგიეროდ, რაც ოქრო-ვერცხლი შემომრჩენია, შენთვის მომირთმევიაო... და შეიწყნარა ჯალათმა მოხუცი მეომრის თხოვნა — ან რა ენაღვლებო-

და, თუკი თავების სათვალავი არ დაკოჭლდებოდა, — ქრთამი აიღო და შვილის ნაცელად მას გააგდებინა თავი)...

...სულთანი მურად მეოთხე რისხვამ აიტანა, როცა ხუსრევ-ფაშამ ასეთი თვითნებობისა და გიორგი სააკაძის სიკვდილის ამბავი შეიტყო.

ჯერ ბაღდადში ნაწვნევი მარცხი არ ეპატიებინა ხონთქარს დიდ-ვეზირისათვის და ახლა კიდევ ეგზომ „საჭირო და საყვარელი გურჯის“ ასე დაუკითხავად სიკვდილით დასჯა!

მაშინვე დიარბექირის ბეგლარბეგს, მურთაზა-ფაშას ფირმანი გაუგზავნა: ხუსრევ-ფაშას დაეცი, თავი გააგდებინე და სტამბოლს გამომიგზავნეო!

მურთაზა-ფაშა გათათრებული ქართველი იყო, სამცხელი ათაბაგების საგვარეულოდან.

და „დიდის სიამოვნებით“ დააგდებინა თავი დიდი სააკაძის ჯალათს მურთაზამ...

. . . . . .

აღარ იყო ამ ქვეყნად გიორგი სააკაძე.

აღსრულებულიყო — შობითგან 49 წლისა.

„სიკვდილი გიორგი სააკაძისა!“ — გამორჩეული ძალისხმევით უნდა განეკვეთა ჰაერეთი ამ დაძახილს.

ხოლო, თვითონ?

რა უნდა ყოფილიყო მისი სიკვდილისწინარე დაძახილი, მისი უკანასკნელი სიტყვა?

ყოველი დიდი ადამიანის საწუთისოფლო ცხოვრებას გვირგვინად ადგას მისი უკანასკნელი სიტყვა — მისი ცხოვრების შემაჯამებელი, სამომავლოდ სანიშანსვეტო და ყოველ კაცთათვის მარად სახსოვარი სიტყვა, ძახილი (ვითარცა — ალექსანდრე მაკედონელისა, ჰანიბალისა, კეისრისა, ავგუსტუსისა, იეშუა ნაზარველისა, გოეთესი... სხვათა და სხვათა...).

გიორგი სააკაძის უკანასკნელი, მისი სიდიდის შესატყვისი და მისი ცხოვრების შესაფერისად შემაჯამებელი სიტყვა კი აღარ შემორჩენია საისტორიო ხსოვნას.

იქნებ ვერც მოასწრო, ისე უსიტყვოდ, ოდენ ფიქრად გაიელვა, გაქრა და გაშრა მისი უკანასკნელი სიტყვა.

ანუ — მაინც რა უნდა ყოფილიყო იგი — ეს სიტყვად ნათქვამი, თუ ფიქრად გამშრალი, „სააკაძური დაძახილი?“

„დიდება შენ, საქართველო“. თუ „ვაი შენ, საქართველო“?

„დიდება შენს მაღლს“, თუ „ვაი შენს, უმადურობას“?

„შემინდე მე, საქართველო“, თუ „შემინდვია შენთვის, საქართველო“?

სწორედ ასეთ ურთიერთგამომრიცხველ სავარაუდებელ ფიქრებს აღ-

ძრავს დღეს სამასი წლის წინანდელი მისი „ავკარგიანობით აღსავსე ანსაცდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისი ავად და კარგად აღსახსნელნი დიდნი საქმენი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით მაინც მუდამ წრფელი მამულიშვილი იყო.

მისი მამულიშვილური გულწრფელობა შეურყეველი იყო თუნდაც იმ თხუთმეტწლიანი „ორთათრიანობის“ („ალია-ოსმანობის“) მანძილზეც.

გულწრფელობა-მეთქი, რადგან სულ სხვა იყო მისი ცალკეული პოლიტიკური ცდომილებანი.

უაღრესად კეთილშობილური და გრანდიოზული ჩანდა მისი განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და გამძლავრებისა, მაგრამ ამდენადვე უმართებულო და უნიადაგო გახლდათ ამ უმაღლეს და უკეთილშობილეს განზრახულობათა განხორციელების გზები და საშუალებები.

მას ყმაწვილური გულუბრყვილობითა და სიწრფელით სჯეროდა, რომ მისი სალოცავი საქართველოს გადარჩენა, გაერთიანება და ამაღლება სწორედ ქართველი ხალხის მოსისხლე უცხო ძალების საშუალებით შეიძლებოდა.

სწორედ ამ უბედურ წინააღმდეგობათა წყალობით იყო, რომ სააკაძის ბევრ თანამედროვეს (ზოგჯერ ჩვენს თანამედროვესაც) უცხოეთის გზებზე მისი „სამამულიშვილო ძიებანი“ სამშობლოს ღალატად და რენეგატობად ეჩვენებოდათ.

ეჩვენებოდათ და ასედაც ჩანდა, რადგან სააკაძე, მშობლიური ისტორიის დიდი მჭედელი, საკუთარი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიასაც სჭედდა თავგამოდებით.

მის აკვანს ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის აჩრდილები არწევდნენ და ბუნებამაც უხვად არგუნა სიმამაცე და ნიჭიერება — თვისებანი ერთდროულად სახალხო გმირისა და სახალხო ბელადისა. მაგრამ ბოლომდე ორივე ტვირთის აწევა მაინც ვერ შესძლო თავისი ცოდვიანი ეპოქის მთავარმა გმირმა: სახალხო გმირობა სრულად მოიხვეჭა, სახალხო ბელადობას კი ვერ მიაღწია.

ვერ მიაღწია და ვერ ეწია, რადგან ქართველ აქილევსს ქართული აქილევსური ქუსლიც თან დასდევდა განუშორებლად. უუნარობა საკუთარ ხალხში შინაგან ძალთა გამონახვისა (რაის უნარიც ისე ჭარბად გააჩნდათ დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს) და „საუცხოო საშველად“ მაინცდამაინც „უცხო ძალების“ მიჩნევისა. ამიტომ მისმა ბოროტმა თანამედროვეობამ იოლად შეძლო მისი მთავარი გმირი მამაცი მხედრისა და ნიჭიერი მხედართმთავრის „დონეს“ არ აშორებოდა. და, მაღალ ხელმწიფურ პოლიტიკაში (საშინაოშიც და საგარეოშიც) მუდამ ხელმოცარული, ბოლომდე ასეთად დარჩა ისტორიას: ბრძოლის ველის პირველი გმირი, უმაღლესი რანგის ამირსპასალარი.

არადა, მაინც ნაღდი ქართველი იყო, თუნდაც მისი ნაღდი „ქ ა რ თ უ ლ ი ქ უ ს ლ ი თ“. მისი დაულევნელი და დაუცხრომელი სული მაინც პირველობისთვის უნდა დაეხარჯა — პირველობისათვის „ალალ-მართალ ბრძოლის ველზეც და სათვალთმაქცო“ პოლიტიკურ სარბიელზეც. სწორედ ერთპიროვნულად „ნამდვილ ქართულად“, თავგანწირვით მიესწრაფოდა ყოფილიყო ლომიც და მელაც. მაგრამ გიორგი სააკაძემ ვერ შეძლო იგი, რაიც შორეულ წარსულში „კლასიკურობის“ დონეზე შეძლო რომაელმა ლუციუს კორნელიუს სულამ. სააკაძემ ორი ნადირული ალღოს შერწყმა ვერ მოახერხა: იგი მხოლოდ ლომად დარჩა, მელაკუდობა კი „არ გამოუვიდა“. ამიტომ „განუყოფელი პირველობის“ მაძიებელი ქართული სული, ვითარცა ლომი, თითქმის ყოველთვის მარტო იყო, გნებავთ — როცა სხვასთან იყო, მაშინაც მარტო იყო.

მარტო იაზრებდა.

მარტო წყვეტდა.

მარტო იმარჯვებდა.

მარტო მარცხდებოდა.

მარტო მღეროდა.

მარტო ტიროდა.

მარტო ლოცულობდა.

მარტო იწყევლებოდა.

ერის მსსნელიც მარტო იყო და ერის დამღუპველიც, ერისგან გაღმერთებულიც და ერისგან დაწყევლილიც.

ვერც წმინდანობას ეღირსებიან აქილევსის ქუსლიანები. მაგრამ როცა სააკაძეს წმინდანობისთვის (თუ „განწმენდისთვის“) თავისი ბუმბერაზი სიცოცხლეც აღარ ეყო, მან სამშობლოს გადასარჩენად და საკეთილდღეოდ გასწირა ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი შ ე ს ა წ ი რ ა ვ ი — სიცოცხლე ღვიძლი შვილისა!

ვინ მოთვლის, რამდენს შერჩენია საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ღალატი, ხოლო სააკაძეს მისი ცდომილი და ცოდვილი დროისაგან თუ რამე შეცდა, იმ ცდომილებამ და ცოდვიანობამ ყველაზე მწარედ თვითონ მას და მის თანასისხლიერ მონაგარს აზღვევინა. ოჯახიც გასწირა და, თვითონაც, მთელი წუთისოფელი ჯვარზე ეკიდა, მისდამი ხან მადლიერი და ხან უმადური სამშობლოსათვის.

ვინ მოთვლის, რამდენ აშკარა თუ შენიღბულ მოღალატეს ერგო პატივად მისგანვე ნაღალატევ მშობლიურ მიწაში განსვენება, ხოლო სააკაძის ტანჯულსა და გვემულ სხეულს მის სალოცავ ქართულ მიწაში დამიწებაც კი არ ეღირსა.

არც ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილი ჰღირსებია საომარი ხელოვნების სწორუპოვარ გმირს.

იგი მისმავე სიდიდემ და სიმაღლემ დასცა.

დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა თან გააყოლა „დიფის“ ტიტული — დიდი მოურავი, ვითარცა დიდი ვახტანგ, დიდი დავით, ანდა დიდი სვიმონ...

მისი ბობოქარი სახე საქართველოსა და წინა აზიის სისხლიანი ისტორიის ჩარჩოში გამორჩეული სახიერებით გამოიკვეთა და გაქვავდა.

საქართველო კი დარჩა უ-სააკაძე-ოდ, კვლავ უთავჟამო სისხლიანი ავდრის ლოდინში.

როსტომ სააკაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1587 წელს, ქართლში; ცნობილი არ არის, რა ადგილს, რომელ სოფელში თუ ქალაქში; საფიქრებელია — ატენის ხეობაში, სააკაძეების „საგვარეულო სამშობლოში“.

მამა — ბეჟან სააკაძე.

დედა — სახელით უცნობი.

თვითონ სახელად დაერქვა — როსტომ.

და იწყებდა ცხოვრებას როსტომ სააკაძე.

ხოლო, როგორი, რა „მოცულობისა“ უნდა ყოფილიყო იგი უკვე შვიდი წლით ადრე დაბადებული „სხვა სააკაძის“, ანუ დიდი მოურავის ცხოვრებასთან შედარებით თუ შეტოლებით?!

მთავარი ის იყო, რომ სააკაძე იყო და იქნებ ისიც ყოფილიყო „გამორჩეული“, „საკუთარი მე“, მხოლოდ საკუთარი სულისა და მკლავის თვითანაბეჭდი, ანუ არა ოდენ რჩეული, არამედ გამორჩეულიც.

დიდ მოურავზე ადრე, „ნამდვილი სააკაძეობა“ სწორედ ბეჟანს დაეწყო. სწორედ იგი შეიქნა სააკაძეთაგან პირველი „გაუცხოებულიც“ და „გათათრებულიც“, მისივე თანასისხლიერ ქართველთა („ნათესავი ქართველთა“) „ხელშეწყობით“ და „შემწეობით“.

ბეჟან სააკაძე პირველი გათათრებული ხელმწიფის, დავით XI-ის, ანუ დაუდ-ხანის ქვეშევრდომი აზნაური იყო. ხოლო, როცა მეფე სვიმონ პირველი სპარსული ტყვეობიდან დაბრუნდა და დაუდ-ხანი თურქეთს გაიქცა, ბეჟან სააკაძე თავის მეუფეს უკან არ გამოჰკიდებია და ახლა „ოსმალურ თათრობაზე“ ალარ მოქცეულა. მაგრამ ალარც საქართველოში დარჩენილა და სპარსეთს გადახვეწილა.

იქ კი, უცხოეთში, როგორც „უცხოთმოყვარე ქართველებს“ სჩვევიათ — ბეჟან სააკაძეც სწრაფად დაწინაურდა.

დაწინაურდა არა ოდენ გათათრებით და წინდაცვეთით, არამედ ნიჭით, სიმამაცით, სიმტკიცით, ერთგულებით (უცხოთა ერთგულებაში ქართველი კაცი ხომ სწორუპოვარია!).

ყარა-ბეჟან-ბეგი დაურქმევიათ მისთვის სპარსელებს, სწორედ საარაკო სიმამაცისა და სივაჟკაცისთვის.

ღიღმა შაჰ აბასმა იგი ჯერ თავის პირად ღულამად და ქეშიკად (მცველად) აიყვანა, მალე სპასალარობაც მიუბოძა.

მალე ისე მოხდა, რომ სპარსეთში დიდებით შემოსილი ქართველი (თუ „ნაქართველარი“) მაინც მიიხმო მშობელმა მიწამ. შაჰს საქართველოში გაშვება სთხოვა და იმანაც შეიწყნარა სათხოვარი „ერთგულობისა“.

და ჩამოვიდა საქართველოში ყარა-ბეჟანი; ჩამოვიდა და „ბორის ხელოს, მტკვრის პირას, სახლი აიშენა, კერა გამართა, ცოლ-შვილით დასახლდა და თითქოს დამკვიდრდა. თუმცა, სწორედ რომ „თითქოს“, რამეთუ დამკვიდრება კი არა, ოჯახმა იმ პირველ ღამესვე ჩაძინებაც ძლივს მოასწრო, რომ მოიჯრა ფარსადან ციციშვილი თავის საგანგებოდ შეიარაღებულ „მოკიდებულთა“ თანხლებით. თვითონ ბეჟანმა თვალის გახელაც ვერ მოასწრო, ისე დააკლეს სარეცელზედვე. თავდამსხმელებმა ოჯახი აიკლეს, გაძარცვეს და ააწიოკეს. მხოლოდ ბეჟანის ცოლი და სამი მცირეწლოვანი შვილი, და კიდევ ერთი ძროხა გადარჩნენ სიკვდილს. და ისიც, ფარსადან ციციშვილის შიშით, ახლო-მახლო ვერავინ გაბედა ქვრივ-ობლად დარჩენილთა მფარველობა და ლუკმის მიწოდება. უპატრონოდ და უსასოოდ დარჩენილებსაც ისღა დარჩენოდათ, კვლავ, შაჰისადმი მონობისა და მსახურების სამოსი ჩაეცვათ“, და ისევ სპარსეთის გზას შესდგომოდნენ. გზად მიმავალთ, კიდევ, ყაჩაღები დაესხნენ და ის ერთადერთი მარჩენალი ძროხაც წაართვეს. დედა და ორი შვილი გზაზე შიმშილით დაიხოცნენ, ხოლო, მესამემ, თერთმეტ-თორმეტი წლის როსტომმა; მძლავრსხეულიანმა და მტკიცენებიანმა ბიჭმა, მაინც მიიტანა სული „ირანის ლომის“ — შაჰ აბასის კარამდე.

ხოლო, შაჰ აბასმა აკი იცოდა ქართველთა ფასი. იცოდა და, ყმაწვილი „რუსთემ სააკაძე“ ჯერ პირად ღულამად და ჰარამხანის ზედამხედველად დაისვა მერე, 1605 წელს, თვრამეტი წლის როსტომ სააკაძე შაჰ აბასმა დანიშნა სარდლად — სოჰბათ-იასაულად.

შემდგომ, 1627 წელს, ორმოცი წლის როსტომი შაჰ აბასმა დანიშნა დივანბეგად.

შემდგომაც, 1632 წელს, უკვე შაჰ სეფიმ როსტომი, ყველა მანამდელ თანამდებობებთან ერთად, დანიშნა თოფანჩიაღასად, ანუ მეთოფეთა სარდლად.

ამავე წელს, შაჰ სეფიმ როსტომ სააკაძე თავისი მხედრობით საქართველოში აახლა და გამოატანა ქართლის ახლად დანიშნულ მეფეს, ანუ „ვალის“ — როსტომ-ხანს (მანამდელ ხოსრო-მირზას).

მაშ, შემოვიდნენ საქართველოში როსტომი და როსტომი.

შემოვიდნენ და, როგორც ეტყობა და როგორც ქართველებს სჩვევიათ — ორივე ტანში იჯმებოდა მაინც ამ ფიქრით: „მე უფრო მეტი ვარ, თუ ის“?!

რომელი როსტომი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო: როსტომ ქართლის ვალი, თუ როსტომ სპარსთა მთავარსარდალი?!

და გავიხსენოთ, რაც მოხდა მაშინ საქართველოში ამ ორ როსტომს შორის.

როსტომ მეფე რომ ქართლს მოვიდა და აქაურ თავადებს მოუწოდა, ყველა მოვიდა მასთან თაყვანისსაცემად, ამ „ნამდვილი მეფის“ ფარსადან ციციშვილი თხვევად.

არ მოვიდა მხოლოდ ფარსადან ციციშვილი. არ მოვიდა კი არა, ვერ მოვიდა, მოსვლა ვერ გაბედა სააკაძეების ამ დაუძინებელმა მოსისხარმა. აკი ფარსადან ციციშვილმა დააქცია ბეჟან და როსტომ სააკაძეთა ოჯახი. (ვიორგი სააკაძის ოჯახზედაც რომ აღარაფერი ითქვას).

ხოლო ახლა როსტომ-ხან სააკაძე როსტომ მეფის გვერდით დგას და როგორღა გაბედავს ციციშვილი მათ სიახლოვეს გაჭაჭანებას!

მაგრამ იქნებ მისვლა-არმისვლაც ველარ იხსნის სააკაძეთა ჯალათს. როსტომ-ხან სააკაძე უკვე მისულა იმ ადგილს — ადგილის დედას, იმ ნასახლარზე, ბორის მაჩლობლად, მტკვრის ნაპირას, სადაც იგი ყრმობისას ისე გაამწარეს...

და გააცოფა როსტომ-ხან სააკაძე ყრმობის ჟამინდელმა მოგონებებმა. ჟმალვე, — ისე, რომ როსტომ მეფისთვის არაფერიც არ უკითხავს — ჯარი შეუსია საციციანოს, სწორედ ფარსადან ციციშვილის საბატონოს. შეუსია, ააწიოკა, ააოხრა, გაძარცვა და მოსტყვევნა.

და აი, როცა ეს ამბავი როსტომ მეფემ შეიტყო, რისხვით ალივსო და როსტომ სააკაძეს შეუთვალა: ვინ მოგცა ნება, ასეთი რამ უჩემოდ რომ გაგიბედავსო?! საქართველო, ვერ ჰხედავ, რომ ისედაც აოხრებული და დაქცეულია, ხოლო, რაც გადარჩენილა, იმასაც შენ მიოხრებ და მიტიალებ — მაშ, მე რილას ბატონი და პატრონი ვყოფილვარო?!

სწორედ მაგრად იყო სილა მოქნეული. ასედაც შეიგრძნო როსტომ სააკაძემ და თვითონაც გარისხდა და ცეცხლით გაიტენა სარდალი, რომელიც 130 000 სპარსელ მეომარს სარდლობდა .

ახლა გამჟღავნდა, რომ ორივე როსტომს ცალკეულად თავისი თავი მიაჩნდა „პირველ როსტომად“!

და ორივემ თავთავისად აფრინა „პირველი საჩივარი“ ირანის შაჰთან.

შაჰ სეფიმ ისევ თავისი „ერთგული მამიკოს“, როსტომ მეფის მხარე დაიჭირა და როსტომ-ხან სააკაძეს ფიცხელი ბრძანება გამოუგზავნა: ახლავე შენის ჯარით საქართველო დატოვე და ვანის ციხეზე წადი სალაშქროდ. მაშინვე მეორე ბრძანება შაჰმა შირვანის ბეგლარბეგს, ფარუხანს გაუგზავნა: სააკაძის მაგივრად შენ დაუდექი ქეშიკში ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფესო...

მაშ, როსტომ სააკაძე მისი მხლებელი ჯარებით საქართველოდან გავიდა, აჯანყებული ქურთების მთავარ ქალაქს, ვანს მიადგა, აიღო და ქურთებიც სასტიკად გაანადგურა.

მანამდეც როსტომ სააკაძეს, ირანის ტახტის სამსახურში — „გადოულია მრავალი ომი და შეუსრულებია უთვალავი საქმე“. ვანის დაუფლების გარდა, დაუმარცხებია ოსმალნი და მათგან გამოუხსნია ბაღდადი, [illegible] ჰამადანი და გაუნადგურებია ხოსროვ-ფაშა, დაუფლებია [illegible] ტახტს, ისევ გაუნადგურებია ოსმალნი და ხელახლა დაუპყრია ერევანი.

1634 წელს ირანის სრული საომარი ძალების ამირსპასალარობა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგობა მიენიჭა შაჰის ბრძანებით.

ბევრს ზრუნავდა ქართველი სარდალი სპარსული საომარი ძლიერების ასამაღლებლდ. ბევრი რამ სიახლეც შეუტანია სამხედრო მეცნირებასა და პრაქტიკაში, სტრატეგიასა და ტაქტიკაში. მასვე პირველს დაუდგენია ბრძოლის წინა ხაზზე მეთოფეთა და მსუბუქი არტილერიის გამოყვანა, რაიც მტკიცედ დადგენილიყო შემდგომ დროჟამის სპარსულ საომარ განწესრიგებაში.

და იღვწოდა და იბრძოდა როსტომ სააკაძე უცხო თესლის ასამაღლებლად და გასამძლავრებლად. იბრძოდა და იმარჯვებდა უცხო „რჯულისა (ისლამი) და სახელმწიფოს (ირანი) მტრებზე“.

ბოლოს და ბოლოს კი — ირანის უზენაეს მესვეურებს მათი „რჯულისა და სახელმწიფოს“ წინაშე ესოდენი დამსახურების შესატყვისი სამაგიეროც უნდა მიეზღოთ „კიდევ ერთი დიდი გურჯისთვის“.

და მიუზღეს კიდეც, 1642 წელს, როცა როსტომი იყო 55 წლისა.

ირანის ახალმა ეთიმადოვლემ (დიდვეზირმა), მირზა-თაყიმ, აითვალწუნა მთავარსარდალი; აითვალწუნა და ირანის ახალ მბრძანებელს, შაჰ აბას II-ს შეაგონა: „გურჯი თათარი“ როსთემ-ხან სააკაძე სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს და ტახტიდან ჩამოგდებას გიპირებსო.

მეტი არაფერი თქმულა.

გამოძიებისთვისაც არავინ გარჯილა.

შუაღამისას დაეცნენ ლოგინში მძინარეს.

იატაგანებით დააკლეს და დაბალთავეს.

მაშინვე გააქანეს და სადღაც, მიუგნებელ მიწაში ჩაამიწეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა 1565 წელს.

მამა — სპარსეთს გაქცეული დავით ბატონიშვილი, ანუ გათათრებული დაუდ-ხან, ანუ მეფე დავით XI.

დედა — აწ მოხსენიებული თათარ-ხელმწიფის ხარჭა, წავკისელი გლეხის ქალი.

ახალშობილს დაერქვა ქაიხოსრო, რომელიც იქვე წაიშალა თათრული სახელით — ხ ო ს რ ო-მ ი რ ზ ა (ხოსრო ბატონიშვილი).

და იზრდებოდა ხოსრო-მირზა სპარსეთს, სპარსულ-„თათრულად", მამით და დედით ქართველობაში სახელგატეხილი, თუმცა საერთო წარმომავლობით და გვარჯილაგით მაინც მაღალსისხლოვანი. აკი მაინც იყო იგი სისხლი და ხორცი დიდ ხელმწიფე-მამულიშვილთა — შვილიშვილი ლუარსაბ პირველისა და ძმისწული სვიმონ პირველისა.

იზრდებოდა, ჭაბუკდებოდა და ასაკშიც შედიოდა ცხოვრებითა კრძალულითა და უჩინარითა, თანმიყოლებით დროთა შინა ოთხი შაჰ-ხელმწიფისა — თამაზ I-ისა, ისმაილ II-ისა, მუჰამედ ხუდაბენდესი და აბას I-ისა.

და, ბოლოს, სწორედ დიდი შაჰ აბას I-ის დროს გამოჩნდა პირველად.

ხოლო, „გამოაჩინა" იგი გიორგი სააკაძემ, აწ თვითონ „გათათრებულმა" და „გაუცხოებულმა"...

იმ დღეს გიორგი სააკაძეს წვეულება გაემართა.

სტუმრად გათათრებული ქართველებიც იყვნენ და „ქართველთა მოყვარული" სპარსელებიც.

ის იყო სანადიმო სუფრას მიუსხდნენ, რომ დარბაზში შუახნის კაცი შემოვიდა, ტანით მძლავრი და ახოვანი, სახით ჭკვიანი და შთამბეჭდავი.

ფეხზე წამოვარდა სააკაძე, მიეგება, თაყვანი სცა და ოდრიკალად მოკეცილი წარუძღვა სუფრისაკენ, თავის ადგილზე დააბრძანა, ხოლო თვითონ გვერდით დაუდგა მოწიწებით.

ქართველებიც წამოშლილიყვნენ და მდაბლად ესალმებოდნენ სტუმარს.

სპარსელები სახტად დარჩნენ სააკაძე შაჰსაც არ ეთაყვანება ისე, როგორც ამ კაცს დაეგო ფეხქვეშო. მაინც ვინ არის ჩვენი ახალი სტუმარი, იკითხეს აქეთ-იქიდან.

—ხოსრო-მირზა გახლავთ, ძე ჩემი ხელმწიფისა და პატრონისა დაუდ-ხანისა, — საზეიმო ხმით გამოაცხადა მასპინძელმა.

— მაშ, ბაგრატ-მირზას ძმა ყოფილა, — წამოიძახა რომელიღაც სპარსელმა.

— დიახ, მამით... ანუ, ნახევარ-ძმა.

ხოლო, ქართველებს ალარაფერი უკითხავთ, რადგან ისინი ისედაც იცნობდნენ ხოსრო-მირზას: რომ იგი დაუდ-ხანს, ანუ მეფე დავით XI-ს ხარჭისგან, წავკისელი გლეხის ქალისგან შეეძინა; ბაგრატ-მირზა კი „კანონიერი ძე“ იყო დაუდ-ხანისა; ამიტომ ბაგრატს შაჰის კარზე უფრო ანგარიშს უწევდნენ და პატივით ეპყრობოდნენ, ხოსროს კი „ნაბუშარს“ ეძახდნენ და გიორგი სააკაძის ჩამოსვლამდე ისფაჰანში იგი, დედამისთან ერთად, ხელმოკლეობასა და უპატიურობაში ცხოვრობდა.

ახლა გიორგი სააკაძეს „რატომღაც“ თვალი დაუდგამს ამ „უკანონო მირზასთვის“, ხელს უმართავს, მფარველობს, შაჰის კარისკენ ექაჩება და „რაღაცასთვის“ ამზადებს კიდეც.

ადრე სააკაძე სვიმონ მეფის ყმად აცხადებდა თავს, ახლა კი აუჩემებია — ჩემი „ხელმწიფე და პატრონი“ დაუდ-ხანი იყოო (ქართველი ხალხის გამყიდველი და მოღალატე დაუდ-ხანი?!).

არა, — „რაღაცას ასალს“ ამზადებს გიორგი სააკაძე!

„რაღაცა კი არა, აშკარაა — ლუარსაბ მეფის „მეტოქი“ გამოუძებნია სააკაძეს“, — დაასკვნეს ქართველებმა...

ვისაც რა უნდოდა, ის „დაესკვნა“ და, — მეორე დღეს შაჰ აბასის „საზეპურო ერის“ დარბაზობაზე გიორგი სააკაძის გვერდით იდგა ხოსრო-მირზა...

გავიხსენოთ, რომ 1614 წელს შაჰ აბასმა ქართლის მეფე ლუარსაბ II საქართველოდან გაიტყუა, შეიპყრო და გულაბყალას ციხეში გამოკეტა. ქართლის მმართველად კი ბაგრატი გამოგზავნა, ხოსრო-მირზას ნახევარ-ძმა.

ხოსრო კი ისევ იცდიდა (მოცდისა და მოთმინების გასაოცარი უნარი ჰქონდა)...

. . . . . .

1618 წელს შაჰ აბასმა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის გადააყენა ისფაჰანის ტარუღა (ქალაქის თავი, მოურავი) მირ აბდალ-აზინი, რომელსაც ვერც იმან უშველა, რომ იგი შაჰ აბასის სიძე იყო.

შაჰმა გიორგი სააკაძე დაიბარა და ჰკითხა: როგორ მირჩევ, ვინ გამოგვაღგება სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა გამოდგება, — უპასუხა გიორგიმ.

— ხოსრო-მირზა, დაუდ-ხანის უკანონო შვილი, ბაგრატ-ხანის ნახევარძმა.

— დიახ, აგრე გახლავთ.

— ძალიან თავგამოდებული კი ხარ მაგ ხოსრო-მირზასთვის, — ეუბნებოდა სააკაძე!

— ეგეც აგრე გახლავთ, რამეთუ ხოსრო-მირზა ჭკვიანია, დაკვირვებული, გაჭირვებაში გამოჭაქული, ნიჭიერი სარდალი, მამაცი მხედარი, ჭეშმარიტი მაჰმადიანი და შაჰის ტახტის უაღრესად ერთგული შაჰისევანი.

შაჰმა გიორგი სააკაძე გაუშვა, იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა და ახლა ისეს ჰკითხა — ვის მირჩევ სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა! — მაშინვე შეაგება უნდილაძემ.

— ხოსრო-მირზა?

— დიახ, ხელმწიფეო.

გაუკვირდა შაჰ აბასს, ასე ერთბაშად რომ ორ ქართველს ერთ საქმეზე ერთნაირი აზრი აღმოაჩნდა.

— შენ და სააკაძე მოლაპარაკებული ხომ არა ხართ, იმანაც რომ ეგ კაცი მირჩია? — სიცილით იკითხა შაჰმა.

— მე არ ვიცი, სააკაძემ ვინ გირჩიათ, მაგრამ ეს კი მჯერა — ხოსრო-მირზა ყველაზე უკეთესი იქნება, რაც კი აქამდე ტარუღა ჰყოლია ისფაჰანს, — დაბეჭდა უნდილაძემ.

კარგი, წადიო, უთხრა შაჰმა უნდილაძეს.

და იმ დღესვე გამოცხადდა ირანის ხელმწიფის ბრძანებულება, რომლის ძალითაც ისფაჰანის ტარუღა შეიქნა ხოსრო-მირზა, ძე დაუდ-ხანისა, ძმა ბაგრატ-ხანისა, ძმისწული დიდი სვიმონ მეფისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ I-ისა.

ეს პირველი ქართველი ტარუღა იყო ირანის სატახტოს სათავეში.

აქამდე, „როგორც წესი", ირანში ქართველების ხელთ იყო ყოველი მაღალი „ტახტი" (თვინიერ შაჰის ტახტისა): მთავარსარდალი, ყულარაღასი, ბეგლარბეგი, დივანბეგი — ყოველგვარი „ბეგი", „ხანი", „ბაში".

ხოლო, ამიერიდან ისფაჰანის ტარუღას დიდმნიშვნელოვანი „ტახტიც" ქართველთა „მემკვიდრეობად" გადაიქცა.

ამიერიდან — 1618 წლიდან ვიდრე 1722 წლამდე — მაშასადამე, საუკუნის გადაჭარბებით — მხოლოდ ქართველები იქნებიან ირანის სატახტოს უმაღლესი გამგებელნი.

საერთოდ, ტარუღას თანამდებობაზე არ შეიძლებოდა ერთი და იგივე კაცი ერთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორ წელზე მეტ ხანს მჯდარიყო. მაგრამ ხოსრო-მირზას „განსაკუთრებულმა ღირსებებმა" ეს წესიც დაარღვია და იგი დანიშვნის დღიდან სიკვდილამდე (1618—1658 წწ.), მთელი ორმოცი წელიწადი, უცვლელი ტარუღა იყო.

თოთხმეტი წელიწადი ხოსრო-მირზა პირადად განაგებდა ირანის სატახტო ქალაქის უმაღლეს პოლიტიკურ, საკანონმდებლო და სამეურნეო ცხოვრებას, ხოლო იმ დღიდან, რა დღიდანაც იგი ქართლის [illegible] ნიშნება (ამას ქვემოთ შევიტყობთ), ტარუღას თანამდებობა [illegible] (მოადგილე-თანაშემწეების) საშუალებით წარმართავს იგი.

(ბევრ გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ხოსრო-მირზა მისი ორმოცწლოვანი ზეობის თანადროულ „ხვანჯიან" ისტორიაში).

. . . . . .

1625 წელი.

ამ წელს ხომ გიორგი სააკაძემ საქართველო ააჯანყა და შაჰ აბასის არმიები მარტყოფის ველზე დააწვინა და დაამიწა.

იმავე წელს შაჰმა ახალი არმიები აფრინა საქართველოსკენ, ისა-ხან ყორჩიბაშის წინამძღოლობით.

ყორჩიბაშის თანაშემწე სარდალთა შორის შაჰს დაენიშნა ხოსრო-მირზა.

(ამ გათათრებულმა ქართველმა უნდა გაუმართლოს შაჰ აბასს, — გიორგი სააკაძემ არ გაუმართლა, ხოსრო-მირზამ უნდა გაუმართლოს!).

ბრძოლაც ხომ იმ წელსვე შედგა, სახელოვანი მარაბდის ბრძოლა.

სპარსელებმა ეს უმძიმესი ბრძოლა მოიგეს და, — უკეთუ მოიგეს, მისი ლომის წილი მემარჯვენე სარდლის, ხოსრო-მირზას ვაჟკაცობისა იყო.

მერე, კვლავ იმ წელსვე, ბრძოლა ქსანზე, სადაც გიორგი სააკაძემ ალყაში მოაქცია და მუსრი გაავლო სპარსთა მხედრობას — სამი სარდლიდან ერთი იქვე ასჩეხა და დაამიწა (შაჰბენდე-ხანი), მეორე ტყვედ იგდო (ყაზახ-ხან ჩერქეზი), ხოლო მესამე — ხოსრო-მირზა, სწორედ რომ ღირსეულად გაუმკლავდა „მის მოთაყვანე" სააკაძეს: ქართველთა ალყა გაარღვია და ირანელთა ერთი ათასეული მაინც გადაარჩინა.

. . . . . .

საქართველოდან დაბრუნებისთანავე ხოსრო-მირზა შაჰ აბასმა მისი გვარდიის, „ყულის ჯარის" ყულარაღასად დანიშნა.

ახლა ორივე მაგისტრატურა ხოსრო-მირზასი იყო — ისფაჰანის ტარულობაც და გვარდიის მთავარსარდლობაც.

1629 წელიც შემოვიდა და შაჰ აბასის სიკვდილიც შემოჰყვა.

მომაკვდავმა შაჰმა ერთი, ხოსრო-მირზა დაიბარა და ირანის სახვალიო ბედილბალიც მას ერთადერთს მიანდო,—ანდერძი გადასცა და ფიცი ჩამოართვა, რომ შაჰის ტახტზე მის შვილიშვილს აიყვანდა — საამ-მირზას, ახალი სახელით — ს ე ფ ი შ ა ჰ ი.

და აი, ეს სურათიც, დიდი შაჰ აბასის დაკრძალვის დღესვე:

ისფაჰანის სასახლეში, ტახტის გვერდით დგას ხოსრო-მირზა, ხელი ნახევრად ამოწვდილ ხმალზე დაუდევს და კითხულობს ანდერძს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლეს გარს ადგას მისი „გვარდია" — გათათრებულ ქართველთა ჯარი.

ირანის ტახტზე ადის ჩვიდმეტი წლის შაჰ სეფი, ქართველი ქალის ნაშობი, დიდი შაჰ აბასისა და თამარ ამილახორის შვილიშვილი.

სპარსელი დიდკაცობა „წარბშეუხრელად" ემხობა ახალი გვირგვინოსნის ფერხთა წინაშე.

ემხობა, რამეთუ ანდერძს კითხულობს სანახევროდ ხმალამოწვდილი ქართველი ყულარაღასი, ხოლო სასახლე ქართულ ჯარს მოუცავს სრული ირგვლივით.

უცებ ისა-ხან ყორჩიბაში და მისი ვაჟი მოიკითხა ხოსრო-მირზამ.

მოახსენეს: ციხეში გამაგრებულა ისა-ხანი და თავისი უფროსი ძე ირანის შაჰად გამოუცხადებია.

მაშინ ბოლომდე „ამოამღერა" ხმალი ხოსრო-მირზამ.

ქართველები გარს შემოერტყნენ ყორჩიბაშის ციხე-სიმაგრეს.

ავად იაზრა „მარაბდის გმირმა" ქართველების შემოსევა. მაშინვე შიშველი ხმალი შეიბა ყელზე, უდღეურად „ნახელმწიფარი" შვილიც ალესილი ხმლით დაულლა და მუცელზე ფორთხვით გამოეგება სეფი შაჰსა და ხოსრო-მირზას.

ეს პირველი პატიება იყო, რომელიც სეფი შაჰმა გაიმეტა: ბიძას და მამიდაშვილს მან სიცოცხლე აჩუქა (ყორჩიბაში მისი მამიდის ქმარი იყო).

მაგრამ ეს შინაურ-ნათესაური „იდილია" მალე საშინელი სისხლისღვრით გათავდა.

ერთ დღეს ისა-ხან ყორჩიბაშმა დიდი ნადიმი გადაიხადა. როცა სუფრაზე ბახუსი გაბატონდა, ერთმა მთვრალმა სტუმარმა ასეთი რამე წამოტორტლა:

„ვაი ჩვენ უბედურთა, ვინ ავიყვანეთ ირანის ტახტზე — სრული არარაობა!"

მერე მასპინძლის ვაჟს მიაშტერდა და იყვირა:

„აჰა, ვის დაშვენდებოდა შაჰის გვირგვინი!"

ნადიმი დამთავრებულიც არ იყო, შაჰ სეფიმ რომ ყველაფერი იცოდა.

მეორე დღესვე დაიბარა ის ენაავარდნილი კაცი შაჰმა. დაიბარა და „ტკბილი საუბარი" გაუმართა. შენს გაზრდას, ყველაფერი მიამბე, რაც გუშინ მოხდა და ითქვა ყორჩიბაშის ნადიმზეო. შაჰის „ყურადღებით" მოხიბლული კაციც მოუთხრობდა ყოველივეს — რა ჭამეს, რა სვეს, ვინ ესწრებოდა და ვინ როგორ იქცეოდა. „კიდევ რა ითქვა თქვენს სანაქებო ნადიმზეო", არ ეშვებოდა „დაინტერესებული" გვირგვინოსანი.

ჭყირტი სიტყვის მოყვარე კარისკაცმა ბოლოს და ბოლოს თქვა, მეტი არაფერი მახსოვსო.

„კარგი, თუ მეტი აღარაფერი გახსოვს, — უთხრა შაჰმა, — მე შეგახსენებ, რაც შენ წუხელის წამოროშე და ახლა ვითომ ველარ გიხსენე: თურმე ჩემი ხელმწიფობა გენანება და ყორჩიბაშის ძის შაჰინშაჰობა გენატრება!“

თქვა, ტაში შემოჰკრა, ჯალათები შემოცვივდნენ და ის ენამოუვლელი კაცი იქვე საშინელი წამებით გაათავეს.

მერე შაჰ სეფიმ ყორჩიბაშის შვილებიც მიაყოლა — ტახტის მოცილე და მისი უმცროსი ძე. ორივეს თავები დააყრევინა და მათ დედმამას გაუგზავნა.

დედამ (შაჰ აბასის ასულმა და შაჰ სეფის მამიდამ) შვილების წამებულ სახეებს დაჰხედა და „მშვიდად“ თქვა: ასე დაემართება ყველას, ვინც ჩვენი ხელმწიფის ღალატს გაივლებს გულშიო.

ხოლო ისა-ხან ყორჩიბაშმა ეს შემოუთვალა შაჰ სეფის: თქვენ რომ ჩემთვის გებრძანებინათ, მე თვითონ დავაყრევინებდი თავებს ჩემს შვილებსო!

მაინც არ უშველა ქართველი ხალხის ჯალათს ასეთმა არაადამიანურმა გულმხეცობამ: შაჰ სეფის ბრძანებით ისიც მისი უბედური შვილების გზას გაუყენეს...

... მაშ, ირანის ტახტი უნიჭო, სულმოკლე, უნებო, უხიაგ ლაწირაკს ეჭირა.

სახელმწიფოს ნამდვილი გამგებელი კი, ხოსრო-მირზა იყო.

შაჰ სეფი თავის ყულარაღასსა და ტარულას „ნამდვილ მამას“ ეძახდა.

ყველა ამას ამბობდა: ირანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებაო. შაჰი მის დაუკითხავად წყალსაც არ გადაღვრისო.

ყველა დაჩრდილა ხოსრომ.

უნდილაძეების ვარსკვლავებსაც ჩაუქრო სხივი მისმა ვარსკვლავმა.

მაინც ხოსრო-მირზას „რჩევით და ჩარევით“ ეწერა ქართველთა სახელები შაჰ სეფის ხელრთვით შედგენილ სიაში:

იმამ-ყული-ხან უნდილაძე — ბეგლარბეგი ფარსისა, ქუჰგილუიესა, ბაჰრეინისა და ხუზისტანისა;

სეფე-ყული-სულთან უნდილაძე, იმამ-ყული-ხანის ძე — ბეგლარბეგი ლარისა;

დაუდ-ხან უნდილაძე — იმამ-ყულის უმცროსი ძმა — ბეგლარბეგი განჯა-ყარაბაღისა;

ფეროხ-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი დარუბანდისა;

სეფი-ყული-ხან შირალი ქართველი — ყორჩიბაში და ბეგლარბეგი არაბული ერაყისა;

ჯემშიდ-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი ავშარისა და ხორასანისა; ალი-ყული-ბეგ სააკაძე, ძმა როსტომ-ხან სააკაძისა, სიძე ემამ-ყული-ხან უნდილაძისა, — სპასალარი და ბეგლარბეგი თავრიზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

1630 წელი.

შაჰ სეფის დიდი მხედრობა გაემზადებინა, — ბაღდადი უნდა დაეხსნა თურქთა სერასქერის, ხუსრევ-ფაშას შემოტევებისაგან (ეს ის ხუსრევ-ფაშაა, გიორგი სააკაძე და მისი ქართველობა რომ დაახოცვინა ალეპოში).

მთავარსარდლად ხოსრო-მირზა დაეყენებინა შაჰს — მისი „მაშობილი", ყულარაღასი და ტარუღა.

საქართველოდან შათირმა მოუსწრო...

— იცი, ქართველებს შენი ძმისწული მოუკლავთ, — უთხრა შაჰმა ხოსრო-მირზას.

— ჩემი ძმისწული?

— ჰო, სვიმონ-ხანი, ძე ბაგრატ-ხანისა.

— ვის მოუკლავს?

— ზურაბ ერისთავს.

ხოსრო მცირე ხანს ფიქრს გაუყვა, მერე გამოერკვა და თქვა:

— რა გაეწყობა, — მკვდრის გაცოცხლება ვის შეუძლია. ჯერ ხუსრევ-ფაშას და ბაღდადს მივხედო და როცა დავბრუნდები, სვიმონ მეფის სისხლსაც მოვიკითხავ!

— ეგრე იყოს და... მანამდე ესეც გაირკვევა, რას აპირებს თეიმურაზი, — დასძინა შაჰმა.

. . . . . .

1631 წელი.

თეიმურაზმა ზურაბ ერისთავი მოაკვლევინა, თავი მოჰკვეთა და შაჰ სეფის გაუგზავნა ისფაჰანს.

„ამან ყმამან თავის ბატონს სვიმონ-ხანს ულალატა და მოჰკლა. ჩვენ ეს არ ვაპატიეთ, რამეთუ სვიმონი ჩემი ნათესავიც იყო და თქვენი მოყვარეც. ამიტომ ზურაბ ერისთავს სისხლი სისხლითვე ვაზღვევინეთ, თავი მოვჰკვეთეთ და თქვენს უდიდებულესობას ვაახელით", — სწერდა თეიმურაზი ირანის მბრძანებელს.

ქართველი მეფის ვარაუდი გამართლდა: შაჰ სეფი ნასიამოვნები დარჩა.

ხოსრო-მირზამაც მოუსწრო ბაღდადიდან. ის ხომ შაჰს გაეგზავნა ბაღდადზე მოიერიშე თურქთა მხედრობის წინააღმდეგ. ხოსროს თურქები

სასტიკად დაემარცხებინა, ბაღდადის კედლებიდან გაერეკნა და ისფაჰანს მობრუნებულიყო ზარ-ზეიმით.

ხოსრო-მირზაც სიამოვნებით შეხვდა მისი ძმისწულის, სვიმონის მკვლელის სიკვდილს.

ერთად გადაწყვიტეს შაჰმა და მისმა „მამიკომ“ და „მოადგილემ“: ქართლი და კახეთი ორივე თეიმურაზს დარჩესო. ოღონდ ტფილისს არ ახლოს ხელი ქართველმა მეფემ! ასე დაადგინეს და თეიმურაზს საგანგებო რაყამი და ძვირფასი ხალათი გამოუგზავნეს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო, ქართლ-კახეთი (უტფილისოდ) ერთიან სახელმწიფოდ და ირანის ქვეშევრდომად რჩებოდა.

. . . . . .

უკვე „დიდად“ გრძნობდა თავს თეიმურაზ პირველი, „მეფეთ მეფე“, აღმოსავლეთ საქართველოს „ორისავ ტახტის მჭერი“.

მეტისმეტად ძლიერად ეჩვენებოდა თავი, რამეთუ იყო მარტოდმარტო, უმეტოქეოდ, — აკი აღარ აფიქრებდა ამ ქვეყანაზე აღარც გიორგი საკაძე, აღარც მეფე სვიმონ მეორე, აღარც ზურაბ ერისთავი.

ყველაზე დიდი სიბეცე მაინც ის იყო, რომ ქართველი მეფე ყოველ ქართველთა — კახელთა და ქართლელთა — ბედს, ადგილს, ვალსა და უფლებას ერთნაირი თვალით ვერა ჰხედავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ თეიმურაზს მისი „სისხლიერი კახელობა“ სძლევდა — ერთიანი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს სადაველებთან უფრო კახელ „თანამემამულეებს“ აწინაურებდა, ხოლო ქართლელებს, რაიმე წარჩინებას მისცემდა კი არა, ლამის „დამპყრობელის“ თვალით ზომავდა.

მაშ, ქართლი შემოერთებული კი არა, „დაპყრობილი(ვით)“ ჰყავდა „კახთ-ბატონს“.

აშკარად ჰხედავდა მტერიც და მოყვარეც: „კახნი ქართლელთ ზედა ამაყობდეს და ხმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს“.

ამიტომაც: „ქართლელთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ და გზასა და ღონეს რასმე ეძებდნენ“ მისი „ულლის“ გადასაგდებად.

სულ ერთია, „ღღეს არის და ხვალე არაო“ თეიმურაზი! — გაიძახდნენ კახელთა „კირთებით შეიწროებული“ ქართლელნი.

აი, სადამდე მისულა საქმე!

აი, რას ვერ ჰხედავდა და რა არ გაეგებოდა მდგომარეობით, განსწავლულობითა და კულტურტრეგერობით „პირველ ადამიანს“ იმჟამინდელ საქართველოში!..

მერე, — როგორც უნდილაძეების ცხოვრებიდანაც გვახსოვს — 1632

წელს, თეიმურაზმა და დავით უნდილაძემ ივრისპირეთში სპარსთა ჯარი გაჟლიტეს.

კარგი და კარგი, — აგრე არ უნდაო, და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

შაჰ სეფისაც სცოდნია პაპამისის, დიდი შაჰ აბასის „შეგონება“: ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება, როგორც მისსავე სისხლიერ ქართველ კაცსო.

და არც შაჰ სეფის აკლდა ირანში ისეთი ქართველები, რომლებიც საქართველოში ლაშქრობას „არ დაამადლიდნენ“. სწორედ „ამნაირი ქართველები“ სჭირდებოდა ახლა შაჰს „იმნაირი ქართველების“ წინააღმდეგ, როგორიც თეიმურაზ მეფე იყო.

ბოლოს და ბოლოს, „ქართული სახელმწიფო სამართალიც“ ამას კარნახობდა ირანის შაჰს: ქართლის ტახტი თეიმურაზს „უკანონოდ უჭირავს“; ქართლისთვის იგი „მშობლიური მეფე“ კი არ არის, არამედ — აშკარად „დამპყრობელი!“ კახელებიც ქართლელების „დამპყრობელნი“ არიან; ამას თვითონ კახელებიც არ ფიცავენ და ქართლელებს „ხმლით დაჭირულს“ ეძახიან.

და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა ქართლს თავისი საკუთარი „მშობლიური“, „კანონიერი“ სამეფო კაცი ჰყოლია!

ეს კაცი გახლავთ ხოსრო-მირზა ქართულად — ქაიხოსრო ბატონიშვილი, ქართლის ბაგრატიონთა „პირდაპირი შტოის“ შთამომავალი: შვილი დავით (დაუდ-ხან) ბატონიშვილისა, ანუ მეფე დავით XI-ისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ I-ისა, ძმისშვილი დიდი სვიმონ I-ისა, ბიძაშვილი მეფე გიორგი X-ისა, ბიძა მეფე ლუარსაბ II-ისა.

თვითონ ხოსრო-მირზას ადრიდანვე (უეჭველად მას შემდეგ, რაც იგი გიორგი სააკაძის წყალობით შაჰ აბასის კარზე წინაურდებოდა) ემჩნეოდა წყურვილი „კუთვნილი ქართლის“ ტახტ-გვირგვინის დაუფლებისა.

აქ, სპარსეთში ხომ მისი იყო ყულარაღასობაც, ტარულობაც, იყო ირანის „მეორე კაცი“, გინა „ვიცე-კოროლი“; თვითონ შაჰიც ხომ „მამას“, თუ „მამილოს“ ეძახდა, ირანის ყოველი საქმეც ხომ მას „ეკითხებოდა“.

მაგრამ მაინც ქართლის ტახტი ელანდებოდა თურმე ცხადშიც და ძილშიც.

იყო სისხლით „წმინდა ქართველი“ (მნიშვნელობა არ ჰქონდა „გარეგნულ მაჰმადიანობას“).

იყო გვარად „წმინდა ბაგრატიონი“ (მნიშვნელობა არ ჰქონდა დედამისის გლეხურ წარმომავლობას).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო ნიჭიერი.
იყო ჭკვიანი.
იყო მამაცი.
იყო „ხერხიან-ილათიანი“.
იყო ირანის შაჰის „უსაყვარლესი ქართველთაგანი“.

და, ბოლოს და ბოლოს, კიდევ რალა იყო საჭირო მისი დღენიადაგი ოცნების აღსასრულებლად?

მისი სიცოცხლის „საუკეთესო წუთისოფელი“ კი გარდასულიყო: იდგა 1632 წელი და ხოსრო-მირზას უკვე 67 წელი შესრულებოდა.

სამოცდაშვიდი წელი და, აჰა, როგორც იქნა აღესრულა მისი ოცნება:

შაჰ სეფიმ ხოსრო-მირზას მისცა ქართლი;

სიმამაცისთვის და გმირობისთვის დაარქვა სპარსული სიტყვიერების ყველაზე დიდი გმირის სახელი — როსტომ, გინა — რ ო ს ტ ო მ-ხ ა ნ;

უწოდა „ვალი“ („მოადგილე“). და ამიერიდან შაჰის ყოველ საქმიან და შინაურულ მიმოწერაში ასე გატარდება — „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“.

ხოლო ქართველებმა მას დაარქვეს რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ე.

თვითონ იგი თავს უწოდებდა და ხელრთვად ურთავდა, ვითარცა — „მეფეთ მეფე და პატრონი“ ქართლისა.

დიდად საყურადღებო გახლავთ ისიც, რომ შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს ქართლის ვამგებლობასთან ერთად ძველი თანამდებობებიც დაუტოვა. ამიერიდან როსტომი ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულარაღასიც და ისფაჰანის ტარულაც.

. . . . . .

მაშ, 1632 წლიდან ქართლის მეფობა წაერთვა „უკანონო“ თეიმურაზს და გადაეცა „კანონიერ“ როსტომ-ხანს, გინა როსტომ მეფეს; ის კი არა და, თეიმურაზი — აქამდე „ორისავ ტახტის მჭერი“ — გადაყენებულია კახეთის მეფობიდანაც. და მის ნაცვლად კახეთის მმართველად დანიშნულია სალიმ-ხანი (კახეთს უკვე „შეაჩვიეს“ ირანელი მოხელე — „ხანი“ ჯერ, შაჰ აბასის ნებით, 1616 წლიდან 1625 წლამდე სპარსელი ფეიქარ-ხანი განაგებდა კახეთს. სალიმ-ხანი მეორე სპარსელი იყო კახეთის სამ-მართველოდ გამოგზავნილი)...

შაჰ სეფიმ „ახალ სახელოიანსა“ და „ახალ სახელიან“ როსტომ-ხანს საქართველოში თანამოლაშქრედ კიდევ ერთი როსტომი დაუნიშნა. ეს გახლავთ რ ო ს ტ ო მ-ხ ა ნ ს ა ა კ ა ძ ე.

და, აჰა, ქართველები მოუძღვიან საქართველოსკენ 130 000-ან სპარ-სულ მხედრობას — როსტომ-ხან ბაგრატიონი და როსტომ-ხან საკაძე.

შაჰ სეფი შაჰ აბასის შვილიშვილია და ამიტომ მან კარგად იცის:

ყველაზე „მარჯვედ“ სწორედ ქართველები „მოუვლიან“ ქართველებს!

მრავალი გათათრებული ქართველი „მოსალისედ“ მოსდევს როსტომს და როსტომს. აქ ბრძანდებიან: ბეჟან ამილახორი, ზაალ ქსნის ერისთავი, დავით თვალდამწვრისშვილი მისი შვილებით, თამაზ მაჩაბელი, ბახუტა, დემეტრე და როინ-ჯაგლაგ ფანველისშვილები, პაპუნა ციციშვილი, თურმანბეგ თურმანიძე, იმერეთის ბოქაულთუხუცესი თეიმურაზ ჩხეიძე, ჰასანბეგ ბარათაშვილი, ოტია ანდრონიკაშვილი, კახაბერ და ელიზბარ სვიმონისშვილები.

ამათგან, ორი ფანველისშვილი წინ გამოუშვეს — დემეტრე და როინ-ჯაგლაგი, წერილები ჩააბარეს და საქართველოსკენ აფრინეს.

ეს წერილები ეგზავნებოდა ქართლის ყველა თავადს: თქვენმა მწყალობელმა შაჰმა ქართლი თავის ყულარაღასსა და თქვენს კანონიერ მეფეს როსტომს უბოძაო, თანაც თავრიზის ბეგლარბეგი და ირანის ამირსპასალარი სააკაძე დიდის მხედრობით თან გამოატანაო; ამიტომ, სანამ გვიან არ არის, თეიმურაზი მიატოვეთ და ნამდვილ ხელმწიფეს — როსტომს შეეგებეთო.

თეიმურაზ მეფე საფურცლეს იდგა.

ორი როსტომის წამოსვლის ამბავი დროზე შეეტყო და საომარი წვევაც დროზე დაეგზავნა ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

მაგრამ წვევის პასუხი კი აღარ გამოჩნდა „დროზე“.

ჯერჯერობით მხოლოდ ბარათაშვილები მოსულიყვნენ საფურცლის ჭალაზე მოღნაშულად დაშვებული ქართული დროშის ქვეშ.

მეფეს მოულოდნელად მისმა მსტოვრებმა ტყვეები მოჰგვარეს — დემეტრე და როინ-ჯაგლაგი. წერილებიც წაიკითხა თეიმურაზმა. მაგრამ ნაგვიანევი აღმოჩნდა ეს „მიღწევაც“: იმ წერილების შინაარსი უკვე ყველა ქართველ თავადს შეტყობილი ჰქონდა და თითქმის ყველა როსტომ მეფესთან შესახვედრად გაქცეულიყო!

მხოლოდ იოთამ ამილახორმა შეუნახა ერთგულება თეიმურაზს და იმ ღღესვე ეახლა თავისი ლაშქრით საფურცლის ბანაკს.

იმ წერილების გამოჩენაზე თეიმურაზთან მყოფი ბარათაშვილებიც ღამფრთხალან და დადედლებულან; ცოლ-შვილი დაუყრიათ, ღამით გაპარულან და ისინიც როსტომ მეფესთან შესახვედრად გაქცეულან.

გამწარებულმა თეიმურაზმა ბარათიანთა ცოლ-შვილს ცხვირ-პირის დაჭრა დაუპირა, მაგრამ ცოლმა, ხორეშან დედოფალმა არ დაანება („არა აუფლა“).

ქართლიდან აღარავის ელოდა თეიმურაზი. იმერეთიდანაც შემწეობაზე უარი მოუვიდა, რადგან დადიანი ეომებოდა თავვამეტებით იმერეთის მეფეს.

ისევ თურქეთი გააახსენდა თეიმურაზს და მაშინვე ნიკიფორე ჩოლოყაშვილი აფრინა სტამბოლს. მაგრამ პასუხს ვეღარ დაელოდებოდა.

რადგან იმ დღესვე აასლეს ბავთიანი ამბავი: როსტომ მეფე უკვე ყარაბაღში შემოვიდაო; შენგან წასული ქართველი თავადებიც, შეხვედრიან ახალ მბრძანებელს, მის წინაშე დამხობილან და ფეხები [illegible]

იმედგადაწურულმა თეიმურაზმა საფურცლე დააგდო და გორში ჩავიდა.

სულ ოთხასამდე ადამიანი მისდევდა მეფეს და მათგან სამასი მარტო ქალი იყო.

გორში შიკრიკებმა წამოაწიეს: როსტომ მეფე აღჯაყალაში გამოჩნდაო. მაშინვე თეიმურაზი ვორიდან აიყარა და ქვიშხეთს გადავიდა. ვერც ქვიშხეთს მოასწრო მუხლის ჩაკრეფა და ცინცხლად „ახარეს“: როსტომ მეფე და როსტომ სააკაძე უზარმაზარი სპარსული მხედრობით და მათ ფერხთა მტვრად ქცეული ქართველი თავადობით უკვე ტფილისში შემოსულანო.

თეიურაზმაც ოჯახს ხელი დაავლო და იმერეთისკენ გაქუსლა.

როსტომ მეფისთვის უკვე ჩაუკაკლავთ ბარათაშვილებს: თეიმურაზი მარტოდმარტოა დარჩენილი, იოთამ ამილახორის გარდა აღარავინ მისვლია და ახლა იმერეთისკენ მიილალება ტყვეობიდან თავის დასახსნელადო.

ორი ათასი მეომარი ამოარჩია და დაადევნა როსტომმა თეიმურაზს. ლტოლვილებმა ფეხად გადაასწრეს „პერანგას მთაზედ“. მდევართა უმრავლესობას ცხენი დაუვარდა თავაწყვეტილი ჭენებით. დანარჩენებმა თეიმურაზის მხლებელთაგან მხოლოდ ორიოდ ჩამორჩენილი კახი და მისი ღარიბული ავლადიდება მიჰგვარეს როსტომს...

...გორში ხმა გავარდა — თეიმურაზი იმერეთს გაქცეულა, ტფილისი და ქვემო ქართლი ყიზილბაშით ავსებულა, მაჰმადიანი მბრძანებელი ტფილისიდან გორისაკენ წამოსულა და სადაც არის გამოჩნდება ქრისტიანთა საჟლეტად და საოხრებლადო.

აზრადაც არავის მოსვლია, რომ „თათარი ხელმწიფე“ ქრისტიან ქართველთა ასაკლებად არ მოდიოდა.

ისევ აიყარა ქართული ოჯახი და გაიხიზნა ტყესა და ღრეში.

კათოლიკე მისიონერები დაუხვდნენ ვულმყარად სპარსეთიდან მოვლენილ ახალ ხელმწიფეს. მათ საშფოთარი არაფერი ჰქონდათ, რადგან როსტომი ირანშიც უხვად სწყალობდა ევროპელ ქრისტიან მოღვაწეებს.

საჩუქრებით მიეგებნენ „გორელი ევროპელები“ ქართლის ახალ მეპატრონეს. როსტომმაც დიდის პატივით მიიღო ისინი. ძალიან მიხარია, ქართლშიც რომ დამხვდნენ ფრანგებიო (ქართველები აკი „ფრანგს“ ეძახდნენ საქართველოში მოსულ ყოველ ევროპელ კათოლიკეს). უხვი საბოძვარიც მიუბოძა. თეიმურაზის დროინდელი ყოველი პატივი და შეღავათი დაუტოვათ; ასეთი პირობაც დაურთო: ამიერიდან თქვენს სახლსა

და სავანეში დაუკითხავად შემოსვლას ვერავინ გაბედავს — მზის, წყლისა და ქარის გარდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომი გორში მცირე ჯარით შევიდა. დანარჩენი მხედრობა ქალაქგარეთ დააბინავა. ასე სჯობიაო, სთქვა მეფემ, ჯარი მაინც ჯარია და, ვაითუ მეომრებმა თავი ვერ შეიკავონ ხალხის შეწუხებისა და აკლებისგანო.

ასეთი ბრძანებაც გაუშვა როსტომ მეფემ სამხედრო ბანაკში: რომელი ჯარისკაციც ადგილობრივ მოსახლეს შეაწუხებს, იმ ჯარისკაცს უეჭველად მუცელზე გავფატრავო.

ვინც ქალაქიდან გაქცევა ვერ მოასწრო, როსტომმა ყველას დაუყვავა, დაამშვიდა და დააჯილდოვა. გაქცეულებს კი შეუთვალა: სახიზარსამალავებიდან გამოდით, თქვენს კერას დაუბრუნდით და მშვიდობიანი ცხოვრება განაგრძეთო. ყველამ იცოდეს, მე ქართლის საპატრონოდ და მოსავლელად მოვსულვარ და არა დასაპყრობად და დასამონებლადო.

მალე დადასტურდა, რომ როსტომ მეფის სიტყვა და საქმე ერთი იყო. ადამიანს შეეძლო მის აღთქმას მინდობოდა.

როსტომ მეფემ გორში სამი თვე გაატარა 1633 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო. ოც-ოცდახუთ დღეში ჯარს ახალი ქვითკირის ციხე ააგებინა. შიგ ხუთასი ყიზილბაში მეთოფე და თორმეტი ზარბაზანი ჩაარიგა. ციხიონის უფროსად დანიშნა ნურის მინბაში (ათასისთავი), სახელად მუსლიმბეგ, ტომით ქართველი, მესხი.

როსტომ მეფის თხოვნით, იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა ქრისტეფორე კასტელმა გორის ციხე დახატა. ნახატი როსტომს ძალიან მოეწონა და მაშინვე ირანში გაგზავნა შაჰის საამებელ-საჩუქრად.

ერთ დღეს მისიონერთა ეკლესიას ეწვია როსტომი თავისი ამალით. წირვა-ლოცვას დაესწრო და ყოველივე დიდის წადნიერებით მიმოიხილა. ერთი პატარა ნახატიც მოეწონა — ცხენზე ამხედრებული, გველეშაპის მსახვრალი წმინდა გიორგის გამოსახულებით. ქრისტეფორე კასტელს დაეხატა ისიც. მაშინვე მიართვეს მუსლიმან მეფეს ქრისტიანი „წმინდა რაინდის“ ხატი. სამაგიეროდ ოცდათექვსმეტი სკუდო აჩუქა როსტომმა მისიონერებს.

გორიდან როსტომ მეფემ სურამის ციხის ასაშენებლად და იქვე ციხიონის ჩასაყენებლად გაგზავნა ჯარი.

. . . . . .

ბოლოს და ბოლოს, ქართლში დაიჯერეს, რომ როსტომ მეფე ქართლის „გადასაშენებლად“ კი არა, „მოსაშენებლად“ იყო მოსული.

ყველა თავადი და აზნაური მოვიდა ქართლის „ნამდვილ მეფესთან“ ფეხზე საკოცნელად.

ერთმა, სააკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა ვერ გაბედა. როსტომ მეფესთან გამოცხადება. ვერ გაბედა იმიტომ, რომ იქვე როსტომ-ხან სააკაძე იდგა. სწორედ ის როსტომ-ხან სააკაძე, [illegible] სადან ციციშვილმა ყრმობის ასაკში დაიობლა — მამა მოუკლა, [illegible] დაუქცია და სამშობლოდან გააქცია.

თვითონ გაუძახა ლაშქარი საციციანოში როსტომ სააკაძემ, ფარსადან ციციშვილის სამფლობელო ააწიოკა, ააოხრა, გაძარცვა და მოსტყვევნა.

როცა ეს ამბავი როსტომ მეფემ შეიტყო, რისხვით აღიესო და როსტომ სააკაძეს შეუთვალა: ვინ მოგცა ნება, ასეთი რამ უჩემოდ რომ გაგიბედავსო?! საქართველო ისედაც აოხრებული არის და რაც გადარჩენილა, იმასაც შენ მიოხრებ და მიტიალებ — მაშ, მე რიღას ბატონი და პატრონი ვყოფილვარო?!

სწორედ მაგრად იყო ეს სილა მოქნეული. ასედაც შეიგრძნო როსტომ სააკაძემ. თვითონაც გარისხდა და ცეცხლით გაიტენა.

ახლა გამჟღავნდა, რომ ორივე როსტომს ცალკეულად თავისი თავი მიაჩნდა „პირველ როსტომად"!

ორივემ „პირველი საჩივარი" გაგზავნა ირანის შაჰთან.

შაჰ სეფიმ ისევ თავისი „ერთგული მამიკოს" — როსტომ მეფის მხარე დაიჭირა და როსტომ-ხან სააკაძეს ფიცხელი ბრძანება გამოუგზავნა: ახლავე შენის ჯარით საქართველო დატოვე და ვანის ციხეზე წადი სალაშქროდ. მეორე ბრძანება შაჰმა შირვანის ბეგლარბეგს, ფარუ-ხანს შეუთვალა: სააკაძის მაგივრად შენ დაუდექი ქეშიკში ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფესო.

როგორც კი სააკაძე საქართველოდან გავიდა, ფარსადან ციციშვილი როსტომ მეფეს ეახლა, ფეხები დაუკოცნა და სიკვდილამდე ერთგულება შეჰფიცა.

ყველა გამოვიდა სამალავებიდან და სახიზარებიდან -- თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ბერიც და ერიც. ყველა დაუბრუნდა მშობლიურ კერას, მშვიდობიან ცხოვრებას. ქართველებმა ისევ „დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა".

. . . . . .

ტფილისში, ქართველთა სატახტოში, ახალი მეფე იჯდა — „გარეგნული" სჯულით მაჰმადიანი, მაგრამ „შინაგანი" სულით ქრისტიანი. სისხლით და ჯიშით ქართველი, რაც მთავარია — „ქართულობისთვის" თავგამეტებული მებრძოლი, ქართველთა მიწა-წყალზე მშვიდობიანი ცხოვრების, შრომის, აღმშენებლობისა და აღორძინების წინამძღვარი და თავკაცი.

იგი ახლა ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულარაღასიც და ისფაჰანის ტარულაც. შაჰ სეფი ისევ არაფერს აკეთებდა „ჭეშმარიტი მამის“ დაუკითხავად.

ამიტომ ამბობდნენ საწადნიერო ამბების მოტრფიალენი: ქართლსაც და ირანსაც ერთი კაცი განაგებსო — როსტომ მეფე!

. . . . . .

ხოლო, კახეთში ყიზილბაში ხანი იჯდა — სალიმ-ხან.

. . . . . .

ერთი რამ კიდევ ღირს მინიშნებად: როსტომ მეფემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე არზრუმიდან ჩამოიყვანა თავისი კეთილისმყოფლის, გიორგი საакაძის ოჯახი და დააბინავა მათს მამაპაპეულ ნოსტეს მამულებში.

. . . . . .

მაშ, ქართლის ტახტზე ზის როსტომ მეფე (1632—1658 წწ.).
ზის და განაგებს ქართლს ქართულად:
ქართული ენით და სიტყვიერებით,
ქართული წესით და ადათით,
ქართული მიწათსაკუთრებით და მიწათმეურნეობით,
ქართული ხელოსნობით და ხელოვნებით,
ქართული სულით და ქართული გულით.

საქართველოს „სრული გათათრების“ განაზრახი აღეკვეთა სპარსეთის მესვეურებს. მათ „საკმარისად“ უნდა მიეჩნიათ ყოველწლიური ხარკის აკრეფა, „მისართმეველის“ მირთმევა და ჯარის გაყვანა საქართველოდან.

მაგრამ საქმე ისედაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ როსტომ-ხანმა სპარსელობას პირწმინდად უღალატა და „ბავშვობისდროინდელ“ ქართველობას სულხორციანად დაუბრუნდა.

არა! იგი ქართულისა და სპარსულის „ნებაყოფლობით შერიგებასა“ და „შერწყმას“ მიელტვოდა.

რა ვუყოთ, რომ როსტომ მეფე ტფილისში სახელმწიფო საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებდა (ის კი არა და, — აკი თვით შაჰ აბასიც ძალიან ხშირად სპარსეთის სატახტოშიც ქართულად ლაპარაკობდა).

როსტომი თავის თავს „მეფეთ მეფესა და პატრონს“ ეძახის, ირანის შაჰიც „ჩემს ძმასა“ და „ჩემს მამას“ უწოდებს, მაგრამ ქართველებმა

იციან, რომ „როსტომს ოფიციალურ სპარსულ ფირმანებში მაინც სპარსელი მოხელე — „ვალი“, გინა „ხანი“ ჰქვია.

მაინცდამაინც როსტომის მმართველობით „ახალი ეპოქა“ დადგა ქართველოს მატიანეში. მისი მოსვლიდან მთელი 112 წლის სიგრძეზე (1632—1744) ქართლის გამგებელნი მხოლოდ სპარსეთის მოხელენი — „ხანები“, „ვალები“ და „ჯანიშინები“ იყვნენ — მართალია, ქართველები, მაგრამ მაინც სპარსეთის კარზე სპარსულად აღზრდილნი, გამაჰმადიანებულნი და „გარდასახულნი“.

საუკუნეზე უგრძესი დროჟამი წარიმართა, ვითარცა უდიდესი გამოცდა ქართული კულტურის გამძლეობისა, ცხოველმყოფელობისა და უკვდავებისა. როსტომ-ხანისა და მისი მომდევნო „გურჯი-ხანების“ მმართველობის დროინდელი ქართულ და სპარსულ კულტურათა „შერწყმის პოლიტიკა“ ისევ და ისევ „ქართულ სისტემათა“ გამარჯვებით გათავდა. ქართულმა კულტურამ, ბუნებრივია, მაღალი ირანული სულიერი და ნივთიერი მემკვიდრეობიდან ბევრი რამ შეითვისა და გაითავისა, მაგრამ თავის მხრივაც მრავლად „ჩაასესხა“ და „ჩაასისხლხორცა“ სპარსულს ქართულმა.

შეწყდა სპარსულ-თათრული შემოსევები საქართველოში. ქართველ კაცს საშუალება ეძლეოდა მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებოდა.

როსტომ მეფეზე მაინც დაბეჯითებით ამბობდნენ: იგი, — ვითარცა ქართლის მეფე, ირანის ყულარაღასი და ისფაჰანის ტარუღა — განუყოფლად განაგებს ქართლსაც და სპარსეთსაცო.

ქართლში ქართული თანამდებობანი უკლებრივ და უცვლელად დატოვა, მაგრამ მათ გვერდით სპარსულიც შემოიღო და ზედ სპარსეთიდან ჩამოყვანილი გათათრებული ქართველები ჩამოარიგა.

ოღონდ კი მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ და ყველას ერთნაირი სიუხვით სცემდა პატივს — დამხვედრ „სჯულიერ ქართველსაც“ და მომსვლელ „გადარჯულებულ გურჯსაც“.

თეიმურაზის მომხრეობით „სახელგატეხილი“ თავადები მაინც დაამდაბლა და უპოვარჰყო როსტომმა. სამაგიეროდ ერთგულნი გაამდიდრა და ააღზევა უზომოდ. ჩამოსვლისთანავე, თეიმურაზთან ერთად იმერეთს გადახვეწილი იოთამ ამილახორი „კანონგარეშედ“ გამოაცხადა და სამაგიეროდ ზემო ქართლის სადროშოს მეთაურობა სპარსეთიდან ჩამოყოლილ ბეჟან ამილახორს უბოძა. ასევე საბარათიანოში ჰასან-ბეგ ბარათაშვილს დაუბრუნა გიორგი საკაძისგან წართმეული მამულები.

ქართული ცხოვრების გარეგნულსა და შინაგან სახეს ხელს არ ახლებდა, მაგრამ თვითონ სპარსეთიდან თანმოყოლილ „გურჯებთან“ ერთად სპარსეთში გაჩვეული წესითა და ადათით ცხოვრობდა.

ქართველთაგან ბევრი ისევ ინარჩუნებდა ძველ ქართულ ღირსებებს: „იყვნენ მხნენი, რჯულმტკიცენი, წრფელნი, ვერცხლის უყვარულნი“,

მაგრამ როსტომის მხლებელ თათართაგან და გათათრებულ ქართველთაგან მაინც „შეერიათ ქართველთ განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორცთა-განსვენება, აბანოს ოქროსა-ცობა უგვანი, მეჩანგე მგოსანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარეობა, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდნენ და რაყმით იშოვნიდნენ მამულებსა“.

ბევრი ქართველი — საეროც და სასულიეროც — აჰყვა ცდუნებას: ქონებას ეხარბებოდნენ, ქრთამს ღებულობდნენ, მოფენილზე ფეხმორთხმულნი უზომოდ ჭამდნენ და სვამდნენ, ცრუობდნენ, მრუშობდნენ, მთელი დღეები აბანოს ორთქლში ჩაფლულნი ბაიათებს ჰკიოდნენ, თეძოების მრუში მიმოტანით როკავდნენ.

„განმრავლდა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა ივი სოდომ-გომორული და მეძავობა და დედათა თანა აღრევა“.

ბევრ ქართველს რვალის მკლავი დაუცომდა, მუცელი დაუზორზოხდა და თეძო დაუდედლდა.

როსტომ მეფე დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესიებს აღადგენდა, ახლებსაც აშენებდა, შესაწირავებით ამდიდრებდა, წირვა-ლოცვას ესწრებოდა და თვითონაც, სპარსელთაგან შეფარვით, ქრისტიანულად ლოცულობდა. ქრისტიან მოწესეებს ჯამაგირს უნიშნავდა, „თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა“. მარტო ის რად ჰღირს, რომ მან „აღაშენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა...“

მაგრამ როსტომმა ისნის ქართული, მამაპაპური ციხე და სასახლე მიატოვა და საცხოვრებლად სიონ-ანჩისხატს შორის დასახლდა, მტკვრის პირას. აქ „აღაშენა სახლი ყიზილბაშური კეკლუცად და ტურფად ნაგები“. მდინარის გაღმა-გამოღმა ციხეებიც ააგო, ბაღებიც და მეჩეთებიც: მეტეხისა და ნარიყალას ციხეებს ახალი ზღუდეები შემოავლო და შიგ ყიზილბაშური ციხიონები ჩაასაგრა.

როსტომ მეფემ ფულის ყადრი იცოდა და ვაჭარ-ხელოსნობას ძალიან აქებებდა და მფარველობდა. გამორჩევით ტფილისელ და გორელ სომხებს ეხმარებოდა, ემზრუნველებოდა და ემეგობრებოდა კიდეც. სომეხთა კათალიკოსი როსტომს სომეხთა მოამაგესა და მეგობარს უწოდებდა. საჭირო შემთხვევაში როსტომ მეფე მისებრ „ხერხიან და ილათიან სომხებს“ გაურჩებული ქართველი თავადების წინააღმდეგაც კარგად იყენებდა...

შენდებოდა და მრავლდებოდა ქართული სოფელი. როსტომ მეფის დროს ქვემო ქართლში ყაფლან ბარათაშვილმა 61 დაცალიერებული სოფელი აღადგინა და დაასახლა. ასევე მცხეთის სახლთუხუცესმა პაპუა

მაღალაძემ ქართლსა და კახეთში 12 გაუკაცრიელებული სოფელი აღორძინა.

როსტომ მეფეს გაჰყავდა გზები, წყალსადენები, სარწყავი არხები, აგებდა ხიდებს, წისქვილებს, სავაჭრო ქარვასლებს, საფოსტო და სამგზავრო სადგურებსა და სასტუმროებს.

ყველაზე დიდი, გუმბათიანი ხიდი მდინარე ხრამზე ააგო, განჯისკენ მიმავალ გზაზე. ხიდთან საგანგებოდ სოფელი დაასახლა და საფოსტო სადგური — „ქარავან სარაიც“ ააგო, „რათა მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდესო“.

აქედან (1652 წლიდან) იწყებს „თავის ისტორიას“ სახელგანთქმული „გატეხილი ხიდი“.

. . . . . .

სპარსეთიდან ჩამოსულ როსტომ მეფეს არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი.

67 წელისა კი იყო.

და ეგზომ ასაკმორეულმა კაცმა ჩამოსვლისთანავე, 1633 წელს, ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი — ქ ე თ ე ვ ა ნ ი, გორჯასპი აბაშიშვილის ასული, რომელსაც ქრისტიანული სახელი გამოუცვალა — ქეთევანის ნაცვლად გულ-დუხტარი დაარქვა.

მაგრამ რაღა სახელის გადარქმევა და „გადანათვლა“, როცა ქალმა დედოფლად ერთი თვეც ვერ მოათია, ისე გარდაიცვალა მოულოდნელად.

გამწარდა როსტომი, ესოდენ გვიან გახსენებულზე რომ უმუხთლა ბედმა. უსათუოდ, ტახტის მემკვიდრე სჭირდებოდა და ძალიანაც ეჩქარებოდა, რათა დროზე წამოსწეოდა მომავალი სისხლიერი შემცვლელი ესოდენ სანატრელი ქართული მეფობისა.

საგანგებო თათბირიც შეჰყარა ხელმეორე ქორწინების გასარიგებლად.

ერთხმად დაუსახელეს მ ა რ ი ა მ ი — ასული მანუჩარ დადიანისა და ათაბაგის ქალისა, დაი სახელოვანი ლევან დადიანისა, ცოლყოფილი ლევანისაგან თვალებდათხრილი სვიმონ გურიელისა.

როსტომ მეფეს მანამდეც შეეტყო მარიამის სილამაზისა და სიმშვენიერის ამბავი.

„შავის ზღვიდან ამოსული მზე არის დადიანის ქალი!“ — ეს მერამდენედ უთხრეს მეფეს.

ქალი რომ მზეს ჰგავს, ამას რაღა სჯობს, მაგრამ კიდევ „სხვა რამ ანდამატი“ ახლავს როსტომისა და მარიამის მომავალ ქორწინებას. ეს არის ქართლის მეფის კავშირი დასავლეთ საქართველოს ყველაზე ძლიერ საჭეთმპყრობელთან — ლევან დადიანთან. ოდიშის მთავარი და იმერეთის

მეფე დანასისხლად გადამტერებიან ერთმანეთს. თანაც, როსტომ მეფის მეტოქე თეიმურაზ კახთა მეფე სწორედ ქუთათისის სასახლეს აფარებს თავს. დიახ, იმერეთის მეფე გიორგი მესამე და თეიმურაზ ეახლოვნენ მეფე როსტომის მტრები არიან. ისე გამოდის, ლევან დადიანსა და — როსტომ ქართლის გამგებელს საერთო მტრები ჰყვანან — გიორგი და თეიმურაზი. ჰო და, რაკი გიორგი და თეიმურაზი გაერთიანებულან, უბრალოდ მისახვედრი განასაჯით, მათი აქამდე „ცალკეული მტრებიც" — ლევანი და როსტომიც უნდა გაერთიანდნენ.

და მით უკეთესი, უკეთუ მომავალი მოკავშირეების დამოყვრების შესაძლებლობაც არსებობს!

ასეთი „შესაძლებლობა" კი გახლავთ მარიამი, „მზესავით ქალი".

სწორედ მარიამისა და როსტომის „პოლიტიკურ სარეცელზე" უნდა გადაწყდეს საქართველოს მომავალი ბედიღბალი...

როსტომმა სამეგრელოში ტფილელი ეპისკოპოსი გაგზავნა შუამავლად.

ზუგდიდის კარზე დიდის სიხარულითა და პატივისცემით მიიღეს საქართველოს სატახტოს მღვდელთმთავარი, სასიძოს თხოვნაც „ნამეტნავად იამათ", მაგრამ...

მაგრამ თვითონ მარიამმა თქვა უარი მაჰმადიან მეფესთან ქორწინებაზე.

დიდხანს არწმუნეს ქალი: როსტომ მეფე მხოლოდ „გარეგნულად" არის მაჰმადიანიო; მარიამი მაინც მტკიცედ იდგა უარზე.

ვერც ავგულა ძმის, ლევან დადიანის მუქარამ შეაკრთო ქალი; ბოლოს, როგორც იქნა, მაინც ქართლისა და სამეგრელოს მღვდელთმთავრებმა დაარწმუნეს მარიამი, როსტომ მეფე „შინაგანადაც" რომ ქრისტიანი არ იყოს, ყოველივე ქრისტიანისათვის წმიდათაწმიდა მოვალეობა გიკარნახებს, შენ თვითონ მოაქციო ქრისტიანად შენი გვირგვინოსანი მეუღლეო.

მარიამი დათანხმდა და როსტომ მეფისაგან გამოგზავნილი „ნიშანიც მიირთმიეს".

პაემანი დანიშნა დადიანმა — საჩხეიძეო, კაკას ხიდი, ბაღდადთან ახლოს. აქ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს სასიძო და სადედოფლო. დათქმული იყო ისიც, რომ ქართლის მეფე და დადიანი „ყოველი შემთხვევისათვის" დიდი საომარი ძალებით მოსულიყვნენ კაკას ხიდზე.

როსტომმა წინასწარ მოციქული აფრინა სპარსეთში და შაჰს დადიანთან დამოყვრების ამბავი შეატყობინა. შაჰ სეფიმ ძალიან მოიწონა „ძმისა და მამის" განაზრახი.

თვითონ ირანსაც არ აწყენდა დადიანთან კავშირი, მიმართული ისევ „საერთო მტრის", ოსმალეთის წინააღმდეგ. ამიტომ შაჰმა დიდძალი

„საქორწინო საჩუქრები“ გამოუგზავნა როსტომსაც და ლევან დადიანსაც, შირვანის ბეგლარბეგ ფარუ-ხანის ხელით.

კაკას ხიდზე, მდინარე ხანისწყლის ხეობაში, პირველი მივიდა სადედოფლო მარიამი და მისი ძმა ლევან დადიანი „მხედრული ფაყრობით“.

როსტომ მეფეც გზას ადგა დიდის ლაშქრით.

ოსმალეთში უკვე ხმა დარხეულიყო: „ხოსრო-მირზა, დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30 000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას, გონიოსა და ტირებულუს მიმართულებითო“.

როგორც ეტყობა, ოსმალეთში მაშინ ძალიან მცდარი ცნობები ჰქონიათ საქართველოში შინაურ ძალთა დაჯგუფების თაობაზე. როსტომი კი ქართლა მიემართებოდა დიდი მხედრობით დასავლეთისაკენ, მაგრამ არა შავ ზღვაზე „გასაჭრელად“.

სურამს რომ მივიდნენ, როსტომ მეფეს გზიდან დათუნა (დავით) არაგვის ერისთავი გაეპარა თავისი ჯარით. თურმე დათუნას ვიღაცამ ყური გაუხედნა: როსტომ მეფე შენს სისხლს დაღვრის იმის სამაგიეროდ, შენმა ძმამ ზურაბ ერისთავმა რომ როსტომის ძმისწული სვიმონ-ხანი მოჰკლაო. დათუნა ერისთავის „საქმე“ ქორწილის შემდგომისათვის გადასდო მეფემ.

სურამში როსტომს ესეც შეატყობინეს: იმერლებს იმერეთში გადასასვლელი გზები ჩაუკეტიათო.

მაშინ მეფემ ბორჯომის, სამცხისა და ზეკარ-ფერსათის გზებით გადაწყვიტა იმერეთში გადასვლა. სამცხის მმართველი საფარ ფაშა (ბექა ათაბაგი) მომკვდარიყო და მის ნაცვლად მისივე შვილი დაესვათ თურქებს უსუფ ფაშას სახელით. სწორედ უსუფ ფაშას სთხოვა გზა სამცხეზე როსტომმა. იმანაც „სიხარულით მოსცა“ გზა.

მაგრამ სანამ როსტომ მეფე ეგზომ გრძელ გზებს დასძლევდა, მანამ ბაღდადის ახლოს უკვე მომხდარიყო მოსახდენი.

იმერეთის მეფე გიორგი, მისი შვილები ალექსანდრე და მამუკა, და თეიმურაზ კახთა მეფე, ქუთათისიდან ლაშქრით ჩამოსულან და დადიანის განადგურება მანამ განუზრახავთ, სანამ ქართლიდან როსტომ მეფე გადმოასწრებდა.

საერთო სამხედრო განაზრახი დიახაც სწორად მოუსაზრებიათ იმერეთის სასახლის კარზე, მაგრამ მისი საქმიანი განხორციელება უაღრესად უხეიროდ ჩაუტარებიათ.

იმერელთა ლაშქარი ბაღდადთან დაბანაკდა. თვითონ გიორგი მეფე ჯორზე შეჯდა და მცირე რაზმით ხანისწყალს აუყვა, მტრის დასაზვერავად. იმერელთა ბანაკში მოღალატეები აღმოჩნდენ. მათ ლევან დადიანს შეატყობინეს მეფის სამოძრაო გზები.

ერთბაშად გამოიჭრნენ ოდიშარნი. გიორგი მეფეს დაეცნენ, ჯორიდან გადმოაგდეს და ხელ-ფეხი შეუბოჭეს. მისი მხლებლებიც ჭუკებივით გა-

მოიჭირეს. მერე იმერთა მთავარ ბანაკს დაესხა ლევან დადიანი. იმერ-ლები დამარცხდნენ და დაიფანტნენ. გაქცევით უშველეს თავს თეიმურაზმა, ალექსანდრემ და მამუკამ. ბევრი იმერელი და თეიმურაზის მხლებელი კახი ხელთ ჩაუვარდათ გამარჯვებულ მეგრელებს. — დიდი ალაფიც დაიალაფეს. მათ შორის აღმოჩნდა „კახეთის დროშის თავი, ბროლის ჯვარი და იმ დროშის ბუდე ოქროქსოვილი". ეს ძვირფასი საანადავლო ნაწილები შემდგომში ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას შესწირა ლევან დადიანმა.

როსტომ მეფემაც მოატანა ჯარით და ამალით.

დიდის ზარზეიმით შეხვდნენ ერთმანეთს მოყვარენი და მოკავშირენი.

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიუხვეში, სიქველეში და ბრწყინვალებაში.

აქვე შაჰ სეფის მოციქულმა, შირვანის ბეგლარბეგმა ფარუ-ხანმა ლევან დადიანს გადასცა ირანის ხელმწიფისგან გამოგზავნილი 50 000 მარჩილი. ეს მხოლოდ საქორწინო საჩუქარი იყო; მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ სპარსეთის შაჰი სამეგრელოს მთავარს ყოველწლიურ ჯამაგირად უნიშნავდა 1000 თუმანს. გასაგები იყო ლევან დადიანისათვის, რასაც ნიშნავდა ირანელი დიდხელმწიფის ასეთი წყალობა. სამეგრელოს სამთავრო მარტო ქართლის კი არა, ირანის „ხელდებულ მოკავშირედაც" ცხადდებოდა. ასედაც „გაიგებს" ლევან დადიანი, როცა იგი სამაგიერო ელჩს გაგზავნის ისფაჰანს...

ერთი დღე-ღამე საქორწინო ზარზეიმი აზანზარებდა ხანისწყლის ხეობას.

ხარის ბღავილით არავის უბღავლია იქვე მახლობლად მოძმეთა სისხლით დამბალ მიწაზე.

როსტომ მეფემ წამოიყვანა მარიამი — „მზისფერი ქალი".

მარიამს თან მოსდევდა პატარა ოტია — ძე სვიმონ გურიელისაგან...

როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის გვირგვინის ფსკვნა წმინდა ქართულ-ქრისტიანული წესითა და რიგით ჩაატარეს ქართველმა ნღვდლებმა. როსტომს ეკლესიაში თავი დაბანეს და ამნაირად „თათრობიდან განწმენდილი" ქრისტიანად „მოაქციეს". მხოლოდ ამის შემდგომ ინება მარიამმა „პოლიტიკურ საქმროსთან" ჯვარის დაწერა.

ამის შემდგომ როსტომ მეფე მაჰმადიანობდა მაჰმადიანებთან, ქრისტიანობდა ქრისტიანებთან, ხოლო ნამდვილი, „ჯეშმარიტი სიწრფოებით" სწამდა თვითონ მარიამ დედოფალი, სათნოებით და სიმშვენიერით აღსავსე „მზიური ქალი" — ქალი „ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მგავსი თამარ მეფისა შემდგომად აღარავინ გამოჩენილა"..

...ლევან დადიანი მტრის თვალების დათხრაზე დახარბებული კაცი იყო. მაგრამ გიორგი იმერთა მეფე მაინც გადაურჩა თვალთა სინათლის დაკარგვას. ორი წლის ტყვეობის შემდგომ ლევან დადიანმა ალექსანდრე

ბატონიშვილს (რომელიც ქუთაისში უკვე მეფედ ეკურთხებინათ) დიდ-ძალი გამოსასყიდი გამოართვა — „მურასა გვირგვინი, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალმარგალიტი, მურასა იარაღი, ხალიჩის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლნენ სომხები და ჩიხორის ურიანი“ — და გამოუშვა ტყვეობიდან გიორგი მეფე.

გიორგი მეფის გამოსახსნელ „სახსრად“ მიღებული სომხები და ებრაელები ლევან დადიანმა დაასახლა რუხში, რომელიც მალე კიდევაც შეიქნა ვაჭრობის, აღებ-მიცემობისა და ფულის ტრიალის შუაგულად ოდიშის სამთავროში.

. . . . . .

ხოლო, იმერეთიდან წამოსული მეფე-დედოფალი, მათი ამალა და დადიანისგან გამოტანებული მაყრიონი მოვიდნენ გორს.

აქ დედოფალმა მარიამმა კათოლიკეთა ეკლესიაში მისვლა მოისურვა.

კათოლიკურ მისიონში ქართველთა დედოფლის საზეიმო მიღება როსტომ მეფემ დანიშნა საღამოს ხუთი საათისათვის, როცა ყიზილბაშური ჯარები ჩვეულებრივ, „შიშიანობის გამო“, ყაზარმებში უნდა ჩაკეტილიყვნენ.

დიდის ამბით შეხვდნენ კათოლიკენი ქართლის დედოფალს. მარიამმაც დიდძალი საბოძვარით აავსო „ევროპული სახლი“ ქრისტესი, მხურვალედ ილოცა, მისიონერთა წირვა-ლოცვაც გულისყურით მოისმინა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა: ქართველებისა და კათოლიკე ევროპელების ქრისტიანობა მთლიანობაში ერთნაირია და განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კათოლიკენი უფრო სცემენ პატივს ქრისტიანობას, ვიდრე ქართველები...

სტუმრებმა და მასპინძლებმა კიდევ ექვსი თვე იქეიფეს და ილხინეს. „ხან მეფესთან იყვნენ, ხან თავადნი დაჰპატიჟებდნენ“. ანგარიში აღარ ჰქონდა საქორწინო ფეშქეშსა და მისართმეველს. ნახევარწლიანი ღრეობის შემდეგ დედოფლის მაყრიონის უფროსმა, მალაქია გურიელმა როსტომ მეფეს დასავლეთ საქართველოში დაბრუნების თხოვნა „შეჰბედა“. როსტომმა ახალი საბოძვარი გასცა სტუმრებისათვის — „ყველას თავისი შესაფერისი ცხენი, იარაღი, მოფენილობა და შესამოსელი, კარვები, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეული, მურასა ხმალი და ხანჯლები, ჯიღები და ოქროს უნაგირი და ლაგმები, საღვინე თუნგები, ვერცხლისა და ოქროს თასები, ოქროთი მოჭედილი კულა, ძაბრი და ჰაზარფეშა, ნაქსოვები ფრანგული, ურუმული და ყიზილბაშური, დიბები და სარტყლები. ოქროქსოვილის დოლბანდები, ქამარი და დაშნა, გურიელს ოქროსი და სხვებს ვერცხლისა, თორმეტი ყათარი ჯორი, ოცდაშვიდი ბედაური

ცხენი მიართვეს და მეფე თვითონ ალამდისინ თან გაჰყვა და კოლბაურის გზით გაისტუმრეს, მეფე გორს შებრუნდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

სტუმრები რომ გაისტუმრა, არაგვის ერისთავი მოიკითხა როსტომ მეფემ. აკი დათუნა არაგვის ერისთავი გზიდან გაექცა იმერეთისკენ საქორწინოდ მიმავალ მეფეს. ასეთი „გაქცევა" აჯანყებად და ღალატად იყო შეფასებული. არც დათუნა აპირებდა ამის უარყოფას. ის კი არა და, სანამ როსტომ მეფე ნახევარწლიანი საქორწილო ნადიმ-ღრეობებით ერთობოდა, მანამ არაგვის ერისთავს თეიმურაზ მეფესთან ქუთათისში მოციქული გაუგზავნია, აღმოსავლეთში გადმოუპატიჟნია და როსტომთან ერთიანი ძალით ბრძოლა შეუთავაზებია. თეიმურაზს ზურაბ ერისთავის სისხლი ედო, მისი ძმის სიტყვას არ ენდო და იმერეთიდან არ წამოვიდა.

ეს ყველაფერი უკვე იცოდა როსტომ მეფემ.

მან ლაშქარი შემოიყარა, მუხრანს მივიდა და იქიდან დუშეთს მოციქული გაგზავნა: ოღონდ მოდი და პატივის მეტს არაფერს მოგაგებო; ან შაჰთან წადი ირანშიო; მაინც ჩემთან მოსვლა გერჩივნოსო; ღვთის პირს გაძლევ, შეგირიგო და წყალობით აგავსოო, უთვლიდა მეფე არაგვის ბატონს.

მცირე ყოყმანის შემდგომ დათუნამ გადაწყვიტა: როგორი თათარიც არ უნდა იყოს, მაინც ქართველთან შერიგება სჯობია, ვიდრე სპარსეთის ბოროტ გზაზე დადგომაო, — და წამოვიდა მუხრანს.

მეფე მართლაც პატივით შეხვდა ერისთავს.

მაგრამ ერისთავი ბოლომდე მაინც არ ენდო, არ იქნა და ხმალ-ხანჯალი არ შემოიხსნა — არც დღით, არც ღამით, არც დარბაზობაზე, არც ნადიმობაზე.

სწორედ იმ დღეებში მსტოვრებმა თეიმურაზისგან გამოგზავნილი წერილები ჩაიგდეს ხელში და არაგვის ერისთავის „თეიმურაზელობა" საბოლოოდ გამჟღავნდა.

როსტომის ჯარისკაცები დათუნას ჯიქურ მიადგნენ და იარაღის აყრა მოსთხოვეს. იმან უარი თქვა. ძალად მოუნდომეს.

მაშინ გაიძრო ხმალი დათუნა ერისთავმა და დაერია მიმხვდურებს. რამდენიმე კიდევაც დააწვინა — მკვდარი თუ დაჭრილ-დაკოდილი.

„წაუშინეთო!" — დაიღრიალა როსტომ მეფემ.

ზურგიდან დააძგერეს ხმლები გაბაშვილმა და თურქისტანიშვილმა.

მკვდარი დაეცა დათუნა ერისთავი.

მეფემ მოკლულს თავი მოჰკვეთა და შაჰ სეფის გაუგზავნა სპარსეთში: ეს კაცი იყო მაშფოთებელი ქვეყნისა და ამიტომ სიკვდილს შეეყარეო.

„ქართველის ხელით ქართველი! ეგ ერთი და სხვა ათასიო“, — სთქვა შაჰ აბასის შვილიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უერისთავოდ დარჩენილ საარაგვოს შეუხტა როსტომ მეფე, ძეუხტა და ქვა ქვაზე აღარ დატოვა, ყველაფერი მიანგრ-მოანგრია. „დუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო, არაგვისპირი და გარეშემო ამათი ყოველივე დაწვეს, დაარბიეს. მეფე რვას დღეს დუშეთს იდგა. საღამოთი გათენებამდისინ ყოველგნით მოხდომა და ბრძოლა იყო. რა გათენდის, კაცს ველარსად იპოებდიან, ვითაც ეშმაკნი დაიკარგვიდეს“ და ღამით ისევ გამოუხტებოდნენ არაგველები როსტომის მაოხარ ლაშქარს.

ნუგზარ ერისთავს კიდევ დარჩენოდა ერთი შვილი (ბაადურის, ზურაბის, გიორგისა და დათუნას გარდა), ყველაზე უმცროსი — ზაალი. და სწორედ იგი გამოაცხადეს არაგველებმა არაგვის ერისთავად.

ზაალ ერისთავმა თეიმურაზ მეფეს იმერეთში მალემსრბოლნი უფრინა მძევლებიც გაუგზავნა და „შეუთვალა ფიცი საშინელი“: ოღონდ გადმოდი, მხარში დაგიდგები, თავს შემოგწირავ და ქართლზე გაგაბატონებო.

ახლა კი ირწმუნა თეიმურაზმა საარაგვოს ახალი ერისთავის ფიცი. ლიხისა და კორბოულის გზები შეკრული იყო და რაჭა-დვალეთის გზით წამოვიდა, და ანანურს ჩამოვიდა. მასთან გაქცეული იოთამ ამილახორი და იასე ქსნის ერისთავიც ჩამოჰყვნენ. ზაალ ერისთავიც ანანურს მივიდა და მეფეს ეახლა. ჯარიც შემოიყარეს და ბაზალეთისაკენ წამოემართნენ.

როსტომ მეფეს მოახსენეს მისიანებმა: ბაზალეთი თეიმურაზს ფეხშედნიერად აქვს დაცდილიო, — აკი ბაზალეთთან დაამარცხა მან გიორგი საკაძეო. ამიტომ სჯობია აქედან ავიყაროთ და გორს წავიდეთ, ან ტფილისში გავმაგრდეთო.

ასე „ღრმად უკუქცევა“ მარცხის აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ არ დაირცხვინა როსტომ მეფემ და უკუიქცა საარაგვოდან.

გამოედევნენ არაგველები. გორამდე სდიეს, ხან აქ დაეცნენ, ხან იქ, მოულოდნელი გაელვებით. ბევრი ყიზილბაში გაუწყვიტეს როსტომ მეფეს, „მრავალი ნავნები უქნეს“. რამდენიმე დღე გორის გარშემო მიდიოდა ბრძოლები როსტომისა და თეიმურაზის ჯარებს შორის.

თეიმურაზი გორს მოეშვა და იკორთას გადავიდა. აქ ხელახლა მოუყვანეს ჯარი ზაალ ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, იასე ერისთავმა და ვახტანგ მუხრან-ბატონმა.

როსტომმაც ქვემო ქართლის ლაშქარი შემოიყარა და სამრად „გაუძახა“.

ბრძოლა მოხდა არცევს.

„წაუშინეს ერთმანეთსა და შეიქნა ძგერება და ორგნითვე ძალმიცემით იბრძოლეს, ორგნითვე თავგამომეტებით ომი გარდაიხადეს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზი დამარცხდა და უკუიქცა.

როსტომმა საამილახვრო და სამუხრანო ჩაიარა, ყოველივე ნაცარ-ტუტად აქცია და ტფილისს მივიდა.

. . . . . .

კახეთის მმართველი სალიმ-ხანი მოსაბრუნში (ყარაღაჯთან, ახლანდელი ლაგოდეხის რაიონში) იყო. აქ სასახლე აეშენებია და აქედანვე განაგებდა „მოუსვენარი გურჯებით" დასახლებულ კახეთს.

მოულოდნელად შემოიჭრა თეიმურაზი. ქორივით დაეცა მოსაბრუნს.

სალიმ-ხანმა ძლივს გაასწრო „ფეხშიშველამან". ხოლო მისი ყიზილბაშური ჯარი ერთიანად ამოწყვიტეს კახელებმა.

იდგა 1634 წელი და კახეთი ისევ ეკუთვნოდა მეფე თაიმურაზ პირველს.

ისევ „იწყო კახეთმან შენობად და მოსახლეობად".

მაგრამ თეიმურაზმა იცოდა, რომ ირანის შაჰი და როსტომ მეფე კახეთის წართმევას ასე იოლად ვერ მოინელებდნენ. ამიტომ ისევ დაიწყო დიდი მოკავშირის ძებნა თეიმურაზმა.

ეს „დიდი მოკავშირე" ისევ რუსეთი უნდა ყოფილიყო. და ისევ გადაწყვიტა თეიმურაზმა „რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ხელმწიფისაგან და მუნითგან რუსის ჯარის მოსვლა".

მაგრამ ყოველივე ჩანდა ამაოებად.

და სანამ თეიმურაზი ჩრდილოეთს მომლოდინე თვალებით მიშტერებოდა. მანამ სამხრეთიდან ახალი საფრთხე დგებოდა ფეხზე.

როსტომ მეფემ სეფი შაჰის წერილი მიიღო: წელს ხონთქარი ლაშქრობას ვერ გვიბედავსო; ამიტომ აზერბაიჯანს გავგზავნე, იქაურნი ლაშქარნი სულ თქვენ გაახლონო; დაუტრიალდი მანდაურებს და, ვინც ურჩი და „თავგამზიდავი" გეგულება, სუყველა დაუნდობლად „ამოიღეთო".

მართლაც მიიღო დიდძალი ჯარი როსტომ მეფემ აზერბაიჯანიდან. საქართველოში მდგარი ჯარებიც შეუერთდა და უზარმაზარი მხედრობით დაიძრა ყველაზე დიდი „თავგამზიდავის" — თეიმურაზის წინააღმდეგ.

გატყდა და წახდა თეიმურაზი.

მაშინვე წერილი დასწერა და მოციქულნი აფრინა კახეთის გზაზე შემომდგარ როსტომ მეფესთან. სწერდა ქრისტიანი ნათესავი გათათრებულ ნათესავს:

„ჯერ მე და თქვენ ვართ ნათესავები, მერე ჩემი მეუღლე ხორეშან დედოფალი არის თქვენი ბიძაშვილი; შვილი არც თქვენ გყავთ და მეც გვარის გამგრძელებელი ვაჟი ერთის მეტი აღარ შემომრჩენია; დიდი ლუარსაბის სისხლისგან თქვენს მეტი აღარავინ დარჩენილა; ლევან კახთა

მეფის გვარჯილაგისგანაც ჩემს მეტი აღარავინ არის ამ ქვეყნად და, მოდით, ნულარ ამოვხოცავთ ერთმანეთს, შევრიგდეთ და დავეტიფეთ ამ ცოდვილ მიწაზე. კარგად მოგეხსენებათ, რამდენი უბედურება დაუსაბამო თლობა მჭირს ყიზილბაშთაგან. ახლაც, თუ რამე დამიშავებია, ისევ შიშით და სიფრთხილით მომსვლია. ამიტომ ნუ ინებებთ კიდევ სისხლის დაქცევას და შევრიგდეთ. თავადებსაც, — რომლებიც ჩემთან არიან, ფიცით შემოგარიგებთ. შაჰ სეფი რომ ჩემს ასულს თინათინს მთხოვდა, ახლა იგი სრულწლოვანია და კიდევაც ვაახლებ ისფაჰანს. თქვენ ჩადექით შაჰსა და ჩემს შორის, შეგვარიგეთ, დაგვამოყვრეთ, დაგვაყენონ და დაგვაყენეთ ამ ჩემს აოხრებულ სამკვიდრო მამულშიო".

არავინ იცის, აუცრემლიანდა თუ არა ბებერი თვალი როსტომ მეფეს, მაგრამ გულში კი გულწრფელად ეამა თეიმურაზთან შერიგება და „უძლეველ კახელებთან" სასისხლო საქმის უსისხლოდ გათავება.

მაშინვე შაჰ სეფის შეატყობინა როსტომმა ყოველივე.

შაჰიც ძალიან კმაყოფილი დარჩა და წერილიც სასწრაფოდ მოსწერა როსტომს: „თქვენი შერიგება გვეამაო, კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინი დიდის პატივით გამოისტუმრეთო".

როსტომმა და თეიმურაზმა ხელი ხელს მისცეს და ბატონიშვილი თინათინი, კახელ თავადთა და როსტომის ვეზირის, აღა მოინას თანხლებით, ირანს გაგზავნეს.

შაჰ სეფიმ დიდის ზარზეიმით შეირთო ცოლად თეიმურაზის ასული, „დიდნი პატივნი მიაპყრო და მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი უბოძა". შაჰმა უხვად დააჯილდოვა თინათინის მხლებელი კახი წარჩინებულნი და როსტომის ვეზირი აღა მოინა. ხოლო სიმამრს, მეფე თეიმურაზს, „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ხალათი გამოუგზავნა. თან მოსწერა: რაც აქამლე ცოდვა ჩაგიდენია და წყენა მოგიყენებია, ყველა შეგვინდვია; ოღონდ ამიერიდან შენ და როსტომი შერიგებული იყვენით, ჩვენ ასე გვეამების და ჩვენის მხრივაც არც ერთს წყალობას არ მოგაკლებთო".

ასეთივე წერილი როსტომ მეფესაც გამოუგზავნა შაჰ სეფიმ.

ეს ისევ დიდი გამარჯვება იყო, ჯერ—ამოწყვეტილი კახელი ხალხისა, მერე — მისი ჯანდაცლილი, მაგრამ მაინც ისევ გაუტეხელი ხელმწიფისა: ირანმა ისევ სცნო კახეთის დამოუკიდებლობაც და მარად შეურიგებელი და მარად „რჯულშეუცვლელი" თეიმურაზის „დამოუკიდებელი მეფობაც".

ღიახ, როსტომმაც სცნო თეიმურაზი კახეთის მეფედ და ირანის შაჰმაც „სცნო", მაგრამ...

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თვითონ თეიმურაზ მეფე არ ცნობდა „არც გათათრებული ქართველისა" და არც „საკუთარი თათარი ხელმწიფის" მბრძანებლობას საქართველოში.

1635 წლს, როცა „შერიგებისა“ და „ურთიერთცნობის“ ხმელი ფოთლით ანთებული ცეცხლი ჯერ კიდევ ცოდვილობდა, თეიმურაზმა როსტომ მეფის დამხობის „ხელსაყრელი დრო“ იგერშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო სულთან მურად IV-ის ლაშქრობა დიდი თურქული მხედრობით ირანის წინააღმდეგ. მურადმა აიღო ერევანი, აზერბაიჯანი და ქურთისტანი.

მაშინვე თეიმურაზმა განაახლა ბრძოლა როსტომ მეფის წინააღმდეგ. მაგრამ თურქეთის შემოტევამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა თეიმურაზს. მალე შაჰ სეფიმ უკუაქცია მურად სულთანი და უკანვე დაიბრუნა აზერბაიჯანიც, ერევანიც და ქურთისტანიც.

ირანელთა შეტევის გასწვრივ, „როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი დაარბევინა. მრავალი ნაშოვარიც ჰქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმანი და ხალათი გაუგზავნა“ როსტომს ისფაჰანისკენ ძლევამოსილად მიმავალმა შაჰ სეფიმ.

ხოლო, თეიმურაზის ახალი „გამოხდომის“ ამბავი რომ შეიტყო, შაჰ სეფიმ მისი ასული თინათინი მოაშთობინა.

1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი ზავი დაიდო. ქართ-კახეთი, აზერბაიჯან-შირვანთან და ერევანთან ერთად ირანს „ერგო“, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო — თურქეთს.

ამით თეიმურაზს „თურქეთის გზით“ რაიმე სასარგებლო დახმარების იმედი სავსებით მოესპო.

1642 წელს შაჰ სეფი მოკვდა და ირანის ტახტზე დაჯდა შ ა ჰ ა ბ ა ს II (1642—1666 წწ).

ამით საქართველოსთვის არაფერი შეცვლილა: როსტომ მეფე ისევ „ძმა და მამა“ იყო ახალი შაჰისა, ისევ სამივე „სახელო“ მის ხელში რჩებოდა — ქართლის „ვალი“, ირანის ყულარაღასი და ისფაჰანის ტარუღა. ხოლო თეიმურაზ მეფე ისევ სპარსეთის დაუძინებელ მტრად დარჩა და დარჩა...

იმავე 1642 წელს ქართლის თავადებმა როსტომ მეფეს მიანიშნეს: შვილი არა გყავს და იმერელი ბატონიშვილი მამუკა გიორგის ძე იშვილეო.

მამუკა ბატონიშვილი მოხდენილი, „მამაცი, უხვი და უშურველი“ ჭაბუკი იყო. იგი ლევან დადიანს უნდოდა სიძედ, მაგრამ მამუკამ ჩხეიძის ქალი შეირთო ცოლად. ამის გამო ლევან დადიანი, ისედაც იმერეთის სამეფო სახლეულზე მტრად გადაკიდებული, საგანგებოდ გადაემტერა მამუკას და მის მოყვარე ჩხეიძეებს. ბოლოს და ბოლოს, მამუკა და მისი ორი ცოლისძმა იმერეთიდან სულ გადაიხვეწნენ და სამცხეში გადავიდნენ.

და აი, ქართლის თავადები უთვლიან როსტომ მეფეს: საქართველო აქამდე იმიტომ არ წყნარდებისო, რომ თქვენ არც შვილი გყავთ, არც ძმა და არც სხვა ახლო ნათესავნი და თქვენს ბოლოსა და გაგრძელებას ხალხი ვერა ჰხედავსო; სწორედ ამიტომ საქართველოში თქვენ ყველას დროებითი ჰგონიხართ, ასე წამდაუწუმ იშლებიან და სხვა ბატონს ეძებენო; მამუკა ბატონიშვილის სიკეთე თქვენც მოგეხსენებათო, ბაგრატიონიც არის, მეფის შვილიც და თქვენი ნათესავიც; ჩამოაყვანინეთ ახალციხიდან, იშვილეთ და თქვენც მოისვენეთ, საქართველოც მოასვენეთ და ქვეყანაც დაწყნარდებაო; თუ თქვენ და დედოფალ მარიამს ღმერთი ყრმა-შვილს მოგცემთ, მაშინ ის დაისვით ტახტის მემკვიდრედ, თუ არა და მამუკა გყავდეთ შვილად; სანამ თქვენ იქნებით, იმას სურამი უბოძეთ საუფლისწულოდ; სურამი იმერეთს ებმის და იმერეთიდანაც ხელს მოიმართავსო; თქვენს შვილად აკურთხეთ, თქვენ ღმერთმან დიდხანს გაცოხცლოსთ, ხოლო თქვენს შემდეგ მაგას ვიბატონებთო.

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ჭკვიანურად და უნაკლოდ იყო ნათქვამი.

ასედაც შეუფასებია როსტომ მეფეს. ასედაც გადაუწყვეტია, და ჩამოიყვანეს ახალციხიდან მამუკა ბატონიშვილი, ვითარცა შვილი ქართლის მეფე-დედოფლისა და მემკვიდრე სამეფო ტახტ-გვირგვინისა.

თურმე ყველაფერი როსტომ მეფის დასამხობად ყოფილა გამიზნული — უბრალოდ: როსტომი უნდა მოეკლათ და მამუკა გაემეფებინათ!

უკვე გაანდვეს მამუკა ბატონიშვილს თავადებმა თავისი განაზრახი. მამუკა უყოყმანოდ დათანხმდა.

მეფე აბანოში უნდა მოეკლათ, შიშველი და უიარაღო.

ერთ ღამეს შეთქმულებმა სამეფო აბანოში მკვლელები ჩაასაფრეს. შიშველი კაცი რომ შემოვიდა, ჩასაფრებულები მაშინვე დაეტაკნენ ხანჯლებით. იმ კაცმა ყვირილი ატეხა. შეთქმულები დაჭრილის ღრიალზე მიხვდნენ, რომ ხანჯლების ქვეშ მეფის ნაცვლად სხვა კაცი აღმოჩნდა და ისე დაფრთხნენ, დაჭრილს ხელი აღარ მოუთავეს, გაიქცნენ, მტკვარში გადაცვივდნენ და გაუჩინარდნენ.

დაჭრილი აღმოჩნდა სასახლის მსახური — მერიქიფეთუხუცესის ყმა. მეფეს მიჰგვარეს და ყოველივე მოახსენეს, რაც აბანოში მის მისვლამდე მომხდარიყო... როსტომ „მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჭკვიანი, მონახული ბატონი ბრძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა“, ამიტომ შეთქმულების გახმიანება არ მოინდომა და დაჭრილ მსახურს ხუმრობა დაუწყო — ნამდვილი „თათრული ხუმრობა“: ალბათ ვინმე ლამაზი ბიჭი შეგიმწყვდევია აბანოში, საავკაცოდ მოგინდომებია, იმ ბიჭსაც დანა შემოუცემია და ახლა მაგნაირი ტყუილები მოგიგონებია, ვითომც თავს ვიღაც შეთქმულები დაგცემოდნენო. დაზარა-

ლებულმა სიტყვის შებრუნება დააპირა, მაგრამ მეფემ აღარ მოუსმინა, გარეთ გააგდებინა და ყველას აუკრძალა ამ ამბავზე კრინტის დაძვრა. „აღარც თვითონ თქვა და არც სხვას ათქმევინა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, თვითონ მეფე ყველაფერს მიმხვდარიყო.

აბანოს ინციდენტიდან ოცმა დღემ რომ გაიარა, „მას უკან მეფემ აუჩქარებელმან“ მამუკა ბატონიშვილს ათი ათასი მარჩილი გაუგზავნა და თან წერილით შეუთვალა: ძალიან ვშიშობ, ვაითუ შაჰმა დაგიძახოს თავის კარზე და მეც იძულებით რაიმე გკადროთო; ამიტომ გირჩევთ, ისევ ახალციხეს წახვიდეთ და, რაც გაგვეწყობა აქედანაც მოგიმართავთ ხელსო.

მამუკა ბატონიშვილიც მისვდა როსტომ მეფის „კალამბურებს“ და ამჯობინა მართლაც გაესწრო ახალციხეში. მისი ცოლისძმები — ჩხეიძენი და კიდევ ბევრი წარჩინებული იმერელი ქართლში დარჩნენ ნოდარ ციციშვილის საბატონოში.

. . . . . .

თეიმურაზ კახთა მეფე კი მაინც არ ცხრებოდა; არც ქართლის თავადები აძლევდნენ „დაცხრომის საშუალებას“.

1642 წელს როსტომ მეფის დასამხობად თეიმურაზის გარშემო შეიყარნენ და შეითქვნენ: ზაალ არაგვის ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი (გიორგი სააკაძის მოსისხლის, ფარსადან ციციშვილის ძე), კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (რომლის ძმის ასული ელენე ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ძეს, დათუნას), გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, ქაიხოსრო ბარათაშვილი, ივანე და ზურაბ სააკაძეები (დიდი მოურავის ვაჟები), ლარგველი ერისთვიშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზ-ბეგი.

„თეიმურაზელთა ბანაკი“ ამჯერად დიახაც მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მისი მოთავენი მაინც მოქმედებდნენ დაფანტულად, ცალკეულად და კერძოულად.

ერთ დღეს გიორგი სააკაძის ვაჟმა, იორამმა (რომელიც ძმების კვალს არ გაჰყოლია და როსტომ მეფის ერთგულებისათვის არ უღალატნია) როსტომს შეატყობინა: ნოდარ ციციშვილი ხოვლეს მოსულა ჯარით და დანარჩენ შეთქმულებსაც უცდის, რათა შეერთებულად წამოვიდეს შენს წინააღმდეგო.

როსტომმა სასწრაფოდ ტფილისის ციხიონი გამოიყვანა და მცხოვრებლებსაც სალაშქროდ „გაუძახა“, ვისაც ცხენი ჰყავდა და ლაშქრობას თავს აარიდებდა, ყველას თავის მოკვეთით დაემუქრა. სწრაფი ჭენებით წაიყვანა ჯარი ხოვლეში.

სისხამი დილა იყო. როსტომმა ცხენი გამოიცვალა და დანარჩენებსაც ეს უბრძანა: ცხენებს მოსართავები გაუსინჯეთ და იარაღიც მოვარგეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ბოქაულთუხუცესმა მეფეს ურჩია: მტერს მძინარეს დავეცეთ და მძინარენი ამოვწყვიტოთო.

მაგნაირი მუხანათობა რა ქართველი კაცის საკადრისიაო, სთქვა „თათრის იარლიყიანმა" მეფემ; დაე, ღმერთმა გაჭრას სამართალიო; მე ნოდარ ციციშვილი შაჰს გამოვგლიჯე ხელიდანო; მერე მამამისი ფარსადანი ქრთამს მაძლევდა, ოღონდაც მისი მამულები ბოროტი შვილისთვის კი არა, არამედ შვილიშვილის, პაპუნასთვის დამემტკიცებინა. ესეც არ ვიკადრე და ის მამულები უქრთამოდ მაინც ნოდარს დავუმტკიცე. ახლა ამნაირი კაცი მღალატობს და, მოდით, ერთი ღმერთის სამართალიც გავსინჯოთო.

თქვა და საომარ ბუკთა და ნაღარათა დაცემა ბრძანა.

წამოიშალა ნოდარ ციციშვილის ბანაკი, საყვირთა ღრიალზე.

„შეიქნა შუბთა ძგერება და ხმალთა ელვარება, ლახტების ჯახაჯუხა, მუზარადთა ხეთქინება".

ნოდარ ციციშვილი გაექცა ბრძოლას.

იმერელმა ჩხეიძეებმა არ იკადრეს გაქცევა. შემობრუნდნენ და შეიმოებნენ როსტომ მეფის მეწინავეებს. რამდენიმე ყიზილბაში კიდევაც ჩამოჰყარეს ცხენებიდან.

მაგრამ მიუხტათ იორამ სააკაძე და ორივე ძმანი ჩხეიძენი დაანარცხა მიწაზე, ორივეს მხარ-მკლავი გაუკრა და ისე მიართვა თავის მწყალობელ როსტომ მეფეს.

ნოდარ ციციშვილმა ატენის ციხეს შეაფარა თავი. როსტომმა ალყა შემოარტყა. ნოდარმა გაქცევა მოახერხა და ახლა წორკეთის ციხეში ჩაიკეტა. ატენის ციხე მოთხარა მეფემ.

ცხირეთს მივიდა და დადგა როსტომ მეფე. აქ დედოფალი მარიამ მიიწვია და ისიც მივიდა.

კათალიკოსი ევდემონ დიასამიძეც ეწვია როსტომს (მან ჯერ არ იცოდა, რომ კათალიკოსი თეიმურაზის ბანაკში ირიცხებოდა).

ტყვეები მოიყვანეს მეფის წინაშე, მხარგაკრულნი.

უწინარესად ძმანი ჩხეიძენი და მათი იმერელი მხლებელნი ამოარჩია მეფემ და ბრძანა: ეს ტყვეები კი არა, ჩვენი სტუმრები არიან და გორში ჩაიყვანეთ, ტანსაცმელი დაუცვალეთ, დაასაჩუქრეთ და დაასვენეთო.

მერე — ნოდარ ციციშვილის ქვეშევრდომთა დევნასაც თავი დაანებეთო. ამას გარდა, ვინც კი ბრძოლაში თავი გამოიჩინა, „ყველაკას ხალათი და საჯილდოთ მამული ებოძოსო".

თურმე თეიმურაზ მეფე მოჰქროდა დანარჩენ შეთქმულთა თანხლებით,

მაგრამ ნოდარ ციციშვილის მარცხის ამბავი რომ შეუტყვია, უკანვე გაბრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსმა ევდემონმა იდუმალ შეუთვალა თეიმურაზს: „ნოდარ ციციშვილის გაქცევისათვის საქმეს რატომ წაახდენ, რატომ გაბრუნდი და არ მოხველიო? მოდი, ნოდარ აყოვნებ და როსტომ-ხანი შენს ხელთ იქნებისო!..“

მუხრანს შედგა თეიმურაზის ბანაკი.

აქაც მოვიდა კათალიკოსის საიდუმლო შათირი.

„ნოდარ ჰყოვნითო, მოდით, და რაც ვინდა გაქნევინებო“, უთვლიდა ქრისტიანთა მწყემსი „ქრისტიანთა იმედს“.

აიყარა და წავიდა თაიმურაზი.

მაგრამ დაასწრო ვახტანგ მუხრან-ბატონმა. წინა ღამით თვითონ აურინა კაცი ცხირეთს და როსტომ მეფეს შეუთვალა: თეიმურაზ მეფე მუხრანს იდგა, ჩემს მამულშიო; ახლა ცხირეთისკენ მოეშურება შეთქმულთა ჯარითო.

სომხითის მელიქიც, ყორხმაზ-ბეგი მოღალატე გამოდგა; სწორედ მაშინ როსტომ მეფეს ეახლა და თეიმურაზის თანაშეთქმულნი სუყველა დაუსახელა.

სწრაფად ამოქმედდა როსტომ მეფე. შეიპყრო კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე. წინასწარ დედოფალი მარიამი გორის ციხეში თავშესაფარებლად გაგზავნა და თვითონაც გორისაკენ გაუყვა საომარი წყობით.

თეიმურაზმა გორის გზიდან გადაუხვია და უფლისციხეში ჩაიკეტა. როცა გაიგო, როსტომ მეფე გორის ციხეში ჩამკვიდრებულაო, უფლისციხიდანაც აიყარა და კახეთისაკენ გაუტია. გზაზედ ვახტანგ მუხრან-ბატონი დახვდა და „უყო დიდი ზიანი“.

ასე, დამარცხებულმა თეიმურაზმა კახეთს ჩააღწია.

როსტომ მეფემ ვორიდან ზარბაზნები გაიყოლია და გაეშურა ზოვრეთისაკენ, სადაც მაშინ თავს აფარებდა ნოდარ ციციშვილი.

ზარბაზნებმა ზოვრეთ-ციხის ქვადულაბიან კედლებს ვერაფერი დაიკლო. ალყა გაჭიანურდა. ჯარში ხმა დაირხა — თურმე თეიმურაზ მეფე აპირებს მოეშველოს ალყაში მოქცეულებსო. ამაზე როსტომ მეფემ სთქვა: თეიმურაზი კი არა, ხონთქარიც რომ მოეშველოს, ისიც ვერ დამწიწკნის ხელიდან ნოდარ ციციშვილსო. დაფიცებული ჰქონდა მეფეს — სამაგალითოდ დაესაჯა ციციშვილი.

ზოვრეთის ციხე კი ისევ მაგრად იდგა. ერთ დღეს ნოდარ ციციშვილმა შეიტყო, რომ მისი ქვეშევრდომები ციხის ჩაბარებას აპირებდნენ. შეიტყო, მაგრამ ვერ კი მიაგნო შეთქმულთა ვინაობას.

შავ დღეში ჩავარდნილმა თავადმა გადაწყვიტა მოლაპარაკება გაემართა როსტომ მეფესთან. ესეც იცოდა, რომ გაავებული მეფე არავის

მიიღებდა სამოციქულოდ. მაგრამ რაკი მაინც სხვა გზა არ ჰქონდა, „ყოველი შემთხვევისთვის“ გაგზავნა შუამავალი როსტომთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი დედა გაგზავნა, — ერთიც არის და, სცეს პატივი ქალსა და დედას როსტომ მეფემო, იფიქრა ნოდარმა.

გაგზავნა და დააბარა: სიცოცხლე მაჩუქოს და გზა მომცეს, ახალციხეს გადავიხვეწები და უკან არასდროს მოვბრუნდებიო.

გასჭრა ციციშვილის ვარაუდმა: როსტომმა დიდის პატივითა და თაყვანისცემით მიიღო ქალი. გულდასმით მოუსმინა სათხოვარი. ძალიან კარგად სცოდნია როსტომ მეფეს: „საქართველოში ძველით წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირვებიათ, შესახვეწრად ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და ოავაღნი პატივს დასდებდიან“ (ალბათ, თამარ მეფის დიპლომატი ქალებიც გაიხსენა — კრავაი ჯაყელი და ხვაშაქი ცოქალი).

შეიწყნარა როსტომ მეფემ დედის თხოვნა და „ფეშქაშიც მიართვა“, მისი შვილის —უვნებლობის საფიცარიც მისცა“, ახალციხემდე ცხენებიც და ჯორებიც ათხოვა ქონების გადასატანად.

მეფესთან შეხვედრა ითხოვა მისი „დიდსულოვნებით გულაჩუყებულნა“ ნოდარ ციციშვილმა, მაგრამ მკაცრი უარი ბრძანა როსტომმა: წავიდეს, დაიკარგოს, თვალით არ დამენახოსო.

ნოდარ ციციშვილმა ახალციხისკენ გაუტია.

დანარჩენ შეთქმულებს მიადგა როსტომ მეფე.

კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე ჯერ ნარიყალას ციხეში ამყოფა, ბერე ჯალათი შეუგზავნა; დაახრჩობინა და ციხიდან გადააგდებინა.

ქაიხოსრო ბარათაშვილი ღამით ციხის უმაღლესი გოდოლიდან გადააჩეხვინა და ხმა გაავრცელებინა: დამთვრალა და თვითონ გადავარდნილა „მაგ უბედურიო“.

ზურაბ სააკაძესა და გიორგი გოჩაშვილს თვალები დათხარა.

ივანე სააკაძემ, რევაზ ბარათაშვილმა და ლარგველმა ერისთვიშვილმა მამულები მეფეს შეატოვეს და თვითონ სიკვდილს ფეხზე გაასწრეს და კახეთს გადაიკარგნენ.

იოთამ ამილახორი შეიპყრო და ისე სცემა, სულ სისხლი აფურთხებინა. სიკვდილით კი დაზოგა, რადგან იოთამი უკვე აღარ ბრძანდებოდა „პრინციპული თეიმურაზელი“. იგი „იყო ჟამთა მჭვრეტი, ჟამ იყვის ბატონ თეიმურაზთანა, ჟამ როსტომის წინაშე“. ამნაირ მიეთ-მოეთ კაცს ყოველთვის „ორივე მხრიდან“ სცემენ ხოლმე და ამჯერად როსტომ მეფისგან მოხვდა მოსახვედრელი კაცსა უმდგრადსა.

მოკლული ევდემონ დიასამიძის ადგილზე ქართლის კათალიკოსად როსტომ მეფემ ეპისკოპოსებს აარჩევინა „ყოვლითავე საქართველოსა მღვდელთმთავართა და სამღვდელოთა დასთა“ სასურველი ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი — „კაცი მოყვარე სიმართლისა, მშვიდი, მდაბალი გულ-

ტკბილი, ყოველთათვის მოწყალე, სიწმინდის მოყვარე, სახიერ შუენიერ და ღირს ხარისხ-მპყრობელობისა თვისისა, კუალად აღზრდილი და გამოცდილი საეროსა სამამაცოსა ლაშქარ-ნადირობასა შინა, ეგრეთვე ჰქონდა გამოცდილება წერილთა, მცირედ ოდენ წურთილ-იყო. ხოლო განაგებდა კეთილად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა"...

მერე, შემოიყარა „თათრული ილღარი" (ლაშქარი) და ქართული ჯარი როსტომ მეფემ და კახეთისაკენ გაქუსლა.

თეიმურაზი მაშინ მაღაროს იღგა. მიუხტა როსტომი, მაგრამ თეიმურაზმა ვიწრობებში უსაფრა კახელი მეომრები და ქვა და ტყვია დააყარა ცალფა მწკრივებად მომავალ მტერს.

„ვერღარა დაუდგა როსტომ მეფე, გაიქცა და წარვიდა ტფილისს".

თეიმურაზმა გამოდევნებაზე ხელი აიღო და მტრის დანატოვარი ნადავლი აიკრიფა...

როსტომმა თეიმურაზ მეფის განდგომის, ქართველ თავადთა აჯანყებისა და მათი დამარცხების ამბავი დაწვრილებით მისწერა ირანის მბრძანებელს.

თან ესეც შეუთვალა საგანგებოდ როსტომმა შაჰ აბას II-ს: ქართველები ამდენ ამბავს იმიტომ მიბედავენ, რომ მემკვიდრე არა მყავს და დროებითად, ფესამოკვეთილ კაცად მთვლიანო. სანამ მემკვიდრე არ მეყოლება, ასე ბრძოლას, ურჩობასა და ავკაცობას არ მომიშლიანო. ამიტომ გეაჯები, მანდ თქვენს კარზე რომ ჩემი ბიძაშვილია, ლუარსაბ თეიმურაზის ძე, ის გამომიგზავნე ქართლის ტახტის მემკვიდრედო.

(გავიხსენოთ: მეფე ლუარსაბ პირველს სამი ვაჟი ჰყავდა — სეიმონ I, დავითი, ანუ იგივე დაუდ-ხან და ვახტანგი. ვახტანგის ძე თეიმურაზი სპარსეთში ცხოვრობდა. სწორედ ამ თეიმურაზის ძე იყო ლუარსაბი, რომელსაც ახლა როსტომ მეფე მემკვიდრედ ირჩევდა)...

...და აი, 1643 წელს დიდძალი ყიზილბაშური ლაშქარი შემოვიდა საქართველოში.

ირანულ მხედრობას სათავეში ისევ გათათრებული ქართველი ედგა — ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ მეფის დისწული.

ადამ სულთანს როსტომის „მემკვიდრეც" მოჰყვებოდა გვერდით — ლუარსაბ თეიმურაზის ძე.

სპარსელთა მხედრობა ტფილისთან დაბანაკდა.

ადამ სულთან ანდრონიკაშვილმა როსტომ მეფეს (ანუ ბიძას) შაჰისგან გამოგზავნილი ძვირფასი ძღვენი მიართვა — მშვენიერი ხალათი, თაჯი, მურასა ხმალი და ოქროთი დარახტული ბედაური.

ლუარსაბ ბატონიშვილი წარუდგა მეფეს. შვილი მთხოვე და შვილად გამოვიგზავნეო — უთვლიდა შაჰი — ქართველებისთვისაც ასე გვიბრძანებია, რომ ლუარსაბ-მირზა თქვენს შვილად და უფლისწულად მიაჩნდეთ და „თქვენს უკან მეფობაც მაგისთვის მიგვიცემიაო".

მერე, ქართველთა ურჩობისა და აჯანყების გამო სწერდა „ამწყალი" შაჰი: ვინც ამიერიდან როსტომ-ხანის ურჩი და მაწყინარი იქნეს, ყველა ოთხში („შვიდან") ამოიღონო. რაც შეეხება თეიმურაზ მეფეს, ეგეც სასწრაფოდ გააძევეთ და კახეთი საბატონოდ ადამ სულთანს ანდრონიკაშვილს ჩააბარეთო.

დიდძალი მხედრობა — სპარსეთიდან ახლად მოსულიც და დამხვდურიც — იკაზმებოდა კახეთს სალაშქროდ.

„თეიმურაზელებმა" დიდი, დამანგრეველი საფრთხე შეიცნეს. მიხვდნენ, რომ ხმლით და სიმამაცით სიკვდილის მეტს ვერაფერს მოიხვეჭდნენ და სახიფათო კვანძის ჩასაკვეთად ხმალი ისევ ქალს მისცეს.

აკი უკვე ცნობილი გამხდარიყო როსტომ მეფის „სისუსტე" — უაღრესი პატივისცემა, კრძალვა, მოწიწება და თაყვანისცემა ქართველი ქალისადმი.

და „თეიმურაზელებმა" როსტომ მეფესთან შუამავლად მიინიშნეს ბრწყინვალე ქართველი მანდილოსანი — ა ნ ა ხ ა ნ უ მ.

იგი იყო დაი ნოდარ ციციშვილისა და სიდედრი ზაალ არაგვის ერისთავისა.

მივიდა ანახანუმ როსტომ მეფესთან.

ისევ ჩააგო სისხლის საღვრელად აღმოხდენილი ხმალი როსტომ მეფემ.

შეუნდო ყველას — თეიმურაზსაც და „თეიმურაზელებსაც".

ირანელთა ჯარი ირანს გაბრუნდა.

თეიმურაზი კახეთის მეფედ დარჩა.

ნოდარ ციციშვილი ახალციხიდან დაბრუნდა და მისი საციციანო დაიბრუნა.

ზაალ ერისთავიც შენდობილ იქნა, ოღონდ, იოთამ ამილახორთან ერთად, ირანს უნდა წასულიყო და შაჰს სწვეოდა „ფეხზე საკოცნელად".

საოცარი იყო სწორედ: ირანის შაჰმა ლაშქარი გამოგზავნა, ქრისტიანი თეიმურაზის განდევნა და მის ადგილზე მაჰმადიანი მოხელის, ადამ სულთან ანდრონიკაშვილის დანიშვნა ბრძანა და როსტომ მეფემ ყველაფერი ეს არაფრად ჩააგდო: ირანელთა ლაშქარიც ხმალამოუღებლად უკან გააბრუნა, ადამ სულთანიც კუდამოძუებული გაუშვა, თეიმურაზიც თავის „მშობლიური კახეთის" ტახტზე დატოვა და „თეიმურაზელი" ქართველი თავადებიც დიდსულოვნურად შეიწყალა!

მართლაც განუზომლად დიდი გავლენა ჰქონია როსტომ მეფეს სპარსეთის უზენაეს კარზე!..

. . . . . .

როსტომ მეფისგან ტახტის შემკვიდრედ აყვანილი ლუარსაბი მაინცდამაინც ჭკუადამჯდარი კაცი არ აღმოჩნდა. „იყო სულელ და ხელ და

აღტაცებული ვონებითა, რომელი არა შვენის ძეთა მეფისა საქართველოსათა". როსტომს მაინც ძალიან უყვარდა თავისი შვილობილი და საგანგებო მწვრთნელებისა და აღმზრდელების დახმარებით თავადმოდებული ზრდიდა და ამზადებდა „ქართლის მომავალ მეფეს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქართლის სასახლის კარზე კიდევ იყო ერთი „ყმაწვილი კაცი", რომელსაც როსტომი „თავისთვის შვილად ზრდიდა".

ეს იყო გერი, მარიამ დედოფლის ძე, პირველი ქორწინებით სვიმონ გურიელისაგან.

მისი სახელი იყო ო ტ ი ა, — ძალზე მომხიბლავი ჭაბუკი, სახიერი და ზროტანოვანი, ზრდილი, ჭკვიანი, მამაცი.

ახლად დაქორწინებულიც იყო ოტია. ცოლად შეერთო ზაალ არაგვის ერისთავის ასული.

და ოტია მოკვდა უეცრად, გორის სასახლეში დგომის ჟამს. უმძიმესი გლოვით შეხვდა მეფის სახლეული ოტიას სიკვდილს. საზღვარი არ ჰქონდა დედის მწუხარებას. იჯდა დედოფალი მარიამი, ქალთაგან უმშვენიერესი, თვითონ „მკვდარს მიმსგავსებული, სახე დახეული, თმა დაგლეჯილი, შვენება შეშლილი, ტანისამოს სისხლით გასვრილი, მიწაზედ მჯდომი, ღონე იმედ დაკარგული".

თორმეტი დღე-ღამე განუწყვეტელი ზარი და ზუნი იდგა სასახლეში. სრულიად ქართლი და სამეგრელო აღძრულიყო საგლოველად და მეფედედოფლის სამძიმარყოფად და მისატირებლად. დილიდან გვიან მწუხრამდე გრძელდებოდა მიტირება. მოდიოდნენ და ჯერ „შვენება შეშლილს ბატონ დედოფალს მიუტირიან, მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათ მხლებლებსა, მერმე მეფესა და ჭირისუფლებსა, თავადთა და აზნაურთა და მსახურთა და მოხელეთა. მერე ცხედარსა მიუტირებდნენ და გარდასაბურავს გარდაჰფენდიან. ამას უკან იარაღსა და მორთულობასა, ტანისამოსსა, მურასა გვირგვინსა და ჯიღასა და ხმალსა და ხანჯარსა, მუზარათსა და ჯაჭვსა და ხელნავებსა და ცხენსა და მის შეკაზმულობასა, ყოველს ნიშანს ცალცალკე მიუტირებდნენ და ერთს წელიწადსაც არ გათავდებოდა" (თუ ასე გაგრძელდებოდა).

ამიტომ როსტომმა ბრძანა, ვინც აქ ვერ მოასწროს, გზაზე და იქ, მცხეთას მოგვიტირონო. და თორმეტი დღის ვაიუშველებელის შემდგომ გორიდან მცხეთას გაუდგა სამგლოვიარო პროცესია.

ორ კუბოს მიასვენებდნენ.

პირველში — ოქროცურვილში — ოტია ესვენა.

მეორეში -წნელით დაწნულში — მარიამ დედოფალი, „ვითაც მკვდარი", შავ ზეწარ „გარდაბურული".

მცხეთას, მეფეთა საძვალეში დაკრძალეს ოტია.

ორმოცი დღის მანძილზე სააღაპე სუფრა არ ალაგებულა მცხეთასა და ტფილისში. ყოველივე ქრისტიანული წესით და რიგით გაარიგა როს-

ტომ მეფემ. ორმოცი დღე-ღამე წყალზე და უმარილო ქერის პურზე იდგა დედოფალი მარიამი. შვილის ქონება ზოგი იერუსალიმს გაგზავნა, ზოგი ქართლის ტაძრებსა და საყრდებს შესწირა. ქვემო ქართლის „დარბაზის სოფელი“ სვეტიცხოველს მიუძღვნა შვილის სულის მოსახსენებლად. როგორც იქნა, მარიამი „ტირილით საფლავს გამოეყარა და ქალაქს ჩაბრძანდა“.

ტირილი და მისატირი ისევ გრძელდებოდა. „მოქალაქენი შეიყარნენ, კარს მოდგნენ, შეწევნისა და შეძლების ღონით გარდასაბურავნი მიართვეს და სამძიმარი მოახსენეს. ამათნი ჯალაბნი თვითოს დღეს თვითოს ლბნისანი მივიდიან და მიუტირებდნენ“. ოტიას დატირება უამრავი ფული დაჯდა. როსტომ მეფეს არავისგან, არც ცალკე კაცისაგან და არცა „თემისაგან“ „ერთი შაურიც არ აუღია“ — სულ თავისი პირადი სალაროდან გაიღო.

ერთადერთ შვილზე გამწარებულ მარიამ დედოფალს ოცი წელიწადი არც შავი გაუხდია, არც სახსნილო რამ გაუკარებია.

. . . . . .

ზაალ არაგვის ერისთავი, სიძის დაკრძალვის შემდგომ, ირანს უნდა წასულიყო შაჰ აბას II-ის წინაშე სათაყვანოდ.

მასთან იოთამ ამილახორიც მიდიოდა შაჰის „ფერხთა საკოცნელად“. აკი ასეთი იყო როსტომ მეფესთან „შერიგების“ გარდუვალი პირობა.

ერთად ადგნენ ახლა ირანის ღველფიან გზაზე ეს ზვიადი ქართველი თავადნი, აქამდე ერთმანეთის მოქიშპენი და მომტერენი.

წინ როსტომ მეფის სუფრაჯი ჰამზა-ბეგი მიუძღოდათ

გზებზედ ყველგან დიდის ამბით ხვდებოდნენ, ვითარცა „დიდი როსტომ-ხანის“ წარგზავნილებს. „ყველგან სამასპინძლო მზათ დაახვედრეს და საცა გზის პირს ხანი და სულთანი იყვნენ, წინ მიეგებნენ და თავისას ჩამოახდუნეს; კარგად ისტუმრეს, ლხინი აჩვენეს და საჩუქარი მოართვეს და გაისტუმრეს და რასაც ქალაქში მივიდნენ, ქალაქის თავნი კაცნი წინ მიეგებნეს და კარგადაც დახვდნენ“.

მერე გამოეგებათ თვითონ ყასემ-ბეგი, როსტომ მეფის მოადგილეანაიბი, რომელიც სწორედ როსტომის სახელით ასრულებდა ისფაჰანის ტარუღას მოვალეობას.

როსტომ მეფის ყმები — ყასემ-ბეგი და ჰამზა-ბეგი — ბიძაშვილებიც იყვნენ და დიდის ამბით შეეგებნენ ერთმანეთს.

ისფაჰანისკენ მიდიოდნენ და ღღეში სამჯერ ბარხანა (მაცნე) ვამოეგებებოდა და გაჰკიოდა ხალხის სასმინარად: დიდი როსტომ-ხანის ქვეშევრდომნი გურჯი თავადები მოდიან და ყველანი პატივით შეეგებეთო.

ისფაჰანს რომ ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ, შაჰმა მაშინვე თავისი ეთიმადოვლე (დიდვეზირი) მირზა თაყი გამოგზავნა ქართველებთან შესახვედრად. თან ეს დაებარებინა ხელმწიფეს: ყოველივე ეს ჯარი უწყვეთ, მოემსახურეთ და უმასპინძლეთ, როგორც მაგათი ქართული წესი და რიგი მოითხოვდესო. მირზა თაყიმ ყულის ჯარი შეჰყარა, რჩეული სპარსელი სარდლები ჯარის წინ გაამწკრივა, მათ წინ კიდევ სპარსეთს მყოფი ქართველი თავადაზნაურობა ჩაასილაღა, აღლუმის უფროსად ადამ სულთან ანდრონიკაშვილი უჩინა და ასე შეეგება ირანის საატახტოს კარიბჭესთან გურჯისტანიდან მომავალ გურჯებს.

ერისთავი და ამილახორი დარიგებული იყვნენ „აქაურ წესებზე" — სწრაფად დაქვეითდნენ და ეამბორნენ ისფაჰანის კარიბჭეს.

რვა დღეს „ხოჯა საფარას სასახლეში ჩამოახტუნეს" ქართველი სტუმრები, „რვა დღეს ყაენის სახლით ოქროს ჭურჭლებითა და დამზადებული სადილ-ვახშამი მოუვიდის". ყოველდღიურად შვიდ თუმან ოქროსა და სამოც ლიტრა ღვინოს მიართმევდნენ ცალკეულად ზაალსა და იოთამს.

ამას გარდა, ორივენი საგანგებო „ლხინში იყვნეს, ხან აწვევდნენ და ხან ეწვეოდნენ მეყვისთა და მეცნიერთა".

მერე ერთბაშად „ხემწიფემ სამასი თუმანი თეთრი და ფარჩა ერისთავს მოსცეს და ასრევე ამილახორს მოსცეს".

ბოლოს ქართველთა მისაღები მეჯლისიც დანიშნა შაჰ აბას II-მ. შევიდნენ ერისთავი და ამილახორი, დაემხნენ და დაუკოცნეს ფეხები სპარსეთის მბრძანებელს.

(ამად ჰლირდა ყველა ის პატივისცემა, რაიც აქამდე მიეღოთ სპარსელთაგან ამ ქართველ „მამულიშვილებს"!).

ტკბილად გამოჰკითხა შაჰმა როსტომ მეფის ცხოვრების ამბები „ძვირფას სტუმრებს" და ამათაც „დიდი ქება მოახსენეს" როსტომ მეფისა.

„ტკბილი საუბარი" რომ დამთავრდა, შაჰმა ზაალს და იოთამს — „ორთავეს ქართული ჩოგანი ათამაშა და ორთავეს ოქროთი შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა".

ამას ზაალ ერისთავისა და იოთამ ამილახორის „გათათრება" მოჰყვა.

ასეთი „მცირე რაიმეს" სამაგიეროდ ირანის ხელმწიფემ ახალი დიდი პატივი მიაგო უკვე გათათრებულ ქართველებს: თითოეულ მათგანს ყოველ წლიურ ჯამაგირად ას-ასი თუმანი დაუნიშნა.

იმ დღეს როსტომ მეფის ჩაფარიც მოიჭრა საქართველოდან. როსტომი უთვლიდა შაჰ აბას II-ს: ერისთავი და ამილახორი, რაც შეიძლება, მალე გამომიგზავნე საქართველოშიო.

შაჰმაც მაშინვე აღასრულა როსტომ მეფის „მოთხოვნა".

ჭეშმარიტად, ორივეს დიდი ფასი ჰქონდა ირანის სახელმწიფო კარზე: როსტომ მეფის სიტყვასაც და... ქართველობის ღალატსაც!..

...მაგრამ ზაალ ერისთავისა და იოთამ ამილახორის გამოსტუმრება ერთი მოულოდნელი და ფრიად საშფოთარი ამბის გამო ისე იოლად ვეღარ მოხერხდა.

ისფაჰანის სასახლის კარზე ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.

ყორჩიბაშ (ცხენოსანთა ჯარის სარდალ) ჯ ა ნ ი-ხ ა ნ ს თურმე უმაღლეს სამხედრო მეთაურთა შეთქმულება ჰქონია გაწყობილი. ქართველებთან შაჰის შეხვედრის მეორე დღეს, დილით, ჯანი-ხანი ხანჯლით შეხტომია ნამაზად მდგარ დიდვეზირ მირზა თაყის, ყელი ღორივით გამოუჭრია და მის ნაცვლად ეთიმადოვლედ „თავისი კაცი" ხალიფასულთანი გამოუცხადებია. ყველაფერი ეს შაჰის დაუკითხავად მომხდარა. ისედაც, ჯანი-ხანს ყმაწვილი შაჰის უფრო ნაკლებად ეშინოდა, ვიდრე მისი ბებიისა.

შაჰის ბებია კი ქართველი ქალი იყო — ჭკვიანი, მტკიცე ნებისა და ხასიათის ადამიანი. ჯანი-ხანიც სწორედ ამ ქალის მოკვლით აპირებდა სასახლისა და სახელმწიფო ინსიგნიების ხელში ჩაგდებას.

მაგრამ დაასწრო შაჰის ბებიამ. ორი კაცი გამოიძახა სასწრაფოდ — ს ი ა ო შ-ხ ა ნ ი და მ ურ თ უ ზ ა-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი, ორივე გათათრებული ქართველი. სიაოშ-ხანი როსტომ მეფის მოადგილე იყო და ყულის ჯარს მეთაურობდა. „შენ ჯერ ყულარაღასობა იკმარეო", უთხრა მას შაჰის ბებიამ, მერე მურთუზა-ყული-ხანს ქოჰქილუს ბეგლარბეგობა შეჰპირდა და მაშინვე საამისო რაყამიც უბოძა. ბოლოს ეს უთხრა ქალმა ორივე სარდალს: რა იქნა თქვენი ვაჟკაცობა, სად დაიკარგა თქვენი ერთგულება, ისე რომ ეფიცებოდით ჩემს ოჯახსა და სახელმწიფო ტახტს?! ვიღაც ჯანი-ხანი თვისის ნებით ჰკლავს ჩვენს ეთიმადოვლეს, თქვენ კი თითქოს არაფერიც არ გაგიგონიათ და ასეთი კადნიერება არაფრადაც არ ჩაგიგდიათ. განა არ იცით, რომ დღეს თუ ხვალ თქვენც დაგხოცავენ, მერე შვილსაც მომიკლავენ და თვითონ გახელმწიფდებიან? ახლა ეს იცოდეთ, — თუ მართლა ჩვენი ერთგულები ხართ, ამაღამ ყულის ჯარი მოიყვანეთ, სასახლეში ჩაასაფრეთ და დილას რომ ჯანი-ხანი თავისი ხალხით ქეშიკში მოვა, წაუშინეთ და ყველანი ამოწყვიტეთო!

დილით მართლაც ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც შაჰის ბებიამ ბრძანა. მურთუზა-ყული-ხანი ჯანი-ხანს დაეტაკა, „შე ხაინო (მოღალატე) და მუხანათო, ხელმწიფის ეთიმადოვლე რატომ მოჰკალიო?!" — შესძახა და წამსვე ხანჯალი გაურია მუცელში.

სიაოშ-ხანმა და მისმა „ყულებმაც" წაიკრეს ხმლებზე ხელი და წუთში ჩვიდმეტი შეთქმული ხანი და სულთანი სულგავარდნილი დაუშვეს მიწას.

დახოცილები მეიდანზე თრევით მიიტანეს და ყაბახის ძირში დაყარეს. მათი ცოლ-შვილი მოთხარეს და ქონება შაჰის ხაზინას ჩააბარეს.

იმ დღესვე ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახორი — ამ „ქალაქებიანი სანახაობის“ შემდგომ — სპარსელებმა „მორჭმითა და მრავლის ბოძებით გამოისტუმრეს“. ზაალ ერისთავს კიდევ უბოძეს ხუთასი თუმნის თეთრი და ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი, თხუთმეტი სოფელი ყაზმინის სიახლოვეს“. ასევე დააჯილდოვეს იოთამ ამილახორი.

გამომშვიდობებისას, — როცა ზაალმა და იოთამმა შაჰის ფეხების კოცნა მოითავეს — ხელმწიფემ ორთავეს ეს უბრძანა: „რასაც როსტომ მეფეს აამებთ და ერთგულად ემსახურებით, ჩვენც გვეამების და იმისის მოწერილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებისთ; ისრევე, იმისი მოწერილობით ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო“.

ძალიან ნათლად და გასაგებად იყო ნათქვამი...

როსტომ მეფისთვის კიდევ ცალკე ძვირფასი ხალათი და ოქროს მოკაზმულობით დარატხული ბედაური გამოატანა შაჰმა ზაალსა და იოთამს.

. . . . . .

ჭეშმარიტად: ორივეს დიდი ფასი ედო ირანის სასახლის კარზე — როსტომ მეფის სიტყვასაც და... ქართველთაგან ქართულობის ღალატსაც...

. . . . . .

როსტომ მეფე ამალით ტფილისს გარეთ შეხვდა ირანიდან მობრუნებულებს.

მეფე რომ ცხენით მომავალი იხილეს, ზაალი და იოთამი ცხენებიდან გადმოცვივდნენ, „დიდი გზა ფეხდაფეხ წაიარეს და მეფეს ცხენს მჯდომს ავეანდას აკოცეს“.

გადმოხტა ცხენიდან როსტომი, შაჰის გამოგზავნილი ხალათი ჩაიცვა და „დიდის სიმხიარულითა და შადლუხის ქნით შებრძანდა ქალაქში“.

ათი-თორმეტი დღე თავის სასახლეში იყოლია ერისთავი და ამილახორი როსტომ მეფემ, „თავის ყაიდაზე“ — ყიზილბაშურად ალხინა, აქეიფა და ამრუშა ორივენი. ახლა გეყოფათო, უთხრა ბოლოს მეფემ უკვე „ყიზილბაშ გურჯებს“, გზისაგან გარჯილი ხართო, შინაც გელოდებიანო; წადით და ამ ზამთარს თქვენთან შეექეციოთ.

. . . . . .

ზაალ ერთისთავის ღალატი რომ შეიტყო, თეიმურაზ მეფემ თქვა: ზაალ ერისთავი როცა როსტომ მეფეს გადაუდგა და მე მომემხრო, ქარ-

თლში დაკარგული მამულების სამაგიეროდ მე კახეთში მიეცი მამულები; ახლა ისევ ძველ ბატონს დაუბრუნებია ზაალ ერისთავი, ქართლის მამულებსაც ისევ ამოიგებს, ირანის შაჰისგანაც თურმე ნამეტანი უსამართლობა დამართნიაო; ვაითუ საერთოდ დაემართოსო. ეს თქვა და წავართვა თეიმურაზმა არაგვის ერისთავს კახეთში ბოძებული მიწები.

ზაალ ერისთავი ტფილისში ოჯახით ჩამოვიდა და როსტომ მეფესთან იჩივილა: თეიმურაზმა მამულები ჩამომართვაო.

როსტომმა ამნაირ „პატიოსან საჩივარს" ეს უპასუხა: ბატონი თეიმურაზის სამკვიდრო მამულში მე რა ხელი მაქვსო, იმან თავისი საკუთარი წაგართვა, მაგრამ მე შენთვის სამაგიერო მომიცია და სჯობია გაჩუმდეო.

. . . . . .

რევაზ ბარათაშვილი და როინ ჯავახიშვილი სიძე-ცოლისძმა იყვნენ. ერთ დღეს როინ ჯავახიშვილი იმერეთისკენ მიმავალ სიძეს დაესხა, შეიპყრო და როსტომ მეფეს მიჰგვარა. რევაზი გაჩხრიკეს და თეიმურაზ მეფის საიდუმლო წერილები აღმოუჩინეს — იმერეთის მეფისადმი მიწერილნი.

— ამდენ ხანს მიპატიებია და ახლა კი ველარ გაპატიებ, — თქვა როსტომმა და იქვე, მისი ბრძანებით, ჯალათმა რევაზ ბარათაშვილს თვალები დააყრევინა.

ძმის უბედურებით და ქმრის მუხანათობით გამწარებულმა როინ ჯავახიშვილის ცოლმა მონაზვნის ჩოხა ჩაიცვა და ცოდვიანი ოჯახიდან სამუდამოდ გაიქცა.

ხოლო როსტომ მეფემ თეიმურაზს მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა: რა არის, რომ არც თქვენ დაწყნარდებით და არც ჩვენ დაგვაწყნარებთო; ჩვენსა და თქვენს შორის ისედაც ბევრი საქმენი გახლავან გასაბრჭობნი და გასახილავნი; ამას წინათ, გაბრჭობამდისინ თავმდებად კახეთში სამი სოფელი დაგვიდევით; მაინც არ მოისვენეთო. სიდამდისინ ჩვენსა და თქვენს შუა საქმენი გადუწყვეტი არისო, ქართლი და კახეთი არ მოისვენებსო. ბოლოს და ბოლოს, ნულარ ვაყოვნებთ, ორიოდე მცოდინარი ბერი და ერი შენს სიძეს მეფე ალექსანდრეს ვსთხოვოთ და ასევე ლევან დადიანსაც ვსთხოვოთო, გურიელსა და ახალციხის ფაშასაც ვსთხოვოთო, გავიბრჭნეთ (გავსამართლდეთ) და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ქვეყანაც მოვასვენოთო.

მთავარი „გასაბრჭობი" ის იყო, რომ თეიმურაზს როსტომი მისი ძმისწულის სვიმონ-ხანის მოკვლას აბრალებდა და სამაგიერო „სასისხლოს" სასამართლოს ძალით მოითხოვდა. ჰქონიათ კიდეც შუამავალთა სასამართლო ამ საქმის თაობაზე მეფეებს. თეიმურაზს კახეთში სამი სოფელი მიუცია როსტომისათვის.

თეიმურაზმა რომ ეს წერილი მიიღო, გაბრაზდა, ის სამი სოფელი ისევ უკან დაიბრუნა და როსტომ მეფის მოხელეები კახეთიდან ვამოჰყარა; თან ესეც მოსწერა როსტომს: ბოლოს და ბოლოს, გასაბრჭოლი რად გვაქვსო; თქვენი ძმისწულის სვიმონის მოკვლას მე რად მაბრალებთ, როცა იცი, ყველამ იცის, ზურაბ ერისთავმა მოჰკლაო; ამისთვის ზურაბ ერისთავი მე მოვჰკალი და თქვენგან ბრალი კი არა, მადლობა მეკუთვნისო; თუ მაინცადამაინც სვიმონის სისხლს ეძებთ, მესისხლეც მანდვე გყავთ — ზურაბ ერისთავის ძმა, ზაალ ერისთავი, ყაენთან რომ გავიგზავნიათ და მორჭმული და გამდიდრებული დაგიბრუნებიათო; აქამდე რომ ჩემი ქვეშევრდომი იყო, ახლა თქვენ გახლავსთ, თქვენი ყმაც ეგ არის და მესისხლეცო და როგორაღაც მოგეპრიანოთ, ისე ჩაითვალეთ და მე თავი ლამანებეთო.

ისევ აიშალნენ მეფენი.

ისევ უნდა დაღვრილიყო ქართული სისხლი ქართველთა და სპარსელთა ხელით.

. . . . . .

მცხეთას ჩავიდნენ როსტომი და მარიამი.

სვეტიცხოველში ილოცეს მხურვალე ლოცვით ქრისტიანმა დედოფალმა და „თათარმა მეფემ".

მცხეთიდან საფურცლეს გავიდა როსტომი და აქ შემოიყარა ქართლელთა და სპარსელთა ჯარები. განჯა-შირვანიდანაც ეწვია ყიზილბაშთა დამხმარე ჯარები როსტომს.

კახეთისკენ დაიძრნენ მგლური მუხლით და მგლური გულით.

თეიმურაზიც გაემზადა მტერთან შესახვედრად. მან ორად გაჰყო კახელთა ჯარი. ერთ ნაწილს სარდლად უჩინა თავისი ძე დავით (დათუნა) ბატონიშვილი, თანაშემწედ სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი დაუყენა და ქიზიყს გაგზავნა. მეორე ნაწილი თვითონ დაიტოვა, თანაშემწედ სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი აიყვანა და თიანეთს, უღლისთან დადგა მტრის დასახვედრად.

როსტომ მეფემაც ორად გაჰყო ლაშქარი. ყიზილბაშთა ჯარი ჯემალბანს ჩააბარა — ისფაჰანიდან მოყოლილ გათათრებულ ქართველს — და ქიზიყს გაუშვა, დათუნა ბატონიშვილთან შესაბრძოლებლად. ქართლელთა ჯარი, ვახტანგ მუხრან-ბატონისა და ზაალ ერისთავის სარდლობით, თეიმურაზისკენ წარგზავნა, თიანეთს, და თვითონაც უკან მიჰყვა ფრთხილი ჭენებით.

ეს საშინელი ამბები 1648 წელს დატრიალდა.

თიანეთს, უღლისთან, ერთმანეთს ეკვეთნენ თეიმურაზისა და როსტომის მეწინავენი — კახელები და ქართლელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელობას წინ მიუძღოდა რევაზ ჩოლოყაშვილი, „კაცი ეთილი და რჩეული სარდალი“. ორი ვაჟკაცი შვილი მარჯვნივ და მარცხნივ მოსდევდნენ სახლთუხუცესს მამაცური ხმალთაკვეთებით.

უეცრად ავბედითად ნასროლმა ტყვიამ შეაქანა უნაგირზე რევაზი.

სიკვდილის სიახლოვე იგრძნო ნათოფარმა სარდალმა. შვილებს უბრძანა, შეტევა არ ჩაისხლიტოთ, არც ვინმემ ჩემი გათოფვის ამბავი შეიტყოსო და ბრძოლის ველს გაეცალა „მცირე ხნით“.

თეიმურაზ მეფეს მიეჭრა და მის მუხლებში ჩაემხო სისხლდადენილი.

„მიხარია, რომ შენის სამსახურისა და ერთგულებისთვის ვკვდები, მეფეო! დაე, იყოს ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლოდ!“ — შესძახა და ხელები დაუკოცნა მეფეს დაჭრილმა.

მწარედ ატირდა თეიმურაზი.

ჭრილობა შეიკრა რევაზმა.

ისევ „იტირეს ორთავემ მრავალი“.

ისევ მოახტა ცხენს და გაქუსლა ბრძოლის ველისკენ ჩოლოყაშვილმა.

მიატანა იმ ადგილს, სადაც ტყვიამ დაულეწა გულის ფიცარი.

მიატანა და იხილა ძმათაშორისი ომი შენივთებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს კახელნი და ქართლელნი.

ვერცერთ მხარეს ნაბიჯითაც ვერ უკუეგდო „მოპირდაპირე ძმათა მხარე“.

აქ კი იმძლავრა სიკვდილმა და უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან ჩოლოყაშვილი.

„სარდალი მოგვიკლესო!“ — ელვასავით დაურბინა კახელთა ჯარს. მკლავი მოეშალათ, მუსლი ჩაეშალათ და „უკან იქცნენ კახელნი“.

ფრთა გამოისხეს ქართლელებმა. ახალ იერიშზე დასძრეს ჯარები ვახტანგ მუხრან-ბატონმა და ზაალ არაგვის ერისთავმა.

„უკუნ იქცა ბატონი თეიმურაზიცა და წარვიდა“...

...იმავე დღეს მოხდა ბრძოლა ქიზიყს, მალაროსთან.

დათუნა ბატონიშვილი, „სიმამაცით და გამბედაობით განთქმული“ ვაჟკაცი, გააფთრებით დაეტაკა სპარსელთა და შირვანელთა მხედრობას.

ჯემალ-ხანსაც ძარღვებში ქართული სისხლი რაღად უღუღდა, თუ ქართველებს ბრძოლის სასწორს დაანებებდა!

მაინც იმძლავრეს კახელებმა. დაიხელთავეს და დაიკალთავეს კიდეც ბრძოლის შუაგული და განაკიდურნი.

მაგრამ ისევ გაიზუზუნა ავბედითმა ტყვიამ და დათუნა ბატონიშვილი უსულოდ მოწყდა უნაგირს.

ისევ მოიშალა მამაცი უფლისწულისა და სარდლის სიკვდილით ზარდაცემულ კახელთა ჯარი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი ამაოდ ცდილობდა ბრმა ბედისწერის წყალობით უკულმა დატრიალებული ბრძოლის ჩარხის შემობრუნებას.

ქაიხოსრო მაყაშვილმა და ბიძინა დიასამიძემ, დათუნას სიკვდილი რომ შეიტყვეს, მეფე-დედოფალს ვეღარ ვეჩვენებითო და, გული შეაცხრილეს მერეხად წამოსულ ყიზილბაშურ ტყვიას და ფინთიხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედიზედ ეცემოდნენ კახური დროშები.

კახელ თავადთა ერთმა ნაწილმა, „სანამ გვიან არ იყო", ბრძოლა მიატოვა და როსტომ მეფის საყმო და საქვეშევრდომო გზაზე შეაგდო ცხენი.

კახელ მამულიშვილთა ლაშქარი თითქმის მთლიანად შეაწყდა „ალლაჰისაგან ბოძებული" გამარჯვებით გალაღებულ ყიზილბაშობას.

დათუნა ბატონიშვილის წარკვეთილ თავს, სხვა წარჩინებულ კახელთა თავებთან და კახურ დროშებთან ერთად, მიაქროლებდა აღტაცებული ჯემალ-ხანი...

ბიძინა ჩოლოყაშვილმა მისებრ სისხლდადენილი და გალახული ჯარის ნაფლეთებით ძლივს მიიტანა სული თეიმურაზის კარზე.

უმძიმესი მარცხის ამბავი მოახსენა ჩოლოყაშვილმა მეფე-დედოფალს.

დათუნა ბატონიშვილზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

„დათუნა რა იქნაო?" — იკივლა ხორეშან დედოფალმა.

იგივე იკითხა შიშითა და ძრწოლით ატანილმა თეიმურაზის თვალებმა.

„დათუნა ბატონიშვილი... დათუნა ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა" — ამოიხრიალა ჩოლოყაშვილმა.

. . . . . .

იჯდა თეიმურაზ მეფე მეხდაცემული, ენაჩავარდნილი, უმძიმესი ფიქრებით დარეგვილი და დაქვესკნელებული, „თავად მტრისაგან გალახული, სახლთუხუცეს მოკლული. ჯარ წარსული, დროშა წართმეული, ქვეყანა და საბატონო სხვას დარჩომილი".

მან ჯერ კიდევ არ იცოდა ყველაზე დიდი საგოდებელი — ერთადერთი, უკანასკნელი ძის სიკვდილი.

არ იცოდა და რაც იცოდა, ჯერ იმას ჯავრობდა უმძაფრესი საჯავრებელით: „ყველგნით ღონე მოეღო, აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი"...

კახელმა თავადებმაც მიატოვეს თეიმურაზ მეფე — „მისმა დაზრდილმა" კახელებმა; ახლა ისინი როსტომ მეფის კარზე ბრძანდებიან და თურმე ახალ ბატონს ძველი ბატონის შეპყრობას ეპატიჟებიან!

დიახ, კახელი რენეგატი თავადები მოსვენებას აღარ აძლევდნენ

როსტომს: სანამ თეიმურაზს არ დაიჭერ, მანამ არც მისი მოსვენება იქნება და არც კახეთის დამორჩილება არ მოგიხერხდებაო!

როსტომ მეფის ძარღვებში სანახევროდ ქართველი გლეხის ბატონოსანი სისხლი დაედინებოდა და სასტიკად გააჯავრა იგი ქართველმა „თავადურმა უმადურობამ“.

„როგორ არა გრცხვენიათ, — თეიმურაზის დაზრდილები ხართ და ახლა თქვენ თვითონ მაქეზებთ მის დასაღუპად! გამზრდელს რომ ასე ექცევით, ჩვენ თქვენი ერთგულებისა რაღა ვიწამოთ!“ — დაიღმუვლა მეფემ.

ენა ჩაუვარდათ რენეგატებს.

„რაც რომ ქვეყანა დაარსებულა, ასეთი მუხანათობა არავის მოსწრებია, ახლა რომ თქვენ თეიმურაზ მეფეს მუხანათობას უწევთო“ — ერთხელ კიდევ დაულრიალა როსტომმა მის „საერთგულოდ მობრძანებულ“ მოღალატეებს.

ეს ამბები „ვინლაცამ“ თეიმურაზის კარზე ჩაიტანა კახეთში.

თეიმურაზს იმედი აღეძრა: იქნებ როსტომ მეფე შეგვირიგდესო და შუამავლობა ხორეშანს სთხოვა — თანამეცხედრეს, თანაგვირგვინოსანსა და უმძიმეს დღეთა თანამოჭირნახულეს.

„როსტომ მეფე თქვენი ბიძაშვილი არის, — ეუბნებოდა ქმარი ცოლს — მიდით, ნახეთ, შეეხვეწეთ, იქნებ არ მოგვიკლას შვილი, ის ერთადერთი იმედი და ნუგეში! ეგების მაპატიოს ჩემი შენაცოდები და ამას იქით ჩვენც ისე გვიმსახუროს, ვითაც ერთი ვინმე თავადი. ხოლო, თუ ესები არა ქნას, ამდენერთს ნათესავობის პატივს მაინც დაგდებს, რომ ჩემი დათუნა ყაენთან ცოცხალი გაგზავნოს და ჩვენ იმდენი ცხენი და ჯორი გვათხოვოს, რომ იმერეთს მივაწიოთ“.

აღვა დედოფალი ხორეშანი, „შვილისთვის მოუთმენელის ნაღვლიან მტირალი“, და დაადგა როსტომ მეფის სავედრებელ გზას.

(გავიხსენოთ: როსტომის მამა დაუდ-ხანი და ხორეშანის პაპა სვიმონ — ძმები იყვნენ).

როსტომს მოახსენეს: ხორეშან დედოფალი მობრძანდება თქვენთან შესახვედრადო.

მეფემ ფიცხლავ იხმო თავისი მემკვიდრე ლუარსაბი, კათალიკოსი ქრისტეფორე, ეპისკოპოსნი, ქართლის თავადნი და უბრძანა: სასწრაფოდ გაეშურეთ და დიდის მოწიწებით მიეგებეთ დედოფალსო.

თვითონ თავისი კარვის ახლოს სტუმრის სავანებელი კარავი გაამართვინა, მერე ცხენზე შეჯდა და თვითონაც შესაგებებლად გაემართა.

დედოფალი გამოჩნდა. მეფე რომ დაინახა, ცხენიდან ჩამოხდომა ინება. თავადებმა ჩამოსვეს.

მისი მარჯვენა ხელი კათალიკოსმა ქრისტეფორემ დაისვენა ხელზე,

მარცხენა ლუარსაბ ბატონიშვილმა და აგრე წამოიყვანეს მეფესთან შესახვედრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქვეითდა მეფეც.

დაქვეითდა ორივე ჯარიც — ქართველთა და ყიზილბაშთა (ანუ ქრისტიანთა და თათართა).

ერთმანეთს მიეახლნენ.

ხორეშან ღედოფალმა დაიჩოქა მეფის ფერხთა სამთხვევად.

არ დაანება როსტომ მეფემ, „არ დაუშვა, დაიღლიავა, ერთმანეთს გადაეხვივნეს და შეიქნა ტირილი და სრულ ლაშქარმან დაიწყეს ხმამაღლა ტირილი და თავს ცემა“.

რაღა საკვირველი იყო ქართველთა ტირილი, როცა „თათართა ჯარი უფრო ტიროდეს“.

მაგრამ კახეთის სამეფო სახლობის ყველაზე დიდი სატირალი ჯერ კიდევ არ იყო გამჟღავნებული. როსტომ მეფეს მკაცრად გაეფრთხილებინა ყველანი, დიდი და პატარა — არასგზით არ გაემხილათ ღედოფლისთვის შვილის სიკვდილი.

ერთი სიტყვით, მეფისა და ღედოფალს შორის „იმ ღღეს ტირილის მეტი არა თქმულა რა“.

საღამო ხანს, როცა ხორეშან ღედოფალი მისთვის განკუთვნილ კარავში დაბინავდა, როსტომ მეფემ თათბირი შეჰყარა ღა დაიწყო: ბატონი ღედოფალი ჩვენთან სახვეწრად მოსულა და ჩვენც პატივის ადება გვმართებსო; თავად ჩემი ნათესავი არის და ესეც რომ არ იყოს, საქართველოში ძველთაგანვე წესი ყოფილა, — როცა აქაურ მეფეებსა და მეპატრონეებს რაიმე გაუჭირდებოდათ, მშველელად ღედას ან ღედოფალს შეიხვეწიებდნენ; ბატონი თეიმურაზიც ასე მოქცეულა და აწე ჩვენც გვმართებს ქართული წესი და რიგი დავიცვათო.

თათბირს ქართველი თავადებიც ესწრებოდნენ და სპარსელი ხანებიც.

პირველი წამოდგა ლორე-აღჯალის მმართველი, ყიზილბაში ისახანი ღა მოახსენა მეფეს: ასი ათასი სპარსელი მაინც გაწყვეტილა კახელებთან ბრძოლებშიო, ბევრი ხელმწიფეც ამაოდ გარჯილა კახეთის დასაპყრობად, მაგრამ ამნაირი გამარჯვება, თქვენ რომ ღმერთმა კახეთზე გარგუნათ, ჯერ არავის ჰღირსებიაო; თქვენ რომ მამა (თეიმურაზი) დაამარცხეთ, თქვენმა მეორე ჯარმა მისი შვილი (ადათუნა) დაამარცხა და სიკვდილსაც შეჰყარა. ახლა გაუბედურებული ღედოფალი მოსულა, ფეხზე გემთხვევათ და გეაჯებათ; ღიახაც უნდა ადგოთ პატივი; საკმარისი იქნება ყარაია გამოართვათ სანადიროდ, ხოლო ანარჩენი კახეთი ისევ დაუტოვეთ მეფესა და ხორეშან ღედოფალსო.

ძალიან ესიამოვნა სპარსელის თათბირი სპარსეთში გაზრდილ

როსტომ მეფეს. მაგრამ სანამ რაიმეს იტყოდა, ისევ ქართველებს აცალა „მათი სათქმელი“.

ქართველმა თავადებმაც თქვეს: არ ივარგებს თეიმურაზ მეფის პატიებაო. სულ ერთია, მაინც არ მოისვენებს და არც თქვენ მოგასვენებთო; ამას წინათ, მისი შვილი რომ ცოცხალი იყო, მაშინ გებრძოდათ თავგამოდებით და ახლა შვილის და თანაც ასეთი შვილის სიკვდილს რომ შეიტყობს, მაშინ ხომ სულ აღარ მოგასვენებთო. მერე, იქნებ არც ყაენმა მოგიწონოთ თეიმურაზთან შერიგებაო...

... მთელი ღამე თეთრად გაათენა როსტომ მეფემ.

უკვირდა კაციშვილს: სპარსელებსაც კი მოულბო გული მათი მოსისხლე ქართველი მეფე-დედოფლის უბედურებამ, ხოლო ქართველები... რა სასტიკი არიან მათივე კეთილისმყოფელი მეუფის მიმართ... ისე კი მართალი უნდა იყვნენ ქართველები: არ იქნება და, ვიდრე პირში სული უდგას, არ გააგდებს ხმალს ხელიდან თეიმურაზ მეფე...

... მეორე დღეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ხორეშანი და როსტომი.

ახლა ყველაფერი უნდა თქმულიყო, აშკარად და გადაჭრით.

დაიწყო ხორეშან დედოფალმა: კურთხეულის ბიძათქვენის სვიმონ მეფისაგან და ლევან კახთა მეფისაგან ჩემი დათუნას მეტი ძენაშიერად აღარავინ დარჩენილაო; ჩემ შვილსაც დიაღ თქვენს გვერდით ხლება უნდოდა, მაგრამ მე და თეიმურაზმა არ დავანებეთ, ვითომც იმიტომ, რომ მის მეტი შვილი აღარა გვყავდა, ვაი მის დედას უბედურს! ახლა იგი თათარს ტყვედ დაურჩენიათ და ყაენთან ერანს გაუგზავნიათ! ამას გეაჯებით, ხელმწიფეო, ყაენთან მოგვეხმაროთ, ჩემს დათუნას არაფერი უბედურება შეჰყარონო!

ძლივს დაასრულა და ისევ ცრემლმა უყელა ხორეშანს.

მაშინვე ნუგეში წააშველა როსტომმა: ღვთის შეწევნით, რაც კი ჩემის ხელიდან გამოვა, არაფერს დავიშურებ თქვენს მოსახმარებლადო; ისედაც დარწმუნებული ვარ, ყაენის კარზე თქვენს შვილს სიკეთის მეტს არაფერს მიუგებენო; მხოლოდ ამისთვის მებრალებით, დედოფალო, შვილთან შეხვედრამდის რომ ტირილი და ნაღველი შეგაწუხებთო.

როგორც კი ცრემლი მცირედად დაითრგუნა, ისევ განაგრძო ხორეშანმა: ბევრი შეგცოდეთ მე და თეიმურაზმა, მიტომაც სამაგიერო მოგვიზღა უფალმაო; ახლა თქვენს ხელთ ვართ და შეგვინდეთ; თუ ამდენს შემიხვეწიეთ და პატივს დამდებთ, მე და ჩემს საცოდავ მეუღლეს ამ სიბერის ჟამსა ჩვენს საფლავს არ მოგვაშორებთ, კახეთის ნაპირის ალაგნი თქვენ იქონიეთ, მე და თეიმურაზს კი მხოლოდ ჩვენი საძვალე ალავერდი და მისი გარეშემონი დაგვირჩინეთ; თავად ღმერთიც დაგიმადლებთ და ქვეყანაც მოგიწონებთო.

მაშ, ისევ კახეთში დარჩენას ითხოვდა თეიმურაზი და მისი სასოლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლო, სანამ თეიმურაზი კახეთში დგას და თვითონაც „სანამ პირში სული უდგას“, არ იქნება და არ დააყენებს სპარსელთა სისხლში მარადჟამეულად გასვრილ უქარქაშო ხმალს თეიმურაზი.

ასე იყო და ასე იქნება.

სანამ პირში სული უდგას, ჰანიბალი არ დაიშლის საძულველ რომთან ხმალთაკვეთებას.

სანამ პირში სული უდგას, თეიმურაზი არ დაასვენებს სპარსელების სისხლზე დაგეშილ უქარქაშო ხმალს.

ამიტომ „რაღაცნაირად“, მოიარებით და „მოალერსებით“ უარი უნდა უთხრას როსტომ მეფემ კახეთის მეფე-დედოფლის თხოვნას და აჯას.

და გამონახა „ილათიანმა“ მეფემ „ალერსიანი უარის“ გზა: მაღალი ღმერთი მყავს მოწმედ, რასაც თქვენ მთხოვთ, მისი აღსრულება თქვენთვის არა მშურსო, — ამბობდა მეფე — მაგრამ ვაითუ უფრო ცუდად დატრიალდეს საქმეო; თქვენი შვილის ტყვედ ჩავარდნა და თეიმურაზის დამარცხება ყაენს აქამდისინ უკვე მოეხსენებოდა და, ვაითუ ყაენმა თვითონ თქვენ და თეიმურაზი თავის კარზე პირადად გაგიწვიოთ; და ეს რომ მოხდეს, მაშინ ხომ სამიდღემჩიოდ მოითხრებით ძირფესვიანადო!

სწორედ ძლიერად იყო ნათქვამი.

„ილბლიანი“ გამოდგა ხორეშან დედოფლის პასუხიც და ახალი სათხოვარიც: „რაკი კახეთს არ დაგვედგომება, ეს წყალობა მაინც გვიყავით, იმერეთს წასვლის ნება მოგვეცით და ოანაც იმდენი ცხენი და ჯორი გვათხოვეთ, მე და ჩემი სვეგამწარებული მეუღლე ქუთათისამდე რომ ჩაგვიყვანოსო.

ეს თხოვნა კი „დიდის სიამით“ მიიღო როსტომ მეფემ. მაშინვე უსვად და გულმოდგინებით შეუდგა „მარად მოუშორებელი“ კახელი გვირგვინოსნების კახეთიდან გასტუმრებას (გინა — „ფეხის ამოკვეთას“): „ხუთასის თუმნის ფეშქაში მიართვა და ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა და კათალიკოზი თავისის ჯარით გაატანა და კახთ უბრძანა: ვისაც ვინდათ, ჯალაბობრივ თან გაჰყევითო და ვისაც გინდათ თავკაცათ თან გაჰყევითო, ჩვენ კიდეც გვიამებისო და დაგიმადლებთო“...

. . . . . .

იდგა 1648 წელი.

თეიმურაზ მეფე ისევ მიდიოდა კახეთიდან, ამოწყვეტილი ოჯახით, შეფერთხილ-შეთხელებული ამალით, გატეხილი გულით, გამშრალი ცრემლსათხეველით.

წავიდა — „კახეთით აიყარა, ქართლი შეიარა, იმერეთს გარდავიდა“.

ხოლო როსტომ მეფემ დათუნა ბატონიშვილის წარკვეთილი თავი, კიდევ სხვა კახელ აზნაურთა თავები და კახეთის სამეფო დროშა, ბოქაულთუხუცესის ელიზბარის (ლუარსაბ ბატონიშვილის ბიძა — დედის ძმა) ხელით შაჰ აბას მეორეს გაუგზავნა სპარსეთში.

შაჰი ყანდაჰარს სალაშქროდ ემზადებოდა, როცა საქართველოდან ეგზომ „სასიხარულო ფეშქაში“ მიართვეს. აღტაცებაში მოვიდა შაჰი, რაღგან ლაშქრობის წინ ასეთი ძღვენი „ულურისათვის კარგ ნიშნად“ მიიჩნია და მაშინვე შესაფერისი საბრძანისიც გამოაქვეყნა: კახეთი ქართლთან ერთად როსტომ მეფეს დაუმტკიცდესო!

სწორედ ეს იყო მთავარი.

ხოლო „დანარჩენად“ შაჰმა ელიზბარ ბოქაულთუხუცესს „სამახარობლოდ განჯაში სამი სოფელი უბოძა. ხუთას ქართველს ძვირფასი ხალათი ჩააცვა. როსტომ მეფეს, ქართლ-კახეთის აწინდელ მბრძანებელს, შაჰმა კიდევ გამოუგზავნა „თაჯი, თომარი, მურასა ხმალი, ყაენის ფუში, ხალათი და ოქროს იარაღით შეკაზმული ბედაური ცხენი“.

„იღბლიანი“ იყო ქართველთა წარკვეთილი თავებით ასხმული ფეშქაში და „ამიტომაც იღბლიანად დაასრულა შაჰ აბას II-მ ყანდაჰარული „ილღარი“.

ისევ გათათრებულმა ქართველებმა და მათმა სარდლებმა — მ ე რ ა ბ-ხ ა ნ მ ა და ო თ ა რ-ხ ა ნ მ ა ისახელეს თავი ყანდაჰარისთვის ბრძოლაში.

ყანდაჰარის ციხიონის უფროსობაც ჯერ მერაბ-ხანს ჩააბარა შაჰმა, ხოლო მალე, მერაბ-ხანის მოულოდნელი სიკვდილს შემდგომ, ოთარ-ხანი შეიქნა ყანდაჰარის მმართველი.

. . . . . .

ქუთათისის სასახლეში ალექსანდრე მეფესა და დარეჯან დედოფალს მოახსენეს: როსტომ მეფეს თქვენი მამა თეიმურაზი კახეთიდან გამოუძევებია და ქუთათისისკენ მოეშურება სვეგამწარებული მეფე ჯალაბით და ამალითო.

დარეჯან დედოფალმა შეიცხადა მშობელთა ახალი უბედურება, დათუნას სიკვდილი კი არც მისთვის გაუმხელიათ ჯერჯერობით და არც ალექსანდრესთვის.

ალექსანდრე მაშინვე შესახვედრ თადარიგს შეუდგა. წინასწარ გენათელი ეპისკოპოსი და ზემო იმერეთის თავადები გაგზავნა შესაგებე-

ბლად. „ყველგან ნუზლი და სამასპინძლო მზად დაახვედრეს“ სიმერეთოს მომავალ კახელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ალექსანდრე მეფეც გაეშურა „დიდის ჯარიფა მივიდეს, ნახეს ერთმანეთი, შექნეს ტირილი და თავს ცემა“.

გენათელ ეპისკოპოსს კახელ კარისკაცთაგან უკვე შეეტყო დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი. ახლა ალექსანდრე მეფე გაიხმო გენათელმა იდუმალ და აუწყა ცოლისძმის დაღუპვის ამბავი. თან ეს დასძინა მაშინვე: „ორჯერ ცალ-ცალკე თემის შეყრის თავი იმერეთს არა აქვს, ამიტომ ახლა, როცა დედა-შვილი ხორეშანი და დარეჯანი ერთმანეთს შეხვდებიან და მიუტირებენ, მაშინ თქვენ დათუნა ბატონიშვილის სიკვდილიც უნდა გამოაცხადოთო“.

მეტი საშველი არ იყო და იტვირთა ალექსანდრემ ეგზომ სამძიმო სატვირთებელი.

დედოფალი დარეჯანიც გამოჩნდა მოტირალ ქალთა ასაბიით. ჯერ დედას მივარდა, მერე მამას, მოთქმა-გოდებით.

საგანგებოდ გაწყობილმა მოზარეებმაც დააგზნეს ზარი და ზუნი.

უცებ ალექსანდრე მეფემ მხრებზე ხელები ჩაივლო, სამეფო სამოსელნი ჩამოიფხრიწა, თეიმურაზის წინაშე მუხლებზე დაეცა და შეჰბღავლა თავპირის მტვრევით: აღარ გვყავს შენი ვაჟი ძე, დათუნა ბატონიშვილი! გმირისა და წამებულის სიკვდილით აღესრულა ურჯულოებთან ბრძოლის ჟამსო!

დათუნა მოკვდაო?!

„ბატონი თეიმურაზ და ორნივ დედოფლები, ვით უსულო მკვდარნი“, მიწას დაენარცხნენ.

მაგრამ რა?! მაინც გაჰყარეს სიკვდილისგან სიკვდილის მოწყურალნი.

უკანასკნელი ძე და ძირი მოშლოდა მთელი საწუთროს მანძილზე ჯვარცმულ ხელმწიფეს.

ისევ ცოცხალი იყო, რადგან ჯერ ისევ ვერ მიეთრია აქამდე უმძიმესი ტანჯვით ნათრევი „თავისი ჯვარი“ გოლგოთის თხემზე.

ორმოცი დღე-ღამე გლოვობდნენ იმერელნი კახელი გვირგვინოსნების უბედურებას. „ორმოცამდისინ ტირილი და ზარი იყო. იმერეთის თავადნი და აზნაურშვილნი დილას საღამოს მოუტირებდეს. ვისიც მამული ახლოს იყო, ისინი უმალ მოვიდნეს, მრავალი გარდასაბურავი მოიღეს. ალექსანდრე მეფემ გასაკვირველი ხარჯი გარდიხადა ცოცხალთა და მკვდართა ზედან... ვინც ამათნი ცოცხალნი დარჩნენ, ორმოცდაათს წლამდისინ ამის გლოვასა და ტირილში იყვნენ და მეფემ ალექსანდრემ ბატონს თეიმურაზს და მის თავადებსა და აზნაურთ ყველას ცალ-ცალკე სოფლები და სარჩო გაუჩინა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი კი აღარ ტიროდა.

აღარ ტიროდა, რადგან ცრემლზე უმძლავრეს მწუხარებას ეძლეოდა ეროვნული ბიბლიოთეკა
იგი.

უსაზღვრო საგოდებელს დაეშრო და დაეშრიტა მისი ცრემლსათ-
ხეველი.

. . . . . .

როსტომ მეფე კი დინჯად, გულსრულად და თვითდაჯერებით შეს-
ღგომოდა აღმოსავლეთ საქართველოს მართვა-გამგეობას.

თეიმურაზ მეფის დაუსვენარი და დაუსრულებელი სამამულო ომე-
ბით სისხლღაწრეტილ ქვეყანას როსტომ მეფემ მშვიდობიანობა არ-
გუნა.

თეიმურაზ მეფე დიახაც საქართველოსა და ქართულობის გადა-
სარჩენად იბრძოდა და საამისოდ იგი არც საკუთარ სიცოცხლეს ზო-
გავდა და არც თანამემამულე ხალხის უმძიმეს მსხვერპლს ერიდებოდა.
დიახაც უკეთილშობილეს განზრახვებს ემსახურებოდა მისგან გაღებუ-
ლი სისხლი და მსხვერპლი. მაგრამ ყოველივე მაინც უსაზმნო და უშე-
დეგო აღმოჩნდა.

და აი, როსტომ მეფემ — თუმცა თვითონაც ხმლის დიდოსტატმა —
მაინც მშვიდობიანობის შტოით ხელში დაუნარჩუნა ქართლსა და კა-
ხეთს ქართულობაც, ქრისტიანობაც, კერაც, სახლიც, კარიც, ქართული
ყაიდის მიწათმეურნეობაც, ქართული წიგნიც და ქართული ზნეობაც.

. . . . . .

იმავე 1648 წლის მიწურულს როსტომ მეფემ თავის შვილობილსა
და მემკვიდრეს ლუარსაბს დიდი ქორწილი გადაუხადა. ცოლად შერთო
ჩვენთვის უკვე ცნობილი გათათრებული ადამ სულთან ანდრონიკა-
შვილის ასული — თ ა მ ა რ ი. საქორწინო ღრეობანი მთელი ზამთარი
გაგრძელდა. ხოლო მომდევნო წლის დამდეგს მეფე, მთელი თავისი სა-
მეფო სახლეულით, კახეთის დასავლელად და დასათვალიერებლად გა-
ემართა.

ნადირობით შემოიარა ლილო, სამგორი, სართიჭალა, მანავი, საგა-
რეჯო, შირაქი, ქიზიყი და სრულიად ალაზნის ველი.

ყველგან დანგრეულსა და აოხრებულ სოფელ-ქალაქებს აღირიც-
ხავდა და ხელახალი აღდგენა-აღორძინების განკარგულებას იძლეოდა.

ათ დღეს ალავერდს შერჩნენ.

ალავერდის აოხრებული და იავარქმნილი ტაძარი სრულად შეაკე-
თებინა როსტომმა.

სანამ ტაძარი ხელახლად შენდებოდა, მანამ მარიამ დედოფალი აქ განსვენებულ კახელ მეფეთა და მათ სახლეულთა სულის მოსახსენებლად ჟამს აწირვინებდა, პარაკლისს უმართავდა, აღაპს [illegible] მეორმოცეებს უყენებდა და თვითონაც ყველას ცალ-ცალკე [illegible] რებდა.

(მართლაც საოცარი რამ იყო სამეგრელოს მთავრის კარზე აღზრდილი ქალის ზოგად-ქართული ეროვნული თვითშეგნება!).

ოცი დღე ალონს იდგნენ და ალაზნის ველზე აფეთქებული ნაირსახოვანი ყვავილების ცქერით ტკბებოდნენ.

მერე გრემს მივიდნენ.

შეძრწუნდა მეფე-დედოფალი. დანგრეული და მიწას განრთხმული ესვენა ერთ დროს სიმდიდრით და ბრწყინვალეებით საქვეყნოდ სახელგანსმენილი კახეთის სატახტო ქალაქი.

მარიამმა ახლა გრემის ნანგრევები მოიტირა მხურვალე ცრემლით.

ხოლო, „რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა“, მაშინვე თავის გაზრდილსა და მემატიანეს, ფარსადან გორგიჯანიძეს მიუბრუნდა და უთხრა: ერთი რაიმე მუნასიბი ლექსი გვითხარ გრემის სასახლეზედ, იქნებ ნაღველი და შეჭირვება გარდამეყაროს გულიდანო.

და თქვა ფარსადან გორგიჯანიძემ „მუნასიბი ლექსი“:

„ღმერთმან ძალ მომცეს სათქმელად გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგედებაო,
ესე სოფელი ცუდია, არვის არ გასთავდებაო,
და ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო“.

არავინ იცის, მოიწონა თუ არა როსტომ მეფემ ეს უხეირო „მუნასიბი“. ისე კი ბრძანა, შესდგომოდნენ დაქცეული გრემის სასახლისა და ტაძრის ხელახალ აღმშენებლობას.

. . . . . .

1652 წელს „ბედისაგან განებივრებულ“ როსტომ მეფესაც ეწვია უბედურება. მეფე ოჯახით და ამალით მდინარე ხრამზე მისულიყო, მისგანვე წამოწყებული ხიდის („გატეხილი ხიდი“) მშენებლობის „გასაშინჯავად“.

დედოფალი მარიამიც იქ იყო, ტახტის მემკვიდრე ლუარსაბ ბატონიშვილიც.

ახალგაზრდა, თანამოასაკე თავადიშვილები შეუჩდნენ ლუარსაბს: მეფე ხუთ-ექვს დღეს აქ დარჩება და, რა იქნება, რომ მანამდე ვაღმა ჯალებში გავიდეთ და ირემზე და ღორზე ერთი რჯულზე ვინადიროთო!

აცმუკდა ლუარსაბ ბატონიშვილი. მივარდა და სთხოვა მეფე-მამობილს — გაგვიშვი სანადიროდ. როსტომს რაღაც გული ეურჩებოდა, მაგრამ არ იქნა და ლუარსაბი არ მოეშვა, არ მოეშვა და ბოლოს მეფეც დათანხმდა.

ბიბლიოთეკა

სანადიროდ გავიდნენ მონადირენი. ადგილები აირჩიეს, საფრები გაიწყვეს, თოფები და მშვილდ-ისარნი მოიმარჯვეს და მოივარგეს. მარეკებმაც ღორისა და ირმის ხრონი გამორეკეს. შეიქნა ისრის სტვენა-წივილი და თოფის ბათქაბუთქი.

„ვაიმე, მომკლესო!“ — იბღავლა ვიღაცამ.

ეს ლუარსაბ ბატონიშვილი იყო.

ტყვიას, ალალბედად თუ გათვლილად ნასროლს, მკერდი შეენგრია ტახტის მემკვიდრისათვის.

სასწრაფოდ მონადირის კარავში შეასვენეს და მეფესთან ჩაფარი აფრინეს.

თავზარდაცემულმა როსტომ მეფემ მაშინვე ელიზბარ ბოქაულთ-უხუცესი აფრინა „ჰაქიმისა და ჯარას“ (ქირურგი) თანხლებით. თვითონაც უკან მიჰყვა გაოგნებული.

ცოცხალი დახვდა ბატონიშვილი. წამოდგომასაც შეეცადა მამის შესასვედრად, მაგრამ არ დაანებეს.

როსტომმა ქუდი მოიგლიჯა, მიწას დაანარცხა და თავ-პირში ხელები წაიშინა. მერე შვილს ჩაუჯდა და ჩაეძია — როგორ მოხდაო, საიდან მოგხვდაო, ვინ გესროლაო, საიდან გესროლესო. იქ მყოფთაც დაეტაკა — ახლავე ყოველივე შემიტყვეთო, გამაგებინეთო, გამარკვიეთო...

თვითონ ლუარსაბმა ეს უთხრა მამას: თუ გადავრჩი, მე თვითონ ვიპოვნი ჩემს მკვლელს, თუ არა, თქვენ კარგად იყავით და როგორც ამჯობინოთ, ისე მოიქეცითო.

ეს იყო და ეს. შუადღემდე იცოცხლა და მოკვდა.

საშინელი იერემიადა დადგა ქართლის სასახლეში.

გლოვობდა და ტიროდა ყველა.

ვიღაცეებს თურმე კიდევაც შეფარვით უხაროდათ „თათარი ხელმწიფის“ მემკვიდრის სიკვდილი.

ხოლო, „ვისაც უხაროდა, ის უფრო სტიროდა და თავს იცემდა აზრის არ მიხვდომისათვის“.

ტფილისს მიასვენეს ცხედარი.

მხარჩამოფხრეწილნი მიჰყვებოდნენ ქართველი და სპარსელი წარჩინებულნი.

უფლისწულის სისხლიანი სამოსელიც ქართველებსა და სპარსელებს გაენაწილებინათ სატარებლად.

წინ ქრისტიანი მღვდლებიც მოუძღოდნენ ფსალმუნის ღიღინით და

სპარსული მოლებიც ყურანის ყივილით.

ქართული და სპარსული დროშები ერთად მოჰქონდათ სამგლოვიარ-
როდ შებაფთულნი.

ლუარსაბის ცოლმა, თამარ ანდრონიკაშვილის ქალმა „ჩემ-ქმრის
სიკვდილი შეიტყო, თავით კედელს დაეტაკა და „ვითაც უსულო მკვდა-
რი შეიქნა", მაგრამ მაინც გადარჩა სიკვდილს.

ტფილისში ყოველივე წესი ქართულ-ქრისტიანულად აუგეს მიცვა-
ლებულს.

მერე სპარსული საწესოების განსრულებით არდაველს წაასვენეს.
მთელი არდაველის მოსახლეობა გამოეგება ქართველთა სამგლოვიარო
პროცესიას — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბეგლარბეგი და მაწან-
წალა, მოლა და დერვიში.

შაჰ სეფის გვერდით დაკრძალეს ლუარსაბ ბატონიშვილი.

არდაველი სეფიანთა „უწმიდესი საძვალე ქალაქი" იყო; აკი აქ
ესვენა ირანის სამეფო დინასტიის „წმიდა წინაპარი" — სეფი ედ-დინი.

მხოლოდ როსტომ მეფის „უდიდეს გამავლობას" შეეძლო მისი
შვილისთვის ესოდენი პატივის (არდეველს დაკრძალვის) მოპოვება...

... ლუარსაბი რომ დაიღუპა, როსტომ მეფე მაშინ 87 წლის კაცი
იყო.

და ისევე უმემკვიდრეოდ და უშვილძიროდ დარჩენილიყო სამა-
რეში ფეხჩაწვდენილი ბერიკაცი.

ეს მესამედ „არ გაუმართლა" მემკვიდრემ (მამუკა, ოტია, ლუარ-
საბი) როსტომს.

და მაინც სცადა მეოთხედ.

თოფნაკრავ ლუარსაბს უმცროსი ძმა დარჩა — ვახტანგი, ესეც
სპარსეთში გაზრდილი, იმჟამად ყაზმინის მოურავი. სწორედ ეს ვახ-
ტანგი მოისურვა ახლა შვილობილად და ტახტის მემკვიდრედ როსტომ
მეფემ. ვახტანგს ვიშვილებ და ცოლად მისი ძმის ქვრივს, თამარს შევ-
რთავო, —თათართა წესით ასე ერგებისო", გადაწყვიტა როსტომმა და
მაშინვე საამისო თხოვნაც გაგზავნა შაჰ აბას II-სთან ირანს.

შაჰმა როსტომის სურვილი მოიწონა, მაგრამ ვახტანგის დედამ
იკივლა: როსტომ მეფემ უფროსი შვილი წამგვარა და მომიკლა, ახლა
უმცროსსა და ერთადერთ ძეს ველარ გავიმეტებო; თუ მაინცდამაინც
ჩემი შვილის მემკვიდრედ აყვანა არ დაუშლია, საქართველოს მეფობა
ისე დაუმტკიცოს და სანამ თვითონ როსტომი ცოცხალი დარჩება, ჩემი
შვილიც მანამ ჩემთან დარჩესო.

ასეთი პასუხი როსტომ მეფემ ძალიან იწყინა და გაბრაზებით წა-
მოისროლა: „სიდამდისინ ცოცხალი ვარო, თვითონ ვიბატონებო,
ხოლო ჩემს უკან ვისაც უნდათ იმას მისცენო" ტახტიც და გვირგვი-
ნიცო.

მაგრამ მაინც ვერ დაისვენა უმემკვიდრეოდ როსტომ მეფემ. ისევ შეიკნა ლაპარაკი ვახტანგზე, მაგრამ ისევ ჩაერია სიკვდილი: ვახტანგი რაღაც ავადმყოფობამ შეიპყრო და გარდაიცვალა სავსებით ჯანმრთელი კაცი.

ბიბლიოთეკა

მაშინ მეხუთედ „სცადა ბედი“ როსტომ მეფემ.

ამჯერად ბაგრატიონების მუხრანულ შტოს მიადგა „მემკვიდრის უქმურით“ შეპყრობილი ბებერი ხელმწიფე.

ეს იყო ვახტანგ მუხრან-ბატონი, მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრან-ბატონის ძე, გიორგი სააკაძის შვილიშვილი დედის ხაზით (აკი თეიმურაზ მუხრან-ბატონის მეუღლე გიორგი სააკაძის ასული იყო).

ძალიან „უყვარდა როსტომ მეფეს“ ვახტანგ მუხრან-ბატონი, რომელიც ყოველთვის „იყო საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ასოვანი და გამარჯვებული“.

თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაშიც ხომ პირველი უდგა მხარში ვახტანგი ქართლის მეფეს.

და აი, უკვე მეხუთედ, შვილად, გინა მემკვიდრედ, გინა „ჯანიშინად“ (მოადგილედ) როსტომ მეფემ აირჩია ვახტანგ მუხრან-ბატონი და დასამტკიცებლად გაგზავნა ირანს.

შაჰ აბას II-ის კარზე ვახტანგი მისვლისთანავე „დიდად მიიჩნიეს“ და „დიდი პატივიც“ მიაგეს. მთავარი მაინც ეს იყო: მაშინვე „შეუკვეთეს სჯული მაჰმადისა“. ბევრი იუარა ვახტანგმა, მაგრამ ბოლოს, რაკი სხვა „არღარა ღონე ჰქონდა“, ისიც „გათათრდა“. შაჰმა ქართლის მომავალი მეფე დაამტკიცა, ახალი სახელი — შაჰ-ნავაზი დაარქვა, კვლავ მრავალი „წყალობა უყო, მრავალი მოსცა“ და ასე გამოისტუმრა საქართველოში.

იმ წელს (1654) სვეტიცხოველის გუმბათი ჩამოგდებულიყო და როსტომ მეფე მისი აღდგენით იყო გართული. კიდევაც აღასრულა დიდებული ლავრის აღდგენა და ამის შემდგომ ველარც შეძლო ქვეყნის მოვლა-პატრონობა წელთა სიმრავლით დამძიმებულმა.

ქართლის ნამდვილი გამგებელი შეიქნა ვახტანგ „შაჰ-ნავაზი“.

კახეთი ისევ სალიმ-ხანს მისცა სამმართველოდ ირანის შაჰმა.

როსტომ მეფე ისევ ირანის ყულარაღასად და ისფაჰანის ტარუღად ითვლებოდა. უკანასკნელ წლებში ირანის სატახტოს სამმართველოდ თავის ნაიბად (მოადგილედ) როსტომმა გაგზავნა ფარსადან გორგიჯანიძე...

ხოლო, სანამ როსტომი მწოლიარობდა და „დაწოლილი ლხინობდა და განისვენებდა“. მანამ ვახტანგ შაჰ-ნავაზი ქართლის მეფობას თავისად განამტკიცებდა, ქართლის ზვიად თავადობას „საკუთარ“ ხელმწიფობას „აჩვევდა“ და „აგუებდა“. ზოგს იმოყვრებდა და „ნები-

ერად“ იერთგულებდა, ზოგსაც ხმალზე ხელდადებით „იარშივებდა“. ყოველივე ამას როსტომ მეფისაგან „მიფარვით“ აკეთებდა ვახტანგი. მეფისგან იდუმალ, მეფის ბევრი „კარგი ყმანი შემოიფიცა“ მეფეს: „შვილმა“ და „ჯანიშინმა“. ნოდარ ციციშვილს ასული სთხოვა თავისი უფროსი ძის, არჩილის საცოლოდ. ზაალ არაგვის ერისთავს თავისი ასული რძლად გაატანა — მისი ძის, ზურაბის ცოლად. კარისკაცებმა „მეფის მალვით“ პატრონ-ყმობაზე შეჰფიცეს. მარიამ დედოფალსაც კი „საფიცარი“ გამოსცინცლა „ახალმა გერმა“.

როსტომი ყველას უკვე ამ ქვეყნიდან „გარდასულად“ მიეჩნია.

ირანის შაჰსაც საქართველოდან ცნობები მისდიოდა: თვითონ შაჰ-ნავაზი ატყობინებდა: „მეფე მოუძლურდა სიბერითა და სალმობიერ იქმნაო“; ზოგიც პირდაპირ მეფის სიკვდილს აცნობებდა, ზოგიც „მოსიკვდილებას“.

ფარსადან გორგიჯანიძე გამოგზავნა შაჰმა საქართველოში: თუ გიყვარდე, წადი და შენ მაინც ჩამომიტანე ნამდვილი ამბავი — მოკვდა თუ დარჩა როსტომ-ხანიო.

ჩამოვიდა საქართველოში ფარსადან გორგიჯანიძე და ჩამოუსწრო ცოცხალს როსტომ მეფეს. ფარსადანმა შაჰის გამოგზავნილი ხალათი რომ გადასცა, ბალღივით გახარებულმა მეფემ უძლური სხეული მაინც წამოიქნია, წამოჯდა და ლოგინშივე გადაიცვა შაჰის გულმოწყალებითა და სპარსული მზით სავსე სამოსელი.

გორგიჯანიძემ „ნამდვილი ამბავი“ ჩამოუტანა სპარსეთში შაჰ აბას II-ს: როსტომ მეფე ცოცხალი კი დავტოვე, მაგრამ შეიძლება უკან ჩაფარიც მომდევდეს მეფის სიკვდილის ცნობითო.

მართლაც ასე მოხდა.

იდგა 1658 წელი.

მომკვდარიყო ბატონიშვილი ქაიხოსრო დავითის ძე, გინა ხოსრო-მირზა, გინა როსტომ მეფე, გინა როსტომ-ხანი. სისხლით „წმინდა ქართველი“ — მამით ბაგრატიონი, დედით ქართველი გლეხი; რჯულით მაჰმადიანი, სულით გახლეჩილი „ქართველ-თათარი“. მამაცი მხედარი, დიდი სარდალი და პოლიტიკური თავკაცი; ავი დრო-ჟამის ჭკვიანი და მკლავღონიერი ეტლისმწაფელი; დიდი გიორგი საკაძის წყალობით ამაღლებული და აღზევებული; მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე სპარსეთის ტახტ-გვირგვინის „პატრონთა-პატრონი“.

დიდი მხედრული „სახელები“ ჭაბუკობიდანვე მოსდევდა, თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი „სახელოები“ ყოველთვის ასაკმორეულს ეწვეოდა ხოლმე: ისფაჰანის ტარუღა შეიქნა 53 წლისა, ირანის ყულარაღასი 60 წლისა, საქართველოს მეფე 67 წლისა. მაგრამ მაინც მისი ჩაკირული სხეული და უძვრელ-უშფოთარი გული საკაციშვილო

წუთისოფლისა სათავდაღმართო „მეორე ნახევარს“ ჯაბუკური ამბავ-
ლობის წლებად აქცევდა. სიბერე მისთვის თითქოს ზრდა-კრეფუნ-ოდ-ი
ვაჟკაცება და არა მიხრწნილება.

ბიბლიოთეკა

ამიტომაც მისი ტარულობა გაგრძელდა 40 წელი, ყულარაღასობა 33 წელი, ქართლის მეფობა 26 წელი.

და აღესრულა შობითგან 93 წლისა.

ორდღიანი „ქართული ტირილის“ შემდგომ, სპარსეთს წაასვენეს და ყუმში დაკრძალეს, დიდი შაჰ აბასის გვერდით.

მეფე ვახტანგ მეხუთე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი დაიბადა მე-17 საუკუნის ათიან წლებში, მუხრანში.

სახელად — ვ ა ხ ტ ა ნ გ.

მამა — თეიმურაზ მუხრან-ბატონი, სიძე გიორგი სააკაძისა.

დედა — სახელით უცნობი, ასული გიორგი სააკაძისა.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი რომ მარაბდის ბრძოლაში (1625 წ.) დაიღუპა, აწ დაობლებული მისი ძე ათი-თორმეტი წლის ყრმა უნდა ყოფილიყო. მერე, თვრამეტ-ოცი წლის ჭაბუკი სპარსეთიდან ქართლის მეფედ გამოგზავნილ როსტომ-ხანს ეყმო და ბოლომდე კიდეც დიდის ერთგულებით ემსახურა. როსტომ მეფესაც ძალიან „შეუყვარდა“ ეს ერთგული, მისთვის სასიკეთო „საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული“ ახალგაზრდა მუხრან-ბატონი.

და, ბოლოს, როცა როსტომ მეფეს ოთხჯერ თანმიყოლებით ნაშვილები ტახტის მემკვიდრენი ოთხივე თანმიყოლებითვე დაეღუპა — მეხუთე მემკვიდრედ სწორედ ვახტანგ მუხრან-ბატონი აიყვანა და ამ არჩევანმა, როგორც იქნა, „გაუმართლა“ კიდევაც.

ეს მოხდა 1654 წელს, როცა ვახტანგი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, ორმოცი წლისა.

და ჩვენც კვლავ გავიხსენოთ, როსტომ მეფის ცხოვრებიდან: როსტომი ვახტანგს აგზავნის ირანს, შაჰ აბას II-სთან, ქართლის მეფის მემკვიდრედ და „ჯანიშინად“ დასამტკიცებლად.

ირანის შაჰის კარზე ვახტანგი მისვლისთანავე „დიდად მიიჩნიეს“ და „დიდი პატივიც“ მიაგეს. პატივი პატივად და, მაშინვე „სჯული მაჰმადისა შეუკვეთეს“. ვახტანგმა ჯერ იტკიცა — არა და არ „გავთათრდებიო“, მაგრამ ბოლოს მაინც, რაკი სხვა „არღარა ღონე ჰქონდა“, დათანხმდა და მაჰმადიანად მოინათლა. შაჰ აბას II-მ ქართლის მომავალი მეფე დაამტკიცა, ახალი სახელი შ ა ჰ-ნ ა ვ ა ზ ი დაარქვა, კვლავ მრავალი „წყალობა უყო, მრავალი მოსცა“ და ასე გამოისტუმრა საქართველოში.

წელთა სიმრავლით დამძიმებული როსტომ მეფე კი უკვე ლოგინად ჩავარდნილიყო.

ხოლო, სანამ როსტომი სიკვდილის საუფლოსაკენ მიიწევდა, ვახტანგ შაჰ-ნავაზი ქართლის მეფობას უკვე თავისად მოირგებდა და მოიმტკი-

ცებდა. თავადთაგან ზოგს იმოყვრებდა და „ნებიერად“ იერთგულებდა, ზოგსაც ძალმინიშნებით „იარშივებდა“. ნოდარ ციციშვილს ასული სთხოვა თავისი უფროსი ძის, არჩილის საცოლოდ. ... ვის ერისთავს თავისი ასული რძლად გაატანა—მისი ძის, ზურაბის მეუღლედ. ყველაფერ ამას დავარდნილი მეფისგან მალულად აკეთებდა მისი „შვილი“ და „ჯანიშინი“. როსტომის მეუღლეს, მარიამ დედოფალსაც კი „საფიცარი“ გამოსცინცლა ამ „ახალმა გერმა“.

დადგა 1658 წელი.

მოკვდა როსტომ მეფე. წაასვენეს დასაკრძალავად ირანს, ქალაქ ყუმს, სადაც განისვენებდა თვით დიდი შაჰ აბას I.

მეფის გარდაცვალების წინა დღით, მის მეუღლეს მარიამ დედოფალს მისი დავალებით გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ მოართვეს („მარიამისეული ნუსხა“).

მეორე დღეს სპარსელმა ხანებმა მარიამს ქმრის დატირება აცალეს, მერე უთხრეს: შაჰის ბრძანება გახლავთ ამ დღეებში, თქვენი მიცვალებული ქმრის კვალზე, თქვენც ირანს უნდა წაგიყვანოთო.

მარიამმა მაშინვე სარდალი პაპუნა ციციშვილი იხმო, თეთრი თმა აიკვეცა, ანაკვეცი წერილთან ერთად გადასცა და შაჰთან აფრინა სპარსეთს.

ციციშვილმა შაჰ აბას II-ს მარიამის წერილი გადასცა, მისი თეთრი თმის ანაკვეცი აჩვენა და სიტყვიერადაც ბევრი რამ სასიკეთო უამბო ამ საოცარი ქალის შესახებ. ამიტომ პატივი ეცით, დაინდევით და საქართველოდან ნუ გამოადგმევინებთ ფეხს მარიამ დედოფალსო, — შეევედრა პაპუნა შაჰს.

კარგიო, თქვა შაჰმა. მაშინვე რაყამი გაამზადა და ციციშვილს გამოატანა ვახტანგ შაჰ-ნავაზთან.

რაყამში ეწერა: ამიერიდან ქართლის გამგებლად, ვითარცა „ვალი“, გინა „ჯანიშინი“ — ინიშნება ვახტანგ შაჰ-ნავაზი, რომელიც ქართლის გამგებლობის გარდა, ცხადდება გარდაცვლილი როსტომ-ხანის ყოველ ქონების მემკვიდრედ და პატრონად. მათ შორის — აწ დაქვრივებული მარიამ დედოფლის პატრონად; შაჰი საგანგებოდ ბრძანებს: ვახტანგ შაჰ-ნავაზმა ცოლად შეირთოს მარიამ დედოფალი! (ასეთია „კეთილი სპარსული წესი და ადათი“; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს „ქართულ ახირებას“ — ვითომც საძრახისი იყოს შვილობილისა და დედობილის შეუღლება!).

„არავითარი მნიშვნელობა“ არა აქვს არც იმას, რომ ქართლის ახალი ხელმწიფე უკვე კარგა ხნის ცოლ-შვილიანი კაცია. ვახტანგს ცოლად ჰყავს რ ო დ ა მ ი, — ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული, ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითა საქმითა კეთი-

ლითა, სრული სწავლითა საღმრთოთა და საერთოდ, შვენიერი და პირის-წყალი დედათა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე და, ჰყავდეს როდამი ცოლად ვახტანგს, არავინ მისგანმზეურ-ვებას არ მოითხოვს. ოღონდ მარიამ დედოფალი კი უეჭველად უნდა შეირთოს. სპარსული წესით, „უკეთესიც იქნება“, თუ ვახტანგს ორი ცოლი ეყოლება!

რაღა გაეწყობოდა! „ვერღარა ურჩ ექმნა ყაენსა“ ვახტანგი და შეირთო ცოლად მარიამ დედოფალი, — როსტომის გარდაცვალებიდან ორმოცის თავზე „ქმნეს ქორწილი სახელოვანი“.

(ეს მარიამის მესამე ქორწინება იყო: სვიმონ გურიელი, როსტომ მეფე და ახლა ვახტანგ შაჰ-ნავაზ მუხრან-ბატონი).

ასე იწყებდა მეფობას ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ხ უ თ ე (1658—1675 წწ) — პირველი მეფე ბაგრატიონთა საგვარეულოს მუხრანული შტოისაგან...

. . . . . .

მუხრანის ბაგრატიონთა წრე თავიდანვე მაღალნიჭიერი, მაღალზნეობრივი და მაღალმამულიშვილური სულისკვეთებით გამოსჩანდა ზოგადქართული კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. ბაგრატიონთა ეს „უმცროსი შტო“ ყველა თაობაში გამოირჩეოდა დიდი მწიგნობრობით, განათლებით და განსწავლულობით, სამშობლო ქვეყნის დიდი წარსულის ღრმა ცოდნით და თაყვანისცემით, საერო და სასულიერო აღმშენებლობით, ფართო პოლიტიკური განზრახვებით და ქვეყნის საკეთილდღეოდ უანგარო თავგანწირვით.

1512 წლიდან 1658 წლამდე (მუხრან-ბატონთა შტოს გამოყოფიდან ვახტანგ V-ის გამეფებამდე) სულ თერთმეტი „მუხრან-ბატონური სახელი“ შემოგვინახა ისტორიამ და თერთმეტიდან ცხრა „ზოგადქართულ“ სახელებად გამოკვეთილან საქართველოს მატიანის ქსოვილზე:

ბ ა გ რ ა ტ კონსტანტინეს ძე — პირველი „მუხრან-ბატონი“, „მტუერის ციხის“ აღმშენებელი, ქართლის მაოხრებელი ავგიორგის მძლეველი;

ა რ ჩ ი ლ ბაგრატის ძე — დიდი მამულიშვილი, ყიზილბაშებთან ომების გამოჩენილი მეთაური, დიდი სვიმონ მეფის უახლოესი თანამებრძოლი, მამულისათვის მოწამებრივი სიკვდილით აღსრულებული;

ა შ ო თ ა ნ ბაგრატის ძე — ერთგული, „სანდო და განზრახი“ თანამებრძოლი დიდი სვიმონ მეფისა;

ე რ ე კ ლ ე ბაგრატის ძე — თურქ-ოსმალებთან ომების სახელოვანი ახალგაზრდა გმირი სამცხესა და ქართლ-იმერეთის საზღვრებზე;

დ ე დ ი ს ი მ ე დ ი, ასული აშოთანისა — სამცხის ათაბაგის ქაიხოს-

რო II-ის მეუღლე, დედა მომდევნო ათაბაგებისა, თვითონ დიდი მეს-
ვეური სამხრეთული საქართველოსი;

ქ ე თ ე ვ ა ნ ი, ასული აშოთანისა — სახელოვანი დედოფალი კახე-
თისა, ჯეშმარიტი დედა სრულიად საქართველოსი, საარაკო გმირი და
სამშობლოსათვის წამებული წმიდანი, წმიდა ნინოსა და თამარ შვიდ-
მნათობიერის ბადალი ქალი-მნათობი;

თ ე ი მ ურ ა ზ ვახტანგის ძე — სიძე გიორგი საკაძისა, ტაშისკარის
ღა მარაბდის ბრძოლათა გმირი, იქვე მამულისათვის დაცემულ-დარე-
ცილი;

ქ ა ი ხ ო ს რ ო ვახტანგის ძე — „ქართლის გამგებელი", გიორგი სა-
აკაძის ბედის თანაზიარი, მასთან ერთად თურქეთის მიწაზე სიკვდილ-
თან წილნაყარი.

და თვითონ ვ ა ხ ტ ა ნ გ თეიმურაზის ძე, ვისაც მუხრან-ბატონთაგან
წილად ერგო, პირველი ასულიყო ქართულ სამეფო ტახტზე. მეფე ვახ-
ტანგ მეხუთე მხოლოდ „გარეგნულად" იყო „თათარი", ხოლო „შინაგა-
ნად" — სულით, გულით, სიტყვით და საქმით — ნამდვილი მამულიშ-
ვილი, ქრისტიანობისთვის თავგამოდებული მებრძოლი და აღმაშენებელი,
ქვეყნის შინა-პოლიტიკური და ნივთიერი სიმტკიცისა და სულიერი აღო-
რძინების დაუღალავი თავკაცი, მაღალნიჭიერი სამოქალაქო და სამო-
სამართლო ხელისუფალი. იყო იგი „კაცი საკვირველი, ძლიერი საქმითა
და გამარჯვებული. და ამას სჭირდა ოთხნი ესე საქმენი: ბრძენ იყო უპო-
ველი (სწორუპოვარი), ბედნიერ იყო საკვირველი, სარდალი და მამაცი
უამხანაგო (უბადლო), პირად შეუბედავი და გულით მოწყალე უცხოდ".

და კიდევ — იყო „ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, მართლ-მსაჯულ
და ხელისამპყრობელ, და იყო ყოველთათვის მოსამართლე და
მოწყალე, მსჯავრსა შინა პირ-უთნებელ, უქრთამო და სწორის სა-
მართლის მოქმედ, უხვი, უშურველ-უტყუარ, ერთგულთათვის უხვად
წყალობის მიმნიჭებელ, ურჩთა და ორგულთა ძლიერად შემრისხველ,
დიდებისა და სახელის მეძიებელ, მტერთა მიმართ უძლეველ და ახო-
ვნად წინა-განმწყობ, წინაღმდგომთა თვისთა უშიშრად შემმართველ,
რაზმთა და წყობათა შინა კეთილად განმზრახი სარდალი, რაინდობათა
შინა უებროდ მორბედი და ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა შინა უს-
წორო".

შვილებიც ერთიმეორეზე უკეთესი ჰყავდა ვახტანგ მეფეს, ყველანი
როდამისაგან, ექვსი ძე და ორი ასული: არჩილი, გიორგი, ალექსანდრე,
ლევანი, ლუარსაბი, სულეიმანი (სოლომონი), ანუკა და თამარი.

ა რ ჩ ი ლ ი, ძეთაგან უფროსი, გამოჩენილი პოეტი — „იყო კისკას,
შვენიერ, მობურთალი, მოისარი; ყოველის კაცის ისარზედ ერთი ხელის
დადება ისარი უგრძეს ჰქონდა, და არა იყო მსგავსი მისი",

გ ი ო რ გ ი, მომდევნო ძმა — „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი. და ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ყაენის (შაჰის) კარზე იზრდებოდა და „ესეთი იყო, რომ ყოველნი ყმანი ყაენისანი ვითარცა ყაენსა, ეგრეთ პატივს სცემდენ“.

ლ ე ვ ა ნ ი — „იყო ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიეროთა წიგნთა“.

ლ უ ა რ ს ა ბ ი — „იყო მხედრობის რიგის მცოდნე“.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი (სოლომონ) — „კაცი პატიოსანი“.

ა ნ უ კ ა — „ყაენმან ცოლად წაიყვანა და სულ ერანში მისი სიკეთე ასე განფენილიყო, რაც ქალი კარგს იქმოდა რასმე, იტყოდენ — ანუკა ბატონიშვილისაგან უსწავლიაო“.

თ ა მ ა რ ი, გივი ამილახორის მეუღლე — „შვენიერი დიდად, მსგავსი დედისა, მოღვაწე, მართალი, ღმრთისა და კაცთა მოსაწონი, მაკეთებელი სამღთოსა და ეკლესიათა“.

დიდებულადაც აღზარდა მეფემ თავისი შვილები — ყველანი „სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თვისნი“, ყველანი განანათლა „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა“. შეასწავლა სასულიერო მწერლობა, თეოლოგია და თეოსოფია. „ხოლო უმეტესად“ საერო მწერლობა, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, სამხედრო ხელოვნება და სამხედრო ისტორიანი, „სავაჟკაცო გამოცდილებანი“ და „სამამაკაცო ზნეობანი“.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფის შვილები ისეთი სულით აღიზარდნენ, „რომე არაოდეს არა აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“.

ასეთი იყო შტოი მუხრანბატონ-ბაგრატიონებისა.

ასეთი იყო მეფე ვახტანგ მეხუთე.

ასეთი იყო მისი ოჯახი — „დიდი ბუდე“, რომლის წიაღიდან ყველას „საკუთარი სიტყვა და საქმე“ ჰქონდა დაკისრებული სამომავლო საისტორიო ბედისწერისგან.

. . . . . .

ვახტანგის გამეფებისას საარაგვო ვანდგომილი იყო ქართლის ტახტისაგან. ზაალ არაგვის ერისთავი აშკარად მტრობდა ქართლის ახალ მეფეს. მტრობა აგრე არ უნდაო და, ვახტანგიც უმალვე შეუღგა გაკერძოებულ-გადამტერებული ფეოდალის ანგარიშსწორებას.

გავიხსენოთ გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან: ზურაბ და ზაალ ერისთავებს კიდევ ჰყავდათ ერთი ძმა — გიორგი, რომელმაც ბოლომდე შეუნახა ერთგულება სიძეს, სააკაძეს. სწორედ სააკაძის ერთგულების-

ოვის აკი ბაზალეთის ცოდვიანი ბრძოლის წინ გიორგი ერისთავს მის-
მა ძმამ ზურაბმა და თეიმურაზ კახთა მეფემ თვალები დათხარეს.

გიორგი ერისთავს ცოლად ვახტანგ მეფის დაი ჰყავდა. გიორგი
თვალთა სინათლეს მალე სიცოცხლითაც გადაჰყვა, ხოლო მისი შვილე-
ბი — ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუა და დათუნა — ბიძამ (მამის
ძმამ) ზაალ ერისთავმა გამოყარა ღუშეთის სასახლიდან. მის შემდგომ
გიორგის ძენი ბიძასთან (დედის ძმასთან), აწ მეფე ვახტანგთან ცხოვ-
რობდნენ.

ახლა კი, როცა ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავის მოსპობის „საჭი-
როება" გაუჩნდა, დისწულებმა დაასწრეს და თვითონ მოახსენეს მეფეს:
ბიძა ჩვენი ზაალ ერისთავი თქვენი ორგულიც არის და ჩვენც ხომ მის
ძმისწულებს მრავალი ავი შეგვყარა, დაგვჩაგრა, გამოგვყარა, და „ჩვე-
ნის სამკვიდრო მამულის პური არ გვაჭამა", ამიტომ თქვენ მხოლოდ
დასტური გვიბრძანეთ და ზაალ ერისთავი ყოფილა და აღარ იქნებაო.

ვახტანგ მეფე—კაცი „პირდაპირი" და „ურჩთა და ორგულთა ძლიერად
შემრისხველი" — მაშინვე დათანხმდა შურისგების სისხლმოწყურებულ
დისწულთა განზრახვას...

1660 წლის 13 მაისი იყო. ღუშეთის საერისთავო-სასახლის ეზოში,
ფანჩატურში იჯდა ზაალ ერისთავი, „ფარაღათად" (შილიფად), ახალუ-
ხის ამარად, და ნარდსაც თამაშობდა გულარხეინად.

ანაზდაითად წამოადგნენ თავზე ძმისწულები — ოთარ, ედიშერ,
იასონ, პაპუა და დათუნა.

„ბიძაჩემს ეახლავარო", შესძახა ოთარმა და წამსვე ხმალი უჭირა
შიგ სახეში. ძმებიც წამოესივნენ. ზაალ ერისთავმა ვერც ხელის განძ-
რევა მოასწრო, ვერც კრინტის დაძვრა, ისე დაესიკვდილა მიწას, ხმლით
აკეპილი.

ზაალის შვილებმა, ზურაბმა და ნაბერალმა, ღუშეთის სასახლიდან
გაასწრეს და სამცხისკენ გაქუსლეს თავაწყვეტილი ჯენებით.

მათი გაქცევაც არ გამოჰპარვია ვახტანგ მეფეს. მაშინვე მალემსრ-
ბოლნი გამოადევნა. ტბის-ყურეზე დაეწივნენ მდევრები დევნილებს.
ახალგაზრდა ერისთავებს მხლებლები და მსახურეულნი ამოუწყვიტეს,
თვითონ ზურაბი და ნაბერალი ცოცხლად შეიპყრეს და მეფეს მოჰგვა-
რეს. ვახტანგმა მაშინვე ირანს გაგზავნა ზაალის ძენი.

ზურაბი, ვითარცა ბახტრიონის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი
მეთაური, სპარსელმა ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს, ხოლო ნაბერალი შაჰ-
აბას II-მ გაათათრა და პირად ღულამად აიყვანა.

არაგვის ერისთავობა ვახტანგ მეფემ მისცა უფროს დისწულს—ოთარ
გიორგის ძეს. მეორე ძმას, ედიშერს, მეფემ მიანდო „მსაჯულობა საქარ-
თველოსი", ხოლო მესამეს, იასონს — „დედოფლის სახლთუხუცესობა".

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე 1660 წელს, ვახტანგ მეფე დასავლეთ საქართველოში, დაბრალებულ პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაერთო. აქ, ქუთათისის ტახტზე ელთ ეგდოთ თეიმურაზ კახთა მეფის ასულს დარეჯანს და მისგანვე ქმრად „დათრეულ" ვიეინდარა ჭუჭუნიაშვილს. მაშინ ზემო იმერეთის თავადებმა ვახტანგ ქართლის მეფე მიიწვიეს, ქვემო იმერეთის თავადებმა კი — სამეგრელოს მთავარი ვამიყ დადიანი.

ორივე „მიწვეული" მივიდა, ჭუჭუნაშვილს თვალები გამოსთხარეს და დარეჯანთან ერთად გააქციეს, იმერეთის სამეფო კი თვითონ გაიყვეს; საზღვრად მდინარე ბუჯისწყალი დაიდვეს: აღმოსავლეთით ქართლის მეფე გაბატონდა, დასავლეთით — სამეგრელოს მთავარი.

სამოყვროდაც გარიგდნენ: დადიანმა თავისი ასული ვახტანგ მეფის უფროს ვაჟზე, არჩილზე დაწინდა. მაგრამ ვახტანგი რომ ქართლისკენ გამობრუნდა, ვამიყ დადიანმა პირობა გატეხა და თავისი ასული იმერელ თავადს, ბეჟან ღოლობერიძეს შერთო ცოლად.

ვახტანგ მეფე აღაფშოთა დადიანის ღალატმა და უპირულობამ. მაშინვე კავშირი შეკრა დემეტრე გურიელთან და ზემო იმერეთის თავადებთან, გამორჩევით — პაატა აბაშიძესთან. ზემო იმერლებმა ვამიყ დადიანის სიძე და არჩილ ბატონიშვილის მეტოქე ღოლობერიძე მოკლეს და ვახტანგ მეფე იმერეთში გადაიწვიეს.

ვახტანგიც სასწრაფოდ გადავიდა იმერეთს ქართლის მხედრობით.

ვამიყ დადიანიც მოსულიყო მეგრელთა ჯარით და საჩხერესთან ელოდა მტერს.

ვახტანგს ლიხზე გადასვლისთანავე მთელი ზემო იმერეთი შეუერთდა.

ლეჩხუმის ბატონი, ხოსია ლაშხიშვილიც მოსულიყო ქართლის მეფესთან შესაერთებლად.

ვამიყ დადიანმა ძლიერ მოპირდაპირესთან შეტაკება ველარ გაბედა და საჩხერიდან ისევ ოდიშისკენ გაქუსლა.

ვახტანგმა ზედმიყოლებით დაიჭირა სვერის, კაცხისა და სკანდის ციხეები.

სკანდაში აქ გადმოხვეწილი თეიმურაზ კახთა მეფე დაუხვდა ვახტანგს.

დიდის კრძალვითა და პატივით შეხვდა ქართლის მეფე უხუცეს და უმამაცეს ქართველ მეფეს (თუ ნამეფარს!).

სავსებით დაბერებულიყო და გატეხილიყო ნახევარსაუკუნოვანი სამამულო ხმალთაკვეთების მთავარი გმირი.

დიახ, გატეხილიყო, რამეთუ ახლა იგი ვახტანგს სპარსეთთან შერიგებას სთხოვდა!..

უსაზღვროდ გაახარა ვახტანგ მეფე თეიმურაზის ეგზომ მოულოდნელმა თხოვნამ. მაშინვე ბეჯითად დაარწმუნა და დაანუგეშა — ირანის შაჰი დიდის პატივით, სიხარულით და სიყვარულით მიგიღებს, შეგიბრალებს და „შეგიტკბობსო!“.

სახლთუხუცესი გივი ამილახორი ამალით აახლა თეიმურაზს და ტფილისში გაგზავნა. იმერეთის საქმეებს რომ მოვრჩები, მეც ტფილისს გეახლები და იქიდან ირანს გაგისტუმრებო, დაბარა ვახტანგმა თეიმურაზს.

სკანდიდან ქუთათისს მიუხდა ვახტანგ მეფე. იმერეთის სატახტოც აიღო და მაშინვე ოდიშისკენ გაქუსლა ჯარით.

ვერ დაუმაგრდა ვამიყ დადიანი. ზუგდიდი. ცოლ-შვილთან ოა ქონებასთან ერთად, ვახტანგ მეფეს შეატოვა ხელში და თვითონ სვანეთს გადაიხვეწა.

ვახტანგმა დადიანის ტახტზე დასვა ლევან III დადიანი, რომელსაც იქვე ცოლად შერთო თავისი ძმისწული (კონსტანტინეს ასული) — თამარი, არაჩვეულებრივად ლამაზი და მომხიბლავი ქალი (სწორედ ამ თამარ მუხრან-ბატონის გარშემო „პოლიტიკურ მიჯნურობათა“ დიდი ორომტრიალი გაჩაღდება საქართველოში).

ვახტანგ მეფემ მკაცრად დასაჯა ვამიყის მომხრე ოდიშარი თავადები, ზოგი მათგანი ტყვედ აიყვანა, ზოგი სულაც მოთხარა ოდიდაბოდიანად. ჭაქვითის ციხიდან დადიანების ნაგროვები დიდძალი ოქრო-ვერცხლიც გამოიტანა და ისევ ზუგდიდს მიბრუნდა.

აქ აფხაზთა მთავარი ეახლა „ძღვნითა დიდითა“ და სრული მორჩილებაც გამოუცხადა ქართლის მეფეს.

ამასობაში ვამიყ დადიანის ამბავიც მოვიდა სვანეთიდან, თურმე ლეჩხუმის ბატონს ხოსია ლაშხიშვილს, ვახტანგ მეფის საამებლად, მკვლელები მიუჩენია და მოუკლავთ კიდეც ვამიყ დადიანი.

ისევ ქუთათისს მობრუნდა ვახტანგ მეფე. აქ დემეტრე გურიელი ეახლა, ესეც „ძღვნითა დიდითა“ და მორჩილ-ყმობის გამოცხადებით.

მთავარი მაინც ეს იყო: ადრე ღარეჯანისგან თვალებდათხრილი კანონიერი მეფე იმერეთისა, ბაგრატ IV, ვახტანგმა ტყვედ აიყვანა და იმერეთის მეფედ თავისი უფროსი ძე, 14 წლის არჩილი გამოაცხადა.

. . . . . .

მაშ, იდგა 1661 წელი და, კაცმა რომ სთქვას, საქართველო თითქმის გაერთიანებული იყო. „თითქმის“ იმდენად, რამდენადაც მარტო სამცხე-საათაბაგო დარჩენილიყო „ერთიანი საქართველოს“ ფარგლებს გარეთ.

თუმცა დიდი ხნის წინათ და დიდი ხნით დაკარგულიყო ეს დრო, როცა საქართველო ფრთებს შლიდა „ნიკოფსით დარუბანდამდის“ და „სინოპიდან არდაველამდის“, მაგრამ ახლა, 1661 წელს, მთელ [illegible] სავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთ ხელმწიფეს ემორჩილებოდა — მეფე ვახტანგ მეხუთეს, სპარსელთაგან „შაჰ-ნავაზად“ წოდებულს, „და მეფობდა შაჰ-ნავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა“.

გულდაჯერებით, გულუხვად და გულსრულად შესდგომოდა მეფე ვახტანგ მეხუთე „ერთიანი საქართველოს“ აღორძინებასა და გამძლავრებას.

მისი „სოციალური სახსარნი“: „და განამდიდრნა ყოველნივე მკვიდრნი სამეფოთა თვისთანი: უკეთუ ვინმე იყო გლახაკი და უპოვარი მონაგებთაგან, აღივსნეს უხვად წყალობითა და სახმართა ბოძებითა მისითა, და უკეთუ იყო ვინმე ნაკლულოვან აგარაკთაგან, ანუ მონათაგან, ანუ საჭურჭლეთაგან, ყოველნივე გაამდიდრეს, და გარდაემატათ სიმდიდრე და მორჭმულობა მკვიდრთა საქართველოსათა“.

მისი აღმშენებლობანი და სიქველენი „ერისა და ბერისა“: „და სადაცა იყო იატაკი მთათა შინა, ანუ ბართა უქმად მყოფი, ყოველივე სახმარად კაცთა შერაცხილ იქმნა: უშენნი აღშენდეს და მრავალნი დაბანი და დიდ-დიდნი თემნი შესძინნა სამეფოსა საქართველოსასა. და სადაცა იყვნენ თანამდებნი, მოვახშეთაგან განთავისუფლნა. და წმიდანი ეკლესიანი ზეშთა აღმატებულ-ყო შესაწირავითა აგარაკთა და ყოველთა სამკაულთა მიერ განაშვენა, გლახაკთა და უღონოთათვის ფრიად მოწყალე და ქველის-მოქმედი იყო: ტყვენი გამოხსნილ იქმნეს“.

გაერთიანებულ ქვეყანას „ერთიან იდეოლოგიად“ ისევ განუმტკიცა ქრისტიანული სარწმუნოება. იმჟამად გარდაცვლილი ქრისტეფორე კათალიკოსის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად დასვა თავისი ბიძაშვილი დომენტი მუხრან-ბატონი, „კაცი ღირსი საყდრისა“ და „სრული საქმითა, რამეთუ ამან მატა სჯულსა და წესსა ეკლესიისასა“.

როსტომ მეფის დროს „სპარსული დაწოლისაგან“ შერყეული ქართული სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სჯულიერებანი ვახტანგის ხელმწიფური ეგიდის ქვეშ ისევ იწყებდა აღორძინებას და აღზევებას. ამისთვის იღვწოდა ყველა თავგამოდებით — მეფეც, დედოფალიც, უფლისწულებიც, და ერიც და ბერიც.

ვახტანგ მეფის „ჟამთა შინა კუალად იწყეს მოქცევად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა: სწავლად და გულს-მოდგინედ წურთად ღმრთივსულიერთა საქმეთა მოქმედებად. და განშვენდეს წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნი წესნი ეკლესიათანი გამრავლდეს

საქართველოსა შინა მიზეზითა ძეთა მეფისა შაჰნავაზისათა, ვითარმედ ესე სიტყვანი ძველთაგან თქმულ არს: „ჟამნი მეფენი არიანნ“. და დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯვრითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თვალითა“...

. . . . . .

დიახ, „ითქმის“ გაერთიანებული იყო საქართველო, მაგრამ დიდხანს კი გაუძლებდა ეგზომი შინა-გარე სისხლთათხევით მოცოდვილებული „ერთიანობა“ უფრო უარეს სამომავლო ჟამთა სიავეს?!

. . . . . .

იმავე 1661 წელს, ვახტანგ მეფემ თეიმურაზ კახთა მეფე, პირობისამებრ, სპარსეთს გაგზავნა, შაჰ აბას II-სთან შესარიგებლად. შერიგება არ შედგა და შაჰმა თეიმურაზი ასტრაბადის ციხეში ჩააგდო. იქვე აღესრულა ქართველი მეფე, 1663 წელს, შობითგან 74 წლისა.

საქართველოს დალოცვა მოასწრო, და კიდევ: აქ არ დამტოვოთ მტრის მიწაზეო; საქართველოში, კახეთში წაასვენეთ და იქ დაკრძალეთ ჩემი ცხედარიო.

შაჰმა გადაჭრით უარი თქვა მკვდრის „გამოშვებაზე“ საქართველოში. და ასე გრძელდებოდა ტყვეობა მკვდრისა მანამ, სანამ ვახტანგ მეფემ არ შეუთვალა შაჰს: მაინცდამაინც სჯობია, ნება დართოთ წამოასვენონ საქართველოში თქვენთან გარდაცვლილი ქართველი ხელმწიფეო.

შაჰმა „შაჰ-ნავაზის“ თხოვნაზე მაშინვე თანხმობა ბრძანა.

და კახელებმაც წამოასვენეს მათი მეფის ცხედარი, მოასვენეს და ალავერდს დაკრძალეს, კახელ გვირგვინოსანთა საძვალეში...

. . . . . .

ირანის შაჰი კი თეიმურაზ მეფის სიკვდილით ჯერ კარგად არც კი დამტკბარიყო, რომ ოსმალეთის სულთანისაგან ასეთი რისხვიანი წერილი მიიღო: გაიხსენეთ, ჩვენს შორის ზავი გახლავსთ; ხოლო თუ ზავი არის, ეს როგორ მოხდა, რომ თქვენს ქვეშევრდომს ვახტანგ შაჰ-ნავაზს ჩემს ქვეშევრდომ იმერეთში მეფედ თავისი შვილი დაუსვამსო? ჩვენ მოვითხოვთ ახლავე გაიყვანოთ არჩილ ვახტანგის ძე იმერეთიდან, ხოლო უკეთუ არ აღასრულებთ, მაშინ ომი გსურვებიათ და ჩვენც აღარ დავაყოვნებთ — დაუყოვნებლივ წამოვალთ ჩვენის მხედრობითო!

ძმარმა გადაუარა გულზე შაჰ აბას II-ს.

ესეც იმ დღესვე აცნობეს ირანის მბრძანებელს: თურმე ოსმალეთის

ფალიშაპს პასუხისთვისაც არ დაუცდია, — ახალციხეში ასლან ფაშასთვის შემოუთვლია, ბარემ ჯარი წაიყვანე და იმერეთიდან არჩილ ვახტანგის ძე გააძევეო. ასლან ფაშაც თურმე, სადაცაა მიაღწევს ... ზეკარის გადასასვლელსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ აბას II-ს თურქეთთან ომი იმჟამად უიმედო საქმედ მიაჩნდა და მაშინვე, ყოველგვარი ყოყმანისა და ჭოჭმანის გარეშე, ტფილისში ფაიქი აფრინა და ვახტანგ მეფეს შემოუთვალა: შენი ვაჟი არჩილი იმერეთს მოაშორეო; ოღონდ თურქეთთან ზავს ნუ ჩამიშლი, არჩილი ჩემთან გამოგზავნე და იმერეთზე უმჯობეს ქეეყანას მივცემ სამეფოდო.

ეგზომ გამწვავებულ მდგომარეობაში არც ვახტანგ მეფეს უნდა ლაეწყო ყოყმანი. მან იმერეთიდან წამოყვანილ უსინათლო ბაგრატ IV-ს ჯერ ცოლად შერთო თავისი ძმისწული თითია (თუ თათია?), სილამაზით განთქმული თამარის დაი (თამარი ხომ მაშინ ლევან III დადიანს ჰყავდა ცოლად), მერე ბაგრატი თავისი ცოლით და იორამ სააკაძის (გიორგი სააკაძის ძე) თანხლებით ქუთათისს გაგზავნა და შვილსაც ეს შეუთვალა: ახლავე იმერეთის ტახტი ბაგრატს ჩააბარე, შენ კი ტფილისში სასწრაფოდ დაბრუნდიო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ბაგრატთან დამოყვრებით იმერეთზე „რაღაც უფლების" შენარჩუნებაც სურდა და შაჰის ბრძანებასაც „უყოყმანოდ" აღასრულებდა.

მაშ, იმერეთის ტახტზე ისევ ბრმა ბაგრატ IV დაჯდა.

შაჰ აბას II-მ სიტყვა შეასრულა და არჩილ ვახტანგის ძეს სამეფოდ იმერეთზე „უმჯობესად" მონათლული კახეთი მისცა.

ეს მოხდა 1664 წელს.

და სწორედ იმავე წელს, სწორედ კახეთის ტახტისთვის მამა-შვილს სისხლი დაექცათ.

საქმე ის იყო, რომ კახეთის უფლისწული ერეკლე დავითის ძე, თეიმურაზ მეფის შვილიშვილი, რუსეთში რვა წლის ნათევი, მოსკოვიდან თუშეთს ჩამოსულიყო და ადგილობრივ მთიელებს იკრებდა კახეთის ტახტის დასაუფლებლად.

ბრძოლა მოხდა ურიათ-უბანთან.

ერეკლე დამარცხდა და უკუიქცა.

მომდევნო წლის გაზაფხულზე, მარტყოფთან ისევ გამოჩნდა ერეკლე, „ცოტას კაცით", მაგრამ ვახტანგმა კვლავ დაამარცხა და გააქცია. დაედევნა უჯარმასთან წამოეწია და ისევ დაამარცხა.

ერეკლემ და დედამისმა ელენემ თორღას ციხეში შეასწრეს და შიგ ჩაიკეტნენ.

შვიდი თვე ალყად ადგა ვახტანგ მეფე კახეთის ამ განთქმულ ციხესიმაგრეს. ბოლოს, როცა თორღაში ჩაკეტილებს შიმშილ-წყურვილით ყოფა უკიდურესად გაუმწარდათ, ერეკლეს დედამ, ელენემ მამაკაცის

ტანსაცმლით ციხიდან მალულად გამოსვლა მოახერხა, ვახტანგ მეფეს ეახლა და მოახსენა: თქვენ არ დაგშვენდებათ მე და ჩემი შვილის დატყვევება და გასათათრებლად ირანის შაჰთან გაგზავნაო; ამიტომ, ვაჟებით, მე და ჩემი ერეკლე უვნებლობის ფიცით გაგვიშვათ თორღას ციხიდანო.

ვახტანგმა ფიცი კიდევაც მისცა და კიდევაც აღასრულა: მისი ბრძანებით ერეკლე ბატონიშვილი დედამისთან ერთად იმ ღამესვე გააპარეს.

ერთხელ კიდევ წამოვიდა ერეკლე თუშეთიდან თუშთა ლაშქრით და „აწყვერთან" მდგარ ვახტანგს და არჩილს დაეცა ანაზღეულად, ღამესა ბნელსა.

ბანაკის შუაგულში მდგარ კარავზე მიიტანეს მთავარი იერიში თუშებმა, რადგან აქ მეფე ეგულებოდათ. მაგრამ ამ კარავში მარტო გივი ამილახორი აღმოჩნდა. ამილახორმა სიკვდილს მაინც გაასწრო.

ვახტანგმა, არჩილმა, თამაზ თურქისტანიშვილმა და ზაზა ციციშვილმა ბნელ ტალავერში შეირეკეს ერეკლეს მეომრები და მისდგნენ სასტიკი ჩეხვით.

ერთი გოლიათური ანაგების თუში აგინებდა ხმამაღლა ვახტანგ მეფეს. გაუსტა თამაზ თურქისტანიშვილი იმ თუშს, ხმლით თავი დააგდებინა და მეფეს მოურბენინა.

რიჟრაჟზე, წყვდიადი რომ გაიფანტა, ვახტანგმა ბუკის დაცემა და ცხენებზე ამხედრება ბრძანა.

ერეკლეს და მის მეომრებს აქამდე მეფე მოკლული ეგონათ, მაგრამ ახლა რომ ცოცხლად იხილეს, ბრძოლის გაგრძელება უსაზმნოდ მიიჩნიეს და სისხლნაქცევ მინდორს გაეცალნენ.

ერეკლემ ჯერჯერობით ხელი აიღო „თათარ მამა-შვილთან" ბრძოლაზე და დედასთან ერთად ისევ რუსეთს გაბრუნდა.

ვახტანგ მეფემ კახელებს არჩილის ერთგულებაზე ფიცი დაადებინა და თვითონ ქართლში დაბრუნდა.

. . . . . .

არჩილი კახეთს „მეფური მეფობით" განაგებდა, მაგრამ იგი მაინცდამაინც მამის, ვახტანგ ქართლის მეფის ქვეშევრდომად უფრო ჩაითვლებოდა. ევროპელებსაც (ჟან შარდენი) არჩილი მამამისის „მოადგილედ" მიაჩნდათ. არჩილი ასეთ „ქვეშევრდომობას" არც უჩიოდა და არც უწუხდებოდა. საბედნიეროდ, შვილიც და მამაც „მთავარ საქმედ" მაინც ქართლისა და კახეთის ერთიანობას მიიჩნევდნენ. ასედაც იყო, მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია" აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას და ერთიან აღორძინება-გამძლავრებას ემსახურებოდა.

ირანის სახელმწიფო კარსაც ქართლ-კახეთის საქმეთა მთავარ გამგებლად ვახტანგ შაჰ-ნავაზი მიაჩნდა.

ვახტანგ მეფის „სპარსული პოლიტიკა“ როსტომ მეფის პოლიტიკის გაგრძელება იყო, მაგრამ ვახტანგს მაინც უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი. ამას ევროპელი ჟან შარდენიც ამჩნევდა და კიდევაც წერდა: „საქართველოს მეფე ვახტანგი მაინცდამაინც არც ისე ძლიერ ემორჩილება სპარსეთის შაჰის ბრძანებასო“.

ქართველი მეფის ეს „დამოუკიდებლობა“ გამორჩევით მისი სამეფოს შინაურ საქმეებში იგრძნობოდა. ვახტანგი და არჩილი სპარსეთის შაჰის დაუკითხავად იღვწოდნენ თავგამოდებით ქართული მიწა-წყლის აყვავებისათვის, კულტურული აღმშენებლობისათვის, ხალხის სულიერი ამაღლებისა და ნივთიერი გამდიდრებისათვის.

ვახტანგი ევროპელ ვაჭრებს იწვევდა საქართველოში, ტფილისში ბინებისა და ქარვასლების აშენებას ჰპირდებოდა, ბაჟისაგან გათავისუფლებას აღუთქვამდა და დაბეჯითებით არწმუნებდა: ევროპელები რომ ინდოეთში მიმავალ გზებს ეძიებენ, „ქართულ გზაზე“ უკეთეს გზას ვერსადაც ვერ იპოვნიან, — ოღონდ ერთხელ გაიარონ საქართველოზე და მერე სხვა გზას არასოდეს აღარ დაადგებიანო...

შენდებოდა ქართლ-კახეთი. ისევ ყვავილობდა სამამულე რქა ახლად მომძლავრებულ ზვრებში. ჰყვაოდა ბაღი. შენდებოდა სარწყავი არხები, მარნები, წისქვილები, ზეთსახდელები, ქარვასლები, დუქნები, გზები, ხიდები, ბოსლები, საჯინიბოები, სრასასახლენი, ციხესიმაგრენი.

ვახტანგ მეფე მის „მეგობარ“ კათოლიკე მისიონერებს ევროპიდან ინჟინრებსა და მექანიკოსებს „აწერინებდა“.

ისევ მოეშენენ ამოგდებული სოფლები, დაქცეული ქალაქები და დაბები; აღმოცენდნენ „ახალ-სოფელნი“, „ახალ-დაბანი“, „ახალ-ქალაქნი“. მაშინ დაიბადნენ: ახალქალაქი, ატენი, ბოლნისი და წინწყარო; აღორძინდნენ და ამაღლდნენ: ნაბახტევი, ალი, სურამი და ახალდაბა.

ერთხელ კიდევ აშენდა და აღორძინდა მრავალგზის ნაოხარი, ნაჭირვალი და ნაწამები დიდი ქართული ქალაქი — გორი.

ხოლო თვითონ საქართველოს სატახტო ასე აღუწერია ჟან შარდენს:

„ტფილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია... სახლების უმეტესი ნაწილი ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისკენ კი კედელი არა აქვს...

ტფილისში რამდენიმე ეკლესიაა, ექვსი მათგანი ქართველებისაა... დედა ეკლესია რომელსაც სიონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე და მშვენიერი თლილი ქვებით არის ნაშენი...

ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა. აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო ნაგებობანი. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიც უცხოეთიდან მოსულნი ბინავდებიან დროებით. თვი-

თონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხის გალავანს შიგნითაა. ამ აბანოების წყალი არის ვოგირდიანი და ძალიან ცხელი. ჯანმრთელთა გარდა, აქ ხნულებიც ბანაობენ სამკურნალოდ. დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად მოელილი, მაღლობზე წამოჭიმული და დიდი მოედნის პირას ჩარიგებული.

მეფის სასახლე ერთი უმშვენიერესი შენობაა ტფილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა... სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, რომელზეც ათას ცხენამდე დაეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარი გახლავთ სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან...

ტფილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე სალხინო სახლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტაა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცობენ ირგვლივ...

თვითონ მეფის სასახლის დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი იყო, სიგანით — ორმოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მისი დარბაზი ახდილი იყო ამ მხრიდან. საროთი ნაკეთებ დარბაზის ჭერს რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი ედგა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40 ფუტამდე ჰქონდა. მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებით იყო მორთულმოკაზმული...“

. . . . . .

1666 წელს მოკვდა შაჰ აბას II და ირანის მბრძანებელი შეიქნა მისი ძე სულეიმანი (1666—1694 წწ).

სულეიმან შაჰმა ქართველთა „დამოუკიდებელი პოლიტიკა“ თავიდანვე ავად დასუნთქა; იგი ვახტანგ მეფის „ფრთხილ ნაბიჯებში“ ირანისათვის დიდ სამომავლო საფრთხეს ხედავდა, ხოლო არჩილი მას სპარსეთის ნამდვილ მტრად მიაჩნდა.

კიდევაც იძლეოდა კახეთის გამგებელი სპარსელთაგან ამნაირი შეფასების საფუძველს, — რამეთუ „არჩილ იყო მოძულე მაჰმადიანთა და მაჰმადიანობისა“.

და შაჰ სულეიმანმა გადაწყვიტა დაერღვია მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია“ და უფრო მძიმე კირთებით დაეთრგუნა „კადნიერ გურჯთა დამოუკიდებლობა“. საამისოდ ხელსაყრელ ჟამს ეძებდა შაჰი, და დადგა კიდეც „ჟამი იგი“.

მკითხველმა უკვე იცის, როგორ მოაკვლევინა ვახტანგ მეფემ თა-

ვის დისწულებს — ოთარს, ედიშერს, იასონს, პაპუას და დათუნას — ზაალ არაგვის ერისთავი. მას შემდეგ, მკვლელთაგან უფროსი, ოთარი, ვახტანგმა არაგვის ერისთავად დასვა, ედიშერი ქართლის მსახურთუხუცესად, იასონი დედოფლის მსახურთუხუცესად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, — როცა ოთარმა მისგანვე მოკლული ბიძის მემკვიდრეობა ჩაიბარა, საარაგვოში მაშინ კახური მიწა-წყლიდან ერწოთიანეთიც შედიოდა.

ახლა არჩილ მეფეს შეუჩდნენ მისი „ერთგული“ კახელი კარისკაცები: კახეთის ბატონი ბრძანდები და ეგ როგორი მოსათმენია, შენი საბატონოს დიდი წილი რომ არაგვის ერისთავს უჭირავსო.

არჩილიც წაქეზებას წაექეზა და მამას ტფილისში შეუთვალა: ოთარ ერისთავს უბრძანე, ერწო-თიანეთი დამიბრუნოსო; ვახტანგმა უპასუხა: ეგ ჩვენი საქმე არ არის, რადგან რაც ოთარს უჭირავს, არც მე მიმიცია და არც შენ, — ყველაფერი მამა-პაპათაგან დარჩენია მემკვიდრეობადო.

არჩილი გაფიცხდა და მამას ფრიად მკვახედ შეუტრიალა: „რაც საკახეთო არისო, ბედნიერმან ყაენმან მე მიბოძაო და მეც არავის არ დავანებებო; ერისთავი თქვენი ყმა არისო და თუ მისთვის მისაცემი გინდაო, ქართლიდამენ უბოძეთო“.

ვახტანგმა ძალიან იწყინა საყვარელი შვილის ეგზომ კადნიერი სიტყვა. მცირე ხანს კიდევაც შემდურდნენ. მაგრამ მამამ „შვილი ვერ დათმო“ და ოთარ ერისთავს ბრძანება გაუგზავნა: რაც კახური მამულები გიჭირავს, ხელი აიღე და კახეთს დაუბრუნეო.

ოთარ ერისთავმაც სასტიკად იტკიცა და ვახტანგ მეფეს შემოუთვალა: ჩემზე წინ ბედნიერმა ყაენმა ნახევარი კახეთი ბიძაჩემს ზაალს მისცაო; მერე მე და ჩემმა ძმებმა თქვენი გულისათვის ამნაირი —„შვიდსა სამეფოში ქებული და სწორუპოვარი ბიძა მოვჰკალით“ და მთელი კახეთი თქვენ მოგართვით; ამას გარდა, „საცა თქვენი მტერი გაჩნდა, ყველა ჩვენ წაგიხდინეთ“, და ახლა იმის ნაცვლად, რომ ამდენი ნამსახურის სამაგიეროდ თქვენგან მრავალ წყალობას მოველოდეთ, რაც გვაქვს, თურმე იმის წართმევასაც გვიპირებთ; მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ, რაც რაიმე გვაქვს, ყველაფერი „თავად ყაენისგან გვაქვს მოცემული და ვერც ვინ უყაენოთ წაგვართმევესო“.

მაშ, ოთარ არაგვის ერისთავი „ყაენის სახელით“ იმუქრებოდა. შაჰ სულეიმანმაც მაშინვე იცოდა „ქართლ-კახური დიალოგების“ ამბები და თავის მხრივაც უმატებდა ამინდის მღვრევას ქართული ცის. ქვეშ.

ვახტანგმა და არჩილმა ითათბირეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს: ერისთავების ამოუწყვეტლად მამულების დაბრუნება კი არა, საერთოდ ვერ მოისვენებს ვერც ქართლი და ვერც კახეთიო.

მაგრამ ოთარ ერისთავი უფრო სწრაფად ამოქმედდა. ირანში ფაიფ-აფრინა და შაჰს შეუთვალა: თქვენი ერთგული სამსახური მწადია და ნება მომეცით პირადად გინახულოთო.

ცას შეწვდა სიხარულით შაჰ სულეიმანი. ვგონებ, ახლა დამიდგა დრო, „ფრიად განდიდებული“ ვახტანგ მეფე „დავაკნინოო“ და მაშინვე „მიუწოდა ოთარს თვის წინაშე“.

სპარსეთს მიმავალმა ოთარ ერისთავმა მცხეთა და ტფილისი ისე ჩაიარა, ვახტანგ მეფემ უბატონოდ ხმის გაცემაც ვერ გაუბედა.

მაინც შეესივნენ საარაგვოს მამა და შვილი — ვახტანგი ქართლელთა, არჩილი კახელთა ჯარებით.

დაუხვდნენ მამა-შვილ ხელმწიფეებს ოთარ ერისთავის ძმები — ედიშერ, იასონ, პაპუა, დათუნა. პირველი მძიმედ დაშავდა პაპუა — ვახტანგ მეფის მეომრებმა ბარძაყი დაულეწეს, შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. დანარჩენმა ძმებმაც იკადრეს იარაღის დაყრა, კისერზე შიშველი ხმლები აპეურებით შეიბეს და ისე დაიმუხლისთავეს ვასტანგის წინაშე.

ვახტანგმა შეუნდო, „ვინაიდგან იყვნენ ისინი დის-წულნი“.

მეფემ ტფილისს დაბრუნება ძლივს მოასწრო, რომ დუშეთში დატრიალებული ამბები ისფაჰანის კარზე უკვე მარცვალ-მარცვალ ჩაეკაკლათ სულეიმან შაჰისათვის.

ბრაზიანად იყვირა სულეიმანმა: ისე გამოდის, ვახტანგ შაჰ-ნავაზს საარაგვოში სისხლი იმიტომ დაულვრია, საარაგვოს ბატონი ჩემს კარზე სტუმრად რომ მოსულაო.

ძალიან დამძიმდა სუნთქვა ისფაჰანის სასახლეში. სადაც არის, რაღაც ავი საბრძანისი უნდა ებრძანებია შაჰს „შაჰ-ნავაზისა“ (ვახტანგი) და „შაჰ ნაზარ-ხანის“ (არჩილი) „კადნიერებათა“ საპასუხოდ.

მაგრამ კვანძი ერთბაშად ჩაჭრა ისევ გათათრებულმა ქართველმა, სპარსეთის მაშინდელმა ყულარაღასმა განსურ-ხან ბარათაშვილმამ დინჯად, წყნარად და დაბეჯითებით მოახსენა შაჰს: საქართველო ყოველთვის არაგვის ერისთავებისაგან არის აშლილი და აოხრებული; და ახლაც, თუ ოთარ ერისთავსა და მის ძმებს ლაგამს აპყრით და „სადავეს დაანებებთ“, მაშინ იცოდეთ, ქართლსა და კახეთს ყოველ დღე თითო ბატონი მაინც უნდა გამოუცვალოთო.

ძლიერად იყო ნათქვამი, სპარსეთის კარზე ეგზომ „ძლიერი ხელისუფალისაგან“. ბარათაშვილი ყულარაღასი იყო — სამეფო გვარდიის უფროსი! (ხოსრო-მირზას დროიდან აკი სპარსეთის ყულარაღასობა და ისფაჰანის ტარულობა, „როგორც წესი“, მხოლოდ ქართულ ხელსა და გონებას მიენდობოდა!).

რისხვა ჩაითრგუნა სულეიმან შაჰმა. ოთარ ერისთავი ცივი თვალით აზომ-ჩაზომა და უთხრა: დაბრუნდი საქართველოში, ვახტანგ

მეფე ინახულე და ჩემის სახელით სთხოვე, ისევ დაგაბრუნოს ერისთავად საარაგვოშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვიდა უცხოთა კარის სამართლის მაძიებელი. მეფეზეც ელოდა და, რაც ჰქონდა, ისიც მტრად გადაკიდებული მეუფის სამაოხოვროდ გაუხდა.

მაინც დიდსულოვნად მოექცა ვახტანგ მეფე „გზააბნეულ დისწულს". არაგვის ერისთავობა ისევ დაუმტკიცა და დუშეთს გამოუშვა.

მაგრამ ნახევარმა წელიწადმაც ძლივს გაიარა და უეცრად გარდაიცვალნენ ოთარიც, ედიშერიც.

ძმათა ერისთავთა ანაზდაითმა სიკვდილმა აუდგა ფეხი საჭორაოზე ამნაირ ჭორს — „ვილაცამ" საწამლავი შეაყოლათო საჭმელში, თუ სასმელშიო...

ვახტანგმა კი საარაგვოს ბატონად რევაზ ერისთავი დანიშნა.

. . . . . .

როგორც გვახსოვს, ვახტანგ მეფის ასული, ანუკა, შაჰ აბას II-ს ჰყავდა ცოლად. როცა შაჰ აბასი მოკვდა, ანუკას, ძალიან ლამაზსა და სათნო „გურჯი-ხათუნს" ბევრი წარჩინებული სპარსელი აედევნა ხელის სათხოვრად. „ანუკას სასიძოთაგან" მაინც ორი პირველობდა — ეთიმადოვლე (დიდვეზირი) შიხალი-ხანი და ლორეს გამგებელი შავერდ-ხანი.

სულეიმან შაჰმა შემოუთვალა ვახტანგ მეფეს: რომელს აირჩევ სიძედო, შიხალი-ხანს თუ შავერდ-ხანსო. ვახტანგმა ლორეს მმართველი ამჯობინა და ანუკა მას გაატანეს ცოლად.

იუკადრისა ეს შიხალი-ხანმა და დაუძინებელ მტრად აუჩნდა ქართველ ხელმწიფეს.

ვახტანგი მტერთან დახვედრის თადარიგს იჭერდა, ტფილისის ციხეებსა და კედელ-გალავნებს ამაგრებდა და განამტკიცებდა. სულეიმან შაჰმაც კი გამოუგზავნა ვახტანგს „ვერცხლი დიდი, რათა მოავლოს ზღუდე ტფილისს". ვახტანგი ყიზილბაშებს მაინც არ ენდობოდა და ერთი „საგანგებო" ციხე-იმაგრე ტფილისს გარეთაც აღაშენა — „ქალაქის სამხრით ასპარეზის თავს ზედა მტკვრის კიდისა სასახლედ თვისად".

იმჟამად ვახტანგ მეფემ კიდევ სამი ბატონიშვილი მოჰკიდა ოჯახს: გიორგის ცოლად შერთო თამარი „ელიზბარის შვილის ასული"; ლუარსაბს — მარიამი, რევაზ არაგვის ერისთავის ასული; და ლევანს — თუთა, ქაიხოსრო გურიელის ასული.

ვახტანგ მეფის კიდევ ერთი ძე — ალექსანდრე, იმჟამად სპარსეთს

ნიყო, ისფაჰანის ტარულად. ჯერჯერობით უცოლოდ იყო ძმათაგან ყველაზე უმცროსი — სოლეიმანი.

საქორწინო ღრეობანი ახალი ჩამთავრებული იქნებოდა, როცა მეფეს მოახსენეს, დვალეთი აჯანყებულა და ბეგარის გადახდაზე უარი უთქვამთო. ვახტანგი ლაშქრით გაეშურა და, ცხინვალს რომ მიატანა, შემოეგებნენ დვალები, მუხლებში ჩაუცვივდნენ, პატიება შეჰლაღადეს და სრული მორჩილებისა და ერთგულების პირობა დასდეს. ვახტანგმა დვალეთი უსისხლოდ შეიწყალა და ტფილისს მობრუნდა.

აქ კიდევ ახალი უამური ამბავი დაახვედრეს მეფეს: ქართლის სპასპეტი ზაზა ციციშვილი იქცევა „ამაყად" და „უგვანად". მოაყვანინა ვახტანგმა ციციშვილი „საწურთნელად".

როგორც კი ზაზა ციციშვილი სასახლის ეზოში შემოვიდა, ფიცხელმა გიორგი უფლისწულმა მაშინვე ბრძანა შეპყრობა. ფავლენიშვილი დაწინაურდა ბრძანების აღსასრულებლად. ციციშვილმა სატევარი გაიძრო, ფავლენიშვილს შიგ გულში შესთხარა და იქვე გაათავა. კიდევ რამდენიმე მსახურეულის დახანჯვლა მოასწრო გამხეცებულმა ციციშვილმა და ბოლოს ისიც აჰკუწეს გიორგის „მონებმა".

სასახლეში ასეთი მოულოდნელი სისხლის დაქცევით „დამძიმდა მეფე ფრიად".

მოკლული ციციშვილის ნაცვლად ქართლის სპასპეტობა მიიღო თამაზ ყაფლანიშვილმა.

არ სცხრებოდა შიხალი-ხანი, ანუკა ბატონიშვილის საქმროდ დაწუნებული სასიძო. იარაღით რომ ვერაფერი გაუბედა, მალული ხვანჯებით სცადა ვახტანგ მეფის „ბედნიერი ცხოვრების" დაშლა და დაბალთვა.

თუმცა გადამთიელი შიხალი-ხანი რას გააწყობდა, უკეთუ საქართველოს სამეფო ტახტზე აღზევებული „მუხრანული დიდი ბუდე" თვითონ, „თავისით", შინაგანად არ ყოფილიყო დასანგრევად სენმორეული. მართლაც, ყველა ბატონიშვილს თურმე თავისი საკუთარი საფიქრალი და საკუთარი უჟმური ჰქონია გულში ჩაბუდებული და ჩალექილი.

დაიწყო ლუარსაბ ბატონიშვილით. ლუარსაბს ხომ რევაზ არაგვის ერისთავის ასული, მარიამი ჰყავდა ცოლად. რევაზ ერისთავი რაჭის ერისთავის შოშიტას სიძე იყო, დის ქმარი. ესე იგი, მარიამი რაჭის ერისთავის დისწული იყო და ამდენად ლუარსაბიც სიძედ ეკუთვნოდა შოშიტას. ეს მოყვრულ-ნათესაური რკალი იმიტომ ავიჩემეთ, რომ იგი ლუარსაბ ბატონიშვილს „აუჩემებია" თავისი „პოლიტიკური ზრახვების" აღსასრულებლად. საქმე იმაში ყოფილა, რომ ლუარსაბ ბატონიშვილს იმერეთის მეფობა სდომებია, ხოლო ქუთათისის ტახტის დაპყრობა ორი ძლიერი ერისთავის, არაგვისა და რაჭის ბატონების დახმარებით დიახაც საიმედო გაანგარიშებად გამოსჩანდა.

ლუარსაბ უფლისწულის „იმერული სურვილები“ სადღაციდან შიხალი-ხანის ყურსაც მისწვდომია. შიხალი-ხანი ახალციხის ბელს, ქრთამის მოყვარე ასლან ფაშას შეუჩნდა, ქრთამიც ბევრი ბრალი ... ართვა და სამაგიეროდ ლუარსაბ ბატონიშვილის „გადმობირებაზე“ შეიპირა. ასლან ფაშამ ლუარსაბს აგრძნობინა — იმერეთის ტახტს მე გაშოვნინებო, რამეთუ იმერეთი ოსმალეთის ხონთქარს ეკუთვნის, ხოლო ხონთქარი იმერეთის ყოველ საქმეს მე მეკითხება და მე მავალებსო.

ვახტანგ მეფე ვერც მუდარით და ვერც მუქარით ვერაფერს გახდა: ლუარსაბ ბატონიშვილი ქართლიდან ცოლ-შვილიანად აიყარა და ახალციხეს გადაიხვეწა.

ამ დროს არჩილი სხვა საქმით იყო დაკავებული კახეთში.

სულეიმან შაჰს ხომ ვახტანგისა და არჩილის შეთანხმებული „ერთ-ელმწიფობა“ და სპარსეთისგან „დამოუკიდებელი არსებობა“ ჰგვრემდა გულგვამს ის კი არა და საკუთარი ფულიც კი მოუჭრია ვახტანგ მეფეს ტფილისში!

ისევ შიხალი-ხანმა შეაგონა შაჰს: რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილი გამოიძახე და ის დანიშნე კახეთის გამგებლად... ეს აზრი სწორედ ზედ მისწრება იყო შაჰ სულეიმანისთვის; ქართლისა და კახეთის ერთიანობაც დაინგრეოდა, ვახტანგისა და არჩილის „სიმფონიური მმართველობაც“ გაქრებოდა, მათი მეტოქე ერეკლე ბატონიშვილი სპარსეთის ყმა იქნებოდა და გაზვიადებული ქართლის მეფეც უაღრესად დაკნინდებოდა.

ერთი სიტყვით, სპარსეთის მბრძანებელმა განიზრახა, „მტერობითა ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქედ მოყვანა ერეკლესი“.

. . . . . .

არჩილ მეფემაც შეიტყო, რომ მისი ძმა ლუარსაბი „იმერეთის საშოვნელად“ ახალციხის ფაშასთან გაქცეულა. მან იფიქრა, ლუარსაბი ასეთ რაიმეს მამის დაუკითხავად და მისი წაქეზების, თუ თანხმობის გარეშე ვერ გაბედავდაო და მაშინვე „გაუავგულდა“ არჩილი მამას.

არჩილი თვითონაც ოჯახით აიყარა და ახალციხისკენ ვახტანგის დაუკითხავად გაუდგა გზას.

„ფრიად წყინებულმა“ ვახტანგმა დომენტი კათალიკოსი გამოადევნა შვილს „ჯკუაზე მოსაყვანად“. ცოტა ხანს მობრუნდი, სიკვდილი მაცალე და მერე რაც გენებოს, ის ჩაიდინეო, უთვლიდა ვახტანგი არჩილს, „გარნა არჩილ არღა-რა ისმინა, არცა შეიგონა ვედრება მამისა თვისისა“. იგი ახალციხეს მივიდა.

მაშინ ირანის სელმწიფეს უფრო გაავებით დაადგა თვალი ვახტანგ

მეფეს. ლუარსაბისა და არჩილის გაქცევა ოსმალეთის ფაშასთან სპარსეთის ღალატია და, როგორც ეტყობა, ეს „ღალატი“ შვილებმა მამისგან წაქეზებით ჩაიდინესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგმა სასწრაფოდ შეატყობინა სულეიმან შაჰს: საუბედუროდ, შვილები გამიურჩდნენ და ახალციხეშიც ჩემდა უნებურად გაიქცნენ: შეიძლება, ვინმე მტრებმა „ჩემი თავი ტყვილათ შემოგაბეზღონ“, მაგრამ იცოდეთ, მე ამ საქმეში უბრალო და უცოდველი გახლავართ და, უკეთუ საჭიროდ ჩასთვალოთ, მზად გახლავართ სპარსეთს გეწვიოთ და ყოველივე პირადად მოგახსენოთო.

სულეიმან შაჰმა საქართველოში მუსტაფა ყულიბეგ ყაჯარი გამოგზავნა და ვახტანგ მეფეს შემოუთვალა: რაკი შენ თვითონ სპარსეთს ჩამოსვლა ამჯობინე, უეჭველად მობრძანდი ისფაჰანს, მოუთმენლად ველოდებიო.

ენაზე იკბინა ვახტანგ მეფემ, — რა მრჯიდა, მაინცდამაინც სპარსეთს ჩასვლა რომ მივაძალე შაჰს. მერე ამაზე გაჯავრდა, ახლობელთაგან რატომ არავინ დამიშალა ამნაირი რამეს შეთვლაო.

სწორედ აღარ უნდოდა „სათათრეთში წასვლა“ ვახტანგ მეფეს. ისედაც, ლუარსაბისა და არჩილის „გაქცევის“ შემდგომ, „აშენებულ ქვეყანას“ უკვე „დაქცეულად“ მიიჩნევდა. „კახეთი უპატრონოთ იდვა“. ქართლიც შინაშლილობით იმღვრეოდა. ქსნის ერისთავი იასე, რომელიც ერისთავად ვახტანგის ხელდასმული იყო, ახლა სწორედ ვახტანგს გადასდგომოდა და ისიც თურმე სპარსეთს აპირებდა გაქცევას და გათათრების გზით საქართველოში „დაწინაურებას“.

წაუსვლელობა მაინც აღარ მოხერხდებოდა და ალიკაზმა ირანს სამგზავროდ ვახტანგ მეფე „დიდებითა დიდითა და ხელმწიფურითა, რამეთუ იყო მდიდარ ფრიად“.

ქართლის გამგებლად თავისი ძე, გიორგი დატოვა. ორივე შვილს — გიორგის და ლევანს დაუბარა: სანამ მე ირანიდან დავბრუნდებოდე, ქსანზე იასე ერისთავი აღარ დამახვედროთო.

ვახტანგ მეფე რომ ტფილისიდან გავიდა, გიორგიმ შიდა ქართლის ჯარი იხმო, სარდლად ლევანი უჩინა და ქსანზე სალაშქროდ გაგზავნა. ლევანს გიორგიმ თან გაატანა მის კარზე აღზრდილი დათუნა შალვას ძე (იგულისხმება ბახტრიონის აჯანყების ბელადი, სპარსეთს წამებული შალვა ქსნის ერისთავი). დათუნა იასეს ნაცვლად უნდა დაესვათ ქსნის ერისთავად.

შეუხდნენ ლევანი და დათუნა ქსნის საერისთაოს. იასე ერისთავი მისმა ყმებმაც მიატოვეს და ლევანის ლაშქართან ერთად იასეს მომხრეებს „თოფები დააყარეს“. იასემ გაასწრო — სახლი, კარი, დედა და ცოლ-შვილი მტერს შეატოვა და თვითონ სპარსეთისკენ გაქუსლა.

ქსნის საერისთაო ჯაბუკმა დათუნა შალვას ძემ დაიჭირა.

ვახტანგ მეფე კი ჯერ ისევ გზაში იყო. „ყველგან მებატონენი ხანნი და სულთანნი წინ მოეგებოდნენ, დიდის პატივით მიჰყვანდნენ; მაგრამ მაინც არ უხაროდა მეფეს, — გული კარგს არას ეუბნებოდა, შვილებზე ფიქრსაც ძალზე დაეთრგუნა მისი გული და გონება. ძალიან ცუდად გრძნობდა თავს; მუცლის სალმობა აუტყდა გზაზე, საშველი აღარ მისცა, უფრო და უფრო უმწარდებოდა ტკივილები.

ყაზმინს რომ მიაღწია, იქ კიდევ ახალი უსიამო ამბავი შემოაგებეს: „ქსნის ერისთავს იასეს ჩაუვლია და ყაენთან წასულაო".

ძალიან ეწყინა ავადმყოფ მეფეს, მაგრამ რას გააწყობდა.

გზა განაგრძო.

ქალაქ სოშკარუს მიაღწია და უკვე აღარ შეეძლო სიარული, აღარც ცხენზე ჯდომა.

ერთ დიდ „ქარვან სარაში" შეიყვანეს და დააწვინეს.

იქვე მიიცვალა.

შაჰ სულეიმანს შეატყობინეს.

შაჰმა ალექსანდრეს უხმო, გარდაცვლილი ხელმწიფის ძესა და ისფაჰანის ტარუღას, მამის სიკვდილი მიუსამძიმრა და ხოშკარუს გაგზავნა სამგლოვიარო ამალით. თან ესეც დააბარათ სულეიმანმა: ყოველივე საქონელი და სიმდიდრე, რაც ქართველ მეფეს სპარსეთში მოჰქონდა, გულდასმით აღწერეთო; თვითონ ვახტანგ მეფე წამოასვენეთ და ყუმში დაკრძალოთო.

ასედაც მოხდა. ყუმში, ძველ სპარსულ ქალაქში დაკრძალეს ქართველთა მეფე ვახტანგ მეხუთე, მისი მამობილის როსტომ მეფის და დიდი შაჰ აბას პირველის გვერდით.

1675 წელი იდგა.

დაესრულებია თავისი წილხვედრი წუთისოფელი მეფე ვახტანგ მეხუთეს, გონებავრცელ ქართველ ხელმწიფეს, ქვეყნისა და ერის ღირსეულ წინამძღოლს, ჭკვიან სჯულმდებელსა და მამაც მხედარს.

გამეფდა 40 წლისა, იმეფა 17 წელიწადი, აღესრულა შობიდან 57 წლისა.

აწ მიწდებოდა უცხოსა მიწასა შინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნინაბჯე 3
ბაკურ იბერიელი 5
პეტრე იბერიელი 16
ფარსმან კოლხი 28
გურგენ მეფე 32
ფირან იბერიელი 37
ბაკურ, ძე ფირან იბერიელისა 39
ფაზა იბერიელი 41
კონსტანტინე კახი 43
იოანე—ზოსიმე 46
ძმანი ჩორდვანელ-მთაწმინდელნი 49
ეფთიმე მთაწმიდელი 71
გიორგი მთაწმიდელი 112
გრიგოლ ბაკურიანის ძე 112
მართა მარიამ 118
შალვა ახალციხელი 127
დაუდ-ხან 142
უნდილაძენი 152
გულჩარა 193
მეფე ლუარსაბ მეორე 198
ქეთევან დედოფალი 222
გიორგი სააკაძე 242
როსტომ სააკაძე 353
მეფე როსტომ-ხან 357
მეფე ვახტანგ მეხუთე 413

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეცა წარმოებას 28, 05. 97.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 12. 97.
საბეჭდი ქაღალდი 60 × 90 1/16.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27, 25.
სააღრ-საგამომცემლო თაბახი 26.

ფასი სახელშეკრულებო

შეკ. № 242 ტირ. 3000.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 1.
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. Чавчавадзе 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Саникидзе Леван Давидович

ПРИГОРШНЯМИ ВЫВЕЗЕННАЯ ГРУЗИЯ

Тбилиси 1997

ე/- 25· 757

23/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა